დათო ბარბაქაძე

შედეგები

ტომი VIII

მრავალტომეულის წინამდებარე, VIII ტომი
სიყვარულით ეძღვნება ჩემს მეგობრებს:
ნატო ალხაზიშვილს,
გიორგი ფერაძეს
და გიორგი ქარჩავას.

მრავალტომეულის ცალკეულ წიგნთა
პირველი - ელექტრონული - გამოცემა
სახელწოდებით შედეგები
განხორციელდა 2012 წელს.

გამომცემლობა *მერწყული*
თბილისი 2014

ISBN: 978-9941-0-7001-3 (ყველა ტომის)
ISBN: 978-9941-0-7114-0 (მერვე ტომის)

დათო ბახბაქაძე

გახემოებათა ჯახნახით თახგმნილი

პოეზია

ეზრა პაუნდი

VANA

ამაოდ ვცადე
ჩემი გული გამეწაფა თავმდაბლობაში;
მე მას ამაოდ ვუმტკიცებდი:
„ქვეყნად ბევრი მომღერალია შენზე უფრო აღმატებული"

მაგრამ პასუხად ჩამესმოდა, როგორც ქარის ხმა და ლუტნის ჰანგი,
როგორც ღამეში უცხო გოდება,
ჩემი სიმშვიდის მიმტაცი და მიწყივ მიმხმობი:
„სიმღერაო, ო, სიმღერაო."
ბინდბუნდში მათი ექოები მიწყივ ერთურთს შესთამაშებენ
და ეძიებენ მხოლოდ სიმღერას.
აი, ვარ ასე, ტანჯვით ძალაგამოლეული,
და აწყდებიან ირგვლივ გზა-კვალს ჩემი თვალები
და ავარდნილი მტვრის მეწამული წრეებია, რასაც ხედავენ.
მაინც რომ ცახცახს შევუპყრივარ მე ამ ბინდბუნდში
და ვარდისფერი ციცქნა ელფი ტირილით განხმობს: „ო, სიმღერაო.",
და ნაცრისფერი ციცქნა ელფიც სიმღერისთვის ტირილით მოთქვამს,
და წაბლისფერი ციცქნა ფოთოლი ტირილით განხმობს: „ო, სიმღერაო.",
და იქვე ციცქნა მწვანე ფოთოლიც სიმღერისთვის ტირილით მოთქვამს.
სიტყვები, იგივ ფოთლეული, გარდასული წაბლისფერი ფოთლეული
გაზაფხულზე
არავინ უწყის ქარის მიერ საით დევნილი, კვლავ სიმღერას მოიძიებენ.

აღმოსავლური და ევროპული პოეზია

უცნობი ავტორი

სიცოცხლით დაღლილი კაცის საუბარი საკუთარ სულთან

შეხედე, როგორ ამყრალებულა ჩემი სახელი,
შეხედე, უფრო მეტად ყარს, ვიდრე
ზაფხულის ხვატში ფრინველის სკორე.

შეხედე, როგორ ამყრალებულა ჩემი სახელი,
შეხედე, უფრო მეტად ყარს, ვიდრე
რენვის დღეებში თევზის ნადავლი მხურვალე ცის ქვეშ.

შეხედე, როგორ ამყრალებულა ჩემი სახელი,
შეხედე, უფრო მეტად ყარს, ვიდრე იხვების სკინტი,
ვიდრე ლელქაში, წყლის ფრინველებით გადავსებული.

შეხედე, როგორ ამყრალებულა ჩემი სახელი,
შეხედე, თევზზე უფრო მეტად ყარს,
ჭაობიან ტბორებზე მეტად, სადაც თევზებს ეტანებიან.

შეხედე, როგორ ამყრალებულა ჩემი სახელი,
შეხედე, უკვე ნიანგების განავალზე უფრო მეტად ყარს,
ნიანგებით სავსე მდინარის მარჩხობზე მეტად.

შეხედე, როგორ ამყრალებულა ჩემი სახელი,
შეხედე, ქალის სახელზე მეტად,
რომელზეც მისი ქმრის გასაგონად ხმებს ავრცელებენ.

შეხედე, როგორ ამყრალებულა ჩემი სახელი,
შეხედე, უფრო მეტად, ვიდრე ყიამყრალი ბავშვის სახელი,
რომელზეც ასე იტყვიან ხოლმე: მამამისს სძულსო.

შეხედე, როგორ ამყრალებულა ჩემი სახელი,
შეხედე, იგი იმ ქვეშევრდომთა სახელებზე უფრო მეტად ყარს,
ამბოხებას რომ უმზადებენ თავის ხელმწიფეს.

II

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
ძმები ბოროტს გადაუძალავს,
მეგობრებს კი სიყვარული არ შეუძლიათ.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
გულებს სიხარბე დაუფლებია,
სარჩოს სტაცებს მოყვასი მოყვასს.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
გულითადობა გამქრალია,
ირგვლივ ყველგან უტიფრობა გამეფებულა.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
ბოროტს იქმან და კმაყოფილი არიან ამით,
ხოლო სიკეთეს ფეხქვეშ თელავენ.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
ის, ვისი ქცევაც აღშფოთებას უნდა იწვევდეს,
ბოროტი ქცევით სიცილს ჰგვრის ყველას.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
ყაჩაღობა მთავარ საქმედ გადაქცეულა,
ამხანაგი ამხანაგს ძარცვავს.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
ბოროტმოქმედს ენდობა ყველა,
ძმა კი, ყოველდღე რომ ხედავენ, მტრად მიაჩნიათ.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
ძველი სიკეთე არავის ახსოვს,
არ ეხმარება იგი იმას, ვინც მას ერთ დროს ეხმარებოდა.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?

ძმები ბოროტს გადაუძალავს,
ცდილობენ ვინმე უცხოს ნდობა დაიმსახურონ.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
ცარიელი სახე აქვს ყველას,
საკუთარ ძმას ყველა ზურგს აქცევს.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
ყოველი გული უძღებია,
არავინაა, ვისი გულიც შეიძლება ნდობას იწვევდეს.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
აღარ არსებობს სამართალი,
ქვეყანა კი სამართავად დარჩენიათ ბოროტმოქმედებს.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
აღარავინ ენდობა მოყვასს,
უცხოს მიმართავს საჩივრით ყველა.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
უკვე არავის უხარია,
არავინ არის ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგომი.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
ნაკლული ნდობა –
აი, ჩემი სადარდებელი.

ვის გავანდო ამ ჩვენს დროში გულისნადები?
სიყალბეა ჩემი ქვეყნის ბატონ-პატრონი,
ამ სიყალბეს ბოლო არ უჩანს.

III

დღეს სიკვდილია ჩემი სტუმარი,
როგორც ტანჯულის სულისმოთქმა,
როგორც მძიმე ავადმყოფის გამოკეთება.

დღეს სიკვდილია ჩემი სტუმარი,
როგორც მურის ნელსურნელება,

როგორც საამო ქარით მონაბერ ჩეროში ჯდომა.

დღეს სიკვდილია ჩემი სტუმარი,
როგორც ლოტოსის სურნელება,
როგორც სიმთვრალის ნაპირთან ჯდომა.

დღეს სიკვდილია ჩემი სტუმარი,
როგორც ბილიკი გაკვალული,
დამთავრებული ომის მერე როგორც მებრძოლის შინდაბრუნება.

დღეს სიკვდილია ჩემი სტუმარი,
როგორც ზეცის გადაკარება,
როგორც იმის აღმოჩენა, რაც მანამდე უცნობი იყო.
დღეს სიკვდილია ჩემი სტუმარი,
როგორც სახლის მონატრება იმ კაცის მიერ,
მრავალი ნელი საპყრობილეში რომელმაც დაჰყო.

IV

ჭეშმარიტად, ის გახდება ცოცხალი ღმერთი,
ვინც უკეთური საქმეებისთვის ბოროტმოქმედს სასჯელს მიუზღავს.

ჭეშმარიტად, ის ჩადგება მზის კარჭაპში,
მზისგან ნაბოძებს ვინც ტაძრებისთვის არ დაინანებს.

ჭეშმარიტად, ბრძენი გახდება,
ვისაც ვერავინ დააბრკოლებს, რე-ს შესთხოვდეს, როცა მეტყველებს.

კოლოფონი: ყველაფერი ისეა, დასაწყისიდან დასასრულამდე, როგორც აქ ნერია.

ძია ი

ოდა ბუსადმი

როცა ი ჩანშას მთავრის მოძღვარი იყო, მესამე წელს მის საცხოვრისში ბუები შეფრინდნენ და იქვე ჩამოსხდნენ. ხოლო ბუ კეთილის მაუწყებელი ფრინველი როდია. ი რომ ჩანშაში საცხოვრებლად იქნა გამწესებული, ეს მხარე ნესტიან და უბადრუკ ადგილს წარმოადგენდა. ი მოთქვამდა და მწუხარებდა, ფიქრობდა, - დიდხანს ვერ გავატან ცოცხალიო, და ეს ოდა შექმნა, რათა მისდამი დიდსულოვნება გამოეჩინათ. აი, ასე ითქვა ეს ოდა:

შანიეს წელიწადს[1],
მეოთხე თვეს, ზაფხული რომ ძალას იკრებდა,
გენ-ძის დღის დამლევს,
ჩემს საცხოვრისში შემოფრინდნენ ბუები და
შორიახლოს ჩამომისხდნენ,
აუმღვრეველი და გულგრილი სახე-იერით...
გაგიკვირდება, თავისთავად, რაა მიზეზი,
უჩვეულო არსებანი მრავლად როცა გამოჩნდებიან;
გამოსაცნობად წიგნი მოვჩხრიკე,
და ნიგნმა რიცხეი მიმითითა,
ხოლო რიცხვქვეშ წინასწარმეტყველება ამგვარად ჟღერდა:
"სახლიდან, სადაც უცხო ფრინველი შეფრინდება,
პატრონი წავა!"
"ნება მომეცი, გკითხო, ბუო,
რა მიზეზით წავალ სახლიდან?
იქნებ, კეთილი მიზეზით წავალ?
და თუ მიზეზი გლოვისაა, თქვი – რაშია უბედურება.
მცირე იქნება, თუ – ხანგრძლივი, მოლოდინი –
დრო მიმითითე!"

ამოიხვნეშებს ბუ მწუხარედ,
თავს ამართავს, ფრთებს გაისწორებს...
“თუ შენი ბაგე უმწეოა სიტყვის სათქმელად,
გულის ფარული სიღრმეებით[2], გთხოვ, მიპასუხო!“
"ცვლილებათა და გარდასახვათა განმცდელია ნივთთა სიბნელე,
არ უწყიან მათ სიმშვიდე და მოსვენება.
მორევის მსგავსად მოძრაობენ:
მოძრაობა ვინაც დაიწყო – უკუიქცევა.
ცი[3] და ხილული ფორმები ერთურთს ენაცვლებიან,
სნორედ ისე, ჭრიჭინას მატლი ჭუპრისგან რომ თავისუფლდება.
სიტყვა კაცისა უძლურია, რათა გამოთქვას
ამ ყველაფრის უსაზღვრობა და სიღრმე და იდუმალება!
ო, უბედურებანი! მათზეა დაშენებული ბედნიერება!
ო, ბედნიერება! მათ უკან იმალვიან უბედურებანი!
სიხარულნი და მწუხარებანი ერთ ჭიშკართან მოგროვდებიან,
სიკეთე და ბოროტება ერთსა და იმავ ადგილებში დასახლდებიან.
უს სამეფო ხომ დიადი და უძლეველი სამეფო იყო,
ხოლო ფუ-ჩამ მარცხი იწვნია;
ოდენ გუიძის მეფე იყო იუე, ხოლო
გოუ ძიანი მბრძანებელი გახდა ქვეყნისა[4];
წარმატება მოუპოვა ლი სის ხეტებამ,
აღესრულა კი ხუთი სასჯელით[5];
ფუ იუე, კატორღელი რომელიც იყო,
კანცლერი გახდა მერმე უ-დინის! [6]
ვით გაიმიჯნოს ერთ ჩალიჩად განასკვული
ეგე ძაფები სიხარულის და მწუხარების?
არ მოხერხდება ბედის წინასწარმეტყველება –
უცნობია მისი საზღვარი!
ჩქარადმავალი თუა წყალი – გვალვა იქნება,[7]
ხოლო ისრები თუა სწრაფი – შორს მიფრინავენ!
ერთი ნივთის ბნელი სხვა ნივთს აღავსებს ბნელით,
აფხიზლებს და გაესიტყვება, საპასუხო წრებრუნვით ივლის.
ანაორთქლი რომ ღრუბლებისკენ ასწრაფდება – წვიმა იქნება;
ერთურთითაა ყოველივე კაეშირდებული, ერთმანეთში ჩაწნულა და
გადანასკვულა.
ნივთებს განფანტავს თუნის დიდი წრე[8] –
მას საზღვრები არ გააჩნია.
ვერავინ შეძლოს გონებით ცის საცნაურყოფა,
ვერავინ შეძლოს ჩვენს ზრახვებში დაოს მოხილვა.[9]
განა ვინ უწყის თავისი ვადა?

ეს ჟამი მალე დადგება თუ დადგება გვიან – ამას ბედი განაპირობებს".
მაშ ასე, ცა და დედამინა – სადნობია ეგე ღუმელი;
შენება და გარდასახვანი – აი, მდნობელი;
აი, მისი ქვანახშირი – ინი, იანი; [10]
მირიადი ნივთი – მათ მიერ გამოდნობილი, აი, ბრინჯაო.
შეერთება და მიმოფანტვა, გაქრობა და კვალად სიმშვიდე...
განა არის რამე უცვლელი?
მირიადი გარდასახვა, ათასობით ცვალებადობა –
მათი ბოლო არვის უნახავს!
უკითხავად და მოულოდნელად გაჩენილხარ ადამიანად –
და ღირს განა, მას მიეტმასნო?
სხვა ნივთადაც რომ გადაიქცე –
ამის გამო ღირს განა გლოვა?
მცირედი სიბრძნე თავკერძია,
მხოლოდ საკუთარ "მე"-ს დარაჯობს, სძულს დანარჩენი,
ხოლო იმათთვის, ვინც არს სწვდება და დიადს განჭვრეტს,
ნივთთა შორის არ არსებობს რამე უღირსი.
კაცი ღატაკი – სიმდიდრისთვის მისცემს სიცოცხლეს,
მამაცი და გულოვანი – სახელისათვის,
ხოლო დიდების მოყვარული ძალაუფლების დასაპყრობად თავს არ
დაზოგავს,
ჩვეულებრივი ადამიანი სიცოცხლის მეტს არაფერს ნატრობს.
იძულებათა, ცდუნებათა მრავალი მონა
ხან ამას და ხანაც იმას დასწაფებია,
მაგრამ ოდენ დიდი კაცნი არასოდეს იკარგებიან:
მათთვის ტოლი და ერთგვარია ეს ურიცხვი ცვალებადობა.
ბრიყვნი დაბმულან ჩვეულებებით,
მათით შეკრულნი, ბორკილდადებულ კატორღელებს დამსგავსებიან...
დაოს ღირსი და თანასწორი
სრულყოფილი კაცია მხოლოდ, უკუმგდები ყოველი ნივთის.
სხვა ყველა ტყეეა შეცდომათა,
მათი მკერდი სიკეთეს და ბოროტებას გადაუძალავს –
ჭეშმარიტების მსახურია, ერთადერთი, გულმშვიდი და აუმღერეველი,
დაოს რიტმით მხოლოდ ის სუნთქავს.
ხილულ ფორმათა უარმყოფელი, სიბრძნის გზისგან თავდაღწეული,
საკუთარი თავისადმი სიბრალულის გადამლახავი,
ცარიელი და უსაზღვროა, და – ბუნდოვან-გაურკვეველი, როგორც სიზმარი.
დინებით მსწრაფი,
იგი სრბოლას წყვეტს,
როცა მყარს იგრძნობს.

იგი, ოდენ ბედს მინდობილი, თავისუფლებას ანიჭებს სხეულს
და არ თვლის თავის საკუთრებად,
სიცოცხლე მისთვის მინდობაა ტალღათა ნებას,
სიკვდილი მისთვის თავშესაფრის მოპოვებაა.
მსგავსად უღრმესი თავწყაროსი, მშვიდია იგი;
მინებებულა იგი ტალღებს, როგორც ნავი უმეთვალყურო;
სწორედ ამიტომ, თავის სიცოცხლეს არ თვლის ოდენ თავის სიმდიდრედ,
თავის თავში მზრდელია იგი დინებისადმი მორჩილების, სიცარიელის.
არაფერი ამძიმებს დეს[11] კაცს,
მან იცის ბედი და არ მწუხარებს...
მაშ, განა რად ღირს ეჭვებს აყოლა,
როცა საბაბი ისეთივე უბრალოა, როგორც მდოგვის ერთი მარცვალი?!

გოძან ბუნგაკუს პოეზია

მინკი სოსიუნი (1262-1336)

მთის სავანე

მარტოსულ ქოხში მარტოსული განდეგილი დავმკვიდრებულვარ.
სახლაკს, ლელქაშით გადახურულს, იისფერი კვამლი დარაჯობს.
მიმდებარე ხეობაში თაენყაროა, დასარწყულებლად რომელსაც ვსტუმრობ.
ბამბუკის სხლტის გაყოლებით ფიჩხს ვაგროვებ, რათა ჩაი ნამოვადულო.
შავ მაიმუნს შვილი გულში ჩაუკრავს და ქადაგებას მიაყურადებს,
ლურჯი ირემი მეგობრებს უხმობს, მუხლმოყრილი უწვდის ყვავილებს.
ქვეყნიურ მტვერში ამოვლებულნო, მე თქვენ მოგმართავთ!
ნაკადულის უბრალო ნყალზე უკეთესი რა უნდა ჰპოვოთ?

* * *

მოულოდნელად მოვარდა ნვიმა, გამილუმპა სულმთლად სამოსი.
არგანი სხლტება ნანნალაზე; ვცდილობ ფეხი გავიმაგრო, რომ არ წავიქცე.
ვისი სახლის გალერეაში ვემალები შემოდგომის ქარს?
აქვე: ბანანის მწირი ფოთლები – განუბეჭდავ წერილთა გროვა.

რიუსიუ სიუტაკუ (1307-1388)

ღამით გზადყოფნისას

ვის ყურს ჩაესმის დღენიადაგ ზარების რეკვა?

მგზავრს ესიზმრება: ორმოცი წელი გაილია, ვიდრე ფეტვი იხარშებოდა.[1]
ვდგები, კვლავ ვჯდები... ფიჭვები – სარკმლის ცხაურის მიღმა... ჩემივე „მე"
გადამავიწყდა...
იბადებიან მნვერვალებზე ღრუბლები და ცის გზაზე მთვარე მშვიდად
მიცურავს.

კოკენ მიოკაი (XIV ს.)

ავადობისას ჩაწერილი ფიქრები

მაღლა, თეთრ კედელს დამტვრეული სანდლები ამკობს.
გათენდა და გადახსნილი ყვავილები გაზაფხულის თოვლით მორთულან.
ჩინეთში მთელი ოცი წელი ვეძიებდი ჭეშმარიტებას
და აი, ახლა, მოულოდნელად, ჩემი სამშობლოს მთის სენაკში *გამოვიღვიძე*.

გეცუგენ ენსი (1283-1364)

სოძუ სოანის სავანე

ველური წერო და კენტი ღრუბელი არ ტოვებენ ცაში ნაკვალევს.
მეც სწორედ ასე, ამ ამაო წუთისოფელში არც ერთ ადგილს არ ვეჯაჭვები.
ხეები კლდის წინ შირმასავით გამწკრივებულან.
მთათა თხემები დახატულივით მაღლდებიან შორი ცისაკენ.
წყაროს წყალივით სუფთაა ძენით წყალუხვი გული;
ჩემი მყიფე, ბებრული ძვლები... გალეული, მოვგავარ ნაფოტს.
ვის შეუძლია, ათასი წელი არ კარგავდეს პატივს, დიდებას?
ასი წელიც რომ იცოცხლო, სულერთია, ყველაფერი ზღვარდებულია.

ძეკაი ტიუსინი (1336-1405)

ციკლიდან „მთის სავანე"

* * *

დასაბამითვე რთულია გზები კაცთა სოფელში:
იშვიათად თუ მოიპოვებ მალულ ადგილს, ლურჯ მთებს თავი რომ შეაფარო.
უბრალო ყოფა: ერთმანეთში აირია ტყისმჭრელთა და მეთევზეთა
ნაკვალევები.
და – არსებითი: თუ როგორ არის ეს სამყარო მოწყობილი, ირმებს შორის
გადამავიწყდა.
შორეული ხეობიდან გადმოვრგე ფიჭვი; მწუხრი რომ დგება, მის სიმწვანეს
მივჩერებივარ.
აი, წყალს ვხაპავ ციცქნა ტბიდან, მიყვარს მისი ნელი რაკრაკი,
დუნლინსის[2] სასაკმევლის სურნელი... ვოჯოუს მთიდან მოსული წერო...
ვინ გაბედავს – ამ მარტოსულ ნაკვალევებს და მაღალ ქარს აჰყვეს?

* * *

მთის მონასტერი უთვალავ თხემს შემოურკალავს.
ქვეყანასთან მისი კავშირი თვით ბუნებას გაუწყვეტია.
ზამბახებით მიმოფარულ სიპებს შორის მორაკრაკებს ცივი ნაკადი.
თავებს არწევენ იასამნის ყვავილები, ნიავი რომ წამოუქროლებს.
წავი თევზს იჭერს ნაკადულში, ლამაზად აწყობს მწვანე ფოთლებზე.
დედალ მწყერს თეთრი ღრუბლებისკენ მიჰყავს შვილები.
ყველგან მთებია. მსგავს ადგილს განა სად ნახავს თვალი?
ასეთი მხოლოდ პენლაის მთაა[3], აღმოსავლეთში, ზურმუხტისფერ ზღვის
საუფლოში.

ძველი ტაძარი

ძველ ტაძარში შესასვლელი ველარ მოვნახე:
გლიცინიებს და ვაზის ფოთლებს საიმედოდ გადაუმალავთ.
სახურავიდან ჩამოიფანტა ფოთოლი, წვიმით ჩამორეცხილი;
ეს ველური ფრინველები ჩემთვის მღერიან.
ბუდდას საყრდენი უკვე ბალახს გადაუფარავს,
შენირული ოქროც გასცლია.

არ იკითხება თარიღები საფლავის ქვაზე:
„ტან" თუ – „სუნ"? – ამის ამოცნობა ძნელი იქნება.

ძიაკუსიცუ გენკო (1290-1367)

მთის სავანე

არც დიდებას და არც სარგებელს მე არ დავეძებ, არც სიღარიბე
მეუცხოება.
ამსოფლიურ მტვერს განრიდებული, ღრმად მთებში, მყუდრო გარემოში
ვცხოვრობ უჩინრად.
ნელინადები მიიწურნენ... ცივი ამინდი... ვინ მეგულება ახლა მეგობრად?..
მთვარე ანათებს ქლიავის ყვავილს, მთელი ტოტი ხელახლა იშვა.

გაზაფხულის დღეს მთებში დავეხეტები

თავზე ვერცხლისფერ ძაფებად მაქვს მეჩხერი თმა მიმოხვეული.
არ ვიცი: შევძლებ, შევეგებო მორიგ გაზაფხულს?
ბამბუკის არგნით, ჩალის სანდლებით... იმდენი რამ იზიდავს ჩემს თვალს...
ყველა ტოტზე მთის ალუბლის ყვავილებს ვხედავ.

რიუსიუ სიუტაკუ (1307-1388)

* * *

ფიჩხის საყიდლად ფული არ მაქვს:
გასაყიდად ვაგროვებ ფოთოლს.
ფოთოლ-ფოთოლ – ბღუჯა-ბღუჯა... მატულობს ფული,
და ულამაზეს წითელ ფარჩად მიმოფენილა.
ჩემს თავს კი ვკიცხავ: აქეთ ფეხის გათბობა მინდა,
იქით – რომ სევდით აღსავსე გული სიხარულმა ამიციაგოს.

შინ დავბრუნდები, მივუჯდები მეგობარ კერას,
მივაყურადებ წვიმას, პარმაღზე წვეთ-წვეთად მოსულს.

რიუსენ რეისაი (?-1365)

* * *

ვიხსენებ იმ დროს, მეგობრები როცა მსტუმრობდნენ.
რამდენი დანთქა უკვე მიწამ, ჩემი ხვედრი კი სიმარტოვეში ლპობა ყოფილა.
ყველაფერი, რაც მიყვარდა, დარჩება ქვებზე, ხეების ჩრდილში.
როცა მოვკვდები, გულდარდიანად ჩემს რომელ შეგირდს მოვაგონდები?

ტიუგან ენგეცუ (1300-1375)

ვფიქრობ ცინლინის გარდასულ დღეებზე

კაცნი უწყვეტად ტოვებენ მიწას, დედამიწა კი ჯერ არ აღგვილა.
„ექვსი დინასტია"[4] უკვალოდ გაქრა, მაგრამ მთები და მდინარეები არსად წასულან.
ძველ სასახლეთა ნანგრევები მოვაჭრეთა და მეთევზეთა სადგომად არის გადაქცეული.
იასპის ტყე რომ ჰანგებს ინახავს, ეს მხოლოდ მწყემსთა და ტყისმჭრელთა სიმღერებია.
ამოუსიათ ხეობები საავდრო ღრუბლებს, მონდომებით თავს იყრის წვიმა.
ციანში ქარი უკვე მინელდა, მაგრამ ტალღები კვლავ ყალყზე დგანან.
ლამაზმანები გარდასულ დღეთა – სად არიან ახლა ისინი?
ამ სივრცეებში შორიდან მოსულს საფიქრალიც ბევრი აქვს და ბევრი აქვს სევდაც.

იკიუ სოძიუნი (1394-1481)

* * *

ერთმა ხანძარმა ვაკედ აქცია სიანიანი.[5]
ოქროს ზღაპრული სასახლეები, უძვირფასესი ქვებით შემკული კარიბჭეები
ნანგრევების გროვად ქცეულა. დღე ჩამოდნა და დაემსგავსა შემოდგომის
დღეს.
გაზაფხულის ქარი ქრის, მაგრამ ატმები და ქლიავები სიბნელეში იძირებიან.

კოკან სირენი (1277-1346)

გაზაფხული

მთებს მხურვალე მზე ეღვრება და თბილი ქარი ევლება თავზე.
ხავსიც, ლიქენიც ეზოს ფარდაგს უხალისო ფერებით რთავენ.
ვხედავ, ალუბლის ყვავილები ჩუმი ღიმილით შემომცქერიან.
გალობს ბულბული, არავისგან იღებს ნებართვას.
გაზაფხულის სევდას მიწურში ვემალები, სალამურით გულმოცემული.
ნასადილევზე ჩამთვლიმა და რომ გამეღვიძა, ჩაიდანი შემოვდგი ცეცხლზე.
და ამ სევდიან სურათს თითქოს ვერც კი ამჩნევენ,
მერცხლებს ნისკარტი სავსე აქვთ მიწით, ბუდეების აშენებას ეშურებიან.

შემოდგომის დღეს ვსეირნობ ველად

მეჩხერი ნყალი, რბილი ქვიშა, იქვე – ბილიკი, ირიბად რომ დაქანებულა.
სართავი ჯარას ხმას მოჰგავს ის ხმა, ტყიდან რომ აღწევს – ვხედავ
საცხოვრისს.
ყვითელ-ყვითელ ღრუბლებს შორის აკვამლულან თეთრი ტალღები:
ბრინჯის ყანის გასწვრივ რომ ჰყვავის, ნიწიბურაა.

წვიმა

ხშირად მსმენოდა სიაგაცუს[6] უგრძნობელობა,
არადა „ექვს ცას"[7] სულ სხვადასხვა წვიმას უგზავნის.
და აი, ახლა საკუთარი თვალით ვიხილე:
წყალს ნრიულად, ხოლო ლოტოსს მარგალიტად მოევლინება.

სესონ იუბაი (1290-1346)

მეშვიდე მთვარის პირველი დღე შემოდგომის დასაწყისში

მეც, ყველას მსგავსად, მხოლოდ მგზავრი ვარ ამ სამყაროს ციცქნა
კუნჭულში.
შიშით დავითმენ თვეების და წელიწადების სწრაფწარმაელობას.
უტუნის ირგელივ ფოთლები რომ მიმოფანტულან, შემოდგომას იუწყებიან.
ქარს მოაქვს ლემნა, დამშვიდობების ნიშნად მჩუქნის ამ თბილ საჩუქარს.
რასაც მინშანის თხემებზე ვხედავ, ცივი თეთრი თოვლია და სხვა არაფერი.
ხოლო მდინარე ვენძიანზე ჯერაც ისევ მშვიდია წყალი.
სად მივაბა ჩემი ნავი, ჭრიჭინების სიმღერას რომ დავუგდო ყური?
მთაზე მოლურჯო კოშკი დგას და მიმწუხრის ცას შეკიდებია.

ტიუძიო ძიოსინი (XV ს.)

შემოდგომური ფიქრები

შემოდგომური სიგრილეა, მაგრამ მაინც კეთილად მძინავს.
არე-მიდამოს ხეები და ბალახები კვლავ მაღელვებენ.
ფერი წაერთვათ ბანანის ფოთლებს, მთლად ჩამოცვივდნენ, უტუნებიც
დაბერებულან.
ყოველ ღამით ვაყურადებ ქარის ხმას და წვიმის წკაპა-წკუპს.

კეიძიო სიურინი (1439-1518)

არ მაქვს ქაღალდი სარკმლის შესაკეთებლად

სარკმლებზე სულმთლად გაილია უკვე ქაღალდი.
შევაკეთებდი, მაგრამ ქაღალდის ნაგლეჯიც არ მაქვს.
სატუშეც კი დამისველა მოსულმა წვიმამ.
ქარმა დაჰბერა – სანათური ისევ ჩამიქრო.

გიდო სიუსინი (1326-1389)

ვუცქერ ყვავილებს და ნარსულს ვიხსენებ

აბურდული ძენძის მსგავსია საქმეები ამ ამაო წუთისოფელში:
ნარსულზე ვდარდობ, აწმყოზე ვწუხვარ – ჩემი გული სევდას მოუცავს.
თავი ნავართვი გაზაფხულის ძილს, მაგრამ სტუმარი არა და არ ჩანს.
შემოეკლილ არღავნის ხეს მიმწუხრზე სახლის კარნიზებიდან ეცემა წვიმა.

იტიუ ცუძიო (1348-1429)

შეთხზულია მიმწუხრის წვიმის დროს, ხიდთან

გადაუღებლად წვიმს და წვიმს ხიდთან.
ბინდდება, მაგრამ მიმწუხრის დრო ჯერ არ დამდგარა.
ჩალის ლაბადა მოუსხამს და დაბნეული დგას მეთევზე ტბასთან.
მდინარის გაღმა მონასტერია, საიდანაც ზარის ხმა ისმის.
მწუხარების და სიწყნარის დროა: სამყურები – ამ წყნარ ბინდბუნდში.
შორს კი წყლის ბრინჯის შემოდგომურ ყვავილებს ვხედავ.
მშვენიერია წყლის კამკამა ნაკადი და არც ისე ღრმაა.
ქვიშის ბატი მშვიდად მიცურავს.

ჭირის სიმღერა

მიშველე, ღმერთო, შენ მიშველე
ამ გასაჭირში!
კარს მომდგომია
სიკვდილი, ვფიქრობ;
შენ დამიფარე მისგან, ქრისტე,
მისმა მძლეველმა.
მე შენ მოგიხმობ.
თუკი შენი ნება იქნება,
მტყორცნე ისარი,
მე რომ მნამლავს და
სიმშვიდეს და მოსვენებას არ მაღირსებს
თუნდ ერთი წამით.

თუკი მაინც გსურს
ჩემი ყოფის
შუაგულში მომკლა,
სიამოვნებით დაგთამხმდები.
ჰქმენ, როგორც გნებავს:
არას მივიჩნევ მოჭარბებულს ჩემს დასასჯელად.
მე ხომ შენს ხელში ჭურჭელი ვარ,
კვლავ შექმენი და ან სულაც დალეწე იგი.
და თუ შენ
ჩემს სულს ამ ქვეყანას გაარიდებ –
მხოლოდ იმიტომ, რომ უმეტეს არ გაბოროტდეს
ან მდინარება წესიერი ცხოვრებისა
არ შეურყვნას ადამიანებს.

შენ შემენიე, დიდო ღმერთო, შენ შემენიე!

ავადმყოფობა ძლიერდება;
ჩემს სულს და ჩემს ხორცს
ტკივილი და შეჭირვება დაუფლებია.
მეოხო ჩემო ერთადერთო,
ამიტომაც მოდი წყალობით,
ბორკილებისგან უთუოდ რომ ათავისუფლებს
ყველას, ვინც
თავის გულითად თხოვნას
და თავის იმედს
შენზე ამყარებს, და ამიტომაც
ვინც ერთნაირად ეგებება
მოგებასაც და წაგებასაც ამ ცხოვრებაში.

აი, უკვე დასასრულიც მომიახლოვდა.
დუმს ჩემი ენა,
ერთი სიტყვის ამოთქმასაც ველარ ახერხებს;
ჩემი გრძნობებიც დაშრეტილან,
ამიტომ დროა,
ამიერიდან შენ წარმართო
ჩემი რკინება,
რაკილა არ ვარ
ისე ძლიერი, რომ
ჩემი საქმით
წინ აღვუდგე
ეშმაკის ხლართებს და კადნიერ მის შემოტევებს.
და მაინც, ყველა შეჭირვების მიუხედავად,
ჩემი სული სამუდამოდ შენ გიერთგულებს.

განმკურნე, დიდო ღმერთო, განმკურნე!
მეჩვენება, ვუბრუნდები
მე ჩემს სიწმინდეს.
დიახ, თუ ხედავ,
რომ ცოდვის ცეცხლი
ველარ იქნება უკვე ქვეყნად ჩემი ბატონი,
დე, ჩემმა ბაგემ
შენი ქება და ქადაგება
იმაზე მეტად განადიდოს,
ადიდებდა ვიდრე ოდესმე,
როგორც ეს მუდამ შეიძლება,
უბრალოდ და ყოველგვარი ხრიკის გარეშე.

თუმცა,
მომინევს ერთხელ წვნევა
სიკვდილით დასჯის.

როგორც ჩანს, ტანჯვა უფრო დიდი იქნება ჩემზე,
ვიდრე – ეს დღეს რომ
მომხდარიყო; მირჩევნია, მოვკვდე მე მერე,
რაკიღა უკვე უამოსოდაც
თითქმის მკვდარი ვარ –
ამიტომაც მსურს
დაბრკოლება და ძალადობა
ამ სამყაროში
შემდგომ მიგების წინაშე შიშის თვინიერ რომ დავითმინო,
შენი შენევნით,
ვის გარეშეც არაფერია შემძლებელი, სრულქმნილად იქცეს.

ანდრე ბრეტონი

სიფხიზლე

პარიზში წმინდა იაკობის კოშკი რომელიც მზესუმზირასავით ირწევა
კენწეროთი იშვიათად ეხება სენას და კოშკის ჩრდილი შეუმჩნეველად
ლივლივებს ბარჟებს შორის
ამ წუთას ძილში თითის წვერებზე
დავდივარ ოთახში სადაც ვნევარ გაშხლართული
და მას ცეცხლს ვუკიდებ
რათა არაფერი დარჩეს თანხმობიდან რომელიც გამომგლიჯეს
ავეჯი ადგილს უთმობს თავისავე ზომის ცხოველებს
რომლებიც ძმურად იყურებიან
ლომებს რომელთა ფაფრები ბურბუშელებად ჩამწვარან
ზვიგენებს რომელთა თეთრი მუცელი იზიდავს თავისკენ ზენრების
უკანასკნელ ცახცახს
სიყვარულის და ლურჯი ქუთუთოების ჟამს
ვხედავ ჩემის მხრივ როგორ ვწვავ სიცარიელის
სადღესასწაულო სათავსოს
რაც ჩემი ტანი იყო
ცეცხლის მოთმინებისუნარიან იბისთა მიერ განწებებული
როცა ყველაფერი აღსრულდა მე უჩინარი შევდივარ კიდობანში
არ ვუფრთხი სიცოცხლის გამვლელებს მოჟღარუნეებს შორს თავიანთი
ზანტი ნაბიჯებით
წვიმის კუნელს მილმა ეხედავ მზის ბიბილოს
მესმის უზარმაზარი ფოთლებივით იფხრიწებიან ადამიანური ჩვრები
ერთმანეთის წამქეზებელთა არსებობისა და არარსებობის კლანჭებში
ყველა ხელობა განიმქრევა და მხოლოდ სურნელოვან მაქმანებს ტოვებს
მაქმანოვან ნაჭუჭს უზადო ფორმის ქალის მკერდის მსგავსს
მე მხოლოდ ნივთების გულს ვეხები მე ძაფი მიჭირავს.

* * *

შენს ადგილზე მე არ ვენდობოდი ჩალის რაინდს
ანჟელიკას მხსნელი სიფათის მსგავს ამ ტიპს
შენს თმაში ანფილადებად დაქსაქსული
მეტროს ხახების ლაიტმოტივი
ესაა მომხიბლავი ლილიპუტური ჰალუცინაცია
მაგრამ ჩალის რაინდი ყალის რაინდი
თავისი ცხენის გავაზე გსვამს და თქვენ შექანდებით მაღალ ხეივანში
ალვებისა
რომელთა პირველი დაკარგული ფოთლები კარაქად ცვივიან ქარის პურის
ვარდისფერ ნაჭრებზე
მე ქედს ვიხრი ამ ფოთლების წინაშე მსგავსად
მაღალხარისხოვნად დამოუკიდებელი იმ ყოველივესი რაც შენშია
მათი გაფითრებული წონასწორობა
დაწყებული იებით
სწორედ ის აუცილებელია რათა შენი ტანის ყველაზე უნაზეს ნაკეცებში
ამოვიდეს მთავარი მოუხელთებელი ეპისტოლე
ბოთლიდან რომელსაც დიდხანს ინახავდა ზღვა
და მე თაყვანს ვცემ როცა ისინი როგორც თეთრი მამლის ბუმბული
გაცოფებით მჭიდროვდებიან ძალადობის სასახლის ტერასზე
იმ შუქზე რომელიც შემზარავი გახდა სადაც უკვე საუბარი აღარაა
ცხოვრებაზე
მოჯადოებულ ტევრში
სადაც მონადირე თოფს კონდახით იმაგრებს მხარზე და უმიზნებს ხოხობს
ეს დანაიას მონეტის ფოთლებია
როცა მე საშუალება მეძლევა ისე მოგიახლოვდე რომ შენ აღარ ჩანხარ
შევკვეცო შენში ეს გამოცარიელებული ყვითელი საყრდენი
შენი თვალის ყველაზე უფრო მბრწყინავი ნერტილი
სადაც ხეები ფრინავენ
სადაც შენობები იწყებენ ცახცახს სულელური მცდელობის სიხარულით
სადაც საცირკო სანახაობები იცვლება ქუჩის ცოფიანი სიხარულით
დათმენა
შორს ორი სამი სილუეტი მოწყვეტილა
ახლობელთა ნრის თაეზე პარლამენტარის დროშა იმსხვრევა

მზესუმზირა

პიერ რევერდის

მოგზაური ქალი რომელმაც ცენტრალური ბაზარი გადაჭრა
ხანდაზმულობაში
თითის წვერებზე მიდიოდა
უიმედობა ცაზე თავის დიად და ესოდენ მშვენიერ არუმებს მიაგორებდა
და ხელჩანთაში ინახებოდა ჩემი ოცნება ეს ფლაკონი საყნოს მარილთა
რომელთაც ისუნთქავდა ოდენ უფალი ღმერთის ნათლიდედა
გაშეშებანი იშლებოდნენ მსგავსად ორთქლისა
მხრჩოლავ ძაღლის თანავარსკვლავედთან შესახვედრად
ვერ იქნებოდა მათ მიერ დანახული თუ არა ბოროტად და ალმაცერად
ყმაწვილქალი
ვისთან ჩემი შეხვედრაც სიფიცხის ელჩთან
ან შავ ფსკერზე თეთრ სიმრუდესთან აზრად წოდებულთან
სწორედ რომ მაშინ როცა უდანაშაულოთა მეჯლისი ხურდა
ფარნები ნელ-ნელა ინთებოდნენ ნაბლის ხეებზე
როცა უჩრდილო ქალმა მუხლი მოიყარა ცვალებადობის ხიდზე
აქ-ცხოვრობს-გულის ქუჩაზე არა სწორედ იგივე ბგერები
ბოლოსდაბოლოს აღსრულდნენ ღამეთა დანაპირებნი
მოხეტიალე მტრედები დახმარების კოცნები
მშვენიერ უცნობ ქალს ჩამოეღვენთნენ
წუნდაუდებელ საზრისთა კრეპქვეშ შუბებად მოქანავე ძუძუებზე
ფერმა განცხრომას ეძლეოდა პირდაპირ პარიზის ცენტრში
და მისი ფანჯრები ირმის ნახტომს უყურებდნენ
მაგრამ ჯერ არავინ ცხოვრობდა მასში მოულოდნელ სტუმართა
მოჩვენებებზე უფრო დიდი ერთგულებით ცნობილ გადამთიელთა გამო
მათგან ზოგიერთი როგორც ეს ქალი თითქოს დაცურავსო
და სიყვარულში აღნევს მათი არსის ნვეთი
ისინი მას თავიანთ თავში იღებენ
მე არა ვარ სათამაშო არანაირი მგრძნობიარე ძალის
და მაინც ჭრიჭინამ რომელიც ფერფლის თმაში მღეროდა
ერთხელ საღამოს ეტიენ მარსელის ქანდაკების ახლოს
გაგებით სავსე მზერა მტყორცნა
და თქვა ანდრე ბრეტონი მოდის

* * *

1934 წლის მშვენიერ შუადღეს
ჰაერი შენი სიწითლისფერი ვარდი იყო
და ტყე როცა მე მასში შესვლა გადავწყვიტე
დაიწყო სიგარეტის ქაღალდის ფოთლებიანი ხით
ვინაიდან მე შენ გელოდი
და ამიტომ როცა ჩვენ ერთად დავეხეტებით
სულერთია სად
შენი ბაგეები ემალად შავდება
მათგან განუწყვეტლივ მოცურავს ლურჯი ბორბალი დაშლილი და
დამსხვრეული და მიფრინავს
ლიანდში ფითრი
ყველა ხიბლმა იჩქარა ჩემთან შესახვედრად
ციყვი მოვიდა თეთრი მუცლით ჩემს გულში ჩასაკრობად
არ ეიცი როგორ მიემაგრა
მაგრამ მინა სავსე იყო იმაზე უფრო ღრმა ანარეკლებით ვიდრე წყლის
ანარეკლებია
ბოლოსდაბოლოს ლითონის მსგავსად შეიბერტყა ქოჩორი
და შენ ძვირფასი თვლების საშინელ ზღვაზე მნოლიარე
შენ ტრიალებდი
შიშველი
ფოიერვერკის უზარმაზარი მზის ქვეშ
მე ვხედავდი შენს ნელ დაღმასელას ერთუჯრედიანებიდან
სადაც ზღვის ზღარბის ოვალურობა მოიპოვებოდა
გთხოვ მაპატიო მე იქ უკვე აღარ ვიყავი
მე თავი ავწიე რამეთუ თეთრი ხავერდის ცოცხალმა ყუთმა დამტოვა
და დამამწუხრა
ცა ფოთლებს შორის ბრწყინავდა ნემსიყლაპიასებრი სიმკვეთრით და
სიმტკიცით
როცა ტყის სარქველნი სწრაფად განიხვნენ და დაინგრნენ
უჩუმრად
თითქოს უზარმაზარი შროშნის ორი მთავარი ფურცელი
ყვავილისა რომლის ძალებში თავისი თავითაა მოცული ღამე
მე ვიყავი სადაც შენ მხედავ
სურნელებაში მოწკრიალეში ყველა ზანზალაკით
ვიდრე ისინი მოვიდოდნენ ყოველდღიურობად ცვალებად ცხოვრებასთან
მე მოვასწარი ბაგეებით ემთხვეოდი
შენი თეძოების შუშას

რამდენიმე სამაგრი

გლეხებით მჭიდროდ დატენილი ყუთები
უხმაუროდ მისრიალებენ რძისფერ რელსებზე
ეს ის დროა როცა ეკლების ამგორებელი ღამის მიერ წამოყრილი
ქალიშვილები
იკლაკნებიან იმ ყარყუმის ნაკბენებისგან
ვისი ყვირილიც
შემოჩარხავს მათი ძუძუების კერტებს
სხვა რიგის მოვლენები აბსოლუტურად მოკლებულია ინტერესს
ნურაფერს მეტყვით მაყვლებით მოხატულ ამ შპალერზე
ძალიან რომ იჩქარის
თავადვე გაიხეს
ცეცხლის შავი ენები ემეტოქებიან ცხაურზე ბალახის ენებს
შორეული ოთხით სვლა ცხენის
ეს მიწისქვეშა ნადირობისკენ უხმობენ ტყეში იები და ბზები
მთელი ოთახი აყირავდა
კალების საზომის დიდებული ხაზები ხდებიან ერთი რომელიც ზომის გარდა
რუხი ღვინოცაა
მოკურცხვლა ყოველთვის ძალიან ადრე ცარცით ნახატზე დღის წვალებაში
დააბუდე ჩურჩულის ტბის ადამიანები
აზრი რომელიც საყელოთი მიათრევს ძველ ეროტიულ ნიშებს
დაე დამასვენონ ამ ყველაფრისგან ერთხელ და სამუდამოდ
ჯოჯოხეთური ბუზები განჩხრეკენ ბრჭყალებში
ცვრიანი ვაშლის კვარტლის მარცვლებს
ცხოვრების დღიდან ნარგავს
თევზებივით აღკაზმული ტანი სხლტება მოჩანჩქარე ბადიდან
უღრანში
ქარისა საწოლის ირგვლივ
თავის არიდების არგუსი ძვირფასი თვალები უძრავნი
ნახევრადგახელილნი ნახევრადდდახუჭულნი

გზად სან რომანოსკენ

პოეზია კეთდება საწოლში როგორც სიყვარული
დაჭმუჭნული ზეწრები ნივთების ამოსვლაა
პოეზია კეთდება ტყეებში
        მას აქვს სივრცე რომელიც საჭიროა
არა ეს არამედ სხვა ნინასწარგანსაზღვრულობა
        ძერის თვალით
        ნამით შვიტაზე
        ვერცხლის ლანგარზე გაოფლილი ღვინიანი ბოთლის შესახებ
        მოგონებით
        მტრედი-ტრიალას მაღალი ღეროთი ზღვაზე
        და გონებრივი თავგადასავლის გზით
        მაღლა ასული პიკით
        შეჩერება და გზა მაშინვე ახრჩობდა
ამის შესახებ არ ყვირიან სახურავებიდან
არ ეგების კარის ღიად დატოვება
ან მონმეების მოხმობა
        თევზის მეჩეჩები ნივნივას ღობეები
        რელსები დიდ ქალაქში გასვლისას
        ნაოჭები პურზე
        ბუშტულები ნაკადულზე
        კალენდრის დღეები
        კრაზანას ბალახი
სიყვარულის საქმე და პოეზიის საქმე
არაერთობლივია
გაზეთის ხმამაღლა კითხვით
        მზის სხივის აზრი
        ლურჯი სინათლე შეშისმჭრელის ნაჯახის დარტყმების
        შემაერთებელი
        გულის ან ჭვირნარის ფორმის ქაღალდის გველის ძაფი
        თახვების კუდების რიტმული ცემა
        ელვის სიმკვირცხლე
        ბურთულების ხტომა ძველი კიბის ზედა საფეხურებიდან
მისაღები დარბაზი
არა ბატონებო ეს არც მერვე დარბაზია
და არც ყაზარმის აორთქლებები კვირადღის მწუხრზე
        გუბეების თავზე გამჭვირვალებაში შესრულებული ფიგურები
        ცეკვის

კედელზე მოხაზულობანი ქალის სხეულისა რომელსაც ხანჯლებს
ესვრიან
კვამლის გამჭვირვალე რგოლები
შენი თმის დალალნი
ფილიპინური ღრუბლის ხვეული
მარჯნის გველის კლაკნი
ნანგრევებზე სუროს შესევა
მათ დრო თავზე საყრელი აქვთ

პოეტური ჩახუტებები ისეთია როგორც სხეულის ჩახუტებები
ვიდრე გრძელდება
სამყაროს სიღატაკეში ნებისმიერ ჩაშლას კრძალავენ.

სასჯელი

პარიზის ყველაზე უფრო ნაღვლიანი ქუჩები
ბოდლერის და სტენდალის ქუჩებია.
უბრალოდ გაუგებარია, მათი სახელები
რატომ დაარქვეს პარიზის ამ ორ ქუჩას.
არა, ისინი – ბოდლერი და სტენდალი – არ განუდიდებიათ!
შესაძლოა, შეეცადნენ მათ დამდაბლებას,
შესაძლოა, დასაჯეს იმით,
რომ მათი სახელები დაარქვეს
პარიზის ყველაზე უფრო ნაღვლიან ქუჩებს.

ბუზები

თანამედროვე ბუზები
სრულიად არ არიან ისეთები, როგორებიც ოდესღაც იყვნენ:
მათში სიცოცხლე ნაკლებია,
ისინი მძიმენი და მოზეიმენი გახდნენ,
გააცნობიერეს,
რომ ისინი ამჟამად იშვიათობას წარმოადგენენ,
და ისიც გაიგეს,
რომ მათ გენოციდი ემუქრება.
ჩემს ბავშვობაში კი

ისინი მხიარულად ეწებებოდნენ
(ათობით, იქნებ ასობითაც)
ქაღალდს, რომელიც მათ კლავდა;
ისინი ძვრებოდნენ
(ათობით, იქნებ ასობითაც)
განსაკუთრებული ფორმის ბოთლებში,
ისინი ფუსფუსებდნენ, ისინი წვალობდნენ, ისინი იღუპებოდნენ
(ათობით, იქნებ ასობითაც),
ისინი მრავლდებოდნენ,
ისინი ყვაოდნენ.
ამჟამად კი ისინი წინდახედულნი გახდნენ
და იციან, რომ წარსული აღარ დაბრუნდება.

თანამედროვე ბუზები
სრულიად არ არიან ისეთები, როგორებიც ოდესღაც იყვნენ.

ლუტეცია, ზაფხული

დავიწყების მდინარეს მიაქვს ჩემი ქალაქი,
მიაქვს მისი საახალწლო შეხვედრები და მისი ცირკის ბალაგნები,
მანქანები ტურისტებითურთ, ადრეული გაზაფხულის შროშანები,
ივლისის დღესასწაულები და ლამპიონები, სეირნობები; წაბლის ხეები,
იანვრის ქარები, ზაფხულობით მოზუზუნე შადრევნები,
ნვიმები, რომლებსაც დროდადრო ხიდის ასფალტის ელექტრობის სუნი
უდით.

სწრაფი სვლით მიაქვს დავიწყების მდინარეს კაფეც და კომერციული
ხალხიც და მისი დაწესებულებებიც,
მიაქვს სახელგადარქმეულ ქუჩათა წნულები, უსარგებლო აფიშათა
ნაკუწები,
და სხვაც მრავალი მიაქვს მდინარეს, რომლის სახელი,
მითოლოგიიდან გადმოსული, დავიწყების ჩრდილით შეძრულა;
ყველაფერი მიაქვს დავიწყების ლეთას, რომელიც პარიზის გავლით
მიედინება.

მიშელ ბიუტორი

შემხვედრი ნაკადები

I

მხურვალე
მოდულაცია მოელვარე ტემბრის ფერების
ცვალებადი მარმარილო რხევების დროს
    მანათობელი კავშირი ნორჩ რიტმთა
    მრისხანე აკუმულაცია მოკაშკაშე უძრავი რწევები
მდუმარე ჭირხლი
მოშრიალე მარცვლეული ცოცხალი კავშირებით
ქვები მოკაშკაშე რხევებით
    მსუბუქი რიტმი გარდამავალი
    აკუმულაცია მანათობელი ნორჩი რნევების
მცურავი ჭირხლი ხვავებზე
ტემბრის კონები კავშირი მწუხრის
ბრინჯაო ცოცხალი აკუმულაცია
მქრალი რიტმი
მსუბუქი რნევები გარდამავალი
თოვლი მოშრიალე ცოცხალ წნულზე
მდუმარე კვირტები ცვალებადი იერიშები
რკინა მწუხრის აკუმულაციაში
    მძვინვარე
    მქრალი ამონთხევები
მხურვალე თოვლი პოპულაცია მოელვარე ნისლთა
ნემსების კავშირი მოელვარე რიტმით
ტყე ცვალებადი რწევებისას
    მძვინვარე
მდუმარე ღრუბლები სუიტა ცვალებადი ჭირხლი
მოშრიალე ლიანები ცოცხლები

მოელვარედ მერნეკანიანი
    მძვინვარე
მოგიზგიზე ღრუბლები მწუხრის თოვლის აგრეგაცია
ხვართქლათა
და ცოცხალ აბრეშუმთა კავშირებში
    და მქრალი ჭირხლი
მოშრიალე ბრიზი მტევნების თოვლივით ნათელი
მდუმარე
მინაზე
    ან მსუბუქი ჭირხლი გარდამავალი

II

ცოცხალი ნემსის აკორდი გუნდად მსუბუქი
ცოცხალი
ქაფი
    გარდამავალი ფრაზა მობუზღუნე
ბასრი ჰარმონია ლიანების მქრალი გუნდის
ტრანსმუტაცია მექვიშიასი
მსუბუქი გუბეები
    ჩამოყინული ფრაზები
ხვართქლას ცვალებადი ჰარმონიები მძვინვარე ფრაზები
ცვალებადი ემალი მძვინვარე
ტალღები მანათობელი კრისტალისა
    გარდამავალი
თავთავში მანათობელი დიალოგების ნათელი გუნდი
ტალღების აფეთქება და მქრალი ტრანსმუტაციები
წყალმცენარეების მძვინვარე კრისტალებად
    უძრავნი
ცოცხალი გუნდი მსუბუქი ქერქის
ცოცხალი მიწა მსუბუქი აჩქარება
მქრალად მოფუთფუთე კენჭი
    გარდამავალი
    ბრბო ჩამოყინული
ბასრი სიტყვა ქერცლი
აბრეშუმის აქსელერაცია მანათობელი აფეთქება
ქვიშა მსუბუქი ფუთფუთი
    ნორჩი ტრანსმუტაცია
    მბზინავი კრისტალი მობუზღუნე
ცვალებადი ფრაზა
ცვალებადი კანი მძვინვარე აფეთქებისას
ზღვის თავზე მანათობელ ხვავთა
    უძრავში მოკაშკაშე ტრანსმუტაცია

ნორჩი ფუსფუსი დაძაბულ კრისტალთა
ნათელი
პროგრესია ტყეებისა მქრალ აქსელერაციაში
ცის ქვეშ მძვინვარე ხვაევებში
ჩამოყინული აფეთქება დაბინდული ტრანსმუტაციების
უძრავი ფუთფუთი მოულოდნელი მოკაშკაშე კრისტალებისა

ანრი დელუი

ციკლიდან "ოცდაოთხი საათი და ზღვა ბაღში"

1.

სამშაბათი. 14 საათი.

ფრინველების დუმილს ჭექა-ქუხილი დააცხრება.
ხეთა ჩრდილები ტყვიად ჩამოისხნენ
პირქუში სიჩქარით.
მთელი სიმწვანე, ნემსიწვერა, ბალახები,
ჩამოცვენილი გაყინული ფოთოლი
მრავალფერად არომატს აფრქვევს.
მეწამული ბურთი, ნარინჯისფერ-ალისფერი,
თეთრი წინწკლებით დაფარულა.

ციცქნა ციყვი ქლიავის ტოტზე.

2.

დილას დრო არ ჰყოფნის. ჭექა-ქუხილი
სრულიად მარტოა, ქარიშხლის ნაფლეთები
გაკიდეგანდნენ.

ქვაფენილთა თეთრი კვადრატი,
მათგან დარჩენილი კვალი თითებზე.
ქვიშის შროშნები. გაწოლილი გვიმრა.
ციცინათელების გუნდი და ზღვა,

გზის მილმა მიმავალი.

13.

არ დამავიწყდეს: სტაფილო.
მწვანილი. კიტრი.
კომბოსტო. ხახვი.
ბოლოკი. თალგამი.
ბარდა. ქლიავი.
ოხრახუში და შემოქმედების
გვირგვინი: სალათა.

არ დამავიწყდეს: ბრძოლა მარტოობასთან.

44.

ბაღში, სადაც სიცოცხლის სინაზე
ალვის ხის ზნეს იძენს,
ჯერ კიდევ დარჩა ბევრი უპატრონო სიტყვა.

ღამე ულაციცებს
მიმწუხრზე სილურჯეს.

46.

დღე გარდაცვალების საქმეს შესდგომია.
ცა შევარდისფრდა. გამოაშკარავდა
ნათესაობა ქოთნის და კრამიტის.

პეიზაჟი სალამოობით
ისე მცირეა: ბეგონიები, ფესვები,
ფურისულა, არშია.

რა გვიანაა:
გვრჩება მხოლოდ დაწოლა და
თვალების დახუჭვა.

48.

სინოტივემდე დედდება ნემსიწვერას სუნი.

მცენარეთა სუნი. სხეულის სუნი.
ერთობ ხორციანი ღეროებისა. ფოთლებისა.
ეს ყვავილების სურნელი არაა.

ახალ ინტერიერში თეთრი ვნებები განმკვიდრდებიან.

56.

დუმილი მხოლოდ ჭრიჭინობელებს შეუძლიათ.
ისინი დახვრეტილებივით ერწყმიან სიჩუმეს.
მაშინ, როცა აღარ ძალუძთ უკვე მოთმენა,
ისევ იწყებენ თავიანთი სიტყვების ნუნუნს.

ავდარი კი თეთრეულით შეიმოსება.

57.

სამშაბათი. საღამოს 10 საათი და 12 წუთი.

ღამე ეშვება, და ერთიანად
მრგვალდება სივრცე.
რამოდენიმე სიტყვაღა ჰკიდია,
მიკრული ჭადრებს.

შენ გეზიზღება ეს გაზონი,
სადაც არ იზრდებიან ყვავილები
და ბალახები ერთმანეთს ჭამენ.
შენ გეზიზღება მძიმე სუნი,
ამომავალი გათხრილი მიწიდან.
შენ არ გინდა.

61.

"ზღვას ჰქონდა ფერი, ისეთი, ხშირად რომ ვერ ნახავ.
ფერი ერთმანეთს შერეული მინის და ქვიშის"
საბრალო სიტყვები. თვალს ვადევნებ.
აქეთ-იქით ვატრიალებ. ვცდილობ
თავისივე თავიდან განვდევნო.

ხვავდება

ყველა ეს "როგორც".
როგორც მორალი იგავ-არაკში.

თითქოს მე სულაც არ ვარსებობდე.

65.

ქარი ბრუნავს. და ოდნავ ქვემოთ
კვიპაროსებში იხლართება.
დედდება ნისლი, ბალახს ანაყოფიერებს.
ყველაფერი, რაც ვარდებისგან დარჩა,
ვარდის მცივანა ბუჩქებიდან დაცვენილმა ფურცლებმა დაფარეს.

ყველა ფურცელი, თავი ერთადაც რომ მოიყაროს,
ვარდს ვერ შეადგენს,
შენ ასე თქვი. შენ იცინი. წვიმა იცრება.

68.

და აი, უკვე ღამე ჭრიალებს.
სიცხე არ ცხრება. უკუნეთია.
ცაცხვი მწუხარედ შემყუდროვდა
ხეთა ზურგს მილმა.

შენ თვალში ჭექა-ქუხილის წამწამი ჩაგივარდა.

ემანუელ ოკარი

მე

... დასაწყისის
ბალღური ენა: შემოდგომის
შუადღეები.

ფერთა სიუხვე
დღის და სახელის
თაურასოში.

ქსოვილი ისე სიფრიფანაა, რომ კარგად მოჩანს
მიღმა მხარე. მიწამდეა ჩამოშვებული.
შენ დაამთავრებ იმით, რომ
სიტყვა დაგავიწყდება.

ზურგი მაქცია, "და ჩვენ
უკვე განვცალკევდით". III აქტი, მე-5 სცენა

დღე — რარიგად ბევრნი არიან.
ნაბიჯ-ნაბიჯ
ნათლის თიხაზე.

9 დეკემბერს ჩანაწერი

რაც ახლოსაა,
განიყოფა. ვით სიშორეში.

დრო არ არსებობს.

მკვდარი ენა.
მხოლოდ ნაკი აქეთ და იქეთ
ირწევა რკინის იალქანქვეშ.

შენი გამოცანა:
ქალაქის სიჩუმე
როგორც სიჩუმე ზღვაზე ან ტყეში.

სინათლის მცირე მონაკვეთზე
მსუბუქი სახე. ფშანის აჩრდილი.

არა სიტყვა
ზღვარზე დგომისას.
ნათლის საზღვარზე.
სამანზე ცრემლთა.

27 დეკემბერს ჩანაწერი

"ისეთ ღამეში, ეს რომაა",
მიზიდულობა სიშორისა
უძლეველია.

არც ავდარია ჩვენს შორის და
არც მყუდროება:

წყვდიადი და მდუმარება.
არა მისხალი აბსტრაქციის.

როგორც საცობი ხვატის წკრიალში.

მაგრამ არა უფრო საშიში,
ვიდრე მის წინ ჩაძინებული.

როცა ყველაფერს დაფქვავს
სინათლე,

საგნებს დაყოფს სიცარიელე.

არაა ბირთვი.
ასეთია დღე,
მსგავსი ღამის
შუაგულისა.

28 ივნისს ჩანაწერი

ხეების მიმართ ზურგშექცეული
მძიმე ფოთოლი
წევს განთიადზე,

დატმასნილს სძინავს.

პირდაპირ ცაში, ვარჯების თავზე,
გალავანი აგურისა. უკვე
ბზარია. გალავანს სძინავს.

შიგან სახისა ამიერიდან
სიცოცხლე ბუუტავს.

ჩამოენგრევა სიჩუმეს და განშორებას
მთელი სინათლე.

ცარიელი დღე და ღამე,
ქარის ცახცახით შემოვლებული ფოთოლთა კიდეს: სიყვარული.

მოკლე როლი არყოფნის პირზე.

"ტყე იძრა".

შენ გძინავს მიწაზე,
ბიჭუნა, ქვიშაში მოთამაშე,
ყინვისგან სულმთლად გალურჯებულა.

შენ სითეთრე ხარ ფურცლის მინდორთა

ღრუბლები. შორს ხარ. სივრცის
თავთხელი. ჩვენ ამოვვარდით
ჩვეულებრივი კალაპოტიდან.

დილა, და შენთვის
ნაცნობი ჩრდილი.

სიბნელიდან მზისგულზე:
როგორც კარის შეღება.

სად არ უნვდინა თვალმა, მაგრამ
ღრუბლის ნაფლეთიც ვერ მოიპოვა.

მდინარის თავთხელი.
ექო და ყვავილები. შარიშურის
ცისფერი ნრეები
გადაირბენენ სიჩუმეში.

შენ ისეთი ხარ ხვატში როგორც მარმარილოში.

სიტყვები. შუაღამემდე
ფიცრის ჭრიალი. მზესმისაცემი თეთრეული
ხვალისთვისაა გადადებული. ბილიკზე — ჭინჭარი.

ჩვენ უკვე ვიცით ისტორია.
შენ მოვლენების ნამსხვრევებს არჩევ,
დამთხვევების მნკრივს.

შორს სიშორიდან,
თამაში, გრიგალში მოგონილი.

ოლივიე კადიო

(n-1)

1.

ნიგნის მაღაზიაში მეტი ნიგნია, ვიდრე ნიგნის კარადაში
ბაღჩაში უფრო ცოტა ხეა, ვიდრე ხეხილნარში
ხალხმრავლობა. ხალხმრავლობა იყო

2.

როცა მე პატარა ვიყავი, ყოველ დილით შვიდ საათზე ვდგებოდი
მაშინ ჩვენ ყოველ ზაფხულს ზღვაზე დავდიოდით
მას არ ეძინა. რატომ არ ეძინა?
რა განიერი მდინარეა! რა ცივი წყალია!
რა სამწუხაროა, რომ ვერ წამოხვალთ ჩვენთან ერთად!
აქ როგორ ცხელა!
რა კვამლია!

3.

ეს ყველაზე უფრო მაღალია იმ ხეებს შორის, მე რაც მინახავს
ეს საუკეთესო ადამიანია იმათ შორის, ვისაც მე ვიცნობ. არ მახსოვს, რა
ჰქვია
შემოდგომაზე სიცივე მძლავრობს, დღეები მოკლდება
ეს ყველაზე უფრო ძლიერი ავდარია, რაც კი ოდესმე მინახავს
ბაღში ვილაცაა. არის თუ არა ვინმე ბაღში?
არავინაა. თქვენ ვინმეს ხედავთ? მე ვერავის ვხედავ

თქვენ რამეს ხედავთ? ვერაფერს ვხედავ. მე სრულიად ვერაფერს ვხედავ

4.

სასტუმრო ოთახში დამელოდოს. ასე ჩქარა ნუ მიდიხართ
დღეს უფრო ცივა, ვიდრე გუშინ
რატომ დგახართ? დაბრძანდით მეთქი!
დარჩა კიდევ ცოტა რძე და ცოტა ყავა
დღეს ღრუბელიც ნაკლებია და ქარიც ნაკლები
ნისლი უკვე არც ისე ხშირია, როგორც გუშინ, სამაგიეროდ უფრო აცივდა

5.

ისინი უკვე ნახევარი საათია მდინარის პირას სხედან
რა დიდებული ხეა! ალბათ, ის ამ ტყეში ყველა ხეზე მაღალია
რა ცუდი ამინდია! არ ვიცი, შეძლებენ თუ არა მოსელას
რა ცივი იქნება ღამე! რა ბინძურია მდინარე!
წვიმა რომ არ მოსულიყო, ხალხი უფრო ბევრი იქნებოდა

6.

ზღვაზე გემები ნაკლებია
მატარებელმა დაიგვიანა, ვინაიდან ნისლის გამო გაჩერება ხშირად უწევდა
ზამთარში ჩვენთან ხალხი ცოტა მოდიოდა, ზაფხულში ბევრი
მე მას უკვე აღარ ვხედები. გასულ წელს ორჯერ თუ სამჯერ შევხედით

7.

ჩვენთან არასდროს უთოვია იმდენი, რამდენიც ამ წელს ითოვა
მე ფული აღარ მაქვს და უკვე აღარც მეგობრები მყავს. ასე ნუ ხმაურობთ!
ამის შესახებ უკვე მითხრეს. რატომ ეს ადრე არ მაცნობეს?
თქვენს ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა

8.

ნუ ხმაურობთ, მას ეს-ესაა ჩაეძინა
მას ეს-ესაა ჩაეძინა. მას გაელვიძა
თოვდა, და იყო სიწყნარე
იმ ოთახში არ შეხვიდეთ, იქ რემონტია
არა მგონია, მოვახერხო და ხელი შევუშალო მის გამგზავრებას

თქვენს ადგილზე ყველა ასე მოიქცეოდა

9.

ეს ოთახი სახლში ყველაზე უფრო დიდია
ზამთარი ამ წელს უფრო ცივია, ვიდრე წინა წელს
უკვე ორი თვეა რაც მასზე ვფიქრობ, მაგრამ ჯერ არ მიმიწერია
მას არავისთან არ უნდა ესაუბრა თავის
გეგმებზე

10.

მასთან ერთად ვილაც სხვაც იყო. სხვა მასთან ერთად არავინ იყო
ამ ყუთში რამეა? არაფერია
აქ უფრო ცხელა, ვიდრე ბაღში
მე მინდა რაღაც სხვა გიჩვენოთ
რაც შეიძლება მალე უნდა გაემგზავროთ, უკვე ბინდდება

11.

თუ არსებობს რამე ისეთი, დიდი ხანი რასაც ნატრობდით?
თქვენ კიდევ შეგრჩათ მეგობრები? არა, მე უკვე აღარ შემრჩა მეგობრები
ჩვენ უკვე ჭამა აღარ გვინდა, მაგრამ ერთი საათის წინ ძალიან გვინდოდა
ნახევარ საათზე მეტია რაც თოვს, დღეს დილიდან თოვს
ქალს სძინავს გუშინ საღამოს აქეთ. მას სძინავს უკვე მეთექვსმეტე საათია
კაცმა არ იცოდა, შეძლებდა თუ არა შეჩვეოდა ახალ ცხოვრებას

12.

ქალი ისეთი მწუხარე იყო! მას არ შეეძლო არც ჭამა და არც დაძინება
ნახევარი წლის წინ ეს სახლი ჯერაც არ იყო აშენებული
კაცმა მოგვწერა, რომ დაბრუნდება არა უადრეს რამდენიმე თვის
მას უთხრეს, რომ დამლოდებოდა. მაგრამ რატომ არ დამელოდა?
პალტო ამაოდ გაიხადეთ, თქვენ შეგცივდებათ
თუ დაიძინებდით ბაღში, რომ არ წვიმდეს

13.

დღეს გარეთ არ უნდა გახვიდეთ, ძალიან ცივა
დღეს თეთრი პერანგი უნდა ჩაიცვათ

ჩვენი ფანჯრიდან ზღვა მოჩანდა
ქალი ახლახანს ჩამოვიდა პარიზში და არავის იცნობს
დაბრუნდით, როგორც კი მოახერხებთ, მე გელით. როდის დაბრუნდებით?

14.

მაცნობეთ, როდის დაბრუნდება
რაზე ფიქრობთ? ვიზე ფიქრობთ?
თოვს უკვე რამდენიმე დღეა
მას რომ ნდომებოდა შეეძლო ენახეთ

15.

ძაღლი გავიდა ქუჩაში. დაიკარგება
დიდი ხანია მელოდებით?
რაც ჩვენ აქ ვცხოვრობთ, მალე ათი წელი გახდება
სულ რამდენიმე წუთის წინ ჩაეძინა
დიდი ხანია ელოდებით?
არ მოგბეზრდათ მათი ლოდინი?

ტრისტან ცარა

დადას სიმღერა

I
ეს ჰანგია დადაისტის
ვინც ნამდვილი არის დადა
მოშლილ მოტორს ნუ იდარდებ
მოტორიც ხომ არის დადა

გრაფი მძიმე თვითმმართველი
ლიფტს მოჰყავდა უვნებელი
უსაშველო მოიგლიჯა
და გაგზავნა რომში ფრჩხილი

ამის გამო
ვაგლახ ლიფტი
გულით უკვე აღარაა დადა

საჭიროა მინყივ წყალი
ტვინში გამოსავლებად
დადა
დადა
გაისტუმრე ვალები

II
ეს ჰანგია დადაისტის
არც ოპტი არც პესიმისტის
მოტოციკლისტ ქალს ჰყვარობდა

ქალს არც ოპტი არც პესიმისტს

ხოლო ქმარმა ეს რომანი
რომ შეიტყო ორი გვამი
ჩადო სამ დიდ ჩემოდანში
და გაგზავნა ვატიკანში

ხელს ნუ ახლებ
მოტოციკლისტ
ნურც ოპტი ნურც პესიმისტ ქალს

წყალი წრეებს საჭიროებს
ტვინი შენი საკვებია
დადა
დადა
გაისტუმრე ვალები

III
სიმღერა მოტიციკლისტის
და დადაისტის სულით
და იმად დადაისტის რომ
სულში დადაა დიდი

გველს ხელთათმანში რა უნდა
სარქველი მისცა გვემას
აქ რომის პაპი დატორა
ქერცლით მოსილმა ხელმა

მან დაწყევლა დადა გულით
დიდი იყო
მიხლა-მოხლა

ტვინი ამ ფეხს არ ეკუთვნის
ტვინი მხოლოდ წყალია
დადა
დადა
ხოლო წინდა ვიწროა

გიიომ აპოლინერის სიკვდილი

ჩვენ არაფერი ვიცით
ჩვენ არაფერი ვიცოდით სიკვდილის შესახებ
ღრმა ნაოჭებს თხრის ჩვენს კუნთებში
გამყინავი სიცივის ჟამი
ის გამარჯვებით აღტაცებას აირჩევდა
განბრძნობილ გლოვის სიჩუმეში ჩვენ ხაფანგში გამომწყვდეულებს
ძალა არა გვაქვს ღალატისა
თოვლს რომ მიწიდან ეთოვა და
მზე რომ ღამით ამოსულიყო
რათა გავეთბეთ
ხეებს ვარჯებით თავდახრილებს რომ ეკეკლუცათ
- გაბმული მოთქმა -
ფრინველებს რომ კაცთა გვერდით დაედოთ ბინა
და ჩვენს თავს ზემოთ წყნარი ტბისთვის მზერა მიეპყროთ
ჩვენ შევძლებდით ამის გაგებას
ხოლო სიკვდილი იქნებოდა საამო და ხანიერი მოგზაურობა
ხორცის უვადო შეებულება ფორმათა და ძვალთა ჯარიდან

ფილიპო ტომაზო მარინეტი

ავიატორ-ფუტურისტი მიმართავს თავის მამას, ვულკანს

ვულკანო, შენსკენ მოვფრინავ, და ღიმილს მგვრის შენი –
მუცლითმეზღაპრის – ავბოროტი, სტომაქიდან ამომავალი,
მძიმე ხარხარი.
შეიგნე – არ ხარ ჩემი მეუფე!
ვიცი, რომ გინდა ჩემი დაპყრობა,
საცეცებით მოზიდვა და
მდუღარე ლავის ბადეში ჩემი გამომწყვდევა,
როგორც ერთ-ერთი იმ თაეკერძი და მეოცნებე ყმაწვილთაგანის,
შენს კალთებზე რომ მოცოცავენ
უტყვი დაისის უსაშინლეს კაეშანთან შესახვედრად,
ვიდრე სიცილით ყბა გერყევა
და ჯოჯოხეთურ მიწისძვრებად მიმოირწევი!
სიმბოლოები და წინასწარმეტყველებები მე არ მაშინებს,
შენი უძირო სივრცეები და მუქარები
მე არ მაძრწუნებს,
თუმცა კი ძალგიძს უზარმაზარი ქალაქები სპილენძის და ოქროს მკერდქვეშ
დაისამარო, ფერფლად აქციო,
შედედებულ სისხლში მოგუდო!
მე გახლავარ ფუტურისტი – ყოვლისშემძლე და უძლეველი,
მოუღლელი და გააფრთებული გულით ზეცას ზიარებული.
მე საპატიო სტუმარი ვარ ავრორას სუფრის
და ვტკბები მისი ფერადოვანი ნაყოფის ცქერით,
ბომბების მხრჩოლავ პირამიდებს – შუადღეებს გადავუქროლებ,
სისხლისგან დაცლილ, გაქცეულ ჯარებს – დაისებს მივდევ,
სეედიან და მოვაგლახე მწუხრიჟამებს უკან არ ვტოვებ.

ეტნა! ვინ შეძლებს ჩემზე უკეთ და გაბედულად
მწვერვალზე როკვას, და უდარდელად მიმორბენას
შენი უძირო უფსკრულის თავს,
ჩემს ფეხქვეშ რომ – ძალიან შორს – მძვინვარედ ბრდღვინავს?
აი, ვეშვები, წითელი კვამლის შემზარავ ბოლქვებს,
შენი მხუთავი, გოგირდოვანი სუნთქვის ტალღებს
რომ შევერიო.
მესმის შენი უსაზღვრო მუცლის
მოგუდული გუგუნი და საშინელი გრგვინვა-გრუხუნი;
მინისქვეშა დედაქალაქნი, მესმის, უფსკრულში
ზათქით როგორ დაინთქმებიან.
მაგრამ მე მინის ეს უმწეო მრისხანება რას გამაკვირვებს?
ნახშიროვან-კუპრისფერი მისი სუნთქვა ამაოდ ცდილობს
ჩემს ამოგდებას და ღრუბელთა ზემოთ ატყორცნას!
მტკიცედ მიპყრია ხელთ ბერკეტები.
მე ვლივლივებ შენს გულისგულში, შენს ბნელ ხახაში,
მაღალ მთათა მსგავსად ამართულ
შენს გიგანტურ ბაგეებს შორის.
უფრო და უფრო ქვემოთ ვეშვები,
უფრო და უფრო მჭიდროვდება ჩემს გარშემო
შემზარავად დაბერილი შენი ღრძილები...
ო, საკვირველი ეს ტყე, სადაც
მსუბუქი და ცვალებადი კვამლის უცხო და
ბუნდოვანი მცენარეები დამკვიდრებულან!
ხოლო შენ მათ ისე არხევ, როგორც ვეება ცისფერ ულვაშებს...

ო, ვულკანო!
ფოსფორული მეჭეჭებით დატვირთული ეგ ნიღაბი ჩამოიგლიჯე,
აამოძრავე უზარმაზარი შენი სახის მძლავრი კუნთები
და იღაღადე, განჭვრიტე და თქვი რამ ჩემი ბედის შესახებ,
მაუწყე – რაა ჩემი თაობის მიზანი და დანიშნულება?

ალდო პალაცესკი

უნდა ვიცელქო

(კანცონეტა)

კრი კრი კრი,
ფრუ ფრუ ფრუ,
უიი უიი უიი,
იიუ იიუ იიუ,

პოეტი ერთობა –
უსასრულოდ.
და ნუ შეუშლით ხელს უგულოდ.
ნუ გაცოფდებით მით უმეტეს,
დაე, იცელქოს საცოდავმა,
მის თავში ფიქრიც არასოდეს
გაკრთება მაღალ შეღავათზე.

კუკუ რურუ,
რურუ, კუკუ,
კუკუკუკუკურუკუ!

ვიტომ რას ნიშნავს ეს საზიზღრობა?
ეგზოტიკური... ჰმ... ეს სტროფები?
თავისუფლებები... თავისუფლებები,
პოეტური თავისუფლებები.
ისინი ჩემი სისუსტეა.

ფარაფარაფარაფა,

ტარატარატარატა,
პარაპარაპარაპა,
ლარალარალარალა!

გნებავთ, ყოველი განგიმარტოთ?
ეს ხომ მარტოდენ ნაგავია.
შეურაცხყოფის გარეშე გთხოვთ
არა ყოველგვარ სისულელეს,
მხოლოდ – სხვა ლექსთა მონარჩენებს.

ბუბუბუბუ, ფუფუფუფუ,
ფრიუ!
ფრიუ!

ვისთვისაა გამიზნული
მსგავსი ბოდვა?
და მას რატომ აგვირისტებს
პოეტ-ცოდვა?

ბილობილობილობილობილო
ბლუმ!
ფილოფილოფილოფილოფილო
ფლუმ!
ბილოლიუ. ფილოლიუ.
იუ.

არა, მართალი არაა, რომ ეს არ ნიშნავს...
ეს რაღაცას დიახაც ნიშნავს,
დიახაც ნიშნავს...
ყველაფერს უმალ გაგაგებინებთ:
წარმოიდგინეთ, ვიღაც მღერის,
ტექსტის არმცოდნე.
ეს ხომ, უდავოდ, საშინელზე საშინელია.
ხოლო მე ვფიქრობ, რომ, პირიქით, მშვენიერია.

აააააა!
ეეეეე!
იიიიი!
ოოოოო!
უუუუუ!

ა! ე! ი! ო! უ!

არ ვიცი, თქვენ – როგორ,
მაგრამ მე თქვენს გამო მრცხვენია.
გულწრფელად მითხარით – ეს პრანჭვა როდია:
განა, ვითომ, მართლა
არც ისე ძნელია –
ლექსებით შესცოდო!

უისკ... უიუსკ...
უიში... შუშუ,
შუკოკუ... კოკუ კოკუ,
შუ
კო
კუ.

მაგრამ, ყმაწვილო, თქვენ ფრიად ბევრს ითხოვთ
მათგან, ვინც არ იცნობს
იაპონურ ენას,

აბი, ალი, ალარი.
რირირირი!
რი.

მე არ შევუშლი ხელს მანჭვა-გრეხაში,
დაე, მას ჯამბაზი ეგონოს თავი,
შედეგად შერჩება ვირის სახელი და
ეს ახი იქნება მასზე.
ლაბალა
ფალალა
ფალალა...
და კიდევ ლალა...
და ლალალა ლალალალალა ლალალა.

ჯერ კიდევ გუშინ ხომ ასეთ თხზულებათა
ავტორებს არ აკლდათ დაფასება.
ხოლო დღეს საითაც გადააფურთხებ –
ყველგან პროფესორებს ხვდება.

ახახახახახახ!

ახახახახახახ!
ახახახახახახ!

მით უფრო სწორი ვარ,
ნუ შემედავებით,
დღეს, ირგვლივ ყველა როს ჭკუის კოლოფია,
წინასწარმეტყველად
პოეტს არავინ თვლის –
და უნდა ვიცელქო!

არდენგო სოფიჩი

გზაჯვარედინი

განიმქრე ღამის ფქვილში
გაზის აცეტილენის და სხვა სახის ცეცხლთა მოულოდნელი გაბრწყინების
შუქზე
რომლებიც ყვავიან ვიტრინებში
სარკმლებში და ვარსკვლავიანი ცის აეროპლანში
ფეხსაცმელები რომელთა მიღმაც ალმასის და ოქროს წვეთები გაწელილან
გაზაფხულის
ტროტუართა გასნერივ
როგორც ტუჩები და როგორც თვალები მარტოსულ ისტერიკთა გამო
შეშლილ ყველა ამ
ქალთა
ავტომობილები ყველგან
სამეფო ეტლები და ტრამვაები საფანტით დაცხრილულ ფრთოსანთა
შემზარავი კივილის
ფონზე
“ბოლოს და ბოლოს, ჩვენ არავინ გვიყვარს ჩვენი თავის გარდა”
“მძღოლთან ნუ ილაპარაკებთ”

ო გასცურო როგორც შეყვარებულმა თევზმა რომელიც ზურმუხტებს
ენაფება
სუნთა და ბენგალის ცეცხლთა ამ ბადეში!

საველე ჰოსპიტალი # 026

საავადმყოფოს უტკბილესი უსაქმურობა!
მთელი კვირებით შეგიძლია, ძილს მისცე თავი.
სხეულს, რომელიც იძულებით გადააყენეს,
ჯერაც არ სჯერა, რომ გადარჩა და ისევ ცოცხლობს.

თეთრ კედლებს შორის,
როგორც კვადრატულ ფრჩხილებში,
სული ისვენებს,
გუშინდელი ბრძოლის მწველ მძვინვარებასა და
ხვალინდელი დღით გამოწვეულ გამოცანას შორის.
ნათელი სულისმოთქმა, გრძნობათა სიმრავლის ქურა
ყველაფერს თავს უყრის მთლიანობის გამოუთქმელობაში.
ვგრძნობ, როგორ წვეთავს იდუმალი ოქროს დრო,
სადაც ყველაფერი ერთნაირია –
ტყეები, გამარჯვების სიმაღლეები, ყვირილები, მზე, განსვენებულთა
სისხლი,
თავად მე,
სამყარო,
და ეს ყვითელი ლიმონები –
რკინის შავ ბოწკინტზე, ჩემს თავთან,
რომლებსაც მზერით ვეალერსები.

ალფრედო ჯულიანი

გამოჯანმრთელება

როცა ვიხილე, საავადმყოფოს ბაღში ტირიფი კაეშნიან ბუმბულს
როგორ განიძარცვავდა, მთათა ჩანჩქერით შორეული ნაპირიდან
ჩემთვის მოტანილ გაურკვეველ მოგონებათა მომხვდა ნამსხვრევი,
და თვალფხიზელი მათი სხივი
აქ, გაზონის საზღვარზე, განვა.

და ნარმოუდგა ჩემს მზერას კოშკი, კლდის წვერზე ქარით გარემოცული,
მწვანე ლაქა უმშვენებდა კედელს გაქუცულს.
და მე ვიხილე: ერთ დროს რომ იყო, ყველაფერი იმგვარადვე მშვენიერია, -
ქვის ფრთაც, ზღვის ქაფიც, და ზამთარიც...

ცისფერი პარასკევი

როგორ მოვიქცე? – რჩევა ვიკითხე, რომ გამეგო (თხოულობენ,
რათა მიიღონ), ამ შავ ფრთას ბოლო თუ მოეღება.

ასტროლოგმა თქვა (ბედის შესახებ): საერთოდ კარგი პირი უჩანს;
ასე მოხდება, და არც ინანებთ; კიდით ნათელი
ნახევარმთვარე დაგდგომიათ, საამდროოს ვითვალიწინებ; აქვე – პატარა
სიხარული
(დღისით-მზისით მდელოზე ცურვა); აი, ურანის

მდებარეობა ანუ ზამთარი, სივრციდან თქვენსკენ მომავალი მიანიშნებს
გამოფხიზლებას;
აქ თქვენი ახლო ნაცნობია გარეული ან ნათესავი;
ნუ იყოყმანებთ, ამის შესახებ დაე ყველამ უმალ შეიტყოს (მაკრატლების
ღრჭიალი ბაღში);
ყველაფერი მოგვარდება, თილისმას თუ არ მოიშორებთ;
უნდა ვიფიქროთ, ერთფეროვანი იქნება ეს თვე.

ფსიქიატრმა კი ასე მითხრა (იმის გამო, რაც დამესიზმრა): ხატი
ბავშვისა განაელით ხელში – ეს ქვეყანაა,
ფართო, ნათელი, ცარიელი, ბნელი, სავსე, მაღალი, ვიწრო, ღრმა,
ცვალებადი, ჭუჭყიანი, დადგინებული, ბინძური, სნეულ-გადამდები,
ეჭვიანი,
საზიზღარი, მყუდრო, უსაზღვრო, უპატიოსნო,
შხამიანი, მწარე, მწებვარე, მუყაითი,
გამჭრიახი, დაქადნებული, ღვთაებრივი ქვეყნიერება,
სისხლიანი, ავბოროტი, სპერმატული, განაზებული, შიშის მომგვრელი,
თავბრუდამხვევი, შემგუებლური, ლპობადი, მეტამორფოზული,
შურისმგებლური, ვერაგი, ურჩი, შეყვარებული (რა თქმა უნდა,

ვიდრე შენ არ / გადაეჩვევი სიღრმეებში ჩაღრმავებას / დაუბრუნდები
ჭვრეტას / კუტკარს სურო რარიგი სინატიფით შემოხვევია!),
და მე მივუგე:
რა სიმშვიდეა აქ, სადაც საგნებს მხოლოდ მათივე
ზედაპირი გაამჟღავნებს! დავაპირე შემობრუნება, მაგრამ იგი ატირდა და
ჩემგან გაიქცა.

* * *

ისინი უნდა გავაფრთხილოთ პირსახოცი მხოლოდ
ხელების გასამშრალებლად
გამოიყენება. იატაკზე არ დააფურთხოთ. გამოსავალი, ყველა
თანასწორია, ეს სიცრუეა,
რამდენჯერ გვიწევს მოსმენა
ეს მოვლენა იოლად ასახსნელი რჩება
იდეა (ჭიხვინი)
აღფრთოვანებით დაუფლების, მაგრამ იცოდე, რომ მერე ის გაქრება

კარგია ეს თუ ცუდი?
განსაკუთრებით ინტენსიურ ელემენტარულ წესთა ნაკადი,
დანიშნულებას ინახავს
პროდუქტი (ეს შეიძლება იყოს ჭიხვინი) ბაღში
შეიძლება ვაიკითხოთ საზოგადოებრივი წესრიგი ან ცხენი.
ჩივილი ამაოა. მას ექნება
პენსია.
სინამდვილეში დედუქციური თეორიები ჰიპოთეტური
სისტემებია... ნვიმს... ეს
გამოთქმა ყალბია ან ჭეშმარიტი იმის მიხედვით, როგორი
ამინდია, შადრევანთან
ვიღაც ტკბილად და აბსტრაქტულად ზის. ხოლო შენ?
ჩემს თავს მე ამას ყოველთვის ვუმეორებ.

ინსტრუქცია მოხმარებისთვის: ეს თხრობითი ნაწყვეტი წარმოადგენს მონოლოგს, რომელშიც განელილი და ატონალური ლექსი გამოხატავს პერსონაჟის სემანტიკურ ჩაღრმავებას საკუთარ სიტუაციაში, ყველა მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ფაქტის ავტომატური თანხლებით. ლექსის ფუნქციას შეადგენს შინაგან და გარეგან შინაარსს შორის კავშირის დამყარება. აზრები და პროექცია ამალგამირდება საგნებთან და ფიგურებთან, რომლებიც მუდამ გადაპირქვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ესაა გამოცდილების მოზღვავება კონვულსიური დაღლილობის, ურნმუნობის და კრახის შეგრძნების ჟამს.

კვირადღე ნვიმის მერე

ეს მოხდა წყნარ
კვირადღეს ნვიმის მერე
ასფალტი ყველა ჩვენს ლაქას ირეკლავდა
მოედნიდან მთისკენ
აკრობატივით გაქანდა ხანგრძლივი "მშვიდობით"
და წამი განიმქრა ერთმანეთის პირისპირ მდგარი
ფარნები აინთნენ და ჩენი უმნეობის საპირისპიროდ
ბნელი კოშკი ამოიმართა

საუკუნეებმა ჩვენ ვერ გაგვტეხეს

ნანი ბალესტრინი

ფრაგმენტი A² პოემიდან "დაკიდებული ქვა"

და ამ სიტყვების დროს (პირველ რიგში
ირგვლივ სამყარო დუმდა მის წინაშე სამყარო დუმდა
რათა იგი ამორფულად ექცია
მანიპულირებდა რა მოზაიკით და
მონახაზებით)
წითელი და მკერივი (ქვევიდან თუ შეხედავთ)
მაყურებლებმა სხვა ვერაფერი შენიშნეს და
თოვლით გამოტენილ მუცელში
ყველა ცეცხლი აანთეს.

ინსტრუქცია მოხმარებისთვის: ფრაგმენტის გაურკვევლობას წარმოშობს სიტყვებს შორის გაჩენილი დაძაბულობა (ეს სიტყვები მკაფიო და ზუსტია, მაგრამ სინტაქსურად – *ჰაერში გამოკიდებული*).

ელიო პალიარანი

გოგონა, სახელად კარლა

(პოემიდან)

იმ ზაფხულის ბოლოდან, რაც ის დადის ღამის
მანქანაზე ბეჭდვის
რაციონალური სწავლების ტექნიკური კურსი
სკოლაში
ბოკონის მოპირდაპირე მხარეს, მას უკვე
ათივე თითით
მანქანაზე ბეჭდვის
შესწავლის
საუკეთესო მეთოდი
აღარ ესმის, სწორია თუ არა, როგორც სახლში ეგონა,
ამაში ათასი ლირას ხარჯვა
უეჭველი უპირატესობები
სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის
საიმედო შედეგები
სწორი ორთოგრაფია
სისწრაფე დაუღლელობა

სასწავლო გეგმა. პარაგრაფი პირველი

სკოლა, სადაც ადრე სწავლობდა, ნატურალური აბრეშუმისგან
შეკერილი მისი ხალათი, ძალიან ლამაზი მასწავლებელი
და ამოცანები აგურების და სახლების შესახებ, და უკვე ლაპარაკობდნენ
ომზე,
მუსოლინიზე, საფრანგეთზე, ინგლისზე.
ადამიანთა სრული კომპლექტი: ექვსი კაცი და თვრამეტი
ქალი პლუს ორი მასწავლებელი ქალი
მდგომთამწის ცენტრალურ ნაწილში
მასზე მიმაგრებული ლილვაკი
სინათლე არაა საკმარისი, ცარცი თვალს ჭრის
კლავიშებზე თითებდაბჯენილნი,
გაბედულად აჭერთ კლავიშებზე
და მაშინვე ათავისუფლებთ
როგორ იცინიან სტენოგრაფიის შემსწავლელი ის გოგონები და ის
ახალგაზრდა კაცი,
რომელმაც არ იცის ხელში კალმის დაჭერა
ყველა სავარჯიშო უნდა გაიმეოროთ
სანამ არ გამოვა სულ მცირე
სამი თანმიმდევრული გამეორება
სრულიად უშეცდომოდ და ზუსტად
სვეტში
ო, ეს საცოდავი ხეიბარი,
მანქანასთან ის ყველაზე სწრაფია
როცა ლენტის ავტომატური
გადახვევის მექანიზმი
არასაკმარისი შეზეთვის გამო
ან კაუჭის არქონის გამო არ მუშაობს
ო, მარია პია ძურლინი, დაბადებული
მდიდარ ოჯახში, თავისი ოცდაათი ნლით და უმწეო
ღიმილით
გადახვევას
ახდენენ სხვადასხვა ხერხით:
ხელებით.

საკმაო საფუძვლები სასოწარკვეთისთვის

ალფრედო ჯულიანის

პოეტო, რა ვიცით ამჟამად სიკვდილის შესახებ?
ჩვენი, საკუთარი სიკვდილის შესახებ?
პოეტო, ესაა სიტყვა, რომელსაც მე
თითქმის არ ვიყენებ, მაგრამ ახლა მის გარეშე ვერაფერს გახდები,
რადგან ჩვენ თუ ათასნაირი ფარისეველის სანუგეშო სიტყვები უარვყავით,
განა პოეტების საქმე არაა სიკვდილის შესახებ საუბარი, სიკვდილის ახსნა?
შენ
კვერს მიკრავდი, როცა ყმაწვილურ ჩემს ლექსებში
ვიტანჯებოდი და მედიდურად თავბრუ მესხმოდა
შიშისგან, რომ ვერ შევძლებ სიკვდილს. ან რწმენისგან. სული მოვითქვათ,
აი, ვკითხულობ ამ დასაწყისს, არ უნდა იყოს მთლად ურიგო, ხელებს ვისრეს,
ამინდის გამო მათში თავს იჩენს რევმატიზმი, ვიხსნი სათვალეს,
სარკეში ჩემს თვალებს ვათვალიერებ, ვერაფერი გამიგია, არაფერს
განვსჯი,
მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ექიმები თვალების მიხედვით
საზღვრავენ ყველაფერს, არ ვიცი,
როგორი თვალები მაქვს, - ამღვრეული, გადიდებული თუ გაფართოებული –
და რა შეიძლება გაირკვეს მათ მიხედვით, ვიცი, რომ მტკივა ყელის ნერვი,
რომ ღამით მუშაობა მეორე დღეს აღმაგზნებს, მაგრამ არ ვიქნებოდი ამის
წინააღმდეგი, სამი ღამის მერე რომ შემეძლოს ძილის აღდგენა. ალფრედო,
მე დღენიადაგ
ვეკითხები ჩემს მეგობრებს, როგორ გამოვიყურები, როგორი მაქვს სახის
ფერი. და შენ ისევ,
როგორც ბავშვი, ისე აზროვნებ, შენ ისევ ისე
ფითრდები ზოგჯერ, როცა რამეს ჭამ.
უკვდავნი ხშირად როდი გვხვდებიან,
გვეუბნებოდნენ, რომ უკვდავია კაცობრიობა და არა – ცალკეული
ადამიანები,
რომ ჩვენ, ისე, როგორც ნებისმიერი ცოცხალი არსება,
უკვდავნი ვართ სიყვარულში, რომლებიც ცოცხლებს ბადებს.
მე ვეჭვობდი, რომ სიყვარული შეიძლებოდა ერთადერთი ნებადართული
აქტი ყოფილიყო
ჩვეულებებისადმი აუცილებელი პატივისცემის საზღვრებს მიღმა,
მე მეეჭვებოდა ბუნების დიადი ურთიერთკავშირები
და ისიც, რომ ქალთან ერთად როცა ვიმყოფებით, ჩვენ ზღვა გვიყურებს

და ჩვენში აზრს ჰპოვებს
ან რომ ჩვენ ვუმზერთ ამ დროს ზღვას და მასში აზრს ვპოვებთ.

რაც ჭეშმარიტად გამოარჩევს ადამიანებს, სანაძლეოა,
აი, სიტყვა, ელიტამ რომ გამოიგონა, ასეა თუ ისე, არიან ადამიანები,
რომლებიც დებენ სანაძლეოს, რომ არასოდეს მოკვდებიან. აი, რაა
ქედმაღლობა: იმის რწმენა,
რომ შენი შრომა, მონდომება, რომ არა უბრალოდ შენ თვითონ, არამედ შენ
იდეალის ხარისხში, სასარგებლო ხარ
სხვებისთვის; აი, რაა მიმნდობლობა: ფიქრობდე, რომ ისტორია
გონიერულია; და ასე შემდეგ; ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ერთადერთი,
ვისაც სანაძლეოს მოგების შანსები არ გააჩნია,
რომ ერთადერთი, ვისი თხზულებაც ერთი თვით მასზე მეტ ხანს მაინც
იარსებებს,
სწორედ ისაა, ვინც სანაძლეოს ჩამოვიდა,
იმიტომ, რომ იგი მოკვდება.

მე მას ვუთხარი:
სწორედ იმ წელს, სქესის მოწოდება როცა ვიგრძენი,
ოცდაცხრამეტს და ორმოცს შორის,
მე ერთობ წარუმატებლად ვთარგმნიდი შექსპირის სონეტს:
"შჰალლ ცომპარე ტჰოე ტო ა სუმმერ'ს დაუ?"
დაბოლოებით: "ვიდრე ადამიანები სუნთქავენ,
ჩემი ლექსი იცოცხლებს
და მასში შენ იცოცხლებ".
და შენ,
ქალის სახევ, ამ ლექსთან ერთად დამთავრდები?
ახლა, როცა სუნთქვა იწურება,
განა დრო არ არის, პირობა
შესრულდეს?

ორასი სიგარეტი მოვწიე
მასთან გატარებული თორმეტი საათის განმავლობაში,
ოღონდ კი მასთან არ მეცხოვრა;
მისი სახე გიზგიზებდა,
სინაზით ჰყვაოდა,
მაგრამ ჩემში განიღვრებოდა
მხოლოდ ტკივილი კუჭის, ნაღვლის და ექსკრემენტის,
ხოლო შემდეგ – შიში და ექიმთან მისვლის სურვილი.
და კიდევ ეს მუხლის კიბო, სნეული მუხლი,

რის ყვირილი, აი, აქ მირტყი – ვეტყოდი ფაშისტს, მუხლზე მირტყი, - სადაც
კიბოა.
რამდენი ალიბი შეგროვდა საიმისოდ, რომ არ მიყვარდეს, ხოლო მას,
ტელეფონზე, დაუჟინია:
შენ თუ გაინტერესებს, რა მჭირს, დავძენ, რომ ის ბოლონიაშია,
რომ მას ახლა ფეხის ამპუტაციას უკეთებენ.
დიდი ხანია, არ მიზიდავს
სულის ავანტიურები, დიდი ხანია, გიზგიზი
მხოლოდ მაცარიელებს, და აღარ შემიძლია,
ოდინდელივით საკუთარ ტყავზე ვწერო ლექსები და ჩემივე დამარცხებებს
აღვემატო, ჩემი და მისი ბოლოსნინა განრისხებების
მნიშვნელობა გაეიზიარო, და ჩემი თავის სანუგეშებლად
ვუკითხო მორალი საყოველთაო სიკვდილის შესახებ.

მაგრამ თუ ეს ყველაფერი მკრეხელობაა,
ამ შემთხვევისთვის ბრეხტმა უკვე გვიანდერძა, ჩვენთა ძეთათვის
გადაგვეცა:
მოგვიტევეთ ჩვენი ეპოქა.

ედუარდო სანგვინეტი

* * *

ო (თქვა მან), შენ თუ სტრიქონს მაინც მომწერ;
ო (თქვა მან), თუ მომწერ,
არ დაგავიწყდეს იმის მონერა, რომ მე შენ გაპში გელოდებოდი, რომ მე
ვტიროდი, რომ ძალიან ვტიროდი;
თუ მართლა მომწერ (თქვა მან), ო, არ დაგავიწყდეს იმის მოწერა, რომ ჩემი
ძმა
ალესანდროც გელოდა და ტიროდა და ისიც ძალიან და რომ მე ის ღამე
სასტუმროში გადავიღამე;
არ დაგავიწყდეს მომწერო (თქვა მან), ო, არ დაგავიწყდეს მომწერო, რომ
პომპეიში
ყველა ამოწყდა;
რომ ფაშისტები ცუდები არიან;
რომ ციფრები არასოდეს არ მთავრდებიან...

ისლუკუნე, ისლუკუნე – მე შენ გიყიდი პლასტმასის ლურჯ ხმალს, მაცივარ
"ბოშ"-ს მინიატურული სახით, გამომწვარი თიხის ყულაბას, ცამეტხაზიან
რეეულს, "მონტეკატინის" აქციას;
ისლუკუნე, ისლუკუნე – მე შენ გიყიდი
აირნინალს, სატონიზებელი მიქსტურით სავსე შუშას,

რობოტს, ფერადსურათებიან კატეხიზმოს, გეოგრაფიულ რუკას
გამარჯვების ალმებით;
ისლუკუნე, ისლუკუნე – მე შენ გიყიდი უშველებელ
რეზინის კაშალოტს, საშობაო ნაძვის ხეს, ხის ფეხიან
მეკობრეს, დასაკეც დანას, ლამაზი ხელყუმბარის
ლამაზ ნამსხვრევს;
ისლუკუნე, ისლუკუნე – მე შენ გიყიდი საფრანგეთის ალჟირის
იმდენ მარკას, იმდენ ხილის წვენს, იმდენ ხის თავს,
იმდენ მავრის თავს, იმდენი მიცვალებულის თავს;
იცინე, იცინე – მე შენ გიყიდი
ძამიკოს, რომ შენ მას სახელით მიმართო, რომ შენ დაარქვა მას
მიქელე.

ეს ჩექმებიანი კატაა, ეს – ბარსელონური სამყარო
კარლოს V-სა და კლემენტ VII-ს შორის, ეს – ორთქმავალი, ეს – მოყვავილე
ნუშის ხე, ეს – ზღვის ცხენთევზა, მაგრამ ამ გვერდს რომ გადაფურცლავ,
ალესანდრო,
შენ ფულს ნახავ; ეს იუპიტერის თანამგზავრია, ეს – მზის
ავტოსტრადა, ეს – საკლასო დაფა, ეს – "ოეტაე ატინი
ევი ჩაროლინი"-ის პირველი ტომი, ეს – ყელიანი ფეხსაცმელი, ეს –
სიყალბე, ეს – ათენის
სკოლა, ეს – საღეჭი კუნთი,
ეს – აბორტი, მაგრამ ამ გვერდს რომ გადაფურცლავ, ალესანდრო, შენ
ფულს ნახავ;
აი, ესაა ფული,
ხოლო ეს – გენერლები თავიანთი ტყვიამფრქვევებით, ეს კი – სასაფლაო
თავისი საფლავებით, ეს კი – ბანკები თავიანთი სეიფებით,
ეს კი – ისტორიის სახელმძღვანელოები თავიანთი ისტორიებით,

მაგრამ ამ გვერდს რომ გადაფურცლავ, ალესანდრო, შენ ვერაფერსაც ვერ
ნახავ.

ფერნანდო პესოა

უთავბოლო ლექსები

ყოველდღიურად ნივთთა შემზარავი არსის აღმომჩენი ვხდები.
ნებისმიერი ნივთი არის ის, რაც ის არის.
მიჭირს გავუზიარო ადამიანებს, რა ბედნიერი ვარ ამ აღმოჩენით
და საკმარისია თუ არა იგი
არსებობის სისავსისათვის.

ბევრი ლექსი მაქვს დანერილი,
მომავალში უფრო ბევრს დავწერ...
და ყველა ლექსში ერთადერთის შესახებ ვსაუბრობ,
თუმცა ყველა ერთმანეთისგან განსხვავებულია.
ყოფიერების ნებისმიერი რეალობა ამ აზრის სისწორეს ადასტურებს.
ზოგჯერ ჩემი მზერა ქვას ეცემა,
მაგრამ მე არ ვფოქრობ, გრძნობს თუ არა ის ამას,
არ ვცდილობ იგი ძმად მოვნათლო,
უბრალოდ მომწონს, იმიტომ, რომ ისაა ქვა,
მომწონს, იმიტომ, რომ არაფერს არ გრძნობს,
მომწონს, იმიტომ, რომ ის მე არ მგავს.

ზოგჯერ მე ვუსმენ, როგორ ქრის ქარი.
მე ვთვლი, რომ დაბადება ნამდვილად ღირს, თუნდაც იმისთვის, რომ ქარი
იგრძნო.
მე ვიცი, რასაც იფიქრებენ ადამიანები, როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავენ,
მაგრამ, ალბათ, მოეწონებათ, ვინაიდან ჩემთან ეს აზრები თავისით
მოდიან...

მე არ მეშინია, რომ სხვები ჩემს აზრებს მალვით მოისმენენ,
რადგან ისე ვფიქრობ, როგორც მეფიქრება,
ისე ვამბობ, როგორც ჩემი სიტყვები ითქმიან.

ერთხელ პოეტ-მატერიალისტი მიწოდეს.
მე გამიკვირდა, იმიტომ, რომ არ მეგონა,
თუ შეიძლებოდა ჩემთვის ასე ეწოდებინათ.
მე არ ვარ პოეტი, უბრალოდ ვცოცხლობ:
თუ ღირებულია ის, რასაც მე ვწერ, სამაგიეროდ მე არ გამაჩნია ეს
ღირებულება.
ჩემი ნიჭი აქ, ჩემს ლექსებშია.
ისინი სრულიადაც არ არიან ნებაზე დამოკიდებული.

შენ ამბობ, რომ ცივილიზაცია უვარგისია,
ყოველ შემთხვევაში თავისი დღევანდელი სახით.
შენ ამბობ – ყველა ადამიანი იტანჯება – ყოველ შემთხვევაში
დიდი ნაწილი – საქმის ასეთი ვითარების გამო.
შენ ამბობ – თითქოს, სხვანაირად რომ ყოფილიყო, -
ტანჯული ცოტა იქნებოდა.

მე გისმენ და არ მესმის შენი.
ან რა აზრი აქვს, რომ მესმოდეს?
რომც მომესმინა – ვერაფერსაც ვერ გავიგებდი.
ყველაფერი რომ სხვანაირად ყოფილიყო – ყველაფერი მხოლოდ
სხვანაირად იქნებოდა.
ყველაფერი რომ შენებურად ყოფილიყო – ყველაფერი შენებურად
იქნებოდა და მეტი არაფერი.
ვაი შენ და ყველა შენნაირს, რომელმაც სიცოცხლე
ბედნიერების შემოქმედი მანქანის გამოგონებას შეალია.

თუ ჩემი სიკვდილის მერე ვინმე
ჩემი ბიოგრაფიის დაწერას მოისურვებს – ეს ძალიან იოლი იქნება.

ორი ძირითადი თარიღია – ჩემი დაბადების და გარდაცვალების.
ამ თარიღებს შორის – ჩემი ყველა დანარჩენი დღე და საქმეა.

ჩემი აღწერა იოლია.
სამყაროს ვჭვრეტდი გამონწელილვით – როგორც შეშლილი.
ყოველი არსებული მიყვარდა სიყვარულით, მაგრამ არა –
სენტიმენტალურით.
არ გამაჩნდა განუხორციელებელი ოცნებები, - არ შევმცდარვარ.
"მოსმენა" ჩემთვის ყოველთვის "მზერის" დამატება იყო.
მე გავიგე, რომ ქვეყნად ყველაფერი რეალურია
და არც ერთი ნივთი მეორეს არ ჰგავს:
ამას გონებით როდი მივხვდი – თვალით გავიგე,
სხვანაირად მათ შორის განსხვავებას ვერ დავინახავდი.

ერთხელ დაძინება მომინდა – ბავშვივით.
დავხუჭე თვალები და მშვიდად დავიძინე.
და კიდევ: ბუნების პოეტი ვიყავი,
ერთგვარად – ერთადერთი.

ვარაუდების შექმნა ამისა და ამის შესახებ – მეც შემიძლია.
ყველა ნივთშიარაღაც ისეთი, რაც მისი არსია,
და სწორედ ის ანიჭებს ნივთებს სიცოცხლეს.
მცენარეში ჩვენ მას შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ – პაწია ნიმფას.
ცხოველში იგი სიღრმეებში დამალული არსებაა.
ადამიანში ესაა სული, მასთან ერთად განუყოფლად არსებული.
ხოლო ღმერთებში ესაა რაღაც, რასაც სხეულის ზომა აქვს
და სივრცეშიც იგივე ადგილს იკავებს, რასაც – სხეული.
სწორედ ესაა მათი სხეული.
ამიტომაც ვამბობთ, რომ ღმერთები უკვდავნი არიან.
ღმერთები არ შედგებიან სულისგან და ხორცისგან.
მათ მხოლოდ ხორცი გააჩნიათ, და ის სრულქმნილია.
მათთვის სხეული სულია,
ხოლო მათი ცნობიერება მათსავე ღვთიურ სხეულშია.

მისალმება უოლტ უიტმენს

პორტუგალია – ყველგან – ყოველთვის, ათას ცხრაას თხუთმეტი წლის
თერთმეტი ინვისი...

ელა-ა-ა-ა-ა-ა!

აქედან, პორტუგალიიდან, სადაც ჩემს ტვინში ყველა ეპოქა ერთიანია,
მოგესალმები, უოლტ, სამყაროსმიერო ძმაო, -
მე, მონოკლით და კოხტა პიჯაკით,
შენი ღირსი არ ვარ, უოლტ, და შენ ეს იცი,
არ ვარ ღირსი სალამი გიძღვნა, არც მეღირსება...
ერთობ ხშირად ვარ მონყენილი, ინერციაც ზედმიწევნით ბევრია ჩემში,
მაგრამ მე შენი ჯილაგის ვარ, შენ ეს იცი, მე მესმის შენი, მე შენ მიყვარხარ,
და არ გიცნობდი თუმცა იმ წელს, მე რომ გავჩნდი, შენ რომ კვდებოდი,
მაგრამ მე ვიცი – შენც მიცნობდი და შენც გიყვარდი, - აი, ჩემი ბედნიერება,
ვიცი, - უნყოდი ჩემს შესახებ, დამინახე და შემიცანი,
მე ვიცი, რომ ეს მე ვირავი, თუნდაც ბრუკლინში, ჩემა გაჩენამდე ათი წლით
ადრე,
თუნდაც რუა-დე-ოუროში, იმ ყველაფერზე განაზრების ჟამს, რაც აქ, რუა-
დე-ოუროში არ იპოვება,
და მეც ისე ვგრძნობ, როგორც შენ გრძნობდი, მაშ ჩამოვართვათ ხელი
ერთმანეთს,
ერთმანეთს ხელი ჩამოვართვათ, უოლტ, ხელი გამომიწოდე, ხოლო სამყარო
ჩვენს სულებში დაიწყებს როკვას.

ო, ყოველთვის თანამედროვევ და აბსოლუტის კონკრეტულობის
მარადიულო მომღერალო,
ხრწნადი სამყაროს ვნებიანო საყვარელო,
ნივთთა ლპობაში მონანილე დიდო გარყვნილო,
ხით, ქვით, ქვით, კაცით თუ პროფესიით სწრაფაგზნებადო,
მაცნევ ამბების, შემთხვევითი შეხვედრების, სერიოზულ დაკვირვებათა,
შენს მხრებს ეყრდნობა ყველაფერი, უმთავრესო ამტეხო ჩემო,
თვით სიკვდილისთვის გადამსწრებო დიადო გმირო,
ამოკივლებით, ბღავილით და ბდღვინვით ღმერთის მადიდებელო!

საყოველთაო სისათუთის და უმკაცრესი ძმობის მეხოტბევ,
უდიადესო დემოკრატო, სულით და ხორცით ყოველივეს თანაზიარო,
მონამოქმედთა კარნავალო, და თემების ბაკქანალიავ,
ტყუპისცალო ყველა გარღვევის,

ჟან-ჟაკ რუსოვ მანქანების შემოქმედი ამ ბუნებისა,
ჰომეროსო თითქმის უხორიო, გამსხლტომი ხორცის,
შექსპირო ორთქლის ქვაბს მიწევნილ შეგრძნებებისა,
ჯერარნახული ელექტრობის ჰორიზონტის შელი, მილტონო!
ნებისმიერი მზერის პლანეტავ,
გარდუვალო კრუნჩხვავ ყველაფრის, რაშიც ძალები გაიღვიძებენ,
ნაქირავებო საყვარელო ამ სამყაროსი,
კახპავ ვარსკვლავურ სისტემებისა...
გაუთავებლად ვკოცნი შენს პორტრეტს!
იქ, სადაც შენ ხარ(სად – არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ უფალთან ხარ),
შენ გრძნობ ჩემს კოცნებს, გრძნობ მათ ნაღდ ჟინს(როდი მრცხვენია),
და, სულერთია გინდა თუ არა, შენ გსიამოვნებს და, ცხადია, მადლიერი ხარ,
ამის შესახებ საიდანღაც მეც შემიტყვია, და ჩემი სული სიხარულით სავსეა
ახლა.
არ დაგერქმევა მიმზიდველი, მაგრამ სანაცვლოდ ციკლოპური და
კუნთძლიერი ხარ,
დამფრთხალ ქალს ჰგავდი შენ ყოველთვის სამყაროს თვალში,
მაგრამ ბალახი ნებისმიერი, და ქვა, და კაცი ნებისმიერი, შენთვის ხშირად
სამყარო იყო.

ევოე, ბებერო უოლტ, ჩემო დიადო ამხანაგო!
მონაწილე ვარ თავისუფლების საამო გრძნობის შენეული ბაკქანალიის,
ლანჩებიდან სიზმრებამდე შენი საძმოს წევრი გახლავარ,
მიყურე, შენი საძმოდან ვარ, შენს წინაშე ვარ, მაშასადამე, ღმერთის
წინაშეც:
გარეგნობა – შიგნეულობა... ჩემი სხეული შენთვის მხოლოდ ვარაუდია,
მაგრამ სულს ხომ იოლად ხედავ –
მიყურე: აი, ეს მე გახლავარ – ალვარო დე კამპოსი, საზღვაო ინჟინერი,
პოეტი-სენსაციონისტი,
და მე არ ვარ შენი შეგირდი, არც – მეგობარი, და არც – შენი პანეგირისტი,
შენ იცი, რომ მე უბრალოდ შენ ვარ, და შენ ამით კმაყოფილი ხარ!

მე შევისწავლე სტრიქონ-სტრიქონ შენი ნაკითხვა...
მათში ყველაფრის სისავსეა, რაც გრძნობებისთვის მისაწვდომია...
ვაპობ შენს ლექსებს ისე, როგორც ბრბოს, რომელიც გარს მომეჯარვის,

და ოფლისა და მანქანის ზეთის სუნებს რომ ვისმენ, კონკრეტული საქმე
მწყურია;
შენი ლექსების წამკითხველი, სიმაღლეს ვერწყმი, და ვკითხულობ თუ
ვცხოვრობ, არ ვიცი,

ნეტა სადაა ჩემი ადგილი – რეალობაში თუ შენს ლექსებში.
არ ვიცი, როცა მინაზე ვდგავარ, მართლა ასეა
თუ ჩემთვის უცნობ მანქანაზე თავდაყირა დავკიდებულვარ,
თანამედროვე ჭერზე შენს მიერ გამოგონილი ხალხებისა,
შენი უსაზღვრო ენერგიების ჭერის შუაგულში.

ჩემს წინაშე ყველა კარი უნდა გაიღოს!
იმის ძალით, რომ უნდა შევიდე!
ჩემი საშვი? უოლტ უიტმენ!
თუმცა საშვი რა საჭიროა...
დაუკითხავად შევაბიჯებ...
თუ საჭიროა, ჩამოვხსნი კარებს...
დიახ, რა მიგავს მყიფესა და ცივილიზებულს,
ჩამოვხსნი კარებს, ვინაიდან სწორედ ახლა მისხალითაც არა ვარ მყიფე,
ვინაიდან მოაზროვნე სხეული ვარ და – სამყარო, გზას რომ მოითხოვს,
დიახაც შევალ, ვინაიდან თუ შესვლა მსურს, მაშასადამე უკვე ღმერთი ვარ!

ჩემს სავალ ბილიკს მოაშორონ გარდასული დროის ნაგავი!
ფურგონებით გაიტანონ ემოციები!
თავიდან მომწყდნენ პოლიტიკოსები, ლიტერატორები,
მშვიდობიანი კომერსანტები,პოლიცია,გოგოები თავიანთი პარტნიორებით,
ეს ყველაფერი, რაც ასოა სიკვდილის მაცნე, და არა გონი მაცოცხლებელი,
ამ ნამს სიცოცხლის მომნიჭებელი გონი – ეს მე ვარ!
ვერავის შვილი... გზას ვერ დამიჭერს!
ვიდრე ბოლომდე არ გავსულვარ, ჩემი გზა სადღაც უსასრულოდ
მიეფინება!
შევძლებ თუ არა ბოლომდე გასვლას, შენ ეს არ იცი,
და ეს ჩემთვისაც უცნობია, ალბათ – ღვთისთვისაც, უსასრულობის
ჩემმიერი გაგებისათვის...

მოკლედ, გავწიოთ!
დეზები – ფერდებს!
აი, დეზები; მე ვარ, ცხადია, ჩემიე ცხენი, ჩემზევე ვჯდები,,
მრ ხომ ჩემივე ნებით ვერნყმი ღმერთს სუბსტანციით,
შემიძლია ვიყო ყოველი, ან – არაფერი, ან სულაც – რაღაც,
როგორც ვისურვებ... ეს არავის მოეკითხება...
სიგიჟე, ცოფი! შეიძლება ისკუპო და შეიძლება იწივლო კიდეც,
იღრიალო და იყვირო და გაჭენდე და ყირაზე დადგე, მთელი ტანით
ამოიბღავლო,
ოთხთვალას ბორბლებს ჩაეჭიდო, ქვეშჩაუვარდე,
გაუწვე წკეპლას, რომელიც ახლა წუთი-წუთზე გაიწუილებს;

და იყო ძუკნა ნებისმიერი ხვადი ძაღლის, - მაგრამ ისინი არ გეყოფიან, -
იყო ყველა მანქანის საჭე, - მაგრამ სიჩქარე დასაზღვრულია, -
იყო გათელილ-მიტოვებული, გადაგდებული, დამთავრებული,
მეცეკვე, უოლტ, იმ ქვეყნიდან, გადაირიე,
ბატუტზე ერთად ვიხტუნაოთ, ერთად გავფრინდეთ ვარსკვლავებისკენ,
დაენარცხე მიწას უმწეოდ,
ჩემთან ერთად შეასკდი კედლებს,
ჩემთან ერთად ნამსხვრევებად გადაიქეცი,
ყველაფრისათვის, ყველაფერში, ყველაფრის ირგვლივ, საერთოდაც
უამყველაფროდ,
სწორედ მალშტრემის აბსტრაქტული უფსკრულია საცნაური სულის
სიღრმეში...

დიახ! გავწიოთ!
და რომც არ დაგვრთოს ღმერთმა ნება, მაინც წამოდი... სულერთია...
სულერთია, რისთვის... გავწიოთ!
უსასრულობა! და სამყარო! და საზღვარი საზღვრის თვინიერ! რატომ
სხვაგვარად და არა ასე?

(მოდი, ერთი, ჰალსტუხს მოვიხსნი, საყელოს გავიღეღავ,
ცივილიზაციის ენერგია იღუპება თოკნაჭერილი კისრის თვალზე...)
ახლა გავწიოთ, აი, უკვე წინ მივაბიჯებ.
ჩირაღდნიანი-მარშით-ევროპის-უკლებლივ-ყველა-ქალაქის-გავლით,
დიდებული საბრძოლო მარშით, კომერცია აქ მოცლილია,
დიდი გარბინი, დიდი ზესვლა, თავქვე დაშვება
ყვირილით, ხტომით – ჩემს გარეშეც მრავლად არიან –
ვხტები, რომ გაქო,
ვბუბუნებ, რომ ხოტბა შეგასხა,
ვამსხვრევ ბორკილებს, იოლია ჩემთვის ხტომა და თხემის ძვალზეც იოლად
ვდგები, მალაყს გადავალ შენს სადიდებლად!
ამიტომაც მოგმართავ ასე:
ჩემი ყველა ლექსი ნახტომია, ჩემი ყველა ლექსი მალარია, ზოგჯერ კი –
კრუნჩხვა,
ყველა ჩემი ლექსი ისტერიული შეტევაა,
ყველა ჩემი ლექსი შუაა ცხენია ჩემი ნერვების ოთხთვალასი.
როცა ვეცემი, მაშინ ვხდები შთაგონებული,
სწორი სუნთქვა არ ვიცი, მაგრამ მყისიერად ექსტაზი მიპყრობს,
ჩემი ლექსები, არსებითად, ნარმოადგენენ სიცოცხლის სახელით აფეთქების
შეუძლებლობას!

ყველა სარკმელი გამოხსენით!
ყველა კარი გააცამტვერეთ!

დაიძარით, სახლებო, ჩემზე!
მე მინდა ვიყო თავისუფალი და ჰაერზე ვიცხოვრო მინდა,
მინდა, რომ ჩემი ეს ნიღბებიმოშორდნენ სხეულს,
და წვიმასავით კედელ-კედელ სირბილიც მინდა,
დაე, როგორც ქვა, ფართო გზებზე მტკეპნონ ნიადაგ,
მინდა დავიხრჩო ზღვაში, როგორც მძიმე არარა,
მინდა აღვივსო ავხორცობით, - სხვათაშორის, ჩემთვის უკვე
მიუნვდომელით!

არ მსურს კარებზე საკეტები!
კომოდებზე რაზები არ მსურს!
მსურს ხელის შეშლა, გზებზე თრევა, მსურს უმიზნოდ ვიხეტიალო,
მინდა შეშლილი ნაწილი ვიყო ვიღაცის, რაღაც ჩემთვის საავსებით უცხო
სხეულის,
მინდა წყალში გადამიძახონ,
მოიძებნოს გარყვნილი სახლიც,
ოღონდ არ ვიჯდე საუკუნოდ, არ ვიყო ნუნარი,
ოღონდ არ დავრჩე მარტოოდენ ლექსების მთხზველი.

დაიქცეს წყვეტადობა სამყაროში!
გაჩნდეს ყველა ნივთის, ყველა მატერიის ურთიერთშეხება!
ფიზიკურ სხეულთა სულებმა
არა მარტო ფიზიკურად, არამედ ესთეტიკურადაც იდღესასწაულონ!

მე მსურს გავფრინდე და თვალუწვდენელ სიმაღლეებს ვეთხოვებოდე!
ყუმბარასავით ვიყო ნასროლი!
არ ვიცოდე, სად დავყოვნდები... გატაცებული ვიყო უცხო ნაპირებისკენ...
აბსტრაქცია, აპოგეა – დასასრული როგორც ჩემი, ისე – ყველაფრის!

რკინის მოტორია ისტერია!
უსაფეხუროდ ზემოთ ამყვანი ექსკალატორი!
ჰიდრავლიკური წნეხი, დამფლეთი გამომპალი შიგნეულისა!
დამადონ ფეხზე ბორკილები – მე მათ დავამსხვრევ!
კბილით დავგლეჯ, რომ ღრძილიდან სისხლი მდიოდეს,
მაზოხისტური სიხარული, სისხლის სპაზმები, ცოცხლადყოფნის
დადასტურება!
მეზღვაურებმა დამატყვევეს,
გამიკოჭეს ბნელში ხელები
და გონებას ვკარგავ დროებით,
მიედინება ჩემგანსული კარცერის ძირზე,

და შეუძლებელი ჭრიჭინა ჭრიჭინებს, ჩემი ბალღამი.

მაშ ასე, თავი აინყვიტე, შეხტი, გაჭენდი,
სინითლემდე-გახურებულო-პეგასო ჩემი მღელვარე ტანჯვის,
მოტორთა თვლებზე მიმიჩინა ბედმა აგილი!

* * *

ყველა სატრფიალო ბარათი
სასაცილოა.
არ იქნებოდა ეს ბარათები სატრფიალო,
სასაცილო რომ არ ყოფილიყო.

მეც მინერია თავის დროზე სატრფიალო ბარათები,
და ისინი, როგორც ყველა სხვა,
სასაცილო იყო.

სატრფიალო ბარათები, თუ მართლა გიყვარს,
სასაცილო
უნდა იყოს.

თუმცა, არსებითად,
მართლა
სასაცილო
მხოლოდ ის ხალხია,
ვისაც სატრფიალო ბარათები არასოდეს დაუწერია.

განა ისინი უპასუხებდნენ ჩემს ბარათებს –
მაშინ, როცა ჯერ ისევ ვერდი –
ბარათებით, რომლებიც ასევე
სასაცილო იქნებოდა?

დღეს რომ ვიხსენებ,
სიმართლე ითქვას,
ჩემი სატრფიალო ბარათები
სასაცილო იყო.

(ყველა განსაკუთრებული სიტყვა,
როგორც ყველა განსაკუთრებული გრძნობა,
თავისთავად იგულისხმება,
სასაცილოა).

ჟორჟი დე სენა

ეპილოგი

როცა ამ ლექსებს დაძველებულად მიიჩნევენ
და სასაცილო იქნება მათგან რაიმეს მოლოდინი:
ახალი სამყარო, ჯერ ნანატრი, ხოლო შემდეგ დაუნჯებული,
იმდენად შეიცვლება, რომ გარდაუვალი გახდება
ახალი ლექსები –
ნიშანი იმისა, რომ კვლავ დამძიმდა სიცოცხლე და
სიხარულით და ფორიაქით მუცლად იღო კიდევ ერთი ახალი სამყარო,
მშვენიერი და სრულყოფილი მხოლოდ მისი სამშობლოს თვალში.

ხოლო სიცოცხლეს, ამ უცოდველ მეძავს, თვალები
ჟამიდან ჟამზე დედობრივი მზრუნველობით გაუბრწყინდება.

ქალაქი

უზარმაზარი, ღრუ, მბრძანებელი,
მიიკლაკნება ნაპირისკენ,
გზად ვარდისფერ კლდეებს მიმოფშვნის,
მისგან ლტოლვილი ზღვის მაძიებელს
მრისხანებას წყვდიადი თუ შემოუნიღბავს.

მორჩილად მოაქვს მდინარეს ტვირთი: წელში მოხრილი

შენობები, აქერცლილი, ჯერი-ჯერზე გამოთაღული,
მომაკვდავად ჩამოგდებულპროფილიანი,
და მდინარეს გემებიც მოაქვს.

ცაზე ღრუბლები მიცურავენ, შორეულები,
მზე ამ ღრუბლებს ზღვას მიალურსმავს.

გადამფრენი ფრინველების შესახებ

ფრინველების აჩრდილები გადაიფრენენ –
მხოლოდღა წამი, აქ, ჩემს ირგვლივ, დედამიწაზე.
მერე, როცა ზაფხული აშლის,
და სადღაც უცხო ნაპირებზე დასახლდებიან,
ყარიბ ფრთოსანთა ხმოვანებას
სიმყუდროვის ნივილი შეცვლის.

მხოლოდღა წამი. მათი ფრენა უსწრაფესია.
ხოლო როცა შორეული საზღვრებიდან მოიქცევიან,
კვლავ შენელდება მათი სიცოცხლე; და ნუთუ ახლა მე ვუმზერდი
მხოლოდ აჩრდილებს? ო, არა, მათზე მოგონებებს.
აჩრდილების ხსოვნას კი არა, ამ გადამფრენ ფრინველებზე მოგონებებს
ვუთვალთვალებდი.

ნათლობა

ყველაზე ძნელი სიყვარულზე დაწერილი ლექსებიდან ის ლექსებია,
სიყვარული სადაც აზროვნებს.

ფიქრებში გართულს ავიწყდება,
ავიწყდება, რომ არ არსებობს, და მონუსხული მისჩერებია
ბრიზის სუნთქვაში გაბრწყინებულ იდუმალ ნათელს.

იფიქრე, იფიქრე, სიყვარულო,

იქნებ მართლა მოიფიქრო ის სახელი, სხივს რომელიც დაასახელებს.

თეოლოგიური ჯამი

მე არ მოვსულვარ შორეთიდან, ძვირფასო, და არც
ხომალდებს ნთქავდა ოკეანე, როცა მე გავჩნდი.

არც რამ შეცვლილა. გრძელდებოდა ისევ ომები.
პურზეც ფასები იზრდებოდა კვლავინდებურად,
ხოლო პოეტებს სიყვარულის გამოცანით ნამებული
სხვა, ახალი პოეტები უერთდებოდნენ.

არადა ამ დროს, საიდუმლოდ და ნამიერად,
ბერდებოდა უთვალავი ადამიანი.

და უცნობია დღემდე, ძვირფასო,
ჩემი მიზეზით მოხდა ეს თუ
სხვათა მიზეზით, ქვეყნიერებას
ჩემთან ერთად ვინ მოევლინა.

ბედნიერება

მთელი დღეების განმავლობაში ფანჯრის რაფასთან უქმად იჯდა
ბედნიერება.

ბედნიერებას მოჟამული სახე ჰქონდა
ბავშვის,
რომელიც არავის უყვარს.

მას მოსწონდა უსაქმოდ ჯდომა

ან – როცა ვინმეს შეუმჩნევლად უღიტინებდა.

მაგრამ ის მაინც ბავშვი იყო
და თავის სახელს გაიაზრებდა როგორც რაღაც ძალზე იდუმალს.

მონანიება

განა მნიშვნელოვანია, რომ დამივიწყებენ
და რომ არავის ვუყვარდი?

განა მნიშვნელოვანია, რომ არ იქნება არც კაცობრიობა როგორც ასეთი,
არამედ მხოლოდ ერთეულები –
გაჩნდებიან თავ-თავისთვის, იცოცხლებენ და მოკვდებიან –
თანმიმდევრობით?

ადამიანები ხომ ასეთები არიან: ეძებენ სიკეთეს,
და ჰპოვებენ რაღაც უფრო მეტს,
ისე ნაზები არიან, რომ დაცემასაც ვერ ახერხებენ;
ხოლო მე ისე უნიჭო ვარ, უაზრო და გაუგებარი,
რომ ისინი, მზად ვარ, ჩემი ნებით მიყვარდეს.

მარადისობა

მომეახლები,
უმცირესი, როგორც უფალი,
არამყარი, როგორც მიწა,
მოკვდავი, როგორც სიყვარული,
ცრუ, როგორც სხივი,
აი, მიგიღე,
საკუთარ თავს დიდება რომ გამოვუგონო,
გარს რომ ვუვლიდე ჩემს იმედს და
მოციმციმე შიშველ ვარსკვლავებს.
შენ, სნორედ ახლა გაჩენილო, თან გამომყევი.

უტყვი ფიქრის ჟამს უეცარი ბასრი ტკივილი –
ასე დგებიან შენი მსუბუქი გაღიმებით ფენილი წამები.
როგორ მჭირდება მტრედისფერი ბოჭკოებით გარემომცველი კვამლის
მილმა ვმზერდე ამ
ღიმილს.
როგორ მჭირდება ვმზერდე კვამლის და ქვანახშირის ტკრციალის მილმა!
აი, ახლა ჩემთან არიან შენი ღიმილით ფენილი წამები,
და ნებას მომცემ, ასე ამოვთქვა:
შენ, უსწრაფესად წარმავალო, ძნელი იყო და ტკივილიანი,
როცა მრავალჯერ მოველოდი მე ამ ბრბოში შენს გამოჩენას
მაშინ, როცა ზარები რეკდნენ,
მაგრამ ურიცხვ სიარულს შორის არ იყო შენი...
ზარები რეკენ, და ჩემთვის ისე საჭიროა ახლა სუნი სანელებლების
და მოხრაკულის, ყველით და ცხარე საწებლით რომ მოამზადე...
ხოლო მერე – ისევ წამები, ჩემი თვალის გუგებში რომ შენ გაიელვებ,
და ჩემი ხელი ჩამოეყრდნობა იმ სავარძლის ჩალის სამკლავურს,
შენ რომლითაც ეშვები ცაში, რომელიც მხოლოდ მათხოვრული ჭუჭყით
ერწყმის
უბადრულ მიწას.
დგებიან დღეები მოლოდინთა და დღეები წამთა,
მოლოდინთა და წამთა,
წითელი ზონრით დაკიდებულ ძველ საათში
მიმქროლავ წამთა,
საათში, ოცი წელიწადი რომ მდუმარებდა,
ოცი წელი, აგებული მოლოდინის დღეებისგან და წამებისგან;
აი, ეს წამიც, ბოლოს და ბოლოს,
ღარიბთათვის სამასპინძლო, საზეიმო
ვახშამზე რომ მეპატიჟები,
ზამთარი ფერმის სახურავზე მასპინძელია,
და მიხმობ პურზე, გადათხრილ და აყრილ გზებზე სიცივისთვის
განწირულებს რომ უზიარებ,
თუმცა რომლებიც – პოეტებს თუ დაეჯერებათ –
ეკუთვნიან ნისლის ციმციმში მოუსმენელ შენს ნაბიჯთა იდუმალებას.
როცა ზარები ჩამორეკენ, ნება მომეცი ავანთო კანდელიაბრი
და დიდი ხნის წინ გაბზარულ თეფშზე სოუსი დავასხა
და შენ მაშინ მოულოდნელად გადაგეღერება უმიზეზო სევდის სიცივე,
იმ შორეული სიყვარულის უსაზღვრო სიცივე,

რომელმაც გაანათა დაგვილი სადარბაზო,
სადაც შენთან შესახვედრად ორი პატარა ბიჭი გამორბის,
შენს ზარებთან შესახვედრად,
კიბეებს შორის ყველაზე უფრო ნათელი კიბით,
მზის ამრეკლავი შენი მზერის ქვეშ აყვავებულ
ორ მიტოვებულ მინდორს შორის რომ გაჭიმულა,
იმ ცის სიღატაკეზე მოუბარ მზერის ქვეშ,
რომელსაც ფაბრიკების ბინდბუნდში რაღაცას შესჩურჩულებს მშიერი
ხალხი,
და ორი პატარა ბიჭი კვალს ტოვებს მიწაზე,
შენი ეკიპაჟის თვლების ნაკვალევთან,
ხოლო ქარი მათ ნიადაგ შლის,
გადაუფრენს და კვლავ ბრუნდება, საბოლოოდ რომ გადაშალოს.

იქ, სადაც არაფერია

თვით სიკვდილიდან ეშურება ჩემთან შეხვედრას
ხმა, რომელიც შველას მოითხოვს.
მაგრამ არ მესმის სასიკვდილო ხრიალის ხმები.
ვერც ჰოსპიტლის საწოლებს ვხედავ, ვერც – ბრძოლის ველებს.
ვერ ვხედავ ვერც ზღვას, ჯერაც ცოცხალ ხორცს უამრავი თევზის პირით
რომ ანაკუწებს.
ვერ ვხედავ შახტებს თავიანთი გალერეებით, ვერც – სანარცხეენს.
ვერ ნარმოვსდექი
შორეული ქანაანის უდაბნოდან მოსეს თვალებში.

ხმა მეყურება სიკვდილიდან, სადაც უკვე არაფერია.
მე მესმის იგი, მდუმარე და მავედრებელი,
მარად მწუხარე: ხან – ძლიერი, ხან – უფრო სუსტი.

გარემოიცავს იგი ჩემს გულს, გამოსავალს ჯიუტად ეძებს,
ამბობს, რომ უნდა – სიკვდილივით – ძარღვებში შეჭრა.

მაგრამ გულის გახსნისთანავე, ჩივილი უფრო ძლიერდება,
და ისეთი გულსაკლავი ყვირილით წვალობს,
გული სინაზით იკუმშება და არა – შიშით.

და კვლავ უწყვეტი, მოქვითინე ხმა მეყურება –
ხან უფრო მძლავრად, ხან უფრო ყრუდ
მწუხარების ამომთქმელი. და რით ვუშველო?

ის სიკვდილიდან ეშურება, სადაც უკვე არავინ და არაფერია,
ის, სასიკვდილოდ მოხრიალე, წყევლა-კრულვით შემჩვენებელი,
მოცოცავს ჩემთან შესახვედრად, მიშველეო, ხოლო ჩემთვის ეს არავის
უსწავლებია,
მოსეს თვალები უკვე წყნარად იხურებიან –
არასოდეს ამ თვალებში მე არ ვიქნები.

დაუფლება

წაგრძელებულ ჩემს ტორსს შავმა თოლიებმა გადაუფრინეს,
ხანად უხეში, ხანად ნაზი ტალღების ალერსს მიცემული მოლოს კიდეზე
მზის ჩასვენებას მოელიან; ხოლო ტალღები
ჰგვანან სიყვარულს, რომელიც ურვით ილტვის, რომ მისწვდეს
და დაიძიროს ღმერთში, რომელსაც შეიგრძნობენ დაუფლებული
სიკვდილის ზღვართან,
როცა ტალღები თავისავე ნაკუნებში ჩაიმსხვრევიან,
და სიმაღლისკენ აღაპყრობენ – აფრენასა და
ვარდნას შორის ქაფის ქოშინში –
მარადიულთან შეხვედრისთვის და სიღრმეებისთვის დაკარგულ თვალებს,
და მაშინვე ახალ უფსკრულებს, ჩამავალი მზის უფსკრულებს უბრუნდებიან.
დაკიდებული კლდეები და მეწამული – მრავლად – ღრუბლები,
და არ ყოფილა არასოდეს ამდენი ჟანგი
წყალზე,
ქვიშაზე,
ღია მოლოზე, არასდროს რომ არ უნყოდა სიცარიელე.
მაგრამ გაისმის კვლავ ახალი სიხარულის შეძახილები.
ცის შრეებში აჭრის გამო სიხარულია,
ნებიერად ქარს მინებების,
ხოლო მერე – უკუვარდნისას –
ქანცმიხდილი იალქნების და დედამინის
ზემოდან ხილვის
და ვარდნის გამო უმაღლესი აღტაცების ამოძახილის...

ხორცის მოკვდავი მწუხარება, რა თქმა უნდა, უმაღლესი სიხარულია,
სიკვდილის ძილის წინაშე მისი უმეცრების გამო წუხილი.
მაგრამ არასდროს მწუხარებენ: მიწა, - რომ გარბის,
ქვიშა იმედის
და დაისების,
შუქმფენი ქვიშა
იქაურსა და აქაურს შორის ხვევნა-ალერსის,
და, წყალს რომ ათბობს, მზეც მწუხარების თვინიერ ჩადის,
უკანასკნელი თოლიები მასთან შეხვედრას ეშურებიან,
მწვანე გულ-მკერდით.
მწუხარება!.. გაბედვის ჟამი!
და ერთადერთი ტალღა მაინც
უხმაუროდ უნდა დაიმსხვრეს.

ხელოვნური სამოთხე

ჩემს მიწაზე არაა მიწა – მხოლოდ ქუჩებია,
ჩემს მიწაზე ყველა გორაკი ვილაცას ეკუთვნის და
მოგება მოაქვს.

ჩემს მიწაზე არაა მოყვავილე ხეები,
ყვავილები, უბრალოდ, იშვიათობაა და პარკებში ერთ თვეში ჭკნება.
სამაგიეროდ არის ფესვების და ტოტების საჭრელი მანქანები.

სიმღერის არაფერი სცხიათ ჩიტების სიმღერებს,
გამონაკლისია კანარის ჩიტი – კანარის ჩიტი მესამე სართულზე
და თითიყუში მეშვიდეზე,
ქარის მუსიკა კი ქოხმახებში ჩამოყინულა.

ჩემს მიწაზე არაა ქოხები,
როგორც სპარსეთში, ჩინეთში
და სხვა ზღაპრულ ქვეყნებშია.

არა, ჩემი მიწა არაა ზღაპრული.
სიცოცხლე – აი, რაა ზღაპრული ჩემს მიწაზე.
ზღაპარი, რომელსაც ვერ მოყვები.

სემუელ ბეკეტი

Cascando

1.

იოლად რატომ არ გვეკარგება
იმედი სიტყვის ნაკადის და
შემთხვევითობის

უნაყოფობას რით ვერა სჯობს მუცლის მონყვეტა
მას მერე რაც შენ აღესრულე დროო ტყვიისა
ცოცვა სჩვევიათ უსწრაფესი საათის კლანჭებს
ბრმად მიბღაჭნიან სიცარიელეს
აშფოთებენ სიყვარულის ფერფლს
თვალის ფოსოებს ჩაფრენიან ერთ დროს საესე შენი თვალისას
რით ვერ სჯობს ადრე ვიდრე არასდროს
არყოფნას მიაქვს სახეები და იმეორებს
არ ნაართმევენ შეყვარებულებს ცხრა დღეს
არც ცხრა თვეს
არც ცხრა ცხოვრებას

2.

გამეორებულს
თუ არ მასნავლი მე ვერ ვისნავლი
რომ ვმეორდებით
ლოცვის დროთა და
ტრფობის დროთა და

უკანასკნელ დროთა შორის დროა ისევ უკანასკნელი
იმ დროთა შორის როცა იცი რომ არრა იცი და თავს იქაჩლებ
უკანასკნელთა შორის დროა უკანასკნელი არსებობენ როცა სიტყვები
და შენ თუ მე არ შემიყვარე სხვა არავინ არ შემიყვარებს
თუ მეყვარები სხვა არავინ არ მეყვარება
გულში სიტყვების დომხალია
სიყვარული სიყვარული სიყვარული დრომოჭმული დგუში ნკლაპუნებს
და თქვეფს იგივე
შრატს სიტყვებისას
და ისევ ისე საშინელია
რომ არ ვიყო შეყვარებული
ანუ ვიყო და არა შენზე
ვუყვარდე ვინმეს მაგრამ არა შენ
იცოდე რომ არ იცი და თავს იქაჩლებდე
თავს იქაჩლებდე

უყვარდე შენს თავს და იმ ყველას ვისაც უყვარხარ

თუ მათ უყვარხარ

3.

ოღონდ როცა მართლა უყვარხართ

1936

* * *

მოდიან
სხვები მაგრამ მაინც იგივეები
თითოეული სხვანაირად და მაინც ისე
და თითოეულს სხვანაირად არ უყვარს ისევ
და თითოეულს ზუსტად ისე არ უყვარს ისევ

1937

* * *

მე რას ვიქმოდი ცივ უსახურ უამსამყაროდ
სნრაფნარმავალი სადაცაა ყოფიერება
და შეერევა სადაც ნამი თითოეული
ყოფიერების დავინყებას სიცარიელეს
ან რას ვიქმოდი უამტალღოდ რომელშიც ერთად
იძირებიან ჩემი ხორცი და ჩემი ჩრდილი
ან რას ვიქმოდი სიჩუმე რომ არ ყოფილიყო სადაც ჩურჩული აღესრულება
ან ვინმეს შველის და სიყვარულის დაუოკებელ უამსურვილოდ
მოლივლივე უამზეცოდ
მტვრის ბალასტს რომ დასჩერებია

რას ვიქმოდი და რას ვიქმოდი გუშინ გუშინნინ
ილუმინატორს ცხვირმიკრული როცა ვეძებდი
მავანს ჩემსავით გზააბნეულს და ცხოვრებისგან
იდუმალების შემავსებელ უხმო ხმებს შორის
სივრცის მორევში გატაცებულ-განაპირებულს

1948

* * *

ჩემი გზა როგორც ქვიშა კენჭებზე
და დიუნებზე მტვრად გადავლილი
როცა დაიწყო მაშინ გაქრება
ცხოვრება ხვატში ნვიმით ნაშლილი

თხელ ნისლში ვხედავ მე ჩემს სამყაროს
ზღურბლის აჭედვის დრო რომ შენყდება
რომ გაიღება ჩემს წინ კარი და
უმალ ზურგსუკან მიიკეტება

1948

* * *

მინდოდა ჩემი სიყვარული გარდაცვლილიყო
და მის საფლავზე კოკისპირულ წვიმას ენვიმა
ენვიმა ჩემზეც შარა-შარა რომ ვეთრეოდი
და დავტიროდი იმ პირველ და უკანასკნელ ქალს
გულნრფელი ფიქრით რომ ფიქრობდა ჩემზე მიყვარსო

1948

სიმღერა რეფრენით

დღის მიწურულს
იქ ნაპირზე
ნაბიჯების ეული ხმა
ეული და ხანგრძლივი ხმა
მაგრამ უცებ სიჩუმე
არა ჩქამი
იქ ნაპირზე
არა ჩქამი ხანგრძლივად
მაგრამ მერე უცაბედად
ნაბიჯების ეული ხმა
ეული და ხანგრძლივი ხმა
იქ ნაპირზე
დღის მიწურულს

1976

იქით

იქით
ყრუ გვრინი
ვიღაც
თოთოზე
საოცარი ნარცისები
გასნი

და იქ
იქ

მერე იქიდან
ნარცისები
გასნიე
ისევ
ყრუ გვრინი
ისევ ვიღაც
თოთოზე

1976

კუნძული

დაე, შიშველი ადამიანი ეახლოს კუნძულს,
დროებით ქარებს
ათხოვოს კანი; დაე, მოარგონ
ზღვის კაჭრებმა მის ფეხებს რბოლა
ტალღისა და, დაე, მხეფებად გატყორცნონ იგი,
არ აფრინდება ვიდრე ცაში
ან ტალღა არ დაამრგვალებს, ვით ვეება
სელაპის სხეულს.

დაე, იგი ფეხის თითებით,
აპკიანით ან ფრჩხილებიანით, იდგეს უფსკრულთან;
სალამურში, დაე, ორი ნოტი ჩადოს და
გაჩნდეს მუსიკა.
დაე, კუნძული იქცეს ცენტრად და
მისი მეორე "მე"-ს საზღვრებად, დაე, თავად ის
იქცეს კუნძულად
და უკანვე განვლოს სავალი,

შეიცნოს თავი ღმერთებამდე,
დასაწყისთა დასაწყისამდე, ღალატამდე,
ვიდრე თავის საძინებელში მან ქალი არ ამოანთხია,
ხოლო მზე უმალ დამუნჯდა ქვის წრედ;
დაე, დაბრუნდეს იგი უკან, გაშლილ სივრცეში
იყოს ყველაზე ბუნებრივი — ნივთიერება, კუნძული
ზღვასთან იმ პირველი პაემანისას.

შესაძლოა, იეიტსი ეტერნიში იყო ნამყოფი

I

ჩვენს მხარეშიც იდგნენ კოშკები, ქვის
გუშაგები კარიბჭესთან, ხიდთან, და მაშინ — სწორედ რომ მაშინ
ეს კოშკები იყვნენ ქალაქი.
შემეძლო, თავი დამეკრა მისთვის, სუროს ბოლოდან
და ან სულაც ჭკის ბუდიდან მივსალმებოდი.
მაგრამ მე ჯერაც არაფერი მსმენოდა მასზე, იმ დიდ პოეტზე,
სწორი გეზით ვინც თხუთმეტი მილის იქით ცხოვრობდა ჩვენგან.

ჩვენც გვეხებოდა იქნებ ბრბოში, მატარებელში
როცა ჯდებოდა ჰორტში; ერთი, ორი საათით, იქნებ იყოფდა
ჩვენთან ერთად ის სიმშვიდეს ქალაქის გარსში.
იქნებ, ერთხელაც, ჩემი მხარე მოეგუნება:
თემშარაზე შევეყარე
დაბნეულ ბატონს, მე კი —
მე ბავშვი ვიყავი და სვიტერიც მეცვა, მიელალავდი საძოვრად ნახირს.

სანახავი ხომ ბევრი იყო ჩვენთან, ქალაქი
რით არ დასცადა დრომ და ჟამმა: იქ თხრილი დარჩა,
აქ — უძველესი სამარე მეფის,
ნახევრადცოცხალ მცველებს ჰგვანან დღესაც კედლები, კოშკები
კიდეჩამოშლილები. სად ეცლებოდა
იმას ჩვენთვის, დაძაბულად ჩახშირებულს საკუთარ თავში, —
სწორედ ბაქანზე მომლოდინე, შეიძლება,
იშვიათი სტრიქონების მასპინძლად იქცე.

და ეს ფრთიანი ნაბიჯები ნკრიალებდნენ იქნებ
ყოველ გლეხურ ადლში იმ შარაგზისა, სადაც ბაყალი,
ყასაბი და მეფუნთუშე თავკაცობდნენ —
საზრუნავთა ერთფეროვნება. რა საფიქრალი ექნებოდა, თუ ჩაუვლიდა
ამ ფარდულების მოჟამულ რიგს —
არქიტექტურულ სტილს,
ცხოველთა გულებისთვის მეტად სასურველს?
ან — დამშეულთა დროის მოწმე საყდრისთვის რომ თვალი შეევლო?
მაგრამ მაისის პირველი დღე ამ ჩვენს ქალაქში
მას, ალბათ, უფრო ეამებოდა: უხვი ნაყოფის ქალღმერთები

გვსტუმრობდნენ ამ დღეს,
და ჩვენ მადონას, ხელში აყვანილს,
განწმენდილი ადგილიდან მუხნარისკენ მივაბრძანებდით
და ფონად გვქონდა ბავშვთა გალობა, ცეცხლი, და სულაც მთელი სამყარო.
არ გაამჟღავნა ინტერესი კანონიკოსმა
უკანასკნელი წიგნების მიმართ,
ოქროს ტოტებზე და უცნაურ ღვთაებებზე რომ მოგვითხრობდნენ —

ხოლო სხვაგვარად აბა როგორ შემოვიდოდა, როცა ზადი აღმოაჩინა
ქალბატონის გამოხედვაში, მშვიდ მზერაში
იტალიელი იმ ქალისა, მეძუძური შვილის დედისა, რაღაც ისეთის
არა მსგავსისა, რასაც, შურდულით ნასროლ ქვასავით, შორს აგზავნიან.
მასში ქალური — არც სხეული, და არც — მსგავსება
აი, იმასთან, თავისი ნავით
საკვირველად მონანავესთან;
ეს — დადიოდა ეკლესიაში, და ოჯახზე ზრუნვით ცხოვრობდა.

ან, იქნებ, მხოლოდ ასე გვეგონა.
დიანაში საიდუმლო არის მუხიდან;
როცა სანთლები ჩაგვიქრება,
იდუმალებით მოცულ ნიფლნარში
თვითონ ის — ღამე-მონაზონი — გამოგვიჩნდება.
თხუთმეტიოდე მილი რაღაც. გვექნებოდა თუ არა ჩვენ ორს იმის შეძლება,
ღამით ნანერი ნაგვეკითხა, და ბგერების ცახცახი გვეგრძნო,
გვეგრძნო სიმღერა ტოტებისა, მოძრაობას როცა ინყებს მთელი სამხრეთი
და გაზაფხულის სველი ცის ქვეშ დუმილს ეძლევა.

II

შეიძლებოდა, გადავყროდით ჩვენ ერთმანეთს პურის ყანაში,
ან ველად — ცხვარში, ან — ნაკადულთან,
და ცეცხლოვანი ისრის კონა დაგვეშინა ერთმანეთისთვის,
მაგრამ პატარა ვიყავი და ტალღა ჩემი აზრებისა ფერხდებოდა
ნებისმიერ დაბრკოლებაში, კუნელის ბუჩქში, მაგალითად,
იხლართებოდა ერთი დღით ან მთელი ზაფხულით,
ნამდვილ პოეტს დროის სწრაფვა არაფრად უღირს.

არ გაბედავდა ფეხის შედგმას იგი ქალაქში,
ნებისმიერი ფანჯარა სადაც მზერა არის დაჟინებული;

ჩვენ ვუყურებდით უცხოებს და მეფის სხეული
სიამაყეს ინვევდა ჩვენში — ხოლო ასეთი სიხარული
უნათლესი ნეშომპალაა. მაგრამ შეგვეძლო
თხრილიც ერთად გვენახა და კინგზლენდის კლდეც ერთად დაგვეპყრო,
სადაც წყდებოდა გვირგვინი მორიგ ირლანდიურ თავს,
ხოლო ხელმწიფის ფეხისგულიდან ალისფერი ნაკვალევი იკლაკნებოდა.

ის დაჯდებოდა სავალთაგან მოშორებით და მოიცდიდა,
საკუთარი ოქროს ლითონის გადადნობამდე, ან გახედავდა, ზეცა როგორ
დასცახცახებდა ოკეანის მარილსახდელს, მერე კი —
ქალაქს, წვიმის მიზეზით ასე ხშირად გარდაცვალებულს.
რატომ უნდა დაესვარა ფრთიანი ტერფი, კულაში ხომ უზარმაზარი,
მაღლამხედი სახლი იცდიდა,
სადაც სიძველე ფასობდა და სხივმოსილი ბრწყინავდა გერბი,
სადაც მუზასაც და პოეტსაც ყველაფერი ასერიგად ემყუდროება,
სადაც ბალახში იუნონას ფარშავანგი დაგოგმანებს, ქალბატონის მეფე-
ფრინველი
დაცურავს ტბაზე, — და ყოველივე არის მშვიდი, ისე, როგორც დამდგარი
ფრიზი.

ქალები

სამწუხაროა! საპასუხოდ ვერ შევიყვარებთ
ჩვენ მათ იმდენად უანგაროდ და საიმედოდ,
რომ მინყივ მანძილს ვინარჩუნებდეთ
და უიმედოდ მივინევდეთ
მიუნვდომლისკენ,
რომელიც მხოლოდ ჩვენთვის იხსნება.

ო, მარტოობა! როცა გვაჩენენ,
როგორც დედები, ზრუნავენ ჩვენზე —
ჩვენ კი ვნყვეტთ ჭიპლარს,
რათა ვუყვარდეთ, როგორც საყვარლებს,
მაგრამ სულ მალე გონს მოვეგებით
და მათ გავწირავთ მარტოობისთვის.

იძინეო, ჩურჩულებს მინა. აქ, ჩემს მკლავებში
იძინეო, უნაზესად ჩურჩულებს ქალი.
მაგრამ ქალი ხომ ზღაპარია,
მე კი, ვნატრობ, მოვახერხო იმ კოშკზე ასვლა, მევე ვარ რომლის
საფეხურები,
ვნატრობ, ზეცასთან შერიგება შემაძლებინა.
იძინეო, ჩურჩულებს ქალი, "მიწექი და ჩამოისვენე,
დედის მუხლი ვარ, ცოლი ვარ შენი,
მნვერვალი ვარ ყველა კოშკისა".

მიძინება

ამბობენ, ერთხელ სირიელი ქურუმი ვინმე
მხურვალედ როცა წვიმისათვის სულაც არა მთავარ ღმერთებს
ევედრებოდა,
წვიმა მოვიდა და გარემო დააბნელა, — ო, ჯადოქრობა!
მისმა ხელებმა დედამიწას ნიაღვრებად აწვიმეს წვიმა.
ქალს გაელვიძა მიწად თუ მიწამ გაახილა თვალები ქალად, იქ
აწყვეტილმა სულმა სირიელ ჯადოქრებთან ამოყო თავი.
როგორღა შეძლეს მერე მისი მორჯულება: გაწაფულმა ბერძნებმა და
ალექსანდრიის განათლებულმა ღვთისმეტყველებმა,
მზერაელვარე იტალიელმა ქრისტიანებმა,
თავ-თავისკენ ტალღებით რომ იახლოვებდნენ;
შეკუმშულია მკერდი, და ისე არის მბრწყინავი სიმაღლიდან
სახე, როგორც წვიმის წყლის წვეთი.

თანასწორია ის ზეციური დიდებისა,
ღვთაებებს შორის ჭეშმარიტად ღვთაებრივია,
თავის ერთიან ცეცხლში ბუგავს
იგი ყველა იმ წარმართ ქალწულს,
დღემდე უყოველნაირესი
ტრიადების ჩრდილქვეშ მყოფი რომელიც იყო.
ზეცასა და მიწას შორის ისევ შუღლი ჩამოვარდნილა,
ნაყოფმომძღვნელის შიკრიკთათვის, — კრავისთვის, ხბოსთვის —
ჩარაზულია სახლის კარი; ძუძუს როცა გაიშიშვლებს და
თავის ყრმისკენ დაიხრება ბნელ სიმშვიდეში,

არ გაცოცხლდება ჭვავი, ხორბალი არ დამწიფდება,
და მხოლოდ მისი ოცნებები
დაარწევენ ლაჟვარდოვან ციმციმს ქარისას.

ხოლო ეს ქალი აუმღვრევლად
იმორჩილებს უხეშ სურვილებს ღირსეული
გლეხური მზერით. არც დაფდაფების ბრაგუნია და არც — ცეკვები,
არც — შუაღამის კოცონები და არც — პრინცთა მსხვერპლშენირვები,
მან დროზე უნდა მიხედოს ძროხას,
მერე კი სახლის უკან ქათმები საქათმეში დააბინაოს,
ევოე, წავა თუ არა ღმერთი ოქროსთმიანი, იგი მაშინვე გარეთაა,
მშვიდად ალაგებს, მერე ღობეზე გასაშრობად
გადაფენს ზეწრებს. აუღელვებლად აბზრიალებს,
აბზრიალებს ღერძს, ჯვარცმისას აჭრიალებულს,
დედამინა კი, ერთიანად, ქოთანია ყვავილიანი. და ქალის თავთან,
ფრთების შრიალქვეშ, საუბარი გაუმართავთ უცხო ზმნიზედებს.

ველად ნანახი

გარდაიცვალა მეზობელი
საღამოს ქოხში, ულვაშიანი და მაღალი ადამიანი,
ის ჩაივლიდა ხოლმე დინჯად, როგორც
სატურნი, და ღიმილიც ასეთივე გლეხური ჰქონდა.

ცაზე ნათელი მთვარე იყო,
ქალაქელი ჯუჯა ქალი ბრუნავდა ძილში;
დარჩა სხეული, და — ადგილი საცხოვრებლად გამზადებული,
და გატეხილი კოკაც დარჩა, ჭიქაც — წყლიანი.

აღარ იქნება არასოდეს
მისი ნატურა, მძლავრი სუნთქვა და ჰოროსკოპი,
გაზაფხულზე იგი აღარ აღორძინდება,
როგორც ხდებოდა ეს ყოველთვის ხორბლის ტანის აყრისთანავე.

როცა შორს, ველად, გუთნის კვალში მიაბიჯებდა

და მასთან იყო ჟრიამული ჩიტების და ერთმანეთის მიყოლებით
გადამფრენი წელიწადების,
ვარსკვლავთა ნიშნებს
იგი ახალ ორბიტაზე გაჰყავდათ ხოლმე.

მის რაშებს, ქართა გადამსწრებებს,
ადრიანი მზის სხივები აოქროვებდნენ;
ის საშობაოდ
ფოთლით დაბურულ ფერდობს მთისკენ მიუყვებოდა.

ახლა კი რიგი დასდგომიათ
ცარიელ ველებს, კვლავ გაიაზრონ
ულვაშები უზარმაზარი, მისი თვალები,
და მის ზურგზე მოგდებული მთლიანობა თავთავის და ცის,

გაშიშვლებულ და მავთულივით მჩხვლეტავ სხლტეზე
შემომდგარი მობრდღვიალე დაბალი დისკო,
მაღალი ტორსი მოხუცისა,
მორიგი თვის და წლის დადგომის მაუწყებლისა,

მრავლად ზვინები ივნისისა, შემოდგომაზე
ხორბლის ყანაში მამაკაცი, იქვე — მისი უფერული
ქალიშვილები, ღია ცის ქვეშ რომ
ლირას ძალზე უხეიროდ აჟღარუნებენ.

აი, მთელი სანათესაო, არანაირი სხივი
ზეციდან — ცარიელი ბოსლის წყვდიადში,
მთის სიახლოვეს, სადაც ამ კაცს ცნობდნენ ყვავები, ხოლო
ქალები ეკრძალვოდნენ, მიტმასნილნი ზამთრის გასაჭირს.

არა, არ წაშლის დრო
მის სახეს — ბერიკაცი, ულვაშიანი, შორეთში
ცხელი დროის კვალს მისდევს
სწორი ორნატით, როგორც სხივი განთიადისა.

შენ მელოდები მტვერთან ერთად

ჩემს მეუღლეს, რომელიც ყოველდღე მელის

არაფერი შერჩენია შენს სახელს უკვე არაფერი
გარდა იმისა რომ ჩვენს სახლში მტვერთან ერთად მელოდებოდე
გარემოცული მტვრის ფენებით
ერთმანეთზე დაფენილით ნაპირებიდან გადმოსულით ყველა კუთხეში
არ ხსნი დარაბებს
რათა სინათლემ მდუმარება არ დაარღვიოს

მტვერს დაუფარავს თაროებზე ხელნაწერები
და ხალიჩის ორნამენტებიც მტვერს ისუნთქავენ
როცა წერილს მწერ
და როცა მსტუმრობს სიყვარული რომლის ცხვირიც მტვერს ეხებოდა
ჩემს თვალებს უმალ ტკივილი ავსებს

ზიხარ მთელი დღე
და განძრევა ვერ გაგიბედავს
იმის შიშით რომ ნაფეხურებმა შეიძლება მტვერი აშალონ
შენ ცდილობ სუნთქვა აკონტროლო
და ისტორიის დასაწერად ეს სიჩუმე გამოიყენო
ისეთ დროში ჩვენი რომ არის
მხუთავი მტვერი
საიმედო მეგობარია

შენი ფიქრები სუნთქვა და დრო

მტვერში აღწევენ
შენი სულის სიღრმეს სწვდებიან
სამარე კი უკვე ივსება
სანტიმეტრობით
ფეხებიდან მკერდს მისწვდა და
უკვე ყელს მისწვდა

შენ იცი ახლა სამარეა
საუკეთესო განსასვენები ადგილი შენთვის
იქ შეგიძლია ისე მელოდო
რომ არ დაჰბეროს შიშისა და შფოთვის ნიავმა
და ამიტომაც არ ხსნი დარაბებს
ამ ბნელ ჩუმ უჰაერობაში
მტვერთან ერთად მელოდები შენ მე მომელი

შენ უკუაქცევ მზის სხივსაც და სიხარულის გაბრძოლებებსაც
დაე შენ მტვერმა დაგიტანოს
გეძინოს მტვერში
ვიდრე მე ისევ დავბრუნდები
გამოგაღვიძებ
და სხეულიდან და სულიდან მტვერს ჩამოგფერთხავ

და სასნაული იქნება სნორედ მე რომ მკვდრებს შენს თავს არ დავანებებ

1999 წლის 9 აპრილი

ივან გოლი

ასტრალი
(სიმღერა)

შენდამი, კლერ

კვლავ ჩვენივ თავში უკუვარდნა გვსურს
როცა შუადღის მეფე ჩავლილია ყვავილები კეცავენ ხელებს
სამყურა ბრუნდება თავის თავში და მარგარიტა
მაშ ასე ჩვენ გვსურს ჩვენივ გულები მიმოვაბნიოთ
და ერთობ მარტონი და უბრალონი გავხდეთ

ნებისმიერი ხე დედაა საკუთარი მარტოსული ტანჯვისაკენ თავდადრეკილი
და რა იცის ადამიანმა ყვავილის შესახებ
რომელიც ყავისფერი თესლითაა შექმნილი და ყავისფერი ხოჭოებით
იგი წონის ცენტნერ თივას –
და რა იცის ადამიანმა ადამიანზე
როგორც ქინძი ისე ობდება მისი ტვინის
უჯრებში და კანტორებში ძველების სული

ჩემშია ზაფხულის ლანდშაფტი
ალვისხე-ასკეტთა მიმოღვრილი ხალხურობა
მორევი ლურჯი მინდვრებისა მე წინათვგრძნობ ბასრ ტოროლას
და ოჰ ეს წყალი მარტოსულ ძმას რომელიც ელის
განხვნილი თვალით და განხვნილი მკლავით
ამ წყალს ენით უთქმელი განცდები აძრწუნებენ:
გაიხსენე მისი ულტრაშავი საფრთხეები რომლებიც მხოლოდ სიზმარია
თევზნი თავს იმკობენ ტირიფების უხეში გვირგვინებით

მდუმარე თევზნი მეფურად უტყვნი და ცივნი
და იმდენადვე ბრძენნი როგორც ჩვენ
რომლებიც ციურ სხეულთა თანხლებით ვიგლოვთ!

ვინ იცის იქნებ მკვლელობაც საუკეთესო ხვედრია
სიყვარულით აღსავსე დედალი მორიელი შთანთქავს თავის მამალ მორიელს
ყველა მარწუხთან ნესტართან და შხამთან ერთად
ერთ აბაზანა მდუღარე ჭინჭარს შეუძლია მოგაკვდინოს შთანთქას შენი
გული
და მიუხედავად ამისა მიყვარს ჭინჭარი ქუჩის ღატაკი ბუჩქი
დახრილი მწვანე ნამწამებით
მრავალი მკვლელობის მომსწრეა ზაფხულის ლანდშაფტი
ჩვენ არ გვაინტერესებს არც მკვლელობა და არც სიკეთე
ჩვენ გვინდა მხოლოდ მარტონი ვიყოთ
და უბრალონი

მე მინახავს მომაკვდავი ხე
თრთოდნენ და ცახცახებდნენ ჩემი ძილის თავზე მისი თითები:
აქ და სწორედ აქ
ბრწყინავდა ალგოლი მხურვალე წყვილი ღამის უფსკრულიდან
სიბრტყივ გატყორცნა სატურნმა მისი დისკო
ხე მდუმარებდა მარადისობაში

ერთხელ მოვედი მე ქერა ბავშვი ძიძა კატარინასთან
და ჩემს მოჭიხვინე ცხენთან ერთად –
რა იყო ვარსკვლავი? რა იყო თვალი? რა იყო ძუძუ?
მე მიყვარდა გაუთავებლად!
ხე ოცნება უკან იხევდა ფრინველის სიმწვანისკენ
ქერქი ლპებოდა ლაფანი სკდებოდა და ცის გული ნახშირდებოდა
და ჭიანჭველები გველები ჩრჩილები ხავსები და ანგელოზები
მისი სიკვდილის ძალით ცოცხლობდნენ
დღენიადაგ კვდება ცოცხალი!
რომ ვყოფილიყავ ო ზაფხული თევზი მდინარე
რომ ვყოფილიყავ სარკე ან მხოლოდ წყალი ღრუბელი ჟელატინი
ფოტოფირფიტა
ყოველივედ გარდასახვა რომ ვყოფილიყავ!!!
მაგრამ ჩემი გული მინისგან არის დამზადებული როგორც ბოთლი
იაფფასიანი
ჩემი გული ვიტრინაა საღამოობით და დილითაც არის იგივე
ცვილის თოჯინები მშობლები ლურჯი ჰალსტუხი ჭივჭავი

ჩემი გული გალავანია ქვა და დუღაბი

მე ვარ ადამიანი მე მქვია ფელიქსი და
ტიტცის უნივერმაღში მუშის სავიზიტო ბარათით დავდივარ:
პაულას მიაჩნია რომ ყოჩაღი ბიჭი ვარ
"Vera-Shoe საუკეთესოა!": აი რა არის ჩემი ბიბლია!
პაწია ფეხები ებრაელი ქალის და ფეხები მისი ქალიშვილის
ჩემს ჟინს ყოველთვის ნებდებიან (შენ იცი, რა არის ჟინი?)
საჭიროა დიდი თითის ისეთივე სიყვარული ვით კამელიების
ორი თვალი ერთმანეთს ხვდება ორი ჭრიჭინასავით
სისხლში თელემენ მიწისქვეშეთის ოქროს მაღაროს გუბეები –
გუშინ ლევის ასე ვესიტყვე:
"თქვენ ბილიარდის კარგი მოთამაშე ბრძანდებით!" მან კი მოჭუტა თავისი მესამე თვალი
და გაიღიმა: "ოღონდაც არავითარი ეთიკა, ბატონო ჩემო!"
ერთობ სულელი ვარ არასოდეს ჩავიხედავ ვიღაც ლევის უფსკრულში
ყველა იღიმის მეც სამარადისოდ უნდა ვიღიმოდე
ქარდაქარ კაცდაკაც
მაგრამ Vera-Shoe საუკეთესოა!

დღეს ბანალური იქნებოდა ბედისწერის გამოსახვა
უნდა დამტკიცებულიყო რომ არსებობს ქვეყანაზე დანაშაული
და ამასთან მორჩილების სიმღერებიც
მაგრამ მე აღარ ვთხზავ ხუთი გრძნობით სამი განზომილებით და ერთი გულით:
მე ვთხზავ პირველმიზეზის ძალით მე მწამს
მეთხუთმეტე ფერის რომელსაც Flupp-ი დაერქმევა
O-Strahl-ები მხურვალე ტვინთა
პირველყოფილი ხარი და მინდვრის ბალახი ახლო ნათესავები არიან

მოქალაქეებზე ნამდვილი ქრომის ტყავს რო ვყიდი
ცუდი როდია
და რომ მორგებული ფეხსაცმელი სინამდვილეში ორჯერ ძვირი ღირს

მაგრამ გუშინ კრავი ვნახე და
ტირილი დავიწყე
მისი პაწია თავი შტრასბურგის საკათედრო ტაძარზე უფრო ნატიფი იყო
თვალი უფრო სხივოსანი ვიდრე მშობიარობით გატანჯული მზესუმზირა
ლამაზ ცხრატყავას სულელურად ყნოსავდა და

როცა პირუტყვ-ადამიანმა მისი დაჭერა მოინდომა
ციცქნა ცხოველი ბუჩქში ისე ირიბად შეხტა როგორც მხედარი
გადაადგილდება ჭადრაკის დაფაზე
შენ არ იცი რას ნიშნავს შიში მარტოსულის მისი ცრემლები
ღმერთის წყლები
მაგრამ შენ ბრანავ მის ბარკალს და ტუჩებს აწკლაპუნებ
ოჰ რატომ არსებობენ კრავები?
იმიტომ რომ ადამიანი ცოდვილია ამბობს ბიბლია!
კი მაგრამ რატომ ვცოდავ? რატომ არ უნდა ვცოდავდე?
მაშინ რატომ არსებობს ღმერთი? რომ მე მას დავუმტკიცო!
ყოველდღიურად ჩემს თავს ვამსხვრევ ჩემს სახესა და ზეცას განვჩხრეკ!
და არაფერია სახილველი გარდა სახეზე მუწუკისა და ვარსკვლავისა
ორიონში

ყოველდღიური ნიშნები
ბატკნებიც თუ იხოცებიან
არაფერი გვრჩება გარდა იმისა რომ ვიფრუტუნოთ
და ვიყვიროთ ისევ და ისევ: "Vera-Shoe საუკეთესოა!"
რომ ტელეფონის მეხის და ჭრიჭინობელების ხმა გადავფაროთ
რათა ბოლოს მაგიდაზე გაზაფხულის სუპი დაიდგას
სწორედ ამიტომ სამის ნახევარზე მაღაზიაში უნდა ვიყო

დიდია მსგავსება ღმერთსა და Vera-Shoe-ს შორის
ერთხელ ტეხასში მე კამეჩი მოვინადირე
ჩემმა ქამანდმა მეექვე შემოიპყრო
ჩემი რუხი თმა რუხი გული რუხი საღამო
ერთიანად სისხლში იყო ამოთხვრილი
ქურქში გახვეულ ამ ბანოვანს ნახევარჩექმას როცა ვთავაზობ
ჩემივ თავს ვყიდი მე ღმერთს ვყიდი და მთელ სამყაროს
ყველაფერი ცოდვაა რასაც ჩვენ ვიქმთ –
უმოქმედობაა წმინდა!
მაგრამ ადამიანს არ ძალუძს უმოქმედოდ ყოფნა
შემოქმედებითი აქტის წმინდა შენამოქმედნი ალბათ მხოლოდ ქვანი არიან
ნეტარნი მეტად ვიდრე კრავი მეტად ვიდრე ჭინჭრის ბუჩქები
ნეტარნი მეტად ვიდრე მერცხალი ვიდრე ვარსკვლავი
ისინი ხომ უმოქმედობენ!
ქვების სულთან მე ვბაასობ სიამოვნებით
კენჭები წვანან წყლების ძმებთან
გაჰყურებენ მარადისობას
მარტონი არიან
და უბრალონი

მდუმარე ქვათა გულში ვისაც შეუღწევია დუმილში უხილავს:
მათი ჩრდილებიდან ღმერთები აღდგებიან
პირველყოფილი ხარის სიწმინდიდან ბგერა ამოიმართება
ქვათა ხორცი შეყვარებულის ყელზე უფრო ფაქიზია
ფიდიასზე მარადიული

მაგრამ მაინც გიყვარდე: ძმაო,
რომელიც თავაზიანი ხარ ქალიშვილის მიმართ ტრამვაიში
რომელიც დროშებს ესალმები როცა დოლის ბრაგუნი ისმის
გარეცხილია სულ ახლახანს შენი საყელო და მეტყველებს შენი სულის
სიწმინდეზე
შენსაზე რომელიც კითხულობ „ჟერმინალს" და მიგაჩნია რომ ეს წიგნი
ერთობ გემოვნებით არის ხბოს ტყავში ჩასმული!
მაინც გიყვარდე შენ რომელმაც კონცერტზე ადგილი დაიჯავშნე
"ო, სუზანა, ცხოვრება მაინც ისეთი მშვენიერია!"
ზოგჯერ შენს თავს ეკითხები: უნდა ჩავქოლო თუ არა ქვებით ის ვისაც
მხოლოდ ქვები უყვარს?
აი მკრეხელობა: უარყოფა მისი ოჯახის
თავის დედაზე ის ყვება ზღაპარს:
"მაისის ერთ მწუხრზე
როგორ ხმოვანებდა სალამური
ხოლო მერე ისინიც დაწყვილდნენ
ხოლო მისი ბაკენბარდი იჩხელიტებოდა!"
დაე ჩამქოლე ძმაო მაგრამ ვაი რომ არ მომკლავ!
საქმე ის როდია ადამიანი ცუდია თუ არა
ადამიანი ადამიანია და მეტიც არაფერი!
ცუდი ის არის რომ ის ადამიანია
ცხენმა ვარდმა კანარის ჩიტმა ეს კარგად იციან
და მისი ყველას ეშინია – წყეული მოლაყბის
მე კი ყველა თქვენგანის შიში მაქვს
და მეც ისეთი ვარ როგორიც თქვენ ყველა

მაგრამ ის რაშიც ჩავიღვრებით ერთადერთია:
პატარა ობლის და ფერმკრთალი ასულის სევდა
გმირი ქალი მემელის ქალაქის თეატრიდან
იწვევს ჩაიზე საჭორაოდ ავეჯით გაწყობილი ჩვენი სახლის ნებისმიერ
მდგმურს
იგი მკერდიდან სულის ბგერებს ამოიტყვის
იგი გულსაკლავ მოგონებას ამოიტყვის
შენ ხედავ ყელზე დაბერილ ძარღვებს ჭუჭყიან ფრჩხილებს გინდა იტირო

მაგრამ იგი უკვე იცინის: ლეიტენანტები წარსულს ჩაბარდნენ!
და თეატრის დირექტორიც იასამნის მთელი ბუჩქით!
და გოეთეც და ორიგენიც მის სევდაში მოთავსებულან
დაგლეჯილი ხალიჩა გულშემატკივარი ჯამი ოქროს კიდეებით
მოქანავე ჯვრისა
მისი ლიფიდან ქრისტე ხელახლა იღვრება სისხლად

ზოგჯერ დგას ვიღაც ხმელთაშუა ზღვასთან
ლეღვის ხეს ოქროს პანორამა უპყრია ტოტებით
ხორციან ნაყოფზე დაისები ჩამობნელდებიან
ოკეანის მწვანე ატლასის კაბა დაატარებს უკანასკნელ ბრიუსელელებს
დილაობით მოდიან ნაპირთან ტალღები როგორც მსახური ქალები
თეთრ ნიმფას ტუნისს მარმარილოს ფეხებს დაბანენ
ჰო, Vera-Shoe საუკეთესოა! მღერის რეკლამა
მე ვიხრები და ვაზომებ მუშტარი არაფერს ყიდულობს
"თქვენ პოეტი ბრძანდებით და არა ვაჭარი!" ხარხარებს შეფი
ასეთი შეურაცხყოფა! ჩაბჟირებამდე იცინის პაულა
ცენტრალური ბანკი მიხდის დარჩენილი თვის ფულს
საღამოს კი მე მას ვტაცებ იზაბელს - დისშვილს

"მიყვარხარ იზაბელ
ცეცხლოვანი ღრუბელი
დაატარებს შენს თმას მწყურვალი ქვეყნიერების თავზე
ფრთოსნად ქცეულა ჩემი სული
იზაბელ მიყვარხარ

მოდი! ბუჩქი მწვანე ფლეიტებით და ხმებით ავსებულა
პარკში სიბნელით მოცულ ძელსკამზე
გამაბედნიერე

ამერიკიდან ვარიეტეს სიმღერები ისმის
ჰუძონის არხში ბედნიერი ნავები ცეცხლისფრად ენთებიან
ცხენები და სელაპები ცისკენ ისწრაფიან

იზაბელ მიყვარხარ
შენ და სამყარო
და შენი ბლუზის ვარდისფერი მორთულობა
ეს ყველაფერი გემოვნებით არის აღსავსე
იქნებ კინო-ედემი გვექირავა?
ჩემი პირველი სიმღერა! ო ახალი პოეტიკა!

მხოლოდ ცხოვრება თავისთავად ყოვლისმომცველი სიფხიზლე
სიმღერა მოკვდავი ადამიანებიდან ახალი სიცოცხლის დაბადება
როგორც სპილენძის უჯრების მერიდიანი
ჩვენს გარშემო დაქრიან შეუცნობელი ბედისწერანი და მოგზაურობანი
პოეტი მათ გრძნობს –
რაა სიმღერა?
ველური ბატი და საჰაერო ბურთი ბალასტისგან და აფრენის ხმისგან
განიტვირთებიან
და ეტლის თვალიც უკეთ ბრუნავს
საცნაურია მისი სუნთქვა ხიდის ქვის მკერდზე
სიმღერა გაფრენილი ტკივილია ხოლო
ტანჯვა საკუთარ თავში დაძირული სიყვარულია

“ო იზაბელ შავო პიჟამო
ღმერთის გვირგვინქვეშ გარეთ სამყარო აჟღერებულა
ტყუპ-ტყუპად უკრავენ მიტოვებული მანდოლინები
უშენოდ
და უჩემოდ
სამყარო შეუძლებელი იქნებოდა
მაგრამ კლდისპირზე მოშრიალე ხეს ხომ ძალუძს ჩვენი გამოცდა
ჩვენს მოსაძიებლად ხელისცეცება
იქ კი ტრამვაი ყველა გაჩერების უნუგეშო ბოლო პუნქტში
მის დაიკოს ელოდება ფარდულსა და კარტოფილს შორის
და კვდება ათჯერ ჭლექით და სევდით
ზარები ისევ გვაფხიზლებენ ძილის სამარისგან
ოჰ იზაბელ შავო პიჟამო ხომ არსებობს სხვა ათასი ბედნიერება
ასანთის ყოველ ღერს შეიძლება შენთვის ბენგალის ცეცხლის ფასი ჰქონდეს
უშენოდ და უჩემოდ სამყაროს ნიშნავდეს!”
მაგრამ გვერდით მე-19 ოთახში საპნის ფაბრიკის მეპატრონე მღეროდა
იმასვე რასაც მე მის ქერა ემის ვუმღეროდი
და უმცროსი ოფიციანტიც იგივეს უმღეროდა ფეხმძიმე მზარეულს
მეორე დილით კი ყველა ერთად მივირთმევდით
ოქროსფერთაფლგადასმულ ფუნთუშას:
ამას ჰქვია სიყვარული!
სევდა უწყვეტი ტალღებისა
ზღვები მოგზაურობენ ქარავანთა და ოაზისთა თანხლებით
წყლის უამრავი ბინადარი
ყველა ტალღის დაიკო მიცნობს
ჩემი სისხლი ამ ზღვაშია ჩემო იზაბელ
მე ჩამესმოდა როგორ წვიმდა ვარსკვლავებით ღატაკ ამ ღამეში

ჩემი გული ყოველი წვეთის დაცემას გრძნობდა
რამდენი წვეთი დაიღუპა ნარცისთა ჯამებში და წვიმის არხებში
მთელი სამყაროს რამდენი სიცოცხლე რამდენი სევდა

რევოლუციონერიც ხომ შეიძლება გახდე
მიზანთროპად იქცე ადამიანების მიმართ სიყვარულის გამო
სიტყვა „ბარიკადი" ულტრამარინისცისფერია და ერთობ მხიბლავს
მე ვხედავდი თავდასაცავ ნაგებობაზე ასულ ღარიბს
დამუავებულ პირს ქვემოთ წვერივით ეკიდა მოპარული ყვითელი თევზი
და მაინც მისი ქუდი ნათლის შარავანდით იყო მოცული
იმ დღესვე სოციალისტი გავხდი
ცხადია ლუდი პირველ მაისს იმაზე უფრო გემრიელია ვიდრე ლუდსახარშში
ხოლო მუშათა ბავშვებს ტუპერკულიოზი აქვთ
პირველ ყოვლისა პამფლეტს თხზავენ:
მწვანე ჯარისკაცი ბეჯითი დუმილით განამტკიცებს თავის მონუმენტს
კონსერვის ქილები ჩაფხუტები და კულტურის ძველმანები ქარს დარჩენია
მაგრამ მე ვფიქრობ რომ საყასბო ყოველთვის იქნება
"ღირსება" ესაა საკუთარი თავისადმი უნდობლობა
ადრე ღირსება Roland & Siegfried-ის ბანკის ჩეკი იყო
ამხანაგებო! კარტოფილი და გულიაში! ვაშა!
ხოლო მერე წყნარად წამოვა
შუბლიდან სისხლი
ეიფელის კოშკი ხელახლა აფრქვევს თავგანწირვით ცეცხლოვან სიტყვებს
ნიაგარადან ცხენის ძალას გამონურავენ
დამნაშავეთა დასასჯელად: სიმღერა! სიმღერა!

მოკლედ შეიძლება რევოლუციონერიც გახდე!

მოგვიანებით ასე განბჭობენ:
მე კარგი ადამიანი ვარ მე არ ვარ კარგი ადამიანი
მე კარგი ადამიანი ვარ მე არ ვარ კარგი ადამიანი
მე კარგი ადამიანი ვარ მე არ ვარ
ეს ყოველდღიური ლოცვა ღვთისადმი! მაგრამ Vera-Shoe მაინც ყოველთვის საუკეთესოა!
ბოლოს და ბოლოს ექსპედიტორები უნდა შეიცვალონ
მერე კი მართლაც გამოჩნდებიან დაბადებით რევოლუციონრები
ბრბოს ათ სანტიმს ვუყრი პაპი მიგზავნის რადიოგრამას
ღიმილს მგვრის ილუსტრირებული გაზეთები
და ყველა დალაქი თავის კლიენტს ჩემზე მიუთითებს
ო ქუჩის უფალო ადამიანთაო, მე არ ძალმიძს

Vera-Shoe მივყიდო ნატიფ ქალბატონებს
უძლური ვარ იზაბელს ყოველთვის თაფლგადასმულ ფუნთუშას
ვუმზადებდე
უძლური ვარ გლეხთა და მხეცთა რევოლუციონრად გადასაქცევად
მე ევროპისთვის უნიჭო ვარ
რომელიღაც ნახევარსფეროზე მავანი ქვრივი ქალი მოთქვამს:
"მე იგი მიყვარს მას არ ვუყვარვარ!"
ჩემი დამცინავი პროფილი მის გულშია წითელ ხავერდზე
შეიძლება მოხდეს და ქალაქმა ოტავამ ბიურგერმაისტრად ამირჩიოს
მაგრამ მე სიტყვის ნარმოთქმას ვერ შევძლებ
და ფელიქსიც ცუდი სახელია საამდროოდ
მაგრამ მაინც ვგრძნობ ჩემს ყელში ტროროლების წკრიალს
ხე მოთქვამს ჩემს ჩონჩხში რომელიც ახლა ქარიშხალს ებრძვის
ირგვლივ ყველგან მთვარე ანათებს და ნებისმიერ წიგნის მაღაზიაში
შეიძლება შოპენჰაუერის შეძენა
დედაჩემის ბინაში შპალერი ყვითელ და იისფერყვავილებიანია
ეს ყველაფერი და ჩემი სიგარეტი და ჩრჩილთა ვარსკვლავი
ვარ როგორც ღმერთი

აღარ იკითხო კარგია თუ არაა კარგი
არცერთი სიცოცხლე რომ არ მოეკლა არ მოსულა ზაფხულში ბუდა
და ხომ სუნთქვდა და მის სუნთქვაში ათასობით მიაზმა კვდებოდა
აღარ იკითხო კარგია თუ არაა კარგი
ხე ჰაერს შთანთქავს ხეს ხოჭო ხოჭოს ჩიტი ჩიტს გველი გველს მინა მინას
ჰაერი

რატომ უნდა ვარსებობდე? რატომ
არ უნდა ვარსებობდე? და რა არის საუკეთესო?
“Vera-Shoe საუკეთესოა!”
ადამიანო გიკრძალავ რატომ-ს

ჩვენ თავი ჩვენშივე უნდა მოვიყაროთ
რარიგ სრიალაა ბამბუკი რარიგ სრიალაა ვირთხა
ნამსაც არ გასტანს ჩვენი ტვინის არსებობა
ბრძენია მდუმარე ქვა
კარგია სამყურა რომელიც ფოთლებს შლის და კეცავს
სამყურა მარტოა
და უბრალოა
ვიყოთ ჩვენც მარტონი
და უბრალონი

რაულ ჰაუსმანი

ჩიტური

პიცუ პუინ პუინნინუცუ უნნინინი ინნინაან
პიენ პიენ პიენაინ ნენნაინ ნუუ უინ
ნი ნი ნინაქს ნრუა ნრუა ნუა ნო
ინი ინი ლუა ლუა ლუაოუნიოუნო!
ნურულუ ნურელი ნურ ლუინინი
გოუ-გუიქუ გუ-გუიქუ
ნუიტ ნოუიტ ნუი უინნი ინ
ლუანიიოინო!
პრრნ პრრნ ქურრ ნტტპრუინ
ნიოუ-ნიოუ-იოუ ქუი ო
ქუი-ოუი ლიი ლიი ლო
ნუიტი ნუპნრუ!
ნრუა ნუ ნი ლუანო

რლქს

ცნ ს ს ტა თდნ ტვა დდდლლ უნნ სვევრრტ
ჰეს ნნე გჰნა პდს როლ ასგვდტ ნსოოო რრრტ
ბსა გგპ ბბვენტ სა ბლალდ ენსტ გევრ
გავრრრო ლლუს სსესსენტ ტოქუატ სალდპნოუშტ
რაგ გლომმ კნ კრნგკრ ერკტ ცოგლნ
ელლე ტ თ თ ჰჰპ ოუტ სნატ თნომ
ზოლპტრაპტ სალპტუფტ სასსბრაფფ ტესსმ
მა სსმ ნნ ოსს ტტტვ ტრრრტ სრსტროსსგ
ტსს ტრნგნ
ჰადალანპა სოგლწეგ სრდრ ნორკ სტაკტქუ
ქუგგრ ქუოგგრ ორგ ტრგ ნოგ ქუუქუსბ

თ ნატ რნნტგროუპ პროუმმს ტრიიიპ
ჰ ჰ ჰ ჰ ჰ ჰს ჰსნ სნჰ სნნნკს
სსსნ მმსს სსიესგშტს შტაგეშტ
შტა გვქუ შტ ტ ტ ტ
სმ
დაილდრ დრცც დგრლდ ცადრ ცადგ

პოსსუმ

პსუმო ს ზუმპო
ოპსუნ სს
პუსმო
მუსპო
პოუზუპომ
პოუპოუზომ
ზოუზოუმომპოუპ
პომოუპს
სოუმსოუმ
მ მ მ მ მ მ

მარია ლუიზა კაშნიცი

შენი დუმილი

ისე სწრაფად განმეშორები
ხანგრძლივია ჰერაკლეს სვეტთა გაყოლებით
ვერავისგან სილრმემოზომილ
ზღვათა ზურგს ზემოთ
ვერავისგან დათვლილ ვარსკვლავთა
გზებს შორის
მიმოქცევა შენი
ფრიად თვალებგანხვნილის.

შენი დუმილი
ჩემი ხმა
შენი ნოლა
ჩემი მიმოსვლა
შენი მილმაყოველივესი
ჩემი ჯერაცისევაქ.

არდაკარგვადი

ღამეული ხედი რომისა.
რუხადლურჯი გალავნები
შენობათა განათებული კოჭები და

კედარი რკალადკენწეროვანი
ციურ ნათელს დასწრაფებული.
სურათნი, უკვე არასოდეს დაკარგვადნი. ხოლო
დუნაის კვალად გვირგვინი ჩამოჰქონდა
ყვავილები სექტემბრისა
როგორც ნიშანი თვითმკვლელთა ხსოვნის,
ღიაობისკენ მობრდღვიალე. ხოლო
ნიჩბის ფრთა
მთვარითნათელ წყალს აშხეფებდა
სანაპიროს შინისკენ რომ მიეუყვებოდით
და იქ სიღრმეში
შავად კამკამა წყლის სიღრმეში
ხილულ იყო
ბაზარი მკვდართა.

მე და მე

ჩემი მე და მე
ერთი ჯერაც გამართული დგას
დაბეჯითებით იმზირება
ხაპავს ჯერაც სავსე პეშვებით
ძაღლის ოფლს და
ზამთრის კბენას შეიგრძნობს ჯერაც

ერთი უკვე დიდი ხანია
კედლისკენაა მიქცეული
და დუღაბზე ჩაპკირკიტებს
ოცნებების პროკლამაციას
განჭვრეტს
მისკენ მომავალ ნათელს.

მე მეს მიმართავს
დაითმინე.
მე ეკითხება მეს
ვისი გულისთვის?
მე მეს მიმართავს

დაასრულე.
მე ეკითხება მეს
რატომ?

მე თევზი
მე გოდორყური
მე ვაშლი
მე დანა
მე ხოჭო
მე სიმინდის მარცვალი
მე ქათამი

მე ძაფი
მე ნემსი.
ძაფს დაატყვევებს მე-ნემსი და
ნითელ გვირისტს
ავლებს.

ინტერვიუ

როცა ის მოვა, სტუმარი,
და ცნობისმოყვარედ შეგეკითხება,
აღიარე მის წინაშე, რომ არ აგროვებ საფოსტო მარკებს,
არ ამზადებ ფერად ფოტოებს,
არ აშენებ კაქტუსებს.
რომ არ გაქვს სახლი,
არც ტელევიზორი,
არც დეკორატიული ცაცხვი.
რომ შენ არ იცი,
რატომ ჯდები და იწყებ წერას,
უხალისოდ, რადგან არ განიჭებს ეს სიამოვნებას.
რომ შენ შენი ცხოვრების აზრი,
მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმული ხარ,
ჯერაც ისეთ არ შეგიცვნია.
რომ შენ გიყვარდა, მაგრამ არასაკმარისად,
რომ შენ იბრძოდი, მაგრამ ერთობ სუსტი მკლავებით.

რომ ბევრგან გქონდა თავშესაფარი,
მაგრამ მოქალაქეობის უფლება – არსად.
რომ შენ სიკვდილის გამო სწუხხარ, გაშინებს იგი.
რომ არანაირი მაგალითის მიცემა არ შეგიძლია გარდა ამისა:
ჯერაც გულწრფელი ხარ.

არავინ

ვინც არსად არის, არის არავინ. მე
განედის ამდენ და ამდენ გრადუსზე მყოფი
მაგრამ ოდენ წყლით და ჰაერით გარემოცული
უკვე მე არ ვარ.
ჩემი მტკიცე გემი *პროვანსი*
ისეთია როგორც *მფრინავი ჰოლანდიელი.*
მხოლოდ ნავებით მოცურდით და ცოცვა-ცოცვით ამოდით ბორტზე.
აი აქ სვამენ ბატონი არავინ ქალბატონ არავინ
აი აქ სძინავთ ბატონ *არავის* ქალბატონ *არავის*
ბავშვი-*არავინ* ჯოხის ცხენზე ამხედრებულა
მე-*არავინ* ნერით ნყალს ვნაყავ.

წერით

მეწადა წერით
ჩემი სული გადამერჩინა.
ლექსის თხზვით ვცადე ეს საქმე და
არაფერი გამომივიდა.
ვცადე ამბები მომეთხრო და
არაფერი გამომივიდა.
არ მოხერხდება წერა
სულის გადასარჩენად.
ის, დაკარგულად მიჩნეული, ჯიუტად მღერის.

დასასრული

ყელში შთაიცვი
შენივ ლექსი
დაენთქე დუმილს

როცა მეტყველებ შენ არ გესმის
სხვისი სათქმელი

გარეშემე
გარეშეშენ
გარეშეროდის
გარეშესად

მექანიზმი
რომელიც ზოგჯერ
ხროტინს გამოსცემს

უკვე მოთქმა არავითარი.
ამოქმედებულ ადამიანთა გროვა მხოლოდღა.

იყუჩე.

ზამთრის ნაყოფი

ჩემი სიმარტოვე ჯერაც ნორჩია და - ბავშვი.
არ იცის როგორ აგებენ თოვლის სახიზნეებს
არ იცის როგორ იმალებიან სოროებში.
კუნძულები რომლებზეც დასახლება რომლებზეც მსურს
ნყალში ყაშყაშით იძირებიან.
ყოველდღიურად იძვრის მიწა
ყოველ ღამით
მოდიან ქარები
ჩემი მტრები
ჩემი ოცნების ყვავილისგან - ყაყაჩოსგან -

შემოწნულ სხლტეს ანაკუნებენ.

მსტოვრებად თუ გამოდგებიან
ისინი რომლებმაც აღარ უწყიან
სიტყვები სიყვარულისა და
სიტყვები გულითადობისა.
განმკვიდრდებიან
მათ დაკარგულ პოსტებზე
რჩებიან
გასძახებენ მანდ ვინ მოდისო
და საუბრობენ მოჩვენებებთან.

როცა სიკვდილი მოგელდება
ყინვის ჟღარუნით
კუპრისფერი ბუჩქებიდან
მის შესახვედრად დაცვივდება
ზამთრის ნაყოფი
ალმასისფერი
თოვლის მიერ მიმოფანტული.

მაშინ ესღა გრჩება!

შენ. მამაკაცო მანქანასთან და მამაკაცო სახელოსნოში. ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, წყლის მილების და ქვაბების ნაცვლად დაამზადო ფოლადის ჩაფხუტები და ტყვიამფრქვევები, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. ქალიშვილო სავაჭრო დახლთან და ქალიშვილო კანტორაში, ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, ყუმბარები დატენო და სნაიპერის მაშხანებისთვის ოპტიკური სამიზნეები აანყო, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. ფაბრიკის მეპატრონევ. ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, პუდრის და კაკაოს ნაცვლად დენთი აწარმოო, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. პოეტო შენს ოთახში. ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, იმღერო არა სიყვარულის საგალობლები, არამედ – სიძულვილის საგალობლები, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. ექიმო ავადმყოფის სასთუმალთან. ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, მამაკაცები ომისთვის ვარგისად სცნო, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. მღვდელო საეკლესიო კათედრაზე. ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, მკვლელობა ადიდო და ომის სიწმიდე იქადაგო, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შეან. კაპიტანო გემზე. ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, ამიერიდან ხორბალი კი არა, ქვემეხები და ტანკები გადაზიდო, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. პილოტო აეროდრომზე. ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, ქალაქებში ბომბი და ფოსფორი ჩამოყარო, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. თერძო შენს სამუშაო მაგიდასთან. ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, კერო მუნდირები, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. მოსამართლეე მანტიაში. ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, გაუძღვე სამხედრო სასამართლოს, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. სადგურის მორიგეე. ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, გასვლის ნიშანი მისცე საბრძოლო მასალით და სამხედრო ნაწილებით დატვირთულ მატარებლებს, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. მამაკაცო სოფლად და მამაკაცო ქალაქად, ხვალ თუ ისინი მოვლენ და განვევის ბარათს მოგიტანენ, მაშინ ესღა გრჩება:

თქვი არა!

შენ. დედავ ნორმანდიაში და დედავ უკრაინაში, შენ, დედავ ფრისკოში და ლონდონში, შენ, ხუანხეზე და მისისიპიზე, შენ, დედავ ნეაპოლში და ჰამბურგში და კაიროში და ოსლოში – დედებო დედამიწის ყველა მხარეში, დედებო მსოფლიოში, ხვალ თუ ისინი გიბრძანებენ, ბავშვები შობოთ, მედიცინის დები სამხედრო ლაზარეთებისთვის და ახალი ჯარისკაცები ახალი ბრძოლებისთვის, დედებო მსოფლიოში, მაშინ ესღა გრჩებათ:

თქვით არა! დედებო, თქვით არა!

რადგან თქვენ თუ არა-ს არ იტყვით, თქვენ თუ არა-ს არ იტყვით, დედებო, მაშინ:

მაშინ: ხმაურიან და კვამლით სავსე საპორტო ქალაქებში კვნესით ჩაჩუმდებიან დიდი გემები და, როგორც გიგანტურ მამონტთა გვამები, მკვიდრად და მარტოდ შთენილ ნაპირთა მისადგომებთან იტივტივებენ, ყლარტში, წყალმცენარეებში და ნიჟარებში გახვეული, ერთ დროს კი მოლაპლაპე, მოგუგუნე მათი სხეულები, სასაფლაოს მძაღე სუნად აშმორებული, დაჩიავებული, დასნეულებული, მოკვდება –

ტრამვაები უაზრო, უსინათლო, შუშისთვალებიან გალიებად იქცევიან, ბრიყვულად დაჭყლეტილები და მავთულების და ლიანდაგების ფოლადოვან ჩონჩხთა ხლართებში მიმოფანტულ-მიგდებულები, გამოხრულ, დამპალ ფარდულებში, დაცარიელებულ და ძაბრივით დახვრეტილ ქუჩებში –

შლამივით რუხი ბლანტი ტყვიისფერი დუმილი ჩამონვება, უძღები, ზრდადი, მოედება სკოლებს და უნივერსიტეტებს და თეატრებს, სასპორტო და საბავშვო მოედნებს, ხარბი და შემზარავი, შეუჩერებელი –

მზით სავსე წვნიანი ყურძენი დალპება მიტოვებულ ფერდობებზე, გადამწვარ მიწაზე ბრინჯი გამოხმება, უპატრონოდ დაგდებულ ველზე კარტო-

ფილი გაიყინება და ძროხები გაშეშებულ ფეხებს ცისკენ აღაპყრობენ, როგორც ნაქცეული ტაბურეტები.

ინსტიტუტებში დიდი ექიმების გენიალური გამოგონებები დამჟავდებიან, დაჟანგდებიან, ობს მოიდებენ –

სამზარეულოებში, სარდაფებში და საკუჭნაოებში, მაცივრებში და საწყობებში უკანასკნელი ფქვილით სავსე ტომრები, მარწყვით, გოგრით და ბლის წვენით სავსე ქილები გამოცარიელდება – აყირავებულ მაგიდათა ქვეშ და დამტვრეულ თეფშებზე პური გამწვანდება და გამდნარი კარაქი ჭუჭყიანი საპონივით აყროლდება, დაჟანგებულ მინდორთა გასწვრივ ველად თავთავი ამოჟლეტილი ჯარის მსგავსად წაემხობა და დატკეპნილი ფაბრიკების კვამლსადენი მილები და ქურები და აგურის საკვამურები, სამარადჟამო ბალახით დაფარულები, დაიფშვნებიან – დაიფშვნებიან – დაიფშვნებიან –

მაშინ უკანასკნელი ადამიანი, დაფლეთილი ნაწლავებით და დასნეულებული ფილტვებით, უპასუხოდ დარჩენილი და მარტოსული, გესლიანად მცხუნვარე მზის ქვეშ და მოტორტმანე თანავარსკვლავედებქვეშ მოხეტიალე, საფლავთა თვალუწვდენელ სიმრავლესა და ბეტონის გამძვინვარებულ გაერანებულ ქალაქთა უზარმაზარ ციე კერძებს შორის მარტოდ შთენილი, უკანასკნელი ადამიანი, გამოფიტული, ჭკუაშეშლილი, მაწყევარი, მღაღადებელი – და მისი საშიში ღაღადი: *რატომ?* მოუსმენლად ჩაიკარგება სტეპებში, განიმქრევა ნანგრევებში, ჩაინავლება ეკლესიათა ნამუსრევში, ბომბსაფარ ბუნკერებს შეასკდება, სისხლის ტბაში დაიძირება, მოუსმენელი, უპასუხო, უკანასკნელი მხეცის – ადამიანის – უკანასკნელი მხეცური ყვირილი

– ეს ყველაფერი იქნება ხვალ, შესაძლოა ხვალ, შესაძლოა უკვე დღეს ღამით, შესაძლოა დღეს ღამით, თუ - - თუ - -

თუ თქვენ არა-ს არ იტყვით.

ნელი ზაქსი

ნაშუაღამევის გუნდნი

მიტოვებული ნივთების გუნდი

ტოლჩა ნანგრევებში

ვიყავ კი ტოლჩა, საიდანაც ვარდის ბუჩქისკენ
მწუხრი ღვინოდ და ზოგჯერ პყრობილ მთვარედ დიოდა?
მეპყრა დედაბრის სასიკვდილო ღამე, სუნთქვა კი
პალოზე მიბმულ არჩვის ქშენად ამოსდიოდა.
ო, ჩვენ, ტოლჩები! რასაც ასე ჩავჭიდებივართ,
დამშვიდობებით აიწყვება; მდორე ბუნება.
ჩვენ ვგავართ გულებს, საიდანაც არ წყდება ძგერა
და ვით საათში დროის ბრუნვა, ისე ყუჩდება.

ნახევრადჩამწვარი სინათლე

ო, აჩრდილების სარკევ ჩემო! ვნახე, მე ვნახე –
სამარის მტვრიდან ხელი ვარსკვლავს როგორ ერჩოდა.
დრო, სასიკვდილო მის აკვანში, ყვიროდა – ვნახე:
ტანჯვაში ბაგე ისრაელის ირკალებოდა.

ფეხსაცმელი

ზომა კაცისა, დაკარგული; ვარ სიმარტოვე,
სამყაროს გზებზე თავის და-ძმის მაძიებელი –

ჰოი, ისრაელ, შენთა ფერხთა ურვა-ვაების
ვარ ექო, გაბმულ ხმოვანებად ცისკენ მავალი.

გუნდი

ჩვენ კი მას მერე, რაც მიწად ვართ გადაქცეული,
თქვენგან დევნილნი ვართ ამდენი სიკვდილის ძალით –
თუ შენ წნული ხარ, გარდაცვლილთა თმით გამოწნული,
სასწაულისკენ დაემართე, იქეცი პურად.
ესერა ნიგნი, სამყარონი ბრუნავენ მასში,
და სიტყვებს შორის საიდუმლო დაუნჯებულა –
ცეცხლსაც რომ მისცე, ეს ნათელი არ დაობლდება,
ვარსკვლავის სახედ მიიძინებს ფერფლი ხელახლა.
ადამიანთა ხელის საქმეს ვატარებთ დამღად
და, როგორც ძარცვა, დაგვმჩნევია მათი იერი –
მაშ, წაგვიკითხეთ, ვით ნაწერი, შებრუნებული
სარკეში, ჯერ მკვდარ ნივთად, მერე – ვით კაცთა მტვერი.

თავდახსნილთა გუნდი

თავდახსნილნი ვართ,
ჩვენი ფუტურო ძვლებისგან უკვე სიკვდილი თავის სალამურებს ბეჯითად
თლიდა,
ჩვენი მყესებით სიკვდილი უკვე თავის თაღებს აფერადებდა –
ჩვენი ხორცი კი მოთქმას განაგრძობს,
თანხლებული ხეიბარი ჩვენი მუსიკით.
თავდახსნილნი ვართ,
ჩვენი ყელისთვის გამოკვანძული მარყუჟები კვლავაც ჰკიდია
და მოქცეულა ჩვენსკენ ლურჯ ცაში,
კვლავ ივსებიან ქვიშის საათნი ჩვენგან წვეთ-წვეთად დენილი სისხლით.
თავდახსნილნი ვართ,
ჯერაც ისევ მიგვირთმევენ ძრწოლის მატლები.
ჩვენი ციური სხეულები მტვერში მარხია.
ჩვენ, თავდახსნილნი,
გევედრებით:

თქვენი მზე ფრთხილად და თანდათან გამოგვიჩინეთ.
ვარსკვლავიდან ვარსკვლავისკენ მწყობრად გვატარეთ,
დინჯად, სათუთად შეგვასწავლეთ ცხოვრება ისევ.
თორემ ვაითუ ჩიტის გალობამ
ან წყლით სათლის ავსებამ ჭასთან
ჩვენი ცუდად დაბეჭდილი ტკივილი გახსნას
და გადაგვქაფოს –
გევედრებით:
ავ ძაღლს ჯერაც ნუ დაგვანახებთ –
თორემ ვაითუ, თორემ ვაითუ
მოხდეს, თქვენს თვალწინ მტვრად გავიფანტოთ.
რა კრავს ჩვენს ქსოვილს?
ჩვენ ვართ სუნთქვის აღარმქონენი,
რომელთა სულიც შუაღამიდან **მისკენ** განილტვა,
ბევრად ადრე, ვიდრე ჩვენს სხეულს
ნამიერების კიდობანში შეეწეოდნენ.
ჩვენ, თავდახსნილნი,
ხელს ვუჭერთ თქვენს ხელს,
ამოგვიკითხავს თქვენი თვალები –
მაგრამ ჩვენ ესღა გვაკავებს ერთად: დამშვიდობება,
დამშვიდობება მტვერში
გვაკავებს ჩვენ თქვენთან ერთად.

ყარიბთა გუნდი

ვართ მოგზაურნი,
ჩვენი გზები, როგორც ტვირთი, ჩვენს უკან რჩება –
მიწის ნაფლეთი, ჩვენ რომელშიც ხსნას ვეძებდით,
სამოსად გვექცა –
ცრემლით ნასნავლი ენის ქვაბში
იხარშება ჩვენი საკვები.

ვართ მოგზაურნი,
თითოეულ გზაჯვარედინზე მოგველის კარი,
კარს მიღმა კი, მოშრიალე ტყეებში, შველი უჩინარდება,
თეთრთვალება ისრაელი ცხოველებისა,

ოქროსფერ ხნულებს გადაუფრენს ლხენით ტოროლა.
კარის წინ, სადაც ჩვენ დავდგებით და ვითხოვთ შესვლას,
სიმარტოვის ზღვა, უწყნარესი, დგას ჩვენთან ერთად.
ო, აღჭურვილნო ცეცხლოვანი ხმლებით, დარაჯნო,
მტკვრის მარცვლეული, მოყარიბე ჩვენთა ფერხთა ქვეშ,
უკვე სისხლს აწვდის ჩვენს შვილიშვილებს.
ვაი ჩვენ, ყარიბთ, მინის კარებთან,
უშორეს გზებზე მისალმებებს
ჩვენს ქუდებზე ვარსკვლავები დაუბნევიათ.
მიწაზე სიგრძის საზომებად გაწოლილი ეს სხეულები
აზომავენ უკვე ჰორიზონტს –

ვაი ჩვენ, ყარიბთ,
ჩვენ, მხოხავ მატლებს, მოახლოებულ ფეხსაცმელთათვის!
თქვენგან დახშული ყველა კარის წინ
ჩვენი სიკვდილი, როგორც ზღურბლი, ისე განვება!

ობოლთა გუნდი

ჩვენი, ობოლთა,
ჩივილის ხმა ესმას ქვეყანას:
ჩვენი ტოტი მოტეხეს და
ცეცხლს შეუკეთეს –
ისინი, ვინც ჩვენ გვიფარავდა, შეშად აქციეს –
ჩვენ, ობოლნი, სიმარტოვის მინდვრებზე ვყრივართ.
ჩვენი, ობოლთა,
ჩივილის ხმა ესმას ქვეყანას:
დამალობანას თამაშობენ ჩვენთან ღამით ჩვენი მშობლები –
ღამის შავი ნაოჭებიდან
გვიმზერენ მათი სახეები,
ბაგეები გვესიტყვებიან:
მშრალ ხედ გვაქცია
ტყისმჭრელის ხელმა –
მაგრამ თვალები ანგელოზის თვალებად გვექცნენ
და თქვენ გიმზერენ,
გამოიმზერენ

ღამის შავი ნაოჭებიდან –
ჩვენი, ობოლთა,
ჩივილის ხმა ესმას ქვეყანას:
ქვები ჩვენთვის სათამაშოდ გადაქცეულან,
ქვებს სახე უჩანთ, სახე მამის და სახე დედის,
მათ არ იციან კბენა, როგორც ცხოველებმა, არ ჭკნებიან, როგორც ყვავილი –
და მათ ღუმელში როცა ყრიან, არ ინვიან, როგორც შეშა გამოფიტული –
ჩვენი, ობოლთა,
ჩივილის ხმა ესმას ქვეყანას:
რატომ წაგვართვი, შენ, ქვეყანავ, უნაზესი ჩვენი დედები,
ჩვენი მამები, რომ ამბობენ: მე მგავხარ, შვილო!
ჩვენ, ობოლნი, აღარავის ვგავართ ამ ქვეყნად!
ო, ჩვენ ბრალს გდებთ,
ქვეყნიერებავ!

მკვდართა გუნდი

ძრწოლის შავი მზით დავცხრილულვართ,
როგორც საცერი –
სიკვდილის ნუთის ოფლად დაეღვრილვართ.
სიკვდილი, ჩვენ რომ მოგვანიჭეს, ტანს შეგვჭკნობია,
ქვიშის გორაზე როგორც ჭკნება მინდვრის ყვავილი.
ო, თქვენ, მტვერს, როგორც თქვენს მეგობარს, რომ ესალმებით:
თქვენ, ვინც მეტყველი ქვიშა ხართ და ქვიშას ეტყვით:
მე შენ მიყვარხარ.

ჩვენ ასე გეტყვით:
მტვრის საიდუმლოს სამოსელი ნაკუნებად არის ქცეული.
ჰაერი, ჩვენში რომ მოგუდეს,
ცეცხლი, რომელშიც ამოგვბუგეს,
მიწა, რომელშიც ჩვენს ნარჩენებს ერგოთ გადაყრა.
ის წყალი, ჩვენი ძრწოლის ოფლით რომ აციალდა,
გზას შეყოლია ჩვენთან ერთად და იწყებს ბრწყენას.
ჩვენ, ისრაელის მკვდრები, გეტყვით:
ჩვენს ფარულ ღმერთში
ჩვენ უკვე ერთი ვარსკვლავით შორს ვართ.

აჩრდილთა გუნდი

ჩვენ ვართ აჩრდილნი, ო, ვართ აჩრდილნი!
ჯალათთა ჩრდილნი,
აკინძულნი მტვერზე თქვენი დანაშაულის –
აჩრდილნი მსხვერპლთა,
კედელზე თქვენი სისხლის დრამის გამომსახველთა.
ო, ვართ უმწეო ფარვანები მოთქმა-გოდების
და – იმ ვარსკვლავზე დაჭერილი, მშვიდად რომ იწვის,
მაშინ, როცა ჩვენ ჯოჯოხეთურ ჯურღმულებში იძულებით
ავცეკვებულვართ.
მარტოდენ სიკვდილს იცნობენ ჩვენით, მარიონეტთა უმწეობით,
მოთამაშენი.

შენ, ოქროს ძიძავ, რომ გვანაყრებ
ესოდენი სასოწარკვეთით,
სახე გვიჩვენე, ჰოი, მზეო,
ჩვენც რომ დავინთქათ –
ან ძალა მოგვეც, ავირეკლოთ
სიხარულით ზეანვდილი თითები ბავშვის
და ჭისპირზე
ჭრიჭინობელას უმსუბუქესი ბედნიერება.

ქვათა გუნდი

ჩვენ, ქვებს,
მავანი რომ დაგვწვდება
ის უხსოვარ ჟამს სწვდება ამ დროს –
როცა მავანი ჩვენ დაგვწვდება
ედემის ბაღს დასწვდება ამ დროს –
როცა მავანი ჩვენ დაგვწვდება
ადამის და ევას ცოდნას დასწვდება ამ დროს
და მტერისმჭამელი გველის ცდუნებას.

როცა მავანი ჩვენ დაგვწვდება

ის ბილიონ მოგონებას ხელს ახებს ამ დროს
არ იხსნებიან ისინი სისხლში
როგორც მიმწუხრი.
რამეთუ ხსოვნის ქვები ვართ და
მომცველი ვართ ყველა სიკვდილის.

ჩვენ ვართ ზურგჩანთა, ნაცხოვრები ცხოვრებებით თავამდე სავსე.
ვინც ჩვენ დაგვნვდება, იგი მინის გაქვავებულ სამარეებს დასწვდება ამ დროს.
თქვენ, თავებო იაკობისა,
თქვენთვის ვინახავთ ოცნების ფესვებს,
ანგელოზის მსუბუქ კიბეებს
ვაფესვიანებთ, ვით საცეცებს ყვავილნარისა.

როცა მავანი ჩვენ გვეხება
ის ეხება გოდების კედელს.
ალმასივით ჭრის ჩვენს სიმტკიცეს თქვენი გოდება
ვიდრე არ დაშლის და არ აქცევს მას სათუთ გულად –
მაშინ, როცა თქვენ ქვად იქცევით.
როცა მავანი ჩვენ გვეხება
შუაღამის გსაგასაყარს ეხება ამ დროს
შობაზე და სიკვდილზე ჟღერადს.

როცა მავანი ჩვენ გაგეტყორცნის –
ედემის ბაღს გატყორცნის ამ დროს –
ვარსკვლავთა ღვინოს –
შეყვარებულთა თვალებს ტყორცნის და ყველა ღალატს –

როცა მავანი ჩვენ გაგეტყორცნის განრისხებული
ის ამ დროს ტყორცნის გატეხილი გულების ეონს
და აბრეშუმის პეპლებსაც ტყორცნის.

მაშ, მრისხანებით ქვის სროლისგან
შეიკავეთ თავი, შეჩერდით –
შემცველობა ჩვენი – სუნთქვის მონაბერია.
ის გაქვავდა საიდუმლოში
მაგრამ უბრალო კოცნამაც კი შეიძლება გამოაღვიძოს.

ვარსკვლავთა გუნდი

ჩვენ ვართ ვარსკვლავნი, ჩვენ ვართ ვარსკვლავნი,
მოყარიბენი და მომღერალნი, ელვარე მტვერნი –
ჩვენი დაიკო, დედამინა, დაბრმავებულა
ზეციურ ფოტოსურათთა შორის –
მგალობელთა გუნდში
ხაფ ხმად გადაქცეულა –
ის, სანუკვარი
მტვერში დამწყები თავისი ღვანლის: ანგელოზთა გამოსახვისა –
ის, ნეტარებით აღსავსე, თავის საიდუმლოში,
ვით წყალსაცავი ოქროს მომცემი –
ნევს ის ღამეში დაფერთხილი,
ვით დაღვრილი ღვინო ქუჩებში –
ბოროტეულის გოგირდია მის სხეულზე მორბენალი ყვითელი შუქი.

ო, დედამიწავ, დედამიწავ
ვარსკვლავთვარსკვლავო
დიდხანს მავალო სამშობლოზე მოთქმა-გოდების იმ ბილიკებით
უფალმა რომ თავად განკვალა –
არავინაა შენს ზურგზე, ვინც შენს სიჭაბუკეს გაიხსენებდა?
არავინაა, ვით მოცურავემ, თავი უძღვნას
ზღვებს სიკვდილისა?
არავინაა, მონატრება ვისიც დამწიფდა
რათა ამაღლდეს ვით მაღლდებიან ანგელოზურად მფრინავი თესლნი
ბაბუანვერას ყვავილობისა?

დედამიწავ, დედამიწავ, რამ დაგაბრმავა:
პლეადების თვალებმა თუ
ამწონავი მზერის სასწორმა?

მკვლელის ხელებმა გაუწოდეს ისრაელს სარკე
რომელშიც სიკვდილს შეიცნობდა მოკვდავად ყოფნა –

დედამიწავ, ო, დედამიწავ
ვარსკვლავთვარსკვლავო
დრო მოვა, სარკე დაერქმევა თანავარსკვლავედს.
მაშინ კი, მაშინ, ო, თვალდავსილო, თვალი ისევ აგეხილება!

უხილავი ნივთების გუნდი

ღამევ გოდების კედლისაო!
მდუმარების ფსალმუნები შენში მარხია.
შენშივე ჰპოვეს საყუდარი ნაფეხურებმა,
სიკვდილით ისე ავსებულებმა
ვით ივსებიან მწიფე ვაშლები.
ცრემლი, შენს შავ ხვიფლს რომ ასველებს,
უკვე გროვდება.

რამეთუ უკვე უხილავი ნივთებისთვის
ანგელოზი კალათებით არის მოსული.
ჰოი, მზერანი ერთურთს მოწყვეტილ შეყვარებულთა
ცათა შემქმნელნი, სამყაროთა დამბადებელნი
რა სისათუთით ხდება მათი შეგროვება მარადისისთვის
და მოკლულ ჩვილთა შემოსვა ძილით,
ნაღველნი ახალ სიდიადეთა ღივდებიან
მათ თბილ წიაღში.

საიდუმლოში ჩასუნთქვისა
შეიძლება ღივდებოდეს საგალობელი მშვიდობის, ჯერარნაგალობევი.

ღამევ გოდების კედლისაო,
შეიძლება დაგანგრიოს ელვამ ლოცვისა
და ყველამ, ვისაც ღვთის მოსვლის ჟამს ჩასძინებოდა
ისევ მისადვე განიღვიძოს
შენი ნგრევადი კედლების მიღმა.

ღრუბელთა გუნდი

ჩვენ ვართ აღსავსე ამოსუნთქვით, აღსავსე მზერით
სიცოცხლითაც ვართ ჩვენ აღსავსე
და ზოგჯერ თქვენი სახეებითაც.
შორეული როდი ვართ თქვენთვის.

ვინ იცის, თქვენი რამდენი სისხლი ამოვიდა
და ჩვენ შეგვღება?
ვინ იცის, თქვენი რამდენი ცრემლი დაგავიწყათ
ჩვენმა ტირილმა? ან რამდენი მონატრება ქმნიდა ჩვენს ფორმას?
ჩვენ ვართ მკვდრადყოფნის მოთამაშენი
და სათუთად შეგაჩვევთ სიკვდილს.
გაუწაფავნო, ღამეებმა ვერაფერი რომ ვერ გასწავლათ.
ბევრი მოგეცათ ანგელოზი
მაგრამ თქვენ მათ ვერასდროს ხედავთ.

ხეთა გუნდი

ო, ნადირობის მსხვერპლნო ამ ქვეყნად!
ჩვენი ენა ვარსკვლავთა და ნაკადულთა ნაზავია
ისე, ვით თქვენი.
ჩვენი ხორცისგან წარმოსდგება ასოები თქვენი ანბანის.
ჩვენ ვართ ნიადაგ მოგზაურნი
ჩვენ თქვენ შეგიცნობთ –
ო, ნადირობის მსხვერპლნო ამ ქვეყნად!
დღეს ფურირემი ჩამოკიდა ჩვენს ტოტებზე ადამიანმა
გუშინ ვარდებით სავსე მდელო გადაღება ჩვენს ირგვლივ შველმა.
თქვენეული ნაფეხურების უკანასკნელი ძრწოლა ქრება ჩვენს მშვიდობაში
ჩვენ ვართ ჩრდილის ის დიადი მიმთითებელნი,
რომ დასთამაშებს ჩიტის გალობა –
ო, ნადირობის მსხვერპლნო ამ ქვეყნად!
ჩვენ მივუთითებთ საიდუმლოს
რომ იწყება ღამესთან ერთად.

ნუგეშისმცემთა გუნდი

ვართ უყვავილოდ დარჩენილი მებაღეები
გუშინდელიდან ხვალინდელში არ ირგვებიან

სამკურნალო მცენარეები.
სალბი გადაჭკნა უკვე მინდვრად –
ახალ სიკვდილთა სახის წინაშე როზმარინმა სურნელება შემოიკარგა –
აბზინდამაც კი გუშინდელ დღეს მიანება თავის სიმწარე.
აღარც ნუგეშის ყვავილები ამოყვავილდნენ
არ ეყოფიან სანუგეშოდ ისინი ბავშვის ცრემლთა სატანჯველს.

ახალი თესლი გაიხარებს, ალბათ,
ღამის მომღერლის გულში.
ჩვენგან რომელი მოახერხებს ნუგეშისცემას?
ღარტაფის სიღრმეს მიცემული
გუშინდელსა და ხვალინდელს შორის
დგას ქერუბიმი
მწუხარების ელვებს ხატავს თავისი ფრთებით
ხოლო ხელებით ერთმანეთისგან
განნვალავს კლდეებს გუშინდელის და ხვალინდელის
როგორც ბაგეებს ჭრილობისა რომელიც ასე
პირდაღებული უნდა იყოს
და არ ჰქონდეს მოშუშების ჯერაც უფლება.

გლოვის ელვები ჩაძინებას არ ანებებენ
დავიწყების ველს.

რომელ ჩვენთაგანს აქვს უფლება ნუგეშისცემის?

ვართ უყვავილოდ დარჩენილი მებაღეები
და მოკაშკაშე ვარსკვლავზე ვდგავართ
და მოთქმით ვტირით.

არშობილთა გუნდი

ვართ არშობილნი,
კაეშანი უკვე იწყებს ჩვენს გამოკვალთვას
სისხლის ნაპირნი მკლავებს შლიან ჩვენს მისაღებად
როგორც ცვარ-ნამი ვიძირებით ჩვენ სიყვარულში.
უკვე ანვანან ჩრდილებივით ჩვენს საიდუმლოს

დროის ჩრდილები.

ყური დაგვიგდეთ, თქვენ,
მოყვარულნო,
თქვენ, კაეშნით აღსავსენო,
და სნეულნო დამშვიდობებით:
ჩვენ ვართ ისინი, თქვენს მზერაში რომ ცოცხლდებიან,
და – თქვენს ხელებში, მაძიებელნი რომ არიან ცისფერ ჰაერში –
ჩვენ ვართ ისინი, განთიადის სურნელებით რომ სურნელებენ.
უკვე გვიზიდავს თქვენი სუნთქვა
და თქვენს ძილშიც ჩავყავართ უკვე
და იმ სიზმრებშიც, რომლებიც ჩვენი მინიური სამეუფოა
და სადაც ჩვენი შავი ძიძა, ღამე
ზრუნავს ჩვენს გამოზრდაზე,
ვიდრე თქვენს თვალში ავირეკლებით
ავმეტყველდებით თქვენს ყურში ვიდრე.

ჩვენ, როგორც პეპლებს,
ისე გვიჭერენ მზვერავები თქვენი კაეშნის –
ჩვენ დედამინას მიგვყიდიან ჩიტთა ხმებივით –
ჩვენ, განთიადის სურნელებით მოსურნელეებს,
ჩვენ, სამომავლო ნათელს თქვენი მგლოვიარების.

წმინდა მინის ხმა

ო, შვილებო, ჩემო შვილებო,
როგორც ვენახში,
თქვენს გულებში განვლო სიკვდილმა –
ნითლად დახატა *ისრაელი* დედამიწის ყველა კედელზე.

რა გზას ეწიოს ერთი ციდა ეს სიწმინდე,
ჯერაც ისევ ჩემს ქვიშაში რომელიც მკვიდრობს?
განმარტოების საყვირებით მეტყველებენ
ხმები მკვდრებისა.

ჩადეთ ხნულებში იარაღი შურისძიების

რათა მომშვიდდეს –
რამეთუ რკინაც და მარცვალიც და და ძმაა
მიწის წიაღში –

რა გზას ეწიოს ერთი ციდა ეს სინმინდე
ჯერაც ისევ ჩემს ქვიშაში რომელიც მკვიდრობს?

ძილში მოკლული ბავშვი
დგება; ხეს მორკალავს ათასწლეულთა,
მერე გვირგვინზე მიიმაგრებს
თეთრ, მსუნთქავ ვარსკვლავს
ოდინდელ დროში ისრაელი რომელსაც ერქვა.
სწრაფად უკანვე, ამბობს იგი,
სწრაფად იქითვე, სადაც ცრემლები აღნიშნავენ მარადისობას.

პეტერ ჰანდკე

რა არ ვარ, არ მაქვს, არ მსურს, არ მინდა –
და რა მინდა, რა მაქვს და რა ვარ

(მთავარი ბიოგრაფიული მონაცემები)

რა არ ვარ:
არ ვარ უჟმური
არ ვარ საჭმელწუნია
არ ვარ მწუხარების შვილი.

რა არ ვარ ჯერ ერთი, მეორეც და მესამეც:
ჯერ ერთი არ ვარ მეოცნებე, მეორეც არ ვარ განდეგილი, მესამეც არ ვარ
სპილოს ძვლის კოშკის ბინადარი.

მე რა არ ვარ:
მე არ ვარ ამომრჩეველთა რუხი მასა.

სამწუხაროდ რა არ ვარ:
სამწუხაროდ არ ვარ გმირი
სამწუხაროდ არ ვარ მილიონერი.

ღვთის მადლით რა არ ვარ:
ღვთის მადლით არ ვარ ავტომატი
ღვთის მადლით არ ვარ ის, ვისაც ისე ექცევიან, როგორც მოეპრიანებათ.

ბოლოსდაბოლოს რა არ ვარ:
ბოლოსდაბოლოს არ ვარ ჯამბაზი

ბოლოსდაბოლოს არ ვარ შეშლილთა დარაჯი
ბოლოსდაბოლოს არ ვარ ნაგვის საყრელი მოედანი
ბოლოსდაბოლოს არ ვარ საქველმოქმედო საზოგადოება
ბოლოსდაბოლოს არ ვარ სულის ნუგეშისმცემელი
ბოლოსდაბოლოს არ ვარ საკრედიტო დაწესებულება
ბოლოსდაბოლოს არ ვარ თქვენი ფეხის გამამშრალებელი
ბოლოსდაბოლოს არ ვარ ცნობათა კანტორა.

თუმცა რა არ ვარ, *მაგრამ აგრეთვე* არ ვარ:
თუმცა არ ვარ ლაჩარი, მაგრამ აგრეთვე არ ვარ ცხოვრებაზე ხელაღებული
თუმცა არ ვარ პროგრესის მოძულე, მაგრამ აგრეთვე არ ვარ ყოველგვარი
სიახლის თაყვანისმცემელი
თუმცა არ ვარ მილიტარისტი, მაგრამ აგრეთვე არ ვარ დამყაყებული
მშვიდობის მომხრე
თუმცა არ ვარ ძალადობის მომხრე, მაგრამ აგრეთვე არ ვარ განტევების
ვაცი
არ ვარ პესიმისტი, მაგრამ აგრეთვე არც ცისფერთვალება უტოპისტი.

არც-არც რა ვარ:
არც ნაციონალისტი ვარ, არც გამთანაბრებელი
არც დიქტატურის თაყვანისმცემელი ვარ, არც არასწორად გაგებული
დემოკრატიის დამცველი.

რა არ მაქვს:
არ მაქვს უცხო ხალხის საქმეში ცხვირის ჩაყოფის ხალისი.

რა არ მსურს:
არ მსურს მაღლა ახედვა.

რა არ მსურს, მაგრამ:
დიახაც არ მსურს იმის თქმა, რომ აქ ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ –

რა არ მსურს, მაგრამ აგრეთვე არ მსურს:
არ მსურს ყველა ჩემი ღირსების ჩამოთვლა, მაგრამ აგრეთვე არ მსურს
ყალბად ზომიერი ვიყო.

რა არ მინდა:
არ მინდა პირველი ქვის სროლა.

რა მინდა:

მინდა, რომ შევთანხმდეთ.

რა მსურს:
თქვენთვის მე მსურს მხოლოდ ყოველივე საუკეთესო.

რა მისურვებია:
მე ყოველთვის მხოლოდ ყველაფერი საუკეთესო მისურვებია.

რა გამაჩნდა:
ადრეც მსგავსი აზრები გამაჩნდა.

რა მაქვს:
მაქვს განსაკუთრებული პრობლემები.

რა ვარ:
ამის მომხრე ვარ.

რა ვარ აგრეთვე ჯერაც:
აგრეთვე ჯერაც აქ ვარ.

რა ვარ აგრეთვე ზოგჯერ, მაგრამ მერე ისევ:
აგრეთვე ზოგჯერ იმ აზრის ვარ,
რომ ეს ასე აღარ გაგრძელდეს, მაგრამ მერე ისევ –

რა ვარ:
ეს მე ვარ!

ზოგიერთი ალტერნატივა ირიბ მეტყველებაში

ქმედებები ალტერნატივებიაო სიტყვების
ისე როგორც *მე* ალტერნატივე აროსო *მას*-ის
ან როგორც *ჩვენ* ალტერნატივები არიანო *ჩაგვრის*
ან როგორც შენ ალტერნატივა არისო *ცარიელი ბინის*:

სიტყვები, როგორც ამბობენ, ისევ *აზროვნების* ალტერნატივები არიან
ისე როგორც *მოლაპარაკებები* ალტერნატივები არიან *ომის*

ან როგორც *რეალობის გრძნობა ალტერნატივაა წესების გარეშე თამაშის*
ან როგორც *მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა ალტერნატივაა*
კარტოფილის ხოჭოსი:

აზროვნება, როგორც გვმოძღვრავენ, პირიქით, ალტერნატივაა ქმედებების
ისე როგორც *დახუთული ჰაერი ალტერნატივა უნდა იყოს მათი, ვინც*
სუფთა ჰაერისთვის ზრუნავს
ან როგორც ანარქია ალტერნატივა უნდა იყოს *თანამზრახველთა კეთილი*
ნების
ან როგორც *ნეკა თითის ალტერნატივა სულ არაფერი* უნდა იყოს:

ასე რომ, ალტერნატივები, შეიძლება ითქვას, ასარჩევად ორ სიტყვას
გვთავაზობენო

ალტერნატივები სიტყვებისგან შედგებიანო
სიტყვები, როგორც ასეთები, ამტკიცებენ, *რა უნდა იყოსო*
ალტერნატივები ასარჩევად ორ სიტყვას გვთავაზობენო რომელთაგან
ერთი უნდა იყოს რათა მეორე არ იყოსო
ალტერნატივები თავად წარმოადგენენო ასარჩევ სიტყვებს, რომლებიც,
იმის წყალობით,
რომ სიტყვები, როგორც ასეთები, ამტკიცებენ, *რა უნდა იყოს*,
აღარ უშვებენ არჩევანს უკვე მოცემულ ორ სიტყვას შორის

სიტყვები რომ *აზროვნების* ალტერნატივები ყოფილიყვნენ, როგორც
ალტერნატივები, რომლებიც ვითომდა, როგორც ამტკიცებენ, სიტყვები
არიან, რადგან ისინი ვითომდა *სიტყვები* არიან (და ვითომდა სიტყვები
ამტკიცებენ), - მაშინ ალტერნატივები, უკვე როგორც *სიტყვები*,
მამტკიცებელნი იმისა, რაც *უნდა იყოს*, გამოდგებოდნენ მავნე აზრთა
წინააღმდეგ საბრძოლველად:

აჯანყება ან ჩაძაღლება!

ინგო ცეზარო

უფრთოდ

ისინი უფრთოდ მაღლდებიან
ჩვენს თვალწინ
ცაში
ამას რომ ვუმზერთ
თავბრუ გვეხვევა

ბევრი ამტკიცებს
რომ ანგელოზებს არაფერში სჭირდებათ ფრთები
რომ აბრკოლებენ მათ ეს ფრთები
და ინვევენ დაზიანებებს
თუ საერთოდაც
ფრთების ბრალია ეს ყველაფერი

ასწლეულები გაილია
ვიდრე ისინი ისწავლიდნენ
უფრთოდ ცხოვრებას
მხოლოდ ტკივილით
კიდეზე თვალწინ არარსებულის
და როგორღაც ძალიან ახლოს
შეუგრძნობლად შორს

ეიოლებათ
უფრთოდ
მაგრამ ბევრად რთულია
ამ ერთობ შორი
მაგრამ მაინც ასერიგად ახლობელი ამ ტკივილის
უფრთოდ დათმენა.

დატყვევება

ოთახებს და ბოსლებს მოდებულ
ბუზსაჭერებზე
ურიცხვი ბუზი
სამუდამოდ მიწებებულა

და აი ერთი ანგელოზი
ხანგრძლივი ფრენით უკვე ძალაგამოლეული
იხლართება
ფრთებს უძლურად სცემს
და ბოლოს
რათა თავი დაიხსნას
უნდა დათმოს თავისი ფრთები

მოკლე უწყებამ
ადგილობრივ გაზეთში რომ გამოქვეყნდა
მიიზიდა უამრავი ცნობისმოყვარე
ტევა არ არის სადარბაზოს შესასვლელებში
მიუხედავად იმისა რომ
მოძრაობას პოლიცია არეგულირებს

დახმარების აღმოსაჩენად
მოფრენილი ანგელოზები
ვერ ახერხებენ
უთვალთვალოდ
ნებოვანი გრაგნილების
მარწუხებიდან
ფრთების გამოხსნას

ფიქრები გაქცევაზე

ეს ძალიან უბრალოდ ხდება
ჩრდილებიდან სწრაფგამოსულნი
თავ-თავიანთ ანგელოზებს

უნიჭოდ და უგერგილოდ
და მეტწილად უფორმოდ კვეთენ
ვიდრე ისინი – ანგელოზები –
ვარჯიშების და ტრავმების მერე
თითქოს ჭუპრიდან თავდახსნილები
ფრთების გაშლას მოახერხებდნენ

მათ ამაზე არც უფიქრიათ
უბრალოდ სურდათ ფრენის არმცოდნე
თავ-თავიანთ ანგელოზებს გაფრთხილებოდნენ
ეზრუნათ მათზე ეამაყათ მათით და ყველგან გამოეფინათ

არადა ჩრდილებს
ტკბობით
შერნყმულ
ამ ქმნილებებს ხომ
კვლავ სიცოცხლის გაგრძელება სურთ
მაგრამ ეს ლტოლვა გვიანია
გვიან არის გახსენებული
გვიანია გაქცევაზე მათი ფიქრები.

სრულიად უცხოთა შესახებ

დანახშირებულფრთებიანი
ჩაფერფლილი ანგელოზები
რომელთა ფორმა
ამ ნახევარჩრდილებშია ამოსაკითხი

თვალი გაურბით
ცვალებადი ტკივილები
ერთმანეთის მიყოლებით
კითხულობენ ყველა ანდერძს
უმისამართო წერილებად
ქარის მიერ მათთვის მოტანილს
ზოგჯერ მოტანილს იმ საფოსტო მტრედების მიერ
შინისაკენ გზა რომ აებნათ

დანახშირებულფრთებიანი
ჩაფერფლილი ანგელოზები
მოუთმენლად მოელიან
რომ კვლავ ფრთები გამოეზრდებათ
და მათ უცხონი
საცეკვაოდ გამოიწვევენ

არგენტინული ტანგოს ცეკვისას
კანი ცეცხლს კვლავაც
პირველად იგრძნობს.

გრძელი დანებით

ჩრდილისებრშავად მფეთქავ გულებს
ვნებებიდან
ამოკვეთენ
გრძელი დანებით
და სთავაზობენ
არმცოდნენი ვერას ხვდებიან
სიიაფეა ერთადერთი
რაც მათ იზიდავს

ანგელოზები გრძელი დანებით ამოკვეთენ
ვნებებიდან
სიყვარულით აღსავსე გულებს
რათა გადარჩეს სიყვარული
და გულები არ დაიხოცონ
ჩვენთვის ჩვეული წარმოდგენების საპირისპიროდ

ჩვენ არ ვტყუვდებით
კარგად ვიცით ეს სიიაფე
მოჩვენებითი სიიაფეა
ვერა ფასად მათ ვერ გაყიდდნენ

მაგრამ ისინი
ნებისმიერ ფასად ჩუქნიან

ჩრდილისებრშავად მფეთქავ გულებს
ამოკვეთილს
გრძელი დანებით
გულებს რომლებიც შენს ხელში ჯერაც
პულსირებენ და ასე ფეთქავენ.

შუშის ანგელოზები

ისინი – შუშის ანგელოზები –
მხიარული ციდან ცვივიან
და არ ტყდებიან
შეიგრძნობენ უპირველესად
მათ საბოლოო დაუმსხვრევლობას

როცა ისინი ღამეს იხდიან
წყნარი სიმღერა დიდდება და
გადმოდინდება
მალე კი წვანან მდინარის ფსკერზე
მათში წყალი მიედინება

ჭუჭყიანი მდინარის
თრომბებს
ღრმა ფსკერს ჩახედე
მდინარის ფსკერზე
შენ ნახავ შუშის ანგელოზებს
ამომტირალთვალებიანებს

ანგელოზების ენები წყალზე აცეკვებულან
სასიყვარულო სიმღერებად ამღერებულან
მაღლით დასცქერენ
წყლის თრომბებს
შუშის ანგელოზები
მსხვრევადობაზე წარმოდგენებს
ეთხოვებიან.

დავდივარ

მე საკუთარი ფეხით დავდივარ.
საკუთარი ფეხით მავალი,
მე ვამარცხებ ჩემივ ნაბიჯებს.

მე ჩრდილს ნარმოვშობ.
ჩრდილი, რომელსაც მე წარმოვშობ,
იბლანდება ჩემს ფეხებს შორის.

როცა მე ვწევარ დიუნებში
და ტოროლას აღმაფრენას ვაკვირდები,
ჩრდილს არ წარმოვშობ.

ჩრდილს არ წარმოვშობ,
როცა წიგნებს დავწაფებივარ.

ვარ ზემოთაც და ვარ ქვემოთაც,
გუშინ, დღეს და ხვალ.

მაგრამ მე ხელით,
ჩემივ თითებით
ვფურცლავ მთელ დასტას,
სისხლიან წიგნს
ხელითდათლილი ანტრეკოტისას.
დავხარბებივარ კარგად ნასუქ წიგნს.

ხოლო კითხვისას მავიწყდება

ჩემი თითები, ამოზრდილები
ხელებიდან და მკლავებიდან,
მკლავებიდან და მხრებიდან და
ჩემი გულმკერდის ყაფაზიდან, ჩემი ტანიდან,
რომელიც თითებს მიაჩნიათ მათ საკუთრებად.

თითები მასთან ლაპარაკობენ,
რომ ისინი არიან, ვინც – მე,
მე კი – ისინი, მეტიც არავინ.

მათი წვერები,
თითისწვერები,
მონიტორებს რომ ეხებიან,
ეკრანის ხაოს,
თითები ასე გაიაზრებენ:
ისინი უნდა მზადდებოდეს უფრო მოკლე,
ვიდრე არის თითისწვერები.

ეს თითები ეკრანზე ვერც სუნს,
ვერც გემოს და საერთოდაც
ვერაფერს გრძნობენ.
მაგრამ ეკრანი უსირცხვილოდ
აღაგზნებს მათი ხედვის შეგრძნებას.

ხელით ჩამოჭრილ დასტას,
წიგნებს დაწაფებული,
მე ჩემს ჩრდილს ვკარგავ.

ათასჯერ უფრო
მეზრდებიან კიდურები,
ჩემს ირგვლივ კი ვარდისფერი
მტკიცე ნიჩბებით
მუყაითად ირჯება იგი,
ვინც მე ჯერ კიდევ უნდა გავხდე,
თხუნელა,
მიწას რომ ამოძრავებს.

მზე

ჯერ კიდევ ოთხზე
ჩემი თვალის ფიალაში ამოტივტივდა.
ჯერ კიდევ ღამის ათ საათზე
მისი სინათლის ანარეკლი
ჩემს ოთახში სისხლისფრად ენთო.

სარკეში ვჭვრეტდი
ჩემი თვალების
კაპილარებით დაქსელილ თეთრ გარსს.

ის შორეული მოგზაურია.

მთელი ზაფხული
მის ნათებაში
სანაპირო ზოლის თავზე
ცა იმ სიმწვანით აჯერებდა თავის სილურჯეს,
რომელსაც, ხელისგულივით გაშლილს,
ნეკა თითის დავიწყება სურს.

სწორედ მასზე მოგონებით ინარჩუნებდნენ
წონასწორობას ბოჩოლები,
პირით ბალახს მოჭიდებულნი.

სიყვარულის ახსნა

შენ, რომელიც, მუშაობას როცა ამთავრებ,
ჩემი ყურის ბიბილოსთან გაყურსულხარ:
მუხლებს შორის მოუთმენლად
გიპყრია შენი სახმო სიმები.
სიყვარულით განაწევრებ, მდედრო სხეულო. მაგრამ ფიქრებში
ზურგ-და-ზურგ ვსხედვართ. მხოლოდ ჩვენი
თავის კოკრები უმზერენ ერთურთს ღიად
სახეში.

დამსერავ სიტყვებს გზავნი შენ ვგზავნი
ჩვენს ორადქცეულ მიმოქცევაში.
შენ მოქმედებ ნელა ვმოქმედებ.
ხელშესახებად თბილ ჭრილობებს გამოვწერთ-გავცემთ.

ბევრი რამ არის, რაც ძლიერია!
გუშინ შენი ბრმა მუხლები
ბონკინტის მიღმა:
გარდა ფეხისა,
არაფერია ადამიანზე უფრო ძლიერი.
გალღვი! გალღვი,
მწოლიარე ლამაზო სახევ.

ჩემი ცოლის თვალი

ჩემი ცოლის თვალში
კიდევ ერთხელ
თვალი ვკიდე სამყაროს ნათელს.

ჩემი ცოლის თვალის
გუგებში
უფრო მშვენიერს, ვიდრე იყო,
ვხედავ სამყაროს.

მცირე, როგორც კაკლის ლებანი,
დავცურავ
ჩემი ცოლის ცრემლებში.
ვირწევი, ნავი
მღელვარე ზღვაში,
ყოველთვის, როცა ირიბად იმზერს.

ჩემი ცოლის თვალში
ხელახლა ვიშვი.
მსურს გავუფრთხილდე მე მას, როგორც
ჩემივ თვალისჩინს.

მოწყალე მექმენ, რუხო ქაღალდო,

შენ, ქაღალდმჭრელის ბავშვო და ციცქნა, ადგილმონაცვლე ნისქვილის
ფიქრო,

ჩემო ქაღალდო ფეხშიშველო, ჩამოკონკილო,
მომეცი ხელი, ჰიდროფილურო,
რუხადრუხო, ტვინის ნაწარმო.

შენ, წმინდა წყლის მაკულატურავ,
შენში ჯერ კიდევ დაძვრებიან ყალთაბანდები,
ალზეებულ ღამის ფიქრებს
იტაცებენ თავიანთი ალისფერი თვალებით შენში.
ტვინივით რუხო ცისარტყელავ, სათუთო ხსოვნავ,
ქაღალდო, ხის სხეულიანო,
შენ, ქაღალდო მოგზაურ სულთა,
ქაღალდო ნაშრომ შრომათაო:
მრავალია შენი სიცოცხლე,
შენს ირგვლივ დგანან ტყეები და გაკვირვებით შემოგცქერიან.

მოწყალე მექმენ, რუხო ქაღალდო,
ჩვენ გვინდა, ვიყოთ ერთობლივი მრავალწახნაგი
შენთა თეთრთა დედმამიშვილთა.
რაც თეთრად არის ამოზრდილი, შენთვის უცხო არაფერია,
შენ მოახერხე შენი თეთრი სინდისიდან თავის დაღწევა.

ჩემი მარცხენა თვალი

ეს მარცხენა ჩემი თვალი
უმაქნისია,
რაც მის მზერას
ავიწროებს და ისეთად აქცევს,
როგორიც არის გრენლანდიის ცუდი ამინდი.

ხომ ლამაზი ხარ, ჩემო თვალო.

გეხვეწები, კეთილიც იყავ.
ჩემო თვალო, დაიბრუნე შენი სიკეთე.

ან, გიჯობს, გითხრა,
რომ აღარ ხარ შენ ჩემი თვალი?
გიჯობს, რომ ისე აღმოგითხარო,
როგორც მაცდური?
თვალი თვალის ნილ?

კურდღლის თვალი

სარკმელში, ბაღს რომ გადაჰყურებს,
მე კურდღლის თვალს მოვკარი თვალი.

კურდღლის თვალმა კი მე მომკრა თვალი
ჩემი ოთახის მომზირალი მისი სარკმლიდან.

მზერის ღერძი ჩვენ ორს შორის.
გაჭიმული,
ჩვენს თვალებს შორის.

ული როთფუსი

ახლა დღეები, უკვე ნათელშემატებული,

ამ გრძელ ზამთარში
შენ ერთადერთს
თვალს გადევნებენ

როგორ დამჯდარხარ გამართული
თმის ღერები ჩამოგშლია
ნათელ
სახეზე

ახლა დღეები, უკვე ნათელშემატებული,

თუ როგორ ზიხარ და კითხულობ
ფხიზელი და
ფიქრით შორს მყოფი

ხოლო ჩვენს ოთახს
თოვლი ავსებს
ამ გრძელ ზამთარში

გარეთ – ჩიტების გულშიმწვდომი კაშკაშა სტვენა

ზოგჯერ
ნამისად
გამოიმზერ

უცხო მხარეში
ნასროლი
მზერა

დილის პირველი შუქი

თოვლს
და შენეულ პირველ სიცილს
ღრმად აურეკლავთ
და აღუბეჭდავთ
შენი ცახცახი
აგემოვნებენ კიდევ ერთხელ
ამ ღამეულ ზღვას

თოვლს
მიხოფავენ შენთან ერთად

მცხუნვარების სურათები
დღისით უკვე
ხანგრძლივდებიან

და გზას ადგანან
ისინი შენკენ

ისინი ჩვენით რწყულდებიან
გვიანი ღამის
გამომლღვარ ნყალთან

თოვლი, ეს ხომ
შენი სიცილი
და პირველი ხეები ჰყვავის

სილურჯე გარეთ

სრული სიჩუმე
და ღრუბლები
ჩიტებივით უმსუბუქესი

გთხოვ რომ დამითმო ეს წუთები
ჩასუნთქვის და ამოსუნთქვის
მარტოდენ ერთხელ

ჩავისუნთქო ამოვისუნთქო

oui, en francais

ეს სამხრეთია,
ქარი ზუზუნებს
და ეს თვალები
ღრმაა როგორც
მაშინდელი
წყალი
ჩვენს ქვემოთ

შენ ზღვასთან
ახლა
ეს მცხუნვარება

შავი ცეცხლი

შავი ცეცხლი
შენ
გაზაფხულზე
აი ახლა

ტბაზე
ჯერაც
მსუბუქი ქარი

და სითეთრე –
კონტრასტი
შენი ხელებისთვის
იქ
შორეულ მწვერვალთა თავზე

და იქვე შენი ეს სიცილი

ბოლოსდაბოლოს
აი ახლა
ეს ჩვენი
ღამე

შლადი
ყვავილი

და შენი სიცილი

ვით ქარიშხალი
მოგვიანო ზაფხულის ხვატში
ხეობიდან აღზევებული
ერთიანად სამხრეთიდან გადმორეკილი

ქარიშხალი, მუხას რომ არყევს
და აძაგძაგებს

ასეთია შენი სიცილი
თავისთავს რომ თვითვე ივიწყებს
მომლოდინეს
კარს რომ შეუმტვრევს

დიახ თავს სწორედ
ასე მატყდება

ეს სიზმარია?
შენი თვალებიც
მშვიდობიანად იცინიან
დიახ, ჯერ კიდევ

როგორც მწვანე ზღვა
მზეს რომ ირეკლავს

ეს ყველაფერი, აქ
და ახლა
ფიქრები როგორც
გაულეველი ბილიკი ტყეში

და სამ ვარდთანაც
ბოლონიაში

ეს თვალები

ეს თვალები
აღსავსეა ისტორიებით
და ზღვაა
ჩემთვის

სურვილი
მასში
დავიკარგო
ერთი წამით სამარადისოდ

შენ
გაჩენილო
შენს სიჩუმეში

და აი მაინც

ჰანს ციგულკა

მენე თეკელ

ჩემი მამული
მკვდარი ზღვებია,
ნაძვებია,
ცისკენ
ნიჩბებივით
ქოსად ნამახული.

კოშკიდან ჭკის ხმა
აღარ ისმის,
ჩემი ყრმობის ჭები
მონამლულა.

შენს სხეულში
ბრჭყვიალა ნივთიერებები
მოუსვენრობენ,
გენეტიკური დაზიანება,
იხოცებიან სათადარიგო უჯრედები,
ქრომოსომების ჭაობი.

არ ვამბობ,
არყის ხის ქერქის ქუდი უნდა გეხუროს მეთქი,
სამოსი დანნული ანწლის გეცვას მეთქი,
მე მხოლოდ ვამბობ:

სად ნახვალ,

როცა ერთ დღეს
ჟანგბადის პირველი ხვრელები
თავს დაატყდება ჩვენს ქალაქებს,
როცა ელბაზე
პირველი აისბერგები გამოჩნდება?

პოეზია

შენ,
ჩემო უიღბლო ასულო,
დროთა მანძილზე მე გავიგე,
რომ მრისხანება შემიპყრობს
შენს გამო.

იშვიათად იღებავ
ტუჩებს,
ლოყაზე არ ისვამ ფერ-უმარილს,
სირცხვილს სინითლე
შენს სახეზე გამოუდევნია.

დაგითმენია შენ ისინი,
დიქტატორები,
ყოველ ფურცელზე —
შერყვნილი სიყვარული,
ნაღალატევი იდეა.

ხოლო ეს რაა,
შენ რომ გაიძულებს, პირდაპირ იარო,
მარტოდმარტომ,
ჯურღმული
ინფრანითლით და ულტრაბგერით,
ისევ და ისევ წამოდგომის
ძალას რომ გმატებს,
როცა სხვები ძირს განარცხებენ.

შენ, ჩემო უიღბლო ასულო,

შტიფტი მოიმარჯვე,
დანერე,
ღამ-ღამობით
საფლავებიდან მკვდრები დგებიან,
არიგებენ პროკლამაციებს,
საიმედო არაფერია,
მე ეს აზრი
მამხიარულებს.

მე-20 გამოშვება

ჩვენ,
ნაყარნუყარნი,
ერთი დიქტატურიდან
მეორეში გადასროლილნი.

რა ხშირად გვქონდა
იდეოლოგიის დანა
ყელზე მობჯენილი,
ხროვა ყეფდა,
როცა დასაკლავად გაჰყავდათ
მავანი.

დიდი დრო გავიდა,
ვიდრე გავიგებდით,
რომ ისტორიის ეზოსგარეთში
ბევრი რამაა დაფარული
და არ სჩანს,
რომ თუთიას დაუფარავს
ჩვენი რუკებიც.

ძალიან გვიან,
როცა ჩვენივე ძეებმა
დაგვცინეს,
ჯერაც ისევ გულით
ვმსჯელობდით.

მუხლამდე
ვდგავართ
გაყინულ წყალში.

* * *

ალმატებულებები,
ორასი კურდღელი
აიჭრა ცაში
სავოევოდო ჟელენია ორა-დან
ვერტმფრენით.

მარეკთათვის
ნამდვილი ნორდ ჰოიზერული პურის არაყი,
ორმაგი წილი
გასახურებლად.

ბატონებო,
აკრძალულია
სამიზნის გამოჩენამდე
თოფის მომარჯვება,
გასროლა
პირდაპირზე.

ყუთებიდან ხტებიან,
ქუსლებს ჩააზელენ,
სისხლში ამოთხვრილნი
თოვლში
ყრიან.

ბუკის ხმა,
მტვრად ქცეული
მკვდარი მხეცი —

დიპლომატიური ნადირობა.

ავტოპორტრეტი

ნრეში გალეული
სამოცი ნელი,
სიყვითლე, დიზენტერია, მალარია;
ჭურვის ნამსხვრევი —
ძვალში.

მორავიული ბავშვობა,
ტიურინგენის მხარეში გატარებული,
ნლების კალოზე
ჯაჭვით გალენილი პური,
მთებსა
და ვალის გასტუმრებაში გამოტარებული,
საკუთარი სინდისისადმი ერთგულებაში,
ყველა სულდგმულისადმი ძმად ყოფნაში,
ხოლო ჩემს თავზე ყოველთვის იყო ცის ნაჭერი,
და ეს უკვე ბევრია ისეთ საუკუნეში,
როგორიც ჩვენია.

ეპილოგი

ვეძებ ქვეყანას,
სადაც სიყვარულს კითხვა არ დაესმის,
სადაც გუშაგად ანგელოზი დგას
და ყინულის ლოდებს უკუაგდებს,
ქვეყანას,
სადაც ტაძარში არ ზის მწიგნობარი
და სიტყვას ქარს არ ატანს.

ვეძებ ქვეყანას,
რომელიც დღისით ხიდად მექნება,
ღამით კი — ფარნად,
ქვეყანას,
რომელსაც არ ყიდიან ოსპის სალაფავზე,

სადაც ადამიანთა სიმართლის ხეს გამოაქვს ნაყოფი,
რომელიც ზამთარშიც მწიფს.

ვეძებ ქვეყანას,
სადაც ჩემს მხრებს
ტყვიამფრქვევი არ დაამძიმებს,
სადაც ქუჩებში ცა დააბიჯებს
და ჯერაც ბრწყინავს მზეზე ჰაერი,
ქვეყანას,
სადაც კაცის ფიქრი ისე სკდება და ისე ჰყვავის,
როგორც კოკორი მაგნოლიის ხის.

აქსელ შულცე

ედმუნდ კ.

1.
თოვლთან ამიაკის
შედარება იოლია.

2.
დალიანდაგებულ ჯუბაზე — ფიფქები.
მაგიდებზე და სკამებზე — ტარაკნები.
სახუფამსკდარი
რძის ბოთლები. მოცახცახე არმატურა,
ღამის ცვლის დროს ქუთუთოები
ერთმანეთს ეკვრიან.

3.
სათბური. სატაცურის ყვავილები, მტრედისფერი,
როგორც ღიღილო. ეზოში,
ქერცლით დაფარული ხის ირგვლივ
შვილიშვილები თამაშობენ.

4.
რელიეფის რუკაზე, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში,
სახელნოდებები აღნიშნული არაა. ნიადაგის ფენები
მატყლივით იჟღინთება.

5.
აი, რა მინდოდა მეთქვა

ედმუნდის შესახებ: ის გარდაიცვალა, და
ეს არავის გაუგია.

ჰარცის ხედი

ქუჩა, რომელსაც ვათვალიერებთ,
ტყისპირთან ბოლოვდება.
დასუსხული ბავშვები
ბუჩქთან ჭინჭრისდედას ახვავებენ. ჩვენ
ნაკვალევის ამოცნობას ვსწავლობთ. სამიანთან ერთად ანას ირონიით
მთავრდება ირმის ნაკვალევი.

სიტყვა მოულოდნელი სტუმრისადმი

მოდი, მაშინაც, როცა ზამთარი შავია
წვეთწვეთად დადენილი სისველის გამო,
ქერქში რომ წვიმის წყალი
იყინება, მაშინ მოდი.

ერბოკვერცხს
შეგიწვავთ, ახალ თეთრეულს
გაგიშლით, კედლიდან
გიტარას ჩამოვიღებთ.

ჩვენს ჭერქვეშ საუკეთესო
ოთახს დაგითმობთ,
გამხმარი ქონდრის სურნელებით სავსეს,
ტკბილად დაიძინებ.

ხვალ კი, როცა ყინვა
ტელეგრაფის მავთულებზე აკანკალდება,
როცა კარდანის ლილვი ზეთით აივსება,
ანგარიშს გაგინევთ.

რუდოლფ ოტო ვიმერი

გრძნობის გამომხატველი სიტყვები

აჰა გერმანელები
აი გერმანელები
ვაშა გერმანელები
ფუი გერმანელები
ოჰ გერმანელები
ესეც გერმანელები
ოჰო გერმანელები
ჰმ გერმანელები
არა გერმანელები
ხო ხო გერმანელები

განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები

ყველათ იციან
ბევრთ იციან
ზოგთა იციან
რამოდენიმეთ იციან
ორიოდეთ იციან
ცოტათ იციან
არავინ იცის

დროითი წინადადებები

ექვსში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
წითელა.
თოთხმეტში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
ომი.
ოცში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
სევდა სიყვარულისა.
ოცდაათში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
შვილიანობა.
ოცდაცამეტში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
ადოლფის ბედნიერება.
ორმოცში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
საბრძოლო გაფრენა.
ორმოცდახუთში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
ნაგავი.
ორმოცდაათში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
უპირატესობა.
ორმოცდაცხრამეტში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
სიმდიდრე.
სამოცში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
ნაღვლის კენჭი.
სამოცდაათში რომ შევაბიჯეთ, გვქონდა
ნაცხოვრები.

ფლობისმაჩვენებელი ნაცვალსახელები

ჩემი ტყავი არაა შენი ტყავი
შენი თილისმა არაა ჩემი თილისმა
მისი პარტბილეთი არა ჩვენი პარტბილეთი
ჩვენი დასავლეთი არაა თქვენი დასავლეთი
თქვენი პაროლი არაა ჩვენი პაროლი
მათი ბედნიერი დასასრული არაა ჩვენი ბედნიერი დასასრული

ჩემი თავისუფლება არაა შენი თავისუფლება
შენი ჩექმის ზომა არაა ჩემი ჩექმის ზომა
მისი ჰოროსკოპი არაა შენი ჰოროსკოპი
ჩვენი მონეტები არ არიან თქვენი მონეტები
თქვენი გუნდი არაა ჩვენი გუნდი
მისი საყვარელი ღმერთი არაა ჩემი საყვარელი ღმერთი

ჩემი ნუთისოფელი შენი ნუთისოფელია
შენი უბედურება ჩემი უბედურებაა
მისი მოსალოდნელი გლოვა შენი მოსალოდნელი გლოვაა
ჩვენი შეჭმუხნები თქვენი შეჭმუხნებია
თქვენი მეკუბოვე ჩვენი მეკუბოვეა
მათი სიკვდილის ჩონჩხი ჩემი სიკვდილის ჩონჩხია

თომას გიუნთერი

შენი დანაკარგების კვალი

მოყვავილე კავშირები
მათ მიღმა კი
არაფერი
ქვიშის გრიგალი
ან ბულული ნაგავი
ან ფერფლი
წვიმა ხეები ბუჩქები
მშვიდი ფრთოსნები
ნაზავი
შეუვალობათა
და უსაზრისობათა
მერყევი წონა
გაბნეულ სხივში
უბნელესი ვიდრე
სინდისი ყოველგვარი
მაგრამ
ისეთი არაფერი
დაყრდნობა რომ შეგეძლებოდა
და
აი ასე
როგორც სიმბოლო
საკმარისი და
მზისქვეშეთში
მხოლოდ მენამული
სიმრუმე

ხვალინდელი
დღის წინ
და არაფერი
მაგრამ თანაც სულ არაფერი
მერე
ვიდრე ჰორიზონტამდე

დილაადრიან ხუთისთვის

ტრანზიტულ სივრცეში
(ტრანზიტულ სიზმარში)
იმყოფებიან შინაარსით / აღსავსენი შემდეგ
აზრისგან / თავისუფლები როცა ქალაქიდან ქალაქად დაეხეტება შავი კატა
რომელიც ავტოსტრადაზე აღმოჩნდება

კუდებს აპრეხენ
დაკეტილ კართან

გამძვინვარება სექტემბერში

ასფალტზე ამომწვარი ფერები
სიყვარული რომელმაც არაფერი იცის
მეორე სიყვარულის შესახებ
მალევე კვდება

ან დაჭრილი დაეხეტება
ტროტუარიდან ტროტუარზე
ხდება რომ
წყდება გულისფეთქვა
განსაკუთრებულ მიზეზგარეშე

გვიან დედაბრის დიდებული ყვავილობისას
თავის საყრდენს
კარგავს გონება
და მეტს უკვე არაფერს ნატრობს
უბრალოდ მოწყენილობისგან

კვლავ სიცოცხლეს ასდევნებია
და თრთის ყინვისგან გათოშილი ბოროტმოქმედი
კიდევ ერთხელ მოატყუა ის ამ ზაფხულმა

მისი თვალის ბადურის უკან
ნეონის სხივის ფერადები
საიმედო დასასრულის გამო
უარყოფილი ლეგენდები
ქუცმაცდებიან
ის შეუცნობი წანწალს განაგრძობს

მოგზაურობა არარაში

ჩვენ
ვინც ცოტას განვიცდით
(ძალიან ცოტას განვიცდით)
და ბევრს ვლაპარაკობთ
(ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ)

უკვე რახანია
(უკვე რახანია)
საპირისპირო
დავამტკიცეთ

ამ ყველაფრის შესახებ

და მეტი ვიცით
(ბევრად მეტი ვიცით)
ვიდრე ვიცოდით

ჰაიკეს

ძალიან მინდა შენთან ერთად
ორ ზამთრის-
ღამეს შორის გადარჩენა

მოგვიანებით ალბათ
გამყინვარების დროიდან

ნადირობააკრძალული დროში
ხოლო უფრო მოგვიანებით
ზომიერი
საშუალო დღეებიდან
ხვატში გადასვლა

კიდევ უფრო მოგვიანებით
მეტოქეობა
სურათებთან
ჩვენი სიზმრის ქარხნებში რომ ინარმოება

უფრო გვიან
აუცილებლობის
გაუთვალისწინებლად
ისევ ვიღვიძებთ

მცირე ერექცია

1
მტკიცე ნაბიჯები
საეჭვო სახლში
ფეხს ვინც ვერ აუწყობს
ვარდება კარში

2
მეგობარს ამშვიდებს იმედის სიტყვები
იმედის სიტყვები ამშვიდებს მტერს
ყველას ხელგაშლილი შეხვდება სახლი
ვინც კეთილს ფიქრობს და სიკეთეს თესს

3
ნანლავგამოვლილი ხმოვანი გაზები
თითქოს უპირებენ ქვის კედლებს ნგრევას
ძვირი დასჯდომია ნამდვილად შენება
იმას ვინც ეჭვებით აღვსილი ღელავს

პარალელური გადაადგილება

დაკარგვები მოდიან და მიდიან
დამშვიდობებები არიან მხოლოდღა

სხვა ხრიკები გამოცოცხლებები
სტიმულებისკენ და
დამშვიდობებებისკენ
იგივე მიზეზით
მანქანამ გადაუხვია
აღებული კურსიდან დგანან
ძეგლები ციკოლზე
შედარებით დაუცველნი
წაგებულთა და მოგებულთა შორის
განიყოფა ნადავლი და ქოთნის ნამტვრევები
ყალბი უწყება რადიოში

ძილ-ღვიძილი

ძილის სურათები
მწუხარების ნადირნი
ნადირთ მწუხარება
უკვე ველარ ვგრძნობ ხახუნს
საგნებზე
ბოლომდე ნაფიქრი
გუშინწინდელი თოვლი არის
მოტოვებული ვალი დნება
ვულკანზე კვდებიან უპირველესად
დინოზავრები
ისტორიასთან შესატყვისობის გამოკლებით
სულ ცოტა ასე ასწავლიან თანაფარდობებს
და მაინც შეუდარებლად მისხლტება მდინარე
ამ სანაპიროზე ცხოვრება იოლია
კუჭში გასვლასა და
მზის ამოსვლას შორის
გადასაყვანი სურათები წარმოადგენენ
ორიგინალს

ურს მ. ფიხტნერი

ლაურა, უცხო ბუენოს აირესში

მე
არ გიცნობდი
და არც შენი ხმა გამეგონა
არც — ჩემს გვერდით
შენი ფეხის ხმა.

შენ ჩვენი უყურადღებობის გავლით
გაუჩინარდი.

მეგობრებად გვაქცია
ცარიელმა სივრცემ
უკან რომ მოიტოვე.
ამიერიდან ვივლი ასე გალავნიდან გალავნამდე
შენს ნაფეხურებს
და შენს ბაგეს მივაგნო იქნებ.

განგაში წყვდიადში

რაღაც.
რაღაც გამოუთქმელი, რაღაც მკაფიო,
რაღაც უმიზნო

ჯერაც ჩვენთანაა.
არაკეთილსინდისიერი ჩანაფიქრის ერთსულოვნება.
საქმე ნერვის ბოჭკოს გარეშე, უწარსულო.
თან გვდევს ვიღაც
ამოუცნობი.
უპასპორტო და უტანსაცმლო.
ჩვენს გარდა კიდევ ვიღაც არის აქ.
ვიღაც თან გვახლავს.
აქ არის რაღაც. უმნიშვნელო. მოთვალთვალე.
რაღაც სულდგმულობს უჩვენოდაც.
რაღაც უსაზღვრო.
აქ.

ევა მარია. გავლით — ჰაიდელბერგში

ჩვენ საკმარისად შევისწავლეთ
დამშვიდობება.
ამიტომაა
ერთმანეთს რომ ვეხვევით ხოლმე
მისალმებისას.

ჩვენ საკმარისად შევისწავლეთ
დამშვიდობება.
ამიტომაც ვეჭიდებით მტკიცედ ერთმანეთს,
უხმოდ, ნამების განმავლობაში,
როცა ერთმანეთს ვემშვიდობებით.

თითქოსდა
უკანდაბრუნება
არ ითვლებოდეს.

შეზღუდვებით ნებადართული

ესეც თავისუფლებაა:
დილაადრიან გამოგეღვიძოს
და ნამძინარევზე აყოლილი ბრაზით იცოდე
რომ
კიბეზე ნაბიჯები
მეზობლისაა
რომელიც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით იჩივლებს
კანონის დარღვევით შემდგარი
სასიყვარულო ღამის შესახებ.
(ერთხელ კიდევ თუ განმეორდა პოლიციას გამოუძახებს)
ესეც თავისუფლებაა:
გამწარებული წამოჯდე კბილები გააკრაჭუნო
და უკანვე ჩაიკარგო
ერთ თბილ ლოგინში
და ორ მოფხუკუნე მკლავში.

უძირითადესი მონარჩენები

ჩვენი დრო მალე დასრულდება.
არც პასუხები გაგვაჩნია, არც — იგავები
დღისითაც ისე ვეხეტებით, როგორც — ღამეში
ურწმუნონი ვართ, უწარსულონი
და უმიზნოდ ავანვგარდისტობთ
ვითვალიერებთ მუცელზე ჭიპს და
ვხაპავთ სამყაროს.
ფურცელ-ფურცელ ცვივა ჩვენი დრო.
ბოლო არ უჩანს
ჩვენს შეძრწუნებას.

ბოლოს და ბოლოს, შემოგვრჩენია
მხოლოდ ბჟუტვა სიყვარულისა,
უხმო, მერყევი,
უსაფუძვლო, ხან მეოცნებე
ხანაც რისხვით გასიებული.

ზაშა ანდერზონი

* * *

დღეები დათვლილია
სიტყვა გავტეხე
მაჯისსიმსხო აზრები გამოსახავენ
მუშტს
და ნინადადებები ნყვილ-ნყვილად
ცვივიან მნვანე მაგიდებზე
და იქცევიან სამ ლექსად და ნითლად
როგორც ბავშვობა
ფერფლით და სუნთქვით

* * *

ის მოდის ჩემს საფლავთან
მე ვამბობ შენ ხარ
ჩემი წარსული
მინოტავრის შავი თვალი რომელშიც სახელები

ჯერ არ განიცდიან აღმოჩენილ ნანილებს
მაგრამ ოდესმე
შენი წარსული უნდა

გავხდე მხოლოდ იმიტომ რომ შენ შემოგდგე
და შენიდან ჩამოვყარო სამი
მუჭისსიმსხოდ დამტვრეული ქვა

* * *

ცინვალდსა და კინოფეკს შორის
ოხკაცთაგანი შენი მეფით მისი
მაისი გულში უდევთ
მათ ბოლოს და ბოლოს მეც მცირედი მონარჩენი
უკანალის გზით დაჭირხნული დეკემბერი
ისაა
რაც მაიძულებს აღარასოდეს ვიფიქრო
ქალი
ერთი წლის მერე შენი გრძელი სტრიქონები
ქაღალდი ლონდონის ასაფრენ ზოლზე
მელნის წვიმით დათვრა
გამოსაღების შემგროვებლები მიწრთობენ პოემას
კავარნა ნოემბერი ოჰ ფუნჯი ეკიდა და მე
ვინექი თოვლში და ლოცულობდა ჩემი ვაჟი
გავხდები დაქირავებული ჯარისკაცი და მწყობრი ნაბიჯებით დამტარებელი
სიკვდილის და უბედურების
ამ სინათლის მუშტამ იცის გზა დუნდულებს შორის და ჩეხეთის გზებიც
რადგან ჩემს გარდა ვერავინ გრძნობს გვირგვინოსან ღამეს

ხრისტა მოოგი

ხელქვეითი ვარ

გასიებულ მბურღავთან მიმაქვს ურო
ხრახნი M6
გავრბივარ მუყაოს სახურავის მოსატანად ვანვდი ფისს
ვეძებ ღოჯს სარჩილავს ვუფრთხილდები
(დიდი წვალებით გავახურე)
ღარს შვეულად ვუთანადებ ნარიმანდს
ცივი თოვლი ჩაგვდის საყელოში
რკინასახერხი მოკლე-მოკლედ ხერხავს დაღარულ რკინას
სოგმანების დაჭრაც მევალება
სველ ბალახში ვეძებ ფიცარს
ვისმენ მოხსენებას თუნუქის სახურავზე
(დრო კიდევ რჩებოდა)
საკანალიზაციო მილზე და მის მდგომარეობაზე ის
მაღლა დგას მე დაბლა თოვლით სავსე ცის ქვეშ
როცა ამბობს: კარგი, მეგობარო, თავისუფალი ხარ.

"42-ის ივნისში ვმგზავრობდი

ყოველთვის მატარებლით სანაპიროს გასწვრივ
გენუადან მაროკოს
ნიცას და კანის გავლით

მარსელში
იქიდან მეცისკენ
მაშინ ომი იყო
და მაინც:
ხმელთაშუა ზღვა
ნანახი უნდა გქონდეს!"

Wos'n Vater?

სარდაფში, შეშას ჩეხავს,
სარდაფში, სინათლის ახალი ხაზი გაჰყავს.
სარდაფში, სარეცხ მანქანას არემონტებს.
სარდაფში, ფანჯრის ცხაურს ღებავს.
სარდაფში, ხომ გესმის ხერხის ხმა.
სარდაფში, რა ვიცი, იქ, ქვევით, რას აკეთებს.

ყველა ჩემზე უნდა ლაპარაკობდეს

მაგრამ მე მაინც გიჟივით ვაქრობ
ყველა არასაჭირო ნათურას
ონკანს მაგრად ვკეტავ
(წვეთებმა უქმად რომ არ ინკაპუნონ)
ვაგროვებ გამხმარ პურს ქათმებისთვის
მოსეირნეებისგან შედედებული რძის ქილებს ვაგროვებ
(მთელი მთა ამ ხარახურის)
არ ვწვავ ქაღალდს
გარწმუნებთ: საკმარისია
ოთახის გასათბობად
ყველანაირ ვაშლს ვიყენებ
კომპოტისთვის ან ხილფაფისთვის
იშვიათად ვყიდულობ ახალს

ზეთს მანებს ჩემი ველოსიპედისთვის
კარტოფილს ვფხეკ, ნაცვლად იმისა, რომ ეფცქვნიდე
ვამბობ: ძველი ტელევიზორიც კარგად აჩვენებს
მომცრო რეეულში გაუთავებლად ვანებებ
სასურსათო ტალონებს (დღეისთვის ზუსტად ორმოცდაათი მაქვს)
გაცვეთილი ფარდებისგან
ჩვრებს ვჭრი
ყველა ჩემზე უნდა ლაპარაკობდეს
მაგრამ მე მაინც გიჟივით ვაქრობ
ყველა უსარგებლოდ ანთებულ ნათურას
რათა მამიკოს უხაროდეს.

იან ფაქტორი

პრაღელი მოხუცის ლექსები
(რჩეული)

1.

ჩემი ცხოვრების საზრისზე ფიქრები
პირველად ორმოცდაათისამ დავიწყე
ამის გამოა,
რომ სიკვდილზეც ბევრს ვფიქრობ

2.

ეპიტაფია
აქ განისვენებს კაცი რომლის სხეული სხვების სხეულებივით სველი იყო
აქ განისვენებს კაცი რომლის სხეული მშრალ დროში მშრალი
იყო იმ სხვების სხეულებივით
აქ განისვენებს კაცი რომლის სხეული ლპება მსგავს სიტუაციაში
მოხვედრილი ნებისმიერი ადამიანის სხეულივით

4.

ყოველდღიურმა სიმარტოვემ ცხოვრებისეული ჭეშმარიტება აღმომაჩენინა
საქმე ეხება იმ ადამიანებთან ხორციელ კონტაქტს რომლებიც გვიყვარს

5.

ჩემი ჯანმრთელობა მძლავრი საყრდენია ჩემი მწერლობისთვის

ჩემი უპრობლემო ფინანსური მდგომარეობა მძლავრი საყრდენია ჩემი მწერლობისთვის
ჩემი სულის კეთილი საწყისიც ასევე მძლავრი საყრდენია ჩემი მწერლობისთვის
და ამასგარდა ჩემი სურვილიც თვითნგრევისა მძლავრი საყრდენია ჩემი მწერლობისთვის

და ჩემი ავადმყოფობებიც
და ჩემი მოსაწყენი პროფესიაც
და ჩემი მარტოობაც

7.

მე მსურს ასეთი წინადადება დავწერო:
არაფრის და არავის მიმართ ბოროტი არ ვარ
და ასეთი წინადადებაც:
ვერ ვიტან გადაჩვევას

შთაგონების შემოტევისას დავწერე ლექსი
რომელიც ზუსტად ისეთ ლექსებს დაემსგავსა
როგორებსაც ხანდაზმული პოეტები წერენ

ყველა ხანდაზმული პოეტი დაახლოებით ერთსა და იმავეს წერს
რომ მათში მშვიდობა დავანებულა,
რომ მათ უყვარდათ და რომ ისინი უყვარდათ,
რომ ცოტაოდენ სიწყნარეს და ბედნიერებას შეიგრძნობენ
(ყოველ შემთხვევაში ერთხელ მაინც ასე წერს ყველა მათგანი)

მეც მსურს რამე მსგავსი დავწერო
მაგრამ ამაში რაღაც ხელს მიშლის
არაფერი მომდის თავში ნამდვილად ორიგინალური
ის რაც თავში მომდის
ჩემი აზრით საკმარისად ორიგინალური სულაც არაა
ამასწინათ მაგალითად ასეთი წინადადება დავწერე:
ბედნიერი ვარ რომ ქიმწმენდის დანესებულებასთან ლაქებზე ჩხუბი არ დამჭირდა
და ასეთი წინადადებაც:
ლაქები არ მადარდებს
მაგრამ მე ვფიქრობ
რომ ეს ცოტაა

8.

სინამდვილეში ახალბედა ვარ
განვიცდი განსწავლულობის ნაკლებობას
გულუბრყვილო ვარ
მაგრამ
დანამდვილებით ვიცი
რომ ხელოვნებაც შეიძლება მომდინარეობდეს გულუბრყვილობიდან
რომ ის შეიძლება იყოს უბრალო

უკვე სულ მცირე ათი წელია ყველაფერი ვიცი
და ახლა შემიძლია ეს ცოდნა მხოლოდ იმით შევავსო
რომ ახლა ერთი ორიგინალური ლექსიც აღარ მაქვს

9.

ქვეყნად სერიოზული პრობლემები აღარ არსებობს
ყველაფერი მიედინება ისე თითქოს ერთ ადგილზე დგას
არაფერს ვუჯანყდები
არაფერს მოველი
არაფერი მინდა

10.

ორმოცდაათისამ დავიწყე წერა
ახლა სამოცისას ნილად მხვდა მეექ ვაღიარო
რომ მწერალი ვარ

მე მწერალი ვარ
მე უკვე დარწმუნებული ვარ
მე ვარ მწერალი პუბლიცირების შესაძლებლობის გარეშე
მე ვარ მწერალი რომელიც ამ შესაძლებლობას ანგარიშს არ უწევს
მე ვარ მწერალი რომელიც უთქმელად ახერხებს რომ თავისი სამუშაო
დაიწყოს და თავისი ცხოვრება დაასრულოს

11.

ბოლო ორმოცი წლის განმაელობაში ძალიან მოვიწყინე
აღარც მოულოდნელობები მცემდა დიდად თავზარს
აღარც ახალი ინფორმაცია მაცვლევინებდა შეხედულებებს

აღარც პირადად მე განვიცდიდი რაიმე უცნაურს
ბევრი ვიძინე

და არც ის მაწუხებდა
რომ დროის დიდ ნაწილს მხოლოდ ჩემს თავთან ვატარებდი
საუბარია რაღაც ნაკლებად მნიშვნელოვანზე

უპირველეს ყოვლისა
იმიტომ მოვიწყინე
რომ ის
რაც ამ ორმოცი წლის განმავლობაში მომისმენია ან წამიკითხავს
როგორლაც ყოველთვის წინდაწინ ვიცოდი

12.

ახალგაზრდებმა უნდა დატოვონ აქაურობა*
და თუ არ ნავლენ
უნდა შეეგუონ

13.

ვერ ვგრძნობ
თითქოს სხვა ადამიანი ვიყო
ვიდრე ოცი წლის ასაკში ვიყავი

მიუხედავად იმისა რომ ისეთმა შემთხვევებმა როგორიცაა ვთქვათ
წარმატება ჩემთვის ყოველგვარი ფასი დაკარგეს
მიუხედავად იმისა რომ უკვე არაფერი მაქვს სანინააღმდეგო
ოპორტუნიზმის და სიმხდალის
მიუხედავად იმისა რომ სადად და შეუმჩნეველად ვიცვამ
მიუხედავად იმისა რომ პოლიტიკა არ მაინტერესებს
მე სხვა ადამიანი არ ვარ

ჩემი რადიკალური შეხედულებები ჩემშივეა
ჩემი რადიკალიტეტი ჩემთანვე დარჩა

14.

მე არც ერთ კავშირს არ ვეკუთვნი
მე არავის მხარეზე არ ვარ

პრობლემები
რომლებშიც პარტიულობამ ერთხელ გამხვია
უკვე აღარ შემიძლია სანაქებოდ ნარმოვიდგინო

მე იქიდან ამოვდივარ
რომ კონფლიქტის არსს ორივე მხარის სიმართლე წარმოქმნის
და კიდევ იქიდან
რომ არაფერია ეგოიზმზე უფრო ბუნებრივი
და კიდევ იქიდან
რომ ყველანი კარგები არიან
რომ ყველანი კარგს ფიქრობენ
პოლიტიკოსების და მკვლელების ჩათვლით
რომ ბოროტება მხოლოდ შემთხვევითი მოვლენაა

და ჩემს უუნარობას ხმამაღლა ვგმობ და ვუსწორდები

15.

დიდი ხნის მერე ისევ შემიყვარდა
რაც ძალზე მახარებს
მოვლენებსაც სხვა თვალით ვუყურებ
გაფაციცებით ვაკვირდები ტანსაცმლის ნაკეცებს მთელს ჩემს სხეულზე
საათობით უსაქმოდ ვზივარ
ნაცნობ ხმებს ჭკუიდან გადავყავარ
უფრო და უფრო ცუდად ვხედავ

16.

სულ უფრო ხშირად მიწევს ფიქრი იმაზე თუ რამდენ
ურთიერთგანსხვავებულ სიხარულს მოუყრია თავი ჩემში
მაგალითად ჩემშია სიხარული წყლის არსებობის გამო
სიხარული ჰაერის არსებობის გამო და სიხარული ქათქათა თეთრეულის
არსებობის გამო
და კიდევ სიხარული იმ საოცრების გამო რომ ვინმე ახლომხედველს
ჩემთვის მანქანით ჯერაც არ გადაუვლია

მე ცხოვრებაში უნდა ითქვას მხოლოდ ბედნიერება გამაჩნდა
ან მცირედი ბედნიერება უბედობაში
მე არ ვფიქრობ თითქოს რაღაც გამიფრინდა ან რომ ჩემს თავს რომელიმე
გზისკენ სავალი გადავუკეტე

ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან მომენტებში ყოველთვის მქონდა
შესაძლებლობა ამერჩია
მე არ ვფიქრობ რომ ამაოდ ვიცხოვრე

ამიტომაც ვიცი რომ გლოვისა და სასოწარკვეთის ტრაგიკული განცდა
რაც ჩემთვის როგორღაც ყოველთვის იყო თანამდევი
და ჩემთვის როგორღაც თანამდევია
თავისი კერძო ცხოვრებით ცხოვრობს
ბედნიერებისგან თუ წარუმატებლობისგან დამოუკიდებლად

დაბერება ისეთი არაა როგორადაც წარმომედგინა
მე ვცხოვრობ დაძაბულად და ვიცდი

17.

ყველაფერი მყიფე და მოწყვლადია ყველაფერი
რაც მყიფე და მოწყვლადია
მაშ ყველაფერი

18.

კედლები ჩემს ბინაში და ნივთები ჩემს ბინაში ზოგჯერ ჩემთვის ისე უცხოა
რომ წინ და უკან დავდივარ როგორც ავეჯის გამოფენა-გაყიდვაზე
გარშემორტყმული ზედმეტი საგნებით რომლებიც არც მსურს და არც
მჭირდება

მერე განსაკუთრებული სიამოვნებით ვუკვირდები ჩემს ხელებს
წინ და უკან სიარულისას კი მეტწილად ჩემს წინდებიან ფეხებს
თუ როგორ დააბიჯებენ და ჭკვიანურად მონაცვლეობენ
აი ასე დინჯად ვუბრუნდები ჩემს თავს
ვირჯები

მე ეს ნამები ძალიან მიყვარს
ეს მიგნებული ხედვის და მიგნებული აზრის ნამებია
ნამები როცა პარალელურად და სამართლიანად შეგიძლია ივარაუდო
რომ მიგნებები უაზრობაა
ან ოდნავ მაინც მიუგნებადი
უპირველესად კედლების სიუცხოვე ქრება

რუდიგერ როზენტალი

ეს ხდებოდა ისე უბრალოდ

სამოცდაერთში
სკოლაში სნაელის მეოთხე წელს
ჩემი წარმატებები აიხენვალდით დაეშვნენ
დაბიდან ქალაქისკენ
ნახევრადკრიმინალურ ბანდაში. ჩვენ გემოს ეუსინჯავდით მოსაწევს
და ვიპარავდით სიგარეტს "გოლდდოლლარ"
დეიდას ბოძკინტიდან.
ჩემი მშობლები მუშაობდნენ
ისინი მომხდარს ამჩნევდნენ
მაშინ როცა უკვე გვიან იყო: ჩემი პირველი ლექსი
ნარმოადგენდა ღორის სამასხრო სიმღერას ერთ ჩემს მასწავლებელზე,
რომელმაც ჩემი ნახატი (ჯიქი, კალკირებული)
მთვრალივით გამოიყვირა.
დედამ გაკვანძა პირსახოცი,
რომლითაც მცემა. ის მუშაობდა დამუთოებლად
მამა მიშლიდა ჩემს მეგობრებთან ურთიერთობას
ყველაფერი მონესრიგდა, მაგრამ
მასნავლებელს ბოდიში მოვუხადე.
მე ავდიოდი ხოლმე მუხიანი ხეობით მთაზე,
ქვით ხელში, სიმწიფის ატესტატის აღებამდე,
სკოლა "ნარჩინებით" დავამთავრე.

ნახტომი

ვცხოვრობდი კომეტაზე,
გეზი გამოთვლილი იყო, არავითარი საფრთხე სამყაროსთვის
შორი აცდენა, შიშის და გაბედულების გარეშე
ვისკუპე და მიწის თავზე გამოვეკიდე
ზურგს პოეზიის პარაშუტი მიმაგრებდა
ქვემოთ სიღრმეში მე ვხედავდი ადამიანებს, პატარებს და ბანალურებს
ეს იყო დიდი ავადმყოფობა
თავის ქალაში სისხლი ახმაურდა
პარაშუტის გახსნის დრო დადგა, კეფაში ბიძგი
მსურდა, მსურდა შემეგრძო
შეხების სრული უხეშობა
მე საპყრობილეში აღმოვჩნდი
ახლა შემიძლია გიჩვენო ჩემი მარტოობა

ბოლლერსდორფული ელეგია

ზოგ ადამიანს უყვარს მანქანა
ან შვებულების დროს გადაღებული სურათების შეგროვება
სხვებს მსაჯულად ჰყავთ ღმერთი
და ეურჩებიან ბრძანებას
ერთ კაცს და ერთ ქალს
კოლექტიური ერთი ბავშვი ჰყავთ
ქვის ორი ფრონტონი დგას უსახლოდ
ერთიმეორეს შეტოვებული
ობობა მიათრევს თავის ყვითელ კვერცხს ბალახებში
გოგონას კანი არის კანი
ადრედამწიფებული ბლისა

ფუტკრები ყვავილებიდან ისრუტავენ ნექტარს
მე დღეებიდან ვისრუტავ პოეზიას.

კრაუსი

საზღვრის გადაკვეთა, მცირე ფორმატი 1963

როცა გარეთ გამოდიხარ,
თოვს. ჯერ ისევ.
კარაქის ფენასავით თეთრ
თოვლში ისახება
ცარიელ, გრძელ მოედანზე
ოფიცერთა ჯაჭვი.
ვინც სუნთქავს, გრძნობს კიდეც
თბილად კუთხიდან სახლის
კუთხემდე გამოსახულ დროით სავსე
ღრუბელს. დრო
ნლებს შორის,
ნახშირი წითელი კომბოსტოს ყნოსვისას.
ბლაგვად მოღრუბლული
ოთხკუთხედში, უშველებელ
მოედანში, სიბრტყულში,
თოვლში ჯარისკაცების
ერთი რიგი. ძაღლები
ეძებენ და ქლოშინებენ,
მანქანიდან
შესაძლებელია მათი დანახვა.
თუკი გადმოხვალ,
ითოვებს. შენ გადიხარ
სარკინიგზო სადგურიდან,
სათადარიგო კარიდან
გარბიხარ. სიჩქარე

ყინულის დანასავით
გისერავს ფილტვებს, შენ
ვერც მანქანას პოულობ და
ვერც კაცს. საკუთარ თავს აიძულებ,
რომ ეხეტებოდე,
თოვლი ექოა,
მავთულის ბლაგვი,
გამლღვარი თვალი; განმუხტული.
დროდადრო კი ამ ოთხკუთხა მოედანში
ლღვება სიმღერა, უეჭველობა.

ადამიანში ჩასახლებული ძრწოლა

არის ქუჩაში მიმავალი კულულებიანი ქალი
მამაკაცთან ერთად. ქარი მანქანის საწმენდებს შორის
მინას წვიმას ახლის, მანქანა ზანტად უახლოვდება დამშვიდობებას.

სინათლე

კეგლია, ყელი კი – ბადე, თვალები მფრთხალია,
პირი – დაკრუნჩხული და საყვირლად უძლური –
ხმა უკვე ჩამნყდარა: ეს დასაწყისია.

ადამიანში ჩასახლებული ძრწოლა
არის ქალაქის ავტომაგისტრალი, თოვლით დაფარული და – სამშობლოს
დანატრებული ყმაწვილი. ავტომობილი სვლას უფრო ანელებს, რადგან
გასვლა შეფერხდა, წევს და ბოძის უკან
მოზარდი გამყინავ ცახცახს შეუპყრია.
სურვილები ქრება, იყინება, ერთიანად მწვანეა სურათი,
სიხარული მოუცავს სისხლის ფერს, ყმანვილი კი მალე

ისევ შინ იქნება, ძრწოლა ქორწინებაა, საყვარელია
საზოგადოებრივ ქუჩაში და – მომლოდინე მამა. უმცირესი სიტყვებით
განმტკიცდება მდგომარეობა, როგორც წვიმა გარდაიქმნება თოვლად.
ახსნა-განმარტებები ცრუობენ, უმალ მჟღავნდებიან, როცა იჯერებენ
და ჭეშმარიტებით აღსავსე ყუთს მტვრად ეფინებიან.
ძრწოლა ფილმია, უძღები არსება, რომელსაც
ღამღამობით უფრთხის ქალაქი. შიში ძველისძველი
კინოლენტია, რომელიც სიცოცხლეში ეწერება.

მომავლის ლანდშაფტი, ძრწოლით მოცული ქალაქი

დაჭაობებული და მიგდებული კენკროვანი, სასტუმრო
იყო აქ ოდესღაც, საზარელი,
გვამი გადახსნილი მუცლით. ტელევიზორი
ციმციმებს ზოგჯერ მანანებით საცხე მინდორში,
პიკნიკი, ფილმით დამარილებული, და: გოგო-ბიჭები დასცემენ კარვებს
და გაბოლებანი, პირველები და: ბრუნდებიან, ციკლურად,
ჰანგებით აღსავსენი, შხამსოკოვანი მუცლებით
უკანვე, დასახლებისკენ, და მხოლოდ ისე გამოიყურებიან,
თითქოს ადამიანები იყონ.

რუსული ნანნავი / და მერე ნოემბერში

ვიღაც სკეპტიკურად უმზერს შენს
კაკაოს და მიდის მოსაფსმელად. სავსებით ყვითელი სახეები მოედინებიან
ტროტუარიდან ოთახისკენ, გაჩხინკული ბიჭი
ველარ აკავებს იმას, რასაც ჩაჩაჩული ჯინსები
გპირდება. ჩანს, დარიჩინისფერმა ორმა ღაწვმა იცის,
კედელზე ბრწყინავს უშველებელასოებიანი წარწერა *ეგოასტე*,
ლურჯი, ფართო. ვიღაც მთვრალი ადგილს ეძებს. მერე
გაუთავებლად ნვიმს. სრედსკი, ოქროს პიკის საათის
მკლავში ჩაძირული.

ვიღაც გავარდება, ჰუზემანშტრასესკენ
კისრისტეხით გარბის, რუსული კულულები კი უკვე
სველია. მერე პაუზა ამ დაღლილ ზუზუნში, მსუბუქი
განწყობა, სავსე შარდის ბუშტი. ვინც ჯერაც
იცინოდა, უმალ ახალს უკვეთს. გამშრალი ყელი და კვლავ
თავისუფლება (შენი კაკაო კი თითქმის გაცივდა). ერთი წყვილი კი იკავებს:
სარკმელში ირეკლება შემწვარი ვაშლივით ღაჟღაჟა ვაჟი მეპატრონის.
უკვე ანგარიში გასწორებულია, შინისკენ მიმავალ გზაზე შეჯამება –
ყველგან
რა კარგია, მხოლოდ ყველაფერი აქ არის სულერთი.

ურანოსი II
სპილო მელცოუს მიქსი

ღამის ტალღებზე
აზიდული (მე, (შენი ვარსკვლავმძიმე სუნთქვა
მიუნვდომელია. ნახევარჩრდილში ზეცა (ატ
მოსფერო, მთვარის მტვერი. კიდევ ერთი შენელებული
ჟამი, ვიდრე მზე
ისევ მემბრანად გვაქცევდეს

ლუდვიგ ლეგე

* * *

მე პოეტი ვარ
- რადგან ორეული მყავს
- რადგან თერაპევტთა ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ჩემს ორეულთან შეხვედრა არ მსურს

მე პოეტი ვარ
- რადგან სინამდვილეს სხვა თვალებით ვხედავ
- რადგან დუმილის ბგერებს ვაგროვებ

მე პოეტი ვარ
- რადგან ქიმერები მსტუმრობენ
- რადგან ბოლო ოთახში სიზმრების შეთქმულებაა რომელიც ჯერ არ გაუხსნიათ

მე პოეტი ვარ
- რადგან ჩემს გრძნობებს ციროზი აქვთ
- რადგან სააღსარებო დაკეტილია

მე პოეტი ვარ
- რადგან შებინდებათა მელანქოლიური მოგზაური ვარ
- რადგან ორღანისტი ვარ რომელიც მთვარის ორღანზე უკრავს

მე პოეტი ვარ
- რადგან ჩემთვის ახლობელი გახდა ბედი ოფელიასი რომელიც ციხედაბრაზის ყოფილი მსახიობი იყო
- რადგან ინეზა ანდალუზიელით ვარ შეპყრობილი

მე პოეტი ვარ
- რადგან დრო სარკეში ყინულივით ლღვება
- რადგან ჩემი სისხლის ფერი წითელსა და შავს შორის ცვალებადობს

მე პოეტი ვარ
- რადგან ჩემი შინაგანი ორგანოები დროის სულისკვეთებით არის ინფიცირებული

- რადგან ანტიკვარიატით მოვაჭრე სარფიან ფასად მთავაზობს არარას

მე პოეტი ვარ

- რადგან კორლეონესთვის დაქვრივებულის ტანგოს ვცეკვავ
- რადგან მოგონების ნიკოტინის ნაკვალევი ჩემს თითებს ჯერაც არ გასცლია

მე პოეტი ვარ

- რადგან სხვაგვარად ასფიქსიური ვიქნებოდი

* * *

მე ერთ-ერთი იმ თანამედროვეთაგანი ვარ
რომლებიც ყოველთვის ჩართულ ტელევიზორთან ყვინთავენ
გამოუსწორებელი მეოცნების გაელვებული სილუეტები
რომლებიც აფეთქებული სურათების ბრმა ბალეტში მიმოქრიან
common sense-ის დეკორატიული თოჯინა
შეხედულებების მკვლევართა განსხეულებული ფანტომი

ამჟამად ნევროლოგები ჩემი თავის ტვინის ელექტრონულ ნაკადებს იკვლევენ
ყველაფერს რაც მიყვარს ყველაფერს რაც მძულს
ნითელი ცეცხლი აცხელებს
მართულს ჩემს ვენებში ჩანერგილი ჩიპით
როგორც რეგულატორით ხასიათის რიხტერის შკალაზე

დიახ მე მიცემული ვარ ყოველდღიურობის აპოკალიფსს
ნახვრეტს გაზსადენში და გამხმარ ცეცხლსაქრობებს
კანქვეშა გლობალიზაციას და მეწინავე წერილების ავტორთა ნადღვებს
ცხოვრების მთელ ამ კროსვორდს

იაფფასიანი ბურთულიანი კალმით ვჩხაპნი სიტყვებს
ჩემი კანის პერგამენტზე
აქავებულ ნაჭრევებს

რას უშველიან დაფქული ყავის და ჭვარტლის ნაწილაკების ფილტრები
მძიმედ დაბინძურებულ ჩემს ფილტვებს
ზეცის ინკასომდე ცოტა ხნით ადრე

მე მარადისობის პარაშუტზე ვკიდივარ
და გადახტომას ვცდილობ
მაგრამ არ გაიხსნა

* * *

გადაბერებული მარტოსული ხე ვარ
ჩემი მეგობრები გამოხშირეს
უკვე ისე დავძაბუნდი რომ წარსულმა მიწია
ო დრო რომელიც სარკეში ყინულივით ლღვება
კედლის საათის ნიკნიკი ბომბია
ჩემი სულის ასაფეთქებლად დინამიტი არ იკმარებს
ასაფეთქებელ ნივთიერებას, რომელსაც დრო ფლობს, იმ უფსკრულებში
უდევს სათავე
მე რომლებშიც უხმოდ ვვარდები
ჰედონისტებმა ტკივილი გაინაპირეს
ისინი ტკბობის განტოლებას ასწავლიან
სიამოვნების მოგების მაქსიმიზაციას
ნადიმისას აგზნებული სხეულების საშუალებით
მკვდარი დოღი ავტომობილების სასაფლაოზე
სადაც გაკაწრულ ავტოლაკზე თქვენი სახეები ბრწყინავენ
თანაც განუწყვეტლივ ყურში ჩაგესმით გამჭვირვალე სიმღერა
მონადებს არა აქვთ სარკმლები
უნაყოფო სიტყვები არ მრავლდებიან
თხუნელა მომჩვარულ სხეულში თხრის
მე კი დროა ხელი ჩავკიდო ჩრდილებს

* * *

ეს მოწყენილობის სოციოლოგიაა
წარმოიდგინეთ სიზიფე დაქანებული ზედაპირის გარეშე
მრევლის შემცირებული რაოდენობა
კეჩუპწასმული ჰოსტია მარტივი რიცხვების თეორია
ან მომჩივანი კლარნეტი

რევოლუცია ზეიმობს დემოკრატიული კარტოფილების გამარჯვებას
საუკეთესო სოკოთი ნაკვებ არისტოკრატ ღორებზე
მთავარია რომ მრენველობა აღმავლობას განიცდის
მილიონები მოედინება უმუშევართა გასაბრიყვებლად
ვიდრე სტატისტიკით მთვრალი უმუშევართა რაოდენობები ყანყალებენ

ჩემი გრძნობები რთულ ურთიერთობებშია გახვეული
სააღსარებოში მოსასმენი აპარატურაა დამონტაჟებული?
ეს ალბათ ცილისწამებაა
რადგან ჩვენი მონაცემები დიდი ხანია დამახსოვრებულია
მობილურში შეყვირებები ორგაზმის სიხშირე ნარკოტიკების მოხმარება

როცა ბატარეები იცლება
დაუანგული ანგელოზი სიწმინდის შარავანდედს კარგავს

მე ჩემს შემოღობილში ერჩები
მელანქოლიური მებაღე
მაგრამ სავარდე ცხაურზე ვარდების ნაცვლად ლექსებს ვამრავლებ
ვიდრე შემოდგომაზე მისი ქაღალდის ყვავილები დაჭკნებიან
და სიტყვათა სტერილური თესლაკები გაფრინდებიან

ღმერთმა ინებოს ჩემი ბოლო ლოცვის გაგონება
და თავისი ცეცხლსაქრობით არ დაუშვას
რომ ცეცხლმოდებული ვარსკვლავები ჩაქრეს
მოწყენილობის უკუნეთში ანთებული ეს ნათურები

* * *

ტუმორი ჩემს თავში შედგება დაუწერელი ლექსებისგან
ასოები იღვრებიან თვალებიდან ყურებიდან და პირიდან
სიტყვების შედგენის ამაო მცდელობა

მკვდარი მტრედი რომელსაც აფრენა არ ეღირსა

ჩემი ბოლო ლექსი არავის მიმართავს
თავად მეც კი არა

შეუძლია თუ არა გალღობა გაყინულ დროს
შეგვიძლია თუ არა ქარს მიბარებული სიტყვები დავიბრუნოთ

მხოლოდ ბრმა ანგელოზს შეუძლია ეოლოსის ქნარის აწყობა.

* * *

სიტყვები გრძელ ჩრდილებს ნარმოქმნიან

მე სახლის კედლებიდან ვფხეკ სიტყვებს
უწმაწურ გრაფიტის
პაროლები რომლებიც შაშხანის ლულებს აღვიძებენ
ამიტომაც მოდიან ისინი უჩუმრად
ჩვენ ხომ სიტყვებს ხმის მაყუჩებს ვარგებთ

წიგნები სიტყვის საფლავებია
მუყაოსგან თუ ტყავისგან შეკრული კუბოს სახურავები
მძიმედ იხურებიან
როცა სიტყვებს სული ამოსდით

ზოგჯერ მკვდრეთით აღდგომებიც ხდება
რელიგიის დამაარსებელთა რუინებში
რელიქვია *სიტყვა*
აღსდექ და გამოგვეცხადე
თუ შეუძლიათ სიტყვებს მკვდრების გაცოცხლება?

მე სიტყვების სანაგვეში ვიქექები
მაშინ როცა ჟურნალისტები ენის დაძენძილ ხალიჩას ბებკავენ
ენის აკადემიებს ენა უვარდებათ
ექსპერტები ჩამომხრჩვალ სიტყვას იგლოვენ
ენის პათოლოგი
ჩვენს სიტყვაგვამებს კვეთს

აბრაკადაბრა პალაბრა

სიტყვების საიდუმლო ცხოვრების ძიება
ო სიტყვის კოშკი

ო ჯადოსიტყვა

სამ მნიშვნელოვან სიტყვას გეტყვით
ორი სიტყვა ცივი ლუდი
ეს შენი ბოლო სიტყვაა?
გადამწყვეტი სიტყვა შენი ხელმოწერაა

სიტყვები რომ ფხიზლად ვამყოფო
იაფფასიან Nescafé-ს ვთავაზობ
და იმდენ შავ ღვინოს ვასმევ
რომ ფეხზე ძლივს დგანან
ზოგჯერ სიტყვებს სოკოვანი დაავადება აწუხებთ
ან განქარდებიან

blow up

ციმციმი ლურჯი ღამის რიფთან
მხოლოდ დილის შუქი უკეცავს მათ ფრთებს

დუმილის საფეხურები
სიტყვის ფერფლი
უსიტყვო ენანართმეული
შეუქცევადი

სიტყვები ჩრდილებს აღარ წარმოშობენ

* * *

ჩემი ფანქარი დანაა რომლითაც მე კანზე ლექსებს ვწერ
სისხლის შავი წვეთები ზანტად ეცემიან საშრობ ქაღალდზე
მაგრამ სიტყვების გარდასახვა ხორციელდება უმანკო სითეთრეზე
ვიდრე ისინი თავიანთ ირგვლივ წრეების წარმომქმნელ ფორმას მიიღებენ
და მწეელი თვალებით
ცეცხლში გახვევენ ქაღალდის ყვავილებს

თითოეულმა პოეტმა ორი ათეული სიტყვა მიითვისა
და ისინი პეპლებივით ჩანემსა

თავისი პოეტური სახელოსნოს მინის ყუთში

საფოსტო ყუთებიდან დაბეჭდილი მტრედები ამოდიან
ბუმბულის სიმსუბუქით სცვივა მათ ბუმბულს უწყებები
მაგრამ ისინი გაუგებარია
სიზმრების ხსნად მარილში

* * *

ჩემი თავის აკვარიუმში
მტაცებელი თევზი დაცურავს რომელიც კლავს
როცა ნაზი ფარფლოსნები
ბავშვობისდროინდელ ზღაპრების წიგნში ეძებენ საზრდოს

თითბრის გაკრიალებულკბილებიანი
მოჯადოებული ქალაქი
არც ერთ ატლასში არ არის აღნიშნული
ის ნემსის წვერზე უთავბოლოდ გამოკიდებულა

მათხოვრის Wasserpfeife-დან ამოსული თეთრი ცხენები
ჩემი სიგიჟის მეჩეთის ლურჯ მინარეთებამდე აღწევენ

მფრინავი ხალიჩების საქირაოში დიდი გამოცოცხლებაა
ქარის ვარდები იფურცლებიან
და მწუხარე ფარნები თავებს აქნევენ

ფრინველი როხი ჩალის ბობმბების ჩამოყრას ბრძანებს

გეშინოდეს მეზღაპრის შურისძიების
დროის სულისგან ორგანოთა ინფიცირების

ნუ გააღვიძებ ყალბ ფირმებშიში გატრუნულ თვითმკვლელებს
რომლებიც ბედნიერნი არიან იმით რომ შეუძლიათ შავი ქამარი შეიკრან
და თავი აიფეთქონ

* * *

ჯაჭვის პერანგქვეშ
ღრმად ჩემს მკერდში არიან ისინი დამარხული
ფერფლი და ყაყაჩო
და გულის კედელს
გოგირდოვანი ფრთებით ეხლებიან

დაუსრულებელი ცხოვრების მოჩვენებები
ტანჯვები რომლებიც ფორებიდან ოფლს როზგით დევნიან
ურანოზული მოდგმა რომელიც რიტმულად ნიკნიკებს
მონატრებული მწარე რძეს
მათი ვერცხლოვანი ვარსკვლავებით მოფენილი აბრეშუმით აკრული
მფეთქავი მკერდისა

გარდასული სუნთქვა რომელიც მინებს ორთქლავს
ამ მარტოსულ სამუდამოდ მიტოვებულ ოთახში
დამყაყებული კვამლის ზარის ქვეშ
მტვერში დამუნჯებული ნაბიჯები

მოგონება სუნთქვას მიხშობს
როცა ჩემს ყელს მისი ცივი თითები შემოეჭდობიან
მოგონების ეს მძიმე ხელი
ხავსში გახვეული ამ გულიდან იღვრება
ბნელი წყარო
ფერფლის და ყაყაჩოს მოქანავე სასწორზე

* * *

არ არიან ვისაც მე ვეძებ
ჭუჭყის დუმილში
ნაკურთხი წყლის სინმინდეში
ვირთხების ჟამს სანაგვე ურნებში ვიქექები მათი უწყების მისაგნებად
მაგრამ ვპოულობ მხოლოდ
დაჟანგებულ ლურსმნებს
ამღვრეულ შუშის თვალს
კოდეინის ცარიელ კოლოფებს

არ არიან ვისაც მე ვეძებ
ილუზიების ობმოდებულ მთვარის შუქზე
ცარიელი ეკლესიების ღმერთისგანმიტოვებულობაში
ვისაც მე ვეძებ ვეძებ ცრურწმენის სამეფოში

არ არიან ვისაც მე ვეძებ
სარეკლამო ხატების მიტოვებულ კონვეიერებთან
სატელევიზიო ეკრანზე რომელსაც ფერადი ცრემლები სდის
ვაყურადებ დაჟანგებულ ექოში საგზაო მონაკვეთების
გაუქმებულებულობისა
რომელზეც ექსპრესმატარებელთა აღმოსავლური ოცნებები
1001 ღამის გავლით მისრიალებენ

არ არიან ვისაც მე ამაოდ ვეძებ
ოცნებების დაფლეთილ ობობას ქსელში
არ არიან ჭუჭყის ინკარნაციაში
ნაკურთხი წყლის დუმილში

არ არიან არ არიან არ არიან
ყოფიერების ვარდნის სიმაღლეში

* * *

იშვიათმა ავადმყოფობამ შემიპყრო
მოპარვით მოვიდა
უხმაუროდ თითქოს შავი პეპელა მოფრენილიყოს
ღამით გააქტიურებული ჩემს სასმენ არხში
ეს ხმოვანი ბუდე
ოცნების ყვავილების ნატიფი ჟღერადობით
სასტიკი ჭრიჭინების გაძლიერებადი გაბმული ხმაური

ისე ჟღერს როგორც მოშლილი ვალტორნა სხვენში
როგორც გარდაცვლილი მეგობრების გადიდებული ღვიძლი
როგორც ფრიგიდული ქალების სუნთქვა
როცა სურვილის დნობად ხორგს გადააგორებენ
როგორც სტან გეტცის საქსოფონის ექო
აბსენტით გამლღვარი შაქარი

როგორც სასიკვდილო სურნელი იმ ვარდის
რომელსაც კარმენი ესვრის თავის ტორეროს

მეტაფიზიკური სმენის დაქვეითება
სიჩუმის სუბსტანცია
მდუმარების აბლაბუდა

მიშელის თუ არა სიმბოლური ენტომოლოგი
რომელიც პეპელას ნემსავს?

* * *

გიტე ვ.-სთვის

არაფერი მომხდარა გარდა ჩრდილების ცელილებისა
გარდა დროის უსნრაფესი ქროლვისა
მისი უხმაურო ფოთოლცვენისა რომლის ფოთლებიც
მტკიცედ ეკვრიან ჩემს ნაბიჯებს
ქროლვა წიგნიდან ამოხეული ფურცლების
რომლებიც უკვე დაუხრავს მჟავას
და წვიმის წერილი ძაფები
რომელიც მარიონეტებივით ამოძრავებს ფიქრებს
როცა მელანქოლია შავად გიღებავს ტუჩებს და ფრჩხილებს
და სისხლში მარილის რაოდენობის მატებით იმუქრება
ვიდრე კრისტალები შენს გულს შემოეწყობიან

რას ხედავ მოგონების დაცურებულ ხე-ტყეში დინების მიერ მოტანილში
გადაყრილ ნემსებს შორის
სავარცხელს შერჩენილი მისი თმის ღერებით
კარის სახელურები
ნამსხვრევები რომლებსაც ვაბიჯებთ
მექანიზებული ტკბობის საეკლესიო სინმინდეები
ცარიელ სარდაფებში ყოველთვის
მხოლოდ თაგვები ფხიზლობენ
ისინი დროს ხრავენ უკანასკნელ ძვლებამდე
და არაფერი ხდება გარდა ჩრდილების ცვალებადობისა

მხოლოდ ჯიუტი ანტიკვარი
დაგიფასებს კარგ ფასად არაფერს

* * *

ის თავის შავ სუნთქვას შემომასუნთქავს წამწამებზე
და ჩემი თვალების ცისარტყელას ფლეთს

სიკვდილი სმენას უნარს მართმევს
და დუმილს დასრულების საშუალებას აღარ აძლევს

ღმერთების უკანასკნელი მოწყალება ტკივილია·
როგორი ტანჯვაა ადამიანად ყოფნა

ზეცა ეშვება ჩემს სახეზე
და ჩემს ზურგსუკან ხურავს ღამე თავის ნისლის კარს

მე უკვე ვიცხოვრე დიდი ხნის წინ
მხოლოდ იშვიათად თუ ვჩნდები სიზმრებში
როცა ასფოდელოს მდელოზე
გარდაცვლილთა სულები ყვავილობენ

* * *

იშვიათი სტიგმა მიჩნდება შუბლზე
თითქოს მიუკარებელთა კასტას ვეკუთვნოდე
რომელთა თვალებიდან მწვანე ცრემლები წვეთავენ
რომლებიც როგორც მლაშე წვიმები ჩემს სხეულს მინერალებს
ჩამორეცხავენ

ღამეები დნობადი ლითონია
თუ მომდინარე სისხლი
ჩემ უძილობას მჟავა შერევია

ო დერვიშო ერთი საშინელი საბავშვო ზღაპრისა

რომელშიც დროსთან რიტუალურ შეჯიბრს
წუმწუმი და გოგირდი აწვიმს

დუმილის აღთქმა დამშრალი სიტყვებისა
გამომშრალი როგორც ყვავილის ფურცლები მწარე აბსურდისა
სადაფით არის დაფარული ჩემი ენა
მონეტებით არის დაფარული ჩემი თვალები

მაგნიტივით იზიდავენ ჩემს დაშლილ სულს საიქიოზე ოცნებები
მზადმყოფნი იმისთვის რომ ხის საკურთხეველზე აენთონ

კეთილი იყოს შენი ფეხი ქვის სტუმარო

კარლ ვოლფი

პირველად იყო დაო

დაწერილია:
"პირველად იყო დაო.
და დაო იყო ღმერთთან.
და დაო იყო ღმერთი".
ასევე დაწერილია:
"დაო, რომელიც შეიძლება დასახელდეს,
არ არის ჭეშმარიტი დაო.
სახელი, რომელიც შეიძლება დასახელდეს,
არ არის ჭეშმარიტი სახელი".
და ეს ასევე ნიშნავს:
"იმან, ვინც მეტყველებს, არ იცის.
ვინც იცის, იგი არ მეტყველებს".
ამას განგვიმარტავს ლაო ძი.
მაშ, რა ვირწმუნოთ?
"უნდა ვირწმუნოთ, რომ იგი თავად
იყო ერთ-ერთი, ვინც იცოდა
და დაწერა არა უმცირეს
ხუთჯერ ათასი სიტყვის?"

მე ვხედავ ქუჩას,
ვხედავ თავს
და ფეხს
და ვეძებ და ვერას ვპოვებ,
და რასაც ვპოვებ,
იმას არ ვეძებ.

არ ვიცი, ყური ეის ვათხოვო.
დასაბამიდან იყო საქმე?
აქ ისე ვდგავარ, ვით კარიბჭე შემეცნებისა.
საქმის წინარე საქმეა დაო.
ეს განსაზღვრებად არ გამოდგება.
საბედნიეროდ
მზერას უკუმივმართავ და
დილის ნათელს
ვესალმები თავისუფალი.
და მის სხივოსან რჩევაში,
მორგეში,
ბრუნავს არარა,
ყოველი ბრუნავს.

ვის შეუძლია ამის შეცნობა?

* * *

ჩემს სახლს
ჩემს ბაღში მოყვავილე
ოცნებები ალამაზებენ.
ქვეყნიერებას რაც აშინებს,
ის ჩემს სიმშვიდეს
ვერაფერს ავნებს.
მე ვისწავლე,
თუ რა არის ჭეშმარიტება.
მე ვიღიმი.
მეგობრული ვარ.
ბედნიერი ვარ.
ბედნიერი ვარ.
ბედნიერი ვარ.

ბედნიერება

უბედურებმა
უნყიან ბედნიერების შესახებ.

ან იქნებ ასე:

უბედურებმა
არაფერი უნყიან
ბედნიერების შესახებ.

ან სულაც ასე:

ბედნიერებმა
არაფერი უნყიან
ბედნიერების შესახებ.

* * *

ფოთოლ-ფოთოლ
გაურბიან
დღეები ქარებს.
გრძელი ღამით გარემოცული,
ჩემს თავს დავეძებ
მიმწუხრის ცაში.

* * *

ჩვენ გვაბრმავებს
მხოლოდ ის ცოდნა,
რომელიც არცოდნაა.

არ-ცოდნა,
რომელიც ცოდნაა,
სასნაულს გვიჩვენებს.

ჩვენ არ ვსაჭიროებთ ბრმებს,
რომლებსაც ბრმები მართავენ.
დავიბადეთ, რათა ვხედავდეთ.

ქამელეონი

ქამელეონი როგორც ცდილობს,
თავის ნაცხოვრებ
ტანზე მოირგოს არნაცხოვრები.
ფერად სურათთან არაფერი ექნებოდა ამას საერთო.
სამწუხარო იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ.

თვალნი და მზერანი

ბრმებს შორის
ცალთვალა
მეფეა.

ცალთვალათა შორის
ორივ თვალის მქონეს
ორი თვალი აქვს.

სამთვალათა შორის
ორთვალა
ბრმაა.

მე ვცხოვრობ

მე ვცხოვრობ.
არ ვარ თომას მანი.

ჩემი ცხოვრება ოცნებაა,
ოცნება ლიტერატურაზე.

ოცნებას აღვწერ და
ცხოვრებას ვკარგავ.

ვცხოვრობ და
ვკარგავ იმას, რაც რჩება.

ფეხსაცმლის გამოცვლა

ფეხსაცმელზე ხშირად
ქვეყნებს იცვლიდა
ბრეხტი.
ბედნიერია ადამიანი,
რომელსაც ფეხსაცმელზე და ილუზიებზე
უფრო ხშირად
შეუძლია ქვეყნის გამოცვლა.

კვიპაროსები

ქარი არ არის, ისინი რომ არ დაერწიოს.
არც - ქარიშხალი, ისინი რომ არ დაედრიკოს.
უამინდობა ვერ ამოგლეჯს მათ ფესვს ვერასდროს.

დათმობა მათი ჩვევა არაა.
თმობენ და ისევ იმართებიან.
მგრძნობელობაა მათი უწყება.

მათ მინიდანაც ძალუძთ,
ზეცის ხმები ისმინონ.
სხვაგვარად, ვიდრე მოციქულნი,
მდუმარებენ, ცეცხლის ენებს როცა იგრძნობენ.

უამხეებოდ ჰორიზონტი ცარიელი დაგვირჩებოდა.

ვერნერ კლიოპერი

როცა სარა კირშისკენ გავწიეთ...

როცა სარა კირშისკენ გავწიეთ
მზე ანათებდა და ვარდები ჰყვაოდნენ
ჩვენ ლურჯი ზიზილები დავკრიფეთ
პორტი ჩამავალი მზის სხივებით გაბრწყინებულიყო
პორტთან ხელოვნების საგამოფენო დარბაზი ირწეოდა

სანაპიროს ლუდხანები გოგონებით იყო სავსე
– *ტავერნის წინ დიდი ჭიშკრის წინ* –
მაგრამ სარა კირში დახურული დაგვხვდა
კარზე თავს იწონებდა წარწერა:
ყველა ბილეთი გაყიდულია

რუხი წყალლაფი სანაპიროს დგაფუნით მიაწყდა
და გედი თავით ფეხამდე განუნა

პორტის წყლებში
მზის უკანასკნელი სხივები ბრწყინავდნენ
და ქარვისფრად
ირეკლებოდნენ

მერე იელვა და იქუხა
და ცათა რაბები განიხვნენ
და შვიდი დღე და შვიდი ღამე წვიმდა
ქუჩაში სტუდენტები ცეკვავდნენ
და ყვიროდნენ: Sarah for ever
მაგრამ სარა ლოგინად იყო ჩავარდნილი
და მათი ყვირილი არ ესმოდა

მომავლის განჭვრეტა

ღამე რომ დადგება
იქნება ომი და იქნება სიცივე.
მერე დრო დადგება
ქვეყნად გამეფდება მშვიდობა იგივე.
დიახ, ეს დროც მოვა,
როცა ვეღარ ნახავ შენ უკვე მზის სხივებს.

ისე, უბრალოდ

შენი ღიმილი მივიტაცე
ავტობუსის გაჩერებაზე.
შინ რომ მოვედი,

ჩემს ოთახში მიმოვაფრინე.
ხვალ დაგიბრუნებ.

ხანდაზმულობის შესახებ

ვინ დაითვლის ჩემს ჭაღარას
ვინ დაითვლის ჩემს ნაოჭებს
ვინ დაითვლის ჩემს გაუთავებელ ლაპარაკს
სიცოცხლეზე
და სიკვდილზე
შენი ერთი კოცნა
და ერთი ღიმილი
ბედნიერებას მპირდებიან.

თავში სროლა

ჯინსების მაღაზიაში
შერიფი გხვდება
დამიზნებული იარაღით
შეგიძლია
შენი კოლტის
სასხლეტს გამოკრა
შენ დაკავებული ხარ
ადამიანების სულებით
ბიბლიოთეკაში
სამი შველი ტყეში
ქალი კომპიუტერთან
თავისუფლება რომელსაც კარშტატი ჰქვია
იქვე
ძაღლის აჩეჩილი მხრები

მონატრება

მიღებულად იმისა რომ

უკვე დიდი ხნის წინ დაგკარგე
მაინც ანათებ
ცის კაბადონზე

როგორც ჩამქრალი ვარსკვლავი

იშვიათად

უნიფორმირებულებს
იშვიათად
უყვართ
ინდივიდუალისტები

ვარდი ნოემბერში

ჰეი, ვარდო, ნოემბერში აყვავებულო,
პირველივე ყინვას შეუძლია შენი დაზრობა.
ადამიანებს შეუძლიათ წელში შენი გადატეხვა,
შეუძლიათ – მოსაგონებლად –
ლარნაკში შენი მოთავსება:
ჰეი, ვარდო, ნოემბერში აყვავებულო,
უნაზესი შენი ფურცლები
მზის სინათლეს საჭიროებენ.

თანაფარდობები

რაოდენობრივი თანაფარდობა
პროფესორებსა და
სტუდენტებს შორის
უარესია
ვიდრე
ზოოპარკის დარაჯებსა და
ცხოველებს შორის
ზოოპარკის დარაჯების

თანაფარდობა
ცხოველებთან
უკეთესია
ვიდრე
სტუდენტებთან
პროფესორების
თანაფარდობა

კერსტინი, იურიდიულის სტუდენტი

როგორლაც მოხდა,
ერთხელ შეგნიშნე:
პროფესორს რომ უყურებდი ჩაფიქრებული.
შენი მზერა
ფიქრებივით მიმოდიოდა.
თანაბარი რიტმით ცემდნენ
ჩვენი გულები.
მაგრამ მაინც, ერთურთისთვის უცხო ვიყავით.
ათასი პეპლით ავსებული შენი სამყარო
არის ჭრელი, ფერებით სავსე.
კვამლით არის ჰაერიც და თვალებიც სავსე.
პარაგრაფებში
დაკარგული შენი გული
უფრო ნაკლებ აბსტრაქტულია,
ვიდრე – აბსტრაქციის პრინციპი.
ის გახვრეტილ ჰორიზონტთან
ილევა და უჩინარდება.

ჩიტუნა უნივერსიტეტთან

ჩიტი რომ ვიყო,
ფრთებს გავშლიდი და
გადავუფრენდი მთებს და ხეობებს,
ღრუბლებსაც თავზე მოვექცეოდი,
დედამინასაც,
ამ სამყაროსაც.

მაგრამ რაკილა აქ ცხოვრება მომესაჯა,
უნივერსიტეტის კიბეზე ეზივარ
და ბიბლიოთეკის შენობას ვუმზერ,
დრო კი გადის
ნახევარსაათიან მონაკვეთებად
და გალიცინის დედოფალი
გარდასულის შესახებ ყვება:
ყვება ზაფხულის მიწურულზე,
ამღერებულ პაწაწინა ანგელოზებზე
და მონკარუნე ბროლის ჭიქებზე.

სასაზღვრო ბავშვი

ჰოლანდიელებსა და გერმანელებს შორის
მებაჟეებსა და კონტრაბანდისტებს შორის
დაფრთიანებული
სასაზღვრო ბავშვი
საზღვრებს შორის გამოზრდილი
სასაზღვრო გამოცდილებებს შორის
საზღვრის გადალახვებს შორის
შლაგბაუმის რიგებს შორის
საზღვარზე მომლოდინეთა რიგებს შორის
პასპორტის მაჩვენებელი
საზღვრისმიღმური მზერით
საზღვარი მისთვის
უკვე უსაზღვროა

ლორელაი

სარკმელთან ვდგავართ.
ლანდშაფტს გავყურებთ.
მდინარე რაინი – ლეგარუხი სითხის ნაკადი.
მოსახვევებში – მატარებლის თვლების ღრჭიალი.
ფრიალო კლდეზე – დარჭობილი დროშა გერმანული.
ზღაპრული.
მატარებლის კუპეში – ნახევრადმთვლემარე ამერიკელი ქალი.

“Look, look - the Lorelcy”, ვეუბნებით.
მაგრამ, დაღლილი, თავს ძლივს აბრუნებს.
მეზობელ კუპეში იაპონლები მღერიან:
“მე რომ გულზე დარდი მაწევს,
რას გულისხმობს, მითხარ...”

ინგრიდ ჰენიესი

შრომამისჯილი

ბელორუსი
მოხუცი ქალი
თავისი წარსულის შესახებ ყვება:

გერმანიაში შრომამისჯილი,
მოგვიანებით, როგორც კოლაბორაციონისტი,
დეპორტირებულ იქნა ციმბირში.

მისი ცხოვრება
მძიმე შრომა იყო.
თავის სახლში, ხის ლურჯ სახლში,
მაგიდასთან მიმჯდარი, ოხრავს.
თავს ვერ მალავს მისი კბილების ცუდი პროტეზი.

“ახლა კი შეიძლებოდა მეცხოვრა,
მაგრამ უკვე სიკვდილის დროა.
მთელი ცხოვრება
მძიმედ ვშრომობდი –
არ მინდა სიკვდილი”.

თავის სახლში, ხის ლურჯ სახლში,
მაგიდასთან მიმჯდარი, ოხრავს.

კეთილი რჩევა

მან მითხრა:

ბოლოსდაბოლოს, რამე იღონე!
შეირჩიე ახალი ვარცხნილობა,
ისეთი, შენი თავი რომ ვერ იცნო!
შეიმუშავე ახალი კონცეპტი!
გაიჩინე ჩემი გულისთვის
ახალი საყვარელი,
გაიხსენე შენი ჰობი,
წადი კინოში,
ბოლოსდაბოლოს,
უბრალოდ, რამე მოიმოქმედე!

მაყურებელი ქალი

„ერთი ჩვეულებრივი მაყურებელია",
დიახ, ის მართლაც სხვა არავინ არის.
განმარტოებით მიმჯდარა ფანჯარასთან,
ბეჯითად ქსოვს
და ზღაპრულ პრინცს ელის.
მაგრამ ის არ მოდის,
არ ჩამოქვეითდება თავისი ცხენიდან,
რადგან ის მხოლოდ ზღაპარში არსებობს.
წლები კი გადის,
და მეოცნებე პრინცესა
სვიტერს სვიტერზე ქსოვს
ცისარტყელას ყველა ფერით დამშვენებულს
და შვიდი წლის მერე იგი ისევ იქ ზის
და ელის და ქსოვს
და ქსოვს და ელის
და უყურებს ცხოვრებას,
რომელიც მის თვალწინ გადის.

მოხსენება

გადავსებულ აუდიტორიაში
გერმანისტებს თავი ქაღალდებში ჩაურგავთ,
ორატორს გატაცებით უსმენენ და იწერენ.

დიდი გაჭირვებით იკვალავ გზას ადგილისკენ,
რომელიც შემთხვევით დარჩენილა თავისუფალი.
შენ არაფერს იწერ,
მხოლოდ ოცნებებს მიცემული უსმენ
პროფესორის მუსიკალურ ინტონაციას.
შენი მზერა დღის მიწურულის ცაში რიალებს,
სადაც ხანგრძლივი წვიმის მერე
ღრუბლებიდან მზეს ამოუყვინთავს
და ხეებს და სასახლის ბაღს თავზე დასდგომია.
როცა რეკვას იწყებენ მწუხრის ზარები,
სახლების ნითელ სახურავებზე
უკვე გამშრალია წვიმის უკანასკნელი წვეთები
და მზის ბოლო სხივიღა მსჭვალავს
სარკმელთა სველ მინებს.

უხალისო საუზმე

საუზმეზე ისევ მარტო უზიხარ მაგიდას
და უხალისოდ არეგულირებ რადიოს.
უკმაყოფილოდ აციცქნი ფუნთუშას კიდეებს,
ყავის ადუღებას უცდი.
შეშუპებულ თვალებს ისრეს;
კატა, გუშინ რომ შენს ფეხებთან იყო გაყურსული,
ახლაც ასეა შენს ფეხებთან გაყურსული.
აჩქარებულ ნაბიჯს ანელებ
და თვალს ჰკიდებ საათს:
ავტობუსი სამ წუთში გადის.
ელვის სისწრაფით სვამ ერთ ყლუპ ყავას.
ჩანთას ამოიღლიავებ
და კიბის საფეხურებზე ჩარბიხარ.
უკან რჩება:
ყავის მანქანა, ნახევარი ჭიქა ყავა,
ნახევარი ფუნთუშა და
წინადღის გაურეცხავი ჭურჭელი.
მზის პირველი სხივი ზანტად ანათებს
ღრუბლებიდან.

როგორც ფესვებმოჭრილი ხე

როგორც ნაცემ-ნაგვემი ძაღლი,
ერთი ქვეყნიდან მეორეში
დევნილი და გაგდებული,
ის სხვაგან ვერსად ჰპოვებს სიმშვიდეს,
რადგან ყოველთვის,
მიუხედავად დევნისა და მკვლელობის საფრთხის,
მას სამშობლოს ნოსტალგია ტანჯავს
და საკუთარ თავს ხედავს, როგორც
მშობლიური ენიდან და კულტურიდან
ამოგლეჯილს
და განაგრძობს სიცოცხლეს,
როგორც ფესვებმოჭრილი ხე,
რომელიც ფესვებს
სხვაგან ვეღარსად გაიდგამს
და ვეღარ აყვავდება.

დიტერ რადტკე

ხე

ჩემი სიტყვები კანკალებენ
ტოტების წნულში
როცა მასში ქარი გაივლის –
მე ხე ვარ

ვარ ბრძენი და ამაყი მოხუცი
მაგრამ ჩემი ნორჩი ფოთლები
დაუოკებლად და უნაზესად ირნევიან
შენს რიტმში

და ასრულებენ სიმფონიას –
ფოთლების საუცხოო შრიალს –
სუნთქვა ატოკებს შენს გულს –
ანუ ბედნიერი ხარ

ხსნა

მე ვეცემი – ვიძირები
მარადიულ ჭაობში

ყოველი საუბარი – ყოველი სატელეფონო ზარი
იძულება იქნებოდა

მაგრამ კეთილი ფიქრები –
სიჯიუტე – ოპტიმიზმი –
ერთობლივად გარს უვლიან
ჩემს მოკლულ შუაგულს

და ცდილობენ
მის გაცოცხლებას:
დადე ნდობის ფსონი
ნამდვილზე და ნარუვალზე
ტკივილი გაკრთება და ჩაიქროლებს
როგორც წამწამების დახამხამება

იმედი კი უკვე ხიდებს აგებს –
შენ ჩემდამი კეთილგანწყობილი
და მეგობრული ხარ

შენ ამოგყავარ
ჭაობიდან
ძვირფასი სიტყვით

ზვიგენები

ნ.-ს

რომ ჩამაგდებდნენ
ზვიგენების გამოსაკვებად
რათა ერთხელ მაინც ვიგრძნო:
მე ცოცხალი ვარ

და არ გავიხრწნა

ნება-ნება – არ ვიქცე
საკვებად რომელიმე უცნობი
ცხოველისთვის

მე ვიცნობ ჩემს უძვირფასეს
ზვიგენს – მე მას
სახელით არ მივმართავ –
ასე უფრო ლამაზად მოვკვდები

ალუბლის ყვავილები

ეს სიკვდილის სიახლოვეა –
ალუბლის ხე იმოსება
უფრო მეტი და მეტი ყვავილით

შენ ჩემს წინ ზიხარ
და ნორჩი და მშვენიერი ხარ

სიცოცხლის ხალისით აღსავსე ვუმზერ
თვალებში სიკვდილს

დავეხეტები ტოკიოში
ყელზე აბრით
რომელზეც ჩემი სახელი წერია

და ვსწავლობ
შენელებულ კადრში მოძრაობას
შენგან – იუ –
უსახლკარო მოცეკვავე ქალო

მე გამოვდივარ
ჩემი სიცოცხლის მუყაოს
დახურული ყუთიდან
და ვიშლები
როგორც ალუბლის ყვავილი

და მივდივარ
უკანასკნელად სამოგზაუროდ

უცებ გრიგალი ამოვარდება
და განძარცვავს ალუბლის ხეს
ყვავილებისგან

თეთრი ნვიმით
სავსე ჰაერი

სიცოცხლე – მკვდრის სიზმარი

ხორცი და ქვა და
სული წყალთა ზედა –
ბრმა
ინერს პასუხებს

მე – გაფანტული – განქარებული
ჩემი გულის
თითოეულ ბოჭკოსთან მებრძოლი
სამშენებლო ნარჩენებში ვიძირები –

დაფშვნილი ქვა
ჩემთა მოყვასთა – გადაუჭრელი პრობლემები –
სექსუალური სიხარბე და პოეზიის
სიყვარული –

ბრმა
იწერს ჩემს პასუხებს –
ათასი კითხვის ნიშნით –
მესიზმრება რომ უკვე მოვკვდი

განშორება

შენ არა ხარ
ქალი მთვარეზე*

საღამოს ვკანკალებ

და ჭოგრიტი ხელიდან
მივარდება

მე – ჩრდილოეთის ოკეანის
უზარმაზარ ყინულზე მდგომი –
სადღაც სიზმრად ვარ

შენ უკვე გაფრინდი სამხრეთისკენ –
მე ვწერ განშორებაზე
და სიკვდილზე

შენი საფლავი რომელიღაც კუნძულზე –
ყვავილებით მორთული
რომელიღაც სოფლის ბოლოში
მე – გიგანტურ ყინულზე მდგომი –
ყინული დნება
ჩემს ფეხებქვეშ

მე ვუერთდები შორეულ სივრცეს –
უკიდეგანო ტყეებს –
სტეპებს – ადგილებს – რომლებსაც
შენ უკვე ვერასდროს ნახავ

ბეატე მარია კრუხენი

ქარი ცოცხალია

მარადიულად ცვალებადო
ვინ გამოძრავებს
შენ, ვინც იტაცებ იმას, უკვე რაც დაცემულა

---

*პერსონაჟი, სახელად ფრიდა, რეჟისორ ფრიც ლანგის 1929 გადაღებული ამავე სახელწოდების ფანტასტიკური ფილმიდან. ფრიდა, ექსპედიციის ერთ-ერთი ნევრი, მთვარეზე რჩება და იღუპება.

ჩარაზულია სახლის კარი
შენ კი მას აღებ,
იქ შეხიზნულებს თავს ესხმი და
გამორეკავ სინათლის შუქზე,
რამეთუ ამსხვრევ, რაც მყარია,
უნდოდ ჰყოფ სანდოს

შენ ხარ ლოყაზე ნაზი კოცნა
სწრაფი შეხება

შენ თვალს მტვრით უსებ იმას
ვისაც ცრემლი არა აქვს

მტვერია ის რაც სხეულს გაძლევს
განიჭებს ფორმას

რაა, სამყაროს სიღრმიდან რომ ამოდის და შენ გამოძრავებს?

იქნებ ეს არის
ყველა ჩიტის ერთდროული გამოღვიძება
როცა ერთ წამში
ფრთებს შლიან და აიჭრებიან

იქნებ ეს არის
ფლოქვთაცემა აურაცხელი
როცა ცხენები
ერთდროულად ჯირითობენ დედამიწაზე

იქნებ
ძილია ადამიანთა
ერთდროულად რომ ჩათვლემენ და
უსასრულო სივრცეს გითმობენ

ან იქნებ სულაც
იმის სუნთქვა ხარ
ვისაც ჩვენში დავატარებთ
ყოველდღიურად

აღმოსავლეთი და დასავლეთი

ტკბილო, გამქრალო ნაკვალევო ქვეყნიერების აღმოსავლეთში,
მე დღემდე ვცხოვრობ სურნელებით შენი ქუჩების,
ძლიერი ქარით გათეთრებულის, როგორ მღერის ის ნუშის ხეში,
ვოცნებობ შენი ამოუხსნელი,
დაშტრიხული ნაწერების საიდუმლოზე,
ხოლო შუადღით, დასავლეთის ნათელ დღეებში,
ენაზე ჯერაც გამჭვირვალე თაფლის გემო მაქვს,
ყურში კი - შენი მეტყველების ნაზი გალობა

მიმაგნებინა მყუდრო კერას ალისფერმა აბრეშუმმა შენი ოთახის,
მიდამოებმა ეზო-კართა, და გალიებმა,
დასაზღვრულმა მცირედი სივრცით მეგობრებისთვის,
ყოველდღიურად თავისუფლებამინიჭებულნი, უკანვე რომ უბრუნდებიან
კოხტა გისოსებს,
კაცს, მათ რომ ამწყვდევს ყოველ საღამოს,
მოტყუებულებს იმ სიმღერით,
ის რომ ასრულებს მოკლე, ხითნათალ ფლეიტაზე
და რომლის ჟღერა გაივლის ჩემს ძილს,
რომელიც არის მსუბუქი და არ არის მშვიდი აქ, დასავლეთში

მძინავს მარტოსულს ნეფრიტის ქვით ხელდამშვენებულს,
ყოველ ღამით კვლავ უკანვე გავდივარ შორ გზას,
რათა დილით გავიღვიძო კვლავ და კვლავ აღმოსავლეთის მზის ქვეშ

შამანი

მე შენ გხედავდი,
შენი სახის მიღმა გხედავდი.

შენ სათუთი ხარ
ოცნება ხარ
ღრუბელი ხარ, რომ მიცურავს ზაფხულის ცაზე,
ყველასათვის უხილავი სურნელება ხარ,
ჟღერადობა ხარ ხავერდოვანი, რომლის შეხება ტკივილს მაყენებს

მე შენ გხედავდი,
შენი სახის მიღმა გხედავდი.

შენს ტალღას, არვის რომ არ დაინდობს
შენს ძალას, ასე ვერცხლისფრად და ბნელად ავარდნილს
სიცარიელეს შენსას, ვერვინ რომ ვერ აღავსებს
ყვირილს, რომლისაც ეშინიათ და გაურბიან

მე შენ გხედავდი,
შენი სახის მიღმა გხედავდი,
შენში ფოთოლი მოცახცახე და უცნობი სიბნელე სუფევს

მე შენ გხედავდი,
მე ჯერ შენი სახე ვიხილე,
ნუგეშისმცემი ჩვეულება
თვალის და პირის, თმის და კანისა,
ხოლო ჩემს სავალს შენი სახის მიღმა მივყავდი

გავხდი შამანი
და შეგიყვარე

ალუბლის ყვავილები

ცხელი ზაფხულის შუადღისას
გრილ მიწაში
მე ალუბლის ხეები დავრგე

იანვრის ყინვა როცა დადგა
ვარწყულებდი თბილი წყლით ხეებს

ახლა როცა გაზაფხულია
ერთიანად გადაპენტილი ჩემი ხეები
ქათქათა როგორც პირველი თოვლი
თვალებზე ნათელ ჩრდილებს მაფენენ

გზა სიცოცხლისკენ

მძინარენი ვართ
იქ სადაც ჯერაც არ გაგვიზომავს დრო და
არც სივრცე არ აგვიგია

გაღვიძებულნი, არ კი ვიცით რისი წყალობით,
ჩვენს თვალწინ ეხედავთ
გზას სიცოცხლისას

იქნებ ფიქრი ვართ
იმ სურვილით დაბადებული
რომ ვინმეს გვერდით ვიმყოფებოდეთ

მერე კი ჩვენს თავს
მიეათვლით მრავალთ
გზას შეყოლილებს
მოსვლით და ნასვლით მარადისში რომ მეორდებიან

ფიქრები
ჯერაც მძინარეთა და იმათი
სიცოცხლეს რომ არ ეძიებენ
თანამგზავრნი არიან ჩვენი

ქალაქი ნისლში

ნისლი ადის მდინარის თავზე
დაუღლელ ქალაქს დასცქერის უხმოდ,
მისით დაცულნი ვიყინყებთ, რომ უკვე დღე დადგა

ნელ-ნელა გვტოვებს სანატრელი, განაპირდება
უფრო და უფრო ჩუმი ხდება მისი ნაბიჯი,
და ჩიტუნების ჭიკჭიკსაც უკვე,
სხვა სამყაროდან რომ გვეყურება,
დაუღლელი სინათლე შთანთქავს,
და გზადმყოფისთვის
ცაში მსუბუქად ამავალი კოცონი ხდება

ეს ის ჟამია
გზას შინისკენ რომ ვეღარ ვიგნებთ
და კვლავ სიცოცხლის თაურნყაროს მიეუჯაჭვივართ

ერთობა

დღე სრულიყოფა, როცა იგი ღამეს ისრუტავს
როცა სიბნელე დაინთქმება მის სინათლეში
მაგრამ სიბნელე სინათლის ქვეშ მოციმციმე საფუძვლად რჩება

იგივ სიბნელე,
რომლის ფენებშიც
თავს იმალავენ უკანასკნელ სიღრმეთა ჩრდილნი
მელოდია უხმო სიშავის
ომ, ეს წმინდა ხმა,
რომელიც ერწყმის ჩვენს სუნთქვას და სულად იქცევა

სინათლე,
გამჭვირვალება და დიდებულება
მომაკვდავი გოთური ტაძრის
ვიწრო და ბევრისმცოდნე სარკმლებით
შუქის თვალებით

ეს სიბნელე ჩაიკარ გულში,
და ის გახდება ნაყოფიერი და ამოსუნთქვის საშველს მოგცემს
და ჩაგიკრავს თავის
ნიაღში
თესლივით, ზამთარს ნიადაგში რომ ატარებს დაძინებული,
რათა აყვავდეს და გაბრწყინდეს ახალი წლის სიკაშკაშეში

ერთობა ჰქვია
სიბნელე რომ სინათლეში გადაიზრდება
და სინათლე რომ საკუთარ თავს შეიმეცნებს ამ სიბნელეში
ხოლო მერე დღე სრულიყოფა

მარიანა გრუბერი

არ მსურს მოვყვე,
ვინ არ ვიყავი.
ბავშვი,
სამყაროს წინაშე რომ
პირღიად იდგა,
სიცოცხლე,
ჯერაც დაუმცხრალი,
მათთვის უცხოა.
დამჯერე, დუმილს გაჩვეული,
ფიქრში, ჩარაზულ კართა მიღმა,
ოდენ ჩუმად გამომთქმელი
თვით დიადი, დაკარგული დედების ლექსთა.
ამის სანაცვლოდ
თვალს მოვაელებ ოთახის ჭერს;
გულაღმა რომ წამოვწვები,
თავს კარგად ვიგრძნობ.

მოუწყვლადია ჭეშმარიტების მცველთა სიმკაცრე
მხოლოდ სიცრუეთ თუ უწყიან ლმობიერება.

გახსენება

მახსოვრობაში
მზე ყოველი,

ქვა ყოველი,
შენი თვალი
და ტალღებზე
ლიელივა მზერა,
ვარდნა,
დინება
სნორედ ახლა ხდებოდეს თითქოს.

ხელში გყავდი ატატებული
თავშესაფრის კარდაკარ მთხოვნელს
- ყურებში ომი ჩაგეწიოდა -
და ერთადერთმა სულიერმა გაგვიღო კარი,
შენ კი უჩვენე,
როგორ შეეძლო შენს აღმართულ თითს
აეკრძალა ბავშვის ტირილი.
სახლში შეგვიშვეს.

აუცილებელია სიჩქარე,
ისინი ისევ ისვრიან.
ისევ:
ტყვიასხმულის თავსხმა,
ტყვიების სიზუსტე
და სხვა სიმრუდის ქვეშ
გამრუდებული გონება.

უნდა მოვიდეს, ვინ?

უხმო სიკვდილია
ჩვენი მდუმარება
ხაფი ბღავილია

ჯერ ფიქრში
ბოლოს კი
ყველაფრის ქვეშ გავლებული
ხაზების სიმრავლე

ვინ ხარ შენ
ჩემთვის ხელი ვისაც ჩაუელია
გასაშვებად ვერ იმეტებს ან სულაც მიცავს,
ვისი ხელიც – ჯერაც ისევ ხელი-ალერსი –
უხეშად და მტკივნეულად
დაეცემა ამ ჩემს სიცოცხლეს
ვინ ხარ შენ, ვისაც მე მოვუხმობ,
ვინც მე მძრახავს, იგი ვინ არის
და მე ვინ ვარ
შენს ჩრდილში მყოფი

ვინ იყავ
როცა მე, ქვა,
სიცოცხლემ
შენი ხორციდან გამომტყორცნა
და მე ვინ ვიყავ
ვინც არა
სულაც არ ყოფილაო და მე ვარ
მე ვარ მაინც ვინ, ვინც შენ?

ქვა ქვაა,
ბავშვი – აღარც რომ ბავშვი
დედავე, ქვაევე, ბავშვივე და
ნაზად მოხრილი,
აქნეული უხეშად ხელი.
მე ვამბობ: არა
არ მომექცე ასე.
შენ დუმხარ.

* * *

ყველას თავისი მოჩვენება ჰყავს.
მე – ჩემი, უკვე რახანია
ის ჩემი უტყვი თანამგზავრია
მე კი შენი მოჩვენება ვარ
ბაგემდუმარე.
ვინც ყვირის, შენ ხარ.

* * *

მწუხრის ჟამს
ღვინით დამტკბარი ენით
უბნობს მეთევზე სანაპიროზე
ტალღები მერე კომპასი შტორმი
და ჩაძირული ბადე რომელიც
ამოზიდვიდან ამოზიდვამდე
ცდუნებულია
მომღერალი თევზების მიერ.

დაახლოებით 1960 წელი

როგორი იყო ის ღამე, იგი
ისეთი იყო, როგორც ადამი,
დღეს და გუშინ და მაშინ, როგორც
მტერთა ცეცხლში და
ძუ მგლის ხახაში და – ის,
როცა ევამ შეგიცნო
და უნაყოფო იქმნა იგი,
ღამე, როცა პური გადახმა,
მკალი მოზღვავდა,
ხოლო შენი ქალაქები
გვალვამ გადაწვა
და nobody - შენი ვაჟი -

როცა ყვიროდა:
ეს ღამე, ღამე
მაბრმავებს,
მამა.

ჩვენი დრო
როდი მოითხოვდა
ადამიანი ყოფილიყო უფრო ჭკვიანი.
გველი –
ნიშანი უხილავი –
ძილს მისცემია
დაკარგული დროის ნაგავში.
გარდაცვლილია მონტეცუმა
და ათენიც დანგრეულია,
გაყინულია ყველა ღია ცა.
ხოლო მზერა,
ნაგვიანევ ჟამზე მოსული,
უცხო სახეებს,
დავიწყებას
და სიკვდილს ხედავს.

ჩიტები

ბარბარა ფრიშმუთს

ადამიანის თავი აქვთ
ზოგჯერ,
ხოლო მათი ყვავილთვალები
მისჩერებია უტყვად მინას,
მდინარისგან ორად გაყოფილს.
ტოტებზე სხედან –
ჩრდილები, ქარმა

კლდეებზე რომ მიმოაფინა.
ხოლო როცა აიშლებიან,
ცა, სპილენძით აღსავსე,
იმღერს.

მერე კი არა
ახლა
მე და
სულაც არა შენ
სწორედ რომ ახლა
განზე განევა ქვისა, რომელმაც
მაშინ, გუშინ, დღეს,
სწორედ ახლა წაგვაბორძიკა,
მარჯვედ მსროლელი,
რახანია დავიწყებული.
ოდესმეო, ამბობს ქალი,
ის ოცნებობს
უფსკრულის პირას
ამბობს:
ვინ იცის
უკვე ძალა აღარც კი ჰქონდეს
ისინი ნვავენ ჩვენს ოცნებებს,
მოსანონია,
კანსაც აძრობენ,
და ხელებიც დაუბანიათ.

ხოლო შენეულ მიუხედავადამისა-ღიმილს
ნურსად დატოვებ, შინ გაიყოლე,
ხოლო ხელჯოხი გარეთ დარჩეს,
ფეხსაცმელი – შესასვლელთან,
იმის სათქმელად, რომ აქ ხარ სწორედ.

* * *

ისინი ღამით მოდიან და ახარისხებენ
სიზმრებს,
რომლებსაც
დარაჯობენ
ფხიზელი მზერით.
თანაც ხვნეშიან, აღვიძებენ ჩაძინებულთ
- თვით მზის ამოსვლა და სინათლე -
ხელწავლებულთ უფსკრულის თავზე.
დილით კი ქრება
ყველა ფერი იმ საფარველთა
რომლებშიც მათი სიცოცხლე დუღდა.
ჩემს ანგელოზს
დღენათელი დაამხობსო,
ასე ამბობენ.

პრომეთეოსი

ფასი დაკარგა ცეცხლის მომტანმა.
თვითვე ნაყრდება თავისი თავით,
რაც არწივი აღარ აკითხავს.
დანერილი აალებულა.
ახლა კი ვიცით,
რომ სანთლები ნაცარტუტად აქცევენ სახლებს,
სიშლეგე შთანთქავს
წმინდა ადგილებს.
ყვირილი გინდა?
პირი მოკუმე.

* * *

ტბაზე ვარ და
ვოცნებობ ზღვაზე

რომელიც ცაში ვარდება და
ყოველივეს თან აიტაცებს
სახელებს, საგნებს, ადამიანებს, მეც
განურჩევლად
იმ უცხოსაც
ყველაფერს რომ აერთიანებს

ქალაქი,
სადაც
დანა ახლავს ყველა სიცილს,
წყალმა დაიპყრო.

გემი არ ჩანდა თვალსაწიერზე,
არ მესმოდა შეძახილები.
ტაძარში მითხრეს,
თვალი როგორ გამეყარა თვალში გველისთვის.
ის კი ძილს იყო მიცემული.
ხოლო როცა გამოელვიძა,
წყალიც, სიმძიმეც უკან იხევდა
და ინყებოდა უკვე უდაბნო.

სიცარიელის უკან
სიტყვა
სიცარიელეზე

ან:
სიცარიელის წინ
სიტყვა სიცარიელეზე

* * *

შეიძლება მოხდეს, გავიდე
ხვალ ქუჩაში
დილაადრიან
- ზედგამოჭრილ დროს -
და სადმე პერიფერიაში ვიხეტიალო,
სადაც ძაღლებს,
როგორც იტყვიან,
თავი ქუდში აქვთ,
და მერე ისე შემოვიქცე,
როგორც არაამქვეყნიერი,
რომელზეც,
როგორც ამ დროს იტყვიან,
უნდა გაიცეს
ამქვეყნად ცოცხლად ყოფნის უფლება.

წერილი

ქაღალდი ამბობს, შენი ვარო.
ვინ დაწერა,
ვინ დაუშვა,
რომ
ჯერაც აქ ვარ
და შეუძლია იმ სახელით შემეხმიანოს,
დიდი ხნით ადრე რომ გაყვითლდა,
ვიდრე ხიდს წყალი მიიტაცებდა.
წერდა. წერდა ვინ?
თიხაზე ბგერებს წერდა და
ღიმილს წერდა და
წერდა.
სხვა ხსოვნა იცდის,
შლის ძველ ნაკვალევს,
და ხმა ჩამძახის,
რომ მე ჯერაც ისევ ბავშვი ვარ,
რომ ბავშვობიდან ჯერაც ისევ ვერ გამოვსულვარ.

• • •

სურათებად დაჩეხილი სამყაროს ხსოვნა –
რომ ფრინველი ისევ დაფრინავს
ბუდეს იშენებს
თევზებს იჭერს
ალიონზე დღეს ეგებება.
უკვე სიბერემ უწია ჩემს დროს.
სურათიდან სურათამდე ხუნდებიან
მისი ფერები – ჯერ იაგუნდი,
მერე კი თეთრი,
თითქოს შორიდან ყრუ ბგერები მოგეყურება.
მალე, სულ მალე, ნიადაგი დარჩება მხოლოდ,
რომელშიც უკვე ფეხი ეფლობა.

• • •

ჩემი ბაღი *არსად* გაშლილა
და იმ ჩემს ტანზე ამოზრდილა –
მდუმარე და გამოღლილი
წლებით, დღეებით –
რომელიც უკვე რა ხანია
თავს არიდებს დანაყოფებას

ჯერაც ჩამესმის მისი სუნთქვა
და ყვავილობაც
როცა კვირტები
ფურცელ-ფურცელ განიძარცვება

ნაოცნებარი ფერებია მისი ფერები
მისი სინათლეც – ნაოცნებარი
ნაოცნებარი *არსად*
როგორც შენ.

* * *

ის სოფლის შარებს დასდგომოდა
და ხალხს უხმობდა, - შემიძლია განკურნება,
დამიჯერეთო.
სოფლის შუაგულშიც დამდგარიყო, ასე ამბობდა:
მოვედი, რათა თევზებს ვუხმოო.
შორს მიუმართავს მფრინავ ვაჭარს
გამჭოლი მზერა.

მისი მზერა იმ ბებერი ფრინველების მზერას აგონებთ,
რომლებსაც მოაქვთ უბედურება,
ამიტომაც მათ აკავებენ.

როცა ტყისპირას
გათენებას იუწყება,
მწუხრზე კი – ღამეს,
ძაღლები უმალ ყეფას წყვეტენ
და დუმილი დაისადგურებს.

* * *

მზის საათი,
ჩამოჟამულ დღეებში რომ
დროს უსხლტებოდა,
ხმარებიდან გამოსულია.

ელექტრონულად
და ატომურად ნორმირებული,
საათში ერთხელ რეკს,
დაქოქილი, დრო
მართული საუკუნისა.

ნაგვიანევ მერცხალთა გუნდის
სწრაფვაში მხოლოდ
და – საკვამურის ბუდეებიდან
ყარყატების გადმოვარდნაში

ჯერაც რეკს

ზოგჯერ

ჯადოსნური ზარდახშების
დრო.

მინდოდა ჩემი ბავშვობის და
შენი ბავშვობის გამთლიანება იმ ერთ ცხოერებად,
რომელსაც მათი მთლიანობა არ განეცადა.
სიმღერები და ფერიები
და ტყეები, შორს მოშრიალე.
არა სარდაფი, არც – დღეები ისეთი, როცა
ნკეპლები მარდად ირჯებიან,
არც – ღამეები, შიშით აღსავსე.

ეს ხომ ბავშვობა იყო, და თანაც,
ყალბი იყოო, როგორც შენ ამბობ.
დეკემბერშიც და მაისშიც და გარდასულ წლებშიც
აქ ვდგავართ და
დროს ზურგს ვუჩვენებთ.
გვეუბნებიან, რომ ბავშვობა
მომავლიდან მოვიდა ჩვენთან,
რათა თავისთან დაგვაბრუნოს და სიკვდილს მიგვცეს.

იქ სადაც უკვე არაფერი აღარ დგას მყარად
და კაცთაგანის წარმოსახვას აღარ ეგულვის
სადაც სამყარო საცხოვრებლად საძლისი უკვე
უჩვეულო დღეთა გვალვაში.
ჩემს და შენს შორის

ადრე რომ იყო, ისე უკვე არაფერია.
შენ ამბობ.
ვამბობ,
ვამბობ არაფერს.

შიშველი,
როგორც დღე განძრცვილი,
როგორც სახლი, ქუჩა და ვარდი
დროის სანყისთან.

შენი სურათი უკვე არსად მოიპოვება.
მხოლოდღა სახლი,
ქუჩა,
ვარდი
და იქვე – ძრნოლა.

აეი ისურვო ნიშნავს ისურვო
ეზო ბალახით დაფარული მტერი მეზობლად
არა მანქანით სიარული არა ცხენით არა ქვეითად
სიცარიელის მოზღვავება
საჯინიბო ბელელ-ბოსელი
ზამთარი. კვალად გაზაფხული. დრო მკის და მოსთველის.

აკაციები ტკაცუნებენ
ზაფხულის ხვატში
სახურავებზე
მთელი ღამე
სინათლე შრება.

• • •

ეს ლომი, შენში არსებული,
ჩემი კრავია
და – იმ სტეპების ბინადარი,
ჩვენ ამაოდ
სადაც დავსახლდით.
შენი არწივი
სულისგან დაცლილ
ჩემს ყურს ჩამღერის:
Business is good
invest your son
never mind...

ჩვენ მომავლის
კანიონებში
არაფერი
დაგვრჩა სათქმელი.

• • •

მოვაო, თქვეს მათ,
მოგვიანებით
ის, ვინც ცხოველებს
საძოვარზე გამორეკავს,
წყაროსთვალს ქვას გადაუგორებს
და ჩვენს სახელებს დარგავს
მინდორში.
გახსენება და წინსვლა
ბარიბარ.

• • •

ძროხა, რომელმაც არსებობა შეგვინარჩუნა,

ჩვენს სოფელს როცა დასწიოდნენ თავზე ბომბები, -
ორმო, რომელსაც დედა თხრიდა, -
გრძელი სავალი კარით კარამდე,
თავშესაფრის ძიება ძრწოლით –
არც ისე დიდი ხნის წინ მოხდა
და მაინც დიდი ხნის წინ მოხდა
ეს ყველაფერი.
ახლა ისინი იმ საერთო სასაფლაოებს
ეძებენ ისევ, მერე კი – ისევ,
ერთი წლის მერე
ან ცოტა უფრო მოგვიანებით,
იქ ჩაწვებიან სხვები, ვინც
სხვებმა უნდა ეძებონ.
ომს ომი მოსდევს,
დასასრული არ უწერია.

სიწყნარე იყო დღეს მთელი დღე
და ნახევარი ღამეც გაგრძელდა.
ისეთი მკვრივი სიწყნარე იყო,
რომ მან სივრცე შემოამტვრია,
ამ სივრცეს რომ ჩანაცვლებოდა.
დუმდა ყოველი.
ხალხი ქუჩის მეორე მხარეს
უმოძრაოდ
ჩამომდგარიყო.
მხოლოდ მას მერე, ბომბი როცა ჩამოვარდა,
გარბოდა ხალხი.

ისინი ისევ ბრაგუნობენ
სარდაფებში,

ბაგეები – გლუვი, თვალები,
სიცოცხლეს რომ
სტაცებენ სუნთქვას.
ხვალ ისინი შენს სახლში
მოვლენ,
ფოსტიდან ძველი ანგარიში მოგივა და
ვერ გაიგებ,
როგორ უნდა გადაიხადო.

არ აქვთ სამხილი
ჩვენს გაფრთხილებებს
ნინაშე სიტყვათმოქცევისა,
ძალაუფლების ცოფის წინაშე.
ის, რომ ჩვენ ვზღავდით,
დიდი ხანია საზღაურში არ ჩაიგდება.
თითქოს თავად ვართ
ზაფხულის მტვერში ჩარჩენილი ჩვენეული ნაფეხურები.

მე ისინი მეუბნებიან,
შენ მეორედ აღარ მოხვალო.
შენ არც ვარსკვლავს მოუყვანიხარ
და არც – შევარდენს,
გარდაუვალი რაც არისო, არაფერს ისეთს.
შენ მხოლოდ იმან მოგიყვანა, კართან რომ იდგა
და ჩირაღდანი ჰქონდა ერთ ხელში,
მეორეში კი შაშხანა ჰქონდა.

სახლის წინ ჯერაც დგანან კედლები,
სავარძელი იცდის კარის წინ.
ჩვენ კი შენი ფეხსაცმელი ტყეში ვიპოვეთ.

* * *

მთელი დღეები თოკებზე ვართ
გაკიდული და ასე ვშრებით
ნაბიჯ-ნაბიჯ
და თევზებ-თევზებ.
და ქალი, ქვეყნად ყოვლისმცოდნე,
მოკაული ჯოხით ამონმებს,
თუ შეიძლება
მათ სახელი ეწოდოთ უკვე.
გუშინ იყო და სამნი აკლდნენ,
დღეს კი უკვე ხუთნი არიან.
ნელიწადი რომ იწურება,
გადმოიღებს კალენდარს და
უცდის, დროში ჩახშირებული,
იმ ერთ მოვაჭრეს,
რომელიც მას მიუბოძებს მარადისობებს.

* * *

ვართ თუ არა, მე ეს არ ვიცი.
ცახცახი ღამით,
როცა მუხლი უნებლიეთ კედელს მოხვდება
და პასუხად კაკუნი ისმის,
შიში, რომელიც ძვალში ატანს,
წყლის ჩხრიალი
როცა ჩამესმის... –
ჩავლილია ეს ყველაფერი.
ოდესმე ყველა სიფრთხილე ქრება.
მავანი ნატრობს,
ლაპარაკობს,
ტოვებს საფლავებს,
შემოსავლელ გზებს,
ქარში დგას და
საკუთარ თავს როგორც ექოს ემშვიდობება.

მანფრედ ხოგოტი

შიშის ოდა

მეშინია უმდიდრეს ადამიანთა
სიას არ მოვაკლდე
სომალელებმა არ შემიპყრონ
თვითმრინავი არ ჩამოვარდეს
როცა ჩემი აქციები ეცემა
უდაბნოში მეამბოხეების მიერ
მოტაცებული და მოხრაკული არ აღმოვჩნდე
ისეთ დღეში არ ჩავვარდე რომ ჩემს "პორშეს"
პატარა "მერცედესზე" ვცვლიდე
საცობში მოხვედრილი ავტოპარკს ვერ ვაგნებდე
ავტობანს უბენზინოდ არ ვიყო შერჩენილი
მიწისძვრის მსხვერპლი არ აღმოვჩნდე
ერთკაციან საკანში დაკითხულს
თავდებით გათავისუფლებისთვის
ასი მილიონი ევროს გადახდა არ მომესაჯოს
ციხიდან შვებულებით გამოსულს ბედმა არ მიმუხთლოს
და ღია ლიფტმა არ დამაქუცმაცოს
ბერლუსკონის გაცნობა არ მომიხდეს
ანგელა მ.-სთან და ნიკოლას ს.-სთან ერთად
მაგიდასთან ჯდომა და ხამანწკების ჭამა არ დამევალოს
გაყიდული სახლის წინ პირდაპირ ეთერში
და ლირიკულად არ გამაღმერთოს მაიკლ ჯექსონმა
გაკოტრება არ დამემუქროს
როგორც არადედამიწელი შემთხვევით
დედამიწაზე არ დავეშვა და არაფერი
გამეგებოდეს ნავიგაციის რათა ბირჟაზე
ფასიანი ქაღალდები მიმოვფანტო

და მე, ავსტრიელი,
ამერიკული სამგზავრო პასპორტით
არ მოვეველინო ხელმეორედ ქვეყნიერებას

თანამედროვენი

ჩვენ ერთმანეთის გვერდიგვერდ ვცხოვრობთ
გავემგზავრებით და სადმე მივალთ
და თარიღებით აჭრელებული
მეხსიერების სანდო საკნები –
ერთურთს ახლიან თავს წიგნაკები
ხან იქ და ხან აქ ოდესმე სადმე
ასე თუ ისე დრო ჩაიქროლებს
ყოველდღიურად ვიხეხავთ კბილებს
და მივაშურებთ ჩვენს კუთვნილ ლუკმას
თეფშზე რაც იყო აღარ იქნება
ვნთქავთ უთქმელად და სულმოუთქმელად

ხმები
(ფრაგმენტები)

აქ, ეულ ბუნდოვანებათაგან ერთ-ერთში, მე ჩემს საქმეს ვიქმ, რათა სამყაროსეულმა წონასწორობამ, რომლის ნაწილსაც მე წარმოვადგენ, არ დაკარგოს წონასწორობა.

ის, ვინც ხედავდა, როგორ ცარიელდებოდა ყველაფერი, ხვდება, რით აღივსება ეს ყველაფერი.

პირველი ჩემი სამყარო მთლიანად გაიხსნა ჩემს წინაშე ჩემი პურის საცოდავ ნატეხში.

წასულმა მამამ ჩემს ბავშვობას ნახევარი საუკუნე აჩუქა.

სიმდაბლენი მარადიულნი არიან, ხოლო დანარჩენნი – ყველა დანარჩენნი – წამიერნი, ერთობ წამიერნი.

სიმართლეს ძალზე ცოტა მეგობარი ჰყავს, და ეს მცირედნი თვითმკვლელნი არიან.

მომექეცი ისე, როგორც შემ ნე უნდა მომექცე, და არა – როგორც მე ვიმსახურებ, რომ მომექცნენ.

ადამიანი არსაით არ მიემართება. ყოველივე, მერმისის მსგავსად, ადამიანისკენ მოემართება.

ის როდია ძლიერი, ვისაც საბლით ვყავარ დაბმული; ძლიერია საბელი.

გულუბრყვილობა, რომელმაც შემომიტია, არასოდეს მტოვებს. სწორედ ის მიცავს.

ჩემს წინ კარი იღება, შევდივარ, ხოლო ჩემს ირგვლივ ასი დაკეტილი კარია.

ჩემი სიღატაკე აბსოლუტური როდია: არსებობს, აგრეთვე, მე.

თვალს თუ არ გაახელ, შეგიძლია თავი დაირწმუნო, რომ ყველაზე მაღალი წერტილი ხარ.

ჩემს მაგალითად არავინ ქცეულა და, აი, დავშთი, როგორც არავინ.

ურწმუნობის მთელი სიავე იმაშია, რომ ოდნავი რწმენა მაინცა აქვთ.

ვიცი: არაფერი გაგაჩნია. ამიტომაც გთხოვ ყველაფერს. რათა ყველაფერი გქონდეს.

ღმერთო, მე თითქმის არასოდეს მწამდა შენი, მაგრამ ყოველთვის მიყვარდი.

ცოცხლობენ მოგონებებად ქცევის იმედით.

მე თითქმის არასოდეს შევხებივარ მტკვერს, მაგრამ თავად მტკვრისგან ვარ შექმნილი.

მე ვფიქრობ, სწორედ სულიერი ტკივილებია სული, რამეთუ სული, თავის ტანჯვათაგან თავდახსნილი, კვდება.

ადამიანი ყველაფრის შესახებ ბჭობს, და ბჭობს ყველაფრის შესახებ ისე, თითქოს ყველაფრის შემეცნება მთლიანად მასშია მოთავსებული.

ბევრი რამ ისეთი, ჩემში რომლის კეთებასაც თავი ვანებე, თვითკეთებას განაგრძობს ჩემში.

ყველაფერი, მდინარეთა მსგავსად, დამრეც ზედაპირთა ძალითაა შექმნილი.

სამყარო ჯერ კიდევ არაა საყოველთაო ნესრიგი. მას აკლია ადამიანი.

თავი ანებეს შენს მოტყუებას, მაგრამ არა შენდამი სიყვარულს. ხოლო შენ გგონია, რომ აღარ უყვარხართ.

ადამიანი, მხოლოდ მსგავსი ადამიანისა, თითქმის მხოლოდ არარაა.

შორს არიან თუ არა ისინი, მაშინ გაიგებ, როცა მიუახლოვდები.

ასი ადამიანი ერთად მეასედი ნანილია ადამიანის.

მე ვისურვებდი რაიმეში ყოფნას, რათა არ ვყოფილიყავი ყველაფერში.

როცა ზედაპირული თელემას მგვრის, იგი თელემას მგვრის იმდენად, რომ დასვენებისთვის უფსკრული მესაჭიროება.

ბოროტებას ყველა როდი იქმს, მაგრამ იგი ყველას ადანაშაულებს.

ის, რისთვისაც სიცოცხლე გაგვიღია საზღაურად, არასოდეს არაა ძვირი.

ის, ვინც თავის სამყაროს მოჩვენებით არ აღავსებს, მარტო რჩება.

შენ ფიქრობ, რომ ბოლო მომიღე. მე ვფიქრობ, - შენივე თავს მოუღე ბოლო.

შენ თუ მიაღწევ იმას, რომ ადამიანური გამომეტყველება მიიღო, მაშინ რის მიღწევას შეძლებ კიდევ?

როცა შენი ტკივილი ჩემს ტკივილზე ოდნავ მეტია, მე ვგრძნობ, რომ ოდნავ მკაცრი ვხდები.

ის, ვინც სიმართლეს ამბობს, თითქმის არაფერს ამბობს.

როცა საგანი ჯერ კიდევ არაა ყველაფერი, - მხოლოდ ხმაურია; ხოლო როცა ყველაფერია, - სიჩუმეა.

სიბინძურეს გაყრილი სიბინძურე უკვე სიბინძურე აღარაა.

მეც ვიყავი და ზრვაც იყო. ზღვაც მარტო იყო და მეც მარტო ვიყავი. ჩვენ ერთმანეთი გვაკლდა.

როცა რაიმე არა ამსამყაროსეულ აზრს გადავანყდები, მეჩვენება, რომ ეს სამყარო უფრო ფართო ხდება.

ჩემს წონადობას უფსკრულები ქმნიან.

მინას მხოლოდ ის გააჩნია, რასაც შენ ასწევ მიწიდან. შხვა არაფერი.

მხოლოდ ჭრილობა ყვირის საკუთარი ხმით.

სახლში ახალი მწუხარება შეაბიჯებს, და იქ მას ძველი მწუხარებები ეგებებიან. მდუმარენი, მაგრამ არა მოკვდინებულნი.

ადამიანში მოუშინაურებელია არა ბოროტება, მასში არსებული, არამედ – სიკეთე.

არა, არ შევალ. რამეთუ, როცა მე შევდივარ, იქ არავინაა.

როცა მე ვფიქრობ, რომ ქვა ქვაა, ხოლო ღრუბელი – ღრუბელი, თავს უბირად ვგრძნობ.

დიახ, ვარსკვლავი მირიადია. და მირიადი ეს ვარსკვლავი ორი თვალია, ამ მირიადს მიპყრობილი.

ქიმერები მარტონი მოდიან და გუნდებად მიდიან.

არიან მწუხარებები, რომლებსაც მეხსიერება დაუკარგავთ და აღარ ახსოვთ, რატომ არიან ისინი მწუხარებები.

ფრთა არც ცაა და არც – მიწა.

მე ვიცურებ სხვათა ზღვებში, ვიდრე ჩემს ზღვაში არ დავინთქმები.

ყველა მზე შენი ცეცხლის ანთებას ცდილობს, ამ ცეცხლს კი ერთი მიკრობი აქრობს.

ტირილი თავად ტირილზე მეტია, - ეს მაშინ, როცა ტირილს უმზერ.

მწუხარება ჩვენი მეგზური არაა, იგი წინ მიგვიძღვის.

თითქმის ყოველთვის: ყველაფერი, რაც შეუძლებელია, საყვედურია იმ ყველაფრისადმი, რაც შესაძლებელია.

სამყაროს, რომელსაც არაფერი გაეგება სიტყვის გარეშე, შენ თითქმის უსიტყვოდ მოევლინე.

ის, ვინც ხანგრძლივად რჩება თავის თავთან განმარტოებით, არამზადაა.

ისე ბეჯითად ვამბობდი უარს ზოგიერთ ნივთზე, რომ ამჟამად უარს არ ვიტყოდი მათზე.

ჩვენ სიცარიელეს მხოლოდ მისი აღვსებით ვეუფლებით.

ღმერთმა ბევრი უბოძა ადამიანს, მაგრამ ადამიანს უნდა, რომ რაღაც ადამიანისგანაც მიიღოს.

როცა ყველაფერი გაკეთებულია, სევდას მოუცავს განთიადები.

გზა ერთობ ამოკლებს არა მანძილს, არამედ – ცხოვრებას.

სადაც არაა სიკეთე, რათა იგი გაინაწილონ, ღამეა სიკეთე.

ხე ეულია, ღრუბელი ეულია, - ყველაფერი ეულია, როცა მე ეული ვარ.

რა – საუკუნე და რა – წამი, - ერთნაირად კვდებიან, წამეულად.

ზოგჯერ, ღამით, რათა მზერა აღვიკვეთო, სინათლეს ვანთებ.

მარშრუტს თუ არ შეიცვლი, რა აზრი აქვს გამცილებლის შეცვლას?

რამდენადაც უფრო პატარაა ადამიანი, იმდენად მეტს იტანს. მაგრამ როცა დაასკვნის, რომ იგი არარაა, ყველაფერს აიტანს.

მე გარდაცვლილს დავყურებდი. და საკუთარი თავი ისეთი პატარა მეჩვენა, ისეთი პატარა. ღმერთო, რა უზარმაზარია გარდაცვლილი!

დიახ, საჭიროა ვიტანჯოთ, თუნდაც ტყუილ-უბრალოდ, რათა ტყუილუბრალოდ არ ვიცხოვროთ.

არავის ესმის, რომ შენ ყველაფერი გაეცი. უნდათ, რომ კიდევ გასცე.

მხოლოდ მცირედთათვისაა მისაწვდომი არარა, - ფრიად შორია გზა არარამდე.

ადამიანები და ნივთები მაღლდებიან, დაეშვებიან, განეშორებიან, დაახლოვდებიან. ყველა და ყველაფერი მანძილის კომედიაა.

ადამიანი, რომელმაც გაიგო, რომ იგი სასაცილოა, არ იცინის.

რატომ არ შეიძლებოდა, მავანს მაინც შეენდო კაცისთვის, რომელსაც არავინ შეუნდო?

შენ იმდენი ხარ, რამდენადაც შენს საჭიროებას განიცდიან, და არა - იმდენი, რამდენიც შენ შენს თავში ხარ.

ადამიანური სევდა, როცა მას სძინავს, უფორმოა. როცა მას აღვიძებენ, იგი იმის ფორმას იღებს, ვინც გააღვიძა.

ჩემი ჭეშმარიტებანი დიდხანს როდი ცოცხლობენ ჩემში, - რამდენადაც მცირე ხანს ცოცხლობენ, იმდენად უცხონი არიან.

ბავშვი გვიჩვენებს სათამაშოს, უფროსი კი მალავს.

ზოგიერთი ნივთი იმდენად ჩვენეული ხდება, რომ ჩვენ იგი გვავინყდება.

მე შენ ისეთი მიყვარხარ, როგორიც ხარ; ოღონდ ნუ მეტყვი, - როგორი ხარ.

მე რომ არ მწამდეს, - მზე ზოგჯერ მაინც დამყურებს მეთქი, მე მას არ შევხედავდი.

არიან სიზმრები, რომლებიც დასვენებას საჭიროებენ.

მთა, რომელიც მე აღვმართე, ქვიშის მარცვალს მთხოვს, რომ არ ჩამოიქცეს.

მოლოდინმა მოლოდინს მიმაჩვია.

ერთის აღსარება ყველას ამცირებს.

ჩემს ახლოს მხოლოდ სიშორენი არიან.

როცა მოვკვდები, პირველად მოხდება, რომ ჩემს თავს მომაკვდავს არ შევხედავ.

შენი ტკივილი იმდენად დიდია, რომ ტკივილი არ უნდა მოგაყენოს.

ასეა თუ ისე, მე დღევანდელ დღემდე მოვაღწიე. სწორედ ამგვარად მივაღწევ ჩემი აღსასრულის დღემდე, ასეა თუ ისე.

რა გაეწყობა, მე მივდივარ. სჯობს, შენთან განშორებას დავემდურო, ვიდრე – შენ.

რა იყო აქამდე? რა იყო ამის მერე? ხოლო ეს – რა იყო?

მე ვიცინი, რადგან იცინიან; მაგრამ – არა იმაზე, რაზეც იცინიან.

რა ხანია, ცას აღარაფერს ვევედრები, ხელები კი კვლავ გაწვდილი მაქვს.

მე ვიცი, რა მოგეცი. მაგრამ არ ვიცი, შენ რა აიღე.

სხვა დროს არაფერს ვისურვებდი. დედასაც არ ვისურვებდი სხვა დროს.

დიახ, სწორედ ესაა სიკეთე, - ბოროტების შენდობა. სხვა სიკეთე არ არსებობს.

როცა მისი თვალები ჩაქრნენ, მეც ვიხილე სიბნელე.

სიცივე კეთილი მრჩეველია, ოღონდ ერთობ ცივია იგი.

როცა შეუძლებელს არ ნატრობენ, - არ ნატრობენ.

ყველაფერი ოდნავ დაბინდულია. სინათლეა და – ისიც.

დამერწმუნე, ოღონდ – რწმუნებათა გარეშე. რწმუნებები უკვე აღარ მარწმუნებენ.

საქმის არცოდნამ შეიგნო შეექმნა ღმერთი.

ნაკლოვანებათა არგამოყენება სულაც არ ნიშნავს, რომ შენ ისინი არ გაგაჩნია.

ბრმას მზე მიაქვს მხრებით.

ჩვენ ვსაყვედურობთ სახელს და შემდგომ არ ვიცით, სახელს რა ვუწოდოთ.

მე ვიცი, რომ მივბობღავდი – უპირველესად – მცირედიდან მარადიული შემდეგისკენ, არ კი ვიცი – როგორ.

ადამიანი ზომავს და ისე ცხოვრობს, ხოლო თვითონ ქვეყნად არაფრის საზომს არ წარმოადგენს. საკუთარი თავისასაც კი – არა.

რათა არ ვიცრუო, არაა საკმარისი, რომ არ ვიცრუო.

ჩემი ღირსება შესთხოვს მას, ვინც არც დღეს და არც ოდესმე ავს არ შემაწევს; მაგრამ მას, ვინც ავს შემაწევს, ჩემი ღირსება არაფერს შესთხოვს.

მცირედთა სიდიადე ყველაფერია, დიადთა სიდიადე – არაფერი.

კაცი ღმერთად გახდომას ინდომებდა, ოღონდ – ჯვრის გარეშე.

შენთვის გაცხადდება ის, რასაც თავად განუცხადებ საკუთარ თავს, და არა – ის, რასაც სხვები გაგიცხადებენ.

როცა მგონია, რომ უჩემოდაც მშვენივრად არსებობს ყველაფერი, რარიგ არაჩვეულებრივი მგონია ეს ყველაფერი!

დროის ჩემეული ნამცეცები მარადისობას ეთამაშებიან.

რამდენი სამყარო, რამდენი სამყარო – მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი ბეჩავი ტვინი გამოცოცხლდეს!

ჩემი უკანასკნელი რწმენა – ესაა ტანჯვის რწმენა. და მე განმიმტკი-ცდება რწმენა, რომ არ ვიტანჯები.

ადამიანი რომ კეთილი ყოფილიყო, ეს სიკეთე მისთვის არავითარი ღირებუ-ლების მქონე არ იქნებოდა.

მინასთან ჩემი მიჯაჭვულობით ჩემი თვალების თავისუფლებას დავტირი.

გულს რომ დავკოდავთ, სწორედ ამით ვქმნით მას.

განცალკევების შიში ამთლიანებს.

იგი დავარდა, როგორც ფრთა, - რათა შენ არ გტკენოდა.

იმით, რასაც ვხედავ – ნახვის სურვილით შეპყრობილი – მე ვტირი იმას, რის დანახვასაც არ ვისურვებდი.

სიცრუით დაღლილი რამდენი ადამიანი იკლავს თავს პირველი სიმართლის-თანავე.

ის, რასაც შენ იქმ, შენი ნარმოდგენა როდია იმის შესახებ, რასაც შენ იქმ.

როცა მგონია, რომ შენ ჩემი სიტყვები გესმის, ჩემი სიტყვები შენად მეჩვენება, - მაშინ კი მესმის ჩემი სიტყვები.

როცა აღარაფერი დამრჩება, მე მეტს აღარაფერს მოვითხოვ.

ვისაც უყვარს და იცის, რატომ უყვარს, - არ უყვარს.

ყოველთვის, როცა ვიღვიძებ, საცნაურვყოფ, რაოდენ იოლია იყო არავინ.

მე სამოთხეში მხოლოდ ჩემი ჯოჯოხეთით ნავალ, თორემ მარტო – არასოდეს.

მე გული მტკივა, მაგრამ იგი არ უნდა მტკიებოდა, რადგან არც ჩემით ცოცხლობს და არც ჩემს გამო.

შეურიე შენი მწუხარებები მთელი სამყაროს მწუხარებებს და შენი მწუხარებები შემცირდებიან.

შენ განიწმინდები, განიწმინდები... ფრთხილად! თორემ შეიძლება აღარაფერი დარჩეს შენგან.

ყველაფერი თანაბრდება. და აი, ასე მთავრდება ყველაფერი, - გათანაბრებით.

ადამიანი უმწეოა, ხოლო როცა ძლიერის როლს თამაშობს, უფრო მეტად უმწეო ხდება.

რეალური ნივთები მხოლოდ იმდენად არსებობენ, რამდენადაც ჩვენ მათ არარეალურ ნივთთა ღირებულებებს და ნაკლოვანებებს მივანერთ.

ადამიანის ტრაგედია გაცილებით დიდია მაშინ, როცა იგი ამ ტრაგედიას ზურგს შეაქცევს.

იქ, სადაც ყველა ჩივის, ჩივილი არ ისმის.

მზე ბნელს ანათებს, მაგრამ სინათლედ როდი აქცევს.

ყველა სათამაშოს აქვს უფლება, - იყოს გატეხილი.

თუ გსურს, შენს ბაღში ყვავილები არ გადაშენდნენ, ბაღის ზღუდე მიმოანგრიე.

ის არც თუ მრავალი ნივთი, მე რომ დავთმე, არ დაუთმია ჩემი ნივთების უმრავლესობას.

ყველაფერი, რასაც ჩემში განასკვულს ვატარებ, ჩემს გარეთ – ყველგან – თავისუფალია.

მე რომ არასოდეს არ ვიყიწყებდე არაფერს, რაც შენშია, ვერასოდეს აღმოვაჩენდი შენში რაიმე ახალს.

ზოგჯერ მეც ვფიქრობ ამაღლებაზე, ოღონდ არა – სხვებზე გადაბობღებით.

რაც ჩემს მიერ სამუდამოდ დაკარგულა, ესაა ის, რაც – ჩემს მიერ დაკარგული – სხვების მიერ არაა ნაპოვნი.

მე თავად ვიყავ ჩემი თავის მონაფეც და მასწავლებელიც. და მე ვიყავი კარგი მონაფე, მაგრამ – ცუდი მასწავლებელი.

მე მიყვარს შენი სიკეთე, მაგრამ არა – შენს ბაგეზე ღიმილის გარეშე.

ყველანი უფრო შორს მიდიან, მაგრამ იქ – უფრო შორს – უფსკრულია.

დღეს ჩემში კიდევ ერთი ნაკლი აღმოვაჩინე. აი, კაცობრიობის კიდევ ერთი ნაკლი.

ჩემი მკვდრები განაგრძობენ ჩემთვის ცოცხლად ჯახირს.

სავსე გულში ყველაფერი ეტევა, ხოლო ცარიელში – არაფერი. მიდი და გაიგე!

ჩვენ, ერთმანეთის ყოველთვის დამნახველნი, ვერ ვხედავთ როგორები ვართ დღეს.

არავინ არ წარმოადგენს საკუთარი თავისთვის მზეს, თვით მზეც კი – არა.

არის ის, რაც ცოცხალია იმიტომ, რომ მკვდარია.

როცა მე არაფრის არ მწამს ხოლმე, არ ვისურვებდი შეხვედრას შენთან – ვისაც არაფრის არ გწამს.

ადამიანი ისაა, რასაც ბავშვები ეუფლებიან. დამიანი ისაა, რაც იგი ბავშვებისთვისაა.

დიდი გული პატარითაც აღივსება.

ახლა ჩემი მეხსიერება მილიონი სახელი, ადამიანი და ნივთია, თითქმის ადამიანთა და ნივთთა გარეშე.

მინამ დაკარგა ჩემთვის განკუთვნილი ერთი მუჭა მიწა.

შენ რომ შენი მწუხარებების დატევება შეგეძლოს და ისინი რომ დაგეტევებინა, გეცოდინებოდა, - რა გელონა შენი მწუხარებების მილმა.

ეჩვევიან საჭიროების არსაჭიროებას.

ზოგჯერ გამახსენდება, რომ ვსუნთქავ, და ვიდრე დამავიწყდებოდეს, თითქმის არ ვსუნთქავ.

მე რომ ჩემივე თავის წინამძღოლი ვყოფილიყავი, მას სიკვდილისკენ მიმავალ ბილიკს გავარიდებდი.

მე ხილულს უხილავის ბჯენით განვამტკიცებ.

შეცდომების განსჯა კიდევ ერთი შეცდომაა.

ჩემს მიმართ ოდესღაც ნათქვამი სიტყვა დღეს გავიგონე.

მე, ამის მნახველს, მეუბნება, რომ ბრმა ვარ.

როცა ჩვენს ამა თუ იმ ღირსებაზე ვფიქრობთ, ზარალს ვაყენებთ ჩვენს თავს.

მხოლოდ აუთვლელი სიმრავლე მოლოდინთა და დასასრული მოლოდინთა აუთვლელი სიმრავლისა. მხოლოდ.

ჩემი სახელი, გარდა იმისა, რომ ძახილით მეხმიანება, ჩემს სახელსაც შემახსენებს.

მე ვამბობ იმას, რასაც ვამბობ, რადგან დამიუფლა იმან, რასაც ვამბობ.

იმან, ვინც შეინახა ბავშვის თავი თვისი, თავი თვისი შეინახა.

კაცობრიობამ არ იცის, საით წავიდეს, რადგან მას არავინ უცდის, - ღმერთიც კი არა.

მე უარი ვთქვი ცოცხლად ყოფნის უღმერთო აუცილებლობაზე. ვცოცხლობ მის გარეშე.

თუ არაფერი მეორდება, მაშინ ყველაფერი უკანასკნელად ხდება.

ცრემლს არ აფრქვევს ის, ვინც თავწყაროს ვერ პოულობს, რომელსაც თავის ცრემლს შეურევდა.

ჩემი "მე" ჩემგან შორს ნავიდა. Iგია ამჟამად ჩემი ყველაზე უფრო შორეული "შენ".

მავანნი, ყველას უკან რომ ჩამოიტოვებენ, უდაბნოში აღმოჩნდებიან ხოლმე.

ასი ათასობით კაცისგან შედგება ქალაქი. ხოლო მე ამ ქალაქში შევდგები ასი ათასობით გარდაცვლილისგან.

შენ არ იცი, რა აკეთო, მაშინაც კი, როცა ბავშვად იქცევი ხოლმე. მაგრამ სამწუხაროა, როცა უმზერ ბავშვს, რომელმაც აღარ იცის, რა ქნას.

თუ გწამს, რომ შენ ხარ ისეთი, როგორიცაა ნებისმიერი არსებული, როგორიცაა ნებისმიერი ნივთი, მაშინ შენ ხარ ყველა ასებული, ყველა ნივთი. მაშინ შენ სამყარო ხარ.

რათა ზოგიერთი მწვერვალი დავიპყრო, მე მათ კი არ ვაპატარავებ, არამედ კიდევ უფრო განვადიდებ.

ბევრის მქმნელი და არაფრის მქმნელი ერთსა და იმავე სურვილს განიცდიან: რაიმე აკეთონ.

რის მოცემას შევძლებ, სიცოცხლე რომ მოგცე?

სურნელების არმქონე ყვავილებს რომ ყვავილები ჰქვიათ, ეს სურნელების მქონე ყვავილთა დამსახურებაა.

ჩემი წყურვილი მადლიერია ჭიქა წყლისა და არა – ზღვა წყლისა.

ნივთთა ღირსებანი მათგან კი არ გამომდინარეობენ, არამედ თავს იყრიან მასში.

რამდენი ბოროტება ჩაიდინა ბოროტებამ, რომელიც მე არ ჩამიდენია!

ჩემი მხარე ყველგან მარცხნივაა. მე ამ მხრიდან დავიბადე.

ნუ მესაუბრები. მე მინდა შენს გვერდით ვიყო.

როცა მომმართავენ: - "ჩემო", მე არავინ ვარ.

არსებულთაგან ყველაზე მცირესაც კი თვალებში მზე უდგას.

ვცოცხლობ, რათა სიცოცხლისგან გავთავისუფლდე.

შენ თუ კეთილი ხარ ამასთანაც და იმასთანაც, ეს და ის იტყვიან, რომ შენ კეთილი ხარ. და თუ შენ ყველასთან კეთილი ხარ, არავინ იტყვის, რომ შენ კეთილი ხარ.

მათთვის, ვინც კვდება, მიწა სხვა არაფერია, თუ არა ყველაზე უფრო შორეული პლანეტა. განა ესოდენ მღელვარებას უნდა ვყავდეთ შეპყრობილი იმის გამო, რაც ყველაზე უფრო შორეულ პლანეტაზე ხდება?

ის, რაც ბრუნდება, მთლიანად როდი ბრუნდება მაშინაც კი, როცა მთლიანად ბრუნდება.

ის, ვისი საკვებიც სამოთხისებურია, შიმშილს ჯოჯოხეთურად მიიჩნევს.

ჟამიდან ჟამზე, რათა სამყაროს გავემიჯნო, მე მას გარშემო ისე შემოვირტყამ ხოლმე, როგორც – გალავანს.

ამჯერად ყველაფერი შეუფერადებლად იქნა დატოვებული. სწორედ ამჯერად შემეშინდა ყველაფრის.

გამოუსწორებელს არავინ სჩადის, - იგი თავად ხდება.

თუ შენი მანათობელი მზე გიყვარს, მაშინ შესაძლოა გიყვარს. მაგრამ თუ შენი მკბენარი მწერი გიყვარს, მაშინ უეჭველად გიყვარს.

მე შენს სულს არ მივითვისებ. ჩემთვის საკმარისია ვიცოდე, რომ შენ იგი გაგაჩნია.

სულ თუ ერთსა და იმავე საგანს უმზერ, მისი გარჩევა შეუძლებელია.

ის, ვინც ყველა კარს აღებს, ასევე შეძლებს ყველა კარის დაკეტვას.

მე ამ სამყაროს რაღაცას კიდევ შევეხვეწებოდი, მას რომ კიდევ რაღაც გააჩნდეს.

ნაკლებად დამამცირებელია გეშინოდეს, ვიდრე – შენი ეშინოდეთ.

ისინი, რომლებმაც თავიანთი ფრთები სხვებს დაუთმეს, ნაღვლიანნი არიან, რადგან მათ ფრენას ვერ ხედავენ.

შენ ვერ ხედავ ცრემლის მდინარეს, რადგან მას შენი ერთი ცრემლიც არ ურევია.

სხვათა სიღარიბე საკმარისია იმისთვის, რომ ჩემი თავი ვიგრძნო ღარიბად, ჩემი სიღარიბე კი ამისთვის საკმარისი არ არის.

ჩვენ სიამოვნებით ვუმზერთ რაღაცას, რაც ჩვენ გვანათებს, - რაღაცას, რასაც ვერ ვმზერთ.

ვისაც თვალხილულს უნახავს, შესაძლოა კვლავაც იხილოს – თვალდავსილმა.

სიკვდილის შეცნობა სიცოცხლის ფასი ჯდება.

მოგონება მარადისობის ნაწილია.

შეგიძლია ჩათვალო, რომ ყველა ვალი გასტუმრებული გაქვს, თუ მზეს სხივს დაუბრუნებ.

მე ჩემს თავს ყველგან ვასამარებ, მაგრამ არ ვიცი, სად მოვკვდები.

ძველ ჭრილობებს შენი სისხლი აღარ ჰყოფნით, ხოლო ახლებს არ სურთ გაიხსნან. და აი, შენი სისხლი იგუდება.

ის, რომ ყველაფერი მოვიმკე, ვიცი არა იქიდან, რომ ყველაფერი მოვიმკე. მე ვიცი ამის შესახებ იქიდან, რომ მეტი არაფერი მომიმკია.

ჩემამდე არსებული და ჩემს შემდეგ არსებული თითქმის გაერთიანდნენ, თითქმის ერთ მთელად იქცნენ, თითქმის ჩემს გარეშე დარჩნენ.

დიახ, მე ყველაფერი გავიგონე. ანი აღარაფერი დამრჩენია გარდა დუმილისა.

ჩემი კომედია ამ კომედიის ერთადერთი მსახიობით დავიწყე, მაგრამ ვამთავრებ ისე, რომ მისი ერთადერთი მაყურებელი ვარ.

სამარადისო ძილში მარადისობა წამის მსგავსია. იქნებ დავბრუნდე ნამის შემდეგ?

რატომ დაუბრუნდი სიცოცხლეს? მესმის. ყველაფრით იღლები. იმითაც, მკედარი რომ ხარ.

სწორედ ჭეშმარიტების შეცნობაა შეშლილობა.

შენ ფიქრობდი, რომ იმის დანგრევით, რაც ანაწევრებს, ამთლიანებ. და დაანგრიე ის, რაც ანაწევრებს. და ყველაფერი დაანგრიე. რამეთუ არაფერი არსებობს გარეშე იმისა, რაც ანაწევრებს.

როცა ბოროტება მატულობს, მცირედი სიკეთე სიდიდეს იძენს.

იმას, რასაც საკუთარ თავს ვეუბნები, - ვინ ამბობს? ვის ეუბნება?

ყველა ჩემი აზრი ერთია. რამეთუ არასოდეს შემინყვეტია აზროვნება.

დიახ, ადრე მინახიხარ, მაგრამ არასოდეს მინახიხარ ისეთი, როგორსაც ახლა გხედავ. სად იარებოდი ისეთი, როგორსაც ახლა გხედავ? ხოლო ისეთი, როგორსაც ახლა გხედავ, სად ხარ ამჟამად?

არიან დაცემულები, რომლებიც არ დგებიან, რათა ხელახლა არ დაეცენ.

არანორმალური რომ მართლაც არანორმალური ყოფილიყო, განა იგი იარსებებდა?

ამდენი იცი ჩემს შესახებ და მაინც არ გესმის ჩემი. ცოდნა გაგებას როდი ნიშნავს. ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი ვიცოდეთ და არაფერი გაგვეგებოდეს.

მე ვიმყოფები გუშინში, დღესში. მაგრამ ხვალეში? ხვალეში მე უკვე ვიყავი.

სიზმარი, რომელიც სიზმრით არ იკვებება, ქრება.

ყველაფერი არარაა, მაგრამ მხოლოდ – შემდგომ. მას მერე, როცა ყველაფერი დაითმენს.

სიბნელე – ესაა სიბნელით განათებული სამყარო.

ის, რაც, ჩვეულებრივ, სარკის წინ გვაყენებს, არის შიში, - რომ ეს ჩვენ ვართ.

იცინ სახელწოდება იმისა, რასაც ვეძებ, და ჰგონიათ, რომ იციან, რას ვეძებ!

ახლა წამია, შემდგომ – მარადისობა. წამი და მარადისობა. მაგრამ მხოლოდ წამია დრო, რამეთუ მარადიული – დრო არაა. მარადიული – ესაა მოგონება წამის შესახებ.

მე რომ ჩემს თავთან განშორება შემეძლოს, ვერავის და ვერაფერს მივეახლებოდი. საკუთარ თავსაც კი – ვერა.

ნუ გახსნი, - ხომ შეიძლება, რომ იქ არაფერი არ იყოს. მაგრამ რომ მოხდეს და არაფერი არ დაიხუროს ისევ?

შენ მას ყველაზე უკეთესი სახელებით მიმართავდი და მაინც არ გიყვარს. საქმე ისაა, რომ შენ ჯერაც არ მიგიმართავს მისთვის ყველაზე უარესი სახელებით, რათა შეგყვარებოდა.

ზოგჯერ ის, რაც მსურს, და ისიც, რაც არ მსურს, ისეთ დათმობებზე მიდიან, რომ ერთმანეთს ემსგავსებიან.

ის, რასაც სიტყვები აღნიშნავენ, ხანგრძლივი არაა. ხანგრძლივია სიტყვები, რადგან სიტყვები ერთი და იგივეა, ხოლო ის, რასაც ისინი აღნიშნავენ, ყოველთვის სხვადასხვაა.

მანძილებს არაფერი შეუცელიათ. ყველაფერი აქ იმყოფება.

არც ერთი ბედი სხვაზე უკეთესი არაა, რადგან არ არსებობს ისეთი ბედი, რომელიც არ ისურვებდა, რომ უკეთესი გამხდარიყო.

მე მსურდა დამეპყრო. და არ დავიპყარ, რადგან დაურბეელად დაპყრობა მსურდა.ეს-ესაა დაიურვეს და უკვე ავიწყდებათ, სად დაიურვეს.

რათა ამაღლდე, აუცილებელია ამაღლდე, მაგრამ ასევე აუცილებელია, რომ სიმაღლე არსებობდეს.

არსებითი და არაარსებითი თანაბარნი არიან მხოლოდ თავიანთ დასაწყისში.

ნებისმიერი ჭეშმარიტება ამოდის იქიდან, რაც ეს-ესაა დაიბადა. იქიდან, რაც არ იყო.

ვერ გამიგია, როგორ შეიძლება, ადამიანი იყოს ადამიანი. ადამიანი ხომ ისაა, რაც მასშია, ხოლო ის, რაც მასშია, არაა ადამიანი.

რწმენა, როცა ის ქრება, ქრება იქ, სადაც დაიბადა.

მატერია, მხოლოდ მატერიაა ხელშეუხებელი.

სიცოცხლე კედომას იწყებს იქ, სადაც იგი ყველაზე მეტადაა სიცოცხლე.

მიაჩნიათ, რომ მოძრაობა სიცოცხლეს ნიშნავს. მაგრამ სიცოცხლისთვის როდი მოძრაობენ. მოძრაობენ, რათა მიაჩნდეთ, რომ ცოცხლობენ.

ჩემი სული ყველა ასაკისაა, და მხოლოდ ჩემი ხორცის ასაკის არაა იგი.

თუ ასე სწრაფად ხდება ნივთთა ცვლილება, გამოდის, - როცა ნივთებს ვხედავთ, ჩვენ მათ ვერ ვხედავთ. ვხედავთ ნივთთა ცვლილებას.

ყველა "დიახ" და ყველა "არა" მარადისობებია, მიმდინარე წამებია.

ქვამ, რომელიც ხელში მიჭირავს, შეინოვა ცოტაოდენი ჩემი სისხლი და თრთის.

მე მესმის, რომ სიცრუე მოტყუებაა, ხოლო სიმართლე – არა. მაგრამ მე ორივე მატყუებდა.

ყველა ნივთი თავის სახელს ნარმოსთქვამს.

რაოდენ პანაწკინტელები არიან სულ რაღაც წამის განმავლობაში მცხოვრები არსებები. ჩვენ ვიცით, რომ ისინი სულ რაღაც წამის განმავლობაში ცხოვრობენ, მაგრამ არ ვიცით – ცხოვრობენ თუ არა ისინი ასი ხანგრძლივი წლის მანძილზე იმ რაღაც ერთ წამში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ?

ზოგჯერ ისეთი ხანგრძლივია კედომა, რომ ჩემი თავი უკვდავი მგონია.

შენ რომ მზის ჩასვლამდე დაგეხუჭა თვალი, მზეს მანათობელს დატო-ვებდი.

ახალი ჭეშმარიტება ძველი ჭეშმარიტების სიკვდილია.

მარკ შაგალი

სამშობლო

დუმს მშობლიური ჩემი მხარე...
შენი დუმილით ჩემი სული აისხიპება...
ლოცვა ლოცვაა, - დღე და ღამე არასოდეს გამირჩევია.
მაგრამ ცეცხლოვან მკერდს რამ უნამლოს?
კვლავ მუხლს მოვიყრი,
იმედი ჩემი ფარულია, იდუმალია.

უმხურვალესი ოცნებებით განათებული,
ძღვნად ჩემი სისხლი მომირთმევია,
და ჩემი სუნთქვა, -
ვითარცა ცრემლი, ჩემთა თვალთაგან დადენილი;
მთლად სიცოცხლე მომირთმევია;
აჰა, მწვერვალზე ანაზდეული
თრთოლვა ჰაერის, ლურჯის, მქროლავის.
ხოლო მე,
მშვიდად მოღიმარი,
კუთვნილ სიჩუმეს დავენთქმები, განვესვენები.

ალბათ, დიდია შენი წყრომა, მხარეო ჩემო,
მაგრამ გავხსნილვარ,
როგორც ბოცა საცობახდილი,
როგორც ჭურჭელი, წყლით სავსე და ხელმისაწვდომი.
განშორება წლითი-წლობით განმამტკიცებდა...
ჯერ არ დადგება მიმწუხრი, რომ მე დავბრუნდები
და ჩემს საფლავზე
ფერფლს მიმოაბნევ,
სამშობლოვ ჩემო!

იაკობის კიბე

თითქოს ტყე იყოს სამყარო და
მე იქ ოთხით ვიარებოდე.
შიშით განმმსჭვალავს
დაცვენილი ხიდან ფოთოლი.

სიზმარეულში დაძირული, ამ ყველაფერს ვხატავ
და მერე
ტყე – ჩემგან ქმნილი ეს სურათი, თეთრი თოვლით დაიფარება,
პეიზაჟი იმქვეყნიური.
მეც იქ ვარ,
უკვე მერამდენე ნელინადია.

ჟამს ველი, ოდეს არაქაური სასნაული მიმისათუთებს,
გულს გამითბობს და შიშს განაძევებს.
გამომეცხადე შენ, რომელსაც ყოველი მხრით
მოგელოდები.

ო, ხელს ჩავკიდებთ ერთმანეთს და
იაკობის კიბეზე რომ ავმაღლდებით, ჩვენ გავფრინდებით.

ჩემი ცრემლები

ჩემი ცრემლები განა მართლა ცრემლებია – ქვები ცვივიან,
და გაღლეებიან და მდინარეს შეერევიან,
წყალსმიცემული ყვავილებივით მიაქვს მდინარეს –
აი, იგი, ჩემი სიცოცხლე, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, და მერე რისთვის?

აი, იგი, ჩემი სიცოცხლე. ვსუნთქავ.
და გელი.
მე შენ მოგელი.
ვიცი, აქვე ხარ, ჩემს გვერდით ხარ, მაგრამ ჩემგან გადახვეწილ
რომელ შორეთში, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, და მერე რისთვის?

გზათა და ტყეთა გადამლახავს
ძეხორციელის სიტყვა ჯერ არ გამიგონია.
ღიმილით ვიწყებ ჩემს ყოველ დღეს
შენს მოლოდინში, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, და მერე რისთვის?

დღეები დღეებს მისდევენ და ჩემი ჯვარი მდუმარედ მიმაქვს.
ფეხს მკრავენ და ხელს მაშველებენ.
ქრება ნათელი და დღე ღამედ გადამქცევია...
ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევე მე?

დიდი ხანია

ჟამიდან ჟამზე მსურდა ვინმეს გავსიტყვებოდი,

შორეთიდან გამომეხმო მავანი, მსურდა.
ძახილი ეგე, ფსკერზე შობილი, სულის სიღრმეს ამოარღვევდა,
და ბაგეს ჩემსას მოსწყდებოდა ბუნდოვანი ლოცვა ვარდებზე, -
რომ, მსგავსად ყველა ყვავილისა, ეყვავილათ
მაშინ, როცა ჩემს წინაშე შენ აღჩნდებოდი.

ვიხვეწებოდი და ვითხოვდი. აი, რას ვითხოვ:
კვლავ იქცეს ღამე სილამაზედ,
ჟამი მესამე და უძილო როცა დადგება,
და ღამემ ჩვენმა, ოდინდელმა და შორეულმა,
თავის თავი გაიმეოროს,
რათა მე, თითქმის შიშველი და არაფხიზელი,
შენეული სამყოფისკენ გამოვემართო.

ხოლო შენ სად ხარ?

ძველი სიზმარი – და მე სიზმარს თავდაღწეული.
შენ გაიხსენებ გუშინდელ დღეს:
როგორ გკოცნიდი,
და ბანგი იყო და ბურანი შენი ალერსი –
ჩვენ ხეებს შორის დავრბოდით და
გეძებდი და შენი ძებნით არ ვიღლებოდი.

ხოლო შენ სად ხარ?

მერეკებიან, მაჩქარებენ
ზაფხული და მერე ზამთარი,
ზამთარი და კვლავ გაზაფხული.

საით?

შენს ხელში დღემდე ცოცხლობს, ჯერარდამჭკნარი,
კვლავ შეირხევა თაიგული ჩემეული სიყმანვილისდროინდელი ყვავილების და
ჩვენს საქორნილო ღამეს ელის - ჩემსას და შენსას.

მტვერს დაუფარავს, წელიწადთა მტვერს დაუფარავს
ცარიელი ჩემი ხელები.
ყველგან გეძიებ და გპოვებ ვერსად.

ხოლო შენ სად ხარ?

დღე ჩემეული, დღე ყოველი, უკუქცეული –
ჩვენ რომ ვიცხოვრეთ, იმ ღამისკენ დაეშურება,
გამიტაცებს თავისთან ერთად.

საით?

მე მინდა და არც მინდა დაბრუნება უკან –
არსაით.

იკეცებიან
ჩემი ფრთები,
მერე ისევ განიშლებიან, რათა მტკიცედ შემოგეხვიონ
და ჩემს გზებს მიგცენ – ცისკენ სავალ გზებს.
და ვიდრე ჩემი ფრენა გასტანს,
მე შენ გეძიებ.

ხოლო შენ სად ხარ?

მე ვიწვდი ხელებს.

ისევ და ისევ
ვცდილობ ფერებად განვასხეულო

სამყარო, შენგან ნაადრევად დატეებული.
მწამს: სული ჩემი, ბაგე ჩემი
შენს შორეულ სიმაღლემდე მოიტანენ
ლოცვას,
ჩემს ძახილს.
ძახილი ეგე უსასრულო სიზმარია,
ჩემეული ნახატებიდან
შენს ფერხთით რომ დაედინება.
ხოლო შენ სად ხარ?

ბაღი

საღამო. ბაღი,
მთვარით ფენილი. და შენ –
ზღაპარი. და რეზედის
ნაზი შეხება.

გულში ჩამიკრავ
თუ ამბორით დამასაჩუქრებ,
თუ მეტყვი: "ნადი",
და ხელის კვრით გამინაპირებ?

ნაზი შეხება სამყაროსი. შეყვარებული
მოდის საღამო,
რეზედის და ბაღის კეთილსურნელებით
აღვსილა იგი.

გენადი ალექსეევი

* * *

ვბერავთ ლოყებს
ვითომ ჩვენ ვაყვირებთ დიდ საყვირებს
ჯიბიდან მუშტს ვითავისუფლებთ
ვითომ ჩხუბი გვინდოდეს
ვიხრებით და რაღაცას ვათვალიერებთ
ვითომ რაიმე ფასეული ვიპოვეთ
ვიმართებით და თვალებს ფართოდ ვახელთ
ვითომ რაღაცით შეძრული ვართ
შინ მივდივართ
ვიხდით
და ეწვებით დასაძინებლად
ვითომ სიზმარი შეგვეწევა

არავინ არ შეგვეწევა
სიკვდილიც კი არა
არაფერი არ გვიშველის
უკვდავებაც კი არა

* * *

ყველაფერი რაც გაქვს
გაეცი
ყველაფერი რასაც გაძლევენ
აიღე

მთელი შენი სიმდიდრე
მიეცი ძალანართმეულებს
და იყავ უძლური
        ხოლო უზალთუნს თუ მოგცემენ
        აიღე, ნუ მოგერიდება
მთელი შენი გონიერება
მიეცი გონებანართმეულებს
        ხოლო გონივრულ რჩევას თუ მოგცემენ
        გაითვალისწინე
მთელი შენი ნებისყოფა
მიეცი ნებანართმეულებს
და იცხოვრე უნებისყოფოდ
        ხოლო თუ ტომრით კატას გაჩუქებენ
თქვი მადლობა
მოხსენი თავი ტომარას
ამოსვი კატა
და მოეფერე

სასწაული

სასწაული, ამბობენ,
არ იქნება
ჩვენ კი სასწაულის გვეიმედება
სასნაულს, ამბობენ,
ნუ ელით
ჩვენ კი მას ველით
სასნაული გვინდა!
სასნაული!
ნამდვილი სასნაული!

ნუთუ არ დავიმსახურეთ
თუნდ მცირეოდენი სასნაული?
ნუთუ ტანჯვით არ მოვიპოვეთ
თუნდ ერთი ბენო სასნაული?
გვიშოვეთ სასნაული
სადაც გინდათ!
მოგვართვით სასნაული
და მეტი არაფერი!

სასწაული, ამბობენ,
არ იქნება –
        ნურას უკაცრავად!

კითხვები და პასუხები

კითხვა ბევრი მაქვს
        რა?
        ვინ?
        სად?
        როგორ?
        საიდან?
        საით?
        რისთვის
        და რატომ?
პასუხიც ბევრი
        არაფერი
        არავინ
        არსად
        არანაირად
        არსაიდან
        არსაით
        გაურკვეველია რისთვის
        და გაუგებარია რატომ
გაოგნებული ვარ
        ნუთუ არაფერი და არავინ?
        ნუთუ არსად და არანაირად?
        ნუთუ სრულებით არსაიდან და არსაით?
        ნუთუ სრულიად გაურკვეველია რისთვის?
        და საერთოდ გაუგებარია რატომ?
მე მეეჭვება
და კიდევ მაქვს კითხვა
        როდის?
        როდის ბოლოს და ბოლოს
        როდის?
ოღონდ არ მიპასუხოთ ძალიან გთხოვთ
        არასდროს
გთხოვთ!

პოროჟენელი

დამარცხებას ელი?
სწორედ რომ ამაოდ

სძლიე შენს მოძულეს
დაიმორჩილე შენი მტრები
(მხოლოდ ესაა საჭირო)
        და გამარჯვება შენი გახდება
        და შენ იხილავ მის სახეს
        სველს აღტაცების ცრემლებისგან
        და შენ გაიგებ
        რომ ის კარგია

მუსრი გაავლე ყველა შენს მტერს
ყველა ურჩი გაანადგურე
(ეს საკმარისი იქნება)
        და გამარჯვება შემოგხვევს ხელებს
        და მთელი ტანით
        მოგეკრობა
        და დარწმუნდები
        რომ ის შენია

შენ მზად ხარ დამარცხებისთვის?
ნუ სულელობ!

გახდი გამარჯვებული!

არ ინანებ!

ზოგი რამ ჩემი ძველი ძმაკაცის, ფრანსუა ვიიონის შესახებ

ფრანსუა რომ სასჯელს ელოდა
        ცეცხლოვანი ქალიშვილები ტილოს ქსოვდნენ
        ნაზი გოჭი შამფურზე იბრანებოდა
მოხეტიალე აკრობატები მალაყს გადადიოდნენ
მოედანზე
თმაჭაღარა პრელატი კი გულმოდგინედ ლოცულობდა

ფრანსუა რომ შეინყალეს
ტილოს ორი მესამედი მოქსოვილი იყო
გოჭი მთლიანად შეჭმული იყო
აკრობატები ტავერნაში ლოთობდნენ
ღრმად მოხუც პრელატს კი მშვიდად ეძინა
ხანგრძლივი ლოცვით დაქანცულს

მას რაღაც ცოდვიანი ესიზმრებოდა
სახელდობრ რა – აღარ მახსოვს

ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინ

მიდიოდნენ

მხნედ მიდიოდნენ

მიდიოდნენ და მიდიოდნენ
გზადაგზა ჯოხით ყვავილებს სხეპდნენ
და მიმნდობ ძაღლებს ხერხემალს უმტვრევდნენ
მიდიოდნენ და მოუწოდებდნენ მათთან ერთად ევლოთ
და იფიცებოდნენ
რომ მათ ვერავინ შეაჩერებდა

და არც აჩერებდნენ

წავიდნენ კიდეც ასე სადღაც
მერე ისინი აღარ უნახავთ
ისევ იზრდებიან ყვავილები
ისევ დარბიან ძაღლები

ამბობენ, ახლები მოდიან
ისინიც ჯოხებით

ვასილი კონდრატიევი

ჯარისკაცის სიკვდილი

სრულყოფილია უძეგლო სიკვდილი.

უ. სტივენსი

ის მიდიოდა. მდუმარებით გაშეშებული
ღამის ცა ყინვას
ტოტების ნწულით შეებოჭა.
ქარში ფარანი ირწეოდა
და ხიდქვეშ მოხრიალე ნაკადის სიმღვრივეს მალამოდ ერთვოდა.
თვალები იბლიტებოდნენ
და ყოველისმომცველი ბურუსის ცეცხლოვანი ელვა-გრუხუნით
შავ უფსკრულებად ბრმავდებოდნენ.
ტკივილით გამონვეული ყვირილი მიწყდა.
მაინც გარბოდა და განიცდიდა
უკანასკნელ შიშს, მაგრამ სიგრილის
ალერსიანი წამოქროლება ტკივილს აყუჩებდა, და ძველი შიში
უკან იხევდა ახლის წინაშე.
"მძინავს", - თავისთვის ჩურჩულებდა,
უგრძნობი, უგონო:
სისხლი ცივდებოდა უხილავი ფოთლების შრიალში,
და ცას ერწყმოდა ფოთლების ნაკადი
ფართოდ გახელილი, საკუთართავდავინყებული მზერის წინაშე.
მხრებზე თბილი ჩრდილი ეფინებოდა
და სიცარიელე დამამშვიდებლად
უალერსებდა გატანჯულ სხეულს.

და რომ შეძლებოდა დაენახა, როგორ გაიშალა
მთვარე, ჩალისფერ სივრცეში ლღობადი ღრუბლების თვალი,
და მინას წვრილი, მგლური თოვლი როგორ ათოვდა
და მტრედის სუნთქვით ათბობდა და

მოფიფქავდა
გათოშილ თიხას, -
მაშინ გაიღვიძებდა ამომავალი სინათლის ქვეშ,
გაფითრებულ, სიწმინდედ მბრწყინავ
უაზრობის და ყინვის სივრცეში, რომელიც
უკვე შეუგრძნობელია შენთვის,
შენს ირგვლივ დნობად ველზე განღვრილი,
მოალერსე და იმქვეყნიური მზერის ქვეშ დავიწყებულისთვის.

საპარკეტო ლექცია

ახლა, სხვა. ოთახი არ საჭიროებდა აღნერას,
როგორც მოქმედება – გაგრძელებას.
საიდუმლო შეთანხმება შედგენილ იქნა
აქ. დიახ, ჩემო კარგო,
მკვლელობის
რეკლამად იქცა ყველა წინარე განცხადება.
დღის ნაკვალევი: ნაბიჯებისგან რჩება
მოვლენები, მათი უწარწერო ცხრილები. სინათლე,
ქლორის ნიღაბი, აუგზნებლად აჩვენებდა
ზოგიერთ კლინიკურ ტიპს ორთოგონალური პროექციით
დაა რჩებოდა კამერად (ჩვენ ვსაუბრობდით ამნეზიის
ნანილობრივი დიფრაქციის შესახებ,
ჩინური აჩრდილის თოჯინები
ეკრანს აწყდებოდნენ, ობობები ფარანს სუდარაში ხვევდნენ).
კადრის ტროპიზმები და სინკოპები, მგრძნობელობა
და შიმშილი: ქალაქები
არაფერს მისცემენ დაძაბულ ხატებზე მონადირეებს,
ისინი სენტიმენტალობის ქრონიკაა. ლუიზას ლოკომოტივი
სექსუალური იყო,
მაგრამ გატეხილი გული საბელზე გამობმული ფრენდა,
როგორც ეგზემპლარი. სიმულტანისტური ხმები
ფარავდნენ ნათელმხილველად გახდომის
სურვილის პროსპექტს. ლანდშაფტი უფსკრულში გადაშვების
მცდელობის წინაშე შიშის შახტად ქცეულიყო; მგონი, კოცნა
ჰოლანდიური. ორიენტაცია
და საზრისი. აი, ასაკში შესვლასთან ერთად რატომ არ შემცირდნენ
ჩვენი სიჭაბუკის შეცდომები.

ოსტაპ დრაგომოშჩენკოსთვის

უდაბნოს დამფასებელი

- საკმარისი იქნებოდა ამ ნივთს სხვა რამ დარქმეოდა.

ბ. ვიანი

მან იცოდა, რომ სახელი, რომლის გახსენებაც შეეძლო,
ქვაში იყო. არაფერი, იმის გარდა,
არ შეიძლებოდა მოწმობად ქცეულიყო. ამიტომ გაურბოდა სასაფლაოებს.

მისი თითები მხარს ფერფლად დაედვნენ,
ჭების ვხელი სალამო, ქროდა –
შეხვედრის მცხრალი ქარი.
რეინკარნაციამ თავი მოუყარა
აზრის იერივით გადაგვარებულ ქსოვილებს.
მზერამ გაამთლიანა გაორებული ბუნება.
ბრწყინავდა სადილთა მთების ვერცხლი, და ინთებოდა ბროლი
თეთრ სუფრაზე, რომელიც შეევინროებინა არა სისხლს,
არამედ ჩაის ეარდებს. აქ შავი
ნიშანია:
"ჩამოყინულა სიყვარულის გამო განგაში, როგორც მინაზე
სენტიმენტალური ავტომატი. არაფერი არ მეორდება,
მაგრამ იხსენებს ისევე ისე, ნანევრდება ურიცხვი მწკრივი,
და შემთხვევითი ანარეკლების ნათელს ამრავლებს
მამლის ყივილი. მაშ, შენ უმზერდი სარკმელში აისს,
შენს მისახმობად არასდროს რომ არ დაბრუნდება, და არა – უკვე
გამართლებულ
შთაბეჭდილებათა მოჩვენებითობას. განმტკიცებულია ბინდბუნდის ცვლა
და ქრება"
ის გაიაზრებდა აწმყოს. ესმოდა
მოვლენები და მათ იდუმალ საზრისებს
რუკებზე ელემენტარული ოპტიკის ტერმინებით განალაგებდა.
ქარი, ტკბობის უმსუბუქესი თანამგზავრი, ქროდა ზღვისპირიდან.
განა არ შეიძლებოდა
ისე ჩვენებოდა, რომ ბოდვა ყოფილიყო
ცივი კამერის ბუნდოვანი შუქი
და კომუნიკაციის ხაზები,
მისი სანიმუშო ელეგანტურობის
მიწისქვეშა ათავეები?
ქრება სისტოლური სინათლის ხმაური.
ის ხედავს ჰაერს, მისი განსჯისთვის თვალუწვდენელს.

ორთა ხე

მე მაინტერესებს ხეების უძრაობა.

ი. დრუსკინი

ქალი ამბობს: გესმის?
მერე, როცა შენ თქვი (გაქრა:
იხილა, უკვე სხვის შესახებ
წარმოიშობა გრძნობა, რღვევის საზღვარზე
სიტყვით გაჩენილი.
(ადონის, შინ ბრუნდება),
თუ სექტემბრის ქარი
თეთრი და უგრძნობია, როგორც რძისფერი ცაა რუხი,
და მასავით ცივია, და თუ მოთიბულია
გამხმარი ბალახი, თუ თავშესაფარი არსადაა,
საჭირო გახდება პატარა გოგონასავით
გათოშილი ქვის უკან დამალვა.
თუ მთელი ღამე, გათენებამდე,
წვიმა ნაბიჯ-ნაბიჯ უკან იხევს, თუ პირმაღი დასველებულა,
თუ ყველა სარკმელი წყალს დაუფარავს, მაშინ, ალბათ, დარჩება
ოდნავ გამოღებულ კარში წვიმის ფარდის მიღმა
სანახავი) და არ გიფიქრია,
გრძნობდი
სიმძიმისგან მინადქცეული ფოთლების გარდასახვას.
ადონის, შინ ბრუნდება.

თუ ისე იზრდებიან ხეები,
რომ ტოტები მაღლა წასულ ფესვებად იქცევიან;
თუ შესაძლებელია ლოყით მიეკრა მკაცრ ქერქს
და იცინო, ირბინო სველ ბალახზე, დაეცე
გაყინულ მინაზე, შესვა ნამი, იხარხარო და ისეირნო
მაგრად დახუჭული თვალებით:
ეს ნიშნავს, რომ, ბოლოსდაბოლოს, "მე" იძენს მოცულობას
ნივთების სამყაროში, რომლებმაც წინ გაუსწრეს შენს დაბადებას.
თუ შენ ისევ ისე ზიხარ პირმაღზე, თუ
ისე იცდი, გუშინ რომ იცდიდი,
- ნავა შემოდგომა. ასევე იქნება ხვალაც,
და მრავალი გაზაფხულის მერეც.

ორთა შეხვედრის წინასწარჭვრეტა
ავსებს ხეს, მოლოდინს.

არკადი დრაგომოშჩენკო

სწრაფი მზე

"The sun muves so fasi"
Gertrude Stein

"მზე ისე სწრაფად სხლტება"
გერტრუდა სტაინი

1.

მას არ ელიან, მაგრამ გაისმის – დგება შემოდგომა,
მისტერიუმ ფასცინოსუმ, და ირიბ ყინვათა საფარები, ნისლები,
ნიეთთა ფიალისკენ წამოდუღებულნი
ფრინველენის თვალისგუგების საგდულებიდან, ბარს რომ განჭვრეტენ,
ნაყოფების გაშლილ აფრებს,
გაშავებულ ლობიოს პარკებს,
წელიწადთა შარავანდედში აუმღვრეველ ციურ გონებებს,
ფოჩები ველებს კვლავ დაუბრუნებენ ძველ ხიბლს.
დახალული გორაკებიდან ქვედამართული,
ფისის მშრალისიცარიელით ბაგესავსე რომელიღაც მგზაერებივით,
ზურგსუკან მცირე ხნით გამოცოცხლდებიან,
(სისხლი, დაჩხარული საფეთქლების მსგავსად, რომლებიც ნივთის შემომსაზღვრავ
სიბრტყესთან შეუხებლად, და ფოთოლთან შეუხებლად,
მონდომების ნნულს,
ძალადობის შემაჩერებელ სანყისებს ერწყმიან),
მტრედისფერი შუშის ნემსების ნაზმატყლიანი მეტყველება რომ აირჩიონ,
როგორც ვაზივით ცეცხლმოდებულ ძნებს შორის

აღმოსავლური ქარის ულერადობა,
თიხის ამოზნექილი ფირფიტების ამომკითხველი.
აირჩევა სეპია,
ნამგალი, მენამული, სისხლისფერი და მდინარეთა ვიწრო მაგმა.

თუმცა, რომელშიც ისევ ერთფეროვანია ულერადობა
იმის შესახებ, რომ "წყალი, წამღები ანარეკლისა,
ბალახის მოლამუნე ჩასუნთქვით მიუახლოვდება გულს".

2.

სიმაგრეები მოხვეჭისა მორყეულია. ბაგე – ლიტერი.
აზრი, სიტყვის უარმყოფელი, ჩრდილის ფოსოს დაეწაფება.
მარცხნიდან ღამე ემბაზში ცეცხლთა ელვარებას წარმოაჩენს,
შორეულ თუ ახლო მიჯნაზე თავის თავის გამნიავებელს.
თუ საფეხურს პოულობს ტერფი,
თეთრი დღეებით სავსე სხეული
კვლავ შეჯერდება, როგორც ჩრდილი, უსახელო, - ღრუბელი
მთვარიდან გადაიფურცლება, ბუჩქს ქერქი ამძიმებს და თქორი
სახლში აღწევს.
კაჟის, წყლის, ნამწამების,
მოხეტიალე ნამჯის, ვარჯების განკურნება. არავინ იქნევს
ხელებს, როგორც ცურვისას, - არა, არავინ,
მიმთითებლები თითქოს შესაძლო იმ გზის, რომელზეც წელიწადი დრონი
იძვრიან,
ან – ფრთაშესხმული ვერცხლისწყლის გახსნილი წრეების.
მაცნე კი არა,
მხოლოდ ძერა, სხივით ფრთა რომ ჩამომტვრევია,
ნამგლით წყურვილის შემკავებლით,
თან ახლავს ბნელ ეტლს ჰელიოსისას.

სიკვდილი სიყვარულის მიმსჯელია.
"ამ ხვედრს ცოტა თუ გაქცევია" – ეს ფრაგმენტი
ჩართულია სხვა ფრაგმენტში.
ენით ნოტიო კბილების გავლა
და იმის ნუდომა, თუ საიდან მოიკლაკნება ტეხილი: განსაზღვრების
შარიშური.
ცნობიერება იმაზე შეჩერდა, თუ როგორ არ იცვლის თავად ის, - კოშტი, -
მუდმივობაში მთლიანობის გამომნასკველი,

ნაკადით წარეცხვადი, არც ადგილს, არც დროს
ასახვისას, ამსახველისას ასახვისა.
მე, თეოტოკოპულოსი,
ჩვეულებისამებრ, არაფრის მჭვრეტი,
განუწყვეტლივ ვწყვეტ წარმოთქმას იმ სიტყვებისას, რომლებსაც
მოდგმით და დაბადების გარემოებებით შევეჩვიე,
და დაკარგული, ამგვარად,
დამყავს
მნიშვნელობით წინა მნიშვნელობის თანდევნის ვალდებულებამდე.

ხოლო რაც იყო მოცემული, - მთვარე წყედიადის სახურავზე,
შავი ფოთლების ჰორიზონტი,
ქროლვა პოლუსისკენ, სანახებში ძაღლების ყეფა, -
შინაარსია განზრახვათა მსგავსი რიცხვების განშტოებისა,
რომლებიც ცდუნებას მოაჩარჩოებენ: მე
აღარ წარმოვსთქვამ მეტად: "ახლობელი"

გვიანაა ცეცხლის და წყლის წიგნების კითხვის შესწავლა
ან ხელისგულების მიბჯენა კლდის შუბლზე –
დაჟინებული ხილვაღა რჩება: მტევნის თვალშეუვლები
გაფრენა, როგორც ლღობადი ნაცვალსახელის ორთქლი,
კეფა, მოხვედრილი მზერის არეში,
თითქოსდა ზღურბლი, წარმომსდგარი ჩემს წინ მკაფიოდ...

და ეს – ნიჟარაზე –
გაცბუნებული მსუბუქი სურათი,
რომელზეც გამოხატულია სოკრატეს დამშვიდობება კრატილოსთან.

ტადეუშ კანტორი

"თავიდანვე მიმაჩნდა..."

თავიდანვე
მიმაჩნდა, რომ ხელოვნება არასოდეს გამოხატავდა
ან ასახავდა რეალურ
ცხოვრებას.
ასეთი პრიმიტიული მიდგომა დამახასიათებელია
ნატურალიზმის და
მატერიალიზმის მიმდევრებისთვის.
ხელოვნება
სინამდვილეზე
საპასუხო რეაქციაა.
ხელოვნების არსს,
ყველა ნიშნის მიხედვით,
შეადგენს პასუხის
გადაუდებელი მოთხოვნილება.
რაც უფრო ტრაგიკული იყო
სინამდვილე,
მით მეტად ძლიერდებოდა
ამ სინამდვილეზე მორალური გამარჯვების,
ტრიუმფის მოპოვების,
ჩვენი დროისთვის
სულიერი ღირებულების დაბრუნების შემძლებელი
"სხვა", თავისუფალი,
ავტონომიური სინამდვილის
შექმნის,
პასუხის შინაგანი "მოთხოვნილება"

ასეთი კონცეპცია შეესაბამება ჩემს
"მე"-ს,
ჯანყისადმი და
პროტესტისადმი სწრაფვას.
არაადამიანური სინამდვილე
ჩემში აღვიძებდა
საპასუხო რეაქციის
უჩვეულოდ ძლიერ მოთხოვნილებას და
იმავდროულად მანიჭებდა
ძალას და მხდიდა ჟინიანს,
რაც აუცილებელი იყო დიდებული ნაწარმოების შესაქმნელად.
ძალიან მინდოდა, რომ
დიდებული ყოფილიყო.
ვფიქრობ, მე საკმარისად
განვჩხრიკე
იმ სინამდვილის როლი,
რომელშიც მომიხდა ცხოვრება
და რომელსაც ყოველთვის
ვუბრუნდებოდი
ყოველგვარი ლოგიკის
და საღი აზრის მიუხედავად.
რეალური ცხოვრება
კარგადაა აღწერილი,
მისი ადგილი ზუსტადაა განსაზღვრული:
მასში ან მის გვერდით კი არსებობს
სხვა, ავტონომიური
და თავისუფალი
სინამდვილის შემქმნელი
ჩემი თეატრი,
ჩემი ფერწერა,
ხელოვნების ნაწარმოები.
მე უკვე ვთქვი, რომ
ეს სინამდვილე
არც იყო და არც უნდა ყოფილიყო
რეალური ცხოვრების გამომხატველი ან
ამსახველი.
და, მით უმეტეს, არავითარ შემთხვევაში —
თხრობითი
ან დოკუმენტური ასახვა.
მის ამოცანას არ შეადგენდა მსჯავრდება,

ნინაპრების
და ისტორიის განსჯა.
ჩემთვის მიუღებელია
სპექტაკლის ასე დადგმა,
მიუხედავად იმისა, რომ დღეს
ის ყველგან გვხვდება,
რადგან უკვე შეიძლება
მთელი სიმართლის თქმა (რაც, უდავოა,
მნიშვნელოვან როლს თამაშობს
საზოგადოების ცხოვრებაში).
მე უფრო შორს ვიხედებოდი,
მეტს მოვითხოვდი.
როგორ გავიგოთ?
როგორ და — ჩემი
"საბრძოლო" გეგმები არ იფარგლებოდა
პოლონეთის სინამდვილით,
მე მივმართავდი
ხელოვნებაში
განსხეულებულ
მსოფლიო აზრს
(რისთვისაც ხშირად
მსაყვედურობდნენ
პატრიოტიზმისთვის ზურგშექცევაში),
თავიდანვე
დაკავშირებული ვიყავი
რადიკალური ავანგარდის იდეებთან.
რადიკალიზმში
მიზიდავდა რისკი,
ავანგარდის იდეები
უნივერსალური, საყოველთაო იყო
და არ იზღუდებოდა
მშობლიური ქვეყნის საზღვრებით და ბედით.
ავანგარდიზმის ზოგიერთი იდეა
დამახასიათებელი არ იყო მხოლოდ ერთი
ჟანრისთვის, ისინი განმსჭვალავდნენ
მთელ ხელოვნებას, პოეზიას, ფერწერას,
მუსიკას, თეატრს.
ძალიან მიზიდავდა
მხატვრული ქცევის ლოგიკა,
ამიტომ

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი
ხელოვნების, აზროვნების
ღრმა ცოდნას,
დეფინიციებს და
მეთოდს.
ამასთან დაკავშირებით ძალიან კრიტიკულად
ვუყურებდი
და ვუყურებ
თეატრებს, უფრო კი
უკანასკნელ
ათწლეულებში
აღმოცენებულ ურიცხვ თეატრალურ ჯგუფს,
რომლებიც გაუაზრებლად იყენებდნენ
სიურრეალიზმის, ჰეპენინგის
და ა. შ...
დიად "აღმოჩენებს",
მხოლოდ ეფექტისთვის, ისე,
რომ არ იმსჭვალებოდნენ მათით.
ასე ბევრს იმიტომ ვლაპარაკობ ჩემს
დამოკიდებულებაზე, რომ ის განსხვავდება
საზოგადოდ მიღებულისგან.
საზოგადოდ მიღებული თვალსაზრისი
უფრო ხშირად ცრურწმენა აღმოჩნდება ხოლმე.
განვავრცობ ამ აზრს:
ომისშემდგომ წლებში
(რაც უკვე დანერილებითაა აღწერილი)
მებრძოლებს,
დისიდენტებს,
პოლიტემიგრანტებს
ლამის მოწიწებით
ექცეოდნენ.
მართალია, მათ მეც პატივს ვცემდი,
მაგრამ ეს
როლი ჩემთვის
უცხო იყო.
ღიმილს მგვრიდა
იმაზე ფიქრი,
რომ ჩემი იდეებით
პროტესტს ვუცხადებდი
კულტურის და ადამიანური ცხოვრების

ყველა ზედამხედველის
ინტელექტუალურ უღიმღამობას.
სიტყვა "ემიგრაცია"
ჩემი მოჯანყე ბუნების
პროტესტს ინვევდა,
ქრებოდა იმ "კედლის" არსებობის აუცილებლობა,
რომლისთვისაც თავი უნდა
მერტყა. ამაში მდგომარეობდა ჩემი
შემოქმედებითი პროცესი.
შემდეგ.
იატაკქვეშეთი,
კონსპირაცია,
"იატაკქვეშეთისკენ"
რომანტიკული მიდრეკილება
და კონსპირაციული
საქმიანობის
გადაჭარბებით შეფასება —
ეს ყველაფერი, ფუი ეშმაკს,
რაღაც არაბუნებრივად მიმაჩნდა.
ადამიანისთვის
ბუნებრივია
კონტაქტი სამყაროსთან,
კონტაქტის სურვილი.
ნებისმიერ ფასად.
50-იან წლებში
ძალიან ბევრი სურათი დავხატე,
თუმცა ვიცოდი, რომ
ვერ გამოვფენდი.
მე მათ "ჩემთვის ვხატავდი",
იმიტომ, რომ უნდა მემუშავა,
უნდა მემუშავა ასე, და არა სხვანაირად.
მე არ მიმაჩნდა, რომ
"იატაკქვეშეთში" ვმუშაობდი.
მუშაობის პროცესში
"კონტაქტში შევდიოდი"
მთელ მსოფლიოსთან. თავისუფალთან.
მის აზრებთან და იდეებთან.
მე მწამდა, რომ დადგებოდა დრო,
როცა ჩემს სურათებს
გამოვფენდი.

მე მაშინ
ცუდად წარმომედგინა
მათი ახალი ფუნქცია. ჩემთვის ისიც კმაროდა,
რომ დახურულ სახელოსნოში მათი ხატვისას
მე ვხდებოდი თავისუფალი.
მე მინდა ჭეშმარიტებამდე ჩავაღწიო,
მის უღრმეს ფენებამდე,
უარი ვთქვა
ნებისმიერ
"სამკაულზე",
რომლითაც მას რთავენ, კაზმავენ და ნიღბავენ.
პირდაპირ უნდა ვთქვა,
რომ პოლიტიკური ტერორის
და საპოლიციო თვალთვალის პირობებში
სხვა თეატრის
და ფერნერის შექმნის მოთხოვნილება
ნაკარნახევი არ იყო ვალდებულების გრძნობით,
წინააღმდეგობის მოძრაობის
ორგანიზების სურვილით,
პატრიოტიზმით
ან ნამდვილი ბრძოლის ჰეროიზმით.
მე მწამს, რომ
მხატვრის
ძირითად მიზანს შეადგენს
დემიურგული აქტის
ან სიზმრის
მსგავსი შემოქმედებითი პროცესი,
სხვა,
განსხვავებული
სინამდვილის შექმნა, რომლის თავისუფლება არაა
არანაირი ცხოვრებისეული
სისტემის
კანონებით შეზღუდული.
მე გამუდმებით
ვუბრუნდები ამ პრობლემებს,
რაკილა განვჭვრეტ, რომ
"ხალხთა გაზაფხულის",
პოლიტიკური
და სოციალური თავისუფლებისთვის ბრძოლის
მომავალ ერაში

ცნება
უმაღლესი თავისუფლებისა,
რომელიც აუცილებელია
ხელოვნებისთვის,
გაუგებარი დარჩება
და შესაძლოა
უსარგებლოდაც
ჩაითვალოს...
ხელოვნების თავისუფლება
პოლიტიკოსთა
თუ ხელისუფალთა
ძღვენი არაა.
ხელოვნებას
თავისუფლებას
ხელისუფალთა ხელები როდი ანიჭებენ.
თავისუფლება ჩვენშივეა,
თავისუფლების მოსაპოვებლად
ჩვენივე თავს უნდა ვებრძოლოთ,
ღრმად ჩვენს
თავშივე,
მარტოობაში
და წამებაში.
ეს უნატიფესი მატერიაა.
სულის სფერო.
ამიტომ
დიდად როდი ვენდობი
"პროლეტარიატის დიქტატურის"
უკანასკნელ წლებში
მომრავლებულ
თეატრებს
და მხატვრებს,
რომლებიც
პოლიტიკური თავისუფლებისთვის ბრძოლის,
რელიგიური,
პატრიოტული ბრძოლის
აპრიორულ პროგრამას
აყენებდნენ.
ძალზე სამწუხაროა, თუ
ამ ლოზუნგებქვეშ შეყენებულია
ავანგარდისტული ბაზა.

ანჟეი ბურსა

არარა

ის არარაა
ის სათვალავში არ ჩაიგდება
ის არ არსებობს
არის მხოლოდ პიჯაკი
დაჯღანული შავი ბათინკები
ულაზათო შარვალი
სიბრალულის ან ზიზღის გამომწვევი
სახეს არა აქვს მნიშვნელობა
არც თვალებს არც პირს არც ხელებს
არა აქვთ არანაირი მნიშვნელობა
ის საათობით იცდის კართან
იმ იმედით რომ
იმ მხარეს მოხვდება
მაგრამ ის ხომ არარაა
ამიტომ სულერთია
რომელ მხარეს იქნება
არაფერიც არ არსებობს
როცა გაზეთს კითხულობს
ხან ლოკოკინასავით შეიხიზნება თავისი არარაობის ნიჟარაში
ხან თავისი უბადრუკობით ისე იფუყება როგორც ფარშევანგი
თუმცა გაზეთში საუბარია რეალურ ნივთებზე
ის კი არ არსებობს
ის ლაპარაკობს
მაგრამ მისი არავის ესმის
მისი ხმის ბგერა

ყურისთვის გაურკვეველია
ვინაიდან ის არარაა
ის არ არსებობს
მიუხედავად იმისა რომ ამ წუთებში სადილს მიირთმევს
მიუხედავად იმისა რომ მას აქვს პიჯაკი ბათინკები და შარვალი
ზოგჯერ კი
ასეც ხდება ხოლმე
კარგი ხასიათი

რწმენა

მე მწამს რომ ღმერთი მტრედს წააგავს
ადამიანი კი შეიძლება მანქანის ნაწილად გადაიქცეს
მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს რომ მას
არ შეიძლება გაეზარდოს ლომის ფაფარი
ან ფრთები (ანგელოზებიც მწამს)
მე მწამს ყველა სახელმწიფოს რელიგიები
მწამს ერთდროულად ყველა იდეალი
ისე როგორც იმათი უგუნურება ვინც ისინი მოიგონა
მე ვუშვებ შესაძლებლობას:
თვითჩასახვისას
უმანკო ჩასახვისას
იმ სკამთან ქალბატონის უკანალის
შეხებით განაყოფიერებისას
რომელზეც დიდი ხანია არავინ მჯდარა
მე მწამს რომ უიღბლოს
მოულოდნელად შეიძლება ეწვიოს იღბალი
მწამს რომ ჩვენი ქვეყნის უდიდესი პოეტი
არც კუპონების მჭრელი ეს ჭაღარა ბატონია
და არც ეს შედარებით მასზე ახალგაზრდა მოგებებს რომ დახარბებია
არამედ აი ის მოხუცი მტვირთავი რომელსაც თავის სიცოცხლეში
არაფერი დაუწერია ორიოდე განცხადების მეტი
მე მწამს მსოფლიო სული და მატერიის პირველადობა
მწამს ყველა შემავალი და გამომავალი დოკუმენტი
ყველა მომხრე და მონინააღმდეგე ანტი და კონტრა
არ მწამს მხოლოდ ის რომ შეიძლება რაღაც არ მოხდეს

ყველაფერი შეიძლება მოხდეს ამ ქვეყნად
სადაც ყველაფერი შედგება
ჰი-ჰი...
მოციმციმე ნერტილებისგან რომლებიც არავის
ჰი-ჰი...
არავის არასდროს უნახავს

* * *

სიკვდილი სულ სხვანაირად წარმომედგინა
და გულუბრყვილოდ მჯეროდა
რომ შიშის უმაღლესი ორგაზმი
ბოლოსდაბოლოს გამტყორცნიდა ტკივილის ზონიდან

მაგრამ აღმოჩნდა რომ ყველაფერს ვხედავ
ყველაფერს შევიგრძნობ
გვამად ქცეულიც
მოძრაობაზე
კანკალზე და
კვნესაზე უფლებაჩამორთმეულიც
მთელი ჩემი ტკივილით და საშინელებით ვმონანილეობ
ძველ ანეკდოტში ექიმ ტულპაზე
მოკრძალებული სტუდენტი დაბეჯითებით მიჩიჩქნის ტვინს
უცნაური ინსტრუმენტით
მის შეუხედავ ფიზიონომიას უბადრუკ სამოსს
საულვაშეზე ღინღლს რომ შევცქერი
ღვარძლიანად ეფიქრობ
იქნებ ჯერაც ვაჟიშვილია
ეს ფიქრი ოდნავ მამსუბუქებს
(თუ საერთოდ შეიძლება შემსუბუქდე
ტვინს როცა გიხვრეტენ)

მუხლუხივით თავმოტვლეპილი
ჩემი ბებერი პროფესორის ყველა ცოდვა ვიცი
ვიცი სტუდენტების უთვალავი შავი ხუმრობა
უაზრო სამედიცინო ტერმინებიც კი დავიმახსოვრე

რომლებსაც თითქოს კავშირი აქვთ
ჩემს ნატანჯ სხეულთან
ტანჯვის
ახალ-ახალ და უფრო დახვეწილ თაიგულთა
აღმოჩენებით დასჯილთან.

* * *

...შენ იცი ჩემი ხრიკები,
მე — შენი,
ჩვენ დროს ვკარგავთ.
როჟე ვაიანი

შენ იცი ყველა ჩემი ხრიკი
სიცოცხლეო ჩემო
იცი როდის დავიწყებ ღრენას ღმუილს და ცეცხლთან თამაშს
იცი როგორი სიკერპე მჩვევია
და როგორი სუსტი ვარ იმ დღეებში რომლებსაც არა აქვთ სუნი და გემო
უკანასკნელი იმედიც რომ გადამიწურო
შენ კოშმარით მინამლავ სიზმარს
მე ვიცი ყველა შენი სატყუარა და ხარბად და მადლიერებით ვეგები მათზე
თუმცა მერე მათგან თავდახსნის ჟინი მიპყრობს
მე შევეჩვიე შენს სასიკვდილო ჩაბღაუჭებას
ჩემივე გვამზე სიცილი ვისწავლე
(შენთვის კარგადაა ცნობილი რომ ეს ბოლოა ჩემს ხრიკებს შორის)
სიცოცხლეო ჩემო
მტერო ჩემო
ჩვენ ერთმანეთს თავი მოვაბეზრეთ

ყბები ტკივილით ამიჭედე მაგრამ ამით რა გამოვიდა
მე ხომ მაინც მთქნარებას განვაგრძობ.

სამგლოვიარო სიტყვა

თავმდაბალი მუშაკი
ქალაქისთვის ჰაერივით საჭირო
კეთილსინდისიერი და ბეჯითი
უანგარო და თავდადებული
ის არ ესწრაფოდა ხმამაღალ დიდებას
არ მოითხოვდა პატივისცემას
იგი იყო უდრეკი მებრძოლი
ჭეშმარიტი პატრიოტი

(ასაფლავებდნენ სიბინძურით სავსე კასრში დამხრჩვალ ასენიზატორს)

მათხოვრობის გამართლება

თქვენ თვლით რომ მათხოვრების მიმართ მოწყალება არ უნდა გავიღოთ...
უმრავლეს მათგანს შეეძლო ემუშავა
ემუშავა... ეს როგორ
მაშ ჭუჭყში შეხვეულ აი ამ ლევ ტოლსტოის თავიანს რომელიმე არხში ბარი
რომ ექნია
ზედნადებწყლულიანი ეს დარბაისელი მოხუცი რომ ბარის საწყობის
დარაჯი ყოფილიყო...
ამ მჩხიბავად კი (თქვენ ოდესმე ყოფილხართ ბაეშვი?) ბოსტანში ჭარხალი
ემარგლა...
მაშინ თქვენ სავსებით კმაყოფილი იქნებოდით

მაგრამ ისინი ხომ მუშაობენ ჩემო ძვირფასო და მერე როგორ მუშაობენ...
უმცირესი მოწყალების ფასად ნებისმიერ წამს თქვენ ისინი
უზრუნველგყოფენ სუფთა და არანაყალბევი ემოციით...
ისინი სცენაზე არ არიან არც ხის პურს ჭამენ
ისინი არ ხუმრობენ (თქვენი კულტურის ღირსი სიტყვა) სიკვდილთან
როგორც თქვენი თეატრები...
ისინი თამაშობენ ყინვაში ნვიმაში და ხვატში გამოგდებული მთელი
სხეულით
ყოველი ჟესტით და ხმის ბგერით საყელოში დამკვიდრებული

ყოველი ტილით...
საჭირო ეფექტის მისაღწევად მათ უხდებათ
მკაცრად დაცვა
ნესებით განსაზღვრული ცხოვრების ნირისა
ღამისთევა ვაგზლებში სკამებზე პარკებში
შიმშილობა და სიკვდილის პირამდე ლოთობა...
მათი სიკვდილიც და პურიც ნამდვილია
მაგრამ მათი ხელოვნება ნატურალიზმის წვეთს არ შეიცავს...
ისინი აღწევენ რეალისტური განზოგადების სისავსეს
რაზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ ნახერხით გამოტენილ
აკადემიურ გვამებს...
ისინი უკიდურესად თანამედროვენი არიან...
თუმცა მათი ტრადიცია დარდივით ძველია...
ხელოვნების ავანგარდი მათგან უნდა სწავლობდეს და ჭკვიანები ასეც
სჩადიან...

კრაკოვ-პერემიშლის მატარებელში კუპეს კარში უეცრად ჩნდება არგნიანი
ბრმა...
იცით თუ არა რომ სკამებზე გახევებულ უფრო მყუდროდ
განთავსებაზე მზრუნველ ტანთაგან თითოეული
მოულოდნელად ეჩეხება ისეთ პრობლემას
რომლის სუსტი ექოც კი ძნელად რომ მოიძებნება თქვენს ხელოვნებაში...
არა თქვენ სულაც არ მუშაობთ...
აი თქვენ ვთქვათ თქვენ რა მოიმოქმედეთ დღეს ბატონო ლიტერატორო...
ან შენი "პროფესია" რას წარმოადგენს კონფერენსუშკა...
ეკრანელო ქალიშვილო რაში გიხდიან ამდენ ფულს...
რა ფულით ლოთობს შენი რეჟისორი. . . . . ?
(ყველაზე უფრო სიცილს მგვრის ის ხალხი ვინც მათხოვრებს ბრალად
სდებს რომ ზოგჯერ ისინიც სვამენ არაყს)
რას ჰგავხართ ყველანი?

აი ისიც ოცდაათმეტრიანი ქონდრისკაცი
ფეხსაცმლის ზომა ორმოცდახუთი
დაკოჟრილი ტორებით (თითების ნაცვლად თითო ხელისგულზე სამ-
სამი ნუჟრიანი გამონაზარდი)
ის გარმონზე სასულიერო ჰიმნებს ასრულებს
აერთებს რა რელიგიურ მისტერიებს და გრან გინიოლს
და ეს გაკეთებულია გემოვნებით
ის კი აი ის როგორაა ატანილი კონვულსიებით
(ეს არაა თქვენ ბალეტი — ეროტიკული ფაფა

ოჯახობების წესიერი მამებისთვის)
ეს ჩაშვებული ინტელიგენტი კი (როგორი გრიმია)
ამტკიცებს რომ უდანაშაულოდ გაასამართლეს
და ეს-ესაა გამოვიდა პატიმრობიდან
ის ღრმა კონფლიქტშია საკუთარ თავთან
მისთვის ისე იოლია მათხოვრობა
დაიმახსოვრეთ ჟესტი რომლითაც მონეტას მალავს

მოხუცებული ძაღლთან ერთად ხალიჩაზე
საჯდომი რომ ოდნავ მაინც შეუმსუბუქდეს
შეპყრობილი მამაკაცის ცილინდრიანი დეიდა ვინმე
სამი გმირი-ვაჟიშვილის დამკარგავი მწუხარე მამა

მთელი ცხოვრება ისინი ერთადერთ როლს თამაშობენ,
მაგრამ ამას ოსტატურად აკეთებენ
ოღონდ ნუ იფიქრებთ რომ ლუმპენებს დავუძმაკაცდი
მათხოვრები თავიანთ ბრბოში უნიჭოები არიან და მყრალ სუნს აფრქვევენ
მე მათ მიმართ ისეთივე ზიზღის გრძნობა მაქვს
როგორც თქვენს მიმართ ბატონო . . . არტისტებო
ოღონდ ეგაა მათ ხელოვნებაში
უფრო მეტი სარგებელია
ვიდრე თქვენსაში.

ჰადაა სენდოო

ბავშვობა

ვისურვებდი წყლის მოციმციმე ზედაპირზე ნემსიყლაპიას მსგავსად
მეფრინა
ვისურვებდი ჩემი სიმღერა კალიისას დამსგავსებოდა
ვისურვებდი მთვარის შუქზე ყვავილები დამემტვერა პეპელასავით
ვისურვებდი ცის თავანზე ღრუბელივით გადამექროლა
ვისურვებდი ვირხეოდე ისე ნატიფად როგორც ხეები მთვარის ტბის
ირგვლივ

ჩემს გონებაში ზღვის ქარის ფრთებს თამამად გავშლი
ფუტკრებს ვთხოვ თაფლი დედებისთვის შემოინახონ
ხოლო ირმის ნუკრს ვთხოვ ბუნდოვანი სიზმრიდან გარეთ გამოაბიჯოს
ჩიტუნას მე რომ დავაფრთიანე თავისუფლებას მივანიჭებ წვიმიან ღამით
დაე ამ ნემსიყლაპიებმაც წყლის მოციმციმე ზედაპირზე ლაღად იფრინონ

გაზაფხულის პირველი სიზმარი

გადავწყვიტე
ბითუნის ღამეს შენ არ მომნატრებოდი
მინდოდა ჩემივ თავზე მეფიქრა
მაგრამ მამლის წლის ამ პირველ ღამეს
რატომ მოხდა რომ ისევ მესიზმრე?

ვინც დილით მოკვდა შეიძლება ღამით გაცოცხლდეს?
ამ ცხოვრებაში ვინც განქარდა მომდევნოში დაბადება თუ უნერია?
ცვეტაევამ თქვა
რომ სიყვარული უსასრულო სულაც არ არის
სამყაროა ერთადერთი არსებითად რაც უკვდავია

მთვარის შუქზე
ალიონის კარიბჭესთან
მოფარფატე ფანტელები
თავს იყრიან ცხენთა თვალებში

ფესვები

მე ცოცხალი ვარ და შემიძლია
ვხედავდე ფესვებს მდინარეთა, ბალახთა ფესვებს
ზეცის ფესვებს და კლდეთა ფესვებს
და ლექსთა ფესვებს

როცა მოვკვდები სიზმრად ვნახავ
ფესვების კლდეებს, ფესვების ლექსებს
ფესვების ზეცას და ფესვების მდინარეებს
ფესვების ბალახს

ხანგრძლივი მონღოლური ჰანგი

ნება ყოველთვის შენგან მქონდა
ჩემს ხსოვნას რომ გამოეხმო ეს ყველაფერი
მდინარე – ლურჯი აბრეშუმი
ჭირვეული ფეხმარდი პონი
ნყაროს სიცილი რაკრაკა მშვიდი
ვარდისფერი კოცნა ნყვილების
ერთი თასი სულისჩამდგმელი არომატული ასალა ჩაი
ძველი მაგიდა ჩუქურთმებით დამშვენებული

კლაკნილ ბილიკზე მორახრახე ხარშებმული მძიმე ოთხთვალა
ქვით თავმოყრილი ბორცვაკი – ობო
ცის თავანზე გარეული ბატების მწკრივი
ცა ჩემსავით მარტოსული
ერთობ მძიმე დაავადება

უკვე აზიის ჩრდილოეთით თვალუწვდენელ მწვანე საძოვარს
შერევია ყვითელი ფერი

უკანასკნელი მონღოლური იურტა ჯერაც ჩინებულად შემონახული

უკანასკნელი მომთაბარე ნამდვილი ტომი

ზღაპრული ცხენისთავიანი საკრავი კარგად ხმაშეწყობილი

უკანასკნელი ნომადების ქარავანი მიემართება
სამყაროს უკანასკნელი ზღვისკენ

ბედისწერის მოცეკვავე

მომღერალი სულიერი არსებობისა

კოცნა

პურს სიყვარულით კოცნის შიმშილი
თავის სამშობლოს სიყვარულით კოცნის დევნილი

თეთრი ფიფქები სიყვარულით კოცნიან ყანას
მე სიყვარულით ვკოცნი ჩემს სატრფოს

წვიმის წვეთები სიყვარულით კოცნიან მიწას
შენ სიყვარულით კოცნი ჩემს სუნთქვას

გამჭვირვალეა შენი კოცნა დილის ნამივით
შენი კოცნა წმინდაა როგორც დათრთვილული ყვავილები განთიადისა

საზღვარი

ნამქერში კიდევ დიდხანს გამოსჩანს უკვე ჩავლილი მატარებლის
სინათლეები
მავთულხლართი იკარგება სადღაც სიღრმეში
გაუთავებლად ყეფენ ძაღლები
ცივმა ქარმა ჩაუქროლა სასაზღვრო ბოძებს

და მაინც, შენ აქ შეგიძლია ღრმად ჩაისუნთქო
არსად არის უკეთესი ჰაერი ქვეყნად
საზღვრისპირა პატარა სადგურს მატარებელი მოადგა უკვე

შეიცვლება მატარებლის მიმართულება
უნდა შემონმდეს პასპორტი და ბარგი მგზავრების
ბავშვებმა და ხანდაზმულებმა ბნელ ღამეში თავიანთი მარტოობა უნდა
იახლონ
შორეული ქვეყნებიდან მოსულ ტურისტებს
თავიანთი სახლები ძლიერ მოენატრებათ

დიახ მე ვხედავ
გადამფრენი ფრინველები
ცაში გაზაფხულს როგორ მისდევენ
მე ჩემს სიზმარს ავდევნებივარ
მსგავსად სიზმრის მწვანე ბალახის
წვიმისგან სველის
მზის ნათელში მონანავისა

სანგიინ დალაი

სანგიინ დალაი ჩემო ძველო მეგობარო
თხუთმეტი წლის ვიყავი მაშინ
შენს მხარეში რომ მომიყვანა ძველმა ოთხთვალამ
დილის ნიავში მძინარე ცხენებს გაღვიძებოდათ
დედის რძეს წოვდნენ ბინდში ხბორები
თბილი ქვიშის დიუნაზე შემცივდა ერთხელ

სანგიინ დალაი მშობლიურო ჩემო ადგილო
აბიბინებულ საძოვრებზე მხიარულად მიმორბიან ჭროლა პონები
აი უკვე შენს მიწას სერავს მატარებელი
მაგრამ რატომღაც მძიმე სევდა შემომანვა მოულოდნელად

ჩემი სახლი, მონღოლური იურტა, გაქრა
და აქლემმაც საკუთარ სახლს ვეღარ მიაგნო

ჰუითენ შილი

ჰუითენ შილი სამოთხეა ჩემი ბავშვობის
ხოლო მისი ულამაზესი დეკორაცია – იურტადან ასული კვამლი
მწყემსთა უწყებით მთაში ცხვარი წარმატებით მრავლდება წელსაც
ზვინებს ანათებს მთვარის ნათელი

ჰუითენ შილი, ლურჯი სტეპი, ჩემს ხსოვნაში არ წაიშლება
იქ ბალახი გაზელებზე მაღალი იყო
ოვოო კი მთელი წელი ყინულის და თოვლის ქვეშ იწვა
მთების ქარი დუდუნებდა როგორც შამანი
საძოვრებზე მიმოდიოდა

ბოგდას გორაზე მომდგარი მთვარე

მონღოლური იურტა

ცა ვარსკვლავებით მოჭედილა
ვერცხლისფერ ღამით
ირხევიან და ფარფატებენ მწვანე ტალღები
ქარების ტყეში

სივრცეებისთვის გახსნილი კარი
შეჩვეული ლურჯ ცასა და უთეთრეს ღრუბლებს

მყივანთა მოდგმა არასოდეს გადაშენდება

და არასდროს იწუწუნებს ქალაქელივით

ოთხი სეზონის ჩანახატი

თოვლს დაუფარავთ მთები, ზამთრის ძილს
არ მისცემიან ჯერაც კურდღლები

გაზაფხულის თბილ ნიაღში მძინარე პონი
ოცნებების სამყაროში დაბორიალობს

ზაფხულში ხარის ოთხთვალები ოკრო-ბოკრო ნიადაგზე მირახრახებენ
მზე ამომავალი და მთვარე ჩამავალი ერთმანეთს უმზერენ

შემოდგომაზე ქოფაკები ერთგულად რომ იცავენ პატრონს
თვალს არ სწყვეტენ მარტოსულ ზეცას

ქარი

შიშველი მოველ
ნაცალ შიშველი
ჩვენ როცა გაეჩნდით
ქარი ქროდა მხოლოდ და მხოლოდ
როცა მოვკვდებით
ქარი იქროლებს მხოლოდ და მხოლოდ

სიზმრად
მშრალ თმაზე გადამისვი ხელი და ჩემი გავლით განქარდი
უიმედო ქვის ნიშანი რაც ეროვნულ საზღვრებს აღნიშნავს

შენ არაფრის მინაზე დახვალ
შენ კოცნი მშვიდ ცას

და ცოცხალი დამცირების გამო ღრიალებ

ქარის სურნელი საით წავა
როდის მოვა ქარის სასჯელი
არაფერია რაც ჩვენ ვიცით
ნაზი ქარის
მომღერალი ქარისა თუ
მოხეტიალე ქარის შესახებ

სიჩუმე

ხარხორინი. ცაზე ღრუბლები მიირწევიან.
ჩემს ნამიან ხელისგულზე – ბალახის ღერო.
მოლოდინი მომლოდინისა.
მე ის არ ვარ, რომელიც იცდის.

ალიონის მზე შემომყურებს.
მეც ვუყურებ ალიონის მზეს.
არსებობს რაღაც სანატრელი.
მე არ ვნატრობდი.

პლატოს მზე

ქარვის მზე უკვე ჩაიძირა
დაკარგული ვარ საზაფხულო სასახლეში
სადაც ცხვარი ყველგან არის შემოდგომაზე
დაკრგული ვარ წიწიბურას სურნელებით სავსე ნიავში
დაკარგული ვარ ივნისის თვის ყინულსა და ყინვის ტრიალში
დაკარგული ვარ ქარიშხალში წუხანდელ ქვიშის

დაკარგული ვარ ყვავილნარში ჩემივე ბაღის
დაკარგული ვარ სიზმარში ჩემი სახელმწიფოსი

დაკარგული ვარ ჩემთვის ნაცნობ მაგრამ ჩემთვის უცნობ ქალაქში
დაკარგული ვარ უკუნ გვირაბში
დაკარგული ვარ წიგნში ახლად გამოცემულში

დაკარგული ვარ რუსულ ტექსტებში
დავბრუნდე თუ კვლავ წინ ვიარო
თეთრი თმასავით მოფარფატე თოვლის ფიფქები
ყველა გზა მიდის სამყაროსკენ
მაგრამ არა – ჩემი სახლისკენ
იგი ჯერ კიდევ მძიმე ნისლის ტყვეობაშია

ნომადები

ნითლად ანთებულ უდაბნოში
შევეგებეთ შემოდგომის უკანასკნელ დღეს.
მეჯოგეები აქლემებს დინჯად მიუძღვებოდნენ,
აი, ნაგაზიც.
სავალი, ჩვენ რომ დავადექით, გრძელი იქნება.

ჩვენ ვუერთდებით უსასრულოდ გაშლილ უდაბნოს.
მაღალ კუზებზე იურტები მიირნევიან.
თვალნი ბრწყინავენ მაღლობებზე.
ვიცი, ჩემს გულში არასოდეს განქარდება ეს მწვანე ძალა.
ჩემი ქათქათა იურტაა ჩემივ ბოლო განსასვენები.

ზღვის გადასერვა

სეულს როცა ვემშვიდობები
მრავალი მთა და მრავალი წყალი მეხმარება
გამოვეყო სამყაროს ტანჯვას
მე აღარა ვარ ტანჯვის ნაწილი
ზღვას როცა ვსერავ

მავანს ჩემი ხელი უპყრია

სეულს როცა ვემშვიდობები
მრავალი ხე და მრავალი ჩიტი
გამოეყოფა ადამიანის უსამართლობას
გამოეყოფა ჩემს ჭრილობას
ზღვას როცა ესერავ
ჩემს გულს ვიღაც გამოეყოფა

ჩრდილოეთის ზამთარი

ვერ დავიჯერებ
რომ ჩემს მერე
სამხრეთი და ჩრდილოეთი იერსახეს არ შეიცვლიან
მწარე ცრემლებს ღვრის ზოგჯერ
მორინ ხუურის რკალი

მე დავბერდები და ღრმა ძილით დავიძინებ
ჩრდილოეთ აზიის საძოვრებზე ერთ სისხამ დილით
და ჩრდილოეთის გაყინული მიწა ისევ დაბრუნდება
ძარღვებში ჩემი სამუდამო სიმშვიდისა
როგორც მდინარე კერულენი, მდინარე ონონ, მდინარე ტუულ

თოვლის არენა

ერთ დილით
თოვლის ფანტელები
დამდის სახეზე
ბარდნის ქუჩებში აცვივა ხეებს
ახალი წელი დადგება და
გააციებს ჩრდილოეთის ღამეულ ზეცას
ვარსკვლავები მიყურებდნენ

ორმოცი წლისას
ამ ასაკში კი
სისხლი ალისფრად მოკაშკაშე განთიადია
ახლა უკვე სისხლნაკლული ვარ
ლექსების წერას
უკანასკნელ დღემდე არ შევწყვეტ
ვან გოგის მსგავსად
მთელი სამყარო
განმსჭვალულია
მზესუმზირას
მარცვლების თოვლით!

უწყების გაგზავნა

შებინდებისას
ხმელეთს ვეკუთვნი
ღამე მოვიდა
მომწონს ვარსკვლავი
ბედნიერებით ატაცებული
მთელ სამყაროს ვაჩვენებ რომ:
მე მარტო არ ვარ!

ექო

სავსე მთვარე ამოდის ცაზე
ჩვენ მიდ-გობისკენ მივემგზავრებით
ლურჯია და უსაზღვროა საძოვრის ღამე

ვხედავ ქარავანს რომელიც ზლაზნვით მიუყვება შორეულ სავალს
მაგრამ როცა ვუახლოვდებით
სხეულები მანქანის ფართა ნათებაში უჩინარდება

მე მინდა ისევ მოვიხელთო იდუმალი ეს ფიგურები
მსურს მათი ფერი მკაფიოდ ვნახო
მსურს მათ სხეულებს ხელით შევეხო

კლდის მხატვრობა
ბრინჯაოსფერ კლდეთა მხატვრობა
დაკარგულ თვალებს იმედით მივსებს

გამოღვიძება ეს-ესაა დაწყებული სიზმრიდან

აყვავებულ ტრფობის ბუჩქებში
ჩვენ ერთმანეთს ფუტკრებივით ავდევნებოდით
და სიყვარულის ტკბილი ნექტრით ვასაჩუქრებდით

სიყვარულის სამარესთან
შევყოვნდით უცებ
ჩვენი მარცხი ერთმანეთის წარსულში რომ გადმოგვეღვარა

ტყუილია რომ მშობლიური ქალაქი არ მაქვს

ტყუილია რომ მშობლიური ქალაქი არ მაქვს
ვეუბნები საკუთარ თავს
ნაღველი რომ შემომაწვება
ტყუილია რომ მშობლიური ქალაქი არ მაქვს
ამომავალი მზეა ჩემი მშობლიური ქალაქი მაგრამ
იგი ახლა გრილ მთვარეს მოჰგავს
ნამგალა მთვარეს

ტყუილია რომ მშობლიური ქალაქი არ მაქვს
თივის ზვინია მშობლიური ჩემი ქალაქი
ვინ ააბრუნებს ამ თივის ზვინს რათა ის გაშრეს?

თეთრი ღამე

მოფარფატე თოვლის ფანტელი
ჩემს გრძელ წამწამებს ეცემა და
დნობას მოელის

სინაზით სავსე შენს თვალებში
და შენს ენაზე
ვდნები როგორც შაქრის ნატეხი

დავიწყებული იმპერიები

ვარდის სურნელი აღავსებდა ერთ დროს ბაბილონს
რომის დიადი იმპერია მოჰგავდა ოქროს
ამ ყველაფერმა გაიელვა და შეერია
ქარვასა და უფორმო ქვიშებს

ჯურჯი, ჩინეთი, ტანგუუდის იმპერია
თითოეული მსგავსი იყო დიდი მდინარის
მაგრამ იმათგან უკიდეგანო უდაბნოს მეტი
არაფერი შემორჩენილა

ყარაყორუმის ნათებამ ერთ დროს
შუა საუკუნეთა უკუნეთი გააცისკროვნა
დღეს კი უკან რომ მოვიხედავთ
ჰუბილაის დაიდუ რას ჰგავს
თუ არა მხოლოდ თვალ-მარგალიტს ველად გაფანტულს

იმპერია ისე დათვრა
როგორც შანდუში თვრება ხოლმე ჩამავალი მზე
ბრიყვ და საკუთარ ვნებებს აყოლილ მმართველს ეძინა
მის ძილს კი მხოლოდ ღვინის ბოთლი დარაჯობდა
მის ქვეყანას როცა იპყრობდნენ

შენი ღიმილი

მე
უსაზღვრო სტეპიდან
მოველ
და ამიტომაც
ეს ამდენი მშვენიერი ყვავილი დღემდე არსად მინახავს
ისე როგორც შენ არ გინახავს
ღამის ცაში უნატიფესად მოფარფატე თოვლის ფიფქები

შენ
აყვავებულ იასამანს ჰგავხარ რომელსაც
კლავს სურნელი ჩემი სამოსის
მე დავბრუნდები მარჯნის გობიში
და ამ ქვეყნად დღისით თუ ღამით
მომენატრება ეს ბანანის მწვანე ტყეები
ვნატრობ უარვყო დავივიწყო ყველაფერი
შენეული ღიმილის გარდა

შებინდებისას ვენის გავლით

დაკლაკნილი ურჩი დონაუ
წარმოვიდგენდი რომ გულში გიკრავ
მერე კი გახდა ყველაფერი შეუძლებელი
ხოლო მე რილკეს ვკითხულობდი ვიდრე ირგვლივ სიჩუმე იდგა
და ველოდი რომ ჩახლართულ სიზმარს
ამიხსნიდა ბებერი ზიგმუნდ

უკვე დაეშვა ღამის ფარდა
და შუბერტის სერენადა გამეორდა ბევრჯერ და ბევრჯერ
ბუნდოვნად ჩანდა მშვენიერი შორი ალპები
ველოდი ტაქსის გამოჩენას ბრატისლავაში
როგორ მინდოდა დამეკოცნა
შენი ლურჯი ვარსკვლავებით მდიდარი ღამე

თვალები

განთიადის უმშვიდესი აბლაბუდა. ზუსტად ხუთ წუთში
ექვსი საათი შესრულდება. თვალებს ვახელ და
არ ვიცი, როგორ შევაჩერო ეს იერიში
ოკეანედ ქცეულ ჩემს გულზე

ვიდრე დაღლილან ღამეები
ჩემი მკლავები დანაოჭებულ ზეწარს ჩამოჰგავს
არ ვიცი როგორ დავხუჭო თვალი
რომელიც უცებ დაჭრილივით ამოიყვირებს

მდინარე ჰარაა
(მონღოლურ ცხენს)

მდინარე ჰარაა ვარსკვლავების ქვეშ
მიწა, ქარი, მწვანე ბალახი
აი მუქლურჯი კვამლის ბურუსი
ჩემს ბატონთან ვაჭრობს მუშტარი
და გული მიგრძნობს ბედნიერ სიზმრებს გამინადგურებს სველი რიჟრაჟი
მე დავტოვებ მშვიდ მთვარეს, ჰაერს
როცა ყველაზე მეტად გჭირდები
მაგრამ ვიქნები მე ამ ღამით ეული და აუმღვრეველი
ჩემი ბატონი და მუშტარი უკვე დამთერალან
როგორ მისნვდება ცას ეს ცრემლები

მიწა, ცა, მდინარეები და მე

ღრმად გაპობილი მიწის სხეული
მდინარეთა ზეცას შეჰყურებს

ცის მდინარეებს
ძალა არ შესწევთ გადარეცხონ მისი ნაღველი

დედამინის შედედებულ სისხლს
ასეულობით წელი ეძინა

სული რომელიც სხეულს გაყრია
მირაჟია სხვა არაფერი

ჩემი მირაჟი ვარსკვლავების საძოვარზე როცა მაბრუნებს
ირმის ნახტომის ნისლეული დედაჩემის ნისლისფერ რძეს ჰგავს

მამაჩემის ცხენს როცა ვაჭენებ
მე მზის მდინარის გასნვრივ ვუჯირითობ

ჩემი ხელები ფხიზლდებიან
მომაკვდავი ჩემი სიზმრის დასაწყისიდან

შავ ტყეში მინას იმ მათრახის მოსაძებნად ვთხრი
პაპაჩემმა რომ დაკარგა ერთ დროს

მდინარე ხერლენი

სექტემბერია, მზის სხივებს ხარბად ინაწილებს
სტეპებში თოვლი

ეს დაკლაკნილი ფართო მდინარე
და მხოლოდ მისთვის დათმობილი ჩემი თვალები

სხვა ცაში

შენს დაპყრობაზე ყველა ფიქრი

სისულელეა – ალკოჰოლმა
დამიმდუღრა შიგნეულობა

და ამ ტკივილის მოვლა ვით განძის
ამ ჩიტისთვის თავისუფლების მინიჭება
ულამაზესი დახმარებაა

შენთვის და ჩემთვის
ერთმანეთი რომ აღარ გვძულდეს

შენთვის და ჩემთვის
რათა ერთმანეთს სულ სხვა ცაში
გადავეყაროთ

დამოკიდებულება

უკვე ბინდდება
პანანინა ბელურები შინ ბრუნდებიან
უსასრულო ეს სამყარო
შეყოლია ოცნებების გზებს

მარტო ვიღვიძებ
ერთი ხელით ღამეს ვშველი
მეორით კი საკუთარი თავი მიპყრია

მოგონებები

თვალს ვადევნებ
შემოდგომის მთის ფერდობზე
ციკნის მთქნარებას

კეთილმა ხალხმა მოგვიკითხა

მონეული მოსავალი მოიტანეს
ყვითელი ქლიავი

ესეც ყვითელი ქლიავია კვერცის გულივით
მოთავსებულა ჩემს ხელებში ციცქნა ნიწილა

მოხდა შენს ხელში
ჩემი ხელი გეჭირა ერთხელ

ერთ დღეს მოგხიბლა წითელი მზის სანახაობამ
ჰაერში როგორ ჩაგორდა იგი
ჩემი სისხლი დაინრიტა უკვე ნულამდე

დედას გეძახდი, გულთბილო ძიძა
ვიცი სიცოცხლე ერთი დიდი სიზმარია
გამომეღვიძა
და შენ უმალ გაუჩინარდი

ესენინს

ნამგალა მთვარე დაჰყურებს ბოსელს
ნისლს დაუბურავს არყის ხეები
ღრმა და ფართოა მდინარე ვოლგა
შენს ლექსებს ისევ ისე დავწვდი
როგორც ბასრ მახვილს
სერგეი ესენინ
მაგრამ აღარ ვარ შეშლილი ვეფხვი
და არც მგელივით ვიყმუვლებ უკვე
გობის მდუმარე უდაბნოა ახლა ჩემი ხმა
და ის წვენია ხის ქერქიდან რომ ედინება
ცახცახებს შალის გორგალივით
დაჭრილი გული
როგორც ჩანს ჩემზე ახალგაზრდა ხარ
მაგრამ შენი ახალგაზრდობა
დაფურცვლილი ყვავილივით
დასრისეს და მიმოაპნიეს

ერთხელ შენსავით გაუჩინარდა ჩემი სატრფო დილის ღრუბელში
მაგრამ მე ვხედავ არამზადა ქარბუქს ამ ქვეყნად
ის ისე სჩადის დანაშაულს როგორც შეშლილი
შენ სერგეი იქნებ მბზინავ ბრინჯაოდ იქეც
ვიცი სიცოცხლე ერთხელ ხდება და
სიყვარულიც ერთხელ ყვავილობს
მე ვამაყობ დედაშენით იმ რუსი დედით
ყველა განსაცდელს მტკიცედ რომ ხვდება
მე მრცხვენია თათრების გამო
მათ რიაზანი შენი სამშობლო დაიპყრეს ერთ დროს
აგონია მაწვება გულზე
მსგავსად ხანგრძლივი ნელიწადების
ახლა ამას ნუ გავიხსენებთ
გულწრფელად რომ ვთქვა მეც ველი იმ დღეს
როცა მოვკვდები ჩემს მშობლიურ რუხ იურტაში
არა ისე, შენი სიკვდილი როგორიც იყო
არამედ წყენის, ყვირილის და ცრემლის გარეშე
ჩემს ტკბილ სიზმარში ძვირფას ტუჩებს დანაფებული

პასს

ლათინური ამერიკის ზეცის ქვეშ იყო
უკიდეგანო ზღვასავით ლურჯ შენს მკლავებში
მშვენიერმა მზისქვამ რომ შემძრა
დათრგუნული ჩემი სული მიიზიდა თითქოსდა ამ ქვამ
თითქოს ვხედავდი ჩვენს ხასიათს, უძველეს ამ განძს
რომელიც უკვე დაივინყა შთამომავლობამ
ბევრი ხე ვნახე ისეთივე მიმზიდველი
როგორიც იყო მშვენიერი იმ ქალის თმა მე რომ მიყვარდა
მთის ბევრი წყაროც მოვიხილე
დედამინის სევდით სავსე თვალების მსგავსი
გადასახლების მზისქვა გამიძღვა დამსხვრეული სიზმრის მხარეში
გამიძღვა ჩემი კეთილი მაგრამ შორეული მშობლიური ქალაქისაკენ
და აი წყნარი ოკეანის ლურჯ ზედაპირზე მივცურავ ნავით
ამ პოეტური მოგზაურობით სუნთქვაშეკრულმა
აცტეკთა მოდგმის მზის კალენდრის სტელას როცა ჩავუარე

თითქოს ჩამესმა როგორ მიხმობდა უკვე მზის ღმერთი
და ამ ხმას მივყევ და შევაბიჯე
ბროლის მსგავსი შემოდგომის გრძელ დერეფანში
გრილ შენგ დიუში სეირნობაც გამახსენდა როცა დამსხვრეულ
ქვის თაღებს – ყველას სათითაოდ – ხედავდა თვალი
თითქოს სხეულით ვეყრდნობოდი ყარაყორუმის ქალაქის ჭიშკარს
ჩემს გულში მშვიდად ფეთქდებოდა დამჭკნარი ვარდი
ისევ გაბრწყინდა დაკარგული ჩემი მშვენება
მზისქვის მიერ შთაგონებული
მექსიკის ყურეს თავს ფრინველები დასტრიალებენ
ზეცაში მათი მიმოქროლა ლაღია და თავისუფალი

სიცოცხლის მზისქვა
ნოსტალგიური ლექსია მხოლოდ
კლდეებსა და ტალღებს შორის ნარმოჩენილი

ლანდშაფტი

ჩემს სახლში –
სამხრეთ ჰანგაიში
ყამირი მიწის მწვანე ნაგლეჯი

მაგრამ ეს მიწა გეოლოგიურ რუკაზე უკვე
მინერალურ რესურსს არასდროს გამოაღვიძებს
იგი სისხლივით წითელ წერტილად გადაქცეულა

პირველი წვიმა

ამაღამ ცაზე გაიშლება
წვიმა ზაფხულს მონატრებული
და გამომშრალ ტოტებს შეუტევს

მაშ გადამჭკნარმა ყვავილებმაც შეიძლება სიცოცხლე იგრძნონ
წყაროს წყლებმა სუსტ მდინარეს ძალა შესძინეს

მაგრამ თეთრი თმა მწვანედ ველარ შეიღებება
და ბებერი ჭაც ვარსკვლავებით მოჭედილ ცას
უმზერს და კვდება

ყარაყორუმი

ნისლი ნელ-ნელა ეუფლება მწვანე საძოვრებს
ხოლო შენ ჩემს ამ ნაღვლიან ლექსს ექსტაზით ავსებ
ჩიტები სახლებს დანატრებულნი ზეცაში ახალ სასახლეებს აიშენებენ

მე ყველაფერი გავეცი ალბათ რისი გაცემაც შემეძლო ბნელში
ზამთრის ღამეში ბებერ ცხენზე ავმხედრებულვარ
მთვარე კი თოვლის ირემზეა ამხედრებული

ღამის სტეპი

დედის დალოცვით თანხლებული
მთვარე
რძის სათლში
ტკბილად იძინებს
ლიცლიცა რძეში
სტეპი სრულად აირეკლება

თარგმანები მრავალტომეულისთვის
მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა

ჰუგო ფონ ჰოფმანსთალი

რაა სამყარო?

რაა სამყარო? ის ლექსია მარადიული,
გადმოსხივდება ღმერთის სული, ცეცხლად იღვრება,
გადმოივსება სიბრძნის ღვინო და განიღვრება,
გაგვესიტყვება სიყვარულის ჰანგი ციური

და ყველა კაცის წარმავალი სულიერება
მზით აღმომსკდარი, მისგან სხივად გადმოფრქვეული
ლექსის პწკარია, ათას პწკარში გამოხვეული,
შეუმჩნეველად რომ განილევა, მკრთალდება, ქრება.

და მაინც, ყველა ეს სამყარო ერთადერთია,
ტკბილ-იდუმალი, ვერსანვდომი, უცხო ბგერებით,
ცხებული თვისივ განუვრცობი მშვენიერებით,

არც სხვათა ექო და არც სხვათა ანარეკლია.
და თუ მას სულაც ნასაკითხად ჩაუღრმავდები,
ეს ის ნიგნია, სიცოცხლეში რომ ვერ ჩასნვდები.

სამყარო და მე

ჩემო სიმღერავ, იმ გოლიათ ატლასს ეახელ,
სამყაროს კეფით და მკლავებით ვინც შებჯენია,
და უთხარ: „თუ გსურს, გაეშურო ვაშლის საკრეფად
ჰესპერიდების საუფლოში, ნება შენია.

ჩემს ბატონს ეს სურს: შენი ტვირთი ისე იტვირთოს,
როგორც კაცს ძალუძს, ბარბითს დასწვდეს და საარაკოდ
აარაკრაკოს; როგორც ერთი ლანგარი ხილი,
ისე უპყრია მას მკლავებით ჩვენი სამყარო.

ღრმა ზღვები, ზღვებში მობინადრე ყველა ურჩხული,
ის ყველაფერი, რაც სიცოცხლეს ახშობს ყრუ ხმებით;
ხეები, წყვდიადს ფესვებით რომ გამოწურავენ
და კენწეროებს აღივსებენ ქარით, სურნელით;

და მთვარის შუქი, მიწის უბეს მომოფრქვეული,
და მოლი, კაცს რომ შეახვედრებს ძილს მოლივლივეს;
ერთბაშად ჩუმი ხელადები, თითოეული
აღსავსე მთელი სამყაროთი: ...ამ ყოველივეს

ჩემი ბატონი მკლავს შეუწვდენს, შეგეშველება,
განა ცახცახით, ისე ლაღად და ნებიერად,
ვით ვერცხლის თასი აღივსება წყნარმოუბარი,
მაცოცხლებელი წყლის ნაკადით.”ჩემო სიმღერავ,

გასწი ატლასთან, გადაეცი, და გოლიათი
ატლასი თუ არ დაგიჯერებს ჩემს დანაბარებს,
უთხარ: „მკლავებით ვით ვერ შეძლოს ჩემმა ბატონმა
იმის აწევა, რასაც თავით ლაღად ატარებს?”

გერმანეთი

რომ ეკმეოდეს მხოლოდ საფლავთ გუნდრუკის კვამლი,
ამოდიოდეს მარტოოდენ აკლდამებიდან,
მხოლოდ სანეშტე ლარნაკებს რომ დასტრიალებდეს,*
და - საკურთხეველს, თავის თავში დამტეველს მკვდართა –
გმირის გახრწნილი ნეშტისა და რჩეულთა მტვრისა –,
რომ ასდიოდეს ცეცხლის ალი! რომ ინთებოდეს
მხოლოდ იქ, სადაც მსხვერპლშეწირვა აღსრულდებოდა!
ო, გერმანეთო, დიდებულო საკურთხეველო,
მოსრულ ლაშქართა აკლდამაო და მონუმენტო
იავარქმნილი ქალაქების, დამუნჯებულო
ქვეყანავ მკვდართა, გიგანტურო ქვის სარკოფაგო!*

თუმც, დუმდა მწყემსი უმაღლესი და მარჯვენათი
ტახტს მიჰყრდნობოდა, კაცსა და ლომს, ხარსა და არწივს
რომელიც ეპყრა, მარცხენა კი ქარტეხილებით
აზვირთებული სამხრეთისკენ გაეწვდინა და
ბრინჯაოს ბაგე ჩაერაზა სიტყვათა რისხვის
და წყევლა-კრულვის უმძიმესი ტვირთის ნინაშე,
შენ მაინც მოგხვდა არნატყორცნი სხივი, ვიდრემდე
რომის გრგვინვა და მეხტატეხა აჟღერდებოდა:
წყეულიმც იყოს იმპერია, რომელიც ერთ დროს
იყო მსოფლიო! ბრწყინვალება დიად არწივთა
უბირ დაცინვად შემოიქცეს, ხოლო მეფეთა
ძალაუფლება გადაიქცეს ბრბოს მრისხანებად!
იქცეს ქვეყანა სამყოფელად ველურ მხედართა

და მომთაბარე ურიცხვ ტომთა! ყველა ნათელი
ერთბაშად ჩაქრეს! ნაიბილნოს, რაც იყო წმინდა!
ნესის აგება არ ეღირსოთ მიცვალებულებს,*
არ გადაიქცეს ღმერთი წმინდა ღვინოდ და პურად!
ყველა ნაყოფი დედისავე საშოში ჩალპეს,
ჩალპეს ნაყოფი ცხოველთა და მინდვრის საშოშიც
ჩალპეს ყოველი ჩანასახი, ირგვლივ ყველა ტყე
გახმეს...

პირველმა იმპერიამ* თავად გაფლანგა
თავისი თავი. და მეორეც* დაეცა, რადგან
თავისი თავი დაივიწყა. მერე მესამემ
სიხარბით ყელი გამოიჭრა, ის ძალადობდა,
იტაცებდა და ცრუობდა და სხვას აბრალებდა
ყველაფერს, რასაც სჩადიოდა; ნადავლს მალავდა,
საჭმელ-სასმელსაც აყალბებდა, სისხლსაც, პატივსაც,
გვარიშვილობას, დიდებას და თავად სიკვდილსაც.
ის მართებულად აცხადებდა ყველაფერს, რასაც
შენ იწონებდი, თუნდ ყველაზე დამამცირებელს,
ყველაზე ბინძურს და საზიზღარს. რაც არ მოგწონდა,
რომც ყოფილიყო მაღალი და კეთილშობილი,
ნარმოადგენდა დანაშაულს. სიყალბის მეტი
შენს დიდებულებს არაფერი ჩაუდენიათ;
შენს მხედართმთავრებს ეს შეეძლოთ მხოლოდ და მხოლოდ:
მოემოქმედათ, რაც ღირსებას დაამცირებდა;
შენს გმირებს მხოლოდ ეს შეეძლოთ: მკვლელობა. შენ კი
ასე გგონია, მე მძლიაო ჩემზე ძლიერმა.
არავინ იყო შენზე მეტად ძლევამოსილი!
შენივ გლახაკნი ზეიმობენ შენს დამარცხებას.
არ არსებულა ქვეყნად დღემდე ისეთი გლახა,
ვის გვამსაც მასზე უბადრუკი ვერ გაძარცვავდა.
ბრბოდ გადაქცეულ ხალხს აფურთხებს სახეში ეს ბრბო.

ვინ გადაგარჩენს, თუ სამყარო ფუჭად გახარჯე,
მთელი სამყარო?! ის შუაგული სად არის ახლა,
დედამიწის წრე გარს რომ ეკრა? რომელი კრძალვა,
რომელი რიდი შეაკავებს სიმყიფეს, ყვირილს,
ცუდმედიდობას ხალხებისა? ის – არა, ქვეყნებს
შენს ირგვლივ მუსრი რომ გაავლე, მოაზროვნენი
შენი ხმაურით დააბნიე, მოგრიხე ჯვარი,

რომელზეც ღმერთი გაკრულიყო წმინდა არწივის
გადაშლილ ფრთებზე*, თვით დროშებიც, შენი დროშები,
ნაბილწე, შენვე გადარეცხე შენი დიდება;
ის –არა, რომ შენ აღარა ხარ, არამედ – ის, რომ
შენივე თავი და რაც შენთვის ძვირფასი იყო,
გაყიდე! შენი უმაღლესი მისია, შენი
ეს იმპერია დააქციე, რაც დაღუპვაზე
უფრო მეტია, ყველა საზარ ხვედრზე მეტია.

არ დაცემულა ისე ტროაც, როგორც შენ – ორჯერ!*
არ ავარდნილა ხანძრის კვამლი პერგამოსიდან
ისე ძლიერად, როგორც – შენი სამფლობელოდან;
არ ჩაძირულა თვით ფარისიც, დაიფობოსიც*
იმსისქე ფერფლში, როგორშიც – შენ, ამდენი ცხედრით!
არ შეიქმნება არა ჰიმნი შენს სადიდებლად!
როგორც დიდებულ შვილიშვილებს დარდანოსისას*,
ისე არავინ მოიგონებს შენს ბინძურ სახელს;
შენ უკვდავებას მოგანიჭებს მხოლოდ სირცხვილი,
მხოლოდ ცრემლი და წყევლა-კრულვა შთამომავალთა.
თვით ბაბილონსაც*, ნანგრევებში, მტვერში დაძირულს,
ისეთი ბედი არ რგებია, შენ რომ გერგება,
შენ, უდაბნოდ და ქვიშად ქცეულს*... არც ბაბილონში,
არც ილიონში ტყე არ ხარობს! შენთვის კი ვნატრობ
უსიერ ტევრებს, რომ დაფაროს შენი სირცხვილი!

წმინდა ბინდ-ბუნდო ოდინდელო! მაღალო ძრწოლავ!
ერთ დროს ქროლავ და მიმოხედვავ ხშირ ფოთლოვანთა,
მოშარიშურე წინათგრძნობავ კენწეროებში!
მირაკრაკებდა წყალი კლდოვან ხევებში, იქვე
მომნუსხავ ხმათა ლივლივი და მზის ათინათთა
თამაში იყო საცნაური. ხოლო ამჟამად,
რაკილა თავად ნააქციე კეთილშობილი
შენი სვეტები, გოდოლნი კი ძირს დაანარცხე,
შენს სახიჩარ და გამრუდებულ სახეს მყვირალა
შუქი ეცემა. ნაქცეული ტიტანები კი
ქვეშ დაიტანენ, ჩამარხავენ ტანაყრილ ჩინართ;
ზათქით იმსხვრევა უდიადეს არსთა ლაშქარი,
უკანასკნელი სასოება, ბოლო იმედი,
ეს საკრალური გაზაფხული.

მსოფლიოს ტყეო!
ეს რა დამართე საკუთარ თავს! და რომ დამართე,
რატომ სულ ბოლოს! და თუ მაინც ბოლოს და ბოლოს,
რატომ დიდი ხნის წინათ არა*, ვიდრე ფრიდრიხთა
იმ გველეშაპის კბილებიდან ნათესი ამო-
იყვავილებდა, საზარელი! განა, ოდესღაც
შენ სულ სხვაგვარი არ იყავი? კი, მაგრამ როგორ!
განა, რით არ ხარ შენ იგივე? არ შეგიძლია
იყო იგივე და შენ მაინც ის ხარ, ვინც იყავ?
და შენი ძრნოლა არ ეცემა ორივ სამეფოს,
შენს წინ გადაშლილს? განა, ისვე არ შეურაცხყოფს
იმ კეთილშობილ აჩრდილებს და არ ასამარებს
მსოფლიოს ნათელს ბნელ ღამეში? არ ამახინჯებს
და არ აყალბებს უსპეტაკეს ხსოვნას? ასეთი
არც ჰაინრიხი, არც მანფრედი, არც კონრადინი
არა ყოფილან.* ფრიდრიხებიც კი – არა!

ნეტავ,
იმ მეფეებმა* თუ იცოდნენ, რა ჩარგეს შენში,
რომლებიც ავად ეპყრობოდნენ, არად აგდებდნენ
ხალხს, მათ რომელიც ზეცისთვის და დედამიწისთვის
საშიშ, მავნებელ ბრბოდ აქციეს; იმ მეფეებმა
თმა გადაპარსეს კეთილშობილთ, მათვე მოარგეს
კეთილშობილ მხრებს მდაბიოთა თავები მერე!
ერთ ბატონს ერგო სკიპტრა, თავად იყვნენ ეს ერთი.
და როცა ბოლოს მდაბიოთა შორის უარესს
გზა ხსნილი ჰქონდა, იმპერიაც მან იმემკვიდრა.

არავინ დარჩა შენში უკვე ისეთი, ვისაც,
ბოლოს და ბოლოს, ის ლაგამი, სხვებს რომ უდებდა,
თავისი ხელით თავის პირში არ ამოედოს;
ვინც მათრახსაც და დეზებსაც არ შეგუებოდეს.
არავინ დარჩა შენს მეომრებს შორის ისეთი,
ვისაც ის ჯოხი არ ენატროს სხვის გასაროზგად,
რომლითაც თავად მას როზგავდნენ ოდესღაც. მეტიც:
არ დარჩენილა შენში ერთი მხედართმთავარიც,
რომელსაც ერთხელ დადებული თავისი ფიცი
არ გაეტეხოს, წარმოთქვამდა როცა მეორეს.
არავინ დარჩა, ჩინ-მენდლები და ტკბილი სიტყვა
რომ არ შეეტკბოს, გარეწარმა როცა უბოძა.

მაგრამ ვინც უკვე აღარ არის თავისუფალი,
მას, ვით სიკვდილი, შიშის ზარს სცემს ის მბრძანებელი,
რომელსაც ადრე არასოდეს უბატონია.

და როს ლაშქარნი აიშალნენ, უდავო იყო:
უღელი, მათ რომ ქედზე ედგათ მრავალი წელი,
ერთობ დამძიმდა, ნავიც ერთობ გადახრილიყო;
მათი ხელებიც და მუხლებიც ცახცახს მოეცვა,
როცა შეუდგნენ მოქმედებას, ყოვლად ამაოს.

დანაშაული სხვებს არასდროს გადააბრალოთ!
არც ეს და არც სხვა რომელიმე დანაშაული!
როდესაც ხალხი ის არ არის, ვინც ერთ დროს იყო,
მაშინ არც თქვენ ხართ, ვინც იყავით; ხართ და აღარც ხართ
იმავდროულად, ვით ეს ხალხი, მყოფიც, არმყოფიც;
დიდებულთაგან ერთ-ერთმა რაც მოიმოქმედა,
თუ თქვენც იგივე ჩაიდინეთ, ჩაგიდენიათ
ის, რასაც სჩადის ბოგანოთა შორის ბოგანო.
ნუ იტყვით: "არა, მე კი არა, ეს კაცი იყო!"
ნუ იტყვით: "არა, მე კი არა, ის ქალი იყო!"
თუ ცოდვა-ბრალი ყველას განევთ, დაე, ატარეთ
ეს ბრალი ერთად! თითოეულს უკვე ვერასდროს
ჩამოაცილებთ იმას, ყველას რაც შეხებია.
კერძოთა ბედი ამ მსოფლიოს აღარ აღელვებს.
როცა თქვენ გთელიან, ნუ აჰყვებით გადამთელელთ თელაში;
როცა გწონიან, როდი ნიშნავს, რომ თქვენც წონიდეთ;
განგიკითხავენ? თქვენ არავის განიკითხავდეთ...
რას უწოდებენ დანაშაულს, ბოლოს და ბოლოს?!
რაკი თქვენს შორის ხმა ერთმაც კი არ აღიმაღლა,
არ აუჯანყდა ყოვლისმომცველ ამ დანაშაულს,
თითოეული *თქვენთაგანი* დამნაშავეა!
მაშ, დაიდრიკეთ და ატარეთ თითოეულმა!
ტარება არ გსურთ? ამით ტვირთი არ მსუბუქდება,
მაინც მოუნევს თითოეულს მისი ტარება!
ვინც ამ ტვირთს ნებსით შეუდგება, აწევს მსუბუქად.

სად უმაღლესი ხე*, გრიგალი წმიდათაწმიდა,
ძლევამოსილი ღრუბლეული, გასაოცარი,
ველურ ველთა და მდელოთაკენ დაიდრიკება,
ამოიტირებს სადაც წყარო, უჩინარნი კი

ერთურთს ჩურჩულით გაუგებრად ესიტყვებიან
და შეუცნობელ ბედისწერას ნისლებში ხვევენ,
იქ დიდხანს თქვენი ბედისწერაც იყო ფარული.
მისგან გაქცევა ნიშნავს მხოლოდ მის გამოხმობას;
და მის წინაშე ქედის მოხრა სიდიადეა,
ქედის მოხრაზე უარი კი – სიდიადეზე
უფრო დიადი საქციელი, რამეთუ, ალბათ,
ეს ნიშნავს სურვილს, ბედისწერის მოთოკვის სურვილს...
და ოდითგანვე ეს არ იყო თქვენი ოცნება?

არა? მაშ, რატომ ანაცვალეთ თქვენი მამულის
ურიცხვი წმინდა გაზაფხული სხვა ხალხთა ზამთრებს?
თავზარდამცემი ჯირითით და მჯიღებიანი
მუზარადებით*, უამრავი გაშლილი დროშით
როგორ გაბედეთ გალაშქრება ჰუნების მხარეს,
ციებ-ცხელებით გაწამებულ ბიზანტიაზე,
ღვთის საფლავისკენ, მერე – რომზე, კვლავ და კვლავ რომზე,
მბრძანებლურადაც, მუდარითაც, გამარჯვებითაც,
მუხლზე დგომითაც, კვიპროსისკენ, ეგვიპტის ხვატში,
მერე – ორივე ინდოეთის მხურვალებაშიც,
სისხლიან თოვლთა ველ-მინდვრებზე, სადაც ხელს რკინა
ისე გიწვავდათ, როგორც ცეცხლი, წყალსა და ხმელეთს
მიმოფარავდით დაჭრილებით, დახოცილებით,
გაყინულებით! იმთავითვე არ დაიღუპეთ,
როცა განჭვრიტეთ ბედისწერა გარდაუვალი?!
თქვენ არ იყავით, რაკი ერთხელ მთელი სამყარო
ცეცხლის ენებმა უნდა ლოშნონ*, ცეცხლში რომ დაწვით
მთელი სამყარო? დასასრულის ცოდნა დიახაც
დასასრულია.

ხალხი, არა რათა ეცოცხლა,
არამედ – რათა მომკვდარიყო, უკვე ამისთვის
განწირულიყო! ამით ტრაბახს უნდა მოეშვათ!
ვინც მრუდედ ცხოვრობს, მრუდედ სიკვდილს ვერსად წაუვა.
თავი ნუ მოგაქვთ მორჩილებით, თქვენ ის ხალხი ხართ,
ვისაც არ *ძალგიძთ*, მორჩილებას უარი უთხრათ!
თავი ნუ მოგაქვთ და ნურასდროს ნუ წამოგცდებათ, –
გავიყინეთ და ვიშიმშილეთ, გავიხრწენითო!
თქვენს ხრწნას სათავე იქ დაედო, თქვენი საკვები
და ყველა განძი როცა იმათ გადაულოცეთ,

ვინც დაგიმონათ. თავს ნუ იქებთ, რამეთუ მონებს
არაფერი აქვთ სატრაბახო! თქვენს მონობას კი
ღრმა წარსული აქვს. თავს ნუ იქებთ! უბადრუკია,
ვინც სათნოებად რაცხავს ასეთ უბედურებას.

ნამდვილ შიმშილს და მორჩილებას ახლა ისწავლით,
როცა არავინ იშიმშილებს იმის მიზეზით,
რომ *თქვენ* შიმშილობთ, და არავინ დამორჩილდება
იმის გამო, რომ *თქვენ* ისურვეთ მორჩილად ყოფნა.
ყოველთვის ჰქონდა შერეული თქვენს მსახურებას
ძალაუფლების წყურვილი და მოთხოვნილება,
თქვენს სიდუხჭირეს – ფუფუნება, თვითდამცირებას –
მედიდურობა. მსახურება უნდა *ისწავლოთ*
პირველ ყოვლისა, და *ისწავლოთ* თავის განირვა,
უამისოდაც რაკი თავი უკვე განირეთ.
დიახ, ამბობენ, თითქოს თქვენ ხართ თავისუფალი.
თავისუფალი, მაგრამ ვისგან? თქვენ მონები ხართ
თქვენივე თავის. თქვენ ეწევით თქვენსავე ჭაპანს
და – სიდიადეს, გადაქცეულს არარაობად,
იმას, რაც უკვე არაფრისთვის არის ვარგისი,
რასაც ჯიუტად არ იშორებთ, თან დაატარებთ,
რაც უსაშველო სიმძიმეა, იმ კაცის მსგავსად,
თავისი თავი თვითონვე რომ უნდა ატაროს,
რაკი მას ფეხქვეშ მინა უკვე გამოცლილი აქვს.

ნუ გეგონებათ, კიდევ მოვა რაღაც მერმისი,
რომ რაღაც მსგავსი კიდევ ერთხელ განმეორდება,
ან – ასეთივე. მართალია, რაც ქვეყნად არის,
მოდის იმისგან, რაც ყოფილა, და რაც იქნება,
მოვა იმისგან, რაც ახლაა, და ყოველივე
ოდესმე ისევ დაბრუნდება. მაგრამ იგივე
როდი იქნება! ის იქნება ისე, როგორც თქვენ
ხართ და აღარც ხართ ამავე დროს ის, რაც იყავით;
ისიც, რაც მოვა, ის იქნება, რაც იყო, მაგრამ
იმავდროულად არ იქნება ის, რაც ყოფილა.
მაშ, რა იქნება ის, რაც მოვა? ის სხვა იქნება.
ვიდრე მზე ნათობს, აღმოხდება, მოეფინება
ადამიანთა ჭირთათმენას და მერე ჩადის,
ვიდრე საშო შობს და ვიდრემდე სამარე შთანთქავს,
იქნება სხვა და მერე ისევ იქნება სხვა და

ისევ და ისევ სულ სხვაგვარად იქნება.

არა

იმისთვის, რათა უსაშინლესს ასცდეთ, და არა
იმისთვის, რათა ითქვას ის, რაც აღარასოდეს
უნდა დაბრუნდეს და არც ძალუძს მას დაბრუნება,
რათა დაგიცვათ უარესზე უარესისგან,
სიგიჟის ახალ ტალღათაგან და სირცხვილისგან;
არა იმედთა წასართმევად და არც იმედთა
გასაღვიძებლად! ნუ დასტირით ძველ მიცვალებულს!
მიცვალებულებს იმ სიცოცხლის ფერუმარილით
ნუ ალამაზებთ, აღარ არის რომელიც უკვე!
სიკვდილის სამყოფს ნუ შემოსავთ ბრმა ელვარებით!
დაფნის გვირგვინით ნუ დაფარავთ! დამალულ დროშებს
ნუ დახრით! აკი, გამოსცადეთ ცრუ ბრწყინვალება!
შერჩეთ ღირსება მკვდრადყოფნისა თქვენს გარდაცვლილებს.

უსაშინლესიც რომ არ მოხდეს, მაინც მოხდება
იმაზე უფრო უარესი, ვიდრე ახლაა.
თქვენ თუ არ იცით, რა უნდა ქნათ, თქვენს ირგვლივ მყოფმა
ხალხებმა ეს ხომ კიდევ უფრო ნაკლებ იციან.
სამყარო, თქვენ რომ შეაძრწუნეთ, მხარს არ დაგიჭერთ,
საკუთარ თავს ხომ – მით უმეტეს. მას მხოლოდ ახლა
ეხსნება ყველა ის ჭრილობა, თქვენ რომ აჩუქეთ;
სისხლმა, რომელიც თქვენ დაღვარეთ, მოგვიანებით
უნდა იხუვლოს და გადმოსკდეს; თქვენი მსხვერპლისგან
არ მოელოდეთ უფრო დიდ მსხვერპლს! ვინც თქვენ განგმირეთ,
მათ უნდა ექცეთ სარგოდ თქვენი უბედურება.
მაგრამ ვერავინ ამოიცნობს თქვენს დანაშაულს
და ვერ გაიგებს, რა ტანჯვა და წამება გერგოთ
მის დასათმენად, და ვერავინ ამოიკითხავს,
სინამდვილეში რას და რატომ გაუტანჯიხართ,
და ვერ ჩახვდება, კვლავაც როგორ გაიტანჯებით!
არის ისეთი საშინელი დანაშაული,
რომლის საზღვრებსაც ვერ მისწვდება მონანიება.
რას სჩადიოდით, თუ იცოდით – თქვენ კი იცოდით! –
უნდა გცოდნოდათ მაშინ ესეც: *არ შეიძლება*,
რომ მოქმედება საბრალდებო სკამზე აღმოჩნდეს.
თქვენ კი სწორედაც მოსამართლის წინაშე დგახართ,
ძირს გექაჩებათ, მიწისაკენ, სამართალი და

დანაშაული, რომლისთვისაც თავი გაწირეთ.
გაქრა სამივე იმპერია. სამყაროს ჯერაც
სწამს – ოდინდელზე მეტადაც სწამს –, რომ სამყაროა...
თუკი მიგაჩნდათ მართებულად თქვენი ქმედება,
რომლითაც ყველა დანაშაულს თქვენშიც და სხვებშიც
მშვიდი სინდისით ჩაახშობდით, გაამართლებდით
მობარებული განძეულის მიტაცებას და
საუკუნეთა წიაღიდან სტუმრად მოსული
სისხლის მკვლელობას, თქვენივე და სხვისი სისხლისას,
ხელთა და გულთა ძალადობას; თუკი მიგაჩნდათ
და არა მხოლოდ გეგონათ, რომ უფლება გქონდათ,
თუკი იცოდით და იქმოდით დარწმუნებულნი,
მაშინ შეგეძლოთ ეს ყოველი დაგედოთ თასზე
იმ სასწორისა, რომ ეშვება ციდან მიწამდე
და, როგორც ღმერთი, ისე სწონის იდუმალებით,
და მოგეხარათ ჭეშმარიტი სამსჯავროს კართან
ქედი, და მხოლოდ საკუთარი თავის იმედად
არ იქნებოდით, არც საკუთარ ძალაუფლებას
მიენდობოდით, და იტყოდით მაშინვე უარს
თქვენს მცდელობაზე – ბედისწერას აღმატებოდით.
ახლა მოითხოვთ, რომ სხვაგვარად გაგასამართლონ
და არა – ისე, თქვენ სხვებს როგორც ასამართლებდით?
თქვენ რა, მოითხოვთ იმ სამართალს, თქვენ რომ შელახეთ?!
არავინ განსჯის გამარჯვებულს! ასე რომ, ვაი
დამარცხებულებს!

სადაც მოხდა საშინელება,
იქ უარესი ეს იქნება: ისე მოიქცეთ,
თითქოს რაც მოხდა, მომხდარიყოს სანახევროდ და
თქვენც სანახევროდ გედოთ ბრალი დანაშაულში;
ვით იძულებით დაჩოქილი გარეწართ ხროვა,
თქვენც სანახევროდ იჩოქებდეთ, სანახევროდ კი
აიშვათ, როგორც გარეწრებმა აიშვეს ახლა.
ფუჭი იქნება უარისთქმა იმაზე, რასაც
ჯერ კიდევ გუშინ თაყვანს სცემდით; ფუჭი იქნება
არ მოისურვოთ იმად ყოფნა, ვინც დღემდე რჩებით;
მჯიღებს იცემდეთ იმავ მკერდში, ჯერ კიდევ გუშინ
გაფხორილები რომ უშვერდით ბინძურ ბრძანებებს;
სწორედ იგივე ამოსუნთქვით გამოხატავდეთ
სასოწარკვეთას, გამოხატავთ რომლითაც იმედს!

არადა, ასე განა რისი გეიმედებათ?
რომ ამ უბადრუკ თქვენს სიცოცხლეს შეინარჩუნებთ?
რომ შეიძლება უფრო დიდი მოვლენაც მოხდეს,
ვიდრე ეს თქვენი დაღუპვაა? ალბათ, ორივე!
დიდი ხანია იმედოვნებთ და იქვე მალავთ
თქვენ ამ იმედებს! თქვენ ეს უკვე მესამედ სცადეთ!
ბედისწერა კი თავის სათქმელს ერთხელ ამჟღავნებს.
ჩადენილს უკვე ვეღარ შეცვლი. თქვენ იმედოვნებთ
თქვენი თავისთვის, სულაც არა – იმისთვის, რასაც
იმედოვნებდით.

შეიძლება მოხდეს, უეცრად,
თქვენ ბედისწერამ კიდევ ერთხელ ამოგირჩიოთ,
ვით აგირჩიათ დღემდე ხშირად, მაგრამ ის მაშინ
თქვენს შორის სულ სხვებს ამოირჩევს და არა – იმათ,
ვინც უკვე სრულად დაიხარჯა, რაც უკვე სრულად
ამოინურა.

ჩავლილია უკვე ყოველი.
დადუმებულა ყველა ზათქი, ყველა ქუხილი.
სისხლით გაჟღენთილ ბორცვებს უკვე გუგუნ-გუგუნით
გადაუვლის და მოშორდება ღრუბლების ჯარი.
თითქოს, გიგატურ არსებათა ვეება მხრებმა
შავი აჩრდილი მოიშორეს, მტვერი ეცემა
იმას, რაც უკვე მტვრად ქცეულა. მკრთალ სინათლეში
აქა-იქ ქუფრი ნანგრევები გამოიკვეთა;
დაუმარხავი ძვლების გროვა; ძლივს შესამჩნევი
ბორცვ-საფლავებით აგებული ერთი საფლავი!
ო, აღსასრულის დღე, რომელიც დღე არ ყოფილა!
ო, ღამე! მკვდარი ეს სიჩუმე, სავსე ხმაურით!
მკვდარი ჰაერი, სავსე ხმებით! არ გყოფნით, განა,
ო, აჩრდილებო, ეგ დიდება? ყველა დიდება
შეცდომაა და სიბრიყვეა! თქვენი დიდება
თქვენს შეცდომებზე ბევრად უფრო უარესია.
რა გაბობოქრებს, თვალდათხრილო, ტუჩმობრეცილო,
დაჟანგებული აბჯრითა და ძონძის დროშებით
აღჭურვილო და უსასრულოდ მოფუთფუთე ბრბოვ?
თქვენ თუ იმ სისხლით იკვებებით, რომლის შესახებ
ისევ ჩურჩულებთ, მაშინ, ვიდრე ყვირის საყვირი,
არ გეღირსებათ მოსვენება; ვიდრე ლაშქარი

გამოდის ველად, ვიდრე ჯერაც აირეკლება
უძირო ზეცა, ხანძრით სულმთლად გაწითლებული,
წითლად შეღებილ გუბეებში, შემზარავი და
მაინც აღმძვრელი უსასრულო აღფრთოვანების,
კეთილშობილი და წყეული იმავდროულად,
მძლავრი, დიადი, უბადრუკი; ვიდრე ბრძოლების
ბოლო ხმაური და გუგუნი ბოლოს ატეხილ
ქუხილთან ერთად დავიწყებას მიეცემოდეს.

შენიშვნები

* არ არსებობს კათოლიკური საკურთხეველი, რომელზეც წმინდანთა რელიქვია, თუნდაც ასეთი რელიქვიის რაიმე დეტალი, არ იქნებოდა ნარმოდგენილი.

* მითითება ნოსტრადამუსის სიტყვებზე:

> [ვიღაც] შორს ნავა სიკეთის გზაზე: მერე მარჯვნივ
> ჩამოჯდება ოთხკუთხა ქვაზე,
> მარცხნივ დარჩება მთელი სამხრეთი,
> ხელში [ექნება] ბოსტონის დაჭმუჭნული ქაღალდი, რკინის სკივრი.
>
> *(ძველი ფრანგულიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ)*

ბოსტონი – ბანქოსებური თამაშისთვის განკუთვნილი ქაღალდი.

* მინიშნება იმ გარემოებაზე, რომ იმ ქვეყნებში, რომლებსაც ეკლესია დასჯიდა, ტაძრები დაკეტილი იყო და არც მიცვალებულისთვის წესის აგება და არც მესის გალობა ან წაკითხვა არ შეიძლებოდა.

* იგულისხმება კეისართა იმპერია.

* იგულისხმება კაიზერთა ათასწლოვანი მმართველობა.

* იმპერიის დიდ გერბზე გამოსახული იყო მრჩობლი არწივი ჯვრით, რომლის ვერტიკალური ძელიც ფრთიდან ფრთამდე იყო გაჭიმული და რომელზეც მაცხოვარი იყო გაკრული.

* ჰერაკლეს და აგამემნონის მიერ. რამეთუ არა მხოლოდ უსამართლობის გამო, მხოლოდ ელენეს *ეგრეთ წოდებული* მოტაცების გამო, დაიწყო ომი ტროას წინააღმდეგ, არამედ სამართლიანობის გამოც, კერძოდ – დედა-სამართლიანობის გამო. ელენე სპარტას ისეთივე მემკვიდრე იყო, როგორც კლიტემნესტრა იყო მიკენის ერთმმართველი მბრძანებელი; მაგრამ მენელაოსს თავისი თანამდებობა, თანამდებობა დიდი გამგებლისა, ისევე არ უნდოდა ფარისისთვის დაეთმო, როგორც აგამემნონს არ ემეტებოდა საკუთარი თანამდებობა ეგესთასთვის. ჩვენს ძალებს კი აღემატება იმ შორეულ დროთა უკეთ განჩხრეკა და იმის გარკვევა, ჰქონდათ თუ არა უფლება ლედას ქალიშვილებს, სხვა სასიძოებისთვის მიემართათ.

* პრიამოსის ვაჟები, ელენეს სასიძოები.
* პრიამოსის სახლი.
* კიროსის მიერ.
* საიდუმლო გამოცხადების მერე.
* ჰოჰენშტაუფენებისა და პრუსიელებისგან, მათი მეორე სახელით.
* მეოთხე; ფრიდრიხის ნაბიჭვარი; ფრიდრიხის ვაჟი.
* ეს *ორივე* ფრიდრიხმა მოიმოქმედა.
* მსოფლიოს ხე.
* ღირსების.
* აპოკალიფსის მიხედვით.

ალმა იოჰანა კიონიგი

მწუხარე ოდა

მარტო ვარ. პარკებს ჩემთვის როდი მოუქსოვიათ
ძაფი, სხვა ძაფებს ოქროსფრად რომ ჩაექსოვება.
არამყარია, ვით მზის სხივით გაბრწყინებული
ობობას ქსელი შემოდგომისა.

ყოველთვის – მარტო. არ შეკრულა ჩემთვის ქორწილი
ყვავილმონწული; მე მეუღლის კერა არ მერგო,
მოტიტინე ჩვილს ჩემთვის "დედა" არასდროს უთქვამს,
მე ეს წარსული არ გამაჩნია.

თავქვე მივყვები, გამოღლილი, ცხოვრების ნაკადს,
ხელი შევუშვი უკვე ხოფებს. საითაც უნდა
მიმაგდოს ქარმა, დინებამ თუ ღმერთების ნებამ,
მე მხოლოდ ყოვლის დათმენა მინდა.

უკვე ჩამცხრალა წყლის ხმაური, ჩემი მღელვარე
სისხლის ტალღებიც დამდგარა და ნისლიან მინდვრებს
ვუმზერ, ტოტებს ჩხვერს ჩემი ნავი და თავს ეხრი უკვე
გადმონოლილი ტირიფების ქვეშ.

ფაუსტა

მე, ცესტიუსის სახლის ხარჭა, უცხოთ ვიტყუებ
ირიბი მზერით, ღიმილით და მი-და-მო-რწევით.
მე, ცესტიუსის სახლის ხარჭა, ყვითელ შუბლსაკრავს

ისე ამაყად ვირგებ, როგორც – კეისრის გვირგვინს.

მე, ცესტიუსის სახლის ხარჭას, უმცირეს ფასად
გამხსნი, მავანო, ვით განცხრომით სავსე ზარდახშას.
ხარჭა ვარ, მაგრამ შენ შეიძენ ტკბობას და არა –
ფაუსტას. იგი თავადვე წყვეტს, ვის უძღვნას თავი.

მიმწუხრზე

არა! არ მნებავს ჩირაღდნები
და არც – ცეცხლი, ანთებული სპარსული ზეთით,
არც ბალიშები გაამრავლოთ,
რომელთა მჭახე აბრეშუმზე გაგორებულან გაშიშვლებული თეთრი ასულნი,
მარმარილოს ხიდებივით მოხრილი ზურგით ტკბობის ზღვაში
გადაშვებულნი!
არ გადაჭიმოს გურუმ დაფდაფი
დახვეწილი და სწრაფი თითებით,
ვიდრე უკანვე მიიქცეოდეს ჩემი რიტმულად მჩქეფარე სისხლი.
და არც ვარდები მიმოაპნიოთ გლუვ იატაკზე, როგორც მკვლელობა,
არ მაიძულოთ, მე რომ მფარავს, იმ ვუალიდან
გამოვიდე და მივნებდე ცეკვას – ისე ავენთო, როგორც ფარვანა,
რამეთუ მაშინ ჩემი გული ნადილისგან დაიბზარება! აქ ხართ ყველანი,
მაგრამ სად არის ის ერთადერთი, ჩემს ზეიმად რომ გადააქცევს თქვენს
დღესასწაულს?

ფაუსტა დედოფალ პოპპეას

როცა შემოხვედი წუხელ შებურული და ასე მიბრძანე:
"მომრთე, შენ როგორც ხარ ახლა მორთული და შენსავით შემმოსე!" –
ოი, დედოფალო, გეგონა, მუხლს უმალ ისე მოგიყრიდი,
როგორც – ცესტიუსი, როცა შენ ჩვენს სახლში პირველად მოხვედი.
ჩემზე ღარიბი ხარ, პოპპეა, მრავალი ქვეყნის დედოფალო,
რადგან შენი ტკბობა ჩემს ტკბობაზე მეტხანს სულაც არ გრძელდება,
შენი ბრწყინვალება არ მომსურვებია მე ჯერაც არასდროს,
ხოლო შენ ითხოვე ჩემი სამოსელი და ჩემი სარტყელი!

შეხვედრა

მალამოს შუშა და ეს სარკე აიღეთ,
ჩემი ვუალი და ჩემი სამკაულიც
აიღეთ და წადით, ვიდრე გაგახურებთ
თასი, მე რომ ავწევ თქვენთან შესახვედრად!
ლუკა, შენ აქ დარჩი, ჩემს გვერდით იყავი!
იქ, ქვემოთ, იცოდნენ: "ხვალ ცეკვავს ფაუსტა,
ხვალ თქვენს თვალს ფაუსტას სიშიშვლე აღავსებს
და – თქვენი ვნებების ჭუჭყით შებილწული –
იცინებს ხვალაც და ყოველღამ იცინებს!"
მაგრამ დამანებეთ დღეს მხოლოდ სიბნელე,
თმა დაუვარცხნელი, უნიღბო იერი,
საწოლი, ვნებას რომ არ დაურნევია,
დღეს – რაკი არავის გავუფრთხილებივარ
და ხალხში მე ლაღი სიცილით შევიჭერ –
პეტრონიუსს დღეს გადავეყარე!

ლუკანუსი ფაუსტას

როს მონარნარე ნაბიჯები შენს მდიდარ სხეულს
ჩაატარებენ ჩემს თვალნინ და ვნებით აღსავსე
ეგ თეძოები გაბრწყინებულ და ნატიფ ქსოვილს
ნაკეცთა ჩრდილებს მოაფენენ... მე ვთრთი, ფაუსტა!
როს მზერას მტყორცნი, გული სიღრმეს სიღრმემდე სწვდება,
და, ვუალებში დამალული, როს გამიღიმებ,
ჩემს თავზე უმალ დიდებული დაფნის გვირგვინი
გარდაიქმნება აფროდიტეს მსუბუქ ვარდებად.
ხშირად ვოცნებობ, სიმღერაში, ვით მოოქროვილ
ჩარჩოში, შევძლო მოვიხელთო შენი ხატება,
მაგრამ ვაი, რომ სილამაზის ხანძრის ნინაშე
ყველა სიმღერა უძლურია, რაც მე შემითხზავს,
და უნორჩესი გაზაფხულიც უფერულდება.

ლუკანუსის შეურაცხმყოფელი წერილი

შენ, ალბათ, ხშირად გიფიქრია, რომ დამატყვევე,
ხელები მტკიცედ გამინასკვე თმის ოქროს ჯაჭვით.
და უნაზესი შენი კოცნა ჩემს ბაგეებზე
რომ დამდნარიყო, მე მოწყალედ უნდა მეთხოვა.
ფაუსტა! განა, შენ არ იცი, ძაფს დღიდან დღემდე
ღამით ტკბობისთვის რომ ართავდა გმირი ჰერაკლე?
იგი ხომ ამას სჩადიოდა არა ომფალეს,
არამედ მხოლოდ ენების ძალით, და დაიფერფლა
თავი დიადმა, ღვთაებრივმა და მარტოსულმა.

ლუკანუსი ფაუსტას

განა შეძლებდი, ნასულიყავ და ჩემი სული
ტკივილებისთვის გაგეწირა? შეძლებდი წასვლას,
და ჩემს მიგდებას სურვილისთვის, მკვლელი ქალისთვის,
ვისი ხელებიც მიპირებენ – ბოლო მომიღონ
იმით, რომ დიდხანს არ მაღირსონ შენი ალერსი?
რაც შენ წახვედი, მოლოდინის მტანჯველ საათებს
ვერ ვუმკლავდები, გარს მეკვრიან ხუნდდადებული
მონები, როგორც საზიზღარი ვირთხები, შენ კი
მე, სიყვარულის ბორკილებში გახლართულ მონას,
გულცივად მართმევ შენი ნახვის ყოველდღიურ პურს?
შეძლებდი წასვლას მას მერე, რაც თავი მიძღვენი?
შეყვარებული, ვით შეძლებდი ჩემს მიტოვებას?
შენ ჩემი იყავ, ამიტომაც ჩემმა სიმღერამ
შენ უკვდავება მოგანიჭა, ხოლო მე ვკვდები
მარტოსული და განდეგილი, რაკი შენი ვარ.

ჰორტალუსი ფაუსტას

შეხედე! თავი დაანებე, გაერიდეო,
ასე მირჩევენ მეგობრები, ტკბილო ფაუსტა!
უკეთურობას შეგამთხვევსო, მეუბნებიან,
რაკი შენი ვარ ყველაფერზე, თვით ეროსის ნებაზეც, მეტად.

ასე მირჩევენ მეგობრები: მიატოვეო,
ის ჩამიჩი ხარ, ნაადრევმა შემოდგომამ დროებით რომ დაივიწყაო,
ის კი ქორფაა, ვით სიახლე, რასაც მზიანი, ოქროვანი დღე გვპირდებაო.
შეხედე! შენს თავს უშველეო, ასე მირჩევენ,
მე კი მტანჯველი ბორკილებით დატყვევებული,
მუხლმოყრით ვდგავარ შენს წინაშე და თავს ვხრი შენსკენ,
ვინც, როგორც ხმალი, მოქნილი და სასიკვდილო ხარ.

სარკის წინ

ვარცხლის სარკეო, ერთადერთო მისანდობელო
მეგობრებისა, შენ, ვინც ჩემივ არსებას მჩუქნი,
როცა მას სხვები დაიპყრობენ მხოლოდ და მხოლოდ.
ცოცხალს მიჩვენებ ჯერაც ჩემს თმას, მთლიან ხელეულს,
ეს თვალიც შავი ცდუნებაა, ბაგე – ხაფანგი!
მაგრამ დრო მოვა, შემპარავად როს გამაფრთხილებ:
"გახსოვდეს, მიწყივ არ იქნება შენთან ვენერა!
შენი თმის ოქროს მალე ვერცხლი შეეპარება,
ღანვების ბალი სისხლს დაკარგავს და ბაგეთა ბლის
ნაყოფიც ერთხელ გახმება და გავერანდება.
რაკი გარგუნა სიყვარულმა ამდენი განძი,
დე, გიხაროდეს ეს განძი და ნუ გეყვარება!"
ვერცხლის სარკეო, შენ ფაუსტას პასუხიც იცი?
"მთელი ოლიმპოს უმხურვალეს სიხარულთაგან
რას გვიბოძებენ ქალღმერთები ჩვენ, მათ მოკვდავ დებს,
თუ არა – მხოლოდ საკუთარი ბედნიერების
იმ ნაყოფიერ გაელვებას, იმ ერთადერთ წამს,
უცხოთა თვალში რომ აღანთებს სურვილის ცეცხლს და
მით ვუტოლდებით მარადიულ გამოსხივებას.
თავყრილობას რომ გამოვუჩნდე მე დღეს მიმწუხრზე
და გამრჯე მჭედლის ხელებს ურო არ გაუვარდეთ
და არ დაუშვას მიტანილი პირთან ფიალა
მოწყურებულმა ამფსონმა და არ უკუიქცნენ
განითლებული გოგონები და ბერიკაცის
უკვე ჩამქრალი გულიდან რომ არ ამოხეთქოს
უკანასკნელმა მხურვალებამ, ხოლო პირველმა
არ ამოხეთქოს უწვერული ბიჭის გულიდან –
მაშინ, სარკეო, მომინდება, სახლში მოვბრუნდე

და დაგამსხვრიო და იმავე ცეცხლში დაგბუგო,
რომელიც ჩემი სხეულიდან არას დატოვებს
თვინიერ ფერფლის, სწორედ ისე გადაშვებულის
ქართან თამაშში, როგორც ადრე ტკბობის მორევში
ჩემი უნაკლო ტანი იყო გადაშვებული".

ლუკა

უფრო ახლოს მოდი, მოდი მეთქი, ლუკა! მჭიდროდ შემომეჭდე.
ნეტავ, თუ გაალღობს შენი მხურვალება ჩემი დარდის ყინულს?
სპილენძისფერი და მოშრიალე თმა გაქვს, ჩემს თმაზე მბრწყინავი,
ჩუმად შერეული ეგვიპტური სითხით ოქროდ რომ ელვარებს.
თქვი, რატომ ვერ ამჩნევს კაცი კაცთაგანი, თუ როგორ ტკბილად და
აისის ვარდისფრად მტოვებ, მოთენთილი საწოლს რომ ვერ ვწყდები.
ერთ დროს მეც თხუთმეტი წლის ვიყავ შენსავით, ძონძებით ვმალავდი
ჩემს სხეულს, თავზე კი მძიმე კოკა მედგა და წყალი დამქონდა,
მარდად მიმოვქროდი ცირკში გასართობად მოსულთა რიგებში,
ტკბილი ხმით ვიპყრობდი მწყურვალ-გათანგული ხალხის ყურადღებას.
და ბედი რომ არა, ერთხელ მწვანეებმა როცა გაიმარჯვეს,
ხოლო გულწასული ლიბია სკამს მოსწყდა და წყლისთვის მომიხმეს,
კოკით თავმორთული, ძონძით ვიქნებოდი დღესაც შემოსილი.
არც ჩემი სახლი და ბაღი მექნებოდა, ვერც ლუკას ვნახავდი.
ოჰ, რა ცხარე ცრემლით ავტირდი, ტოგების იმ თეთრ სიუხვეში,
ხალხი რომ დაიძრა დასახმარებლად და ამფორა გამიტყდა.
"საბრალო პატარავ, განა, ამ ნამსხვრევებს უნდა დასტიროდე?
შენ ხომ თავი კოლხთა საწმისით მოგირთავს, იასონის განძით!"
ახლაც კი ჩამესმის ხმა პეტრონიუსის და ვხედავ მის ღიმილს,
შევიგრძნობ მის თითებს, ჩემს თმას საამოდ რომ ეალერსებიან.
ამდენი ხნის მერე მე ისევ ერთადერთ იმ ღამეზე ვფიქრობ,
როცა მის მკლავებში ვნება ისე ვშობე, როგორც ბავშვი ჩნდება...
ლუკა, შენი თმა და შენი სიყმაწვილე, თქვი, რაში გარგია,
თუ ვერვინ აფასებს, პეტრონიუსი კი წუხელ აღესრულა.

საზღაური

შავ პროცესიას წააგავდა ჩემი ბავშვობა,

ვით კვალში ჩამდგარ მონადირეს, ისე ვუფრთხოდი.
და მატირებდა, მაყვირებდა მე შიშის გრძნობა,
ძველი გალავნის გაყოლებით რომ გავურბოდი...

დამსგავსებოდა სიყმანვილე უღრმეს მაღაროს,
და დღის ნათელი იქ ქვასავით იძირებოდა.
მე დავდიოდი ცეცხლმოდებულ ღამის ჩიხებით,
ხოლო სადღაც შორს ყრუ სიმღერა იკარგებოდა...

ჩემი სიმნიფე – წისქვილის ქვის ბრუნვა-ღრჭიალი –
ფქვავს პურის ნაყოფს, აქუცმაცებს პურის სიმნირეს.
მაგრამ სულ ერთხელ როცა მოგკარ მოღიმარს თვალი,
მაშინ ერთბაშად გაიქვითა ყველა სიმწარე...

სახლი გაზაფხულზე

მეც გაზაფხულის მეგობარი ვარ,
ისე, ვით ყველა, ვინც მისთვის გალობს,
წელს კი მას თავზე გვირგვინი ადგას,
უცხოდ მორთულა, ღიმილით მათრობს.
ჭალებს და ტყეებს უხვად მიბოძებს,
მინდვრებს, ჩემს ხვასტაგს, ჩემს სახლს, ჩემს ეზოს,
ის შენ გგავს, არც ის არ მიმატოვებს,
და ვმზეობ, როგორც შენს გულს ენებოს!

ჩასნედი, იხილე: ბედის ტრიალი,
ორთა სილალის ზრდა და მატება.
მნუხრი: შენს ფეხქვეშ ხრეშის ჩხრიალი
და მნუხრში ჩემი ლამფის ნათება!
ზამთარი: ერთად რომ შევყუჟულვართ,
ძვირფას წიგნებში თავჩარგულები!
ჩვენს შვილს მოველი, ის ჩაისახა
ძლიერი ვნებით, სავსე გულებით!

მჩუქნი სამშობლოს, სახლიც შენგან მაქვს,
იქ, სადაც შენ ხარ, შფოთვა არ არის.
ობოლი დარდი შენს მკერდთან მოთქვამს,
შემოგკანკალებს შიში საზარი.

ჩემს ცხოვრებაშიც დადგა მომკის დრო,
პირველად ახლა ვიწყებ გაგებას,
ფოგელვაიდეს რაც ახარებდა:
“მივის სამკვიდრო, მივის სამკვიდრო!”.

ყოველდღიურად

ათასჯერადი ჩემი კვდომა ყოველდღიური
ჯვარზე გაკრულის სიკვდილია მარტოდენ შენთვის.
მაგრამ ყოველღამ შენი ბაგე კვლავ ზეციური
ძალით აღსავსე ჩემს სიცოცხლეს კოცნის და ერთვის...

მე მსურს, ყოველდღე გადავცურო შორეთის ზღვები,
რათა დავიხსნა შენგან თავი, შევძლო ეგების.
მაგრამ ყოველღამ, მე ყოველღამ შენ გიბრუნდები,
გადმომცურავი კიდევ უფრო შორეულ ზღვების...

ყოველდღიურად გათოშილი უნდა ვფიქრობდე:
“მე მას მარტოდენ იქ, სიკვდილში, დავისაკუთრებ.”
ღამით კი, ღამით, მინდა ქვეყნებს ჩამოვდიოდე,
ჩემთან მოსული ერთ ტკბილ სიტყვას თუ დამაპკურებ...

უგვანი ქალი სილამაზეს

გოგო, ისეთი ლამაზი ხარ, ცოდვა როგორი ლამაზიც არის,
მე კი ისეთი უგვანი ვარ, სიბრძნე რომ არის.
რამეთუ სიბრძნე უგვანი რომ არ ყოფილიყო, ის ხომ ბრძენი არ იქნებოდა?
მაშინ სულელი იქნებოდა, ისეთივე სასტიკი და ბედნიერი,
შენ რომ ხარ, გოგო!

გოგო, როგორი ლამაზი ხარ – ასეთი რომ დარჩებოდე სამარადისოდ!
რამეთუ როგორ უნდა დარჩე ასე ლამაზი, შენს უძვირფასესს თუ
ნაგართმევენ
და უკვე ვეღარც ლამაზი და ვერც ბედნიერი,
მით უფრო ბრძენი ვეღარ იქნები,
როგორც მე, გოგო!

ლოცვა

მომეცი ძალა, გადავლახო ნარსული, ღმერთო.
მომეცი ძალა, შენს სულს, კეთილს, მივაგნო, ღმერთო.
მომეცი ძალა, ბრმებს ნათელი ვაჩუქო, ღმერთო.

მომეცი ძალა, ჭრილობებიდან ავაბრიალო ვარდები, ღმერთო,
მძიმე დროთაგან ავაყვავო უარი, ღმერთო,
მარადისობას, შენს არსებას შევუდგე, ღმერთო.

მუხლმოყრილებმა, დაე, ჰპოვონ იმედი, ღმერთო,
ისე, მე როგორც მომიბოძე იმედი, ღმერთო,
როგორც დამლოცე და ყოველი შემინდე, ღმერთო.

პაულა ფონ პრერადოვიჩი

ელეგიები

ელეგია თანალმობის შესახებ

შენ, დახმარების მსურველი ვინც ხარ და ქრისტიანად გეგულვის თავი,
თუ არის შენში თანალმობის ძლიერება და სიყვარული თავგანწირული?
თუ გსურს, მგლოვიარს გლოვის ღამით დაჟინებით არ უჩიჩინო,
რომ მისი მოთქმა და ნაღველი უმცირესია, რომ შეცდომაა მისი ნაღველი,
რომ მისი წილი სიღარიბე სასიხარულო განძია და სხვა არაფერი?
მაშ, არასოდეს ყოფილა შენთვის მისი ტანჯვა და ნაკლულობა ზედმეტი
ტვირთი?
არ დაგდო ვალად, არ მიგითითა, რომ შენ იყავი ნაბიჯნელი, უსიყვარულო?
მტირალთან ერთად მისი ცრემლების თავწყაროში თუ ჩაძირულხარ,
უბილიკო და კუპრისფერი მისი ვაების უცხო გალავნის გულისგულში თუ
ჩაგიხედავს,
ღრმა სიყვარულად გადმოღვრილი გულით, გულნრფელად, მასთან ერთად
თუ გიგლოვია,
როცა საშველი აღარ იყო, გამქრალიყო ყველა იმედი?

ყური დაუგდე თუ არა მოხუცს, გაუთავებლად რომ საუბრობდა? და
მოთმინებით
თუ მოუსმინე, მიტოვებული ქალიშვილი სიყვარულზე ნაღვლიანად როგორ
მღეროდა?
შენ, ვინც ყოველთვის მზად იყავი ხალისიანი ხუმრობების ასატაცებლად,
თუ გარდაქმენი შენი სული მოვაგლახის ტანჯულ სულად და
თუ იდექ მისი მწუხარების წინაშე ისე ხელებგაშლილი, როგორსაც იგი არ
მოელოდა?
თუ დაგინახავს კანკალით და ცახცახით სავსე ფორიაქი იმ ბავშვების
გამოხედვაში,

უსიყვარულო სახლში რომლებსაც სულს ართმევდნენ და ანაყრებდნენ
შურით და ღვარძლით?
თუ მოუყარე მუხლი დამფრთხალ, შეშინებულ იმათ მშობლებს და
შენი უსაზღვრო თანალმობით კვლავ იმედი თუ ჩაუნერგე?
მჯდარხარ თუ არა სათუთად, ჩუმად, დავინყებული პოეტის რუხ და
მტვრიან ოთახში,
ღრმად გულში მისი დამფასებელი? რათა ჟამთასვლით გახუნებული
ნაყოფები მისი შრომისა, ყინულოვანი მდუმარებით დამძიმებული,
მზის გულზე დიდი მონდომებით გამოგეტანა?
თუ შეიცანი გარდაცვლილში, მიმწუხრის ნისლმა რომ მიითვისა,
თუ შეიცანი მასში შენი ძმა, თუ დაიტირე ის ერთგულად, მშობლებთან
ერთად,
სახლში, ღამით რომ დაცარიელდა და დარჩა მხოლოდ ხმამაღალი
სიცარიელე?
თუ დაიტირე იგი ისე, რომ სასაფლაოს კარიბჭესთან არ დაგიფერთხავს
სამგლოვიარო ნაღველი და სასწრაფოდ შენს გზას არ გადგომიხარ ისე
უგრძნობლად და ისე ცივად,
სამგლოვიარო ბაფთით, გვირგვინით ცრემლებიდან თითქოს თავი
გამოგესყიდოს?
სიამოვნებად ხომ არასდროს წარმოგისახავს შენ მორჩილება უსასრულოდ
მარადიულ ნებაში ღვთისა,
როგორც იაფი და მსუბუქი, რაღაც აქვე მდებარე ნივთი,
მაშინ, როცა ის არის მძიმე, არის საზარი, უკანასკნელი და საშინლად
ამაღლებული,
და სასიკვდილოდ გაუვალ ტევრში მიმავალი უმძიმესი გზით მოიპოვება?
მაშ, მოიძიე, კარგად მოჩრხიკე, აღმოაჩინე და არ დაკარგო,
ადამიანო, მონათლულო, გამოსყიდულო, განძი ნამდვილი მორჩილებისა,
სხივდაფენილი სიხარულისა, რათა იქმოდე იმას, ოსტატმა რაც გვიანდერძა,
უდრტვინველად დაცლიდე კათხებს, უკვე მწარედ რომ შემართულან და
მოგელიან,
ფეხმოუცლელად განვლიდე ტანჯვის ქვეყნის ბილიკებს, დაგეგმილებს
სამარადისოდ.
მაგრამ იცოდე, ***თანა-ლმობა*** ვისაც გებოძა, ვინც ღატაკთ მოძღვრავ,
შენი თავი უფლის ნებას შეუთანადე.
იცოდე, უფლის ნება ის არის, რომ შენ ცხოვრობდე უცხო ტანჯვაში,
ცხოვრობდე მარტო, ნუგეშის ყველა წყაროსაგან თავისუფალი,
რათა უწყოდნენ მგლოვიართა: ***აი, აქ არის ადამიანი, ვისაც ვუყვარვართ.***
იყავი სისხლი სისხლთაგანი სიღარიბისა, იყავი ხორცი ხორცთაგანი
ღაღადისისა!

როგორც მრავალთა ცოდვებისთვის ჯვარს ეცვა ერთი,

ისე გაეკარ სასონარკვეთილ ადამიანთა გაუსაძლის ტანჯვა-წამებას,
დაე, ლოგინად ჩავარდნილი ავადმყოფების ურვა-ვაებას მიელურსმე
სამარადისოდ,
და არაერთგულ, მოღალატე სულებთან ერთად მორჩილად შესვი წამების
ძმარი,
ჩანექი მკვდრებთან ერთად კუბოში და ჩაეშვი განსანმენდელში.
ამის მერე კი ამოყვინთე ჭეშმარიტი იმედის და რწმენის ნათელში.
იყავ ნუგეშით სხივმოსილი, როგორც ვარსკვლავი, უწმინდესი სიხარულით
გაბრწყინებული.
უძნელესია თანალმობა, ხოლო სიკეთის დიდი ძალის შეთვისება დიდ დროს
მოითხოვს,
სასიამოვნოდ და სასურველად როდი მოსავს სიბრალული მანუგეშებლებს.
ჯერ შენ ტკივილის მთელი სისავსე გაბედულად უნდა იტვირთო,
ჯერ მწუხარების დარბაზში გელის ერთადერთი საცხოვრისი, რათა "მე"-
სგან გათავისუფლდე,
და შენთვის მხოლოდ ამის მერე გაიფურჩქნება ის სიყვარული, შენი სახელი
რომლისთვისაც გავალდებულებს,
შენ, დახმარების მსურველი ვინც ხარ და ქრისტიანად გეგულვის თავი.

ელეგია მარტომყოფისადმი

შენ, მიწურული მიმწუხრის ჟამს ქუჩები რომ სავალს გითმობენ,
აჩქარებით რომ მიემართები მარტოსული შენი ბინის მიმართულებით
და კიბეს ავლი და გასაღებს საკეტს მოარგებ და ცეცხლი რომ აბრიალდება,
და სარკმლები რომ ჩაირაზება და თაროდან რომ წიგნს გადმოიღებ
და რომ გადაშლი სწორედ იმ გვერდზე, რომელმაც გკითხა რაღაც ისეთი,
რაც შენ მთელი დღე არ გასვენებდა;
და როცა ღამის სივრცეებიდან, მდუმარების ხმამაღალი ნაპრალებიდან,
შენსკენ მკვრივი წყლის ნაკადები მოირღვევიან
და მაგიდაზე გართხმულ ფურცელს დააცქერდები
და მაგიურად დაიკლაკნება, თითქოსდა ვნებდე იმის სითეთრეს
ასო-ნიშნებით, მას ტანზე რომ აღებეჭდება;
და კალამს როცა მოიმარჯვებ, პირველ სიტყვას ვიდრე დანერდე:

შენ, ბედნიერო მარტომყოფო, გახსოვდეს ერთად შეყრილთა ხვედრი,
იმათი ხვედრი, ვის ირგვლივაც მუნჯი კედლები არასოდეს ფართოვდებოდა,

მიუხედავად იმისა, რომ ფიქრობდნენ და მრავლდებოდნენ, სულაც
კვდებოდნენ;
იმათი ხვედრი, ვის ირგვლივაც საცხოვრისში არ მთავრდება ალიაქოთი,
ვისაც სხვებისგან გასარიდებლად და დარდებისთვის თავმისაცემად ნება
ეძლევათ მაგიდასთან მხოლოდ სადმე კუთხეში სხდომის,
ვისაც, მშვიდად რომ დაიძინონ, როცა ღამდება, საკუთარი საწოლიც კი არ
გააჩნიათ;
ვისი ცხოვრებაც ხველებებით და შეყვირებებით გარემოცულა;
ხვედრი იმათი, ვის ირგვლივაც გაუთავებლად ზუზუნი, კვნესა და
ქირქილია,
მაშინაც, როცა მუშაობენ და მაშინაც, როცა თავს მიდებენ დასასვენებლად.
არ დაგავიწყდეს შენ ისინი, რომლებშიც მწველ ცეცხლს,
მსოფლიო ხანძარს და სიმხურვალეს ყოველდღიურად ღმერთი ახშობდა,
რადგან ვერ შეძლეს მათ ძვირფასი გულმოწყალების, ნარჩევი განძის,
სიმარტოვის თავმოყრა და გამოყენება.
შენ, ხელმწიფეო, ვინც მდიდრული სავარძლებით და ტახტრევნებით
გარემოცულხარ,
არ დაგავიწყდეს შენ ისინი, ვისაც ერგო ციებ-ცხელება, და ვისი ბოდვაც
დასაძინებლად მიმავალი მთვრალი კაცის ხმაურიან ბუტბუტს და
ბურდღუნს დამსგავსებია,
არ დაგავიწყდეს მომაკვდავნი, რომელთათვისაც სამყარო უკვე ბინდმა
მოიცვა,
ამ დროს კი მათი საწოლის თავთან მფარველი ქალის პატარები ბურთს
თამაშობენ.
და ჯერაც ისევ დაუღვინებელ შეყვარებულთა ხვედრიც გახსოვდეს,
მათ ხომ არასდროს ღირსებიათ არც ადგილი, უცხო თვალთაგან დაცული
და გარიდებული,
არც – სიმყუდროვე ერთმანეთის მოსაფერებლად, და ამიტომაც, თავიდან
რომ სათნოები, სუფთები იყვნენ,
უსირცხვილონი გახდნენ მერე განმარტოების გამთანგავი წყურვილისაგან.

შენ, ბედნიერო მარტომყოფო, ამ ყველაფერზე რომ იფიქრებდე!
ო, მუხლმოყრილი მადლობას რომ აღავლენდე, და უმაღლეს მორჩილებაში
დაიმძიმებდე შენს თავს ამ შრომის მანათობელი, ელვარე ტვირთით,
რაკი გიბოძა მან, უფალმა, მარტოყოფნის ბედნიერება
და ყურადღების მოსაკრებად ხელსაყრელი პირობები, სიბნელე და სინყნარე
მოგცა,
მაშინ უფალი, ძღვენს რომ საზღვრავს და ანაწილებს, შემოგთავაზებს ყველა
იმ განძს,
მას რომელიც კეთილად უჩანს. მაგრამ იცოდე,

რომ ის სასტიკად გამოგცდის და უმკაცრესი საზომებით აგიზომავს ყველა
ნაბიჯს და,
შენ, რომელსაც ესოდენი განძი გიბოძა,
როცა დადგება განკითხვის დღე, მრისხანედ გკითხავს,
თუ გაამრავლე უძვირფასესი მისი სიმდიდრე, თუ შემატე ამ სიმდიდრეს
რამე ახალი.

ელეგია შორეთის შესახებ

შეხედე, როგორ ანათებს და გიხმობს შორეთი, აელვარებულ-აჟღერებული,
და – მოსმენილის ლაჟვარდისგან სხივმოფენილნი – სივრცენიც, დრონიც
ფართოვდებიან დიდებულად და მოელიან, რომ შენი ნავი ერთ მშვენიერ
დღეს
მის ნაპირებთან გამოჩნდება, მის მინასთან დაუშვებს აფრებს.
შორეთი შენთვის მზადმყოფია. ოვალები კონტინენტების,
მოციმციმე ქალაქების ლაბირინთი და ყველა ტაძრის ოქროს სიბნელე,
დინჯი მთები და მოხმაურე წყლის ნაკადის იდუმალება;
მთის ქანები და ცხოველები, მცენარეები – გაგონილი, არკი ნანახი,
ათასფერად და მოციმციმედ ნაოცნებარი, სიყრმითვე ერთობ სასურველი
და სანატრელი,
შეხედე, როგორ მოგელიან. ყვავილებით შემოწნული გვირგვინების იალ-
კიალი,
ნათება ციცი ბროლისა და სიშორეში დაბადებული
თვალი ელვარედ შეღინღლულ ჩიტთა, შენთვის არიან შენახული მას მერე,
მინამ
რაც ნადირი შვა, ყვავილები აღმოაცენა. ვით მორთულობა შენი სულისთვის –
რამეთუ სული იცნობს მოლოდინს – აბათილებენ ერთურთს ნათელნი.
დიახ, ისინი ახლდებოდნენ ყოველთვის შენთვის, რაკიღა მოსვლა
დაგაგვიანდა.
მოსავლის ჟამი, მერე ჟამი მისი აღების, დაბადება და კვლავდაბადება,
შორეთში შენთვის აღსრულდებოდა, რათა მხურვალე აღტაცება
დაუფლებოდათ
შენს თვალებს, როცა, ბოლოსდაბოლოს, მზერა მისკენ მიგექცეოდა.
მაგრამ შენ როდი გაემგზავრები, გახსოვდეს ეს და კმაყოფილი იყავი ამით!
არ აღიმაღლო გოდების ხმა, ღმერთს არ ეურჩო.
ერთისთვის არის დადგენილი, ის ერთს ებოძა,

შორეთი, მარად სასურველი ოქროსა და ლაჟვარდების მოსახილველად.
შენთვის კი იგი აკრძალულია, რამეთუ, აბა, საიმისოდ რა ნიშანი
არსებულიყო,
რომ შენ, რომელსაც გიყვარს იგი, ჯერ არ გიხილავს?
შენ, მოთმინებით აღსავსეო, შენია მცირე ეს ქალაქი, სიყრმით ნაჩვევი,
და მახლობელი ტყეც შენია, და – ნაძვებით დაბურული, უკუნი ღამეც.
შენია ფართო და ნათელი და ტრამვაის ხმაურით სავსე დედაქალაქი,
გარეუბნის მატარებელი ორ საათში რომლამდეც აღწევს.
გორაკი, ხშირად რომელსაც ლაშქრავ; შენთვის ნაცნობი ადგილები,
სიძველეები;
ან, ვთქვათ, ეული ბილიკი ველად; მოჭიკჭიკე ნაცნობი ჩიტი.
და საბოლოო სასწაულის მოლოდინში რომ ბერდები, ესეც შენია;
თმა, ნელ-ნელა რომ ჭაღარავდება; უკვე მუხლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ რომ
უძლურდება.
ხოლო ბევრს ფლობენ სხვები, მდიდრული მანქანებით მოგზაურები,
თავის სურვილებს მიცემულები, თავისი თავის ბატონ-პატრონნი.
დიახ, ისინი ალპებიდან ზღვისკენ თავქვე მოგრიალებენ;
მოუნდებათ და იტალიკური ქალაქებისკენ ჰაეროვნად გადაუხვევენ.
ო, რა თქმა უნდა, მათ ახარებთ გალაკული კუპეც ოვალურძარიანი ამ
მანქანების.
რაც შენ ასეთი მონდომებით გიოცნებია: ვთქვათ, რომ გეხილა *ერთხელ*
მაინც
ოქროვანი ლეგენდები მოზაიკების, მათ მოუხილაეთ უკვე მრავალჯერ.
გემებზე ტევა არ არის მათი, რომ სხედან მდიდრულ კაიუტებში
და მსოფლიოს რომ ირგვლივ ზანტად შემოუვლიან, არადა, სწორედ ამ
მსოფლიოს სულ ვერ ხედავენ.
ისინი სხედან მოტორტმანე ვაგონ-რესტორნის ამრეკლავი სარკმლების
მიღმა
და უფლება აქვთ, ხედავდნენ იმას, რასაც შენ, ალბათ, ვერასდროს ნახავ.
რაც მოწეულა და მომკილა, დამწიფებულა კალთაუხე ცის ქვეშ,
შენს სახლს, ოქროსფრად მომლოდინეს, არასოდეს აღავსებს იგი,
შენ არ წაგიყვანს არასდროს გემი საბერძნეთის მოლაჟვარდე ყურეებისკენ,
არც ჩრდილოეთის ფიორდისკენ წაგიყვანს და ვერც მზით სავსე ზღვას
გადასერავ.
შენ იცნობ მხოლოდ მთის ტყიან კალთებს, მაგრამ ვერასდროს ნახავ
გლეტჩერებს,
ვერ ესტუმრები ვერც ღმერთების ძველ სამკვიდრებელს, გულისშემკუმშავს.
მაგრამ შენ, სივრცედასაზღვრულო, ღარიბ-ღატაკო, პროვინციული
ქალაქის ციცქნა ოთახებში მიკარგულო, მივიწყებულო,
მაგრამ ხმობილო და სტუმარო მინიერი დღესასწაულის,

მიუხედავად ყველაფრისა, *შენ* სწორედ ის ხარ, რაკიღა შენთან ახლოს
მყოფი შენ მორჩილად გარემოგიცავს,
რაკი არასდროს ნაგრთმევია შორეთისკენ ლტოლვის სურვილი,
შენ უფრო მეტად დალოცვილი ხარ, ვიდრე – ამ ქვეყნის ბატონ-პატრონნი!
თუ შეიცანი შენი სამშობლო; თუ შენ იხილე უამრავჯერ, რაც გარს გაკრავდა,
მაგრამ სინათლის ამ მუდმივი ცვალებადობით მაინც ყოველთვის ბედნიერი
ხარ,
გარდასახვადი დროის ტრიალში – დამაბრმავებელ თოვლად ქცეულში,
გარდასახულში გაზაფხულის კეთილ სიმწვანედ,
ხარ დღენიადაგ აღტაცებული და დღენიადაგ ხელახლა ხარ შეყვარებული:
დედამიწა მაშინ შენია. და პეპლის ფრთების საოცარ თვალში
შენ შენივე თავს შესთავაზე შენივე თავი, როგორც ნრე მრავალფენოვანი,
გამომცდელი ყოველივესი,
და უსახელო გორაკიდან, მისი მსუბუქი ფერდობებიდან
გამოგიჩნდება შენ, ყველაფრის მიუხედავად, ის, რაც სამყაროს გადახდენია
და რაც სამყაროს უოცნებია.
დიახ, შენია ზღვის ყურე და შესართავი ყველა მდინარის, და ტაძრის ნმინდა
ნაწილებიც შენად იგულვე,
შენია ბროლი და ნადირი და ვარსკვლავი, უცხო მნათობი.
დიახ, შენია სინათლე, ცისფრად მანათობელი, ისიც – გამსხლტომი
კონტურები
ტროპიკული კუნძულების ლაბირინთისა, შენივეა ტაძრის აკლდამა.
შენივე არის ზღვის მღელვარება, ბევრისმნახველი მოგზაური რომელსაც
აღწერს,
შენი – ზვიადი მთის ყინული, საარაკოდ მარადიული,
შენია სულის მოლივლივე ბედნიერება, სულის, რომელიც გამოიცადა,
შენნი არიან ჟღერადობა და ხმოვანება, *შენი – დიადი საგალობელი.*
არა, ცხადია, არ მოგზაუროზ, არც ბატონი ხარ გემების და ეკიპაჟების:
მხოლოდ რაც გიყვარს და რაც შენ გნატრობს, აი, ის გაქცევს შენ ოსტატად
ქვეყნიერების.

ელეგია დაკარგული დროის შესახებ

შენ, ღამით, ზანტი საათების ტანჯვა-წამების სარეცელზე რომელიც წევხარ,
რომელიც ფხიზლობ, ნრიალებ, ბრუნავ, და მობუბუნე საათები ნარმოგიდგება
ვერტიკალური ბოძების ნყებად, შენი უძილო ღამის სიშავის მანძილს რომ
ზომავს;

ადამიანო, ვისაც თვალში არ მოგდის ღამე, რომელშიც ახლა
გამომწყვდეულხარ;
ადამიანო, როცა, ღამეს შეტოვებული, აცნობიერებ, რომ შენი დრო ფუჭად
გაფლანგე,
როს მოვარდნილი გულისცემა თავს ისე გესხმის, ვით მთაში მნყემსებს –
ქვა-ღორღის ჯარი,
რომ ერთადერთი შენი ცხოვრება, რომელიც უკვე აღარასდროს
განმეორდება,
ქარს გაატანე დაუდევრად, შენს ხელებს კი შერჩენიათ სიცარიელე, -
თქვი, რა აკავებს ამ დროს შენში გამყინავ ყვირილს, როგორ არ ფლეთენ
პერანგს, თეთრეულს
მოულოდნელი საშინელებით დაკრუნჩხული შენი თითები
და უხმაუროდ როგორ ინენ ხეშეშ თმას, თავზე ხელნავლებული?
თვალგაუნვდენელ ხეივნებში, უსასრულო ქუჩებში, გზებზე,
ხედავ თვეებს და წლებს და დღეებს, წუთებს, საათებს,
შენგან დევნილებს უნუგეშოდ, ჯერაც ყრმობიდან შენს მიერვე
განიაეებულთ.
ერთ დროს, ოდესღაც, მონყალე მზერამ შენ გიბოძა ეს ყველაფერი,
გამოგიწოდა მეგობრული ღიმილით, უხვად, რათა მიგეღო და გეპატრონა,
ოჰ, რათა წვიმით მოგერნყო ძღვენი – დროისმიერი მარტის მინდვრები,
შენ კი ისინი გამოიტირე, უდაბურ მინად მიაბრუნე, გაავერანე,
უნაყოფოდ და ბერწად აქციე ის ყველაფერი, ფესვების გადგმას რაც
ესწრაფვოდა,
ბევრმა თაობამ რაც ახარა, შრომით და ღვანლით რაც ააყვავა.
რაც დავალებად გაწვა მხრებზე, გადაუდებელ უწყებას რაც წარმოადგენდა,
რასაც ბავშვური შენი თვალებით უმზერდი, როგორც მოყარიბე სიზმარს,
არაცხადს:
შენი საქმე და შენი შრომა, ადამიანო, რომელიც მხოლოდ შენს მხრებს ერგო
და სხვას არავის,
შეხედე, როგორ დაკუნე და დააქუცმაცე, იგი დროს როგორ შთაანთქმევინე,
რამეთუ დროა, რომ მიიტაცებს, ვით ქარიშხალი, ფხიზელი კაცის
ყურადღებას მოციმციმე ფუჭი მიზნისკენ;
ვინც დროს გაფლანგავს თამაშ-თამაშით, გადაექცევა ეს დრო მატლად და
დაეხვევა.
ადამიანო, ყომრალი ღამის მარწუხებში განამებულო, რად გადაიქცნენ
გეგმები შენი სიჭაბუკისა?
შენი შენობა თუ ააგე, თუ დგას იგი, საგმირო და საიმედო საქმის ნიშნად
ლურჯ ზეცაში აზიდული ძვირფასი კოშკით დამშვენებული?
ოჰ, როგორ ოხრავ სიბნელეში ანდა სიკვდილს როგორ ესწრაფვი!
რამეთუ დარჩა კოშკის ნაცვლად ნაკედლართა ნაყარ-ნუყარი,

რომელსაც უკვე მაყვალი და სარეველა ბალახები შესევია თამაშ-თამაშით.

ვაი, რა ულეთოდ გაგიფლანგავს დროებანი სიყვარულისა!
ახლა კი, რაკი უკვე მალე ჩამობნელდება, არც სინათლე და არც ხმაური
ხელს არ გინყობენ,
ეხეტებოდე, დიდ დავალებას შენ ლაჩრულად თავდაღნეული; ახლაღა ხედავ
ყველა ხელს, გახრწნილს, გამქრალს, შენსკენ აღარგამოწვდილს,
ისინი აღარ გეფერებიან, არ გაკავებენ, კეთილნი და მზადმყოფნი და
საიმედონი,
შენ საპასუხოდ არ უწვდიდი რომელთაც ხელებს, ასე გულთბილად
გამოწვდილთ შენსკენ.
ცნობ კი გამყინავ საფეხურებს, გაუბედავად ფეხშედგმულს, მაღალს?
ან ჯერაც ისევ მომლოდინე კარი თუ გახსოვს, იშვიათად რომ შეგიღია?
ან თვალებს თუ ცნობ ჩუქურთმებით დამშვენებული სავარძლებიდან
მომზირალი მოხუცებისას,
რომლებიც მუდამ მოელოდნენ ახალგაზრდებს, ისინი რომ გადაივიწყეს?
სულს გიხუთავდა სინათლით სავსე მათი ოთახი, ჟამთა ტრიალში
გაცრეცილი მათი სიტყვები,
მხიარულებით სავსე ცხოვრებას რომ არ გაცლიდნენ, ჭრელ სამყაროში
მსუბუქად რონინს.
იცი კი ახლა, ღამის მკლავებში მომწყვდეულო ადამიანო, რომ შენ ისეთი
ერთგული და სანდო მეგზური,
როგორიც იყო ეს ფხიზელი ერთგულება ხანმოთეულთა, არასდროს გყავდა?
ეს ერთგულება იყო იმათი, ვინც შენ გიცნობდა დიდი ხნის წინ, შენს პირველ
ღიმილს ვინც შეპხაროდა,
ვისაც შენ მცდარად აფასებდი და განელტვოდი, შეპყრობილი
ცუდმედიდობით?
ისინი უკვე გარდასულან დიდი ხანია, ხმაურიანი საქმეებით სავსე სივრცეში
უკვე მოჩქარე მთლად უცხონი დასახლებულან. ისინი მაშინ აღესრულნენ,
შენ რომ მათგან ძლიერ შორს იყავ.

წევხარ საბრალოდ, ადამიანო, შენი ოთახის ბნელ კუნჭულში მიყუჟული
ჯერაც მდუმარედ
ძრწოლებს შორის უსაზარლესი, და შემპარავად წელში სნორდება
და გეკითხება მომთხოვნი მზერით, მოდრეიფე ცხოვრებაში როგორ
ზრდიდი და
უფრთხილდებოდი შენში ღმერთის დაფარულ სახეს.
თუ წამოიწყე შენ ეს საქმე, ადამიანო, თუ სცადე უკვე აზიდული ნარბის
მოხაზვა,
მისი დიადი იერსახის და მისივე დამამწყალობელი ხელის მოხაზვა?

ან, ვთქვათ, როგორი იქნები იმ დღეს, როცა ჯერ არს, რომ შენი ფიქრი და
შენი რწმენა
წარმოაჩინო საძირკვლად მისი – მარადისის – სურათ-ხატისა?
როგორ? შენში ხომ ჯერაც არ ჩანს და არ იგრძნობა არც ერთი ხაზი?
როგორ? რამეთუ დრო არ გქონდა, და სიმრავლე ყოველდღიურ
ბრწყინვალებათა
გავიწყებდა უფლის დიადი გეგმის დაწყებას.
შენ მეტად აღარ აღგიტაცებს ყოფიერება; ეს ამაღლება მოგენიჭა, ეს და
არა სხვა,
რათა შეგექმნა სულის თვალი, რათა გეხილა
შენ იგი წმინდა ნათელში და თვალდავსილი არ ყოფილიყავ.
როგორ? ნუთუ, შენ დრო არ გქონდა, როცა ეს დრო ჭარბად გებოძა?
როცა დღეებს და წლებს და თვეებს, წუთებს, საათებს
სულ სხვა საქმეებს უთმობდი და ფიქრობდი, ჭვრეტდი, ოცნებობდი,
მოიპოვებდი,
დრო არ მოგეცა, უფალი რომ მოგეძია, შენს გულში მის ხატს გაღვიძებოდა?
შენ, ბნელი ღამის მარნუხებში გამომწყვდეულო, საკვირველო
ადამიანო,
ოჰ, როგორ უძლებ სასტიკ შეკითხვას,
როგორ არ ნასკვავ ოფლიანი ზეწრისგან ბანარს
და ბოლოს როგორ არ მოუღებ ტანჯვა-წამებას, სინანულის ხმამაღალ
მოთქმას?

მაგრამ როცა შენ ოხრავ, მწუხარებ, მარილიანი ცრემლები როცა
მოგდის მდუღარე თვალებიდან, რას ხედავ მაშინ?
შეხედე, მცხრალად რა ციმციმებს და რა განფანტავს თანდათანობით ღამის
სიშავეს?
სიმძიმილს თავი დააღწიე, დაიფერთხე ღამეული ეს ჯოჯოხეთი!
თავი აიღე ბალიშიდან, საწოლს მონყდი და გაბედულების ცხოველმყოფელ
ნყალში ჩაეშვი!
ადამიანო, შენს წინაშე ახალი დღე წამომართულა, და გიხმობს, რათა
გამოიყენო,
რათა შეუდგე მიტოვებულ საქმეს ერთგულად
და დაუზავდე ნაღალატევ სიყვარულს და იცავდე ახალს,
რათა ხელახლა, კიდევ ერთხელ, წამოიწყო ღვთაებრივი ხატის მოხაზვა.

ადამიანო, უსასტიკესი ტანჯვის ძალით გაწამებულო, ბნელ ღამეში
რომელიც ინექ:
ადამიანო, შენ ხომ ჯერ *დრო გაქვს*, რამეთუ ჯერაც ცოცხალი ხარ, ჯერ არ
მომკვდარხარ.

ქება სიღრმისა

შენ, ძონისფერო, არასოდეს ნვდომადო სიღრმევ, მსურს ქება გიძღვნა,
მსურს განგადიდო და გინოდო წმინდა საუნჯე, უნამდვილესი შენი სახელით
დაგასახელო;
დაე, ეს შენში ღიმილის მეტს არას ინვევდეს; მოგუგუნე შენი სიჩუმის
ხანგრძლივ ღამეში გამოხვეული, თავს არიდებდე, დაე, ყოველგვარ ქება-
დიდებას.

შენ ხარ ადგილი ყოველგვარი ორსულობისა, შენ ხარ ცოცხალი მერმისის
აღთქმა.
შენ ხარ ის, რაშიც ყველაფერი გაღვივდება, დანაყრდება ყველაფრის თესლი,
შენ ხარ ადგილი, საიდანაც დედამინის მოხმაურე წყაროები ამოირღვევა,
აზავთებული მხურვალება ვულკანებისა, რომელსაც ათასწლეულები სულს
უბერავდნენ.
შენ ხარ ის, რაშიც მრგვალდებიან მარგალიტები, ავადმყოფობის ლორნო
როცა ჭარბი გახდება,
რაშიც ლალი და საფირონი მოკაშკაშე კოცონებად აენთებიან,
ქუფრ სიბნელეში სადაც ფესვები მუხისა და უთხმელისა ერთმანეთში
იხლართებიან
და ერთმანეთს ასაზრდოებენ, რომ მერე ხარბად განიტოტონ ზეციურ ქარში.

სიღრმევ მიწის და სიღრმევ ზღვებისა! ო, შინაგანო სიღრმევ გულისა!
მხურვალე სიღრმევ, რომელშიც ენის ხერხემალი ყალიბდება და
ძველისძველ სიტყვებს ზუსტი წონა უნარჩუნდებათ,
და წმინდა სიბრძნე იმოსება ფერადოვნად მორთულ მსგავსებით,
შენ, ერთადერთო წყაროსთვალო, საიდანაც დასაბამიდან მოლივლივებს
წმინდა გალობა.

სიღრმევ, აღსავსევ სინანულით, სიყომრალით მარტოსული საფლავების,
სამარხებისა,
მდუმარე სიღრმევ, ნელი-ნელ ხრწნადი სხეულებით გამდიდრებულო,
სიღრმევ ეჭვთა და ცოდვათა და ტანჯვის წარმომშობ გამოქვაბულთა:
სიღრმევ, რომელშიც მარტოდმარტო სრულიყოფა ჭეშმარიტი
ცვალებადობა,
ყლორტი, რომელშიც გაბედული სიყვარული მწიფს და ითმენს და
გახანგრძლივდება,
ჭავ იდუმალო, რომლის დაფლული, მიუწვდომელი დუმილის მიღმა
ვერ ისწაელიდა ვერა ბაგე ღვთაებათა სახელების დასახელებას,

ვერც ერთი შუბლი, უფლის თვინიერ, შენს წინათგრძნობას ვერასოდეს
მოახერხებდა.

ულერადო სილრმევ, შენ გამჭვირვალე სიმაღლეებზე მეტად გადიდებ,
უმეტეს, ვიდრე – მოელვარე დღეს; აცეკვებულ სიმღერას ვიდრე.
შენ სამშობლო ხარ და სამყაროს ციხედარბაზი, მტერი ეჟვნების,
ბრჭყვიალებისა,
შენ თავნყარო ხარ მოვარვარე ძალისხმევის, ნაყოფსავსე ტანჯვას ჩასახავ,
ბნელი გარსი ხარ, აღსავსე ხარ სიკვდილით და აღდგომის აღთქმით.

ელეგია ადამიანის გულისადმი

ო, კაცის გულო, მიცემულო თითოეულ ბიძგს,
რომ გევალება თხელკედლებიანს, - ტანჯვათა ნიაღ დაითმენდე დიდხანს და
დიდხანს
ან მასში სისხლად დაიღვრებოდე! ო, კაცის გულო, როგორ იტან,
როგორ უძლებ წარმოუდგენელ ტვირთს და სიმძიმეს,
ისეთ დამღუპველ, ტკივილებით აღსავსე რბოლას, როგორიც არის ჩვენი, და
როგორ
უფრთხილდები და დაჰკანკალებ ჩვენი სამყაროს აქამდე ჯერაც
არდათმენილი,
საზარლად დიდი და სასტიკი ამ ტანჯვის ცოდნას?
ტანჯვა და ცოდნა ტანჯვის შესახებ: ო, გულო, როგორ შეგიძლია ამის
ტარება,
ან როგორ ძალგიძს, რომ ფეთქავდე სასიკვდილო ბედის შუაგულში,
ძრნოლისმომგვრელად მრავალჯერადი გრაგნილებით გარემომცველში,
აუწყავი წონა-სიმძიმით ნაცარტუტად გადამქცეველში?
ძვირფასო ძმებო, რომელ თქვენგანს არ დაუკარგავს სამშობლო, კერა?
მასაც კი, ვისაც ბომბი არ მოხვდა, მასაც კი, ვისაც თავზე ჭერი არ
ჩამოემხო,
მასაც კი, მუშტმა გარეწრისამ ვინც დაინდო და არ ყოფილა დევნილი ან
ნანადირევი,
არ შეხიზნვია არც სიცივეს უცხოობისას, ალბათ, მასაც კი გააჩნია ჯერაც
სამშობლო,
მაგრამ, განა, ის – ეს სამშობლო – მდუმარედ არ გარდაისახა? მისი
კედლები, განა, ისევ ისეთივეა?

და ძველი ბაღიც, ყველაფერი, არ შეიცვალა?
განა, მასაც კი არ ნაერთვა სახლი, ხანგრძლივად რომელმაც გაძლო და
დაითმინა?

არ აირია, სხვად არ იქცა დასავლეთთა თავზე ეს ზეცა,
უკვე რამდენი ათასწლეულის განმავლობაში რომ ლურჯდებოდა და ღამეში
ვარსკვლავებით რომ ციმციმებდა?

განა, ბნელად და სხვაგვარად არ მოეთაღება აჩქარებულ ქალაქებს ზეცა?
განა, გუთანსაც, მიტოვებულს, არასანდოდ და უცხო ზეცად არ ეთაღება
იგი მას მერე,
რაც უსასრულო მკვლელობების გზით ინსტრუქცია შეუდგინეს ასე
მზაკვრულად?
ო, გულო, ნეტავ, როგორ იტან შენ ცხოვრებას ამ დახეთქილ, დამსკდარ
ვარსკვლავზე,
რომელზეც არსად მოიპოვება სიმყარე და უსაფრთხოება,
არსად – სითბო და არსად – სილბილე, თავი რომ მიდო სადმე ღამით და
მოისვენო?

ნამყო არასდროს ყოფილა ისე შეუვალი და სრულად ჩავლილი,
როგორც – შენი გუშინდელი დღე, ხარბმა უფსკრულმა რომელიც შთანთქა
უტყვად, მდუმარედ;
გაღვიძებული ვულკანების სამშობიარო ტკივილებით ცახცახებს მიწა
დღევანდელისა,
უძლურებანი დაისისა გარს ეჯარვოდნენ ცისკრის კონტურებს.
და გარდაცვლილნიც, ოჰ, მრავალნი, როგორ მჭიდროდ გეკვრიან და
გიმცირებენ უკვე დღენათელს.
მალე ისინი უფრო მეტნი იქნებიან, ვიდრე ცოცხლები ჯერაც შენს პურს
ინანილებენ;
ყმანვილები, ლეგიონები, ყინულოვან შორეთებში ჩარჩენილები,
სისხლის, ყინულის და იძულების სამფლობელოდან
უკანაღარმობრუნებულნი;
მომწიფებული მეგობრები, აღთქმის უმდიდრეს დღის შუაგულში
მონყვეტილები,
მონამლულმა ისარმა ვისაც ზენიტში მყოფი მზის ქვეშ უნია;
მორჩილები და მონყვლადები, უშფოთველი და კარგად დაცული
არსებობისთვის გაჩენილები,
ქარიშხლის მიერ გულისამრევად-ისტორიული სიკვდილისკენ
მოსროლილები:
ო, გულო, ნეტავ, სად დაგირჩა ის ღიმილი, შენს ღიმილს რომ ესაუბრება,
სად დაგირჩა მზერა, ერთგულად რომ დარაჯობს დიდი ხნის წინ ჩამქრალ
შენს მზერას?

დროის გრიგალებს სამუდამოდ შეტოვებული, გამქრალი მკვდრები:
საზარელ ძილში, ღამით, მხოლოდ მათ მოუყრიათ თავი შენი სანოლის
ირგვლივ.

და მაინც, გულო, ხვდები, შენც რარიგ გავიწროებს უბედურება,
და მაინც, იცი, გულო, გრიგალი შენს ირგვლივ რარიგ აბორგებულა.
იქნებ, შენც ღამის უკიდურეს ძრწოლებში მარტო მიგდებული ხარ,
იქნებ, ნილს ყრიან ფიზიკა და სარგებელი მიწის ბურთის გამძლეობისთვის:
მოწყალე ხელი, ასე ხანგრძლივად რომ უკავიხარ,
გიფრთხილდება და დაგკანკალებს, ვით ჩიტს ბუდეში, თბილსა და ფაფუკს;
კოსმოსის სიცარიელეში მოსროლილიც რომ ყოფილიყავ რომელიმე
იავარმქმნელი ვარსკვლავის ძალით,
ის შენ მაშინაც შეგაკავებდა და დაგიცავდა ტკივილთაგან, ჭრილობათაგან.
შენ, კაცის გულო, თითოეულ ბიძგს შეტოვებულო,
ასე უმწეოდ შეშველო და გაფითრებულო, დაობლებულო, ღატაკო და
ყინვით დამზრალო:
მან, ვისი ხელიც შენ არ გწირავს, მინდობილი ხარ რაკი მის ზრუნვას,
მან, ვისი გულიც, მარადიული, ცნობს შენს ფრთხილ ფეთქვას:
შენ აგირჩია, მცირეოდენო, სიმძიმის ცენტრად ყოველი ხსნისა.
შენ, რომელსაც, შიშით მოცულს, გასაჭირი ბოლოს მოგიღებს.
შენ რომ მარტოდენ ინამებდე ყოვლადძლიერს და იმედი რომ გექნებოდეს
მისი სინმინდის,
შენ რომ მარტოდენ ზიზღს შენყვეტდე, შენ შეძლებდი გემკურნალა
დედამინისთვის.
შენ რომ მარტოდენ გიყვარდეს, გულო, შენ ჯოჯოხეთს და სიკვდილს
შეცვლიდი.

ალპბახური ელეგია

აი, კვლავ ბედავთ ჩამოსხდომას შუადღის უშფოთველ ფერდობზე, ძმებო,
ჯერაც რომ გაწევთ მხრებზე სიქუფრე მოკლე დღეების;
ფიქრობთ, მშვიდობა თქვენს ირგვლივ კვლავაც ისე გულდაგულ, ისე
ლაღად გაიფურჩქნება,
როგორც გირჩებს და ეკლებს შორის ვარდისფერი მანანები ჰყვავიან
ხოლმე?

გრანიტის მთების მილმა რუხ-მწვანედ მიმოჩრდილული ბასრი ქედიდან
აღმოსავლეთის ქარით დევნილი თეთრი ღრუბლები გაზაფხულის

მალენიავს ჩამოჰყოლიან.
ლარიქსისა და ნაძვის ხეებში გვირგვინოსანი ზაფხული ჯერაც ჯიუტად
დაქრის,
თხილნარიდან და არყნარიდან კი მოახლებული შემოდგომა გამოკრთება ამ
დროს უჩუმრად.
ფრენას სწავლობენ სამრეკლოს თავზე მოელვარედ მიმომფრენი ნორჩი
მერცხლები,
ბედნიერების მწვერვალზე ასულთ დავიწყებიათ სიყვარულიც, ერთმანეთიც,
ბუდეში სხდომაც,
კერიის კვამლი უშიშრად ადის კრამიტმძიმე სახურავიდან,
და მოსავლით და ბარაქით საცვე, სიცოცხლის უზრუნველმყოფელი
ეზოებისგან
ირიბ მზეზს ძალუძს, ბალახებში გამოსახოს მცირედი ჩრდილი.
ო, ძმანო, განა, არ ვიწექით მიწას გაკრულნი,
და ღამით, ასე დაყრილებს და აკანკალებულთ,
განა, არ გვქონდა თავი მკლავებში ჩარგული და ხელებით მიწას არ
მოვბღუჯავდით?
წლების მანძილზე არ ვეყარეთ მიწაზე ასე, შუბლის ანევას რომ ვერ
ვბედავდით,
რადგან იქ, ზემოთ, ველურ, დემონურ ნადირობებს აეშვათ თავი,
უშველებელ და საზარ ფიგურებს, და – თავზარდამცემ დაბადებას
უფსკრულებისას?
გაჯერებული არ იყო, განა, ბნელი ჰაერი ჯოჯოხეთური შეყვირებებით?
ჩვენ არ ვიყავით, სასიკვდილო გახრწნილების სიმყრალე რომ სუნთქვას
გვიკრავდა?

არ ბობოქრობდნენ ისინი მაღლა, თითქოს, ზეცათა სამუდამო პატრონნი
იყვნენ?
დღის ნათელსაც და მიწასაც, განა, ღამის თავადნი თვითონვე არ
მიიზომავდნენ?
ხოლო ამ მთათა სტომაქიდან უშველებელი მოჩვენებები ედინებოდნენ,
რომლებსაც, ვიდრე საუკუნე საუკუნეს ენაცვლებოდა, იქ დაბანგული
ძილით ეძინათ;
მკვდრებსაც კი ჰგავდნენ, ისეთი იყო მათი ძილი ბობოქარი სიცოცხლის
მერე!
ზვიგენები უღრმესი ზღვისა, მანამდე მზე რომ სულ არ ენახათ,
ისე აპობდნენ ჰაერს, როგორც კარგად ნაცნობ, ნაჩვევ დინებას.
იქ კი გრიფები გნიასებდნენ, იდუმალი სისხლით მაძღარნი,
და ლორნოვანი კვერცხებიდან თავდაღნეული, მოუთოკავი დრაკონები
ფრთებს მძლავრად შლიდნენ,

დაისის დროში რადგან ჯერ კიდევ მბრძანებელია ხარის ნიშანი.

როცა კაჭკაჭი გადაუფრენს ხეობის კლდეთა შავ-თეთრ შვერილებს,
როცა პეპლები გეხებიან, გახსოვდეთ, ძმებო,
რომ თქვენს თავს ზემოთ სიკვდილი კვლავაც ათასობით სახით გაშლილა,
რომ შხამის ყველა სახეობას უწვიმია დღემდე თქვენს თავზე.
თუ უწყით უკვე, რომ ხმაური და მაღალ ტოტებში ატეხილი შეძახილები,
რომ არ წყდებოდა და შემზარავად ეუფლებოდა დღეებს, ღამეებს,
სატანური ლაშქრობების საშინელი სამხილი და უტყუარი ნიშანი იყო?
სიცრუეს, ზიზღს და წყევლას აფრქევედნენ უშველებელი პირები და მძიმე
ხახები.
თვით თქვენს იდუმალ სიზმარშიც კი შემოდიოდა მგელკაცის ყეფა.
არსად – სიმშვიდე, სულის კეთილი სამშობლო და ერთადერთი
თავშესაფარი,
სიმშვიდე, საშო-საბუდარი რომელიც არის ყოველივესი, მერმისისთვის
განსაზღვრულისა.
არ დაგავიწყდეთ, ჩემო ძმებო, ეს ყველაფერი, ეს ჩურჩული და ეს კნავილი,
ბუბუნ-გუგუნი,
როცა სალუქად ხმიანობენ ხეობაში შუადღის ზარები,
როცა ფუტკარი ზუზუნებს ირგვლივ, ტანმორჩილ ნაძვში წივნივა რომ აღარ
წყვეტს ნივნივს,
როცა მდუმარედ მოგზაურობს საესე მთვარე ცის სილურჯეში!
ძმებო, ფერდობზე ჩამომსხდარხართ და უდარდელი საათებით ნეტარებთ,
ტკბებით.
გული ისეთი აღტაცებით აგჩქარებიათ, სადაცაა ნაგივათ თითქოს.
მაგრამ სად გაქრნენ საშინელი ხილვები ღამის?
ციურმა ელვამ გაანადგურა? ჩანჩქერი მოდგა და შეისრუტა?
მთები, უძველეს ნაშიერთა დამნთქმელები, განიხვნენ განა?
მარილიანი ზღვა ხომ არ არის დამფარავი და დამმარხავი მათი მძორისა?
იქნებ, ისინი დარჩენილან ისევ ცოცხლები? იქნებ, ბოროტით იკვებებიან
ჩირქით და სისხლით გამოვსებულნი, ნიადაგ მოთქმებს და სიკვდილებს
მონყურებულნი?
ჩასაფრებულან, იქნებ, მთის მიღმა, მშიერ უფსკრულში,
და მზად არიან, ნებისმიერ დროს, იხუვლონ და ამოინთხან, თუ მათ
ურჩხული
ნყეული ყეფით გამოიხმობს დედამიწის საბოლოო ბედისწერის
აღსასრულებლად?
ბოროტთ საკვებად ბოროტება თუ არ ექნებათ, მაშინ კვდებიან,
ცრუნი სიცრუის ამოსუნთქვას თუ ვერ შეძლებენ, გაქრება მათი წყეული
მოდგმა.

მოქმედ სიყვარულს როცა ხედავენ, მათი თვალები ღვარძლით ბრმავდება,
მართალი სიტყვა როცა ჩაესმით, მათი ყვირილის ძალა ჩლუნგდება.

ფერდობზე მსხდომნო, გამძვინვარებულ ნადირობას თავდაღწეულნო,
გადმოღვრილ ნათელს მშვიდობიანად მიაპყარით სუფთა თვალები.
მოკალით მატლი თქვენს გულში და თქვენ ამით მოკლავთ ჰაერთა გველებს,
გაათბეთ კვირტი მოიმედე და თქვენ ამით იხსნით წმინდა ნათესებს.
მშვიდად ისუნთქეთ, რაკიღა მშრალი თივით სავსე სათივეები სურნელს
გაფრქვევენ,
რაკი სურნელი გეფინებათ ბეგქონდარასიც და ლაჟვარდოვნად გარწევთ
ფოლიო.
ფერდობიდან ხეობას ისე გადაჰყურებდეთ, თითქოს თქვენს თავზე
სასიკვდილო ფანფარებით ჯოჯოხეთური ხალხი არასდროს აღზევებულა.
ლაღად მქროლავი ქარები, დაე, ღაწვებზე გრილად მოგეალერსონ,
აცეკვებული ბალახები დაღლილ მუხლზე მოგელამუნონ.
დაე, ნუგეშით გიცემდეთ გული! მხოლოდ სიკეთეს თუკი ეძიებთ,
მინიერი სამეუფო თქვენი ყოფილა, მშვიდობიანნო, ნურასოდეს
შეგეშინდებათ!

ინგებორგ ბახმანი

ასწრაფდი, აზრო!

ასწრაფდი, აზრო, ვიდრე შენი ფრთა
არის საფრენად მკაფიო სიტყვა, აგიტაცებს და იქითკენ მიქრის,
სადაც მსუბუქი ლითონები დალივლივებენ,
სადაც ჰაერი არის ბასრი
ახალ საზრისში
და მეტყველებენ
ერთადერთი სახეობის იარაღები.
იქ დაგვიცავი!

დაცურებული ხეები ტალღამ მაღლა აზიდა და ახლა ძირავს.
ციებ-ცხელებამ მოგიმწყვდია, ფეხქვეშ უკვე მიწა გეცლება.
რწმენა იყო ერთადერთი, მთა რომ გადადგა.
რაც კი დგას, აზრო, თავის ალაგს არ მოსწყდებოდეს!

იმსჭვალებოდე სხვით არც რით, ოდენ ჩვენი ტკივილით.
ჰგიებდე ჩვენდა სრულშესატყვისად!

ვილჰელმ სცაბო

უთარგმნადი

უთარგმნადია
თავნაწყვეტილ ყაყაჩოში
ქარის ზუზუნი,
და არც წყლის სარკის ნება-ნება დაჭაობების,
არც განაპირა ალაგისგან უჩუმარი ყურისგდების
გამოთქმაა შესაძლებელი.
შენ, პოეტო, მდუმარების თარჯიმანო,
ჟამით-ჟამზე გამოსტყუებ
სიმუნჯეს სიტყვას,
ბნელს და აუხსნელს,
მაგრამ მის უკან უცილობლობს
- უცხო, იგივ უარმყოფელი -
მეტყველებისთვის
ვერსანვდომი:
გამოუთქმელი.

სერგეი ესენინს

უკვე სიკვდილი დაეუფლა ბავშვობის სოფლებს.
სად ვნახო გლეხი, ხელში სახრემომარჯვებული?
მეც, შენი მსგავსი, ჩემი სოფლის ბოლო პოეტი,

დარდს არ ვამხელ და მეწურება ნუხილით გული.

ყველგან ტრაქტორის ხმაურია. პროჟექტორების
ბნელ სინათლეებს დაუპყრია მინდორ-ველები.
სოფლები თაურსანყისისა უკვე მკვდარია.
მათ არსებობას ინახავენ ჩვენი ლექსები.

დაკრძალვის მერე

შინ ვბრუნდები, ნამთვრალევი ქელეხის ღვინით.
სავალის გასწვრივ, თხუნელას ბენვის
ხაერდივით, ბრნყინავს ბალახი.
ნათესები განათებულან.

საყვარელო მიცვალებულო,
მას მერე, შენ რომ ჩაგიკრა გულში,
უფრო გულუხვი თუ გახდა
მინა?

მე ბინა მიდევს ამ სამყაროში

მე ბინა მიდევს ამ სამყაროში,
შორის ღრუბელთა, ქვათა და ხეთა,
მათ ჰაერს ვსუნთქავ სააქაოში,
მიძღვნილი სიზმრებს, სინათლეს დღეთა.

დავალ ხან ლაღი, ხანაც მწუხარე,
ხან – დაუცველი, ხანაც – დაცული,
ჩინობს, არც ჩინობს ცოდნის ეს მხარე:
სიკვდილი მზოგავს, კვლავ მიდგას სული.

წმინდა ძრნოლაა, რაც მაბადია.
არც რა ვიქნები მეც არარსივით?
არსებობაა, რაც მე მნადია.
მონუსხული ვარ სინათლის სხივით.

ისევ ისეთი ღარიბი გახდე

ისევ ისეთი ღარიბი გახდე,
როგორიც ერთ დროს იყავი ბავშვი,
უცხო ნახირს რომ აბალახებდი,
მთლად გათოშილი ქარში, ავდარში.
ისევ არ ჩანდე, გეწვოდეს გული,
არც სათვალაში ჩაიგდებოდე;
უდედო, მინყივ დამცირებული,
ღამის სიბნელეს მჭიდროდ ეკვროდე.

მაგრამ, ვით მაშინ, გაოგნებული,
თოვლით აღსავსე ზეცას ეტრფოდე,
და, უმიზეზოდ ათრთოლებული,
მარტის ამ ცივ დღეს ცრემლით ხვდებოდე.

მთვარე, ჩაკბეჩილი ხილი

მთვარე, ჩაკბეჩილი ხილი,
ვაშლი, დაჭრილ-დასერილი.
სადაც არის, გადასანსლავს
მას ცა ხახადაბჩენილი.

მაგრამ მერე კვლავ ივსება
უჩინარი, ციცქნა ღივი,

და ანაზდად ვარსკვლავებით
სავსე ხეზე ჭარბად ღვივის.

ღამე სოფლად

ჩალის ზვინებში შრიალებს ქარი.
მოტოციკლის ძრავის ხმაურს
დაუდევრად ნთქავენ მინდვრები,
მის რახრახს
თავის სიჩუმეში განაქარვებენ.
იქნებ, ან უკვე მითიური დაშნოსანია,
თავდაუხსნელი ვისი სულიც
მეეტლეს მისდევს,
ან, იქნებ, ცდილობს,
მანქანების შუქით დამფრთხალი,
შეეხიზნოს მინდორში ნამჯას;
იქნებ, ეს სულაც სახრჩობელების გორაკიდან
მოწეული გმინვის ხმებია
გლეხთა ომებში ჩამოხრჩობილთა.
როცა ბუჩქები სიბნელის რძეს
უხმოდ წურავენ,
ამ დროს ჯერ ისევ ნორჩი თემშარა
სოფლისკენ თავის სავალს იკვალავს.

ერთდროულობა

როცა აისის მზის სხივები თვალებს აგიხელს
და შენი სახე შემართებით ავარვარდება,
იცოდე, უკვე ეშაფოტთან გაფითრებულმა
ვინმე ცოდვილმა სიკვდილის წინ თქვა აღსარება.

როცა დღენათელს შესცინებ და თავდაჯერებით
განაგრძობ შრომას, ჯანმრთელი და გალაღებული,
ბედს დასაღუპად გაუნირავს უკვე მავანი,
შიშველ სანოლზე მიგდებული, გულგალეული.

მიმნუხრზე, როცა მყუდროებით გამაბრუები
ღამის სანათი აინთება შენს მაგიდაზე,
მდუმარე საკნის ბინადარი უკვე მზად არის,
საბოლოოდ რომ გაიაროს დედამიწაზე.

მაშინ, როცა შენ, ძილს და სიზმრებს არმოკლებული,
ხოტბას შეასხამ ყველა ღამეს, შენს თავს დანათევს,
თავმონყვეტით და მოლასლასედ ასდევნებია
სადღაც ჯურღმულში ბრალდებული თავის ჯალათებს.

და როცა ხარობ, ირჯებიან სადღაც ცულები,
და რომ ოხუნჯობ, სადღაც ტანჯვა ყვირის და ვაობს,
და რომ ზეიმობ, თავი უკვე ყულფში აქვს მავანს,
სატრფოს რომ კოცნი, ამ დროს სადღაც სიკვდილი ზვაობს.

შენ ნეხვს ქექავდი. რატომ წუწუნებ

შენ ნეხვს ქექავდი. რატომ წუწუნებ,
ამოვლებული ქაქში?
არ იკრიალებს, ვინც იგორავა
ლაფიან გუბემყრალში.

ან რას მოიმკის, ვინც მარგალიტით
ღორს ამოუვსო ფაშვი?
ძაღლებთან ნოლას ვინც არ გაექცა,
რნყილი დაუდის თმაში.

ყაზანელი ქრისტე

ქრისტე,
როგორც ერთი ძველი
ყაზანური ხელნაწერი აღწერს,
არის ერთი დაბალი,
კუზიანი
და შავგრემანი,
ღარიბ-ღატაკი,
გრძელცხვირა კაცი
მეჩხერი თმა-წვერით
და საშინლად გაერთიანებული
ხშირი წარბებით.

მას რომ ჩვენთვის
თავისი ვინაობა გაემხილა
და სამხილად იარები ეჩვენებინა,
არც დავუჯერებდით
და არც თომას
სიტყვებს ვიტყოდით:
უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო!

სოფელი-საპყრობილე

როცა თეთრ ვილებს კვლავ ნება-ნება
მოლხენა ავსებს მიმწუხრის ჟამზე,
მე ჩალის ჭერი დამყურებს თავზე
და მონდომებით ვთრგუნავ ჩემს ნებას.

უკვე ღრუბელთა ქობა, ქათქათა,
გარს შემომეელო, აღარსად მიშვებს,
კართან დგას, მალე თავსაც აიშვებს
მსახური, ჩემი შავი ჯალათი.

ვყანყალებ ზღურბლთან, ფიქრები მრეში
თან მახლავს, სკამზე ვეშვები ისევ.
ჩემი დილეგის დარაჯი მქისე,
გლეხკაცი მარჯვედ ირჯება ტყეში.

ხოლო ადრიან მთვარეთა ფრთებმა
მწვანე ხეებში დალიეს სული.
იყოს მშვიდი და ანგელოსური
სხივთაკონების კვლავ მიძინება!

ხოლო მე ისევ ვთხრი ბნელ გვირაბებს,
სინათლისკენ რომ გზა გავიკელიო.
იქნებ, არ ვიცი და უგზო-უკვლოდ
დავკარგულვარ და არ ვაღიარებ.

განსვლა

იქ სანერი მაგიდის უჯრების გასაღები დევს,
აქ კი – კარადის, რომელშიც საქაღალდეები ინახება.
აი, იმ თაროზე
ასლები აწყვია,
მეორე თაროზე –
შაბლონები და ფორმულარები.
ჩემი მემკვიდრეების გასაგონად კი ამას ვიტყვი:
უწყებებზე პასუხები გაცემულია.
ყველა სტატისტიკა მონესრიგებულია.
თუ მოხდეს და ვინმე შემთხვევით
სადმე აქტებს შორის
ჩემს გაცვეთილ, დახრულ
სიცოცხლეს გადააწყდეს,
სანაგვე ურნაში
ჩაუძახოს!

ამერიკული პოეზია

ნარგზავნა

ნადით, ჩემო სიმღერებო, მარტოსულებთან და მწყურვალებთან,
ნადით ნერვებდაგლეჯილებთან, ჩვეულებათა მონებთან ნადით,
ნაუღეთ მათი მჩაგვრელების მიმართ ჩემი სიძულვილი.
ნადით, როგორც – გამყინავი წყლის ძლიერი ტალღა.
ნაუღეთ ჩემი სიძულვილი მჩაგვრელთა მიმართ.

ხმა აიმაღლეთ ამოუხსნელი დამცირების წინააღმდეგ,
ხმა აიმაღლეთ ნარმოსახვის არმქონეთა ტირანიის წინააღმდეგ,
ხმა აიმაღლეთ შეზღუდვების წინააღმდეგ.
ნადით ბურჟუაზიასთან, რომელიც სულს ღაფავს მონყენილობისგან,
ნადით გარეუბნებში მოსახლე ქალებთან,
ნადით ქორწინებით საზარელ ბედში ჩავარდნილებთან,
ნადით იმათთან, ვისი უმნეობაც თავს არ ამჟღავნებს,
ნადით იმათთან, ვისაც ცუდი მეუღლე შეხვდა,
ნადით უფლებანართმეულ ქალებთან.

ნადით სათუთვნებიანებთან,
ნადით იმათთან, ვისი სათუთი სურვილებიც უარყვეს,
ნადით, როგორც – ქვეყნიურ სიბრიყვის დამანგრეველები;
ამის პირისპირ მახვილით ნადით.
უფაქიზესი კავშირები განამტკიცეთ,
სულის ნყლის სიღრმეში მობინადრე მცენარეებს სიმტკიცე შემატეთ.

მეგობრული განწყობით ნადით,
თაედახსნილი სიტყვებით ნადით.
დაუცხრომლად ეძიეთ ახალი ავი და ახალი კარგი,
ნებისმიერი სახის ჩაგვრას წინ აღუდექით.
ნადით იმათთან, ვინც საშუალო ასაკმა მოტეხა,
იმათთან, ვისაც აღარაფერი აინტერესებს.

ნადით მოზარდებთან, ოჯახში რომ სული ეხუთებათ –

ო, რარიგად საშინელია
ხედავდე ერთი გვარის სამ თაობას, ერთად შეკრებილს!
იგი მსგავსია ყლორტგამოსხმული ბებერი ხის,
რომლის ტოტები ლპება და ცვივა.

ნადით, აზრი გამოაფხიზლეთ,
ადამიანთა შორის უსულგულო ურთიერთობების პირისპირ ნადით.
ყველა სახის უსამართლობას წინ აღუდექით.

ბოშა

Est-que vous avez vu des autres – des camarades – avec singes ou des ours?*
შემთხვევით ნანახი ბოშა – ჩვ. ნ. აღ.-ით 1912

ეს იყო გზის თავს, როცა მან თქვა:
"ხომ არ გინახავთ ჩვენი ბედის მოზიარე დანარჩენები,
დათვებით და მაიმუნებით?"
- შავგრემანი და ბრგე ჭაბუკი
არა ჰგავდა ნარევსისხლიანს,
იქ, მაღლობზე, კლერმონის ახლოს.
ქარი მოვიდა, მერე – წვიმა,
და ხეობაში, ხეთა ირგვლივ, ნისლი შედედდა,
გრძელი გზა მქონდა მოტოვებული,
რუხი არლი და ბიოკერი,
და მან თქვა: "ხომ არ გინახავთ სხვა, ჩვენი ბედის?"
მისი ბედის ბევრი მენახა...
როდეზიდან მოყოლებული, ისინი, -
წმ. იოანეს
ბაზრობიდან ჩარდახიანი ეტლებით რომ ჩამოდიოდნენ,
მაგრამ დათვი ან მაიმუნი მე არ მინახავს.

დამატებითი მითითებანი

მოგროვდით, ჩემო სიმღერებო, ავდგეთ და ჩვენი ბილწი ენებები
გამოვხატოთ,
მოდით, გამოვხატოთ ჩვენი შური იმ კაცის მიმართ, ვისაც საიმედო
სამსახური აქვს და მომავალი არ ედარდება.

ერთობ უსაქმოდ ხართ, ჩემო სიმღერებო.
მეშინია, ცუდს არაფერს გადაეყაროთ.
თქვენ დგახართ ქუჩებში,
თქვენ კუთხე-კუთხე და გაჩერებებზე დახეტიალობთ,
თქვენ უსაქმურობთ.

თქვენ არც კი ცდილობთ, ჩვენი ფარული სიმაღლე გამოთქვათ,
ეს ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდება.

მე კი – რა?
უკვე სანახევროდ შეშლილი ვარ,
იმდენი გმოძღვრეთ, რომ თითქმის გხედავთ ჩემს გარშემო,
უტიფარო პატარა მხეცებო, ურცხვებო და ტანსაცმელშელანძღულებო!

ხოლო შენ, უახლესო ამ სიმღერებს შორის,
შენ იმ ხნის არ ხარ, რომ ბევრი სიავე გქონდეს ჩადენილი,
მე შენ ჩინეთიდან მწვანე ხალათს ჩამოგიტან,
რომელზეც ურჩხულები იქნება ამოქარგული,
მე შენ ჩამოგიტან ალისფერი აბრეშუმის შარვალს
სანტა მარია ნოველაში პატარა ქრისტეს სტატუიდან,
დაე, იძახონ, რომ გემოვნება გვაკლია
ან რომ ჩვენი გვარი კეთილშობილი არაა.

DE AEGYPTO

მე, თავად მე ვარ ის, ვინც იცის გზები
ცაში, და ამის გამო ქარი ჩემი სხეულია.

მე მიმზერია სიცოცხლის ლედისთვის,
მე, თავად მე, ვინც მერცხლებთან ერთად ფრენს.

მწვანეა და მოჟამული მისი სამოსი,
ქარდაქარ მქროლი.

მე, თავად მე ვარ ის, ვინც იცის გზები
ცაში, და ამის გამო ქარი ჩემი სხეულია.

anus animam pinxit
ჩემს ხელთაა ჩემი კალამი

სასურველი სიტყვის საწერად...
ჩემი ბაგე, უწმინდესი სიმღერები რომ ვიგალობო!

ვისა აქვს ბაგე, ის რომ მიიღოს, -
ქუმის ლოტოსის სიმღერა?

მე, თავად მე ვარ ის, ვინც იცის გზები
ცაში, და ამის გამო ქარი ჩემი სხეულია.

მე ვარ ალი, მზესთან ერთად რომ ამოდის,
მე, თავად მე, ვინც მერცხლებთან ერთად ფრენს.

ჩემს შუბლზე მთვარე დამკვიდრებულა,
ჩემს ტუჩებქვეშ ქარი ბინადრობს.

მთვარე – ესაა დიდებული მარგალიტი საფირონის წყალში,
წყლის ნაკადის სიგრილეს გრძნობენ ჩემი თითები.

მე, თავად მე ვარ ის, ვინც იცის გზები
ცაში, და ამის გამო ქარი ჩემი სხეულია.

მედალიონი

Luini ფაიფურში!
როიალის
ნკრიალა სოპრანო
საამქვეყნო პროტესტს გამოთქვამს.

მომზისფრო-ოქროს სამოსიდან,
როგორც ანადიომენე რეინაქის
შესავალი ფურცლებიდან,
მბზინავი თავი ამოჩნდება.

მონითალო-მოთაფლისფრო ნაწნაეთა ხლართი,
სახე-ოვალს გარშემორტყმული, რომელიც თითქოს
მეფე მინოსის ლაბირინთში დაეგრიხოთ
ლითონისგან თუ ურჩი ქარვისგან;

სახე-ოვალი, ჭიქურქვეშ,
თავის სრულქმნილ სამყოფში გაბრწყინებული, როცა

ნახევარვატიან სხივებქვეშ
თვალები ტოპაზად იქცევიან.

ძველი სიბრძნე, რამდენადმე კოსმიური

ესიზმრა სო-შუს,
რომ ჩიტი და ფუტკარი და პეპელა იყო, და ნასიზმრალი ფიქრმა შეიპყრო, -
რატომ უნდა ცდილიყო, რომ თავი ეგრძნო სულ სხვა ვიღაცად.

ამის შედეგი თუა მისი კმაყოფილება.

სამი პოეტი

ჭმუნვას მიეცა სამი პოეტი,
კანდიდიამ რომ შეიძინა ახალი კურო.
პირველმა გრძელი ელეგია მიუძღვნა "ქლორისს",
თავის "წმინდა და გულცივ ქლორისს", "ერთადერთ ქლორისს".
მეორემ ქალის ორგულობას უძღვნა სონეტი,
მესამე კი თხზავს ეპიგრამას.

მიზეზი

ამ სიტყვებს ოთხი კაცისთვის ვკრავ,
შესაძლოა, ყური მოკრას მას ვინმე სხვამაც,
ო, მებრალები ქვეყნიერებავ,
ვერ გაგიგია შენ ეს ოთხი ადამიანი.

ხელშეკრულება

უოლტ უიტმენ, მე ვდებ შენთან ხელშეკრულებას –
მე ერთობ დიდხანს მეზიზღებოდი.
მე მოვედი შენთან, როგორც გაზრდილი შვილი,
მხრებზე რომ ღორის თავი ება, იმ მამის შვილი;
უკვე დიდი ვარ და მე მინდა, მეგობრობა შემოგთავაზო.
შენ ახალი ხე განამზადე;
დროა მისი მოჩუქურთმების.
ერთი წვენი და ერთი ფესვი გვასაზრდოებს –
დაე, კავშირი იყოს ჩვენს შორის.

დაშთენილთადმი

ო, ჩემი ქვეყნის უსასოო უმცირესობავ,
ო, დაშთენილნო ისევ მონებად!

მასთან ჭიდილში წელდამსხვრეულო ხელოვანნო,
კვალარეულთ და სოფელ-სოფელ მიმობნეულთ
ნიადაგ რომ გქირდავენ და არ გენდობიან;

მშვენიერების მოყვარულნო, ნაშიმშილარნო,
უქომაგოდ შერჩენილნო თქვენს მომართ თვალთვალს,
დაკანონებულ წესთა ძალით უარყოფილნო;

თქვენ, ნარმატების მისაღნეად
თავს რომლებიც არ მოიქანცავთ,
თქვენ, რომლებსაც შეგიძლიათ, მხოლოდ ამოთქვათ,
და თავს არასდროს გააპარებთ ამოთქმულის ამოსათქმელად;

თქვენ, ბევრად ნატიფ გრძნობისანო,
ყალბ ცოდნასთან ბრძოლით ილაჯგამოლეულნო,
თქვენ, ვისთვისაც თვით ბუნებას უსწავლებია,
ვინც, საკუთარ თავს შეხიზნულნი, სძულხართ; ვისაც არ გენდობიან:

ასე იფიქრეთ:
მე დავითმინე ქარიშხალი,
მე დავძლიე განდეგილობა.

რობინზონ ჯეფერსი

კონტინენტის კიდე

ბუნიობის ჟამს, სველი ხაშხაშით შემორაგვული, როცა გაზაფხულს
მოელოდა გვიანი წვიმის ვუალქვეშ მინა,
იბერებოდა ოკეანე შორეული ქარიშხლით და თავის კიდეს ეხეთქებოდა,
გრანიტის ბურჯს არყევდა ჭაელი.

მე გავყურებდი გრანიტის და შხეფების სამანს, და მთებს და ველებს
ვგრძნობდი ზურგსუკან, კონტინენტის უსაზღვრო სივრცეს, ხოლო
პირისპირ – მძიმე ნყალს და ორჯერ დიდ სივრცეს.

და მე ამოვთქვი: შენ შეახვედრე სამხრეთის მხარეს მოყვავილე ლავას და
მარჯანს ალეუტის კუნძულები – სელაპების სამკვიდრებელი,
შენეული ნაკადის თავს აისისკენ მსწრაფი სიცოცხლე მიმნუხრის
ვარსკვლავს დადევნებულ ჩვენს სიცოცხლეს შემოეყრება.

შენს ზურგზე რამდენ უკეალოდ ქმნილ გადასახლებას გადაუელია და ეს
შენთვის არაფერს ნიშნავს, შენ დაგვივიწვე უკვე, დედაო.
ნორჩი იყავი მაშინ ბევრად, როცა საშოდან გამოვიჭერით და მიქცევისას
მზეზე ვთბებოდით.

ხოლო მას მერე მიიღია მრავალი და მრავალი ჟამი, ჩვენ სიამაყეს
ვეზიარეთ, და შენ გამკაცრდი; ცხოერებას ახსოვს
შენი ფხიზელი, მოქნილი და მშფოთვარე ძალა; და შურს აღუძრავს ქვის
სიმტკიცე, გამომნევევი მისი სიმშვიდე.

მიმოიძვრიან ჩვენს ვენებში მიქცეევები და მოქცეევები, და ვარსკვლავებს
ავირეკლავთ ისევ და ისევ,
შენი პირმშოა სიცოცხლე, მაგრამ არსებობს ჩემში სიცოცხლეზე ბევრად
ძველი და ბევრად მტკიცე, უფრო მეტად მიუდგომელი,
თვალი, რომელიც ხედავდა მაშინ, ოკეანე როცა არ იყო.

რომელიც გმზერდა, ვით ივსებდი სარეცელს ორთქლით, ერთ სარეცელს
სხვა როგორ ცელიდა.
რომელიც გმზერდა, როგორ ცვეთდი შენს დამყოლ და ველურ ნაპირებს,
კლდეებს ხრავდი და კონტინენტებს უცვლიდი ადგილს.

დედაო, თუმცა ძლიერ მოჰგავს შენი ზვირთცემის უძველეს რიტმს
ჩემეული სიმღერის ზომა, მე ის შენგან არ მისწავლია.
წყლის გაჩენამდე ბევრად ადრე არსებობდნენ ცეცხლის ტალღები, და
სიმღერები, ჩემიც და შენიც, უფრო ძველი თავწყაროდან ედინებიან.

ღრმა ჭრილობა

როცა ვარსკვლავი მოახლოვდა, გიგანტურმა ტალღებმა მაშინ
გზნება შეუნთეს დედამინის გამღღვარ ზედაპირს.
ხოლო როცა გადაიქროლა, ტალღები უფრო გაიზარდნენ. მან ერთი
დიდი ტალღის თავი
ამოფესვა დედამინიდან. ასე აირღვა მთვარე
წყნარი ოკეანიდან: ჩვენთვის ღამეთა მანათობელმა ცივმა თეთრმა ქვამ
ღრმა ჭრილობით ნიშანდო მიწა: აი, ის, წყნარი ოკეანე,
უამრავი კუნძულით და სამხედრო ფლოტით. აქ ვდგავარ, კლდეზე,
და ჩამომდნარი ბაზალტის და გრანიტის სკდომის ხმები ჩამესმის
და უშველებელ ფრინველს ვუმზერ,
თავის ვარსკვლავს რომ დაედევნა. მაგრამ ვარსკვლავმა ჩაიქროლა,
მთვარე კი დარჩა და გარს უვლის თავის ნასახლარს,
და თან დაათრევს მიქცევ-მოქცევას, სიმარტოვით გადარეული.

მათემატიკოსებს და ფიზიკოსებს
თავისი აქვთ მითოლოგია; გვერდით მისდევენ ჭეშმარიტებას
და არასდროს არ ეხებიან; მცდარია მათი განტოლებები,
მაგრამ გამოდის. ან, როცა დიდი შეცდომა ჩნდება,
ისინი ახალ განტოლებებს ასაძირკვლებენ; ისინი ტალღის თეორიას
მსოფლიო ეთერს მიანებებენ და იგონებენ გაღუნულ სივრცეს.
და მაინც, მათმა განტოლებებმა ჰიროსიმა გაანადგურა.
საშინელი რამ გამოვიდა.
პოეტსაც აქვს
საკუთარი მითოლოგია. ის ამბობს – წყნარმა ოკეანემ
წარმოშვა მთვარე. ის ამბობს – ტროა გადაიწვა
მომთაბარე მშვენიერი ქალის მიზეზით, რომლის ხატებამ ათას ხომალდს
მიზანი მისცა.
ეს სიცრუეა: შესაძლოა სიმართლე იყოს: ეკლესია და სახელმწიფო კი

საფუძვლად უფრო გასაოცრად შეუძლებელ მითებს გულისხმობს:
რომ ყველა კაცი თანასწორი და თავისუფალი იბადება: ნარმოიდგინეთ!
და რომ ყარიბი ებრაელი პოეტი, სახელად იესო,
სამყაროს ღმერთია. ნარმოიდგინეთ!

კასანდრა

გიჟი ასული – მახვილი მზერით და გრძელი თეთრი თითებით
კედლის ქვებს ჩაფრენილი,
თმა ქარიშხალს და ბაგე ყვირილს მინებებია: კასანდრა,
განა რა აზრი აქვს,
შენს მწარე სათქმელს
ირნმუნებენ თუ არა კაცნი? ჭეშმარიტად: ადამიანებს სძულთ სიმართლე,
და ურჩევნიათ
გზაზე ჯიქი შემოეყაროთ.
ამიტომაა, პოეტები თავიანთ სათქმელს სიცრუით რომ ატკბობენ ხოლმე;
რაც შეეხებათ
რელიგიით მოვაჭრეთ და პოლიტიკოსებს,
ძველ ტყუილს ახალს უმატებენ, და იხვეჭენ კიდეც სახელს
სათნო სიბრძნისთვის. გონს მოეგე, საბრალო ძუკნავ.
არა: შენ მაინც კაცისთვის და ღმერთებისთვის გულისამრევ სიმართლის
ქერქს
შენს კუთხეში ბეჯითად ღეჭავ. – აი, მე და შენ ვინ ვართ, კასანდრა.

ჩემი სამარე

თუ ნაგიკითხავთ, ერთ ჩემს ლექსში მე ვახსენებდი
მშვენიერ ადგილს, სადაც სიკვდილის მოლოდინი
თავს უყრის მძიმედ დაჭრილ ირმებს; ფოთლოვანში, მთის მბრწყინავი
ნაკადულის პირს,
იმ პატარა განსასვენებზე, მათი ძვლები ერთმანეთში გადახლართულა,
და თუ
ირმებსაც ჰყავთ სულები, მაშინ მათ ეს უთუოდ მოსწონთ, კმაყოფილი
უნდა იყონ ძვლებიც და რქებიც.

უკვე დროა, შევარჩიო ჩემი სამარე:

მიმაბარეთ, შორს კაცთაგან, მშვენიერ ადგილს,
არავითარი სასფლაო, და არც – ბიუსტი,
და, ღვთის გულისთვის, არ მოვითხოვ პარაკლისს და კოლუმბარიუმს.

ხოლო თუ მე, ადამიანი, ისეთივე ძვირფასი ვარ,
როგორც ფეხმარდი ირემი ან ღამეული მონადირე – ეული პუმა,
არ შეიძლება სიხარული არ მომგვაროს მათ გვერდით ნოლამ.

იმ კლდეს, რომელიც სახლის ქვაკუთხედად უნდა იქცეს

ჟანგისფერი და რუხი ლიქენის ბებერო ბაღო,
რა დრო გავიდა იმის მერე, უკვე აღგვილი შავთავა ხალხი
აქვე, შენს ახლოს, ცეცხლს რომ ანთებდა და ზღვის ქარისგან
თავს იცავდა? ასი, იქნებ ორასი წელი
მოწყვეტილი ადამის მოდგმას,
გარშემო მხოლოდ ნაწვერლის ციყვებს და მინდვრისპირის კურდღლებს
უმზერდი,
და – ხშირჯაგრიან გუთნის ცხენებს,
დეკემბერში გორაკებს რომ სერავენ ხოლმე, კვალად კი შავი კლდეების
თავზე
აკივლებულ ზღვის თოლიებს აიდევნიან; არავინ იყო
სიყვარულით მომსათუთები; რუხი ქორი და ალისფერი ქორი შეგვეხო იქ,
სადაც ახლა ჩემი ხელი დევს. ასწლეულობით ნაშიმშილევს
და ზღვის ციე ქართა ასწლეულებს გამოღწეულს
მე მოგიტანე ღვინო და თეთრი რძე და თაფლი
და ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ღვინის გემო გრანიტს ასე
შეითვისებდა
და რომ თაფლი და რძე ესოდენ გეამებოდა; მაგრამ ისინი ტკბილად
ერთვიან ნაქარიშხლევ, ხავსიან ბზარებს,
და დიდი ხნის წინ მიძინებულ, ჟამგრძელ ავდართა
უტყვ ნაკვალევში შეაღწევენ
და ბევრად უფრო ხანიერი,
პირველყოფილი ცეცხლის ნაჭდევში, ქვაში,
რომელიც მილიონი ნელი იცდიდა, რომ ქვაკუთხედად ქცეულიყო
სახლისთვის, როგორც ბედს ოდესღაც გადაეწყვიტა.
შენ ქვის წარსულის ძლიერება მომეც მცირე ხნით და მე სანაცვლოდ
მომავლის ფრთებს გამოგიწოდებ, მე მაქვს ისინი.
ჩემო ბებერო მეგობარო, რა ძვირფასი გახდები ჩემთვის მაშინ, როცა მეც
დავბერდები.

ქვეყნიერების საოცრებანი

ახლა სამოცი სამი თუ ოთხი წლით უკან მაქვს მოტოვებული
და თავის დროზე საოცრება ვნახე მრავალი. ვნახე წყლის კაცი, ქვის
ნაპირთან, ოკეანეში წელამდე მდგარი;

რა თქმა უნდა – ადამიანი, და რა თქმა უნდა – ზღვის ცხოველი: ის
ჩასრიალდა მერე წყალში და ჩვენ ვუმზერდით და ის აღარ გამოჩენილა,
მე არ ვიცი, ვინ იყო იგი, და თეორიებს როდი ვაგებ: თუმცა ეს იყო
საოცრება მცირეოდენი.

მე ვნახე, როგორ გაძლიერდა შეერთებული შტატები და როგორ იქცა
უმდიდრეს ერად და გაკოტრებულს ქარი როგორ დააქროლებდა.
ვნახე ევროპა – ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს რომ
გვირგვინად ედგა – ხეიბრად და საწყალობლად გადაქცეული.

მე ვნახე, ჭარბი გრძნობებით და პატივმოყვარე კაცთა მიერ მოტყუებული
ჩემი ხალხი სამ ომში როგორ იხარჯებოდა.
უაზრო იყო და უმიზნო ამ სამიდან ნებისმიერი, დიდებულად
გამარჯვებული. აი, უკვე მეოთხეს ველით.

მე ისიც ვნახე, კაცმა ფრენა როგორ ისწავლა და როგორ ახდა ათი
ათასი წლის მანძილზე მეოცნებე მისი გულის მთავარი ნატვრა
და ის მაშინვე ხოცვა-ჟლეტის მთავარ ძალად გადააქცია.

ვნახე, აგრეთვე, შორეული ვარსკვლავები როგორ ანონეს და გზაც
გაზომეს ამ შორეულ ვარსკვლავებამდე და ატომებიც იმსახურეს –
რისთვის? – ხოცვისთვის. ერთი დარტყმით ნახევარი მილიონი ბუზის...
კაცის-თქო, უნდა მეთქვა, ამოსაწყვეტად.

მე ვნახე ბედიც. შეგიძლია დადგე, ეომო ან დანვე და ძილს მისცე თავი
– განწირული ხარ მაინც, როგორც ოიდიპოსი.
დაბერებულა კულტურა და კაცობრიობა, რომ იტყვიან, სასიკვდილო სენი
შეპყრია: გმირობა და ნებისყოფა მოწმეებად გადაქცეულან.

უსულო საგნის, ზღვის, ქარიშხლის, მთის სილამაზეს სულ იოლად
გაითავისებ; მათი სული და საზრისია მშვენიერება.

კაცობრიობა უფრო ნაკლებ მშვენიერია, შერყვნილი და ტკივილიანი;
ჩვენი გულები ქვად ქცეულან მის დასათმენად.

მე ვერ გავნაფე ჩემი გული ხეირიანად: და ამას მივხვდი – ბედნიერებას
მნიშვნელობა აქვს, ტკივილი კი მას ანიჭებს მნიშვნელოვნებას.
ტრაგედიის აზრი კი რაა: ლირი იმ გრიგალს გაუტოლდა, მიუსაფარს
გარს რომ ეკვროდა, და ნამებული ებრაელი უფალი გახდა.

ლორენს ფერლინგეტი

* * *

სამყარო საუკეთესო ადგილია
დასაბადებლად
თუ წინააღმდეგი არ ხართ რომ ბედნიერება
არ იყოს ყოველთვის
უღრუბლო
თუ წინააღმდეგი არ ხართ რომ ის ჯოჯოხეთად მობრუნდეს
ზოგჯერ
სწორედ მაშინ როცა ყველაფერი მშვენიერადაა
ყოველთვის ხომ
სამოთხეშიც
არავინ მღერის

სამყარო საუკეთესო ადგილია
დასაბადებლად
თუ წინააღმდეგი არ ხართ რომ ხალხი გამუდმებით
იხოცებოდეს
ან მხოლოდ შიმშილობდეს
რაღაც დროის განმავლობაში
ეს ხომ არც ისე საშინელია
როცა საქმე თქვენ არ გეხებათ

ო სამყარო საუკეთესო ადგილია
დასაბადებლად
თუ ნამეტანი წინააღმდეგი არ ხართ
რომ ორიოდე ფუტურო თავი
ზემოდან დაგყურებდეთ
ან სახეში ბომბები შემოგცქეროდნენ
როცა თქვენ
ზეცით ტკბებით
ან ისეთი უღმერთობის წინააღმდეგი თუ არ იქნებით
როგორიცაა ჩვენი ნაქები საზოგადოება

რომელიც იკრუნჩხება
თავისი გამოჩენილი ადამიანებისგან
და თავისი დავიწყებული ადამიანებისგან
და მღვდლებისგან
და ყოველგვარი სეგრეგაციისგან
და კონგრესის გამოძიებებისგან
და სხვა მრავალი ყაბზობისგან
რომელიც ჩვენ ღარიბებს
მემკვიდრეობით გადმოგვეცემა

დიახ სამყარო საუკეთესო ადგილია
ბევრი რამისთვის
და იმისთვისაც რომ იცინო
და რომ გიყვარდეს
და რომ იდარდო
და რომ იმღერო სევდიანი სიმღერები და შთაგონებამ
დაგისაკუთროს
და სეირნობდე
შენს გარშემო თვალის ცეცებით
და ყვავილებს ყნოსავდე და
ქანდაკებებს აშტერდებოდე
და უფრო მეტიც რომ ფიქრობდე
და კოცნიდე ადამიანებს
და აკეთებდე ბავშვებს და შენი მუშტის ძალას განამტკიცებდე
და ქუდს იქნევდე
და ცეკვავდე
და ცურავდე მდინარეებში
გახურებულ შუა ზაფხულში
და საერთოდაც უბრალოდ
"ცოცხლობდე"

ჰო
მაგრამ სწორედ გახურებისას
ცხადდება მოლიმარი
მეკუბოვე

პოეტის თვალი უტიფრად ხედავს
ხედავს მრგვალი სამყაროს ზედაპირს

გამრუდებულ მთვრალ სახურავებს
სარეცხსამაგრებს თეთრეულის გასაფენად გაჭიმულ თოკებზე
მოგიზგიზე ფეხებს და აყვავებულ მკერდებს
თიხის ქალებს და მამაკაცებს
ნისლს შერეულ ლოგინებში
და მის იდუმალ ხეებს
და საკვირაო პარკებს მდუმარე ქანდაკებებით
და მის ამერიკას
ქალაქთა აჩრდილებით და ცარიელი ელის-აილენდებით
და მის სიურრეალისტურ პეიზაჟს
გამოტვინებული პრერიებით
გარეუბნებში სუპერმარკეტებით
ორთქლის გათბობით აღჭურვილი სასაფლაოებით
სატრაპეზო დღესასწაულებით
და პროტესტის გამომცხადებელი ტაძრებით
კოცნაამრიდ სამყაროს პლასტმასის უნიტაზებით ტემპექსით და ტაქსებით
საფთიაქო კოვბოებით და ლასვეგასელი ქალწულებით
გაძარცვული ინდიელებით და მატრონა-კინომანებით
არარომაელი სენატორებით და ნამუსიანი კონფორმისტებით
და იმ ემიგრანტული ოცნების ყველა სხვა ნერილმანით
რომელიც ერთობ რეალურად იქცა და
ეშმაკმა დალახვროს
პლაჟზე მზის გულზე მწოლიარეებთან ამოყო თავი

* * *

ჩვეულებრივ მე ვამბობ
რომ სიყვარული ძნელად ერგება ასაკოვან ადამიანებს
ვინაიდან ისინი ძალიან დიდხანს
მიგორავდნენ ძველ რელსებზე
მერე კი როცა ისარი ახლოვდება
ისინი ხელიდან უშვებენ კუთვნილ მოსახვევს
და ვიდრე გზასამცდარი ვაგონი თვალშეუსწრებად მიექანება
უკვე არასწორი ლიანდით მიქრიან
და ორთქმავლის მემანქანე მათდამი მისალმების ნიშნად
საყვირს არ იძლევა
და ასაკოვანი ადამიანები მიგორავენ დაჟანგებული რკინიგზის შტოზე
რომელიც ეყრდნობა მკვდარი ბალახით სავსე უშენ ადგილს
სადაც დაჟანგებული თუნუქის ნაჭრები
საწოლების ზამბარები ძველი დანისპირები

და დაობებული ლეიბები მიმოფანტულა
ჰო
რელსები სასიკვდილოდ სნორედ აქ წყდებიან
თუმცა შპალები უფრო შორსაცაა დაგებული
და ასაკოვანი ადამიანები
თავისთვის ამბობენ
აჰა
როგორც ჩანს აქ
დავმთავრდებით
და წვებიან
ვიდრე მოკაშკაშე ვაგონი მსუბუქად ადის
შემალლებული
გორაკის თავზე
მისი სარკმლები სავსეა მტრედისფერი ცით და ყვავილებიანი
შეყვარებულებით
მათი გრძელი თმა ქარს მინებებია
და ყველა ისინი იცინიან
და ხელებს იქნევენ
და ჩურჩულებენ ერთმანეთში
და ცნობისმოყვარედ იცქირებიან
და ცდილობენ გაიგონ თუ რას წარმოადგენს
ეს სასაფლაო
რომელშიც ცხვირით წამხობილა
ლიანდაგები

ტყეები სადაც მიედინება მდინარეები
მარადიულ გორაკებსა და
ჩვენი ყრმობის ველ-მინდვრებს შორის
სადაც ძნები და ცისარტყელები ერთმანეთში გადახლართული
ნარმოუდგება მეხსიერებას
სადაც *მინდვრებად* ქუჩები გვქონდა
მე იქ კვლავ ვხედავ ურიცხვ
დილას
ნებისმიერი ცოცხლიდან როცა
მარადისობას სწვდება ჩრდილები
და მთელი დღის განმავლობაში
ადრიანი დილის ნათელი
და განელილი მისი ჩრდილები ხერგაევენ

ედემს
მე რომ მხოლოდ სიზმრად მინახავს
და რომლის გამო გაფიქრებაც
მტკივნეულია
ამ აშლილ დილით
როცა გუნდ-გუნდად ბატონობენ
ჭილყვავები გამხმარ ხეებზე
და მოთქვამენ და ყაყანებენ
და მრავალი აქვთ საკამათო ყოველ ახალ
გაზაფხულთან და საიდუმლოსთან

ზღვის პეიზაჟი მზით და არწივით

ყველაზე უფრო თავისუფალი
ფრინველებს შორის
არწივი ცაში აჭრილა და
ქვეყნიერების მხარეებს შორის
ყველაზე უფრო თავისუფლის
სან-ფრანცისკოს თავზე ლივლივებს
მიმოიფრენს ზეცის სივრცეში
ცურავს და ელავს ზეცის სივრცეში
უსაზღვრო და
უკიდეგანო სიმაღლისკენ
მთებს მონყვეტილი
გადაეცლება ოკეანეს
იმ სიშორეს დასწრაფებული სადაც სათავეს იღებს დაისი
არეკლილი საკუთარ თავში

შემოწერს
ზეცას
სადაც ახლა არ ჭრიჭინებენ ჰიდროპლანები
და არ ბრწყინავენ არც საბრძოლო თვითმფრინავები
ის უბრუნდება მოელვარე მზეს
შეინავარდებს და მოწყდება
უკუიქცევა თავისავე ნაკვალევისკენ
საკუთარ თავს რომ დაეწიოს
ოკეანის თავს
და ხმელეთის თავს
და შორს მიწიდან სადაც ქალაქდის ბზრიალები
დუმან ქვიშაში და სადაც უკვე ბავშვთა რკინიგზის ვაგონეტები

პოპულისტური მანიფესტი

პოეტებო, გამოდით თქვენი საკუჭნაოებიდან,
კარ-ფანჯრები გამოხსენით,
თქვენ ძალიან დიდხანს იყავით გამოკეტილი
თქვენ-თქვენს დახშულ სამყაროებში.
ჩამოდით, ჩამოდით
თქვენი რაშენ ჰილებიდან და ტელეგრაფ ჰილებიდან[1],
თქვენი ბიკონ ჰილებიდან და ჩაპელ ჰილებიდან[2],
თქვენი მაუნთ-ანალოგებიდან და მონპარნასებიდან,
დაბრუნდით შავი კვარცხლბეკებიდან და მწვერვალებიდან,
გამოძვერით ვიგვამებიდან და სასახლეებიდან.
ხეები ჯერაც ეცემიან,
და ტყეში აღარ დაგვედგომება,
იქ თავის შეფარების დრო არაა,
როცა ადამიანი ცეცხლის ალში ხვევს საკუთარ სახლს,
ღორი რომ შენვას.
კმარა „ჰარე კრიშნას" ძახილი,
როცა რომი ინვის.
სან-ფრანცისკო
და მაიაკოვსკის მოსკოვი
ცეცხლს უნთებენ სიცოცხლის წარღვნამდელ საწვავს.
სინათლეს, სითბოს და ენერგიას ნთქავენ
მოახლოებული ღამე და ცხენი,
და შარვლები ჩაუცვამთ ღრუბლებს.
დღეს უკვე მხატვარს დრო არა აქვს
დაიმალოს სცენის ზემოთ, ქვემოთ ან უკან,
არ შეიძლება უდარდელად ფრჩხილების მოვლა
და ცხოვრების დისციპლინირებული წესის დაცვა,
დღეს დრო არაა ჩვენი წვრილმანი ლიტერატურული თამაშებისთვის,
დრო არაა ჩვენი პარანოიებისთვის და იპოქონდრიებისთვის,
არაა შიშის და სიძულვილის დრო,
არამედ დროა სინათლისთვის და სიყვარულისთვის.
ჩვენ ვხედავთ, ჩვენი თაობის საუკეთესო გონებანი[3]
როგორ გიჟდებოდნენ მოწყენილობისგან პოეზიის საღამოებზე.
პოეზია საიდუმლო საზოგადოება არაა,
მაგრამ არც ტაძარია.

ძალა დაკარგეს წმინდა სიტყვებმა და საგალობლებმა,
ლოცვების ჟამი ჩავლილია,
დადგა მოთქმის დრო,
დრო მოთქმის და სიხარულის,
დედამიწისთვის და ადამიანისთვის დამღუპველი
ინდუსტრიული ცივილიზაციის
მოსალოდნელი აღსასრულის გამო.
დადგა დრო
ფართოდთვალებგახელით,
ლოტოსის სრულ პოზაში,
ირგვლივ მიმოხედვის,
დადგა დრო პირის ფართოდ გაღების
ახალი ღია მეტყველებისთვის,
დადგა დრო ყველა მგრძნობიარე არსებასთან
კონტაქტში შესვლის.
თქვენ, "ქალაქების პოეტებო",
ჩემი ჩათვლით, მუზეუმებში გამოფენილნო,
თქვენ, პოეტებო პოეტებისთვის, ლექსებს რომ წერთ პოეზიაზე,
თქვენ, პოეტური სემინარების პოეტებო
ამერიკის ქარისაგან დახეთქილ გულში,
თქვენ, უსახლკარო ეზრა პაუნდებო,
თქვენ, გამოუცნობო, შერეკილო და დამთხვეულო პოეტებო,
თქვენ, ერთი ყალიბით ჩამოსხმულო "კონკრეტულო პოეტებო",
თქვენ, პოეტ-მლოკავებო,
თქვენ, ფასიანი ტუალეტების პოეტებო თქვენს სასურსათო ლექსებთან
ერთად,
თქვენ, "სვინგირებადი" -მატარებლების მოყვარულნო[4],
არასდროს რომ არ ამძვრალხართ არყის ხეზე, იქ "სასვინგიროდ",
თქვენ, სამხერხაოთა ჰაიკუს ოსტატებო
ამერიკის ციმბირებში,
თქვენ, უთვალო ირრეალისტებო,
თქვენ, თვით-ოკულტურო სუპერსიურრეალისტებო,
თქვენ, სანოლის ვიზიონერებო[5]
და ფეხსადგილის პროპაგანდისტებო,
თქვენ, მოკლოუნეებო
და ამხანაგებო მუქთახორების კლასიდან,
დღედაღამ რომ პროლეტარიატის და
მუშათა კლასის შესახებ ლაყბობთ,
თქვენ, ანარქო-კათოლიკე პოეტებო,
თქვენ, პოეზიის "შავი მთიდან"[6],
თქვენ, ბოსტონელო ბრამინებო[7] და ბოლონასის ბუკოლისტებო,
თქვენ, პოეზიის დედილოებო,
თქვენ, პოეზიის ძენ-ძმაკაცებო,
თქვენ, პოეზიის თვითმკვლელობამდე მოყვარულებო,

თქვენ, პოეტურ მეცნიერებათა ბანჯგვლიანო პროფესორებო,
პოეტების სისხლის მწოველო
მიმომხილველებო და კრიტიკოსებო.
თქვენ, პოეტურო პოლიცია –
სად არიან უიტმენის თავანყვეტილი შვილები,
სად არიან ტკბილი და დიდებული მეტყველების
შემძლებელი დიადი ხმები,
სადაა დიადი ახალი ხედვა,
სადაა მთელი სამყაროს დამტევი მზერა,
სადაა მაღალი ნინასნარმეტყველური სიმღერა
თვალუწვდენელი მინის შესახებ,
იმის შესახებ, რაც ამ მიწაზე უმღერს
ჩვენსა და მას შორის კავშირს?
პოეტებო, ისევ
გამოდით სამყაროს ქუჩებში,
ხედვის დავიწყებული სიხარულის განსაცდელად,
ფართოდ განხვენით თვალი და სული,
ყელი ჩაინმინდეთ და მთელი ხმით იმეტყველეთ.
მოკვდა პოეზია, გაუმარჯოს
გამჭრიახი თვალისა და ბიზონის ძალის პოეზიას!
ნუ დაელოდებით რევოლუციას,
ის ხომ უთქვენოდ არ მოხდება,
კმარა ბუტბუტი, - ილაპარაკეთ,
დაე, თქვენი პოეზია იყოს განხვნილი,
ფორმით ყველასთვის მისაწვდომი,
დაე, მას ჰქონდეს სუბიექტურობის სხვა დონეები
და სხვა დონეები დამანგრევლობის,
მაგრამ – ისე, რომ შინაგან ყურში გაჩნდეს კამერტონი,
შიგნიდან საიმედო ნოტის გამომცემი.
ხოტბა შეასხით საკუთარ თავს, მშვენიერ საკუთარ თავს,
და მაინც, განამტკიცეთ სიტყვა "ნ ასს"[8].
პოეზია საყოველთაო მებარგულია,
რომელიც პუბლიკას ისეთ სიმაღლეებს აზიარებს,
სადაც ვერასდროს აგვიყვანს ბორბლები.
პოეზია დღემდე ციდან ვარდნას განიცდის
ჩვენს ჯერაც ისევ გაშლილ ქუჩებში,
ამ ქუჩებზე ჯერაც ისევ არ აღუმართავთ ბარიკადები,
და ეს ქუჩები ცოცხალია ადამიანთა სახეებით –
აქ დღემდე სეირნობენ მიმზიდველი ქალები და მამაკაცები,
ჯერ ისევ ყველგან მრავლადაა საუცხოო ცოცხალი არსება,
და ყველას თვალში
მშვიდად მკვიდრობს თითოეულის საიდუმლო,
უიტმენის თავანყვეტილი შვილები ჯერაც
იღვიძებენ და გამოდიან სუფთა ჰაერზე.

ადამიანთა ბაზარზე

ადამიანთა ბაზარზე
სიეტლში შუა ზამთარში
უოლტ უიტმენის მსგავსი
აბურძგნულწვერიანი მაღალი კაცი
უძრავად დგას ცივ წვიმაში
მის ფეხებთან ძაღლი კანკალებს
კაცს გულზე მუყაოს ფირფიტა ჰკიდია წარწერით:
მე 70 წელზე მეტის ვარ
ჩემს ძაღლს სამი ფეხი აქვს
ჩვენ არავის არ ვჭირდებით
კოკისპირულად წვიმს
მათ წინ არ დგას მოწყალების მისაღები თუნუქის ჯამი

რვა ადამიანი გოლფის სათამაშო მოედანზე და მათ თავს ზემოთ მოლივლივე ერთი თავისუფლების ფრინველი

მაღლა-მაღლა მიფრინავს ფენიქსი.
ხოლო მის ქვემოთ, გოლფის სათამაშო მოედანზე, -
ქვიშაში, დიდ ფოსოში,
თავი ჩაურგავს
რვა ელეგანტურ მოთამაშეს.
აი, ერთი თავს სწევს და ყვირის:
მე დედამიწის პრეზიდენტი ვარ. მე მმართველი ვარ.
თქვენ არ ამირჩიეთ? ჰე-ჰე. პირველი ვურტყამ!
თავს სწევს მეორე.
მე ავტომობილების მეფე ვარ.
ჩემი იარაღი ავტომობილია. დავეწევი და ყველას ჩავაგდებ.
თქვენ არ გეყოლებათ სხვა ღმერთები.
უყურეთ. ჩემს ბურთს ვატარებ.
მესამე ამოყოფს თავს ქვიშიდან.
მე რელიგიას ვმართავ. მე თქვენი სულიერი მწყემსი ვარ.
რა მნიშვნელობა აქვს, რომელი რელიგიის.
გრძელ ბურთს ვატარებ. დაიხარეთ და ორმოსკენ მიდევნეთ.
მეოთხე ამოყოფს თავს.
მე გენერალი ვარ. უდაბნოს დასაპყრობად მე მაქვს ტანკები.
და ისინი ურიცხვია. მე მინდა დალევა.
ჩვენ ბურთს ვთამაშობთ. მიყვარს არაბები.
თავს ასწევს მეხუთე და იწყებს ლაპარაკს.
მე თქვენი მეპატრონის ხმა ვარ".
პრესას ვხელმძღვანელობ.
მე მექვემდებარება გრძელი და მოკლე რადიოტალღები.
ჩვენ ვმართავთ გონებებს. ჩვენ ვანესრიგებთ რეალობას.
ჩვენ ვართ კომპანია "ტვინის გამოსავლები ინკორპორეიტედ".
დაცინვა რეალობად იქცევა. რეალობა
დაცინვად.
ადამიანი კოსმოსური ხუმრობაა. და ა. შ.
ოქროს მოტვლეპილ თავს ამართავს მეექვსე.
მე თქვენი მოკავშირე ვარ – ტრანსნაციონალური ბანკირი.
მე ნავთობდოლარებისგან დამზადებულ სიგარებს ვღეჭავ.
ჩვენ ერებზე მაღლა ვდგავართ. ჩვენ კონტროლს ვაკონტროლებთ.
საბოლოოდ მე თქვენ ყველას შეგჭამთ.
მე მოგებაზე ვმუშაობ. თქვენსაზე.
ქალმა ყველაზე მაღლა ასწია თავი.
მე პატარა ქალი გახლავართ. მე მოალერსე მებრძოლი ვარ,
რომელიც ხმას აძლევს ქმართან ერთად. რომელმაც ინება ჩემი მკერდი.
ყველა ყვანჭს მხარზე გადაიდებს და იმართება

უკანასკნელი ფიგურა.
სდექ! თორემ შუბლს გაგიპობ!
მე მთელი პოლიციის მეთაური ვარ. მე ხორცს ვჭამ.
ჩვენ ვიცით, ვინაა მტერი. გირჩევთ, ამაში დამერწმუნოთ.
თქვენი ყველა შიზოიდური საქმე ჩვენს ანკესზეა წამოგებული. წინ და იცინეთ!
თქვენ, ყველანი, კომპიუტერში ხართ. ჩვენ გვაქვს
თქვენი ყველა ნომერი. გარდა ერთი
გამოუცნობი მფრინავი ტიპის.
რადარის ეკრანზე
რომელიღაც უტყვი ჩიტია.
ყოველთვის, როცა მე მას ვაგდებ,
ისევ ცისკენ მიფრინავს ხოლმე.

ჩარლზ ოლსონი

მაქსიმუსი თავის თავს

1.
ყველაზე ბოლოს უმარტივესი რამეები
უნდა მესწავლა. ეს სირთულეებს მიადვილებდა.
ზღვაზეც კი, როცა ხელს მაღლა ვწევდი
ან, ვთქვათ, სველ გემბანს გადავჭრიდი, მარტო ვიყავი.
ზღვა არ იყო, საბოლოოდ, ჩემი ხელობა.
არადა, აქაც, ჩემი ხელობის პირისპირაც, უცხოსავით ვიდექი მაშინ,
ყველაზე უფრო ახლობელი როცა იყო ეს ყველაფერი. მე ვიყავი ნაგვიანევი,
და უარეყოფდი გავრცელებულ არგუმენტებს,
რომ ასეთი გადავადება
დღეს მორჩილების
არის ბუნება,
რომ ჩვენ ყველამ დავიგვიანეთ
ამ ბნელ ხანაში,
რომ მოვასწარით ბევრის გამოზრდა,
ამიტომ ერთის
ამოცნობა
არ იქნება ასე იოლი

ეს შეიძლება, სისასტიკის მიუხედავად (ეჩიოტი),
სხვებში რომ ვამჩნევ,
ჩემს სიშორეზე
ღრმა აზრს იძენს. მარიფათი

რასაც იჩენს ყოველდღიურად
ხალხი, რომელიც ატრიალებს სამყაროს და
ბუნების
ბიზნესს
რაკი ამ საქმის არაფერი გამეგება
არაფერი მიკეთებია

მე დავწერე დიალოგები,
განვიხილე უძველესი ხელნაწერები,
გამოვასხივე იმდენი შუქი, ჩემი შეძლება რამდენსაც გასწვდა, სიამოვნებაც
სწორედ იმდენი შემოგთავაზეთ
ერთ დოცენტს რომ ხელეწიფება,
მაგრამ ეს — ცოდნა?
ის, რისთვისაც უნდა გამეღო
სიყვარული და სიცოცხლე და ერთი კაცის
მთელი სამყარო.

ნიშნები.
მაგრამ მე აქ ვზივარ და
გარეთ ისე ვიყურები, როგორც ქარის და
როგორც წყლის კაცი, ვცდი
და ვკარგავ
დასაბუთებებს

მე ოინები ვიცი
ამინდის, საიდან მოდის,
და საით მიდის. ჩემი ღერძი კი,
მე მას ვიღებ მათი გულთბილი მიღებიდან
და ან სულაც უარყოფიდან, ჩემი

და ჩემი ქედმაღლობა
არც დამცრობილა
და არც უფრო ამაღლებულა
კომუნიკაციით

2.
გაუკეთებელ საქმეზე
ვამბობ, ამ დილით,
ზღვის პირს
ჩემს ტერფებთან
რომ განოლილა

მე, მაქსიმუსი გლოსტერისა, შენდამი

ღია ზღვაში, კუნძულებთან, რომლებიც სისხლში,
ძვირფას თვლებსა და სასნაულებში ჩაძირულან, მე, მაქსიმუსი
მდუღარე წყალში გავლებული მხურვალე ლითონი, გეუბნები
თუ რაა მახვილი, ვინც ემორჩილება ახლანდელი
ცეკვების ფიგურებს

1.

შენ რომ დაეძებ ის საგანი
შეიძლება ბუდის სიღრმის
გარშემო იდოს (მეორე, დრო კი მოკლულია, ჩიტი! ჩიტი!

და იქ! (ძლიერი) ერწმუნე, ანძა! ჩიტის
(ფრენა
ო კილიქს, ო
ანტონ პადუელო
დანეული ჰორიზონტი, ო დალოცე

სახურავები, ძველი, მშვიდი უზარმაზარი
კიდეებზე რომ თოლიები დაუფენიათ, რომლებსაც მიწყივ ემიჯნებიან,

და ფრინველის საკვებურები
ჩემი ქალაქის!

2.

სიყვარული ფორმაა და ვერ იარსებებს
მნიშვნელოვანი სუბსტანციის გამოკლებით (ვთქვათ, თვითეული
ჩვენგანის წონა 58 კარატია, ოქრომჭედლის
შკალის მოთხოვნის შესაბამისად
ზადით ზადამდე აღრიცხული
(და ის, თუ რაა მინერალი,
ან — თმა ხუჭუჭა, ძაფი,
რომელსაც ეზიდები ნერვიული შენი ნისკარტით,

ქმნიან დიდ ნაწილს, საბოლოოდ ესაა
ჯამი

(ო ქალბატონო ჩემი კეთილი მგზავრობისა

მის მკლავებს შორის, ისევ და ისევ ვისი
მარცხენა
მკლავიც გულდაგულ ნაკვეთი ხეა სხვა არაფერი, შეღებილი სახე, და შხუნა!
და კოხტა ანძა, და ბუშპრიტი

დაჩქარებისთვის

3.

შიგთავსი, თუმცა მოზღუდული, თუმცა მერყევი,
მაინც ისეა, როგორც სექსი, როგორც ფული, როგორც ფაქტები!
ფაქტობრიობა, რომელსაც უნდა გაეწიოს ანგარიში, ზღვასავითაა,
მოთხოვნა
მათი აჟღერების, მხოლოდ ასე შესაძლებლობის, რომ ისინი
უნდა დაუკრან, თქვა მან ცივად,
სმენით!

სმენით, აი, ასე თქვა.
მაგრამ რაც მნიშვნელოვანია, დაჟინებული, ის, რაც დარჩება,
ის! ჩემო ხალხო, ო, სად მოძებნი შენ ამას, როგორ, სად, სად მოისმენ
თუ ყველაფერი აფიშების და განცხადებების დაფად ქცეულა, თუ
ყველაფერი, დუმილიც კი დაცხრილულია?

თუ აღარც ჩვენი ჩიტების ხმა, და არც ჩემი სახურავები
აღარ გაისმის

თუ შენც კი, თუ ხმაც გაჟღენთილი არის ნეონით?

როდის, მთაზე და წყალზე სადაც
ის ქალი მღერის,
წყალი როცა ელვარებდა,
კუპრისფერი, ოქროსფერი ტალღის
ნაკადი, მიმწუხრის პირზე,

ზარის ხმა როცა ნავებივით მოედინება
ათასფრად მბრწყინავ ზედაპირზე, ნაფცქვენები
რძიანი მერე

და კაცი, წყალში ჩავარდნილი,
შეტრუებული
ვარდისფერ აბრებს

ო, ზღვისპირა ჩემო ქალაქო)

4.

ერთს ფორმა უყვარს მხოლოდ და მხოლოდ,
და არსებობას იწყებს ფორმა
მაშინღა მხოლოდ,
როცა საგანი გაჩენილია

გაჩენილია იგი შენგნივ, გაჩენილი
თივისა და ბამბის ჭიგოდან,
ნათურებიდან ქუჩებისა, სარეველადან,
შენში რომელსაც დაატარებ, ჩემი ჩიტი

ძვლის თევზის
ჩალის, ანაც ნება
ფერის, ზარისა,
ან სულაც შენი, დაგლეჯილია

5.

სიყვარული არასოდეს არის იოლი,
მაგრამ საიდან უნდა იცოდე, შენ,
ახალო ინგლისო, ახლა, ნეტა საიდან,
რომ აქ არიან ნადგურმცემლები,
რომ — ქუჩებში მანქანები, ო, ორიგონ, რომ — შუადღის
მღელვარება და ცოდვა,
წელი შავ-ოქროსფერი?

მოფარიკაევე,
როგორ განგმირავ ლურჯ-ალისფერ ზურგს,
როცა წუხელ შენი მიზანი
იყო მუ-სიკა, მუ-სიკა და მხოლოდ მუ-სიკა,
არა ბანქო — არა კრიბეჯი?

(ო, კაცო-გლოსტერ,
აფრიალე
შენი ჩიტები, შენი ახალი
თითები და ქიმები შენი სახურავისა
მზით გამთბარ რაფებს
მოაშორე მერე სკინტები
ამერიკელო
ზედაპირო გარიდებულო
გადაეფსკვენი შენისთანებს
როგორც ფავნი ანდა ორალი

როგორც სატირი ლარნაკი ლესბოს

ო მოჰკალ მოჰკალ მოჰკალ მოჰკალ
მოჰკალ
ყველა
ვინც
წარმოგაჩენს)

6.

შიგნით! შიგნით! ბუშპრიტი, ჩიტი, ნისკარტი
შიგნით, მოკაკვული, შედის ის შიგნით, შიგნით, ის ფორმა,
შენ რომ შექმენი, და რომ იკავებს, და რომ არის
წესი საგნისა, ძნა ძნაზე, რა ხარ, რა უნდა იყო, ანდა რა
ძალა შეგიძლია ამოტყორცნო, სწორედაც ახლა, ამომართული ქვემოდან
ქიმი, ქიმი, სუსტი
ქიმი ესერა!

ბუდე, მოგმართავ მაქსიმუსი, შენ გეუბნები
ხელქვეშ, როგორც მე ამას ვხედავ, წყალზე,
აქ, სადაც ახლა მე ვარ, სადაც მე მესმის,
ჯერ კიდევ მესმის

საიდანაც ჯერ კიდევ მომაქვს შენთვის ბუმბული,
თითქმის დაშნაა, მე რომ ავიღე,
შუადღისას მოგართვი
თვალი პატიოსანი,
ფრთაზე უფრო მეტად მბრწყინავი,
ნებისმიერ რომანტიულ ძველ ნივთზე უფრო,
იმ ყველაფერზე უფრო მეტად, რასაც ატარებ

და უფრო მეტად, რაც არსებობს,
უწოდე ბუდე, თავის გარშემო, უწოდე ამას
მეორე წამს

იმაზე მეტი, რაც შეგიძლია
მოიმოქმედო!

ისევ ლანდშაფტი (ლანდშაფტი!): გლოსტერ,
ნაპირი, ერთი ჩემთაგანი საიდანაც მომდინარეობს (ორმაგდება), და
საიდანაც
(ღია ზღვიდან, მე, მაქსიმუსმა) გადმოვინაცვლე, დაიმახსოვრე.

ამ ღამით ძველი და ახალი პერსონაჟების კომბინაციით
(ანუ ახალი მიქსტურებით) გადავლახე ტერიტორია: წინამძღოლი,
მამაჩემი, ძველნიღბიანი, აქ ყიდის წიგნებს და ხელნაწერებს.

როცა მე მისი მაღაზიის ვიტრინაში ვიცქირებოდი, ფიქრად ეს მქონდა,
აქ უნდა იყოს მასალები მაქსიმუსისთვის, როდის, მაშინ,
ვნახე, ის იყო ახალგაზრდა მუსიკოსი, აქ რომ ყოფილა (იყო ჩემამდე)

ჩემამდე. გარეთ უკუვიქეცი ეს არ იყო მაღაზია, ეს იყო სხვენი (სასაქონლო
სანყობი იყო) რომელშიც, როცა ჩემს გარშემო წრე შემოწერა, შარშან
დაბრუნდა (მე აქ ვყოფილვარ ერთ დროს ცოლთან და ვაჟთან ერთად,

მე არ მახსოვდა, რომ მან ინსინუაციები
მიძღვნა თავისგან და თავისი ასულისაგან) ორივე მათგანს მე ვიცნობდი
წლების მანძილზე.
მაგრამ გლოსტერში არასოდეს. მე იქ მივედი, ჩემს ქვეყანაში.

ჩემი მშობლების სანოლ ოთახში შევხვედრივართ წინათ ერთმანეთს, იქ
გადავანყდი მას ჩემს ყოფილ ცოლთან ინტიმში: ამ ბიჭს
ებარა ახლა გლოსტერის ბიბლიოთეკა მასაჩუსეტში!

სიშავის სივრცე,
თევზის ძველი ფარდული და
მოძრაობა
მოჩვენებების.
მე, მის ნაკვალევს
ადევნებული.

ის
(თუმცა არა მამაჩემი,
კერძო სახელით
დაბადებიდან
სახიჩარი
თავისი სახით)
მფლობელი
ცოდნის

პრეტენზიების
იმას მაძლევდა,
რაც მე იმწამს
უკეთ ვიცოდი.

მაგრამ პირქუში
ის ადგილი, ნესტიანი
იატაკი, როგორც სანყობის
ან ბეღლის
სივრცე

თავზარი დამცა იმ ფაქტმა, რომ გლოსტერში ვიყავ და რომ იქ იყო ჩემი
ასული —
მე მას ვნახავდი! ზღვარს მიღმა იდგა იგი უკვე. არც მიფიქრია
ჩემს იქ ყოფნასთან ოდესმე მისი დაკავშირება, რომ ის

აქ იყო. რომ ის აქ იყო (აღთქმულ მიწაზე — ზღვარი!
მაგრამ იქ იყო ეს საქმიანობა, პოეტებისა, და რომ მთელი ებრაელობა
შეყრილი იყო თევზის ფარდულში, რომ წვეულება გაუმართავს
ბიბლიოთეკარს

რომ მე იქ უნდა წამეკითხა. და იქ იყო ბევრი მათგანი, და გარშემო
შემომსხდარიყვნენ. ეს არ ხდებოდა ჩემთვის, მე მაშინ თამაშგარეთ
ვიმყოფებოდი. ეს იყო ფორტი.
აღმოსავლეთ გლოსტერში იყო ფორტი — ბებერი გორთონის იმ
ნავსადგურში, სადაც იყო

ბიბლიოთეკა. და ეს იყო რეგიონი ქვანახშირის სახლებისა, ჯიხურებისა.
ერთგან,
ღობური ლაბირინთის კუთხეში ბანდა სასიკვდილოდ სცემდა
ვიღაცას. როცა ურტყამდნენ, მე ეხედავდი მათ მხრებს და მკლავებს.

მაგრამ არა მსხვერპლს. თუმცა იქიდან გამოვაღწიე, პოლიცია
გამომედევნა ფორტის ნაპირის გასწვრივ ტავერნის მიმართულებით

ადგილები ჯერაც
ნახევრად ჩაბნელებული, საავე ჭუჭყით და
ქვანახშირის მტვრით.

ბნელია
ხიდის
აღმოსავლეთი

და მხოლოდ კონცხზე

ნავსადგურიდან
ქრეისიდან

მოეკარი თვალი (ერთხელ
როცა ჩემმა გოგონამ გამოირბინა
ქვიშის ფენებზე

არ ყოფილა ის იქ მაშინაც.). სად
არის ბრისტოული? როდის მიმიყვანს ი-ა
სახლში? გლოსტერში ვარ

დაჭერილი. (რა მარხია იქ,
ლაფკინის სასადილოს
უკან? ან ვინ არის

მეთქი ფრენკ მური?

მაქსიმუსი გლოსტერს, წერილი 27 (უითჰელდი)

მე დავუბრუნდი, მარცხნისაკენ შემცირებულს,
იმას, იმ მხარის გეოგრაფიას,
მამაჩემი სადაც თავის საშინელ გოლფს ურაკუნებდა
ჩვენ კი ბეისბოლს ვთამაშობდით დანარჩენები
მერე ჩიტები ზაფხულის ბინდს შეერეოდნენ და ჩვენ-ჩვენ სახლებს
ჩვენს ვერანდებს ვუბრუნდებოდით სადაც ქალების
იდგა ყაყანი

მარცხნიდან მხარე საზღვრავდა ქალაქს,
მარჯვნიდან კი ზღვას მიბჯენოდა

მე ვიყავი ისე პატარა ჩემი პირველი მოგონება უკავშირდება
რექსალის კონვენციონერი ჯარისკაცების დასაპურებლად
გაშლილ კარავს, და გამოვიდა
მამაჩემი, საპანღურე კაცი, კარვიდან ბლავილით
პურის დანით კბილებში რათა ჭკუაზე მოეყვანა
აფთიაქარი რომელზეც უთხრეს რომ დედაჩემს
გაეარშიყა, დედაჩემი კი იცინოდა, დარწმუნებული, მრგვალი
თავისი სახესავით, ვარდისფერი ჰაინსი და ვაშლი
ისეთი, როგორ ქუდებსაც იხურავდნენ მაშინ ქალები

და ეს, რომანის აბსტრაქტული ფორმის
უაზრო წარმოშობა არაა, და ეს

არც ფართხალია და არც ფორმა
იმ მოვლენების, და ეს

ბერძნები, შეჩერება არის
ბრძოლისა
თავსმოხვევაა
მთელი იმ ნამყოს ნაკვალევისა, პრეცესიები

ჩემი თავის, იმ ფაქტების არის თაობა,
რომლებიც ჩემი სიტყვებია, და ეს მოდის

იმ ყველაფრიდან რაც მე აღარ ვარ, მე კი მაინც ვარ
იმის ნელი მოძრაობა დასავლეთისკენ
ჩემზე რაცაა აღმატებული
არც ჩემი მემკვიდრეობის გამო არსებობს
მკაცრი კერძო ბრძანება.
ძალა არა აქვს არც ერთ ბერძენს
დაანგრიოს ჩემი სხეული.
ამერიკელი
არის ჯამი შემთხვევებისა,
რომლებიც არის გეომეტრია
ვრცეულ ბუნების.
მე მაქვს შეგრძნება,
რომ ჩემს ტყავთან
ვარ ერთიანი
პლიუს ეს — პლიუს ის:
რომ სამუდამოდ გეოგრაფია
რომელიც შიგნით იხსნება
ჩემზე მე ვიმორჩილებ
ვუქვემდებარებ მე გლოსტერს განვლილს
გამოსავალს,
ცვალებადობას
პოლისი
არის

გვიანდელი მინაწერი #15 ნერილზე

ინგლისური პოეტიკა ინვენტარად არის ქცეული
მას მერე (1631-ის მერე

და დეკარტე წარმოადგენდა ფასეულობას
უაითჰედამდე, ვინც გამოხშირა ჭუჭყიანი მემკვიდრეობა
მასში სამყაროს მოთავსებით (თითქოს ეული ადამიანის

და ისტორიის იმ კონცეპციის საპირისპიროდ (და არა ჰეროდოტესეულის,
ზმნა რომ იყო და შენთვის რომ უნდა აღმოგეჩინა:
„ისტორიკოსი, რომელიც ნებისმიერი ადამიანის მოქმედებას აქცევს
მისთვის საკუთარი თავის
აღმოჩენად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღვიძებს მის ტრავმას: რომ ჩვენ
სადმე ვმოქმედებთ

უკიდურეს შემთხვევაში, ძალადობით, და რომ ობიექტურობა
(მაგალითად, თუკიდიდე, ან
უკანასკნელი მოდელის საუკეთესო მაგნიტოფონი, ან ჩანაწერის
ნებისმიერი ფორმა
— ცოცხალი ტელევიზია თუ სხვა რამ — ტყუილია

რაკილა ვიცით რას გადაუდგა იგი, ოცნებას: თავის ნებაზე
ყოფნის სურვილს. უაითჰედის მნიშვნელოვანი დასკვნის თანახმად: რომ
ვერც ერთი
მოვლენა სიღრმეს ვერ მოიხელთებს, გზაკვეთის ან შეჯახების დროს,
მარადიული მოვლენისას

ასეთი სიტუაციების პოეტიკა
ჯერ კიდევ აღმოსაჩენია

მთვარის ჩასვლა, გლოსტერი,
1 დეკემბერი, 1957, 1 სთ. 58 წთ.

გემშვიდობები ნითელო მთვარევ
მე დედა მუდამ
იმ ფერად მყავს წარმოდგენილი
როგორიც ქათის დასავლეთით ეშვები ახლა

47 წლის მერე ამ თვეში
ორშაბათს დილის 9 საათზე
შენ ჩახვალ და მე ამოვალ მე ვიმედოვნებ
ნებისმიერ რამეს ვთქვათ იმას
რომ შენ აღარ ხარ
ისე ტანჯული როგორადაც თავს გვაჩვენებდი
ცრუობდი
ჩემგან ამოდი დედა
ღმერთმა დაგწყევლოს ღმერთმა დაწყევლოს ის რომ
მცდარად მესმოდა შენი

მე შემიძლია მოვკვდე ახლა შევუერთდი ახლახან ცოცხლებს

რობერტ დანქენი

ხშირად მეძლევა მედოუში დაბრუნების ნება

თითქოსდა სცენა ყოფილიყოს წარმოსახული,
ჩემი არაა, მაგრამ შექმნილი ადგილია,

და გულთან ისე ახლოსაა, რომ ის ჩემია,
მინდერად სამწყსო მარადიული
თითქოს იქ შიგნით გადის საზღვარი

იგი შექმნილი ადგილია სინათლემ რომ გამოიგონა
საიდანაც ჩრდილები და ფორმები მოდის.

საიდანაც მომდინარეობს მთელი ჩემი არქიტექტურა
პირველი ტრფობის სურათია რასაც მე ვამბობ
ქალისთვის მისი ყვავილები მოკაშკაშე არის ნათელი.

დედოფალია იგი მაღლობქვეშ
წარგზავნილი მისი არმია სიტყვის შიგნით სიტყვის გათქმაა
რაც საძოვარი არის მინდორი.

ეს სიზმარია ოდენ ბალახის
აღმოსავლეთის მიმართულებით მზის ძლიერების საპირისპიროდ მობიბინესი
დაისამდე რაღაც ერთი საათით ადრე

იდუმალება ვისიც ბავშვების თამაშშია ამოსაცნობი
რომელსაც ჰქვია წრე ვარდის ირგვლივ.

ხშირად მაქვს ნება, მედოუში ისე დავბრუნდე,
თითქოს ის იყოს სამფლობელო, გონებისთვის ძღვნად მორთმეული,
და ის უთუოდ ესაზღვრება ქაოსის მხარეს,

რომელიც პირველსაუფლოა,
არსებულის სამხილია მარადიული.

პოეზია, ბუნებრივი რამ

არც შენი ნაკლი და არც ღირსება —
ლექსს არც ერთი არ ნაადგება. „ისინი გაჩნდნენ
და მოკვდნენ ისე,
როგორც ყოველ წელს ხდება კლდეებზე".
ლექსი
ფიქრებით, იმპულსებით, გრძნობით საზრდოობს,
რათა, თავის მხრივ, გამოინვიოს
თოკის კიბიდან უკუნეთში გადაშვების შინაგანი მოთხოვნილება.

ეს სილამაზე სათავისკენ მიმართული
შინაგანი ძალისხმევაა
დაქანებულ მდინარეთა საპირისპიროდ,
ძახილი, ჩვენ, რომ გავიგონეთ, იქვე — პასუხი
სამყაროს გვიანდელობაში
პირველქმნილი გრგვინვა-გრუხუნი
საიდანაც შეიძლება წარმოიშვას სულ სხვა სამყარო,

ორაგული — არა იმ წყალში
თხილი რომ ცვივა
მხოლოდ — ჩანჩქერში, მებრძოლი, უტყვი,
და ბრმად მოქმედი.

ესაა ჩემი გონებისთვის შესაფერი ერთი სურათი.

ხოლო მეორე: სთაბრის მიერ დახატული ლოსის სურათი,
სადაც მინაზე შარშანდელი,
უცნაური რქები ანყვია.
უმწეო ლოსისსახიანი ლექსი ატარებს
ახალ რქატოტებს,
იგივე,

„ოდნავ მომძიმო და ოდნავ ღვარჭნილი",

ერთადერთი მისი მშვენება იქნებოდა, ისიც
ლოსი რომ ყოფილიყო.

ასეთია ბევრი კარგი რამის ავადმყოფობა

იქნებ ის მაშინ ცეცხლოვან გზის ადამი იყო?
შემალული მრისხანებას მინამსგავს ქუდში,
სიყვარულით შემონიღბული,
იქნებ თესლი, ეროსული ერესი იყო,
იმის კლიტე და გასაღები,
რაც მე ვიყავი? მე არ შემეძლო წარმომეთქვა
მაშველი
სიტყვა. რადგან შავბნელ
მატერიაში შემოვიდა და
იმის თქმა მთხოვა,
რაც არ შემეძლო წარმომეთქვა. „მე...“

მთელი ეს ცეცხლი ჩემში შეჩერდა
ჩემი ენის საპირისპიროდ.
ჩემი გული ქვა იყო, უტყვი
და უჯიათი ნივთი რამ ჩემში,
სიბნელე ასე უსარგებლოდ
ჩამოწოლილი
იქ სადაც უკვე სიბნელე იყო.
„მე შენ მიყვარხარ“-ს რომელიც ფლობს
მხოლოდ იმ ერთ სისწრაფეს დროში,
ამ ერთ დასაწყისს
როცა მისი წუთი მართლდება.

ასეთია ბევრი ისეთი კარგი რამის ავადმყოფობა
რამაც ახლა ჩემს ცხოვრებაში ამ მრავალი წლის წინ
გაჩენილ უარყოფაში მათქმევინა მე შენ მიყვარხარ შეაკავა
ცრემლი დათმობა
სურვილი ისევ ძველ კავშირთან
დაბრუნებისა, ლოდინი, სიმი

ასე დაჭიმულს ეცინება სიმღერაზე,
ებრძვის შეხებას. ბნელდება
რათა გამოხატოს საყვარელთა ხელი
თავისი სიმსუბუქით იმისადმი, რაც
მიწის ქვეშ დამკვიდრებულა.

მშვილდის მოჭიმვისას

ჩვენი საქმეა, არ ვივიწყებდეთ ყოველდღიურ მოვალეობებს,
უკუვჭიმავდეთ მშვილდს სიზმრებისკენ, ცდას არ ვაკლებდეთ,
ვიდრე დასასრულს არ მორკალავს დაჭიმულ ლარში შექმნილი
ბიძგი. ოცნებები მდინარეები და მდინარებენ
საითაც ცივი შუქი ციმციმებს. სადაც ფანჯარა
მაგიდაზე აირეკლება,
შუშის საკრემე, კალის საშაქრე, უნესრიგოდ დაწყობილი
ყავის ფინჯნები და ლამბაქები,
მრავალფერადი მიხაკები — ამოზრდილი ზედაპირიდან. სხვა
მღელვარების დინებაში შეგვიძლვება ზედაპირის
ეს ტევადი კომპოზიცია
მე თავს მისგან შორს დავიჭერდი. მე წერილის

გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდი — ახლაც წერილის
გავლენის ქვეშ ვარ — მე ახლა ჯერაც იმ მეგობარი ქალისადმი
მინერილი ჩემი ნერილის გავლენის ქვეშ ვარ,
რომელიც ისე უახლოვდება ჩემს ფიქრებს რომ
დღე მას ეკუთვნის. ჩემი ხელი
აქ წერისას იქ ირხევა, დინებაში იმ... ჰაერისა?
შინაგანი მოლოდინით ... ისა? მასზე ფიქრებში
სულიერი სიხარულის შეხებას აღწევს.

ამ ჩანაფიქრის
ზედმეტობაში
„არის კავშირი ორი სხვადასხვა მიმართულების, ისე,
როგორც მშვილდსა და ქნარში“ —
მხოლოდ ოცნების სწრაფი ახდენით
რომ სიზმარში
შეიძლება ჩემი ხელი გამოისახოს
იჭიმვის ლარი.

ჩემს უკან დგახარ.
ბნელ ფერებს, ჩრდილებს მე ქალს დავარქმევ.
მაღალი და სწრაფი ბგერები ... იქ შენ ჯერაც ქალიშვილი ხარ,
რაღაც გცხია დისა თუ ცოლის,
უნუგეშო,
კვლავაც შენი ორფეოსი ვარ,

ისარია თუ სიმღერაა რომ პასუხობს
მოცახცახე დღეს
საიდანაც ეს ნათელი გამოსხივდება

იმპერატორ იულიანესგან, *ჰიმნი ღმერთების დედისადმი:*

და ატისი ზეცას გარს უვლის როგორც ტიარა, და მერე ისე უკუიქცევა, თითქოს მიწაზე სურდეს დაშვება.

რამეთუ მსგავსი მსგავსს შერწყმია, არამსგავსნი კი უკავშიროდ აღმოჩენილან, და არც მასშია გზა, არც — მის გარეთ.

დედაჩემი ბაზიერი იქნებოდა

დედაჩემი ბაზიერი იქნებოდა,
მე კი — ლაღი შევარდენი, მის მაჯაზე მოსიარულე,
გავფრინდები და მოვიქცევი, სისხლმდინარემ ცის ლაჟვარდიდან
მისთვის ძღვენი რომ მოვიტანო,
იქ, სადაც მძინავს, ზანზალაკით გაწყობილ ქუდში,
ჩემი თავის შემობრუნებას ზანზალაკები უწესრიგო წკრიალით რომ
ეგებებიან.

დედაჩემი ბაზიერი იქნებოდა,
სადაც ის მგზავნის, სამანია მისი სურვილის,
და მისი ჯაჭვი ბოლომდეა დაჭიმული, იმ სამანამდე,
საიდანაც უკუმტყორცნის მერე ტკივილი.
ვშიშობ, რომ მოვწყდე,
რაკი დავეცი, დავმარცხდი და დავალება ვერ შევუსრულე.

ის ჩამოაგდებს პატარა ჩიტებს.
მეც ჩამოვაგდებ პატარა ჩიტებს.
როდის დამრთავს ამ ჩიტების ჩამოყრის ნებას,
ფრენით დაცხრილულთ ფეხები რომ გადამტვრევიათ?
ყვავილებივით სნყდება მათი თავები ტანებს.

მე დავაბიჯებ დედაჩემის მაჯაზე და სისხლით ვასველებ,
პანია ქუდს კი დაუფარავს ჩემი თვალები.
მე ჩემს დაფარულ სიჩუმეში უკუვიქეცი.
ჩემივე თავთან ვსაუბრობ და ძილს მივეცემი.

რაკიღა უკვე მოაყუჩა ჩემი სიზმრები ჩემივე ქუდში,
ზანზალაკებით გაწყობილ ქუდში,
მაჯაზე უზის შევარდენი, ცხენს დააჭენებს,
ხშირად იყენებს კაუჭს, რაც მე შიშისგან მკუმშავს.

შორს მგზავნის, რათა ჩემი ფრთები გამოიცადოს.
მე ვუბრუნდები. ჩამოვუტანი
პატარა ჩიტებს.
ვიცი — არ უნდა შემომეფლითოს. მიეუტანო უნდა მთლიანი.

მაჯას ნისკარტით ვუკანრავ და ვუღებავ სისხლით.
მისი მზერა კი მაკავებს და მტანჯავს და მზარავს.
ის ჩემი ფრენის დროს შემოსაზღვრავს.
ამბობს: არასდროს მიეფარო ჩემს თვალთახედვას.

ის მწაფავს როგორც ნადირობაში, ისე — თავისშეკავებაში.
ის მაჯილდოვებს სადილად ხორცით.
მაგრამ არასდროს არ უნდა ვჭამო ის, რაც მასთან მისატანია.

მშვენიერი იქნებოდა, ყოველთვის, ჩემი ნკრიალა ქუდით
მის მაჯაზე ამხედრებულს თან მატარებდეს,
ის კი ყოველთვის ჭენებას და
შევარდნებით ნადირობას ეშურებოდეს, და მე
ვიფრენდი ჩემს გულსა და მის გულს შორის ჯაჭვით დაბმული
და ლაჟვარდიდან ჩამოტაცებულ ტროლას ფერხთით გაეუფენდი,
ჯერ დაბმული, ხოლო მერე გასაფრენად ფრთააშვებული.

დედაჩემი ბაზიერი იქნებოდა,
და მე — მისი შევარდენი. შემართული, მისი ნების შესაბამისად,
მისი მაჯიდან აფრენილი, თითქოს მისივე
სიამაყეს წარმოვადგენდე. მის სიამაყეს არ გააჩნდეს
თითქოს საზღვრები, მისი გონება
ჰორიზონტს მიღმა თითქოს ჩემი ფრენით ქრებოდეს.

აჰ, მაღლა, მაღლა, ჰაერში ვფრენ და —
შორს, შორს მისი ნების ჯაჭვიდან.
სადაც ცისფერი მწვერვალებია, შევარდნის ბუდე საითაცაა.
მერე მე ვნახე დასავლეთი მომაკვდავი მზით,
ადამიანურ ჩემს სულს თითქოს ცეცხლი იპყრობდა.
მე ჩავაფრინდი დედის მაჯას, ამ ჩემს დასაყრდენს,
ვიდრე იქიდან ცხელმა სისხლმა არ გადმოსჩქეფა და არ მომესმა მისი
ყვირილი,
შორს, შორს მისი ნების ჯაჭვიდან.

ვარსკვლავურ ჰორიზონტებამდე, მწვერვალებით გარემოცულ სამყაროს
მიღმა, სადაც შევარდნის ბუდე
ვიხილე, და მისი მაჯა ამოფლითა ამ ველურმა ჩემმა ნისკარტმა.
გავფრინდი, როგორც მისი თვალიდან ამოფრინდა სიმწრისგან მზერა
და მისივე მზერის მიღმა დაენთქა,

გამონვეული მის მაჯაზე ჩემი დაკარგვის მძიმე დარტყმებით,
ჩემი ბოროტი ჩანისკარტებით,
მისგან თავდახსნის მიზნით სისხლიდან გამორიდებით.

დედაჩემი ბაზიერი იქნებოდა,
და ახლაც, როცა წლების მერე
უკვე მოშუშდა ჭრილობა, ჩემგან დატოვებული,
და ქალი მოკვდა,
გამეხებული მისი თვალები დახუჭულია, და მისი გული
დაბზარულიც რომ ყოფილიყო, უკვე უტყვია.

მე ვიქნებოდი შევარდენი, თავისუფლებას მოვიპოვებდი,
ამოვკაწრავდი მის მაჯას და ქუდს ვატარებდი,
ვისაუბრებდი ჩემს თავთან და სისხლს ვუჩვენებდი.

პერსეფონე

„ჩვენ შევიცანით დიადი დარტყმა,
ეს ჭრილობები მისი კვალია“.

ხსოვნაში: დილის შორეული დაბლობები,
საჩიხარი ქარი, ბორბალი, სარეველა — ჩლიქით ნატკეპნი,
მინის შიშველი სალბუნები. მოტაცებაზე საუბარიც მოგვისმენია
ქალებისგან, წყაროებთან ცარიელი კოკებით რომ ჩამომსხდარიყვნენ,
ჩვენ ფოთლეულის საუბარიც მოგვისმენია და საუბარი მოხუცებისაც,
თუნუქელებს და ზღვის ნიჟარებს წყლით რომ ავსებდნენ, და ფიჩხს ეძებდნენ,
კერიის ქვაზე ცეცხლი უნდა ამოსულიყო. მაგრამ ოდესღაც ცოცხალი ქვების
გულები და არტერიები ახლა უკვე ქცეულიყვნენ პიტალოებად.
ხმა ჩვენი მოთქმის, როგორც ლერწმის ამოძახილი,
ბზარავს რუხი წყლის ყინვასა და სიცარიელეს. გვესმის: ქალაქთა
ნანგრევებში
კივილად და ნიჟარებში სტვენად ქცეული,
და ჩვენს ფილტვებში ეთერიით ჩაიყინება.

ბინდბუნდი მძლავრობს მუხიანში, ჩრდილი... ჩრდილს ერთვის,
მწუხარებას გაორმაგებს. ერთობ სუსტია
მწუხარების გულისწადილი, ნიადაგ უფრთხის, ერიდება
ფოთლებით და ნაფეხურებ-ნატერფალებით
ხშირადფენილ ნგრევის ნაკვალევს. აი, ამ მტვრიდან,
სიცოცხლის ნვნის ამომწურავნი,

ლეშიდან და აზელილი თიხიდან გარეთ,
სინათლისკენ მიირღვევიან
თავის ქალაში გამოვლილი, გაღივებული ჩვენი ფესვები.

სულმთლად სპორებში ამოვლებული, თესლად დაღვრილი ონანი, ქოსა,
მოიკაფავდა გზას ჩვენს უღრანში, ან, შესაძლოა, ქალების ტევრში.
ლეოპარდივით ფეხმარდები,
ჩვენში ძვრებოდნენ. გადარჩენილი: ჩამობურულ ტოტებქვეშ
ბნელი — ნათლის ლაქებზე მქროლავი და
ლაქებზე დილის ფლეიტის ჰანგის, ფოთლოვანს რომ აღვიძებდა და არა
— ფრთოსნებს.
და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნამღერის დროს ჩვენ-ჩვენს სიმწვანეს
გარეთ ვუშვებდით სიზმრის ლულიდან.
მზე — თითქოს ოქრო მეღვრება ტანზე,
ფესვები ცივი უკუნეთით გარემოცულა, ხოლო ხელები განვდილია
სხვადასხვა მბარეს
წვრილი ღეროდან ოქროს ღვარში და ქანცგაცლილი
ღრუბლების ჩრდილში, და მზეს სვამენ მწვანე თითები.
აღარაა, აღარაა უკვე სიმშვიდე, აღარაა არც პერსეფონე.
უკანასკნელი მისი სიზმარიც ნუგეშია
სიკვდილს რომ ქსოვს, ძილის იმ ძაფით.

შემორჩენია ხსოვნას ნგრევის სიმბოლოები:
გახლეჩილი კლდე, უეცარი შოკი — დარტყმით გამოწვეული —
იმ დღეს, როცა, პერსეფონე, შენ მოგიტაცეს.
ხოლო დაბურულ მუხიანში ჩრდილი... ჩრდილს ერთვის.
და აი, ისიც — თეთრძვლიანი, ფიჩხს ანაფოტებს,
წყვეტილად სუნთქავს ტენიანი საშინელებით, მაგრამ უძილოდ, და
ჩვენეული ჭრილობები მზად არიან
საპასუხო დარტყმა აგემონ ტკივილებს ჯერაც მზის ამოსვლამდე.

ტორსი

მე-18 პასაჟი

ყველაზე მშვენიერი! წითლად მოყვავილე ევკალიპტი,
მარწყვნარი, ურთხელი

არის ის...*

* იგულისხმება მამაკაცი (მთარგმნელი)

და შენ თხელ მკლავებს შემომხვევდი გაღიმებული
ლონდონის ხედი განდევნილი ჩემი თვალისთვის
ისეა როგორც ელიზიუმი წმინდა სულისთვის

ის რომ სიმართლე ყოფილიყო
მე ვიცხოვრებდი მის შესახებ ილუზიაში

მამაკაცური ჩემი სხეულის ასოთაგან დამიხსნიდნენ მისი ხელები

მამაკაცის წარმოსახვა რა იდეას აღმოაცენებს

აღძრავს დინებას რომლითაც მე მისკენ მივცურავ

...ჰომოსექსუალი?

მისი ტუჩების საგანძურიდან

ჩემი სული ძალებს იკრებს და

მის სულს შეერწყმის

უნაპიროა ჩემი სიცოცხლე, მისი სხეული მიმიძღვება
სამოთხეში, მისი თვალები
აღაგზნებს ჩემში ცეცხლს, მოცახცახე

იეროგლიფი: მისი ყელის ძირში

ლაპიწი, ვინაიდან ყელი დარაჯობს არტერიას
მის თავში რომ აღმა მდინარებს მშვენიერია ეს ყველაფერი

მისი მკერდის კუნთების თავზე

კერტები, რაკი მამაკაცში მკერდი მსგავსია გრძნობის მძინარე
შადრევანთა, გულისცემაში მომლოდინეთა, და იფარავენ მისი
სუნთქვის ამომართვას, რათა დროზე გამოელვიძოთ

ღერძზე მისი შუაგულისა

ბორცვი, რაკიღა მისი მუცლის ჩაღრმავებაში საიდანაც ის
პირველად იკვებებოდა არის ტაძარი

ძირში მისი საზარდულისა

შმა, რაკი ტორსი არის ღერო რომელშიც კაცი ახარებს ძალას
და მიუძღვის მას სხეულის ფუნდამენტისკენ საიდანაც მისი
თესლი აღიმართება

მე მიპყრობს ტალღა სურვილის და საჭიროების

ამოვიძახე ჩემი სახელი

(ეს შორეული ხანა იყო. სულ სხვა ცხოვრება)

და ამოვთქვი,

რა გინდა ჩემგან?

არ ვიცი, ვთქვი მე. სიყვარულში დავიძირე. მან
მწვერვალზე ამიყვანა და მოსალოდნელი უმისობის
შიშითაა ჩემი გული დაეჭვებული. მისი მზერა
გამსჭვალავს ჩემს გვერდს • ჩემს თვალებში კოცონს აღაგზნებს •

მე შენ გელოდი, თქვა მან:
ვიცი, რაც გსურდა ჩემში

შენთან ვარ ყველგან შენს დაცემაში •

მე დავეცემი სიმაღლიდან. მე ავამაღლე ჩემი თავი

სიბნელიდან შენს სიმაღლეში

სადაც ხარ და სადაც იქნები

ჩემი ხელი შენს ხელში ეძებს კლიტეებსა და გასაღებებს

იქ ვარ. ჩემთან შეერთებით შენ უერთდები

შენივე თავს •

რადგან ჩემი სხვა არაა ქალი არამედ კაცი

და მე ამ მეფის მკერდზე ნოლის ნება მეძლევა.

დანტეს ეტიუდებიდან

შრომა

De Monarchia. I, IV
„შრომა დამახასიათებელია კაცთა მოდგმისთვის, აღებული, როგორც მთლიანობა, რათა შენახულ იქნას პოტენციალური ინტელექტის მუდმივად განხორციელებადი შესაძლებლობები, უპირატესად — აზროვნებისთვის, ხოლო შემდგომ (გარკვეულწილად, და სხვათა გამო) — ქმედებისთვის“.

ჩემი აქყოფნა მე განვანესე

მხოლოდ იმიტომ

რომ განმესაჯა კაცთა ბუნება,

საჭიროა დრო და სივრცე (ასპარეზი)
და მას გონების ერთადერთი ასო ნარმოქმნის

აქედან კი: ადამიანი მხოლოდ თავის
შესაფერის საქმეს ენევა, სწორ რაციოს და
წონასწორობებს
მოითხოვს ჩვენი წარმოსახვა

ამოფრქვევა

დაფარულიდან

ჯარაც ისევ არა ჩვენს შორის

საყრდენ წერტილად რომლისთვისაც ჩვენ ვქმნით

სიმღერას.

„არც სიმდიდრე, არც სიამოვნება, არც პატივი, არც სიცოცხლის ხანგრძლივობა, არც ჯანმრთელობა, არც ძალა“ — საიდან ვიცით, როგორ გვამოძრავებს სიცოცხლე? — „არა სილამაზე, არა მშვიდობა“

მოცალეობა (დროზე ზრუნვას მოკლებული დრო)

ფურორისადმი

სამართლიანობისადმი — არა წყენის არშესამჩნევად,

არა შეცდომებისთვის შურისსაძიებლად, არც სამაგიეროს
გადასახდელად,

არამედ ჩვენში წყენის დახსნისთვის,

მისწრაფება მუშაობისკენ

მოთხოვნილება საცნაური

ნებაყოფლობად ემოციური

განვრცობისადმი:

თუმცა სიზუსტე გვაგონდება
და მარცვალთა ხანგრძლივობა
რომ ლექსს „თვლისა" და
ჩვეულების საზრისი მსჭვალავს
რომ იქ გული უნდა მყოფობდეს,

ჰარმონია

იმდენად ვრცელი რომ განმარტავდეს

კონფლიქტს

და ზუსტი ტერმინებით წარმოგვიჩენდეს

კონტრასტს

რომელშიც ხელოვანი დღესასნაულობს

სამი გადაადგილება

ექვს თვეში უკვე სამი სახლი გამოვიცვალე, მაგრამ ამას
არ შევუცვლივარ.
ორმა სახლობამ ორი ახალი მეგობარი შვა,
მესამემ კი კვლავ საკუთარ თავს შემატოვა
(ერთმანეთთან ძლივსღა ვსაუბრობთ).
ვარ აქ შინაურ იხვებთან და
მეზობლების ნავებთან ერთად,
აპრილის ნესტის წინააღმდეგ
ესღა დამრჩა: ელექტროსითბო.
მყავს მეგობარი, სახელად ფრენკი —
ერთადერთი, ვინც ბედავს, რომ შემეხმიანოს
და მკითხოს, „შენი სული რასა იქმს?“
დიდ დროს ჩაევლო, ამ საკითხზე რაც არ მეფიქრა.
მრცხვენოდა, მეთქვა, არ ვიცი-მეთქი.
დღესდღეობით მოძღვარი არ მყავს.
ვინ მომიტევებს. შენ ხომ არა?
ისევ — მეზობლის ნავებსა და ამ შინაურ ფრინველებს შორის.
ტივებს ვიტვიტით გარს ევლება იხვების გუნდი...
ხმელზე, მინაზე მთვრალებივით დაბანცალებენ,
ცისარტყელას ფერებივით ერთმანეთში გადასული
ცისფერი და ყავისფერი, ლურჯი და მწვანე.
მათ ბინა უდევთ ძველისძველი ჩვენი სახლების
აშხეფებულ სარწყულებელთან,
მაგრამ მაინც სილამაზით თვალს ახარებენ.
შეხედე! იხვი, დაუჯერებელნისკარტიანი,
როგორ შეჩერდა,
რათა მისწვდეს და
მიიზიდოს
მოყვითალო ნარცისი ქოთნის.
მერე ისინი კვლავ შინისკენ მიბათურობენ

და ოცნებობენ შეღამებისას
თევზით სავსე, ნათელ ბაღებზე.
ოჰ, კარგადა აქვთ ამ იხვებს საქმე.
გადარჩებიან.
მაგრამ ვწუხვარ, რომ აღმამავალთ ხშირად ვერ ვხედავ.
საწყალი მამაძაღლი იხვები.
თქვენ, ყველა დედამოტყნულები ხართ.
თუ ფიქრობთ რამეს აღმაფრენაზე?
რატომ არ ფრენთ მზის სიახლოვეს?
დადნობას უფრთხით?
ამ სულელ იხვებს დანაშაულის გრძნობა არა აქვთ,
და მრავალ-ათას-მილიანი მათი ჯაჭვიც ძალზედ მოკლეა
საიმისოდ, რომ რამის შეცვლის იმედი გქონდეს.

სიეტლი, აპრილი 1965

ახალგაზრდა პოეტს, რომელიც გაიქცა

თქვენ ყვირილი გვაშინებს, მაგრამ ჩვენ გვიყვარს
თქვენი მომხიბლავი მუსიკა!

კირკეგორი

მაშ, როგორც შენ თქვი, სამუშაოდ მამაშენის ფერმაში წახვალ.
ჩვენ ვისაუბრეთ, როგორ ხდება, რომ მხოლოდ სიტყვით შეუძლია
პოეტს შეხება. მე, დაკარგულო ჩემო შვილო, ჩემი ხელით შეგეხები,
ხელახლა, რომ დაგემშვიდობო. შენ სამუშაო დატოვე და გაიქეცი,
არ კი იცი, თუ რამდენს ნიშნავ. ოჰ, ჩემთვის — არა, როგორც შვილი.
მე ხომ სხვებიც მყავს. შესაძლოა, ძალიან ბევრი. ყველა წერილს
ვერ ვუპასუხებ. არ ჩამომერთვას ტრაბახში და
დავძენ, რომ ვიცი, მამის იმიჯს ძირი როგორ გამოეთხაროს
(ობოლი ბიჭის მწარე სევდის გაქარვებას ორჯერ ვეცადე,
მაგრამ ორჯერვე სხვა ჭრილობა გავაშიშვლე მასშიც და ჩემშიც).
არა — მე ვამბობ: უცნობია შენთვის შენი ნიჭის მიზეზი.
ვერ დაერქმევა ამას ტანჯვა. ტანჯვას სხვებიც განიცდიან. ცრემლის ნიჭი
წმინდანების სასოებაა, მონიკა და ოსტინი ისევ.
მე პოეტის პირის წყობის ტალანტს ვგულისხმობ,
ის ნიღაბია, მოჭრილი მისი სახის ხორცისგან
მეგაფონი — თხის ტყავით მოსილ ბერძენთა მსგავსი — ქვის მაღალი სკა-
მებისკენ მისი სულის ნათლიერი მოძრაობების გასავრცელებლად.
მაგიური ძალა ბაგეთა, მას შეუძლია ლოდი ცრემლად

გადააქციოს. მე ვგულისხმობ ენების მათრახს, რომლის ეშხითაც
მსმენელებს ძმათა კავშირისკენ ერეკებიან, ამსხვრევენ
ტყვიის სასაზღვრო ზოლებს, ერთ კაცს მეორე კაცისგან რომ
განაცალკევებს, და ქმრებს და ცოლებს ერთურთისგან განაცალკევებს,
ჩვენი ცხოვრების
შეკვამლულ და ძველ ვიტრინაში. ბულბულის ენის მსგავსადაა
დასერილი პოეტის ენა, მისი ტუჩები დამსკდარან (და დახეთქილან
საფლავის ახლოს),
დაკემსილა და დაბზარულა მისი ყბის ძვალი მუშტის ძალით და მერე
მისივე მეგობრების
მალამოს ძალით. თუ ისინი აიძულებენ, რომ მან იბღავლოს, როგორც მონამ,
ძველად სპილენძის ხარის სტომაქში რომ მოიხარშა, ის ერთი ბენო მექანიზმი
იმპერატორის სტუმრისთვის ბადებს ყელში მუსიკას,
საკუთარი ყვირილით შექმნილს. ასეა იგი დანყეველილი: პოეტი მხოლოდ
საზოგადო და მუსიკალურ სევდას ტირის და სხვას არაფერს, და ის იცინის
მხოლოდ სხვების მხიარულებას. ახლა კი, როცა ჯერაც გადმოდის
ლოცვა-კურთხევა,
ის ტკბილია და ამაღლებული. ჩემო შვილო, მე შენს არჩევანს ვერ გავაკეთებ.
მომეცი ნება, შენი ხელი ავიღო ხელში. მე ან ძალიან ბებერი ვარ ან —
ახალგაზრდა ამის სათქმელად,
„მეღორე ვიყო მირჩევნია, და უბადრუკ ქოხში ვცხოვრობდე,
და იმ ღორებს ესმოდეთ ჩემი, ვიდრე — პოეტი, ვისიც არ ესმით ადამიანებს".

SUZANNE

შენ გვაიძულებ, ცოცხლად დარჩენა ვისურვოთ, სუზან,
ისე, როგორც შენი ქერა თავი

ბრუნავს.
როგორც ეგ შენი სუსტი ხელი

მიგაქვს მკერდისკენ.
როცა ფეხს მაღლა აიკრეფდი

ცეცხლთან მჯდომარე,
და ბრინჯაოსფერ მაგ თმას

მუხლზე ჩამოიშლიდი
მე შენს თვალებში

სევდიანი პატარა გოგო ამომიკითხავს.
სათუთი იყო მისი შეხება

შენს მაღალ და ნატიფ ყვრიმალთან.
ერთხელ მე იგი შენს საყვარელ ხმაში ჩამესმა

როცა იმღერე —
სიჭაბუკის საზარელი დრო.

შენ ჩვენთვის დღესაც სიხარულის მომტანი ხარ,
სუზან, სადაც არ უნდა იყო.

და ერთხელ, თუმცა მაშინ მე იქ არა ვყოფილვარ,
ჩემს კიბეს სამი ვარდი აჩუქე.

ერთხელაც, ღამის ნეშულებაზე, მაღლამყოფმა,
ოთახები ფეხშიშველმა მიმოირბინე,

შენი სიცილის შადრევანი
დგაფუნებდა მაშინ ჰაერში.

„Chartreus“, მღეროდი
(ლიქიორი, მუდამ, რომ გსურდა),

„თმა მაქვს ყვითელი შარტრეზისფერი!“
ოჰ, ეს დიდი მოვლენა იყო.

შენ იქ ყველაზე მომხიბლავი არსება იყავ.
გუშინ, მე რომ აქ არ ვიყავი,

შენ ჩემთვის ისევ მოიტანე
პორცელანის ცისფერი

კვერცხი —
ისე ლამაზი,

როგორც შვენის რუსულ აღდგომას.
იმ დროიდან შენს საყვარლად ყოფნა მწყუროდა,

მაგრამ მე მხოლოდ ვეხებოდი შენს მხრებს, და თითებს
ნებას ვაძლევდი, შენი თმები ჩამოევარცხნათ,

რაკი ჩემს კიბეს ერთ დროს სამი ვარდი აჩუქე.

დაიჯერე

ორთავიანი თხაც არსებობს, ოთხფრთიანი ნინილაც და
სევდიანი შვიდფეხა კრავიც,
რომლის პანია მძიმე ცხოვრებამ ჰოფლანდში (კალიფორნია)
განელო. ორჯერრორთვალა კაციც მინახავს,
რომელიც თითქოს კითხულობდა, ჩემი სულის არსებობას როგორ ვეჭვობდი.
შეძლებს თუ არა ეს ყველაფერი, ტევრს მოსტაცოს ჭკნობადი ხორცი?

არსებობს მარწყვიც, გამოსხმული
სტაფილოზე, ბასრი
ბალახიც, მტკიცე ქვიდან ამოხეთქილი,
ოთხმოცდაათი ფუტისა და ორი ინჩის სიმაღლეზე
ასული ხორბლის შესახებაც გამიგონია,
ჯორჯ ოსბორნმა რომ მოიყვანა არკანზასში, საილომაში.
რომ ვერ გამოვთქვამ, რაღაც ისეთი გროტესკული იზრდება ჩემში.

ის ძალზე დიდხანს მძვინვარებდა და ტოტებს შლიდა.
მე ის ახლა ისე მამძიმებს, როგორც ჯაჭვი იმ ლაჰორელ კაცს,
რგოლებს საკუთარ შიშველ ხორცზე რომ იგროვებდა,
და ის თავისი ცხოვრების ბოლო ცამეტი წლის განმავლობაში
ქალაქში ფორთხვით დადიოდა და თან დაჰქონდა ექვსასსამოცდაათი ფუნტი.
ყოველი რგოლი და ყოველი ნამსხვრევი ჩემში სიყვარულის წინააღმდეგ
ამბოხებაა.

მეც იმისთვის მსურს ანთებული სანთლის ფარანი, ჩადგმული ჩემივ თავის
ქალაში,
რისთვისაც ლაითჰაუსის ერთ კაცს, ჩანგქინგში მცხოვრებს,
მგზავრებს შინისკენ რომ მიუძღვოდა.
ხოლო მე ჯერაც მგზავრი ვარ და ჯერაც არ ვიცი, სად არის ჩემი
სამკვიდრებელი. თუ ჩემი სახლი აქ, ჩემს მკერდშია,
აანთე იგი! და მე მიგინვევ შენ იქ, როგორც ჩემს პირველ სტუმარს.

თინა ლოგანს, 1980

სიყვარულის ლექსი

შენ არ მოსულხარ წუხელ ჩემთან,
და შენამდე ახლა უკვე ისე შორია.

ჭკნობად, მინიერ ჩემს მკლავებში შენს პოვნას ვცდილობ
(შენს ალქიმიას შეუძლია, ჩემი თიხა ისევ კანად გადააქციოს).
მსურს უკუვიქცე და ნახევარსამალავიდან ვაკვირდებოდე
შენი სახის ან დაკარგულ ფოსოებს და ლამაზ დამრეცებს
ნამწამებქვეშ, ჯიშიან და ყომრალ ფირფიტებს,
ნაპირის სუფთა კენჭებია უთეთრესი შენი კბილები.
ძილისთვის მზადმყოფს, მსურს შენს სუნთქვას ვაყურადებდე
(რაკილა ჩვენი, კაცობრივი ხელოვნებაა, ჩაძინებამდე
ვითამაშოთ ძილსმიცემული).
მსურს შევიყნოსო ამოუცნობი
მცენარეებით სავსე ბაღები — შენი თმები, ვწვდე იმ სუსტ რხევას,
მოულოდნელად რომ გროვდება შენს მაღალ შუბლთან,
წყალს როცა ივლებ —
ეს ხომ ასე მშვენიერია.
მე მსურს სინათლე მოვისმინო,
შენმიერი ამოოხვრის ხანგრძლივი ქარი.
მაგრამ ვიცი, რომ არც ამაღამ უნდა გელოდე.
ვეღარ შევიგრძნობ
შენს სიმშვიდეს, ნაზს და მთვლემარეს,
რომელსაც ჩემთვის
მოუცია ამდენი ძალა, ამდენი ძალა კაცობრივი ჩემი გულისთვის.
ბოლოს ხომ მაინც
შენთან მოვედი
მაშინ, როცა საწოლზე იჯექ
და მეტყველებდი, შენს ხელებში მოიქციე ჩემი ხელები
და ჯვარედინად დამიკრიფე სინაზით მკერდზე.
მოკვდი, სიკვდილი გავითამაშე.

ჯერალდ სტერნი

დურგლის ტყეებში

აქ არის კუთხე სამოთხისა,
ფოთლეულში იზრდება ხავსი,
ხეებქვეშ, როგორც პანანინა საფლავები, ჩნდებიან ქვები,
ჩრდილში ლპებიან ძველისძველი გოლიათები.
ყოველ კვირადღეს ვაკითხავდი მე ამ ადგილებს,
ვიდექი ხიდზე და ჩიტების მაყურებლებს ვუთვალთვალებდი.
ერთხელ მკვდარ ბუჩქებს შევუწექი დასაძინებლად
და მესობოდა ძილში ეკლები, იმდენად დაღლილს, რომ ადგილის
მონაცვლება მეზარებოდა;
ერთხელ თავი მივუძღვენი „ნიუ იორკ თაიმს“-ს
და მთელი შუადღით დავიმარხე მის რუბრიკებში;
ერთხელ ფეხბურთი ვითამაშე რადიკალებთან,
ეს მაშინ, როცა მზეს და წვიმას ორთაბრძოლა გაემართათ მართვის
სფეროს მოსაპოვებლად.
მთის ძირში, სადაც გზას უთმობენ ხეები ბალახს,
თითქმის ერთ მილზე ყოველგვარი ჩადინებიდან,
ნაკადული მირაკრაკებს, პიკნიკების ნეტარ მდელოზე.
აქ კი მეზობლის ძაღლები უმალ ერიდებიან
ძალაუფლების პირველ მუქარას.
აქ ეგზიბიციონისტები გამომზეურდნენ,
კოდალებიან-ციყვებიანი გრძელი დილა როცა დასრულდა.
აქ იელოვას მოწმეები ადებდნენ ხელებს
და მაგიდების ირგვლივ მშვიდად იკრიბებოდნენ.
— მიზეზის სახელს არ ვიცნობდი.
თავბრუ დამეხვა;
თვალდახუჭული საათობით ვიჯექი და ვაყურადებდი
ჯერმანთაუნის მხრიდან მოსულ დიდებულ ბგერებს;
ისე მიყვარდა მე ეს მინა, ვერ დავიცავდი წონასწორობას, ბალახს რომ
არ ჩავჭიდებოდი.
მე მინდა გითხრათ, რომ იქ, სადაც ეს ორი გოგო ახლა ქვებზე
ფრთხილად გადადის

და სადაც ცივილიზებული ეს მამაკაცი და მისი ვაჟი
აგროვებენ დაფანტულ ტოტებს ახლა ბუხრისთვის,
სამი წელი იყო ჩემი თავშესაფარი.
მე მინდა გითხრათ, რომ ნახევარი ჩემი ცხოვრება ნუგეშს ვეძებდი,
რომ უმარტივეს გარემოში, ბიბლიოთეკებს
მივმართავდი თუ აფთიაქებს, ავტოსადგურებს —
ქვის ხიდებქვეშაც ამავე დროს და მთის კალთებზეც —
მე მიმიგნია ადგილებისთვის, სადაც შემეძლო შესვენება, შემეძლო ფიქრი.
მე მინდა გითხრათ, რომ სამყარო ისეთივე დიადია, როგორსაც თქვენ
დასტირით და დაჰკანკალებთ;
რომ ის არის მოუწყველელიც, ჩახლართულიც, სასიამოვნოც;
რომ გააჩნია სერიოზული ისტორია;
რომ არსებობდა იგი ყოველთვის, დასაწყისშივე.

პერანგის პოემა

ათი წელია არ მინახავს ეს პერანგები,
საკიდებიდან რომ კივიან, სისხლისთვის და ფულისთვის რომ მწარედ
მოთქვამენ.

მერე ცარიელ სახელოებს ასავსავებენ,
სინათლის მოსვლის მოლოდინში თავს იმაგრებენ.
კარს თითო ინჩზე გამოვხსნი და ვათავისუფლებ,
სანთლებსაც ვუნთებ მთელს ოთახში, რათა დამშვიდდნენ.

უკვე წავიდა სიტკბოება ამ კარადიდან, ძმობაზე ფიქრი,
და ნაქირავებ დიდ დარბაზში მუშათა და მოაზროვნეთა მოსიყვარულე
შეხვედრაც გაქრა.
და დასაკეცი სკამებიც გაქრა, და სამუდამოდ არის წასული
იდაყვთა წმინდა გადაჭდობა ორი დროშის ქვეშ.

კვირადღეობით, საღამოხანს, საათობით მღეროდნენ ხოლმე
გამოსვლებამდე. ერთხელ რაბინმა შეაერთა, და ამის მერე
რელიგია და ეკონომიკა, როგორც იქნა, შორ მხარეში გაერთიანდა.
სიკვდილი არის დეფექტიო, მღეროდნენ და იატაკზე
აგდებდნენ ქუდებს. „ჩვენ სიკვდილისგან ვიხსნით ბუნებას“,
გაჰყვიროდნენ ისინი და, ბოლოს და ბოლოს, მცირე სცენაზე
ხელიხელჩაკიდებულები ისევ აცეკვდნენ
ხალიანი მტრედები და შავი ყვავები.

ისინი უკვე აღარასდროს დაბრუნდებიან, — ათასი წელი;

ტყის დაბრუნება როდი ჰქვია ერთ სატვირთო მანქანასავსე
ნიტრატის ჩაყრას მინაში და სულ მცირედი ბუჩქნარის დანვას,
ნერგების დარგვას, მანძილის არწყვას —
ჩვენთვის ეს ხალხი უცნობია, ჩვენთვის უკვე უცნობია საიდუმლო მათი
ჩვეების.
ნვერ-ულვაშს როგორ იწინკნიდნენ, ან სუფრაზე თუ რას ხატავდნენ.
დაბრეცილ შუშას რომ უმზერდნენ, რაზე ფიქრობდნენ.
ან რას ნიშნავდა მათთვის ახლა ყინულის დნობა.

საწყალო მკვდრებო! მომიტევეთ ეს სიმშვიდე, მე რომ განვიცდი,
საფოსტო ყუთთან გამოსული. მომიტევეთ ეს მდიდრული ჩემი ცხოვრება.
მომიტევეთ ბიუჯეტი უშველებელი, ბიუროკრატია, მუდმივი ჯარი.

ნიუ-იორკიდან რომ ვბრუნდები, ვდგავარ სახლის წინ
ოცი წუთით და სინათლეებს მივშტერებივარ.
ზემოთ კი ამ დროს პერანგები ყმუიან და ტკაცანებენ,
და ვერცხლისფერ რადიატორთან წინ და უკან მარშით დადიან.
ერთ წუთში ზემოთ გავჩნდები და კარს მივიხურავ,
ჩავრთავ სინათლეს.
მერე ქალალდებს ამოვიღებ პალტოს ჯიბიდან
და თავთავის ადგილზე დავდებ.
მერე კი შენი ქაღალდებით და შენი რეზინის სამაგრებით ვიფიქრებ შენზე.
და განა რაა ჩემი ცხოვრება, თუ არა შენის შენაცვლება?
ჩემი ოცნებაც შენს ოცნებას ჩაენაცვლება.
ღმერთო, როგორი ცვალებადი არის ყოველი, და ჩვენც რარიგად
გავუცნაურდით, და ყველა სიტყვა, ჩვენ რომ ვამბობთ,
გვაცბუნებს უკვე, ვართ ტლანქები და უგულოები.

ვიდრე ნაიღებს დავინყება, მინდა ჩავწერო,
როგორ ვცხოვრობდით და როგორ გვნამდა;
ყველაზე მეტად გოლიათები უნდა გვახსოვდეს,
მათი სელა. მუდამ ჭაღარებისა,
ყოველთვის გრძელი, ჭაღარა თმით, საყელოზე დაფენილი რომ ჰქონდათ
მუდამ,
მუდამ წითელი სახეებით, თავდახრით და მოსმენით მუდამ,
პატარა ჯგუფებს შერეული, დაცურავდნენ მათი თაევები.

გარეთ ქარი ქრის
და ბოძებთან გროვდება თოვლი.
მე შემიძლია მყისვე გავჩნდე, ვთქვათ, ბიჩვიუს სინაგოგაში
ან ნორს საიდში — კარნეგის ბიბლიოთეკაში,
შემიძლია მივბრუნდე და ჩემზე დაბალ კაცს,
ჩემს გვერდით რომ ზის, მივესალმო, მშვიდობა ვუთხრა.
მე შემიძლია შენობის წინ ვიდგე, ვუცქირო ვიტრაჟებს და

კანკალს რაფასთან, მოწვეულ ლექტორს,
როცა ის ჯდება მანქანაში, უკანა სკამზე.

მე ვწერ წარსულზე, რაკი იმ დროს შეტოვებია
სიყვარული და სხვა სევდები,
რაკი მჯეროდა, რომ ჩემი თეთრი აბრეშუმის შარფი მიხსნიდა
ან მთელდღიანი ჩემი ნანნალი;
რაკი ფანჯარას ვაღებდი და
სიამოვნების ცახცახს მგვრიდა თოვლის სურნელი;
რაკი ჩემს გვერდით კაცი იჯდა, პატარა კაცი, ერთი თავით ჩემზე დაბალი;
რაკი ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი მუდამ
და მე მწამდა რაკილა შელი;
რაკილა მთელ ჩემს მოგონებებს ზაფხულობით თან ვატარებდი;
რაკი ბებერ ხალხს სიყვარულით სავსე მზერით მივჩერებოდი,
რაკი ვიკვლევდი ჩამოყრილ მათ მხრებს, ვეებერთელა ხელებს იმათსას;
რაკი მხოლოდ ჩემს ნახატებში ვპოვებდი შვებას;
რაკი ვიცოდი ყველა ხალიჩის, ყველა სკამის და ყველა ლამფის ფერი, მასალა
ჩემს პირველ სახლში.

ეს იმ რაბინ კუკს გადაეცით, ცეცხლოვანი ტანსაცმლით რომ შემოდიოდა
და ჭირისუფლებს შორის იდგა.
ხალხმრავლობისას, კედელთან და მზის შავბნელ შუქზე
იგი სიკვდილის წინააღმდეგ სამ ენაზე მღეროდა მუდამ.

და ეს მიეცით მალათესთას, ვისაც უნაკლო
სამყარო სწამდა, ცხოვრობდა მასში და თავის მოგზაურობაში
ქვეყნიდან ქვეყნად, სამოცი წლის განმავლობაში, პურის
გასინჯვით, ხორცის გასინჯვით, თავაუღებლად მუშაობით,
ეკლესიის გინებით და სახელმწიფოს გინებით და
ყოვლის შემჩნევით, ყოველთვის გულის და
ყოველთვის იმის დანახვით, რაც მას უნდოდა, — დაკრუნჩხული ლამაზი
გულის.

ხოლო ეს ჩემი პერანგები მშვენიერია. მდინარის გასწვრივ
თავ-თავისთვის ცეკვავენ და
შუშებზე რომ ეცემიან, ცოტა სისხლიც მონვეთავს მათგან.
მუხლი რომ ჰქონდეთ, ალბათ
გორაკზე აბობღდებოდნენ და სატვირთო მანქანასაც გააჩერებდნენ,
ან თავიანთი ჭაობური სიმღერებით წინ და უკან იელიდნენ ალბათ.
აი, მხედავენ, მოვდივარ და მაღლდებიან სახურავისკენ,
პრეისტორიულ ფრინველებს ჰგვანან,
სანახეველოდ ხტუნავენ და სანახეველოდ აცურებულან.
მერე სიცივე ააკივლებთ, და დერეფნის ფანჯრით შედიან,
აყირავებენ კალათებს და კარსაც აღებენ

და თავის ადგილს უბრუნდებიან, ჰალსტუხებს უკან,
მობათქაშებულ ცივ კედელთან, მტვერში
მიყრილი ფეხსაცმლის თავზე, სიჩუმეში იცრემლებიან,
დაღლილობისგან კვნესიან და
ისევ ბნელში საცხოვრებლად ემზადებიან.

ტირილი და ქვითინი

მე მომწონს, ჩემი პანანინა არფის ჟღერაზე ხეები როგორ იწყებენ როკვას,
და ეს ლითონი, კბილებს შორის მოთასებული,
ცხოველებს როგორ აცახცახებს ჩემი ეზოს უკანა მხარეს,
და ტკბილი ენის ეს მოწყვეტა
ურიცხვ ვარსკვლავს ექსტაზში და სიყვარულში როგორ აცხოვრებს.

მე სახეს ვხრი და თავს მაღლა ვწევ. ჩემი თვალები
გადიდებულან და უცხო ხმას აყურადებენ.
ადი-ჩამოდის ჩემი ხელი, როგორც კოლიბრი.
ჩემი პირი იღება და იხურება, ჩემი სიმღერა
არის აღსავსე ჰარმონიით, ვტირი, ვქვითინებ.

უფალო, შეიწყალე სული

ჰოდა, რა ვუყოთ ამ ანგელოზს,
თავბრუ რომ ესხმის, რამდენჯერაც კიბეზე ავა,
და დასტირის თავის ძველ ლექსებს.
ბაღშიც ხშირ-ხშირად მხვდება ხოლმე,
შროშანებს რწყავს და ფუტკრებს იკვლევს.
ის საკუთარ უხილავ გულს ესაუბრება;
ის სისხლს ილოკავს.
თავზე მთელი დღე მზე დაჰნათის,
ის კი ამ დროს ბუჩქებს შორის დაეხეტება.
მისი თვალები ცეცხლს აფრქვევენ, წამწამები ბრწყინავენ და
მისი კანი მბზინავარეა, როგორც თითბერი,
მაგრამ ის მაინც ტალახშია ამოგანგლული, როგორც მებაღე ნებისმიერი
ან სევდიანი ყველა პოეტი.
მე თვალს ვადევნებ, კაკტუსს გვერდით როგორ ჩაუვლის;

მე თვალს ვადევნებ, სველ შვიტებთან მუხლს როგორ იყრის;
მე ვეხები მის ბაგეებს.
მე ვწერ მთელი დღე. მის გვერდით ვზივარ მთელი
დღე და ვწერ მახინჯ სიტყვებს.
მე ვზივარ მზეზე და ივსება მთელი რვეული
ნიშნებით და ბატიფეხურით.
ავყურებ ზეცას, ოქროს ფოთლებზე
და ნახევრადდავიწყებულ ნანგრევებზე როცა საუბრობს; ვუყურებ,
მისი ბაგეებიდან სიტყვები რომ ღრუბლებივით ედინებიან.
ვუყურებ, როგორ ენაცვლება ნარინჯისფერს წითელი ფერი,
წითელს კი იქვე ვარდისფერი, როცა ის ცდილობს გაიხსენოს ძველი
სიტყვები —
თავისი ძველი სიმღერები, როგორც მის პირველ ადამიანურ სიმღერებად
აღნიშნულები —
რომლებიც სადღაც დაიკარგა, მიმომსხვრეულ შუშებში, ფერფლში,
ანჯამებიდან და რბილ-რბილი ფრჩხილებიდან ერთი ფუტის მანძილზე,
ქვემოთ.

რომანსი

მე ისევ ვუსმენ
ოცდაათი წლის მერე მილებს,
მე ისევ მხიბლავს
მშრალი ფიცრების სიმღერა, კვნესა.

ღამეებს
წყალზე ფიქრში ვატარებ.
მტევნებს ვაერთებ ან ვუსმენ მოცარტს
ან ადრეულ იტსს.

სიველურის გარეშე ვცხოვრობ,
ტანს ვჭიმავ და მარჯვენა გვერდს მოვინაცვლებ
მუსიკისათვის,
ჩემთვის ვმღერი და მარცხენა გვერდს მოვინაცვლებ
სიტყვებისათვის.

1978-ის დღეები

ესღა განმარტავს ჩემს ცხოვრებას,
კოხტა, ძველი ეს მისაღები
ვარდისფერი კედლებით და მოხერის დივნით.
ყოველ ღამე გავდივარ გარეთ და ნავუმღერებ
მოკლე-მოკლე მელოდიებს გას ვილიამსიდან ან ვ. ს. ჰენდიდან.
ყვითელ შარფს ყელზე შემოვივლებ,
ქუდს თვალებზე ჩამოვიფხატავ.
აქაც კი, მსუბუქ ფიფქებსა და ამ გაყინულ გუბეებს შორის
გაპრანჭული დავიარები.
— ამაღამ კი კავაფიზე უნდა ვიფიქრო,
თავის ატლასის სასთუმალზე თუ როგორ ტირის,
როცა იხსენებს 1903 წლის დღეებს.
მერე ცხოვრებებს შევადარებ ჩემსას და მისას:
ალექსანდრიის სევდა,
მდინარის ანარეკლები;
სირიაში დაბრუნებული გარდაცვლილი ხელმწიფეები,
საპონი ჩემს აბაზანაში.
— მოგვიანებით ჩემს ბალიშზე მედება თავი,
ფანჯრებიც ღია იქნება და დარაბებიც გადაწეული,
მეც ნავუტირებ ცოტას სქელ საბნებს
და მხრჩოლავ სანთლებს,
ნიგნების გროვას,
ახალი სიტკბო და სიცხადე დაიწყებენ
ჩემი, კუთვნილი მეხსიერების დასაკუთრებას.

სიმღერა

ბაღს მიმსგავსებულ ამ მსოფლიოში იმაზე უფრო მომხიბლავი არაფერია,
ვიდრე ხის ირგვლივ დაცვენილი ყვავილები სწორედ იქ, სადაც
მიმოიფანტნენ,
ორ უფსკრულს შორის მიმოყრილი ჯარისკაცები,
საყვარლები სისხლიანი ფანჯრის ქვეშ ამ დროს.

მაღლა ტოტებში ვიყურები
ბედზე ოცნებით.
ლურჯი ცა, ჩემი ძველი მტერი, დამნათის თავზე
და ჩემი ძველი მტერი, ქორი, აუჩქარებლად

მოძრაობს თეთრი ღრუბლების ზოლში.

ერთ დღეს სისხამზე გამოვიღვიძებ
და, ვიდრე გავემზადებოდე,
ნამოვიწყებ ფილოსოფიურ განაზრებებს ვითარებისა ჩემისა გამო,
ჩემს მძიმე პერანგს მოვირგებ და
მოსალოდნელ გრძელ მწარე დღეზე ფიქრი შემიპყრობს.

ბევრი საათი დასჭირდება იმის გაგებას,
უნდა მოვკვდე თუ უნდა ვიცოცხლო,
ან რომელი ავტომობილი მოვაწესრიგო,
რომელ ტყეს უნდა ჩავუქროლო,
რომელ ცხოველზე უნდა შევჯდე,
მგზავრობისას რომელ ხიდზე გადავიარო.

მე მიყვარს, როცა ჩემს თავს ვხედავ
მინაზე მგორავს,
მე მიყვარს, გულს რომ გამიხვრეტენ
ნახევრად კაცს, ნახევრად ყვავილს,
ხელის განვდენა, გაწევა მტევნის,
ხის თეთრ-ვარდისფერ ყვავილთაგანი,
მხოლოდ ერთი მრავალთაგანი სასტიკ მდელოზე.

ბიკფორდში

უნდა გაიგოთ, რომ ჩემს სხეულს ყველაფრისთვის ვიყენებ ახლა,
თუმცა, დრო იყო, უფრო მაღალ რეგიონებს არ ვაკარებდი.
ჩემი სამოსი ნარინჯისფერი ფიჭვის კარადის გვერდით არის მილაგებული,
ხოლო ჩემი თმა სამზარეულოს იატაკზე მცირე-მცირე გროვებად ყრია.
ბოლოს და ბოლოს, მზად დავუხვდი ბედნიერებას, რომლის პირისპირ
კამათსა და შუღლში განვლო ახალგაზრდობამ.
ოცი წლის წინათ — ბროდვეიზე სეირნობისას —
შადდაის და მის არწივებს გადავეყარე.
სიბნელე იყო საიმდროოდ სასახელო ჩემი ხელობა
და სხივმდინარე ენერგია სექსუალური.
ახლა კი, როცა თავზე შუქი მელვენთება, დავალ უცრემლოდ.
— 96-ესა და 116-ე ქუჩებს შორის,
ცოტა ხნის მერე, დღეში ისევ ოთხ დოლარად უნდა ვიცხოვრო.
ახლა ფიქრად მაქვს, გავყვე ჯორჯის რესტორანსა და სალტერის ნიგნის
მაღაზიას შორის არსებულ მორჩილების სიფრიფანა ხაზს.

ჩემში მცირედი გრძნობაღაა შემორჩენილი ჩემი ძველი აჩრდილის მიმართ
და მე მას სრულად გამოვხარჯავ ქველმოქმედების უკანასკნელ
გამოვლენაში.
მე მას ფულს მივცემ; მის ლექსებსაც უნდა ეუსმინო;
ხოლო თავისი ქორწინების გამო მე ის შემეცოდება.
— ამის მერე კი გავუყვები ბიკფორდამდე ისევ დინებას
და ჩემს ცხოვრებას გავატარებ გაბზარული ჭიქების და მჭადის ფქვილის
ფუნთუშების გარემოცვაში.
ნახევარს ჩემი სიძულვილისას
მე გავფლანგავ მრგვალ მაგიდებთან,
ნებისმიერ მრწამსს ნებას მივცემ, რომ დამეუფლოს.
ერთ ბედნიერ დღეს მზე სქელ მინას გამოარღვევს და
როგორც ხელი, შუბლზე ისე დამესვენება.
მე კი ჩემს სკამზე ვიჯდები და ჩემთვის ვიკითხავ;
ხელს დავიქნევ ჩემი ფანჯრიდან.

ფორთოხლის ხეების სასაფლაო კრეტაზე

დაბერებულ ფორთოხლის ხეებს, ვიდრე კუნძებად იქცეოდნენ, ჭრიან კრეტაზე,
მერე კი მათი მოკვეთილი ხელები ისევ მწვანე ფოთლებს ამოიყრიან.
ისინი, თეთრად შელებილნი, შორსწასულ და სწორ რიგებად ჩამწკრივებულან,
როგორც საფლავის თეთრი ქვები გეტისბურგში და მანასასში.
მე მათ პირველად მაშინ შევხვდი, ავტობუსით როცა ვმგზავრობდი,
შიშველ მთებს შორის სავალს როცა შევუყევით,
როცა ვფიქრობდი სილამაზეზე და იმ დაღლაზე, ნინ რომ მელოდა.
ისინი ახლა გახსენებაა სამხრეთში ჩემი მოგზაურობის, განახლებული
ახალგაზრდობის, ჩემი კისრიდან ამომავალი მწვანე ფოთლები.
ჩემს მხრებს პაწია ყვავილები ააყვავებენ,
თეთრად შელებილ ამ ჩემს სხეულს, ხელები მთაზე
ხვდებიან ერთურთს, ჩემი თეთრი გული იხსენებს
იმ სისასტიკეს და იმ სევდას, სიცოცხლე რომ მოგვცა უკანვე.

ომი ებრაელების წინააღმდეგ

შეხედეთ, ეს ხის ფიგურები სიკვდილისკენ რა სიმშვიდით მიაბიჯებენ.
ბედნიერები წავიდოდნენ ჩემს სანაცვლოდაც.

მათ ესეც უყვართ — წინ და უკან მარშირება რკინის საათქვეშ.
ერთი ქუდს იხდის უთავბოლოდ დედისა და მისი სამი შვილის წინაშე.
ერთი ცრემლს იწმენდს შადრევნის პირთან.
წყლის დასალევად დახრილები თავებს ურტყამენ.

იქ გერმანელი ჯარისკაცი კარგად ფლობს სასტვენს.
ჯერაც ახსოვდა დედის ბაღი, როცა მას თლიდნენ.
მიუხაროდა, მერე რარიგ, პოლონეთისკენ.
მერე, პირველი ნყვილი ჩექმა თავს რაოდენ ახალგაზრდად აგრძნობინებდა.

რას არ მივცემდი, დაბრუნება რომ შეძლებოდათ:
გაპრიალებულ მერხებზე რომ კვლავ დამსხდარიყვნენ;
ისევ ემზირათ შუშის დიდი სახურავისთვის;
რომ გაერღვიათ მოყაყანე ხალხი ყვირილით
„შეჩერდით! ეს ხომ სიზმარია! ეს სიზმარია!
ისევ თქვენს სკოლებს დაუბრუნდით! დაუბრუნდით დედათქვენის ბაღს!
ო, დაუბრუნდით, დაუბრუნდით, ხის ფიგურებო“.

ფრენკ ო'ჰარა

Autobiographia Literaria

ჩემს ბავშვობაში
სკოლის ეზოს ერთ კუთხეში
ვთამაშობდი
განმარტოებით.

მეზიზღებოდა თოჯინები
და თამაშები, ცხოველებს ჩემთან მეგობრობა
არასოდეს მოსურვებიათ, და ფრინველებიც
მიფრინავდნენ ჩემგან ყოველთვის.

როცა მეძებდნენ
მე ხის უკან ვიმალებოდი
და გავძახებდი: „მე ვარ
ობოლი.“

და აი აქ ვარ,
ცენტრი ყოველი მშვენიერების!
და ამ ლექსებს ვწერ!
წარმოიდგინეთ!

ლექსი

ჩემს კარზე მოკლე წარწერამ მამცნო: „დამირეკე,
დამირეკე, რომ დაბრუნდები!“ სწრაფად ჩავყარე
რამდენიმე მანდარინი ჩემს ზურგჩანთაში,
მზერა გავმართე, მხარში გავსწორდი და

პირდაპირ კარებისკენ ავიღე გეზი, შემოდგომა
იყო იმხანად, როცა მოსახვევს მივუახლოვდი, სულ არ მინდოდა
უადგილო ან დაბნეული ვყოფილიყავი, მაგრამ
ფოთოლი ტროტუარზე ხასხასებდა უფრო მეტად, ვიდრე ბალახი!

სასაცილოა, გავიფიქრე, ასე გვიან ანთია შუქი
და შესასვლელი კარიც ღიაა: ჯერაც არ სძინავთ,
ჩემპიონი ჯეი-ელეი ისეთივე მოთამაშე, როგორც რომ თვითონ? ფუი!
სირცხვილო! რა გულითადი მასპინძელია! და ის იქ

იყო, შესასვლელში, გაბრტყელებული სისხლის ტომარა, რომელმაც
კიბე ჩამოირბინა. და მე ეს დიდად დავაფასე. სულ
რამდენიმე მასპინძელია, ასე გულდაგულ დამხვედრი
სტუმრის, რომელიც ცალყბად, ისიც მთელი თვეების წინ, მიუწვევიათ.

ლექსი

ქვეყნად არც ერთი სარკე
არ მშველის, თუკი არ შემძრა

წვიმაში მშვიდმა გამოჩენამ
ჩემი სახისა, მე არ ვარ

ის, ვინც გამოჩნდება ან წარმოსახავს. ერთი სცადე და
დააპირე, დააპირე

უსიამო მოგზაურობა,
რაკი არ ძალმიძს, შენ შეხედე უჩემოდ იმ სახლს,

ჩემი ბავშვობის ჩრდილები სადაც
უზარმაზარი ხელკეტებივით

დაძაბულან და გამტკნარებულან. მე
ვერ ვუსწორებ თვალს იმ საშინელ ურთიერთობას,

და ჩემი მზერა, ვთქვათ, დიდი ბარის
ვიტრინაში ურცხვად დაეძებს სხვა ანა-

რეკლებს. რა დალოცვილი
რელიეფია! ამაზრზენი სანახაობა,

ყველაფერი და ეს კი არა — ძველი დროის დაჩრდილული ჩალურჯებები,
მხოლოდ ეს არა — ჩემი კერძო თავშესაფრები.

ორმოცდაათის როცა ვიქნები,
ნუთუ მეც სახე უცოდველად დამიგრძელდება

და სირცხვილს მაჭმევს?
ო, ნვიმავ, ისევ შენ დამინდე, სარკევ, მომკალი!

ჩემს გარდაცვლილ მამას

ნუ დამიძახებ მამა
სადაც არ უნდა იყო
იმ შენს პატარა ბიჭად ვრჩები
სიბნელეს ვუფრთხი

და რასაც შენ მთხოვ
რომც მესმოდეს ვერ გავაკეთებ
აღარ ხარობენ შენი ვარდები
ისე შავია ჩემი გული როგორც იმათი

ბუჩქი და მათი კოხტა ეკლები
გადაიქცა ჩემი სახის
უბადრუკ ნვერად შენ
ყვავილებზე აღარ იდარდო

და ნუ დააფრთხობ ამ ჩემს
ცისფერ ნაბლისფერით გალაქულ თვალებს
და ნუღარც ტუჩებს დამიბურცავ
სარკეს როცა ჩავცქერი ნუ მთხოვ

რომ სულ სხვა ვიყო და არა შენი
უცნაური შვილი ვისთვისაც გასაგებია
ნაღვლიანი სასწაულები მაგრამ სულაც არა სიკვდილი
მე ცოცხალი ვარ მამა! მამა

გვაპატიე ეს მე და ვარდებს

უკიდურესი მდგომარეობის მედიტაციები

გავხდე თუ არა უნდა გარყვნილი, თითქოს ვიყო ქერათმიანი? ან, იქნებ, გავხდე მეც ფრანგივით რელიგიური?

რამდენჯერაც გული მიტყდება, იმდენჯერ თავს ვგრძნობ უფრო ძლიერად (და კვლავაც როგორ მეორდებიან უსასრულო იმ სიაში ეს სახელები), ერთ ასეთ დღეს კი აღარ დაგვრჩება რამე ისეთი, სამომავლოდაც რომ შეგვმატოს გაბედულება.

სხვებთან ერთად რატომ უნდა გინაწილებდე? თავიდან რატომ არ მოიშორებ ვილაც სხვას მრავალფეროვნებისთვის?

მამაკაცებში მე ყველაზე ნაკლებ რთული ვარ. მე უსაზღვრო სიყვარულს ვითხოვ მხოლოდ და მხოლოდ.

თვით ხეებსაც კი ესმით ჩემი! ღმერთო ძლიერო, მათ ქვეშაც ვწევარ, ასე არაა? მე ვგავარ ზუსტად ფოთლების გროვას.

რაც უნდა იყოს, თავი არასდროს შემიზღუდავს პასტორალური ცხოვრების ხოტბით, არც — სამწყემსურის გარყვნილ აქტთა წმინდა ნამყოზე ნოსტალგიით. არა. თუ კაცს სურს განიცადოს მთელი სიმწვანე, რის განცდასაც მოისურვებდა, არ უნდა ჰქონდეს არასოდეს ნიუ-იორკის ზღუდეები დატოვებული. მე ვერ შევძლებდი შემესრუტა ბალახის ღერო იმ ცოდნის მიღმა, რომ იქვე ახლოს არის მეტრო, ან ფირფიტების მაღაზია, ან სხვა რაიმე ნიშანი იმის, რომ ხალხს სიცოცხლე სრულად ჯერ არ შეუნახია. თუნდ უმცირესი გულწრფელობა განამტკიცო, ბევრად უფრო ღირებულია; ღრუბლები ხომ ყურადღებას არ იკლებენ სწორედ ისეთნი, როგორებიც არიან, და გზას განაგრძობენ. განა იციან, რას იკლებენ ისინი? უჰ ჰაჰ.

ჩემი თვალები ზეცასავით მუქლურჯი და გამუდმებით ცვალებადია; ბუნდოვანია, მაგრამ სწრაფი, ერთიანად განზემდგომი, მოღალატური, და ამიტომაც არ მენდობა ქვეყნად არავინ. მზერა ყოველთვის ირიბი მაქვს. ან, როცა მტოვებს, კვლავ რაღაცისკენ გავიყურები. ეს მოსვენებას მიკარგავს და მაუბედურებს, მაგრამ მე მათ — ამ ჩემს თვალებს — ვერ ვიმორჩილებ. მე რომ მგლისფერი, მწვანე, შავი, ყავისფერი ან ყვითელი თვალები მქონდეს, შინ დავჯდებოდი და რაღაცას გავაკეთებდი. არა, მე არ ვარ კურიოზული. პირიქით, კიდეც მომწყინდა, მაგრამ ჩემი ვალია, თვალფხიზელი ვიყო ყოველთვის. მე ისევე ეჭირდები საგნებს, როგორც ცა უნდა ეხუროს მიწას. ხოლო მერე, მოგვიანებით, მღელვარება მათი ისე ძლიერდება, რომ ერთი წუთით კიდევაც ჩავთვლემ.

გაუპარსავის კოცნა რომ მიყვარს, ერთი კაცია ახლა ისეთი. ჰეტეროსექსუალურობა? უმოწყალოდ მიახლოვდები. (როგორ ვუბნევ მე ამ ქალს თავგზას)

ნმ. სერაფიონ, მე დოსტოევსკის შუაღამეს მინამსგავსი შენი სამოსის სისპეტაკეში გამოვეხვიე. ლეგენდა როგორ გავხდე, ძვირფასო? მე სიყვარული შევიტკბე, მაგრამ ეს სხვის უბეში გმალავს ყოველთვის, არადა, მე ხომ ლოტოსივით ვარღვევ საფარველს — დღენიადაგ საფარველის რღვევის ექსტაზი! (მაგრამ არ უნდა დააბნიოს ამან არავინ) ან, თუნდაც, როგორც პეაცინტი, „რომ ავიცილოთ ცხოვრების ჭუჭყი“, დიახ, გულშიც კი, სადაც ჭუჭყია ჩატუმბული და ცილს სნამებს და რყენის და ზღვარს უდებს. თუმცა კი ძალმიძს გაეხდე ცნობილი იმ იდუმალი ეაკანსიით, იმ სათბურში, იმ სექციაში, მე მხოლოდ ეს მსურს — ჩემი სურვილი.

თუ არ იცი, შენი თავი გაანადგურე!

იოლია, იყო ლამაზი; ბევრად ძნელია, მოაჩვენო თავი ასეთად; აღმაფრთოვანე, საყვარელო, შენ იმ მახით, მე რომ დამიგე. ეს ყველაფერი იმ ბოლო თავს ჰგავს, რომელსაც უკვე, სიუჟეტი რაკი დასრულდა, არ კითხულობენ.

„ფანი ბრაუნი გაიპარა — გაუტია კორნეტთან ერთად; მე მართლა მიყვარს პატარა მინქსი, და თუმცა თავი მომაბეზრა უკვე თავისი ამ გმირობით, ბედნიერი იქნება ვფიქრობ. — საბრალო პატარა ცეცინი! ან, როგორც ჩვენ მას ვეძახდით — ფ: ბ:. — ვისურვებ, ერგოს კარგი როზგები და 10.000 ფუნტი.“ — მისის თრეილ.

აქედან უნდა გავაღწიო. ავირჩიე შალის ნაგლეჯი და ყველაზე ჭუჭყიანი ტანსაცმელი. კვლავ გამოვჩნდები, დამარცხებული დავბრუნდები ბრძოლის ველიდან. რაკი არ გინდა წამოვიდე, სადაც მიდიხარ, მე იქ მივდივარ, სადაც ჩემი ნასვლა არ გინდა. ჯერ შუადღეა, წინ დიდი დრო გვაქვს. ქვემოთ წერილი არ დამხვდება. გამოვბრუნდი, გადავწიე საკეტი და სახელური გადატრიალდა.

ჯონ ეშბერის

ვერ დავიჯერებ რომ არ არსებობს
სხვა სამყარო, სადაც დავსხდებით
და წაუკითხავთ ერთმანეთს ლექსებს
ქარიან მთათა სიმაღლეებზე.
შენ შეგიძლია იყო ტუ ფუ, მე კი — პო ჩუ-ი
და აი, როცა ტოტებზე თოვლის დაფენას ვუცქერთ,
მაშინ ქალბატონ მაიმუნს, ჩვენი ამ ბედკრული თავების მნახველს,
მთვარის შუქზე გაელიმება.
ან კი ვიქნებით წასულები? არც ეს
არაა ის ბალახი, მე რომ მინახავს სიჭაბუკეში!

ხოლო ამაღამ სავსე მთვარე
თუ არ ამოვა — ავს მოასწავებს
და გულისხმობს: „შენ მიდიხარ, როგორც კვირტები".

რატომ არა ვარ მხატვარი

პოეტი ვარ და არა — მხატვარი.
არადა, ვფიქრობ, მხატვრობა
უფრო შემეფერება. მაგრამ რომ არ ვარ! ვთქვათ,

ხატვას იწყებს
მაიკ გოლდბერგი. შევუარე.
მეუბნება: „დაჯექი და რამე დალიე." მე
ვსვამ. ერთად ვსვამთ. მერე მაღლა
ვიხედები. სარდინები გქონია, ვხედავ."
„ჰო, იქ რაღაც იყო საჭირო."

„ოჰ." მივდივარ და დღეებიც მიდის
და რომ შევუელი, ხატვა
ნინ მიდის, მივდივარ და დღეებიც
მიდის. აი, ხატვაც
დამთავრებულა. „სად არის შენი სარდინები?"
ასოების მეტს
ეერაფერს ვხედავ, „მეტისმეტი იქნებოდა," ამბობს მაიკი.

მე კი რა? ერთ დღეს ფერზე
ვფიქრობ: ფორთოხლისფერი. და ვნერ სტრიქონს
ფორთოხლისფერზე. სტრიქონთა ნაცელად მალე სიტყვების
მთელი გვერდია.
მერე — მეორე. არადა, უნდა ყოფილიყო იქ
უფრო მეტი. ფორთოხლისფერის ნაცელად
სიტყვები, თუ რა ძალიან საშინელია სიცოცხლეც და
ფორთოხლისფერიც. დღეები მიდის. განა
პროზაშიც ასე არაა? მე კი ნამდვილად პოეტი ვარ. ჩემი ლექსი
უკვე დამთავრდა, მე კი ჯერაც არ მიხსენებია
ფორთოხლისფერი. ამ ჩემს თორმეტ ლექსს ვარქმევ
ფორთოხლებს. და ერთ დღესაც გალერეაში
ვხედავ, მაიკის ნახატია, სარდინები ჰქვია სახელად.

ის დღე, როცა ქალბატონი გარდაიცვალა

ნიუ-იორკში 12 სთ. და 20 წთ.-ია პარასკევი
ბასტილიის აღებიდან სამი დღე გავიდა, დიახ
1959 წელია და გამოუდიეარ ფეხსაცმლის გასაწმენდად
რადგან 14 სთ.-სა და 19 წთ.-ზე ისთჰემპტონში გავემგზავრები
და ჩავალ 7 სთ.-სა და 15 წთ.-ზე და მერე პირდაპირ სადილზე წავალ
და ჩემთვის უცნობია ხალხი რომელმაც იქ უნდა მასადილოს

მე მივუყვები მზით გახურებულ ჩახუთულ ქუჩას
და ჰამბურგერს და ბურახს მივირთმევ და მერე
უშნო ახალ მსოფლიო მწერლობას ვიძენ ვნახო მეთქი
განაელი პოეტები ამ ხანებში რას აკეთებენ
მიედივარ ბანკში
სადაც მისის სტილუაგონი (სახელად ლინდა, როგორც ერთხელ ყური
მოვკარი)
ჩემს ბალანსს არც კი შეამოწმებს პირველად თავის ცხოვრებაში
ოქროს გრიფონში პათისათვის შევიძინე მომცრო ვერლენი
ბონარის ილუსტრაციებით ჰესიოდეც მინდოდა, რიჩმონდ
ლეტიმორის მიერ თარგმნილი
ბრენდან ბეჰანის ბოლო პიესა ან მაგალითად ჟენეს
„Le Balcon“ ან „Les Negres“ მაგრამ არც ერთი არ მიყიდია
მაინც ვერლენის ერთგული დავრჩი
მას მერეც როცა ფაქტობრივად ქუანდარინთან ერთად ვიძინებ

მაიკისთვის კი ისე უბრალოდ პარკლაინში შევიარე
სპირტიანი სასმელების მაღაზიაში და ერთი ბოთლი სტრეგა ვითხოვე
და იქ დავბრუნდი საიდანაც ამოვყავი თავი მე-6 ავენიუზე
იქიდან კი თამბაქოთი მოვაჭრესთან ზიგფილდ-თეატრში და
სწრაფად ვთხოვე ერთი კოლოფი გალუაზი ერთი კოლოფიც
პიკაინეზი და იმ ქალის სახიანი ნიუ იორკ პოსტი

და ამ დროისთვის უკვე ძალიან ვოფლიანდები მინდა
მივეყრდნო კარებს 5 სფოთში
ვიდრე ჩურჩულით არ დაიწყო იმან სიმღერა კლავიშებთან
მელ უალდრონის რომ ეძღვნებოდა და ყველამ და მეც შევწყვიტეთ სუნთქვა

საფეხურები

ნიუ-იორკ დღეს რა სასაცილო ხარ
ისე როგორც სიუნგთაიმში ჯინჯერ როჯერსი
და როგორც წმ. ბრიჯიტის შპილი მარცხნივ ოდნავ გადაბრეცილი

აქ ეს-ესაა სანოლს მოვწყდი გამარჯვების დღეებით სავსე
(უკვე დამღალეს ბრძოლის დღეებმა) და ჯერაც ისევ გფლანგავ მე შენ იქ
ვჩანავარ ბრიყვი და თავისუფალი
ის ყველაფერი რაც მე მინდა არის ოთახი იქ მაღლა
და შენ იმ ჩემს ოთახში
და მოძრაობაც ასე ხშირდება და ვიწროვდება გზაც მერე ასე
ერთმანეთში რომ აიზილოს ხალხი მავალი ერთმანეთის საპირისპიროდ
და როცა მათი ქირურგიული აღჭურვილობა იხურება
ერთად რჩებიან
დარჩენილი დღის (მერე რა დღის) განმავლობაში
მე მივდივარ და სლაიდს ვამონმებ და მერე ვამბობ
რომ ნახატი არაა ლურჯი

ანკი სადაა ლანა თერნერი
სადილადაა გასული თურმე
და „მეთში" — გარბოს კულისებში
ყველა იხდის თავ-თავის პალტოს
ასე, რომ მშვიდად უჩვენებენ ნეკნებს ნეკნების მოთვალთვალეებს
პარკი კი უკვე აუვსიათ ციდაჩანთიან
კოხტა ტანსაცმელ-ფეხსაცმლიან მოცეკვაეებს
რომლებიც ძალზე ხშირად ცდებიან თუ დავუჯერებთ „უეტ საიდ"-ის
მეთვალყურეებს

რატომაც არა
პიტსბურგის მეკობრეებიო გაპყვირიან გამარჯვება რაკი მათ დარჩათ
და ყველანი რომ ცოცხლები დავრჩით
გარკვეული თვალსაზრისით გამარჯვება ჩვენს მხარეზეა

ბინა დაცალა ბიჭების ნყვილმა
სოფლად დასახლდნენ სახალისოდ
გადავიდნენ სხვათაშორის ძალიან სწრაფად
ყველაფერი მოსახლეობის მიგრაციას ემსახურება
თუმცა შეცდომით ირჩევენ მხარეს
და იმ ყველა ცრუმ დატოვა UN
„სიგრემ ბილდინგი" აღარავის აინტერესებს
არა სპირტიან სასმელს სულაც არ ვსაჭიროებთ(უბრალოდ მოგვნონს)

ხოლო იქ გარეთ ტროტუარზე მომცრო ყუთი დგას

სასაუზმოს საპირისპიროდ
ასე რომ მოხუცს შეუძლია ყუთზე ჩამოჯდეს დალიოს ლუდი
და ცოლმაც ერთი შეანჯღრიოს მოგვიანებით
როცა მზე ჯერაც არ ჩაწვერილა

ო ღმერთო რარიგ მშვენიერია
საწოლს მოვცილდე
დავლიო ძალზე მაგარი ყავა
და გავაბოლო ძალზე ბევრი სიგარეტი
და მიყვარდე ასე ძალიან

გუშინ ქვემოთ არხთან

შენ ამბობ რომ ეს ყველაფერი უაღრესად მარტივი და მიმზიდველია
რაც მე ძალიან მეეჭვება, როგორც საშინლად
მომბეზრდა უკვე რუსული დიდი რომანის კითხვა
ზოგჯერ ეს ცუდი ფილმის ნახვას ჰგავს
სხვა დროს კი, ხშირად, ემსგავსება თირკმლების მწვავე ავადმყოფობას
ღმერთმა იცის ამას გულთან არაფერი საერთო არ აქვს
არც ჩემზე უფრო საინტერესო ხალხთანა აქვს რამე საერთო
იაკ იაკ
ეს სახალისო ფიქრებია
შეიძლება კი თავის თავზე სახალისო რომ იყოს ვინმე
შეიძლება კი ვინმე არ იყოს
მათხოვე შენი ორმოცდახუთკალიბრიანი
მე მხოლოდ ერთი ტყვია მჭირდება აჯობებს ვერცხლის
თუ ვერ იქნები საინტერესო უკიდურეს შემთხვევაში შეგიძლია იყო ლეგენდა
(მაგრამ მთელი ეს მონაჩმახი ზიზღს იწვევს ჩემში)

ლექსი

ლანა თერნერი დაიღუპა!
მოვიჩქაროდი და უცაბედად
წვიმა და თოვა დაიწყო ერთად
და შენ თქვი რომ ეს სეტყვა იყო
მაგრამ სეტყვამ თავის ტკენა იცის

ძალიან და ამიტომაც ეს იყო თოვლი
და იყო წვიმა და მე ისე მოვიჩქაროდი
შენს შესახვედრად მაგრამ ტრანსპორტი
ზუსტად ისე იქცეოდა როგორც ეს ზეცა
და უცაბედად თვალი მოვკარი გაზეთში სიტყვებს
ლანა თერნერი დაიღუპა!
ჰოლივუდში თოვლი არაა
კალიფორნიას არ ანვიმს წვიმა
ხშირად ვყოფილვარ წვეულებებზე
და თავიც ძალზე შემირცხვენია
მაგრამ ფაქტია არასდროს რომ არ დავლუპულვარ
ო ლანა თერნერ წამოდექი ჩვენ შენ გვიყვარხარ

ჯეიმს რაითი

გამომშვიდობება კალციუმის პოეზიასთან

ბნელი კიპარისები –
სამყარო რთულად ბედნიერია:
ყველაფერი დავიწყებას მიეცემა.

თეოდორ შტორმი

მიზეზთა დედავ, არ დაგითესავს
მარტოობის უხვი ნაცარი
შენ ჩემს მიწაზე. ამიტომაც
მოვდივარ ახლა.
მე რომ ვიცოდე ეს სახელი,
შენი სახელი, გაცოცხლდებოდა ვენახის ყველა ტალავერი და მინავლული
ბებერი ცეცხლი, საზარელი იქნებოდა ჩემს ფეხქვეშ
რყევა. სპირალური ძიების დედავ, კალციუმის
მკაცრო იგავო, პატარა გოგოვ, მე კიდევ ერთხელ
ვიძრომიალე შუადღეზე სარეველებში.
შემთხვევითი და დღის ზმანებებით გარემოცული, შენ ძირს
არ დამცემ. დედავ ფანჯრის რაფების და გზადყოფნებისა,
ტირილს მანდომებს მოსალმება მკაწრავი ხელით,
შემოხედვა დავსებული ჩემივ თვალების.
ტალღების რწევავ, ქალო თუ კაცო,
მიზეზთა დედავ ან თუ მამავ მარგალიტების,
შემომხედე: მე არარა ვარ.
თვალში საყრელად მე არასდროს მქონდა ნაცარი.

ზამთრის მინურულს, გუბეს როცა გადავაბიჯე, მე ვფიქრობდი ბებერ ჩინელ გუვერნიორზე

რა უფლება მაქვს, მე, სასტიკ დროში დაბადებულმა,
უბედურმა, ნყალობა ვთხოვო ბედს?

დანერილია ჩვ. წ. აღ.-ით 819 წელს

პო ჩუ-ი, გამელოტებული ბებერი პოლიტიკოსი,
რა ხეირია?
მე ვფიქრობ შენზე, -
ამა თუ იმ პოლიტიკურ დავალებას როცა ასრულებ,
თითქოს ნვალებით შედიოდე იანგ-ძის ხახაში
და ტვირთით საცსე გემს ბუქსირით მიეწოდე.
ვხედები, შენ ამას სჩადიოდი
სიბნელის გამო.

მაგრამ ახლა თითქმის ისევ გაზაფხულია, 1960 წელი,
და მინეაპოლისის მაღალი კლდეები
ჩემთვის ბნელ მიმწუხრს წარმოქმნიან
წყლით და ბამბუკით.
სადაა იან ჩენი, მეგობარი, შენ რომ გიყვარდა?
სადაა ზღვა, რომელმაც ერთხელ მიდუესტის მთელი მარტოობა
შთანთქა? სადაა მინეაპოლისი? ვერაფერს ვხედავ
უზარმაზარი, საშინელი მუხის ხის გარდა, ზამთართან ერთად რომ
ბნელდება.
თუ მიაკვლიე იზოლირებული ადამიანების ქალაქს მთებს იქით?
იქნებ, ათასი წლის მანძილზე
გაქექილი ბაწრის ბოლო გეჭირა ხელში?

შემოდგომა დგება მარტინ ფერიში, ოჰაიო

შრიე ჰაის საფეხბურთო სტადიონზე,
მე ვფიქრობ ტილტონსვილში პოლაკის მიერ გამზადებულ ლუდზე
და ბენვულში აფეთქებულ ღუმელთან მდგარი ზანგების ნაცრისფერ
სახეებზე
და უილინგ სთილის თიაქრიან, გმირებზე მეოცნებე,
ღამის დარაჯზე.

ყველა ამაყ მამრს რცხვენია შინ ნასვლა.
მათი ქალები შიმშილისგან დაოსებული დედლებივით კრიახებენ,
სიყვარულს რომ დანატრებიან.

ამიტომ
მათი სიმღერები თვითმკვლელობამდე ლამაზი ხდება,
ოქტომბერი როცა იწყება,
და მძვინვარეა მათი სწრაფვა ერთმანეთის სხეულებისკენ.

უილიამ დალის ფერმაში, ჰამაკში წოლისას. ფეინ აილანდში, მინესოტა

ჩემს თავს ზემოთ ბრინჯაოსფერ პეპელას ვუმზერ,
მწვანე ჩრდილში ფოთოლივით ათრთოლებულს
შავ ტოტზე სძინავს.
ხევში, შუადღის სიშორეში,
ცარიელი სახლის გადაღმა,
ერთი-მეორეს მიუყვება წყვილი ძროხის ეუენის წკრიალი.
ჩემგან მარჯვნივ,
ორ ფიჭვს შორის, მზის სინათლით ფენილ მინდორზე,
შარშანდელი ცხენების ფუნა
ოქროს ქვებად გაბრწყინებულა.
უკან ვიხრები, მწუხრი ფრთხილად ჩამობნელდება.
აქვე ქორმაც ჩამოიქროლა, საყუდარს ეძებს.
მე გავფლანგე ჩემი ცხოვრება.

ლოცვა

დიდ გზაზე, სწორედ როჩესტერისკენ, მინესოტაში,
ბალახს სათუთად ეფინება მწუხრის საზღვრები.
წყვილ ინდურ პონის
კიდევ უფრო უმუქდება სიკეთით მზერა.
ხოლო მე და ჩემს მეგობარს რომ მოგვსალმებოდნენ,
ტირიფებიდან სიხარულით წამოვიდნენ ისინი ჩვენსკენ.
გადავაბიჯეთ ამ საძოვრის ეკლიან მავთულს,
მარტოდარჩენილთ მთელი დღე რომ ქავილს უცხრობდა.

დაძაბულად იქექებიან. ძლივს იოკებენ ჩვენი ნახვით
გამოწვეულ ბედნიერებას.
დასველებული გედებივით, თავს მორცხვად ხრიან. უყვართ ერთურთი.
არაა არსად, სხვაგან, ასეთი მარტოობა.
შინ, სიბნელეში, კიდევ ერთხელ გაღეჭავენ გაზაფხულის ნორჩ და
ნვნიან კვირტს.
მე ვისურვებდი უფრო სუსტის ხელში აყვანას,
ჩემთან ერთად რომ ესეირნა
და დაეყნოსა თანაც ჩემი მარცხენა ხელი.
ის შავ-თეთრია.
ველურივით ჩამოშლია შუბლზე ფაფარი.
და ნაზი ქარი მის გრძელ ყურებზე მოფერებას მაფიქრებინებს,
რომლებიც ისე სიფრიფანაა, როგორც ქალწულის მაჯაზე კანი.
და უმალ მივხვდი,
ჩემი ხორციდან ახლა თავი რომ დამეღწია, დავიწყებდი მყისვე
გაფურჩქვნას.

გვიანი ნოემბერი ველად

დღეს გაშიშვლებულ ადგილებში მარტო ვსეირნობ,
ჩამოიზამთრა.
ღობესთან, ფოსტის ყუთის მახლობლად, ორი ციყვი
ერთმანეთს შველის, - ტოტს მიათრევენ სამალავისკენ; ალბათ, აქვე
სადმე ექნებათ,
იფნების უკან.
ისინი კვლავაც ცოცხლობენ და დაიხსნიან ყინვისგან რკოებს.
ლერწმის ტოტები შიშვლდებიან, სიმინდებში მთვარე როცა ჩამოიხედავს.
მიწა ახლა უკვე მყარია,
ხოლო ჩემი ფეხსაცმლები შეკეთებას საჭიროებენ.
მე დასალოცი არაფერი მაბადია,
სიტყვების გარდა.
მე ვისურვებდი, ბალახები ყოფილიყვნენ ჩემი სიტყვები.

იმ ჭორის პასუხად, დასავლეთ ვირჯინიაში, უილინგში, უძველესი საროსკიპო დაიხურაო

მარტო ვიდარდებ,
ისე, როგორც მარტო ვადექი, წლების უკან,
ოჰაიოს გზას.
მანანწალების ჯუნგლებს ვერთვოდი,
ფიქრს და სანუხარს მიცემული,
საკანალიზაციო მაგისტრალს აღმა მივუყვებოდი.
თავდაღმართში კი, მდინარესთან,
ოცდამესამე ქუჩისა და უათერ სთრითის გადაკვეთაზე,
ძმრის დახლთა გასწვრივ,
ღია კარები დავინახე შებინდებულზე.
ხელჩანთების ქნევით, ქალები
მდინარიდან და მდინარეში ეშვებოდნენ
გრძელი ქუჩებით.

არ ვიცოდი, როგორ ხდებოდა.
შეიძლებოდა დამხრჩვალიყვნენ ყოველ საღამოს.
გამთენიისას, ნეტა, რა დროს აცოცდებოდნენ,
ფრთების შრობით, გაღმა ნაპირზე?
რადგან მდინარეს ვირჯინიის დასავლეთში, უილინგში,
მხოლოდ ორი ნაპირი ჰქონდა:
პირველი იყო ჯოჯოხეთი, ხოლო მეორე
ოჰაიოს ბრიჯპორტი იყო.

და ვერავინ ჩაიდენდა თვითმკვლელობას მხოლოდ იმისთვის,
რათა ბრიჯპორტი, ოჰაიო,
მოეძებნა სიკვდილის მიღმა.

თვალი პატიოსანი

იქ, ჰაერში, ჩემს ტანსუკან,
არის ქვაბური,
არავინ ფიქრობს მასთან შეხებას:
მონაზონი, მდუმარება
კოცონს გარს რომ მოესალტება.
ქარის პირისპირ როცა ვდგავარ,
ჩემი ძვლები იქცევიან მუქ ზურმუხტებად.

შიში აღმაგზნებს

1.

ბევრ ცხოველს, ჩვენმა მამებმა რომ ამოხოცეს ამერიკაში,
თვალი ჰქონდა ძალიან სწრაფი.
ველური იყო მათი მზერა,
მთვარე როცა დაბნელდებოდა.
სამხრეთის მხარეს, ქალაქების სავსე ეზოებს,
ეფინება ახალი მთვარე,
მაგრამ ჩიკაგოს ბნელ ჩიხებში მთვარის დაკარგვა
არ ედარდებათ
ჩრდილოეთის მინდვრებში ირმებს.

2.

იქ, ხეებს შორის,
რას საქმიანობს მაღალი ქალი?
მე შემიძლია მოვისმინო კურდღლების და დილის მტრედების
ჩურჩულს ხეებქვეშ,
მუქ ბალახებში.

3.

მიმოვიმზერ ირგვლივ ველურად.

მორალისტური ლექსი, თავისუფლად გადმოღებული საფოდან (ფრენსის სელთზერისა და ფილიპ მენდლოუს ქორწინებასთან დაკავშირებით)

მე ირემთან ძილს ვისურვებდი.
მერე ის ქალიც გამოჩნდება.
ორივესთან ერთად ვიცხოვრებ.
აი, ეს ლექსი ირემია, სიზმრით აღსავსე.
მე მის საყრდენს გადავაბიჯე.
იმ შავი ქვიდან ჩემს გულ-მკერდში სამი ფრთაა ჩამოშვებული.

ზეცის ორ კიდეს მიეხლება.
დაე, სიკვდილიც ნამოიმართოს.
დაე, ორივე
ორ ირემთან ერთად დავმთავრდეთ.
მწამს, რომ ჩვენ ორს და
იმ ორ ცხოველს შორის სიყვარულს
ადგილი აქვს
მზის ნათებაში, - რომელიც
უფრო ოქროსფერია, ვიდრე თვით ოქრო, -
და ზნეობრივ სისპეტაკეში.

ლექსი საყრდენზე

მე ვხდები ერთი
მოხუცთაგანი.
მე მიკვირს მათი,
როგორ ხდებიან
ასერიგად ბედნიერნი? ამალამ ხეებს
კარლ სჩურზ პარკში,
ისტ რივერის გაყოლებაზე,
არ სჭირდებოდათ ელექტროობა
მათი ტოტების გასანათებლად, რადგან კმაროდა
მთვარეც და ჩემი სიყვარულიც.
და საკმარისზე მეტი ნაგვით სავსე შალანდა
ეშვება წყალში. ვირის ჩლიქები
ისე სწრაფად ჩაიძირნენ,
რომ ის ველარ გაიქცეოდა. ვინ გაწყენინა
შენ ამ ღამით, ჭაღარა
ლუ იუ? ბრძენი და ბრიყვი,
ორივ წასულან, და ახლა ჩემი სიყვარული
ჩემს მუხლს ეყრდნობა, სწორედ ისე,
როგორც თოვლის ფლეიტის ჰანგი,
სიმღერებად და
ლექსებად დაღვრილს
სიყვარულით რომ ახრჩობს მდინარე.

მშვენიერი ოჰაიო

იმ უინებაგოელმა ბერიკაცებმა
კარგად იცოდნენ, რასაც მღეროდნენ.
დრო გამოვნახე, მთელი ზაფხული
კანალიზაციის გაყოლებით,
რკინის შპალზე მარტოდმარტო რომ ვმჯდარიყავი.
მავანს დამრეცი მინიდან მილი ამოუთხრია,
და მე იქიდან მანათობელი შადრევანი ამოვაფრქვიე.
მარტინს ფერიში, ჩემს სამყოფში, ჩემს სამშობლოში,
სამოციათასხუთასზე მეტმა თუ ნაკლებმა ადამიანმა
სხივის სისწრაფით
გამოაცოცხლა ეს მდინარე
და სინათლემ დაიმორჩილა
მათი სიცოცხლის
მთელი სისწრაფე
იმ ჩანჩქერის გაელვებაში.
მე ვიცი, რასაც უწოდებენ მას
უმეტეს დროს.
მაგრამ მე ჩემი სიმღერა მაქვს ამ შემთხვევისთვის,
და მე მას დღესაც
სილამაზედ მოვიხსენიებ.

დიახ, მაგრამ

ასეც რომ იყოს,
მკვდარიც რომ ვიყო და – ვერონაში დაკრძალული,
მე მჯერა, რომ ავდგებოდი და პირს დავიბანდი
ცივ გაზაფხულზე.
მე მჯერა, რომ გამოვჩნდებოდი
შუაღამესა და ოთხ საათს შორის, როცა ჩემს გარდა თითქმის ყველა
ძილს მისცემია ან – სიყვარულს,
და ყველა გერმანელი უარყოფილია, მოტოციკლეტები –
გამორთული, დაჯაჭვული და უმოძრაო.

მერე ედიჯის გაყოლებით, სან ჯორჯიაში, ზორბა ხელიკები
გამოვლენ და გაკვირვებით შემოგვცქერიან,
წყლის ნაპირებთან, არ მოსწყინდებათ ჩვენი ყურება.
მე ვიჯდებოდი მათთან ერთად და მათთან ერთად მივატოვებდი

ოქროს კოლოებს.
რატომ უნდა ვისხდეთ ედიჯის ნაპირთან და ვანადგურებდეთ
თუნდაც ჩვენს მტრებს და თუნდაც ღვთისგან გამეტებულ მსხვერპლს,
უმწეოდ რომ ელვარებს მზეზე?
ჩვენ არ დაველილვართ. არც მრისხანე ან მარტოსული ვართ
და ან – გულით ავადმყოფები,
მსუბუქად გვიყვარს, ჰაეროვნად, ვიცით, რომ ვბრწყინავთ,
თუმცა ვერ ვხედავთ ერთმანეთს და
ვერც ქარები გაგვიტაცებენ,
რადგან უკვე დიდი ხანია
ქარმა ფილტვები ამოგვართვა და თან წაიღო,
როგორც ფოთლები ედიჯის გასწვრივ.

მსუბუქად ვსუნთქავთ.

ჯონ ეშბერი

სიყვარულის პოემა

და მათ სწორად უნდა გაგვიგონ.
ჩვენ გვჭირდება მცირეოდენი ბედნიერება,
როცა გამჭრიახი ნივთები მძლავრობენ (ტუჩები
ასოდ დაიძაბნენ; რა
უახლოვდება მათ?) სიბნელის პირისპირ:
(ცა გამჭვირვალე და უძლურია,
და ჯერაც ძველია ტროტუარი) და

კედელს მომწყდარი წვეთი, სიზმარში,
და არაა შველა არც ჩემგან, არც იმ. ღამე
თავადაა სიზმარი და ის, რაც გრძელდება
მასში, ქარის სახელდება,
ჩვენი რემარკები ერთმანეთის მიმართ, განმეორებადი და
ერთნაირი.

პოემიდან „ლიტანია"

გაუძლო „ეს"-ის გამვარვარებელი ახალი ნლის დაჭინებული მზერის
დარტყმისგან
საჯარო შეურაცხყოფას, რათა აღმოაჩინო
წერტილში, სადაც ადამიანები და ცხოველები, და ყველა დაკავებულია
საკუთარი ჩანაფიქრებით, და განაგრძობენ წაწნალს
უსახელო მიმართულებებით, იქ თუ ცეცხლია,
მე ვფიქრობ, რატომ ესობა მარტოობა
მრისხანე თვალებიდან იმ მცირეოდენს . . .-ის გვერდით –
ისე, რომ ისინი უკანვე აირეკლოს,
სასახლის მყარ სარკეში? მაგრამ აქ,
ეარსკვლავთა ფერის ნაოჭებში, ყველა მარტოსულია და უტყუარი.

რომ ისუნთქო, შეგიძლია ნამოიმართო,
და ტილო, შენს ირგვლივ მოფენილი, ისტორიაა.
ბუნდოვნად მიღწეული სრულქმნილი მისაწვდომობა,
ლოგიკური შეფასება ახლო წარსულის, -
ნაკეცთა ჩრდილებში სიღრმეების გამოსახულებით,
რათა ხელახლა ჩაყვინთო და იქცე ბრძოლად სადღაც ქუდების
ქოჩორზე და ემსახურო
ორზე მეტად, როგორც გეგმა და დეკორაცია,
რომელიღაც ბაღი მოჩანს, მზეში მომჯდარი,
მრავალი მიზეზის, აუცილებლობის და სიბრიყვის ძალით
აქ ჩასობილ სინანულთა და ეჭვთა ღობის მიღმა,
როგორც თხელ ნისლში რეტდასხმული იალქანი.
. . . . . .
სრულიად შენთვის. და შენ აღმართავ
დაუსრულებლობას და სილამაზეს, როგორც მეორე, კონტინენტი,
რომლის უახლოესი მარტოსული ნაპირი ჯერ ისევ მოჩანს, მაგრამ
შენიღბულია მის უკან მდებარე სახლებით, და აი, დარჩნენ მხოლოდ სახლები.
გეტყვი, რატომაც:
სხვებს ძალიან ჩამორჩენილი
და სხვებივით გარისკვის შემძლებელი
ზოგიერთი ადამიანის განურჩევლობა, -
სწორედ ეს დღე იქნება დავიწყებული სამი წლის წინ
დღის ამწუთიერ საფასურად. დაჭიმულობები, ზესადებები,
ზევალდებულებები წარმოქმნიან ეფექტს ასოსას
და მავედრებელი ჰარმონიისას, სადაც ყველა
კარგარეთაა.

ჩემი ეროტიკული ასლი

ის ამბობს, რომ დღეს სამუშაოდ არ სცალია.
რაც ერთობ მომგებიანია. აქ, ჩრდილში,
ქუჩის ხმაურისგან დაცული სახლის უკან,
მავანს შეუძლია ძველი გრძნობების სამყაროში გადაინაცვლოს,
რაღაცის მომშორებელს და სხვაში ჩაძირულს.
ჩვენს შორის იზრდება
სიტყვების თამაში, როცა იქ,
დუმილის ირგვლივ, თავი მოუყრია რამდენიმე გრძნობას.
შემდგომი ნრე? არა, მაგრამ ბოლოს შენ ყოველთვის პოულობ სათქმელს და
მშველი –
ვიდრე ღამე ამოქმედდება, ჩვენ ვტივტივებთ

ჩვენს ოცნებებზე, როგორც ყინულის კარჭაპზე,
და კითხვებსა და ბზარებს შორის ვსხლტებით (ვარსკვლავების ფერი,
რომელიც ძილს მირღვევს) და ოცნებებს მივცემივართ,
რანი ვართ მათში. შენ სთქვი.

ცისფრის განსაზღვრება

კაპიტალიზმის აღზევება რომანტიზმის წინსვლის პარალელურად
მიმდინარეობდა
და მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე ინდივიდუალიზმი დომინირებდა.
ჩვენს დროში მასობრივი ზნე-ჩვეულება ცდილობს ჩაძიროს პიროვნება
მისივე იგნორირების გზით, მაგრამ, ამის საპირისპიროდ, ხდება
სხვადასხვა მიმართულებით პიროვნების განტოტვა,
შორს იმ ღვედისგან, რომელსაც მისთვის „სახლის" ცნება წარმოადგენდა.
ეს მრავალი ბიძგი ყოველი მხრიდან მიიღება
და ასევე მეყვსეულად უკუიქცევა, ყინულოვან ატმოსფეროში
ერთიან, მყარ და მძლავრ ზოლად მიირღვევა.

არ არსებობს ნამალი ამ "გზავნილისთვის", რომელმაც განდევნა ძველი
მგრძნობელობა.
ადრე არქიტექტურული საფარით იქნებოდა დაცული ადგილი, სადაც
მოქმედება ყველაზე რთულია
ვინაიდან გზა ბუჩქნარში მიიკვალება – დამაბნეველი, დავიწყებული,
მაგრამ მაინც არსებული.
მაგრამ დღეს უკვე უაზროა თვალი ვადევნოთ წარმოსახვის ახალ მეთოდებს
რადგან ყოველ მათგანს უნყვეტად ხმარობენ. ყველაზე მეტი რაც
შეიძლება მათზე ითქვას დიდი ხნის მერე
ისაა რომ ეროზია წარმოშობს მტვრის ან გაბერილი პემზის მინამსგავსს
რომელიც ავსებს და სახეს უცვლის სივრცეს, იქცევა შუამავლად
რომელშიც საკუთარი თავის ცნობაა შესაძლებელი.

ყოველი ახალი გადახვევა ანსამბლს თავის ზუსტ შტრიხს მატებს, და აი, ასე,
შუშასავით გლუვია პორტრეტი, შექმნილია მრავალჯერადი შესწორებებით
და აღარ უკავშირდება იმ დრო-სივრცეს, რომელშიც ის ერთ დროს
ცხოვრობდა.
მხოლოდ მისი არსებობაა არსის ნაწილი, და ამის გამო, ეფიქრობ, უნდა
განვადიდებდეთ
უფრო მეტად, ვიდრე ღამის უფსკრულებს, რომლებიც გვებრძვიან
თავიანთი დაფარულობით.

ატოშას სადგურის მიტოვება

არქტიკული თაფლი უწყების თავზე გაითქვიფა გაჩნდა სიბნელე
და მისი განცდიდან ამოგვფესვა
იგი ამასობაში... და შემნვარი ღამურები რომლებსაც ყიდიან იქ
წვეთავენ ქოხებიდან, ისე, რომ შენი ლოცვის საფრთხე იკეცება
სხვა ხალხი... ნათება
ბაღი რომელსაც ატყავებ
და მკვდარი იფარება ბრმა ძაღლმა სამეფო ღირსება გამოხატა...
შენი უზადო წვრილი კუპრის დაშოშმინება ბირთვული სამყაროს
მიწაყრილი ტიტა
სასურველი ღამის ქინძისთავის მახლობლად
ტვირთავს ფორმალდეჰინს. მაგიდა შენ რომ გაიტაცე
მოულოდნელად და ჩვენ ახლოს ვართ
ფესვს ვიღეჭებით როცა შენ ფიქრობ
გენერატორი სახლები ტკბებიან კეკლუცი მზერით

გახეხილი სკამი დაღავს მტრედებს სახურავიდან
ჭყლეტს ტრაქტორს
გადის ატოშას სადგურიდან ფოლადი
დასნეულებული უბიძგებს ხრახნებს
ყველგან ჭები
გაუქმებული უმაღლესი არამკაფიოდ განათებული
საფრთხობელა ვარდება დრო, პროგრესი და საღი აზრი
მედუქნეების გაფიცვა მუქი სისხლი
ვერანაირ ტყეს ვერ დაასახელებ მთვრალი გრაგნილები
უახლესი იტალიური თმა...
ჩვილი... ბოძს წყდება ყინული
ასწლიანი ვიდრემდე ძალგვიძს

მოხუცი ჭამა
წარმომადგენლები თავიანთი ნიკაპებით
ასე მაღლა ვირთაგვები
აცხრობენ სასტიკ კამათს
ქალი შეღებილი კუთხეები
თეთრი ყველაზე ჰაეროვანი
სამოსელი მამლის ყივილი
და როცა ქვეყანამ უკანვე მიგვიღო
ადამიანმა მიგვატოვა, როგორც ჩიტები
წუთიერმა გაელვებამ ღინღლი ნათელყო
საზიზღარი თავების ზემოთ, შორს

მუდმივი საწყობი აღნევს შეუძლია
მისავათებული მერი... განმადიდებელი რწყილი
ამის გამო გარშემო ვუვლით
გამოცდილება გვაგრძნობინებს რომ ეს არაა შესვლა
ეპილეპტიკურ ოინში რომელიც ხრახნს აიძულებს
ჩაბურღოს ნყლისპირს მიმოფანტული გაჩეხილი ტყე
ქალის სასუსნავის თავზე, ის უკან მოგსდევს
და შურისძიება რომელსაც იგემებს
რადგან ქორების ბუდეს წარმოქმნის
სოფლის მხარეს ხველა დაცვა
კვინტეტი მომაკვდინებელი, დაბინძურებული ჰაერი საბოლოო
სუფთა სასქესო კუილი აღტაცებული ფეხის თითი ყლე ალბომი
სერიოზული ალები მნუხრის
ტბა შენი თავშესაფრის მიღმა პიროვნება
განათებული... ღრიალი
შენ უკვე თავისუფალი ხარ
კასრების ჩათვლით
გედის თავი სატყეო
ღამე ვარსკვლავებს განეყოფიან
ასეა, თქვა მან
და შესაძლო განტოლებების
რკალების ქვეშ გაქანებულმა
აბსოლუტური ფაფა უფლება
გაერთობა ჯაჭვის მარაგი მკერავებმა გადაშალეს ნიგნები
წარღვნამ ნაგიღო
ფანჯარაში გადავახველე
გასულ თვეს: წვენი, უფრო ადრე
როგორც მყუდროებები შესამცირებელი
ატმები მეტი
მუშტი
ნასვამი საქონელს ელოდება
ყალბი თიხა იმპორტი
სხვა დროს

ჯერომ როტენბერგი

სამი სიზმარი

ეძღვნება ბარბარა აინზიგს

სიზმარი ნომერი ერთი

ხედავდეს სიზმრად რომ ის ჩაუვლის სარკმელს
ხედავდეს სიზმრად რომ სარკმელი იღება და ირგვლივ იქცევა ქვად
ხედავდეს სიზმრად რომ მას ქოლავენ ქვებით
ხედავდეს სიზმრად რომ ქვა სარკმელში ირეკლება
ხედავდეს სიზმრად რომ ის ვარდება ქვის ნაპრალში
ხედავდეს სიზმრად რომ კუბოსავით შავ ყუთზე დგას
ხედავდეს სიზმრად კუბოებს და კალენდრებს
ხედავდეს სიზმრად რომ სარკმლები იღება ირგვლივ
ხედავდეს სიზმრად ქვას რომელზეც სადენია დახვეული
ხედავდეს სიზმრად სარკმელქვეშ სადენმომარჯვებულ ადამიანებს
ხედავდეს სიზმრად ვიღაცის ხელები მას თვალებს უხუჭავს
და ვიღაც სხვისი ხელები დაუკრეფს მას ხელებს და ტანს
ხედავდეს სიზმრად ქვეყანას სადაც წლობით მძვინვარებს ომი
ხედავდეს სიზმრად აივნებს და დროშებს
ხედავდეს სიზმრად რომ ის დგას სარკმელთან და ხედავს ჩაფხუტიანი
ადამიანები როგორ ეპარებიან მის სახლს
ხედავდეს სიზმრად რომ ის დგას სარკმელთან თავის სახლში და
უყურებს ქუჩას რომლითაც მოდიან
ჩაფხუტიანი ადამიანები
ხედავდეს სიზმრად რომ ჩაფხუტიანი ადამიანები ელიან კართან
ხედავდეს სიზმრად რომ მისი სახლის კარი ქვისაა
ხედავდეს სიზმრად რომ დგას ის კართან და ტირის
რომ სადენმომარჯვებულმა ადამიანებმა გაიგონეს მისი ტირილი
რომ ჩაფხუტიანი ადამიანები გაიძახიან ვიღაც მისთვის უცნობის სახელს

ხედავდეს სიზმრად რომ მას თავისი სახელი არ ახსოვს
ხედავდეს სიზმრად რომ ამ სიზმარში მას არქმევენ ახალ სახელს
ხედავდეს სიზმრად რომ მას ესიზმრება ახალი სახელი
ხედავდეს სიზმრად კიდევ ერთ სიზმარს
ხედავდეს სიზმრად მარცვლებად დაშლილ თავის სახელს
დანყებულს მარცვლებად
გაშმაგებული სიზმრით

ხედავდეს სიზმრად მარცვლებს და ფერებს
და მისი სახელის დარქმევას ნითლად და თეთრად
ხედავდეს სიზმრად რომ მწვანეში და თეთრში
არის თეთრი ქვა და არის მწვანე ქვა
მაგრამ მის სახლში არ არის თეთრი ქვა
არის მხოლოდ თეთრი ანარეკლი
ქვის თეთრი ბზარისა
მწვანე მიჯნა ამრეკლავი თეთრი ქვისა
ხედავდეს სიზმრად რომ მას ხელში უჭირავს თეთრი ქვა
რომ ის სიზმრად თეთრი ქვის სახელის დანახვას სნავლობს
ხედავდეს სიზმრად გაშმაგებით
რომ ის სიზმრის დანახვას სნავლობს
გაშმაგებით

რომ ის გაშმაგებით სნავლობს ხელების დანახვას სიზმრად
ხედავდეს სიზმრად თეთრ და მწვანე ხელებს
ქვის ფერების ამრეკლავ ხელებს
ხედავდეს სიზმრად რომ ის დგას ოთახში წრის ცენტრში სიზმრად

ხედავდეს სიზმრად რომ ნრეში ის ხალხთან ერთად არის
ხედავდეს სიზმრად რომ ამ ხალხს არ იცნობს
ხედავდეს სიზმრად რომ მას არ ესმის მათი ენა
ხედავდეს სიზმრად ანბანს რომლითაც მისი ენა უნდა დაინეროს

თავის ანბანს ცვლიდეს დღითი-დღე
ხედავდეს სიზმრად რომ კალენდარს შეუძლია სიზმრების მოყოლა
ხედავდეს სიზმრად რომ მას კალენდარი უჭირავს კბილებით
კვირა დღეს ის ხედავდეს სიზმრად რომ ვიღაცის ხელი მას პირს უფარავს
სამშაბათს ხედავდეს სიზმრად საცოლეს მჯდომარეს ამ ხელზე
ოთხშაბათს ხედავდეს სიზმრად რომ ეს ხელი ასობით ძუძუად გადაიქცა
ხედავდეს სიზმრად ხუთშაბათს ხელებს და კალენდრებს
ხედავდეს სიზმრად პარასკევს რომ მის სახელში არაა მარცვლები
შაბათს სიზმრად ის ხედავდეს სიცარიელეს
ხედავდეს სიზმრად რომ ყუთზე დგას და იქნევს ჩაქუჩს
ხედავდეს სიზმრად რომ სიჩუმეს სცემს ჩაქუჩს
ხედავდეს სიზმრად რომ სიჩუმე ტყდება როგორც კეერცხი

ხედავდეს სიზმრად რომ კვერცხში არის ლაბრადორი
კაცი მის სიზმარში ამბობს „ლაბრადორი“
კაცი მის სიზმარში ამბობდა „ცარცი"
კაცი მის სიზმარში ამბობს „ბრილიანტი"
ხედავდეს სიზმრად რომ მის სიზმარში მიდიხარ კაცთან ერთად
ხედავდეს სიზმრად სახეს ხედავდეს სიზმრად ამ სახეს კაცზე
ხედავდეს სიზმრად ამ სახეს კედელზე
ხედავდეს სიზმრად ქვის სახეს
ხედავდეს სიზმრად ქვის სახეს სარკის სილრმეში
ხედავდეს სიზმრად რომ მას ადრე ესიზმრებოდა ეს სახე
ხედავდეს სიზმრად რომ ის იყო ბავშვი და ესიზმრებოდა სახე
მანდრილის მოლურჯო-მონითალო სიფათის მსგავსი სახე
უფრო ლურჯი და ზოლებიანი სახე
ხედავდეს სიზმრად რომ ზოლები გამქრქალდნენ
ხედავდეს სიზმრად რომ ზოლები გაქრნენ სახიდან და რომ მისმა
სახელმა დაკარგა მარცვლები
ხედავდეს სიზმრად რომ ესმის ეს ენა
ხედავდეს სიზმრად რომ მთელი ენა ერთ სიტყვაში მდგომარეობს
ხედავდეს სიზმრად რომ მას ეს სიტყვა არ ახსოვს
ხედავდეს სიზმრად რომ ის განმარტავს ამ სიტყვის არარსებობას
ხედავდეს სიზმრად რომ წრეში მყოფ ხალხს არ ესმის მისი
და ის ყვირის და უმტკიცებს მათ რომ ეს ყველაფერი სიზმარია
ხედავდეს სიზმრად რომ მას ყოველთვის ეძინა
ხედავდეს სიზმრად რომ ის არასდროს გამოფხიზლებულა

სიზმარი ნომერი ორი

ერთი რაბინი ჩასჩურჩულებს მეორე რაბინს:
შენ გაქრი, ჩემო მეგობარო,
და არც ყოფილხარ არასოდეს
სადაა შენი სიზმარი?
რაბინი ნამოიძახებს
სადაა ქება ქებათა შენი?

სულაც არაა ის რაბინი
ინდიელია
მას აცვია ტყავის შარვალი და უკეთია ელამი ნიღაბი

ტრადიციის ხმაური მიწყდა
სიზმრად ბიძია ხედავს
არახჩინქვეშ მდებარე გაზეთებს

მშიშარა მოხუცი სიზმრად ხედავს ჩინურ კედელს
სასაცილო მოხუცი სიზმრად ხედავს არახჩინქვეშ მდებარე გაზეთებს

გულუბრყვილო მიკიტანი სიზმრად ხედავს ლოლუებს და თევზის თვალებს
გულღრძო მიკიტანი სიზმრად ხედავს გუბეებს სადაც ყოველ წვეთში
გარდატეხის კანონია

ჭონის მსუქანი ქალიშვილი სიზმრად ხედავს გამხმარი ვანილის ბუჩქებს
ჭონის უცხოქვეყნელი ქალიშვილი სიზმრად ხედავს ქუდს საიდანაც
ეშვება კვერნა

ამაყი ბულალტერი სიზმრად ხედავს ტრამვაის გაყინულ მდინარეზე
ზარმაცი ბულალტერი სიზმრად ხედავს დაბუჟებულ თავის ფეხებს ახალ
ნითელ ნინდებში

სულელი ბიძია სიზმრად ხედავს ექიმების მიერ დანერილ ისტორიას
ბიძია მეზობელ ბინაში სიზმრად ხედავს კატმანდუს

პენსიონერი განგსტერი სიზმრად ხედავს როგორ მიდის გზა მარჯვნივ
ნმინდა ლიმონების ველზე
მოცეკვავე განგსტერი სიზმრად ხედავს ოთხთვალას, ვირს, აგურის ტუზს

მიზანსნრაფული სასტიკი მამაკაცი სიზმრად ხედავს როგორ შედიან მისი
თითები ხელთათმანში
მიზანსნრაფული ნერვული მამაკაცი სიზმრად ხედავს ასო „ე"-ს
ამოგლეჯილს მისი ლექსის სათაურიდან

არაჩვეულებრივი მელიფტე სიზმრად ხედავს კარლ მარქსის ქორნილს
ქარაფშუტა მელიფტე სიზმრად ხედავს ზღვის ნიჟარას ფეხშედგმული
ოცდამეათე სართულზე

პატიოსანი ფოტოგრაფი სიზმრად ხედავს ხის სინაგოგას ძმის საკანში
იდუმალი ფოტოგრაფი სიზმრად ხედავს ოქროს ქაშაყის გუნდს ზღვაში
მცურაეს

ებრაელი დადაისტი სიზმრად ხედავს ნახევრად უმ ბიფშტექსს და
პლატონურ განცხრომებს
ღაჟღაჟა დადაისტი სიზმრად ხედავს თაფლის გოლეულით მოთხვრილ
თავის სახეს

იდუმალი მოგზაური სიზმრად ხედავს თეთრ სუფრას რომელზეც ეშვება

შავი აბლაბუდა
ყველასგან დაფარული მოგზაური სიზმრად ხედავს მარგალიტისმძივიან
თავის დას

გადასახადის ასთმური ამკრეფი სიზმრად ხედავს წმინდა რიცხვებს
გადასახადის ქედმოუხრელი ამკრეფი სიზმრად ხედავს აბაზანას
ძველისძველი ხეების ტყეში

ხე-ტყით მოვაჭრე ძლიერი კაცი სიზმრად ხედავს როგორ ავსებს
ქარი მჭედლის საბერველს
ხე-ტყით მოვაჭრე წუწუნა კაცი სიზმრად ხედავს თავის ხელებს თავისი
მძინარე საცოლის თეძოებზე

კბილებში თევზგაჩრილი კაცი სიზმრად ხედავს ორმოცდახუთდღიან
შიმშილს
თეთრსამოსიანი კაცი სიზმრად ხედავს კარტოფილს

მძვინვარე თახსირი სიზმრად ხედავს მოცეკვავე ქალს მოელვარე
ნათურებიანი ფეხსაცმლით
მონანიე თახსირი სიზმრად ხედავს ამ ქალის თითებს მის ბაგესთან თაფლის
მიმტანს

მოდური დალაქი სიზმრად ხედავს რომ მისი ხელები მასაჟს უკეთებენ
კაპიტნის კისერს
მდუმარე დალაქი სიზმრად ხედავს მამალს ფეხზე გამობმული თოკით

ცინიკური საქმრო სიზმრად ხედავს ცხენებს ისინი გალოპით ცეკვავენ
მისი სახლის ირგვლივ
დამჯერე საქმრო სიზმრად ხედავს იმას რაც უსხლტება თითებიდან
სარძლოს
ეს რაღაც ცახცახებს და თეთრდება დღის შუქზე

მსუქანი კაცი კარდალაში სიზმრად ხედავს რომ დადგა გაზაფხული
და მისი თესლი ეცემა ცარიელ ცაში
უკანასკნელი კაცი კარდალაში სიზმრად ხედავს რომ თუ ის
დაიძინებს სიტყვები ყვავილებად იქცევიან

მარკ სტრენდი

მთლიანობის შენარჩუნება

მინდვრად
მე მინდვრის
არყოფნა ვარ.
ასეა ყველგან.
სადაც ვარ
ის ვარ რაც იქ აკლიათ.

როცა დავდივარ
ვყოფ ჰაერს და
ჰაერი ავსებს
ადგილს
რომელიც ჩემს სხეულს ეპყრა.

მიზეზი ყველას გაგეაჩნია
მოძრაობისთვის.
ვმოძრაობ
რათა ყოველივეს მთლიანობა შევუნარჩუნო.

ფოსტალიონი

შუაღამეა.
ის გამოიელის ბილიკს
და კარზე აკაკუნებს.
მე გავრბივარ შესაგებებლად.
დგას ქვითინებს და
წერილს მიწვდის მერე კანკალით.
ის მეუბნება რომ წერილში

საშინელი პირადული ამბავია გადმოცემული.
„მომიტევე! მომიტევე!“ —
მეხვენება მერე მუხლმოყრით.

შეეიპატიჟებ.
ცრემლს იმშრალებს.
ჟოლოსფერ ტახტზე
მელნის ლაქას პგავს
მორუხლურჯო მისი კოსტუმი.
მერე პატარა, უმწეო და აღელვებული,
დაიგორგლება ბურთივით და
ვიდრე მას სძინავს
მე ვთხზავ წერილებს
ჩემთვის ჩვეული სულისკვეთებით:

„შენ იცხოვრებ
მიღებული ტკივილებით.
შენ მიუტევებ“.

პოეზიის ჭამა

მელანი წვეთავს ჩემი ტუჩის კუთხეებიდან.
ვინაა ქვეყნად ჩემზე უფრო ბედნიერი.
ვჭამ პოეზიას.

თავისი თვალის აღარ სჯერა ბიბლიოთეკარს.
მზერაში სევდა ჩასდგომია
და მიდი-მოდის კაბის ჯიბეში ხელჩაკრეფილი.

ლექსები უკვე დაილია.
შუქი გამკრთალდა.
ძაღლებიც აქვე არიან და მოჰყვებიან სარდაფის კიბეს.

ბრუნავენ მათი თვალის გუგები.
ფიჩხივით ინვის
ფერფლისფერი მათი ფეხები.
ტირილი და ფეხის ბაკუნი აუტყდა საწყალ ბიბლიოთეკარს.

ვერ გაუგია
მუხლს რატომ ვიყრი და მის ხელს ვლოკავ,

ის ინყებს კივილს.

გადავქცეულვარ სხვა არსებად.
ეულრენ და ვუყეფ.
ამ ნიგნიერ სიბნელეში ვხტი სიხარულით.

ბაღი

რობერტ პენ უორენს

ნაბლის ვერცხლისფერ ფოთლეულში,
ხრეშიან გზაზე მოსეირნე მამაჩემის
შლაპის ფარფლებში
ანათებს ბაღი.

დროის ბრუნვიდან გარიყულ ბაღში,
წითელი ხის სკამზე ზის დედა
და მისი მკერდის სინათლე ავსებს ცას,
მისი კაბის ნაკეცებს და
დაბურდულ ვარდნარს.

და როცა მამა დედის ყურთან დაიხრება
და უჩურჩულებს,
როცა ისინი წასასვლელად აიშლებიან,
როცა მერცხლები მიმოქრიან
და მთვარე და ვარსკვლავები
ერთად ქრებიან, ბაღი ანათებს.

ახლაც, როცა თქვენ ამ ფურცელზე გადმოხრილხართ,
გვიან და მარტო, იგი ანათებს; ახლაც კი,
ერთი ნამით ადრე, სანამ გაქრება.

ერთი სიმღერა

მიჯობს მთელი დღე
სკამზე ვიჯდე ტომარასავით
და მთელი ღამე ჩემს ლოგინში

ვინვე ქვასავით.

პირს ვაღებ
როცა საჭმელი მოდის.
თვალს ვხუჭავ
როცა ძილის დრო მოდის.

ჩემი სხეული
მღერის მხოლოდ ერთ სიმღერას;
ჩემს ხელებში
ქარს ჭაღარა შემოერია.

ყვავილი ყვავის.
ყვავილი კვდება.
მეტი დიახაც ნაკლებია.
მე კი მეტი მისურვებია.

ძილი

არსებობს ძილი ჩემი ენისა,
იმ ენაზე როცა მეტყველებს, რომელსაც უკვე ველარასდროს ვერ გავიხსენებ —
სიტყვების ძილში შეღნეული სიტყვები
მერე, როცა წარმოსთქვეს.

არის ძილი ერთი წამისა
მეორეში, მთელი ღამის გამგრძელებელში,
და ძილი ფანჯრის,
ხეების გრძელ რიგს შუშად რომ აქცევს.

კითხვის პროცესში უხმოა ძილი რომანებისა,
ისე, როგორც ქალების თბილ სხეულებზე კაბების ძილი.
და ძილი ჭექა-ქუხილისა, მზიან დღეებში მტვრის შემგროვებლის
და ფერფლის ძილი დიდი ხნის მერე.

ცნობილია, რომ ქარის ძილით სავსეა ზეცა.
გრძელი ძილი ჰაერისა, გარდაცვლილთა ფილტვებში რომ გამომწყვდეულა.
ძილი ოთახის, როცა ვიღაც იქ იმყოფება.
დასაშვებია ხისმიერი ძილიც მთვარისა.

და არის ძილი, რომელიც ითხოვს, დავწვე და

ნყვდიადს, ჩემზე გადმოსულს, მივესადაგო
როგორც უცხო კანს, სადაც უკვე ვერასოდეს მომძებნიან,
საიდანაც არასოდეს აღარ გამოვალ.

ვეშაპებზე ნადირობა

ჯუდით და ლეონ მეიჯორებს

როცა პლანქტონის არმიები
აირივნენ წმ. მარგარეტის ყურეში და
ნაპირები გაავარდისფრეს,
აქედან, ჩვენი მთის სახლიდან,
ჩანდა როგორ საზრდოობდნენ კაშალოტები.
თამაშ-თამაშით აფუჭებდნენ ბადეებს და
ძალზე სუფთად ანადგურებდნენ
და კუზიანი მათი ზურგები
მაღლდებოდნენ ზღვის გაშლილ ველზე.

მთელი დღეები
შენობაში ვისხედით და
ამ ლპობადი პლანქტონების გამოლევას ველოდებოდით.
სუნმა ქარიც კი გააჩერა,
და ხარებს,
მთაზე თივის ზიდვით დაკავებულებს,
თავბრუ ესხმოდათ.
მიდიოდნენ და მოდიოდნენ პლანქტონები და
ვეშაპები არ მიდიოდნენ.

ამიტომაც გამოვიდნენ სანადიროდ მეთევზეები.
ჩასხდნენ ნავებში
და ვეშაპებს გამოედევნენ,
და მამაჩემიც და ბიძაჩემიც
და ჩვენც, ბავშვებიც, თან წაგვიყვანეს.
ნყალი, ქარისგან შენუხებული, სნრაფად სპობდა
ჩვენი კვალის ქაფს.

ზედაპირზე კარგად ჩანდნენ კაშალოტები.
უზარმაზარი შუბლი ჰქონდათ,
ჩარაზული იყო კარი მათი სახისა.
ნყლის სიღრმეში ჩამძიმებამდე,
კუდს მაღლა სწევდნენ

და მრისხანედ ახათქუნებდნენ.
და ქაფდებოდა ნაცემი ზღვა და
განათებული იყო
მათგან გაკვალული გზა.

აღარ მინახავს თუმცა თვალით,
ნარმოვიდგინე, რომ ისინი
გლოვის დიდი თვალები იყვნენ,
გამონაყოფით დაბინდულები,
რომლებიც უკან დაბრუნებულებს გამოგვყურებდნენ
მარილოვანი და უბნელესი ზეწრის ქვეშიდან.

როდესაც ძრავა გამოვრთეთ და
ზედაპირზე ვეშაპების გამოჩენას ველოდებოდით,
მზე ჩადიოდა
და ჭყეტელა ნარინჯისფრად რთავდა ქვებით სავსე უდაბნოს.
ცივი ქარი გვცემდა სახეში.
მზე რომ ჩავიდა საბოლოოდ
და ვეშაპებიც გაუჩინარდნენ ისე, თითქოს სულ არ ყოფილან,
ბიძაჩემმა, უკვე აღარ ეშინოდა,
ცაში ისროლა.

სანაპიროდან სამი მილის მოშორებით,
სრულ სიბნელეში,
მთვარის თვალი რომ გაკვირვებით ჩამოგვცქეროდა,
აღარ ჩაირთო ჩვენი ძრავა
და ნაპირისკენ სასეირნო ნავით გავცურეთ.
მამა მართავდა ნავს, ნიჩბებზე გადახრილიყო.
მე ვუყურებდი მას, საკუთარი ძალისხმევით აღტაცებულს
და დინების პირისპირ მავალს,
მის ქერა თმაში მარილი ენთო.
მე ვხედავდი, მთვარის შუქის გლუვი დინება
და ზღვა და ქაფი,
ვერცხლისფრად მსხლტომი,
მის მხრებზე როგორ გადადიოდა.

მთელი გზა ხმა არ ამოუღია.
შუაღამით,
როცა დავწექი,
ნარმოვიდგინე ვეშაპები,
ჩემს ქვემოთ რომ მოძრაობდნენ და
მისრიალებდნენ სიღრმეებში მობინადრე პლანქტონებით დაფარულ მთებზე;
მათ იცოდნენ, სადაც ვიყავი;
უნდოდათ ჩემი ჩატყუება სულ უფრო ქვევით,

იქ, სადაც ძილის მოჩურჩულე
წყალი იყო საგულვებელი.

მუდამ

ჩარლზ სიმიკს

დღის ყოველ დამლევს
მუყაითად ირჯებოდნენ შემოჭმუჭნულტანსაცმლიანი, ერთი
ნათურით განათებული მაგიდის ირგვლივ შემომსხდარი,
დიდებული დამვიწყებლები.
თვალდახუჭულნი, აქეთ-იქით აქნევდნენ თავებს.
მერე ქრებოდა სახლი და — კაცი ამ სახლის ბაღში,
კვლებში დარგული ყვავილებითურთ.
მომდევნო უკვე მთვარე იყო.
დიდებული დამვიწყებლები წარბს მაღლა სწევდნენ.
მერე ფლორიდა ქრებოდა და ქრებოდა ფრისკო,
საიდანაც ბარუები და ბუქსირები გადიან ხოლმე,
ყურის პატარა, მოციმციმე ნაიარევნი.
მერე ერთ-ერთმა დიდებულმა დამვიწყებელმა ასანთს გაჰკრა და
ნიუ იორკის მდინარეებზე
მროკავი ნათლის მძივები გაქრნენ.
მეორემ ჭიქა შეავსო და
ეს დასარული იყო იმ ხალხის,
საღამოობით ქუჩის ყვითელი, გოგირდოვანი სინათლის ქვეშ რომ დადიოდა.
მომდევნო იყო ბულგარეთი, მერე გაქრა იაპონია.
„სად დამთავრდება ეს ყველაფერი?“, ნარმოსთქვა ერთმა.
„რთული საქმეა იმ ყველაფრის ბედის ძიება,
რაც ცნობილია“, თქვა მეორემ.
„ჰო“, თქვა მესამემ, „სულ ბოლო ქვამდე,
ნარმოსახვისთვის
უნაკლობის ციცი ნული შემოგვრჩენია“.
მერე სკამებში მოიხარნენ დიდებული დამვიწყებლები.
უცაბედად გაქრა აზია, ხოლო იქვე — მნუხრის ვარსკვლავი
და მზის სევდა ჩვეულებრივი.
მათგან ერთ-ერთმა დაამთქნარა. მეორემ კი ჩაახველა.
მიაშტერდა მესამე სარკმელს:
აღარც ერთი ღრუბელი და აღარც ერთი ხე,
დაპირება ბრნყინავდა ყველგან.

კ. კ. უილიამსი

ასე მოსდით ადამიანებს

ისინი მიწას ჩაჭედვიან,
როგორც ლურსმნები: ამოინევენ ერთი ინჩით
და რაღაც ძალა უკანვე ჩასცემს.
დანყლულებულა მათით მიწა.
ამ ეკლიან ხილს
გადანურვია უკვე იმედი,
რომ შეიძლება დასნვდნენ, იგემონ.
მას ესღა ძალუძს — მწიფდეს და მწიფდეს.
დაჭრილი ადამიანებიც.
უკვე ისინიც დაცვივდნენ და მიმოიკარგნენ
და უიმედოდ დარჩენილან. რბილდება გული
ნაყოფისა. სავსე ხორცი რბილდება,
დნება. იქ ეკლებია, იქვე
ბნელი თესლებია, მთავრდებიან უკვე ისინიც.

მოთმინება ისაა, როცა შენ წყვეტ მოლოდინს

მე ვდგავარ პირველ საფეხურზე, ახალ კოსტუმში გამოწყობილი,
ხახადაფჩენილ საათებქვეშ, დაშინებული ობობას ქსელის თაღებით და
მტვრით,
ჩემივე ნალაპარაკევით, ჩემი თმა თავის მოკრძალებულ სიამაყეს ასხივებდა,
მე მოვედი, როგორც ეკალი, მე ვბრუნდები, ბრუნდება და იბურება ჩემი
ტკივილიც.
კიდევ თქვი რამე მდუმარებაზე. თქვი, რომ არასდროს,

აღარასდროს გაიგონებენ ცივი კაცის ჩურჩულს ეს ჩემი ნასვრეტები
არც დედების და მამების კიევლს სანოლ ოთახში
და მე მათ შორის ვისვრი ყულაბას და მე ვაკოცებ
ფანჯარასთან ლბილ ციაგში სახეები ირევიან
სახელებივით. დამივიწყებს და გამეცლება, თუ დავუყვირებ,
არადა, ისევ არაფერი დაიწყება. მითხარი რამე
მონყალებაზე, მარადიულის მკლავებში და მის ნაკადებში
თუ როგორ მიჰქრის, როგორ მოდიან მერე სიზმრები. სულს ღაფავს ღამე
და ბრძნულად ფიქრობს სიკვდილზე, როგორც სურვილისგან შობილ საგანზე.
ნამახულ ნეკნებს ნაზად უხსნის მკბენს
და მიჭერს. ისევ თქვი რამე ჩემს სიცოცხლეზე, თუ რატომ არის ის ამნამიერ

მაშინ ქარის ხმამ

არ იპოვება ისეთი რამ, როგორც სიკვდილი. მოეხსენება
ყველას, რომ ქვეყნად
არც ისეთია რამე, შეეძლოს გლენოს
და ღობეზე გადაგკიდოს პირსახოცივით.
და არც ისეთი რამ არსებობს, სიყვარული როგორიცაა, რომელიც რჩება
შიგნით

სქელდება, მერე მძიმდება და ვარდება
შუაგულში ერთი თესლი,
რომელიც უფრო მეტს იწონის ვიდრე სამყარო

ანგელოზებიც არ არსებობენ
რომც ყოფილიყვნენ ჩვენ რომ დაცინვით არ ჩაგვეხშო
მეორე გული და არ შეგვექმნა მეორე ტვინი
ყველა ომი ისე როგორც ბაქტერია შიგნითკენ მიდის

და ისინი რომ ქილებისგან ყოფილიყო დამზადებული როგორც რიოში*
ქოხმახები კალოშები კი კრეტულ სანდლებად ამოგვიცვამს
და ისევ იმ ძველ ძონძებში ვართ გამოხვეული
ბენგალში დამნვარ სახეს ჰარლემში ძონძები ეკერის

ჩვენ მაინც ისე მოვიშლებოდით როგორც მოტორი
და მათ როგორმე დავუსხლტებოდით, როგორც პენისი
სველ ბარძაყებში
და ყველაფერი დასაწყები გვექნებოდა ისევ თავიდან.

მათ ის გააფრთხილეს მერე მათ ის გარეთ გაისროლეს

არსებობს ვილაც ვინც კვდება
რომ ღმერთი შეჭამოს
როცა სახელი აღმოჩნდება
წვენი მისი პირის ღრუდან წურწურ-წურწურ ნაკადებად დაიწყებს დენას
იგი კი ლამის ნაბორძიკდეს ამჩატებული
არავინ დღემდე არ ყოფილა ასე მშიერი
შენთვის ალბათ ცნობილია ხალხი, რომელსაც სხვა არაფერი უჭამია თუ არა
ერთი კოვზი ბრინჯი და მაიმუნის კანჭის
ლუკმა კარგი ეს სულ არაფერია
უნდა იცოდე რას ჩაიდენს ეს პიროვნება
ის თავის ბავშვებს ამოპუტავს თმას ბღუჯა-ბღუჯა
და მუჯლუგუნებს უთავაზებს
ის თავის ცოლში დამჯერ კოკორს გამონურავდა იმაზე მალე
ვიდრე ცოლი დაიკიელებდა
თუ შენ ეტყოდი რომ ღმერთია მის პენისში ჩასახლებული
ის მას უკბენდა
და დაგლეჯდა როგორც მხეცი ხორცისმჭამელი
აი ასე უარყოფს კაცი
აი ჩვენ როგორ ვანადგურებთ
ხოლო ერთ დილით დასასრულის დრო რომ მოვა ცეცხლში შეძვრება
და საკუთარ თავს გამოხედავს მერე იქიდან
რაც იყო სიბნელე იქნება სინათლე
რაც იყო სიმღერა იქნება ღრიალი
და ყველაზე უარესი ის არის რომ შენ ჯერ კიდევ გენდომება ეს ყველაფერი
დამიჯერე
უნდა იცოდე.

ბენზინგასამართი სადგური

ეს იყო ნიცშეს წაკითხვამდე. კანტის ანდა კირკეგორის, უიტმენის და იეიტსის წაკითხვამდეც კი.

ვეჭვობ, ჩემს თავში ყოფილიყო მაშინ სიტყვები. ის კი ვიცოდი, შესაძლოა, ჩემი ხვედრი ტანჯვა რომ იყო.

მახსოვს, გული რა იოლად მიჩვილდებოდა ხან ამაზე, ხანაც იმაზე, მნიშვნელოვანი არაფერი, არც ღირს სათქმელად.

იქნებ, ჭკუიდან გადავყავდი მწუხარებას ჩემი ბავშვობის დაკარგვის გამო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ უნდა მცოდნოდა მაშინ. დაისი იდგა. ბენზინგასა-

მართი სადგური. ოცდამეორე გზატკეცილი. ოცდამეორე გზატკეცილის მრუდი ზუსტად დამამახსოვრდა.

იქ იყო სორო, კონკრეტული ნვრილი გამყოფი, რომელსაც მაშინ ავლებდნენ ხოლმე, უბედურების კოლიზიები როცა ხდებოდა.

ბენზინგასამართი სადგური? ტექსაკო, ესსო — მე ეს არ ვიცი. რაც უნდა ერქვას, სიტყვები იყო, სხვა არაფერი, რასაც ნიშანი გამოთქვამდა, ის იყო მხოლოდ.

მე მაშინ ჯერაც არაფერი ვიცოდი ჩაგვრის, მონოპოლიის ან, ვთქვათ, იმპერიალისტის შესახებ. დაისია. გვიანი დროა. არადა, თითქოს არასოდეს ვიღლებოდი, ახლა კი ვუძლებ, ჩამოყრდნობილი მეგობრის მხარს, ვაკვირდები უსიტყვო და უმოწყალო უბადრუკობას ოცდამეორე გზატკეცილის ცის,

რომელიც თითქოს აღიბეჭდავს მტვრიანი ზეთით მოთხვრილ ჩემს სახეს, რომლის შენმენდას ან ჩამონმენდას კვლავ და კვლავ ვცდილობ.

რატომ ვართ ჩვენ აქ? იმიტომ, რომ ერთ ჩემს ამხანაგს, ვინც იქით, საპირფარეშოშია, გააჩნია ლურჯი ბურთები.

რომლებიც უნდა ჩამოიგლიჯოს. მე არ ვიცი, ეს რას ნიშნავს, „ლურჯი ბურთები", ან ასე რატომ უნდა მოიქცეს —

მნიშვნელოვანი უნდა იყოს აქ შესვენება ასეთი გრძელი ღამის მერე, მაგრამ არ ვითხოვ.

მე მხოლოდ ვცდილობ, მე ვფიქრობ, რომ შევინარჩუნო თავი იმდენად ცარიელი, რამდენად და რა დროითაც მომიხერხდება.

ამ ჩემს მეორე ძმაკაცს კი უკვე ჩასძინებია. რა მახინჯია! ჩამოშვებული, მოშვებული და სველი პირით.

მესამე — მე მას არასოდეს აღარ შევხვდები — თითქოს დამფრთხალი, შეგვყურებს ფანჯრის იქიდან.

აი, რა ვქენით. თაიმს სქუერში ვიყავით და შუამავალმა იქ გამოგვძებნა, დაგვიყოლია, სადღაც წაგვიძღვა,

თავქვე დავეშვით ბნელი ქუჩით, ასეთივე მეორე ქუჩით, მერე ბნელ კიბეს ავუყევით, ბნელი ჰოლი, და ბნელი ბინა,

სადაც წვალებით გამოერკვა ძილიდან მისი მეძავი თუ საყვარელი თუ მისი ცოლი თუ მისი დედა.

იდაყვს დაეყრდნო, მიაჩერდა ბნელ ჰოლს და თქვა, რომ თანახმა იყო მოეხედა ჩვენთვის, თითოს ორ დოლარად მოგვისტუმრებდა.

მოეხედა ჩვენთვის. ზოგ სიტყვას, რომელიც ახლა ჩემგან მოდის, თითქოს ბედად აქვს, იქვე დარჩეს, წამოედოს იქვე რაღაცას.

რაღაც ძალიან დიდხანს ჩარჩა ტუალეტში ჩემი ძმაკაცი. ჭუჭყიანი ცა თანდათანობით უნდა განათდეს.

მეც საკმაო დრო მოვანდომე, ვგულისხმობ, ქალთან. თუ მოგახსენეთ, რომ ის, ქალი, დედა თუ კახპა,

იწვა, თავის დროს ითვლიდა და ერთადერთი უნდა ენება, რაც იყო ჩვენი აფეთქება?

ეს თუ გითხარით? აფეთქება? თუ ინებებდა?

ასე თუ ისე, ეს იმხანად სახალისო იდეა იყო. აფეთქებული! მერე როგორი საქაქანო მეორე დღისთვის.

მხოლოდ ინება, თუმცა, მეტიც არაფერი. მანქანასავით. ახლა, როცა მას მიბრუნებს ხსოვნა,

იქ მხოლოდ ბნელი, ხუჭუჭა თავი შემორჩენილა, მანქანასავით მომუშავე, ზევით-ქვევით, ზევით-ქვევით, და აი, ახლა,

ფროიდო, მარქსო, ჩემო მამებო, მითხარით ერთი, რას წარმოვადგენ, რას ვაკეთებ, ამას რომ ვამბობ იმ ქალზე, ჩემზე,

ჩაქუჩს ვიყენებ, ვაცემენტებ, დაღს ვასვამ, მაგრამ მანქანასაც ასე ვექცევი! მითხარით, რატომ ვქცევი ასე?

ავგუსტინე მე ჯერ კიდევ არ წამიკითხავს. და არც ხომსკი მესმის ბოლომდე. მევალება კი?

ისიც ბრუნდება, როგორც იქნა, ჩემი ძმაკაცი. იქნებ, იქ იყო, მასთან, მთელი ამ ხნის მანძილზე, სწორი სიტყვები. ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ. ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲐ.

მერე როგორი უმანკოები ვიყავით მაშინ, რემბომდე და ბლეიკამდე. ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ. ᲒᲗᲮᲝᲕ. ᲒᲐᲓᲛᲝᲒᲒᲮᲔᲓᲔ.

ფურთხი

მაშინ „უმაღლესი რასის“ შვილმა დაიწყო
რაბის პირში ისე ჩაფურთხება, რომ რაბის
განეგრძო თორაზე დაფურთხება

შავი წიგნი

რა დრო გასულა, ეს კი ჯერაც შეუძლებელს განეკუთვნება. ესეს-ელი კაცი ხეშეში თავისი თმით და უნიფორმით;
რაბი, ალბათ, ჩამოკონკილ პალტოში, ალბათ, ჭუჭყიანი ნვერით, მეორე ხელს სტაცებდა;
თორა, ღვთის სიტყვა, საკურთხეველზე, აღრეული სისველის ქვეშ ასოები ფერმკრთალდებიან;
რაბის უკვე გამშრალი პირი, ესეს-ელი, ჩინებულად ჩანთქმული და ატანილი ჩინებული დამცირებით
უკვე რამდენი წელიწადია და რაღა ითქვას ჯარისკაცებზე, მოუთმენლად რომ იცდიან თოვლში.
იმ ერთზე, თოვლის ნაკვალევს რომ აღიბეჭდავს და ასე ფიქრობს: „მოკალი და მოათავე!“
სანამ მის უკან რაბისა და იმ მეორის ბაგეები შეწებდებოდნენ და დრო რომ შეჩერებულიყო, საყვარლები არიანო, გაიფიქრებდით,
ასე ნაზად რომ კოცნიან ერთურთს, ფაქიზი ხელი ტკბილ ნიკაპთან,
ოდნავ დახრილი თვალები და მერე როცა ისევ დაიწყო ეს ყველაფერი ორივე მათგანს ნამწამები
ისე მორცხვად ისე საოცრად უხამხამებდა როგორც ბავშვს პულსი.
იქნებ ამაზე სულ არ უნდა ვილაპარაკოთ, მაინც ერთი და იგივეა ეს ყველაფერი.

ომი, რომელიც მოხდება და მერე წყდება, მაგრამ როგორღაც ყოველთვის სწორედ ჩვენთანაა, გვასახიჩრებს და გვაუხეშებს;
და მაშინ უფალს რას ვუშვრებით — სიტყვები, ფურთხი, დეგრადაცია, სირცხვილი და მოკვდინება; ყველა ტანჯვა ხელმისანდომი.
ცხოვრების ამ გზებს რაღაც საერთო გააჩნია იმასთან თუ ჩვენ როგორ ვცხოვრობთ
და რომ ჩვენ თითქმის გვერცხვინება მეტაფორების გამოყენება რათა გამოეთქვათ რა ხდება ჩვენში მაგრამ ჩვენ მაინც ასე ვიქცევით და სიყვარული ბრძოლაა და ჩვენ შეყვარებულ ჩვენს თავს ვუყურებთ
ჩვენ გვაგიჟებს სიამაყე და ჩვენი არასრულყოფილება, ღმერთი კი არის ის, რაც არის როცა მარტო ვართ
და სიმარტოვეს ვებრძვით და ის რაც ჩვენს სულებში ლაპარაკობს ჩვენს წინააღმდეგ
სწორედ ისე როგორც მისი მრისხანება შემობრუნდება
და სულ უბრალოდ როცა ვუმზერთ სხვა პიროვნებას, მასში იმდენი შიშია და სიძულვილია რომ ეს, სხვის პირში ჩაფურთხება, იმის მცდელობა, რომ მას თავადვე შევაბილწინოთ საკუთარი მისი საზრისი, გამოხატავდეს უნდა ბრძოლას საიმისოდ, რომ ერთმანეთზე მეტ ხანს ვიცოცხლოთ და ეს რომ შეგვესრულებინა რას არ ვიზამდით.

მოგვეპოვება სხვა ლეგენდაც.
ის მოსეზეა, — რომ ბავშვობაში, პირველად რომ წარუდგინეს იგი ფარაონს, მეფემ იგი გამოსცადა და ნინ დაუწყო ალმასი და ანთებული ნაკვერჩხალი და მოსე სწვდა და ეს ნითელი მუგუზალი ჩაიცა პირში
ასე რომ მერე ენაბრგვილი იყო იგი მთელი ცხოვრება მის ნაცვლად კი აარონი ლაპარაკობდა.
ნეტავ რას გრძნობდა იმის პირში დამფრთხალი ენა?
ეს ალბათ იმის მსგავსი იყო სამუდამოდ რომ რაღაც ისეთი გეტარებინა, რაც ზედმინევნით მძიმეა და ხისტი და მკვდარი და უდიდესი სიმძიმის გამო ისე უნდა გამოყო გარეთ როგორც ხარი ყოფს გარეთ ენას,
და როცა ის მოძრაობდა, სქელ ჩანასახს მოჰგავდა ალბათ, ნელ-ნელა რომ ინყებს სიცოცხლეს,
და აწყდებოდა მისი კბილების, მისი ლოყების შიგნითა მხარეს.
და როცა ღმერთი აალდა ბუჩქში, როგორ არ უნდა ყოფილიყო მისი ერთგული?
როგორ არ უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენ, ყველანი, ცეცხლში ვიყავით და რომ ყოველი სიტყვა რომელიც ჩვენ წარმოვთქვით, საუკუნოდ დაგვბუგავდა,
ტკივილში, დაუსრულებელში, და რომ ესეც უწყოდა ღმერთმა, და რომ თავად ის ამის მიღმა არაფერს უკვე აღარ იტყოდა.
აღარასოდეს, მაგრამ მხოლოდღა ის იცოცხლებდა ხორცში რომელსაც ჩვენ შეშად ვხმარობთ ჩვენი სხეულის ყველა ფოსოში, ფოსოში ჩვენი ნანლავისა, ფოსოში ჩვენი მეტყველებისა:
მას ნერწყვი ჩამოელვენთებოდა და ისე ამოიღმუვლებდა როგორც მავანი უბრალო კაცი რომელიც ისევ სიბნელეს სცემს თავის რიგით თავს,
ნესტიანი კედლები, ნათელს მოშორებული, მოშორებული იმას, სინათლე რაც

უნდა იყოს ამ ბოლო მარადისობისთვის
„ახლა დროებით ნადი“, თქვა მან, „და მე ვიქნები პირთან“.

გუდრონი

პირველი დილა თჰრი მაილზე: და ამ კუნძულის პირველი დაუჯერებელი,
მღელვარე და იდუმალი ის საათები.
მთელი დილა მშენებლების ბრიგადა ჩვენს სახლს ძველ დაცხავებულ
სახურავს ხდიდა.
და მთელი დილა, ფიქრები რომ გამეფანტა, კარგარეთ დავეხეტებოდი და
მათ ვუცქერდი.
როცა აზბესტის ქაღალდის და ტყვიის ფენები ააჭრეს და ნაწილებად
მიმოშალეს გამიჯნული წყალსადინრები.
მას მერე როცა ნახევარი ღამე ვუსმენდი ახალ ამბებს და ვფიქრობდი
როგორ უნდა მცოდნოდა ასეული მილის იქით
როდის ან თუ და ან სად უნდა გავქცეოდი ამ ყველაფერს, მერე როცა შვიდ
საათზე ჭექა-ქუხილმა გამომაღვიძა
და სახურავის ოსტატებმა რომლებსაც ზამთარს აქეთ ველოდით ჩვენს
კედლებზე რომ თავიანთი კიბეები ააჭრიალეს,
ჯერ არაფერიც არ ვიცოდით: კომუნალურმა კომპანიამ ისევ შექმნა რაღაც
მცირე გაუგებრობა,
გაიძვერა ფედერალურ დელეგატებს ჯერაც ისე გააჩნიათ მცირე-მცირე
დარღვევები მოჩვენებით თავის ნესრიგში.
ახლა ცხადია ფიქრად გვაქვს რომ გვატყუებენ, მაგრამ იმხანად, იქ ირჯებიან
სახურავის ოსტატებიც,
ჯალამბრებს რომ აყენებენ, გუდრონის წრეებს რომ ავლებენ და, აი, მეც
იქ, ბორდიურზე, ქუჩის მეორე მხარეს, ვდგავარ და მივშტერებივარ.
არასდროს გამიაზრებია, რა მძიმეა ეს სამუშაო, რა არსებითად და რა
სულისშემხუთველად არის საშიში.
კიბეები ყანყალებენ, იღუნებიან, სახურავის კიდეებიდან საგნები და მასალები
დაქანებულან, უშველებელი და ურჩია ეს მასალები.

როცა ჟანგიან, ძველისძველ ლურსმნებს ამოძრობას უპირებენ, თავები
სძვრებათ; სახურავის ქვეშიდან კი ნაშალი ცვივა.
თიხის პატარა ღუმელიც კი, ვირივით რომ იტანდა და ხმაურობდა
შეუჩერებლად, დახუთულა და ნანგრევებით ამოვსებულა.
აიმართება მავნებელი და სქელი კვამლი, ხოლო ვიღაცამ ხელში უნდა
ატრიალოს თავისი ასო და ამის მერე ჩააჭედოს,
ამონთხევა და სიმყრალე ვიდრე არ შენელდება, სიბნელე, მერე დანტეანური
ყმანვილი იქვე მიეგდება ქანცმილეული.

და მისი ტანჯვა-წვალების ფონზე ნივთიერება ჩანს ისეთი საამური, როგორც ძირტკბილა ხოლო შენ მაინც მოაშორე შენს ფეხსაცმელს თუ შენს კომბინეზონს.
იგი ხმება და ნება ერთვის მასთან ყველაფერს, ან სანახევროდ ან მთლიანად მსკდომი ბუშტებით ტკაცა-ტკუცი გაუდის ღუმელს
კაცები კი თავის მხრივ სულ მთლად ამოგანგლულან და ჩვენთვის უცხო რეალობიდან მოსულებს ჰგვანან, როგორც ტროლები.
როცა ისინი ისვენებენ, თავიანთ ცოცხებს ასფალტიანი ვედროებიდან წამომართულებს ტოვებენ ხოლმე,
სამუშაო ხელთათმანები სახელურებს „ძმობილ კურდღლად" ეჭიდებიან, და ციცაბო კიდეებზე კონნიალობენ.
ვეებერთელა ცაა მათ უკან, მძიმე შუადღის ჰაერია ლიცლიცით და მირაჟებით გაცოცხლებული.

ზოგჯერ ნაშუადღევს შიგნით უნდა შევსულიყავი: ჩვენვე უნდა შევდგომოდით მორიგეობის ჩვენთვის კუთვნილ წილს.
როგორც არ უნდა გვეთრია ფეხი, საამისოდ რარიგ ცოტაც გვეკეთებინა, ჩვენ მაინც უნდა მივმხედარიყავით:
ჩვენ მივდიოდით იქითკენ, რომ ყოველივე დაგვეღუპა, ახლა თუ არა, მალე მაინც, მალე თუ არა, ოდესმე, ერთ დღეს.
ერთი დღეც მოვა, რომელიმე ბოლო თაობა, ისტერიულად, სისასტიკით ბედისწერის მსგავსი წნეხის ქვეშ შეყენებული,
ყველა ჩვენთაგანს თანაუგრძნობს, შეაჩვენებს ამ ჩვენს კომფორტს და ლანძღვით აიკლებს ამ ჩვენეულ მოყირჭებას, ამ ჩვენს მონობას.
მე ვფიქრობ ვიცი, უფრო ალბათ სულაც არ ვიცი, რატომ შემომრჩნენ სახურავის ოსტატები ასე მკაფიოდ, ხოლო სხვა, ყველა დანარჩენი,
იმ დროის შიში, შექცევადი ურწმუნობა და ის სიშორე, ის ყველაფერი, ჩვენში რაც უნდა ინახებოდეს, ასე მკრთალდება.
მე მახსოვს სულაც პრეზიდენტი აბსურდულ დამცავფეხსაცმლიანი, აბსოლუტურად უშიშარი რომ გამოსჩანდა, ეს სისულელე.
მე მახსოვს ქალი, ფასადიდან, ბუნდოვანი სასკეპანის მხრიდან მრისხანედ რომ გასცქეროდა სამუშაო იარაღების ერთობლიობას.
მაგრამ მე უფრო ცოცხლად მახსოვს მამაკაცები, მოვერცხლილები აბრების ბრწყინვით, შოშიებივით შეყუჟულები კარნიზებს უკან.
და თვით გუდრონის კარატებიც, ნყალსადინარში ჩარჩენილები, ისეთი შავი, ჰაერიდან თითქოს სინათლე გამონოვესო.
ჩამოლამდა და მის სიღრმეში გაჩნდნენ ბავშვები: თითოეული ტროტუარი ამ კვარტალში ურცხვობით და სიმამაცით დაკანრულიყო.

გაზაფხული: პირველი დილა, როცა ტკბილი და ფენოვანი, არეული სურნელების ნაღდი კრებული მოინევს ჩემსკენ
საიდანღაც დასავლეთიდან და მე კვლავ და კვლავ მოზეიმედ მოვდივარ და ფიქრად მაქვს რაფას ჩამოვეყრდნო დასანყლებულ ზამთრის მიწურულს
გზის გადაღმა ცარიელ ნაკვეთს შემორკალული ტანდახორკლილი ნეკერჩხლები დაკვირტულან — ვერც კი შევნიშნე —
დაუჯერებლად ქალაქური ზაფრანის ხშირმა ყლორტებმა უკვე ქვიშიანი ნიადაგი ამოარღვიეს.
ქუჩის ალმა კი რამდენიმე მიწისმზომელი, სამფეხებით, მარცხნივ და მარჯვნივ, ერთმანეთს ხელებს ისე უქნევს, მათ რომ სჩვევიათ.
ტანმოვარჯიშის კოსტუმიანმა გოგონამაც ხტუნვა-ხტუნვით ჩამიქროლა ცოტა ხნის წინ და ვიღაც ბიჭებმა უსაქმურად ჩამიარეს, გაკვეთილებს აცდენენ, ალბათ.
და პარაპლეგიკს, ვიეტნამის ომის ვეტერანს, სანახევროდ დასაკუთრებულ საწყობში, ერთი კვარტლით ქვემოთ რომელიც ცხოვრობს
და მის მეგობარს, მასთან ხშირად რომელიც რჩება და ეხმარება კიდევაც ვითომ, ხელების ქნევით ახლა ჩემსკენ მოუხარიათ,
მათი მგორავი დანჯღრეული სავარძელი ტროტუარის ერთი კიდიდან მეორისკენ დაყანყალებს რაღაც საეჭვოდ.
ვიცი საითაც გაუწევიათ — „ლეგიონისკენ“: ერთხელ, გარეთ რომ რაღაც გავდგი, ისინი შედგნენ,
ნასვამი იყო მაშინ ორივე, ყარდა ორივე — ათი საათი არ იქნებოდა — და ერთმანეთს ორიოდე სიტყვა ვუთხარით.
არ ვიცი, სული რით უჭირავთ — ალბათ, პენსიით — ერთმანეთის საყვარლები არიან, ნეტავ?
არა, არ ჩანან ასეთები. ახლა, ამ წუთას, ფაქტობრივად, ჰგვანან უიღბლო ადამია-ნებს, გზას ალალბედზე ადევნებულებს,
წამომწყებებს რაღაც საქმისა, როცა ჩემამდე მოაღწიეს, თვალი გზის პირს წამოედო და უკვე ჯანჯღარებს სავარძელი,
ყირავდება, და ისინიც ეცემიან, ერთი ნელა და თითქმის არის გრაციოზულად კიბეებზე მისრიალებს ეტლს მოწყვეტილი,
მაგრამ ძნელად რომ გამოხატოს ეს მისმა მზერამ, მეორე მასვე წამოედო და ნაბარბაცდა, ქვემოთკენ მძიმედ გაკოტრიალდა,
რათა ასფალტზე იწვეს ასევე, მისი პირი ნარწყევშია, მისი ფეხი ამაოდ და სუსტად უბიძგებს მეორე ბორდიურს.
უმალ კუთხიდან, „რიდი და ვაჟიშვილები“-დან და „უძრავი ქონება“-დან, ამ სავაჭრო ოფისებიდან სანახაობის საყურებლად გამოიხედეს.
მოსჩერებიან თავიანთი სახელწოდების ოქროს ასოებს იქიდან და, მადლობა ღმერთს, არ იცინიან.
ძმობილი ჰიდრანტს ეჭიდება, წამოინია და ერთი წუთით დგას და ქოშინებს, ახ-

ლა მეგობარს უნდა უშველოს, რომელიც იქვე უძრავად ნევს და მის თვალებს ნინამხარი მზისგან იფარავს.
თითქმის კიდეეაც ნაათრია, ნამოიკიდა და მიაღნია სკამამდე, მაგრამ ნამოედო აქ საყრდენ დაფას
დაკიდებული ტერფი, და ირგვლივ უბიძგა ყოველს, ასე რომ ისევ ძირს უნდა დასვას,
სკამს ასწორებს, ისევ ისე ნამოიკიდებს და ხდის დათხვრილ ჯინსს,
კარლსონები არ აცვია, დალაქავებულ-დაკუჭული რაღაცეები: მუცლის ზიპის სქელ ხვეულებქვეშ
საბრალო, ბლაგვი თათი, დამფრთხალი და ერთი ციდა, ჩაბრუნებული, მეჩხერ სასქესო თმაში, თითქოს უხილავია,
მერე ძმაკაცი ამოიხვნეშებს და უკანვე გადაეგდება, თითქოს ის იყოს, საბოლოოდ, მოხდეს, რაც მაინც მოსახდენია.
და ის, ძმაკაცი, დაეყრდნობა ციკლონის ზღუდეს, მერე უცებ მომაჩერდება, თითქოს იცოდა,
რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, თვალს ვადევნებდი და ვერ ვიშორებ ვერაფრით კითხვას, ის თუ იცის, რომ მე ზამთარშიც
თვალს ვადევნებდი, გარეთ როცა გამოვიდა, ნაკვეთში, ღამით, და სეირნობდა, ხოლო უფრო მოაბიჯებდა, თითქმის დარბოდა, არ კი ვიცი, ასე რამდენ საათს გაგრძელდა.
თოვდა, ქალაქი ჩაძირულიყო იმ უნმინდეს მდუმარებაში, რომელიც დგება უკანასკნელად, ვიდრე ქარიშხლის მომძლავრებამდე,
ვუთვალთვალებდი ნამუშაკევ ნაფეხურებს, თავიდან რომ ნრეებს ჰგავდა და მერე რომ მივხვდი, ცხრიანები ყოფილა თურმე,
რასაც იგი მიიჩნევდა სრულ სიმეტრიად, მაგრამ რაც, ჩემი თვალთახედვის ადგილიდან, დაზიგზაგდა და მოიღუნა,
და ასე იყო გაწოლილი თავის მხარეზე: გამრუდებული, არაცხადი უსასრულობა, რომელიც, თოვამ რომ იმატა, ნელი-ნელ გაქრა.
ისევ და ისევ, მისი თავი იხრებოდა ამოცანისკენ, ის დაჟინებით კვალავდა ბილიკს, რომელიც მან ააგიზგიზა,
მაგრამ დაკარგა შემართება, და ყალიბები იმაზე სწრაფად ივსებოდა, ვიდრე ახლა ის ასწრებდა მათ გამოყვანას, და უმალ მზერა მოვინაცვლე
დაჩონჩხილი ხეების ზემოთ, ქალაქის ცენტრის ტანმაღალი შენობებისკენ, ზოგი მათგანი
კვლავ ციმციმებდა მთელი თავისი ოფისებით, რომელთა გამაფრთხილებელი ალისფერი სინათლეები ავრცელებდა უცნაურ სიგნალს
ფიფქთა სიხშირის წინააღმდეგ, და მათი მქრალი შარავანდედი არბილებდა ჩამობინდული და რძიანი ზეცის პორციებს.
დილით კი, უკვე არაფერი: ყველა მისი ნაკვალევი გამქრალიყო, მთელი მინდორი იყო ქათქათა თეთრი ფერის, გაბრწყინებული, ცისკარი მისი ყინულოვანი საფარველიდან
გაიელვებდა დამრეცად და უმოწყალოდ, არმოსურნე შელამაზების.

ლუსილ კლიფტონი

ლექსი დაკარგულ ბავშვზე

როცა მე შენი თითქმისსხეული ძირს დამივარდა
ძირს ქალაქის ქვეშ წყლებთან შესახვედრად
და გამდინარე წყლებთან ერთად ზღვისკენ გავიქეცი
რა ვიცოდი უკუქცეული წყლების შესახებ
დამხრჩვალის შესახებ რა ვიცოდი

შენ უნდა გაჩენილიყავ ზამთარში
დაშლილ აირთა ნელიწადში
გადავიაროთ მთა ენესის კანადურ ქარში
რათა ვიხილოთ ყინულივით როგორ სრიალებ უცნობის ხელში
შენ უნდა ჩამოცვენილიყავ როგორც თოვლი ზამთარში
შენ რომ აქ ყოფილიყავი მე შევძლებდი ამ ყველაფრის შენთვის მოყოლას
ბევრი სხვა რამის მოყოლასაც

მე თუ ყოველთვის მთაზე პატარა ვარ
შენი აშკარა და-ძმებისთვის
დაე თავზე მდინარეებმა გადამიარონ
დაე ზღვამ თავის შემქმნელს მიმგვაროს
დაე შავმა კაცმა მიწოდოს უცნობი
ყოველთვის ჯერარდარქმეული შენი სახელით

თუ მე ვდგავარ ჩემს ფანჯარასთან

თუ მე ვდგავარ ჩემს ფანჯარასთან
შიშველი ჩემს საკუთარ სახლში
და მკერდით

ვანვები ჩემს ფანჯარას
ჩემი ძუძუები შავი ჩიტებივით ეხლებიან მინას
რაკი მე ვარ ვიღაც
რაღაც ახალში

და თუ კაცი მოვა ჩემს შესაჩერებლად
ჩემივე სახლში
შიშველი ჩემივე ფანჯარასთან
და მეტყვის რომ მე შეურაცხვყავი
შეურაცხვყავი მისი

ღმერთები

დაე უცქიროს ჩემს შავ სხეულს
მინაზე მიჭყლეტილს
დაე მონახოს თავი
დაე შიშველმა ირბინოს ქუჩებში
ყვირილით
ლოცვით სხვადასხვა ენაზე

ღმერთის განწყობილება

ეს ასულები ძვლები არიან
ისინი ტყდებიან
იმ კაცს სურდა ქვის გოგონები
და მკლავების ნაცელად ტოტებგამოსხმული ბიჭები
რათა ამაღლებული ცხოვრებით ეცხოვრა
და თვითონაც ამაღლებულიყო.
ეს ვაჟიშვილები ძვლები არიან.
კაცი დაღალეს ნლებმა რომლებიც გამუდმებით მის ასაკად იქცეოდნენ
ხორცად იქცეოდნენ რომელიც მატულობს
ის დაიღალა კბილების ლოდინით რომლებსაც
მისთვის უნდა ეკბინათ და გზა განეგრძოთ.
ის დაიღალა ძვლისგან.
ის ტყდება.
ის დაიღალა ევას ფანტაზიით და
ადამის წუწუნა გზებით.

ფესვები

გნებავთ უწოდეთ ამ ყველაფერს ჩვენი სიგიჟე,
უწოდეთ რაც გსურდეთ,
ესაა სიცოცხლის ნიშანი ჩვენში
ეს ისაა რაც სიკვდილის ნებას არ მოგვცემს.
როცა სიკვდილი გვეპატრონება
მაშინაც კი ზევით ვწევთ თითებს
და ვარქმევთ ბალახს
და მათზე ვიზრდებით
ჩვენ მათ ენას ვუჩლექთ და ნარმოვქმნით მუსიკას,
დაარქვით ამას ჩვენი სიველურე
ჩვენ ყვავილების მინდვრიდან
გავქრით, ჩვენ
ყვავილების მინდვრად ვიქეცით.
დაარქვით ამას ჩვენი სიგიჟე
ჩვენი სიველურე
დაარქვით ამას ჩვენი ფესვები,
ესაა სინათლე ჩვენში
ესაა სინათლე ჩვენი
ესაა სინათლე, დაარქვით ამას
რისი დარქმევაც შეგიძლიათ
დაარქვით რამე.

მის როზი

შენ როცა გიყურებ
ნაგავივით შეფუთულს
ზიხარ ძველისძველი
კარტოფილის ნაფცქვენის სუნით გარშემორტყმული
ან
როცა გიყურებ
შენი მოხუცი კაცის ფეხსაცმლიანს
და პატარა ფეხის მოჭრილთითიანს
ზიხარ, საკუთარ ფიქრს მოელი
როგორც მომავალი კვირის საბაყლოს
მე ვამბობ
როცა შენ გიყურებ
ქალის ყავისფერ ჩანთას ასველებ შენ

ვინც ყველაზე ლამაზი გოგონა იყო ჯორჯიაში
ვისაც ჯორჯიის ვარდს ეძახდნენ
მე ფეხზე ვდგები
შენი განადგურების გაკლით
მე ფეხზე ვდგები

დაბრუნდით კინოდან სახლში

დაბრუნდით კინოდან სახლში,
შავო გოგონებო და ბიჭებო,
დასრულდა ფილმი და ეკრანი
ისე გაცივდა, როგორიც ჩვენი სამეზობლოა.
სანახაობიდან სახლში დაბრუნდით,
ნუ იქნება სანახაობა.
მონყვიტეთ რამდენიმე ყვავილი და ჩარგეთ,
აგვკრიფეთ რამდენიმე ფურცელი და ნაგვიკითხეთ,
შენყვიტეთ ბავშვების კეთება და გაზარდეთ ისინი
დაბრუნდით კინოდან სახლში,
შავო გოგონებო და ბიჭებო,
ანახეთ ჩვენს მამებს როგორ უნდა იარონ კაცებმა
მათ უკვე იციან, როგორ იცეკვონ.

იდუმალ მოსეს

შენ ხარ ის
ვისთვისაც ვანთივარ
მოდი შენი კვერთხით
დაკლაკნილი
გველად რომ იქცევა.
მე ვარ ბუჩქი.
ვიწვი.
არ ჩავმქრალვარ.

მას ესმის ჩემი

ეს ყველაფერი არის სისხლი და არის ნგრევა,
სისხლი და ნგრევა,
რაღაც ჭყიპინით ხტება ყუთიდან
სინათლეში. ორივე ჭყიპინებს,
ცხოველიც და გალიაც. სველია ამ ქალის ტანი, ღიაა
და ცარიელი და მან თავი ხელახლა იშვა.
ლექსიკონების ხორცისგან.
ის კი მუდამ ცარიელდება ეს ეს იგივე
ჭრილობაა იგივ სისხლი და იგივ ნგრევა

გაფთხილებები

ბიჭებო
მე თქვენ არაფერსაც არ გპირდებით
მაგრამ იმას
რასაც ჩაიდენთ
გამოვისყიდი
მე დავმალავ იმას
რასაც თქვენ მოიპარავთ
თქვენი საზოგადოებრივი დანაშაულის
არგაცემა
არის ყველაფერი რაც შემიძლია

გოგონებო
როცა თეთრი კაცი
შარვლის ბარტყს პირველად გამოაჩენს
როგორც კარგ რამეს
ჩვენ გავიცინოთ
მართლა ხმამაღლა გავიცინოთ
შავო ქალებო

ბავშვებო
როცა გეკითხებიან
რატომაა დედათქვენი სასაცილოო
თქვით
ის პოეტია
ის ხომ არაფრის აზრზე არაა

მაიკლ პალმერი

შრეებად

მოვუსმინეთ ქარს და
ვერ დავაწყნარეთ

და სახლში გადაირბინა:
ყველგან არის ქარით თავისუფლება
ვერასოდეს დაუმეგობრდებით

შეცდომების და ქარის სიტყვები
ქერამდე ამოწურული

საიდანაც უჩვეულო სხივი იღვრება
უძირო მუსიკა

მხოლოდ სურათისთვის გვქონდა სახელი
სადაც შენ ოქროს ფარვანა ხარ

ან ლაქა ბალიშზე
ალისფერდება სახე აზრისგან

არ შეუძლია თავი დაიხსნას
ან შეაკაეოს

სხეული გარსქეეშ
გაქრობას ცდილობს

მელანი შრება
წლების მერე

სადაც ნერტილში ნარბებს შორის

ცეცხლი გიზგიზებს

"ლა-ლა-ლა – სევდის ნაზარდი"
თქვა ფლოსტებიანმა ორატორმა

ბგერები იფანტება
ხოლო მერე ეს ისტორია

და ნივთთა თვისებებიც იფანტება
და აი კიდევ ერთი სცენა

და არანჟირება დამთავრებულია
ოდნავ გვიან სხვა ფესტივალი

სადაც არავინაა მოწვეული
და აქ არც ჩვენი იმედებია.

განსჯის სოფელი

ეს ხელთათმანია
ან ნიგნი ან ბიბლიოთეკა

ეს მზეა ან სიბინძურის ფენა

ეს ორშაბათია
ეს შეცვლილი სიტყვა

ეს განსჯის სოფელია
ეს კი ნამტირალევი თვალი

ეს მამაა
ან რიცხვი რუკაზე

ეს ყალბი პირია
ეს ნივთი რომელიც შენ ხარ

ეს გალაქული სურათია
ან ჯერაც დასაშვები პასუხი

ეს კარია

ეს კი სიტყვა კარისთვის

ეს დაცემით გამონვეული რეფლექსია
ეს კი პატიმარი ფორთოხლებით

ამის სახელწოდება შენთვის ცნობილია
ეს კი შხამია კარგად რომ გახდე

ეს მექანიზმია
ეს კი ხიდის ჩრდილი

ეს მრუდია
ეს კი მისი ნყურვილი

ეს ორშაბათია
ეს კი მისი დაზარალებული სიტყვა

ეს ლიანდია
ეს კი უმნიშვნელო ვადა

ეს სონეტია
ეს კი მისი მოგიზგიზე სახლი

ამ პიესაში შენ ხარ
და შენ ხარ მისი დეკორაციაც

ეს დაუშვებლობაა
განვდილ ხელზე ახლოს

ეს ყაყაჩოებია
ეს ეპილოგი.

როგორც ნამდვილი სახლი

(სარას მესამე სიმღერა)

ვთქვი პირქუშად და მიპასუხე გაბრწყინებულმა
და ჩვენს შორის თეატრი იშვა

როგორც ნამდვილი სახლი

ხალხით სავსე სიბნელეში

ჟურნალებიდან და ბარათებიდან ამოჭრილი და ოდესღაც
მართლა არსებული ხალხით სავსე სიბნელეში

რატომაა ფარდა სანახევროდ დაშვებული
ხოლო მარჯვნივ როცა შენ ჯდები

აქ მთელი დღე ზამთრის ღამეა
და არ შეწყვეტენ მუსიკოსები დაკვრას

სამუსიკო ოთახში
და არასოდეს მოვა ძილი

ესაა გაკვეთილი ნომერი სამი სადაც ქუჩის მევიოლინე
რეალური ხდება

ბგერების წყალობით მისი თითებიდან რომ მოედინება
და მასვე ჩაესმის.

ღამის ცა

სკამი იატაკიდან იზრდებოდა
ახლა როცა დამთავრდა
კლასიკური ფორმების ეპოქა

მატარებელი დაიძრა მაგრამ ჩვენ ჯერაც
აქ ვართ და სიზმრის
უკანასკნელ ნამებს ვინანილებთ

ვიდრე სიზმარი განახლდება.
ეს შეიმჩნევა
შემოკედლილი ქალაქის თუ
ხით ნაგები გემის
ფოტოზე

ქუთუთოები ერთმანეთს ეკვრიან
მგზავრების რიგებთან ერთად
და უმოძრაოდ.

ფრაქტალური სიმღერა

არ ვიცი სად ვიქნები ივლისში
სევშა თქვა თუ ეს თქვა სემმა

გაზომილი ბგერა კონტურებს კარგავს
– ეს სამკუთხედის ან კვადრატის გვერდების
გაზომვა როდია

ამას ჩვენ ვნვდებით პანიკური სირბილის მერე
თავისუფლები იქ რომ აღმოვჩნდეთ
და მოვისმინოთ

ერთხელ მაინც
ფლეიტაში ჩასადგმელი
სატუჩის ნაზი ხმა

და უკვე ვიცით რომ ღრუბლები
იდეალური გეომეტრიული ბურთები არაა
და არც მთებია კონუსები.

* * *

ამ ეკრანზე სიტყვა იბადება, მომეცით დალოდების საშუალება. ამასობაში რაიმეს მოგიყვებით ჩემს შესახებ. მე პასიაკში დავიბადე, პატარა ყუთში, რომელმაც ერთხელ ღამით დრეზდენს გადაუფრინა, საოცარი თოჯინებია. შემდეგ, ნივთები სოკოებივით მომრავლდნენ. ჩემს კატას, ბოსტონელი პოეტებივით, თორმეტი ქუსლი აქვს. მოკლე ტალღაზე იჯდა, უთმო. ბავშვები როგორც იტყვიან, შენ მამა კი არა, ტილოს წინასწარგანმცდელი ჩარჩო ხარ. აბა, ვინ არ გნახა სიზმარ ად? აბა, ჩემთან ერთად კოვზით ჩააქრე. თოვს – ეს ზამთარია. საგნები ბრწყინავენ. გატაცებებიდან ერთი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა, მეორე – ბუნება. ბავშვობაში საწოლქვეშ მეძინა, ხელებმომუჭულს. ფანჯარაში სახე გამოჩნდა, მერე – მეორე, მაგრამ იგივე. ჩვენ რინგზე ვერთობოდით და ვეცემოდით, უკანალს ვმალავდით ინსტრუქციის შესაბამისად. მერე – ისევ მუსიკა: გარკვეული და განუყრელი. ჭეშმარიტი მოცეკვავეები მიღმა მიცურავდნენ. დღემდე ცოცხლები არიან, შრობადი მელანივით. შტორმის მერე ნაპირი გაზომეს. მე ოთხ ფუტამდე გავიზარდე. შემდეგ სამს მივაღწიე. ლურსმანი ფურცელქვეშ შევაგდე და ღიმილით გამეღვიძა. ეს ჩემი პირველი ღიმილი იყო. გასაგრძელებლად ნისლში ვისხედით. შენ თქვი: "შიდა პირის ფერი". შენ თქვი: "ანტინანი-

ლაკები". შენ თქვი: "ნუ იპარავ ჩემს სიტყვებს შენი რაღაცისთვის". თოვს – ეს ზამთარია. საგნები ბრწყინავენ. მე მისი სახელი იმაზე გავცვალე, მომდევნო რაც იყო. ყველაფერი ამაოდ. ჩვენი სახლის სასახლეს თავისი კოლონები და პალმები აქვს. თავის ქალა საზიდრით მიგორავდა. მე მას ენა მოვაშორე, მერე – ხელი, მაგრამ სულ ამაოდ. სამშაბათს ფროიდმა მითხრა: "მე მწამს წვერის, მწამს გრძელთმიანი ქალების. უყურეთ და არ შეიყვაროთ". შეინიშნება თუ არა მსჯელობის პროცესი ტროპიკებში? საკმარისადაა თუ არა გამოზნექილი ჩემი მთავარი აზრი? ამ სახელში ასოები არ მეორდება, ამიტომ ის განუსაზღვრელია. საღამოს მიზეზით, ახლა მე ვიხსენებ მეხსიერებას. თქვენებური ინგლისურით მე არ ვლაპარაკობ. ეკრანზე სიტყვა იბადება.

ოცნება ინდოეთზე

ფრაგმენტები

რამეთუ ინდოეთი სახელდო ნოემ და მისი მეფე ცოდნის მეფედ ინოდება.

რამეთუ ინდოეთშია სამოთხე და სამოთხეში არსებობს ცოცხალი შადრევანი, საიდანაც ოთხი დიადი მდინარე მოედინება.

ინდოეთში ნელინადში ორი ზაფხული და ორი ზამთარია.

ინდოეთში მარადმწვანე მინაა.

ზაფხულში იქ ჩრდილი სამხრეთს ეცემა, ზამთარში კი – ჩრდილოეთს.

ინდოეთში თორმეტიათასშვიდასი კუნძულია: ნანილი მთლიანად ოქროსია, ნანილი – ვერცხლის. არის კუნძულები, სადაც მარგალიტის ისეთი სიუხვეა, რომ ხალხი ტანთ არ იცვამს და მხოლოდ მარგალიტით იმოსება.

ინდოეთში ღვინოს პალმის ნვნისგან ამზადებენ. არის ხე, რომლის ნაყოფსაც პურის გემო აქვს.

ინდოეთში არის ჭია, რომელიც უცეცხლოდ ვერ იცოცხლებს.

იქ ქუჩებში გველები დაცურავენ.

ინდოეთში აბრეშუმის მატრასზე და ოქროს სანოლზე სძინავთ. სუფრაზე ისინი ვერცხლის სინიდან მიირთმევენ, და ნებისმიერი, განურჩეველად თავისი ჩინისა, მარგალიტს და ძვირფასი თვლებით შემკულ ბეჭედს ატარებს.

იქ არის ტომი ადამიანებისა, რომლებსაც ხელებზე და ფეხებზე რვა-რვა თითი აქვთ. 30 ნლამდე ისინი ჭაღარანი არიან, მერე კი თმა თანდათან უშუქდებათ.

იქ არ არიან ღარიბები, ხოლო უცხო ქვეყნის ხალხს გულღიად ხვდებიან.

ინდოეთში კიბორჩხალა, მშრალზე რომ ამოდის, უმალ ქვად იქცევა.

იქ არის ადამიანთა ტომი, რომელიც ვაშლის სურნელის გარეშე ვერ ცოცხლობს. და როცა ისინი გზას ადგანან, უსათუოდ თან უნდა ჰქონდეთ ვაშლი, ვინაიდან ამ ნაყოფს მოკლებულნი, ისინი იღუპებიან.

იქ იყო ისეთი ხვატი, რომ ადამიანები სახლებიდან საერთოდ არ გამოდიოდნენ.

ინდოეთში არის ჯგუფი ფილოსოფოსებისა, რომლებმაც თავი მიუძღვნეს ასტრონომიას და მომავლის წინასწარმეტყველებას. და მე მინახავს ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც 300 წელი შესრულებოდა, ხოლო იმდენად საოცარი იყო მსგავსი დღეგრძელობა, რომ სადაც უნდა წასულიყო, მას ყველგან უკან დასდევდნენ ბავშვები.

ინდოეთში არავინ ცრუობს.

ინდოეთში უცხოელი ვაჭრები, ჩვეულებისამებრ, ბინად ფუნდუკებში დგებიან ხოლმე. სტუმრისთვის საკვებს დიასახლისი ამზადებს, ლოგინსაც ის უშლის და მასთანაც ის წვება.

იქ არის ადამიანთა ტომი, რომელსაც ყურები მუხლებამდე აქვს.

ინდოეთში არის შადრევანი, რომელსაც მომაკვდინებელი გველები დარაჯობენ. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც წყალია, და როცა ვინმეს მოსწყურდება, ის ერთიანად უნდა გაშიშვლდეს, ვინაიდან გველები სიშიშვლეს ცეცხლზე მეტად უფრთხიან.

იქ არის ადამიანთა ტომი ისეთი დიდი ზედა ტუჩით, რომ სახეს მისით მოიჩრდილებენ ხოლმე, როცა მზეზე სძინავთ.

და შევხვედრივარ მეფეს, წინ რომ ორი კაცი მოუძღოდა და საყვირს აყვირებდა; უკან ადევნებულ ორ ადამიანს მრავალფერადი ქოლგები მოჰქონდა და მეფეს მზისგან იცავდა, ხოლო მხარდამხარ პანეგირისტები მოჰყვებოდნენ, და თითოეული ცდილობდა მეორეს აღმატებოდა მეფის ქება-დიდების საქმეში.

ინდოეთში არის ნაყოფი, კვახივით მრგვალი, რომელშიც კიდევ სამი ნაყოფია მოთავსებული, და თითოეულს განსაკუთრებული გემო აქვს.

ინდოეთში მზეს თაყვანს სცემენ ქალაქის საზღვრებს გარეთ აგებულ დიდ ტაძარში. ყოველ დილით, განთიადისას, მცხოვრებნი ამ ადგილისკენ მიიჩქარიან და გიგანტური კერპის წინ კეთილსურნელოვნებებს წვავენ, იმავდროულად კი კერპი ჩემთვის აუხსნელი მიზეზით ბრუნავს და აღუწერელ ხმაურს გამოსცემს.

ინდოეთში მომავალს ჩიტების ფრენის მიხედვით წინასწარმეტყველებენ.

ინდოეთში, როცა ადამიანს სურს თავისი თავი ცეცხლს მიუძღვნას, ცხადდება

დიდი დღესასწაული. ოჯახი საზეიმოდ ემზადება და შემდეგ ეს კაცი თხრილთან ცხენით ან ქვეითად მიპყავთ. და იქ, ცეცხლში, ვარდება იგი, მუსიკის და სიმღერის ხმებით გარემოცული. სამი დღის მერე ის ბრუნდება, თავისი უკანასკნელი ნება რომ გათქვას, ხოლო შემდეგ სამუდამოდ უჩინარდება.

ინდოეთში ძალიან ბევრი ადამიანია, ვინაიდან იქ ჭირი არ იცის. და ეს ხალხი ურიცხვია. მე მინახავს მამაკაცების მილიონიანი არმიები, და – უფრო ბევრი.

ინდოეთში მრავალი გარყვნილია, მაგრამ ბოროტი დანაშაული მათთვის უცნობია.

ინდოეთში გარდაცვლილებს ასაფლავებენ ქალები, რომლებიც ნელამდე შიშვლები დგანან გვამთან და ყვირიან: "ეაი! ეაი!".

იქ არის მყეფარი და ძაღლისთავიანი ადამიანების ტომი.

ინდოეთში გემებს კაბებივით კერავენ, ლურსმნების და რკინის გარეშე, თორემ ზღვაში კლდეები რკინას მიიზიდავენ და ლურსმნით ნაჭედი ყველა გემი კლდეს მიემსხვრევა.

იქ არის რქიანი ადამიანების ტომი, ისინი ღორივით ღრუტუნებენ.

ინდოეთში არის ჭები, რომლებშიც ღამ-ღამობით ცხელი წყალია, ხოლო მთელი დღის განმავლობაში – ცივი.

კბილებს იქ კბილსაჩიჩქნებით ისუფთავებენ.

ინდოეთში ხალხი შავია. რაც უფრო შავები არიან ისინი, მით მეტად ლამაზებად მიიჩნევიან, ამიტომ მშობლები ყოველ კვირას ბავშვებს ზეთს ჩააზელენ ხოლმე, ვიდრე ისინი ეშმაკებივით არ გაშავდებიან. (თუმცა, ინდოეთში ღმერთები შავები არიან, ხოლო ეშმაკები – თეთრები).

ინდოეთში ქალებს ბევრი ქმარი ჰყავთ და ყოველ მათგანს თავისი მოვალეობა აქვს დაკისრებული. ცოლი სხვა სახლში ცხოვრობს, ქმრები – სხვა სახლში. დღე ისე იყოფა, რომ ყოველი ქმართაგანი ცოლის სახლში იმყოფება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, და ამ დროს სხვა ქმარი მის სახლში ვერ შევა. წელინადში ერთხელ ისინი ანთებენ აურაცხელ ზეთის ნათურას.

ინდოეთში არის ხეები, რომლებსაც ისეთი დიდი ფოთლები აქვს, რომ თითოეული ამ ფოთლის ჩრდილს ხუთი და მეტი კაციც კი შეიძლება ერთად შეუდგეს.

ისინი ჯერ ფეხებს იბანენ, მერე – სახეს. ვიდრე ცოლთან დაწვებოდნენ, განიბანებიან.

ინდოეთში ძროხას ეთაყვანებიან, და თუ ვინმე ძროხას მოკლავს, მკვლელს მაშინვე სიკვდილით სჯიან. ზოგიერთები, განსაკუთრებით დღესასწაულების დროს, შუბლში ნელსაცხებლის ნაცვლად ძროხის განავალს შეიზელენ ხოლმე.

ინდოეთში ქმარი არ არღვევს ცოლ-ქმრულ ერთგულებას.

და ვნახე ტაძარი მაღალ მთაზე, და იყო მასში ერთი ცეცხლისფერი ამეთვისტო, ზომით ნაძვის გირჩისოდენა; და შორიდან კარგად მოჩანდა მასში მოთამაშე და მობრიალე მზის სხივები.

ინდოეთში ბრძენკაცებს შეუძლიათ დიდი ქარების წარმოქმნა და დაშოშმინება. ამიტომაც იკვებებიან ისინი საიდუმლოდ.

ინდოეთში ქალები ნითელ ნიღბებს ატარებენ: მათ ეს ფერი ყველაზე მეტად უყვართ. ზოგიერთები თავს შეღებილი ფოთლებით იბურავენ, მაგრამ სახეს არავინ იღებავს.

იქ არის ტომი ადამიანებისა, რომლებსაც ფრთები აქვთ და ხეებზე აფრენა შეუძლიათ.

ინდოეთში კაცები წვერს არ ატარებენ, მაგრამ გრძელი თმა აქვთ, რომელიც ზურგზე ეფინებათ, და აბრეშუმის თასმით იკრავენ. ასე მიდიან ისინი საომრად.

ინდოეთში არის ისეთი მაგარტყავიანი თევზი, რომ მისგან სახლებს აშენებებენ.

ინდოეთში არაა არც ერთი მკერავი, რადგან ყველა შიშველი დადის.

ინდოეთში ძალიან ბევრი ხალხია, რადგან მათ არ უყვართ თავისი ქვეყნის დატოვება.

ინდოეთში ეთაყვანებიან კერპს – ნახევრადადამიანს, ნახევრადხარს. და კერპი მეტყველებს და 40 ქალწულის სისხლს მოითხოვს. ერთ ქალაქში მე ვნახე, როგორ მიაბრძანებდნენ კერპს უზარმაზარი ეტლით, და ეს ისეთ ძრწოლას იწვევდა, რომ ბევრი ეტლს ქვეშ უვარდებოდა, რათა დაღუპულიყო, როგორც ამას მათი ღმერთი ითხოვს.
ინდოეთში სახლობს ცხოველი, სახელად "მარტორქა", რადგან ცხვირზე მას რქა ეზრდება. როცა ის დადის, რქა ქანქარებს, მაგრამ საკმარისია ნადირი რამემ განარისხოს, რომ რქა იჭიმება და ისეთი მტკიცე ხდება, რომ ნადირს ამ რქით ხის ძირ-ფესვიანად ამოგლეჯაც კი შეუძლია. მარტორქის გამხმარი ტყავი სისქით ოთხი თითის ზომისაა, და ზოგიერთები მას საგუთნე რკინის ნაცვლად იყენებენ და მინას ხნავენ.

იქ არის ტომი ადამიანებისა, რომლებიც მხოლოდ ერთი ფუტის სიმაღლის არიან, და ისინი ყოველთვის ფრთხილად უნდა იყონ, ყარყატმა რომ არ წაიღოს.

ოთხ ნელინადში ისინი იზრდებიან, რეა ნლის მერე კი უკვე ბერდებიან.

ინდოეთში ყველგან ვარდებია – ისინი ყველგან ხარობენ: მათ ყიდიან ბაზრებში, მამაკაცებს ვარდის გვირგვინი აქვთ ყელზე ჩამოცმული, ქალები მას თმაში ინნავენ. სჩანს, მათ არ ძალუძთ უვარდოდ სიცოცხლე.

ინდოეთში ქალები დღისით თავიანთ ქმრებთან ნვანან, ღამით კი უცხოელებთან მიდიან და მათთან ნვებიან, და ფულსაც კი უხდიან, რადგან მათ მოსწონთ თეთრი ადამიანები. და თუ ქალი უცხოელისგან დაორსულდება, ქმარი ამ ქკანასკნელს ფულით ასაჩუქრებს. თუ თეთრი ბავშვი გაჩნდა, უცხოელი დამატებით 18 ტენკას იღებს, ხოლო თუ – მავი, მაშინ – არაფერს.

იქ არის ტომი ადამიანებისა, რომელთა ტერფები უკანაა მიქცეული.

ინდოეთში არსებობენ გრძელი გველები, რომლებსაც ჰქვიათ "კოკორილი", და რომლებიც დღისით ხმელეთზე ცხოვრობენ, ღამით კი – ნყალში. ზანერრობით ისინი არ იკვებებიან, და ძილქუშს ეძლევიან. ისინი კლაენ ადამიანებს და რობა ნთქავენ, თან ტირიან.

ინდოეთში არის მდინარე, სახელად არონანი, სადაც თევზის ისეთი სიუხვეა, რომ წისი ხელით დაჭერა შეიძლება. მაგრამ ვინც თევზს ხელს შეახებს, ქშალ ციებ-ცხელება შეეყრება. საკმარისია თევზს ხელი უშვას, რომ სნეული ქშალ კარგად ბდება.

შარელის ნაცვლად ისინი ჩალმით იმოსებიან.

იქ ნინნილებს ჯოხებს ურაკუნებენ.

ინდოეთში არის ხე, სიმაღლით სამი წყრთა, რომელიც ნაყოფს არ ილებს, და იქაურთა ენაზე მოკრძალების ხედ ინოდება, ვინაიდან ადამიანის მიახლებისას იკუმშება და ტოტებს იკრეფს, ხოლო როცა გაეცლება ადამიანი, ის კვლავ იშლება.

ინდოეთში გოგონებს ისეთი მკვრივი სხეული აქვთ, რომ შეუძლებელია მათთვის ხელის ნაელება ან ჩქმეტა. მცირე საფასურად ისინი კაცებს ნებას რთავენ, რამდენიც უნდათ იმდენი ჩქმიტონ. ასეთი სიმკვრივის ნყალობით მათი მკერდი კი არ კიდია, არამედ დგას.

იქ ტყეებში ფარშავანგები დარბიან.

და ვნახე ტაძარი, წმინდა ბრინჯაოსგან ჩამოსხმული, ხოლო მასში – ადამიანის ზომის ოქროს კერპი. მას თვალებად ბადახში ესხდა, და – ისეთი ხელოვნებით ნამუშაკევი, - მეჩვენებოდა, რომ ეს თვალები განუწყვეტლივ მე მიყურებდნენ.

ინდოეთში ქალები შიშველად დადიან, და თუ მავანი ქალი თხოვდება, მას ცხენზე სვამენ, ქმარი კი უკან, ცხენის გავაზე, შემოჯდება, და ცოლს ყელზე დანას მიაბჯენს, და არ აცვიათ არაფერი, მხოლოდ მაღალი, მიტრას მსგავსი, თეთრი ყვავილებით მორთული, ქუდები ჰხურავთ. და იქაური ქალწულები მათ წინ სიმღერით მიუძღვებიან, სახლის კარამდე, იქ ნეფე-პატარძალს მარტო სტოვებენ. ხოლო როცა ისინი დილით ადგებიან, ისევ ისე შიშველად დადიან, როგორც – წინადღით.

ინდოეთში ზოგი თავს იჭრის, რათა სამოთხეში მოხვდეს. ამ დროს ისინი განსაკუთრებული სახის მაკრატლით სარგებლობენ.

ინდოეთში, თუ ადამიანმა სახლიდან გამოსვლისას ყური მოჰკრა, რომ ვიღაცამ დააცემინა, მაშინვე უკან შებრუნდება და აღარ გამოვა, ვინაიდან დაცემინებას იქ ავისმომასწავებლად თვლიან.

იქ არიან ადამიანები, რომელთა ყურები ქარის წისქვილის მსგავსია, ღამით ისინი ერთ ყურზე წვებიან და მეორეს ზემოდან იფარებენ.

ინდოეთში მამაკაცები ქალის სამოსს იცვამენ: ისინი სარგებლობენ კოსმეტიკით, ატარებენ საყურეებს, სამაჯურებს, არათითზე და ფეხის თითებზე კი – ოქროს ბეჭდებს.

სექსუალური აქტის დროს ისინი ვაზს შემოხვეულ გველებს ჰგვანან, ესე იგი ქალი მოძრაობს წინ და უკან, თითქოს მინას ხნავდეს, კაცი კი უძრავად წევს.

ინდოეთში არის ფრინველი, სახელად "სიმენდა", რომლის ნისკარტსაც რამდენიმე პანია საყვირი აქვს ურიცხვი ხვრელით. როცა ის სიკვდილის მოახლოებას იგრძნობს, ბუდეში თავს უყრის გამხმარ ტოტებს, ზედ დგება და ისე ტკბილად გალობს, რომ სასნაულებრივად ხიბლავს და აჯადოებს მსმენელს. შემდეგ ის იწყებს ფრთების ცემას, ხეს ცეცხლს უკიდებს და თავს იწვავს.

მე მათ ვკითხე მათი რწმენის შესახებ, და მიპასუხეს: "ჩვენ გვწამს ადამი".

ინდოეთში ცოლი გარდაცვლილი ქმრის დასაკრძალავ კოცონში ვარდება, და თუ ის ამას არ ჩაიდენს, მაშინ მას ცეცხლში ხალხი აგდებს.

იქ ისეთი ხვატია, რომ მახვილი ქარქაშში დნება, ძვირფასი ქვები კი ნახშირდება.

იქ არის უთავო ხალხი, რომელსაც თვალები მუცელზე აქვს.

იქ არის ხალხი, რომელიც ოთხზე დადის.

ინდოეთში არის დრაკონი, სახელად "ბასილისკო", რომლის სუნთქვაც ქვას ნაცარტუტად აქცევს. მას შეუძლია კუდით ნებისმიერი ცხოველი მოკლას, სპილოს

გარდა. ამბობენ, თუ ადამიანთან ბასილისკოს შეხვედრისას ურჩხული მას პირველი დაინახავს, ადამიანი მოკვდება, მაგრამ თუ ადამიანმა პირველმა ჰკიდა თვალი ბასილისკოს, მაშინ ურჩხული მოკვდება.

ინდოეთში, როცა მარგალიტის მოსაპოვებლად ყვინთავენ, თან ახლავთ ხოლმე ბრძენკაცები, რადგან თევზები იმ ადგილებში, სადაც მარგალიტია, ადამიანისთვის საშიშია, ბრძენკაცები კი თავიანთი ლოცვებით ნუსხავენ თევზებს.

იქ ისე ცივა, რომ წყალი კრისტალდება და ამ კრისტალებზე ნამდვილი ალმასები ჰყვავიან. და ეს ალმასები და კრისტალები ორთქლდებიან და მრავლდებიან და ციური ნამით საზრდოობენ.

ერთ დილით ტანად ძალიან მაღალი, თოვლივით თეთრნერვა კაცი გამოცხადდა ჩემს საცხოვრისში, წელამდე გაშიშველებულიყო, და მხოლოდ თოკით გაფსკვნილი მანტია მოსავდა მის მხრებს. ის ჩემს წინ ქვიშაზე დაემხო და მინას სამჯერ დაარტყა თავი. ჩემს შიშველ ფეხებს რომ მოჰკრა თვალი, სცადა დაეკოცნა, მაგრამ გავერიდე. და მაუწყა, რომ ზღვის კუნძულიდან მოსულიყო, რომ ორი წელი ყარიბობდა და რომ მე მეძებდა, ვინაიდან კერპებისადმი მისი თაყვანისცემა იმდენად გულწრფელი და სრულქმნილი იყო, რომ ღმერთი აუმეტყველდა, ჩემი სახე უჩვენა და უბრძანა მოვეძებნე, რათა მე ის ჭეშმარიტ გზაზე დამეყენებინა.

ქალები იქ ვერცხლის იარაღით იბრძვიან, რადგან მათ რკინა არ მოეპოვებათ.

იქ არიან ქალები, რომლებსაც მკერდზე ნვერები ეზრდებათ.

და ენახე ქვეყნის სიღრმეში ვენეციური დუკატები და ოქროს მონეტები, ჩვენს ფლორინს ორჯერ რომ აღემატებოდა.

ინდოეთში თმას არ იჭრიან არც ტანზე, არც სასქესო ორგანოებზე, რადგან მიიჩნევენ, რომ ამ თმის შეჭრა აძლიერებს ხორციელ ვნებებს და გარყვნილებას აღძრავს.

იქ არ ასაფლავებენ გარდაცვლილებს, არამედ შეაზელენ განსაკუთრებულ სანელებლებს, სვამენ სკამზე და ფარავენ ქსოვილით, და ყოველი ოჯახი თავის გარდაცვლილს ცალკე ამყოფებს. სხეული ძვლებამდე ხმება, და ეს გვამები ცოცხლებს ჰგვანან, და ყველას შეუძლია მათში თავიანთი მშობლების და ოჯახის წევრების მომაელის შეცნობა.

ინდოეთში, როცა გზას ადგანან, უყვართ, როცა მათ უკან ვინმე მოდის.

ყველა შემთხვევაში რჩევას ისინი ქალებს ეკითხებიან.

ინდოეთში წელიწადში ერთხელ ხომალდის ანძის მსგავს ლატანებს აღმართავენ

ხოლმე და მათზე თავიანთ ოქროთი მოქარგულ მშვენიერ სამოსს ჰფენენ. ყოველ ლატანზე ღვთაებრივი შესახედაობის ადამიანი ზის და ყველასთვის ლოცულობს. ხალხი მათ დამპალ ფორთოხალს, ლიმონს და სხვა აყროლებულ ნაყოფს ესვრის, მაგრამ წმინდა ადამიანები არ უნდა აიმღვრნენ.

ინდოეთში, ბავშვი რომ ჩნდება, განსაკუთრებული ყურადღება მამაკაცს ეთმობა, და არა - ქალს. ორი ბავშვიდან ისინი უპირატესობას უფროსს ანიჭებენ, რადგან ითვლება, რომ უფროსი თავის დაბადებას უმთავრესად ავხორცობას უნდა უმადლოდეს, ხოლო ამ ქვეყნად უმცროსის მოვლინება მომწიფებული გონებისა და აუჩქარებელი ქმნადობის შედეგია.

იქ არის ტომი ადამიანებისა, რომლებსაც ერთი უზარმაზარი ტერფი აქვთ, და როცა მათ შუადღის მზის ქვეშ დასვენება მოესურვებათ, ზურგზე წვებიან და ფეხს ქოლგასავით ანევენ ხოლმე. ისინი ჩინებულად დარბიან.

ინდოეთში გრძელ ფრჩხილებს უშვებენ, და ადამიანების სიდიადე უქმად ყოფნაშია.

იქ არიან პატარა ადამიანები, რომლებსაც პირის ნაცვლად სახეზე მხოლოდ პატარა ხვრელი აქვთ, და საჭმელს ჩალის ღერით ისრუტავენ.

ინდოეთში ნიგნის სახელნოდება ბოლოში იწერება.

და ვნახე ერთი წმინდა კაცთაგანი. ის იდგა შიშველი, მზისკენ სახემიპყრობილი, პანტერების ტყავით მოსილი, და გზა განეაგრძე. თექვსმეტი წლის მერე იმავე გზის გაელა მომიხდა, და ის ისევ იქ იდგა უძრავად.

იქ ისე ცხელოდა, რომ თევზი ცეცხლში ჩაგდებული აბრეშუმივით იწვოდა მდინარის ფსკერზე.

და ვნახე ამ მიწის ნაპირიდან შორს, ცაში, რაღაც ღრუბელივით დიდი, მაგრამ შავი და ღრუბლებზე უფრო სწრაფად მფრენი. ვიკითხე, რა უნდა ყოფილიყო, და მპასუხობდნენ, რომ ეს იყო დიადი ფრინველი როხი. მაგრამ ქარი ნაპირიდან ქროდა და როხი მასთან ერთად გაფრინდა, და უფრო ახლოს მისი ნახვა ვერ მოვახერხე.

ინდოეთის ფრინველები და მხეცები სრულიად განსხვავდებიან ჩვენი ფრინველებისგან და მხეცებისგან, ერთადერთი გამონაკლისია მწყერი.

> ყველა ნარმოდგენა და ენიდან ცოტა რამ აღებულია 1492 წლამდე 500 წლის წინათ დანერილი ნაშრომებიდან. ინდოეთი, რა თქმა უნდა, ის ქვეყანაა, საითაც მიემართებოდა კოლუმბი, როგორც თვითონ ეგონა. ამ პირველი მოგზაურობისა და 1498 წელს მალაბარის სანაპიროზე ვასკო და გამას გადასვლის მერე ინდოეთზე ნარმოდგენები უფრო სრულყოფილი გახდა.

ლურჯი სიხარული

რუხი
ციდან
კაშკაშა ლურჯი ჩიტი
მენვია.
დასკუპდა ჩემი ფანჯრის რაფაზე
და ერთი ნამით - არა უმეტეს
დროის ბრუნვაში მზის სხივისა -
ერთურთს ვუცქერდით.

მერე გაშალა ლურჯი ფრთები და
სირუხისკენ უკუიქცა ფარფატ-ფარფატით.

თმა დავივარცხნე.
გავიხეხე კბილი.
ჩავიცვი.
ვჭამე ჩემი დილის ლიმონი
და გაეემართე სამსახურისკენ.

და როცა რუხი
იქცა ყვითლად,
ყვითელი კი რბილ, სქელ
ყავისფრად, მოეხიკე
ჩემი ნივთები და შინ გამოვქანდი,
რათა მენახა, საღამო ხანს
ისევ ხომ არ დაბრუნდა მეთქი.

რატომ?
ვერ ვიტყვი.
იქნებ, აქამდე შეიძლება მიიყვანოს
სიმარტოვემ ადამიანი.

მშვიდად სარკეში

მშვიდად სარკეში, როგორც დარტყმას,
შენ გრძნობ, ვინცა ხარ
მეგობრებით, ოჯახით, ფულით, ამ ყველაფრით... და არავინ
დაგიჭერს ხელს, დაგიკოცნის ტუჩებს, დაგიწერს ლექსს.
შენ გჭირდება სიყვარული. უნდა გაგაჩნდეს - მწუხარება იწვის
შენში... და ახლა, სად არის ეს?
ეს? ო, შენ ხედავ ანთებულ შენს სხეულს - მანათობელი თვალებით,
ფართო ღიმილით. და ყველაფერი ასე გრძელდება - სანამ მეტი აღარ
შეგეძლება.
მაგრამ შეგიძლია. მეტი, მეტი და მეტი. სანამ ერთ დღეს
შენს თავს არ ეტყვი: "აი, ეს კი დასასრულია".
დროა, გრძნობები გაამჟღავნო - იკიელო, იყვირო, ფეხები აბრახუნო.
მაგრამ თავს იკავებ, სიგიჟესთან ახლოს.
გარბიხარ კინოში, სეირნობ პარკში, ხალხში.
ზიხარ... უყურებ... კვდები...
გეიმედება მარადიული ლოცვის - ულევი ოცნების.

მერე, ვიღაცის მკლავებში
პოულობ კოცნას, ალერსს, ჩურჩულს

- ყველაფერს

და, მერე, აღმოაჩენ:
რომ შენ არასდროს გყვარებია. არასდროს გიგრძვნია.
შენ დიდი ხნის წინ გარდაიცვალე.

მზიანი დღე

ორი მხარეა ჩემში. ერთი,
როგორც ვხედავ, დადებითია,
და ის მრავლდება. და ეს ჩემი ის ნაწილია,
ყვავილებს რომ ქმნის. არის მეორეც,
უარყოფითი, რომელიც აკლებს. რომელიც
ცელავს. ეს არის ჩემი ორი მხარე, და ცელის მხარე
ერთობ ხშირად იმარჯვებს ხოლმე. უარყოფითი
ფიქრი ჩნდება, ეპარება ყვავილს. მე კი როგორ მოვიქცე?
დავჯდე, ვუყურო, როგორ მიხმობს ყანას

თუ ბრძოლა გამოვუცხადო? ვინ მიშველის?
ეკიმი? ღმერთი? ჩემივე თავი? ეს შეჯახება და ეს ბრძოლა
მაშფოთებს? შიშს მგერის? ჰოდა, როგორ მოვიქცე მეთქი?
ღმერთისკენ სახეს მივაბრუნებ, ასე მოვიქცე? ღმერთისკენ
ჩენში... ღმერთისკენ მიღმა?
აი, ასე მოვიქცევი!
ვერ გაიმარჯვებს ცელი, არსებობს ყვავილების
დადებითი, ძლიერი ველი,
მე უნდა ვიყო კეთილი და უნდა ვინებო, შემოვბრუნდე
და შევიყვარო ჩემივე თავი.

უცნობი ავტორი -"სიცოცხლით დაღლილი კაცის საუბარი საკუთარ სულთან" ჩვენამდე მოღწეული ძველი ეგვიპტური მწერლობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია და შექმნილია ჩვ. წ. აღ.-მდე 1900 წელს. იგი დაწერილია პაპირუს-პალიმფსესტზე. 1843 წელს ეს პაპირუსი გერმანელმა ეგვიპტოლოგმა და ენათმეცნიერმა კარლ რიხარდ ლეპსიუსმა შეიძინა ეგვიპტეში და 1859 წელს გამოაქვეყნა. ტექსტი არასრულია, აკლია დასაწყისი და უცნობია მისი შექმნის კონკრეტული მოტივები. ზოგადად კი, მეცნიერთა აზრით, მასში იმ პერიოდის ინტელექტუალთა ფენისთვის დამახასიათებელი ღრმა სულიერი კრიზისი და ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მორალური ატმოსფეროა ასახული. სული ანუ ბა, როგორც მას ძველი ეგვიპტელები უწოდებდნენ, წარმოადგენს საერთოდ სულიერის ერთ-ერთ და არა ერთადერთ ასპექტს. ეგვიპტელების წარმოდგენით, ადამიანის სულიერი ნაწილი, სამი ასეთი სულისგან შედგებოდა (კა, ბა, ახ). მიუხედავად ხორციელ ნაწილთან მათი მჭიდრო კავშირისა, მათ შეეძლოთ სხვადასხვა ეტაპზე ხორცის დატოვება და მისგან დამოუკიდებლად მოქმედება. ბა ამ სულებს შორის განსაკუთრებულად მიიჩნეოდა. ეგვიპტელებს იგი ფრინველის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, რომელიც მხოლოდ ადამიანის გარდაცვალების მერე ტოვებდა მის ხორცს და ცაში ადიოდა. ანუ, მისი ჭეშმარიტი დაბადება და გათავისუფლება ემთხვეოდა ადამიანის გარდაცვალებას (მიუხედავად იმისა, რომ იგი ცოცხალი ადამიანის სხეულში იშვებოდა). დიდი ხნის განმავლობაში ეგვიპტელები მიიჩნევდნენ, რომ ბა მხოლოდ მეფეებს გააჩნდათ. ღმერთებს კი გააჩნდათ არა ერთი, არამედ რამდენიმე ბა. ჩვ. წ. აღ.-მდე მე-3 საუკუნიდან ბა კარგავს ამ "პრივილეგიას" და მას უკვე რიგითი ადამიანებიც "ფლობენ". წინამდებარე ტექსტშიც ბა სიკვდილის პერსონიფიკაციაა, რომელიც – და ეს ამ ტექსტს უნიკალურ პოეტურ გამომსახველობას ანიჭებს – იცავს სიცოცხლეს და მოსაუბრეს იმ სიძნელეებზე მიუთითებს, რომელიც მას სიკვდილის სამეფოში ელის; ასევე განადიდებს რე-ს ანუ მზის ღმერთის სიდიადეს.
ტექსტი დაცულია ბერლინის ეგვიპტური მუზეუმის კოლექციაში და ცნობილია, როგორც იეროგლიფური პაპირუსი 3024. არსებობს მისი მრავალი თარგმანი გერმანულ ენაზე. წინამდებარე ქართული თარგანი მომზადებულია გერმანელი ეგვიპტოლოგის, პოეტისა და პოლიგლოტის ვოლფგანგ ბრუნშის მიერ შესრულებული უახლესი გერმანული თარგმანიდან, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა. ქართულ თარგმანში შენარჩუნებულია ტექსტის გერმანული თარგმანის სტრუქტურა. ჩვენს მიერ იგი თარგმნილია ვოლფგანგ ბრუნშის თავაზიანი ნებართვით (19.10.2008).

ძია ი - ხანის ეპოქა (202 წელი ჩვ. წ. აღ.-მდე – 220 წელი ახ. წ.აღ.-ით) ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერიოდია ჩინეთის ისტორიაში. ესაა გარდამავალი პერიოდი, რაც აისახა არა მხოლოდ საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში (სოციალური პროცესების დინამიკა, ეკონომიურ და პოლიტიკურ ღონისძიებათა ფორმები, სახელმწიფოს მართვის მეთოდები და სხვ.), არამედ

– კულტურის განვითარებაშიც. ამ დროისთვის ჩინეთში უკვე ტრადიციით განმტკიცებული დაოსიზმისა და კონფუციანიზმის გვერდით ფეხს იკიდებდა ინდოეთიდან შემოსული ბუდიზმი. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მიმდინარეობას შორის კამათი არც ამ ეპოქისთვის იყო უცხო, მას აღარ ჰქონდა ისეთი მწვავე ხასიათი, როგორც – ადრეულ ეპოქებში. ხანის ეპოქა სწორედ იმითაა სპეციფიკური, რომ ამ დროისთვის უკვე მკაფიოდ იკვეთება ის ზეგავლენა, რაც ერთმანეთის მხრივ განიცადეს განსხვავებულმა ფილოსოფიურ-რელიგიურმა მიმდინარეობებმა საუკუნეთა განმავლობაში. ხანის ეპოქაში საზოგადოებრივი ცხოვრების სირთულე განაპირობებდა იმასაც, რომ სოციალური და სახელმწიფოებრივი პრობლემები ამ დროის ნებისმიერი ფილოსოფოსის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. მრავალი მათგანის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული სასახლის კართან. ამ ეპოქაში ცხოვრობდა ძია ი (201-169), რომლის ერუდიციამ და ლიტერატურულმა ტალანტმა ადრე მიიქცია მის თანამედროვეთა ყურადღება. ოცი წლის ძია ი უკვე იმპერატორის სასახლის კარზე იქნა მიღებული. მალე ბოშის ნოდება უბოძეს, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს საუკეთესო მოღვაწეებს ენიჭებოდათ. მოშურნეებმა მოახერხეს ის, რომ ძია ი სასახლიდან განედევნათ. იგი გაგზავნილ იქნა ჩანშაში, ამ მხარის ბატონის მოძღვრად; ფაქტობრივად, ეს იყო გადასახლება. სწორედ ჩანშაში შექმნა ძია იმ თავისი სახელგანთქმული "ოდა ბუსადმი", დაოსისტური იდეებით განმსჭვალული ფილოსოფიური ლექსი. გადასახლებიდან ხუთი წლის შემდეგ ძია ი ისევ დაებრუნეს სასახლეში და იმპერატორის ვაჟიშვილის აღმზრდელად დანიშნეს. გარდაიცვალა 32 წლის ასაკში, თავისი აღსაზრდელის ტრაგიკულად დაღუპვიდან მცირე დროის მერე, სწორედ ამ უკანასკნელის გამო დარდს გადაჰყვა.

თარგმანი შესრულებულია ნიგნიდან "ძველი ჩინური ფილოსოფია. ხანის ეპოქა"(რუსულ ენაზე). მოსკოვი, 1990. აქედანვეა, ძირითადად, ამოღებული საკომენტარო მასალაც.

1. პირველი ჩინური განმარტებითი ლექსიკონის - "ერ ია" - მიხედვით, ასე იწოდებოდა ის წელინადი, როცა პლანეტა სუისინი (იუპიტერი) იმყოფებოდა მაოს თანავარსკვლავედში (თორმეტ ზოდიაქალურ თანავარსკვლავედთაგან რიგით მეოთხეში). ჩინელი ავტორები თვლიან, რომ მნათობთა მითითებული განლაგება მოდიოდა ხანის იმპერატორის ვენ-დენის ბატონობის მეშვიდე წელზე, ე. ი. ეს იყო ჩვ. წ. აღ.-მდე 173 წელს.
2. ძველი ჩინელების რწმენით, გული ზემგრძნობელობით შემეცნების უნარს ფლობდა; მას, სამყაროულ სულიერებაში გახსნილს, შეეძლო ტრანსცენდენტურად შეერთებოდა ნებისმიერ არსებულს; შესაძლებლად მიაჩნდათ აზრის გადაცემაც გულიდან გულში.
3. ცი, ამ შემთხვევაში, სულიერი საწყისის გამომხატველია. ხანის პერიოდის ჩინეთში არსებობდა აზრი, რომ ნივთები სულიერი ცინის წარმონაქმნები არიან. მაგალითად, ხანის ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოაზროვნე ვან ჩუნი ნერდა: "ადამიანი წარმოიშობა სულიერი ეთერისგან (შენ ცი) და გარდაცვალების შემდეგ მასვე უბრუნდება... ეთერი ისევე წარმოშობს ადამიანს, როგორც წყალი – ყინულს. გამყარებული წყალი ყინულად იქცევა, შესქელებუ-

ლი სული – ადამიანად. გამდნარი ყინული ისევ წყლად გარდაიქმნება, ხოლო ადამიანი – სულად". ესაა სწორედ ხილულ და უხილავ ფორმათა ის მონაცვლეობა, რომელიც მხედველობაში აქვს ძია ის.

4. ავტორს მხედველობაში აქვს სამხრეთ ჩინეთის ორი უძლიერესი სამეფოს – უსა და იუეს – შორის არსებული მრავალწლიანი მტრობა. უს მეფემ ხე-ლიუიმ (514-496 ჩვ. წ.აღ.-მდე) შეიტყო თუ არა, რომ გარდაიცვალა მისი ძველი მტერი, იუეს მეფე იუნ ჩინი, თავს დაესხა მის სამეფოს, მაგრამ ბრძოლაში დაიჭრა და სული განუტევა. სიკვდილის წინ თავის მემკვიდრეს – ფუ ჩას – დაუბარა, შური იძიე აუცილებლად იუეზეო. სამი წლის შემდეგ იუეს ახალ მეფეს გოუ ძიანს (496-465 ჩვ. წ. აღ.-მდე) აცნობეს, რომ ფუ-ჩა შურისძიებისთვის ემზადებოდა, და გადაწყვიტა თავად გადასულიყო შეტევაზე. მან არ უსმინა თავის ბრძენ მრჩეველს ფან ლის, ფუ-ჩას წინააღმდეგ ჯარი დაძრა, მაგრამ ამ უკანასკნელის განვრთნილმა არმიამ გოუ ძიანი სასტიკად დაამარცხა. ამის მერე გოუ ძიანი იძულებული იყო, მონყალება ეთხოვა ფუ-ჩასთვის, რათა მეფობა შეენარჩუნებინა; მაგრამ რამდენიმე ხნის მერე გოუ ძიანმა ისარგებლა ფუ-ჩას უყურადღებობით და დაამარცხა იგი.

5. ლი სი (280-208 ჩვ. წ. აღ.-მდე), ჩუს სამეფოს მკვიდრი, დიდი ჩინელი მოაზროვნის სიუნ-ძის მონაფე; იგი დიდხანს ეძებდა ადგილს, სადაც თავისი ტალანტის სრულად გამომჟღავნებისთვის შესაფერის საქმეს მოძებნიდა, და ამ ძიებამ ცინის სამეფოში მიიყვანა. აქ იგი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და მალე ცინის იმპერიის პირველი მრჩევლის ტიტული მიიღო. ლი სის სახელთანაა დაკავშირებული იმპერიის განმტკიცება, ადმინისტრაციული რეფორმები, უმკაცრესი კანონების შემოღება, წიგნების დაწვა და აკრძალვა და სხვ. მაგრამ როცა ტახტზე ახალი იმპერატორი ავიდა, ლი სის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა: მოხუცი მინისტრი დილეგში ჩააგდეს და შემდეგ დედაქალაქის ბაზრის მოედანზე საჯაროდ ანამეს. მასთან ერთად ანამეს მისი ვაჟიშვილიც. "ხუთი სასჯელი" – ეს იყო წამების ხუთი ყველაზე საშინელი ფორმა, რაც სიკვდილით დასჯასაც გულისხმობდა. უმთავრესად ეს იყო შუბლის დაშანთვა, ცხვირის მოჭრა, ფეხების მოკვეთა, თვალების დათხრა, გვარის განადგურება და მოკვდინება (ყველა ნამების შემდეგ ლი სი შუაზე გაკვეთეს).

6. ლეგენდის თანახმად, ინის ბრძენ მეფეს უ-დინს სიზმრად გამოეცხადა ვინმე იუე, რომელსაც შემდგომ ბეჯითად ეძიებდა სასხლის კარზე. როცა ასეთი კაცი სასახლეში ვერ აღმოაჩინა, მეფემ მისი ძებნა დაიწყო მთელ თავის სამფლობელოში და ბოლოს მიაგნო კიდეც იუეს სადღაც მთებში, კატორღელთა შორის. სიზმრის ჭეშმარიტებაში დარწმუნებულმა, იუე თავის პირველ მრჩევლად აქცია, და არც გაბნილებულა. მოგვიანებით, იმ ადგილის მიხედვით, სადაც იუეს მიაგნეს, იგი ფუ იუედ მონათლეს.

7. იგულისხმება, რომ როცა წყლები მომწყდარი დინებით დიან, მინა ვერ ასწრებს დარწყულებას.

8. თუნის დიდი ნრე – დაოს, გზის სინონიმია.

9. დაო ამგვარადაა დახასიათებული ხანის ეპოქის ჩინურ ტექსტებში: უმაღლესი მორალის პრინციპი; გზა ჭეშმარიტი; უმთავრესი პრინციპები; ადამიანური მოქმედების ზნეობრივი კანონი; შინაგანი თანხმობის ბუნებრივი კანონი და სხვ.

10. ჩინური კოსმოგონიის მიხედვით, ინი და იანი ორი სახის ეთერია, ნარმოშობილი ერთიანი ეთერის (ცი) გაყოფის გზით. ცი ავსებდა სიცარიელეარყოფნას. ინი (იგივე ინ-ცი) ხასიათდება, როგორც მღვრიე და ცივი, ხოლო იანი (იგივე იან-ცი) – როგორც ნათელი და თბილი საწყისი. პირველმა, მძიმემ და ქვედაშვებულმა, წარმოქმნა მიწა, მეორემ – მსუბუქმა, წარმოშვა ცა. შესაქმის შემდეგი ეტაპი იყო ინისა და იანის ერთმანეთთან შეჯახება და შეერთება, რის შედეგადაც წარმოიქმნა ჰარმონიული ეთერი (ხე-ცი) და გაჩნდნენ ნივთები. ამის მერე კოსმოსი სხვა არაფერია, თუ არა ამ ორი ელემენტის ბრძოლა და ურთიერთდაპირისპირება, რომლის დროსაც დგინდება ყოველი არსებული.
11. დე ასე ხასიათდება ხანის ეპოქის ჩინურ ტექსტებში: სათნოება; სათნოებები; უმაღლესი სათნოება; კეთილი ძალა; მადლიერება; ჭეშმარიტი სიკეთე; სამყაროს მომწესრიგებელი სათნოება და სხვ.

გოძან ბუნგაკუს პოეზია. გოძან ბუნგაკუ ანუ ხუთი მონასტრის ლიტერატურა დასაბამს მე-14 საუკუნის დასაწყისში იღებს და იგი ჩინურენოვან იაპონურ ტექსტებს აერთიანებს. 1299 წელს ჩინეთიდან იაპონიაში დიპლომატიური მისიით მიავლინეს ჩან-ბუდისტი ბერი იშან ინინი, რომელიც სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, მსახურობდა კამაკურას სხვადასხვა მონასტერში, 1313 წლიდან კი კიოტოს ნანძენ-ძის მონასტრის წინამძღვარი გახდა. 1317 წელს მან, ძლიერი ტკივილებით განამებულმა, თავი მოიკლა. გარდაცვალების მერე იაპონიის საიმპერატორო კარმა იგი „სახელმწიფოს მოძღვრის" ტიტულით დააჯილდოვა. სწორედ მისი მონაფეების მიერ არის შექმნილი პოეზია, რომელიც იაპონიაში ჩინურენოვანი მედიტაციური ლირიკის გვირგვინად არის მიჩნეული. იშან ინინის, ისევე, როგორც მთლიანად გოძან ბუნგაკუს შემოქმედება რელიგიისგან დამოუკიდებელი ხელოვნების იდეას, მის ავტონომიურ ესთეტიკურ ღირებულებას იცავდა. ამ ესთეტიკამ არსებითად განსაზღვრა მომდევნო ეპოქების იაპონური ლიტერატურის შინაგანი მიმართულება. ხუთი მონასტრის ლიტერატურა, გარდა პოეზიისა, მოიცავდა მხატვრულ პროზას, ლექსიკონებს, ენციკლოპედიური და განმარტებითი ხასიათის წიგნებს. წინამდებარე პუბლიკაცია ქართველ მკითხველს აცნობს გოძან ბუნგაკუს ყველა მნიშვნელოვანი პოეტის ლექსებს იმ თანმიმდევრობით, რომლითაც ისინი საილუსტრაციო მასალის სახით არის წარმოდგენილი ან განსვენებული რუსი მეცნიერის და მთარგმნელის ალექსანდრე კაბანოვის სტატიაში: „ადამიანი და ბუნება გოძან ბუნგაკუს პოეზიაში" (წიგნში: *Человек и мир в японской культуре. М.: Наука, 1985*). აქვე უნდა განიმარტოს წინამდებარე პუბლიკაციის, როგორც ლიტერა-ტურული აქციის, შინაარსიც: ამ ტექსტების უმრავლესობა 1994 წელს გა-მოცემულ ჩემს მეოთხე პოეტურ კრებულში („გამგზავრებამდე ერთი წუთით ან ერთი ცხოვრებით ადრე") შესული ერთი ლექსის – „მთის მონასტერი" – ინტერტექსტია. ეს უკანასკნელი კი, დაწერიდან არც თუ დიდი ხნის მერე, ბევრი გარემოების გათვალისწინებით, ჩემს ბიოგრაფიაში ნინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

[1] იგულისხმება უძველესი ჩინური ლეგენდა ჯადოსნურ ყურთბალიშზე, რომელზე თავმიდებულმა და მიძინებულმა მგზავრმა, ვიდრე მისი ფეტვი

მოიხარშებოდა, სიზმრად მთელი ორმოცი ნელი იცხოვრა, ყველა ზიგზაგით, სოციალურ კიბეზე აღზევებით და დაცემით.
[2]დუნლინსი – მონასტერი ლუშანის მთაზე, ძიანსის პროვინციაში.
[3]პენლაის მთა – ჩინური მითოლოგიის მიხედვით, ზღვა-ოკეანეში მდებარე სამი წმინდა მთა-კუნძულიდან ერთ-ერთი. პენლაი აღმოსავლეთის ზღვაში დაცურავს და მასზე უკვდავი სულები ბინადრობენ; სამივე ეს მთა-კუნძული ღრუბლებით არის გარემოცული და როცა ადამიანების სიახლოვეს იგრძნობენ, ისინი ნყალქვეშ უჩინარდებიან.
[4]„ექვსი დინასტიის" პერიოდი – V-VI საუკუნეები, როცა ძინლინი (თანამედროვე ნანკინი) აყვავებული დედაქალაქი იყო.
[5]სიანიანი – ცინის იმპერიის დედაქალაქი, ჩვ. წ. აღ.-მდე მე-3 ს.-ში), რომელიც მხედართმთავარმა სიან იუმ ააოხრა.
[6]სიაგაცუ (სანსკტიტზე „საგარა", ოკეანე). თაყვანს სცემდნენ, როგორც წვიმის ღმერთს და რვა მეფე-დრაკონს შორის ერთ-ერთ უდიადესს.
[7]ექვსი ცა – ბუდისტურ კოსმოლოგიაში, ერთმანეთის თანმიმდევრულად შრიულად განთავსებული ექვსი ციური სამყარო; ყოველ მათგანში დრო განსხვავებულად მიედინება.

ულრიხ ცვინგლი (1484-1531) - შვაიცელი თეოლოგი და რეფორმატორი, ევროპული რეფორმაციის საკვანძო ფიგურა ლუთერთან და კალვინთან ერთად. ტექსტი დანერილია 1520-1525 წლებს შორის, ციურიხში შავი ჭირის მძვინვარების პერიოდში. ცვინგლი დაავადდა, მაგრამ განიკურნა და სიკვდილს გადაურჩა. ლექსში სწორედ ამ მოვლენით გამონვეული მისი სულიერი გამოცდილებაა ასახული. ლექსში ნახსენები "ყოფის შუაგული" გულისხმობს ავტორის ცხოვრების მე-40 წელს. 90-ე ფსალმუნის მიხედვით, ეს ასაკი ცხოვრების შუაგულია.

ანდრე ბრეტონი (1896-1966). ფრანგი პოეტი და სიურრეალიზმის იდეოლოგი. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, ფაქტობრივად, სიურრეალიზმის ჩასახვის, განვითარებისა და პოსტმოდერნულ სტრატეგიებში მისი არაერთგვაროვანი განლერის ისტორიაა. ეს ისტორია წარმოუდგენელია სამართლიანობისთვის უკომპრომისო ბრძოლის, მუდმივი ჯანყის, ანარქისტული სულისკვეთების გარეშე. სიურრეალისტური მოძრაობა არ ყოფილა მხოლოდ თეორიული და ესთეტიკური მანიფესტაციების მარში, იგი თავიდანვე პრაქტიკული, ყოფითი ცნობიერების შეცვლას ისახავდა მიზნად. ამ მოძრაობამ შექმნა ადამიანური არსებობის დრამატული პოეტიკა, სრულიად განსხვავებული ადრეული რევოლუციური პოეტიკებისგან. რაც შეეხება "ავტომატური წერის" სახელგანთქმულ მეთოდს, ბრეტონმა და მისმა თანამოაზრეებმა იგი შეიმუშავეს არა მხოლოდ როგორც ესთეტიკური ხერხი, არამედ როგორც — ინსტრუმენტი საერთოდ "საღი" აზრის, რაციონალური, განონასწორებული, ლოგიკური ოპერაციონალიზმის წინააღმდეგ. ასეთ ორიენტაციას ხელს უწყობდა თვით ბრეტონის სამედიცინო ინტერესები და ფსიქიატრიულ კლინიკებში მუშაობის ხანგრძლივი პრაქტიკა, ფროიდის შრომების შესნავლა და ე. წ. არაჯანმრთელი, დარღვეული ფსიქიკის სიღრმებში რაღაც ზედმიწევნით ჯანსაღის დაცვის

პოლიტიკა. 1922 წელს ბრეტონი პირადად გაეცნო ფროიდს, და ამის მერე ფსიქიკურ ავტომატიზმს საბოლოოდ დაუმკვიდრა ძირითადი მაკონსტრუირებელი პრინციპის როლი სიურრეალისტურ ესთეტიკაში. პარალელურად მიმდინარეობდა პერმანენტული სოციალური ჯანყი. განსაკუთრებული მეტაფორა შექმნა 1925 წლის აპრილის აქციამ: სიურრეალისტებმა წერილები დაუგზავნეს სულით ავადმყოფთა სამკურნალო დანესებულებების მთავარ ექიმებს; მიმართვაში სულით ავადმყოფები ცხადდებოდნენ "სოციალური დიქტატურის მსხვერპლად". სიურრეალისტები მოითხოვდნენ მათ გათავისუფლებას "ინდივიდუალობის სახელით, რაც ადამიანის არსია". ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყველა ინდივიდუალური აქტი ანტისოციალურია და "მე" სხვა არაფერია, თუ არა სინონიმი თავისუფლების, რაც ადექვატურია შეშლილობის, შეშლილობა კი გონებისგან თავისუფლებაა, თავისუფლება, რომელიც ითრგუნება საზოგადოების რეპრესიული ღონისძიებებით. 1930 წელს ბრეტონმა და ელუარმა გამოსცეს უნიკალური ნიგნი "უმანკო ჩასახვა", რომელშიც თანმიმდევრულადაა გატარებული ფსიქიკური ავტომატიზმის იდეა: ნაცადია შეშლილთა ბოდვების კონსტრუირება. 1935 წელს ბრეტონი ტროვების კომპარტიას, 1938 წელს დ. რივერასთან და ლ. ტროცკისთან ერთად აარსებს "რევოლუციური ხელოვნების საერთაშორისო ფედერაციას". 1941 წელს, "შავი იუმორის ანთოლოგიის" აკრძალვის მერე, ბრეტონი ემიგრირებს აშშ-ში, სადაც ახალ ჟურნალს აარსებს. 1945 წელს მოინახულებს ინდიელთა რეზერვაციებს არიზონასა და ნიუ-მექსიკოში. მისი ორგანიზაციით ეწყობა კონფერენცია "სიურრეალიზმი და ჰაიტი", მიძღვნილი ჰაიტის მოსახლეობის უმძიმესი მდგომარეობისადმი. 1946 წელს იგი ბრუნდება პარიზში; ეკამათება კამიუს, რომელიც უკვე მემარჯვენე პოზიციებს იცავს; აკრიტიკებს სოცრეალიზმს, მსჯელობს უნგრეთის მოვლენებზე, ინტელექტუალების კომიტეტთან ერთად იბრძვის ჩრდილოეთ აფრიკაში ომის გაგრძელების წინააღმდეგ(1956 წ.), ხელს აწერს ალჟირის სამხედრო სამსახურში ყოფნის უარმყოფელთა უფლებების დეკლარაციას(1960 წ.), აარსებს ახალ ჟურნალს, ხელახლა სცემს "შავი იუმორის ანთოლოგიას". აქვე უნდა აღინიშნოს თვით სიურრეალიზმის შიგნით მიმდინარე ბრძოლების შესახებ. სიურრეალიზმის რამდენიმე ძლიერი ფრთა არსებობდა ევროპაში და ყველა თავისებურად განმარტავდა ამ მოძრაობის არსს, შესაბამისად კი — ყველა თავის პოზიციას იცავდა, რამაც ბრეტონის მამამთავრობა მალე აქცია ისტორიულ ნარსულად. მას დაუცხრომელი ოპონენტები გამოუჩნდნენ ექსსიურრეალისტების მხრიდანაც(მათ შორის იყო, მაგალითად, ჟორჟ ბატაი, ომამდელი და ომისშემდგომი ფრანგი ინტელექტუალების ერთ-ერთი ავტორიტეტი). რაც შეეხება ბრეტონის პოეზიას, მისი თითოეული ტექსტი წარმოადგენს სიტყვების შორის და ასოციაციებს შორის მოულოდნელი შეხვედრების ველს, სადაც შემთხვევითობა მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ დაიცვას კანონზომიერება, რომელიც ობიექტურად რეალურს ხდის ყველაფერს, რაც შეხვედრამდე არარეალური შეიძლებოდა ყოფილიყო. ლექსი ბრეტონისთვის დასაშვების, აბსოლუტური თავისუფლების სამყაროა; იგი, მეორეს მხრივ, სოციალურ ყოფაში მოძრავი ადამიანის ერთადერთი იდეალური ორიენტაციაცაა. ეს არაა მხოლოდ სიტყვების, ხატების, ნარმოსახვების უჩვეულო კომბინაციები, ესაა არაცნობიერის აპოლიტიკურ საუფლოში

მიმდინარე პროცესების "დანახვისა" და "დაფიქსირების" მცდელობის ხელოვნება.

რაიმონ კენო (1903-1976) - ფრანგი პოეტი, მწერალი და თეორეტიკოსი, სიურრეალისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი და ექსპერიმენტული ლიტერატურის ერთ-ერთი პიონერი საფრანგეთში; პოსტმოდერნული ესთეტიკის ერთ-ერთი წინამორბედი.

მიშელ ბიუტორი (დ. 1926) - ფრანგი მწერალი და ლიტერატურის თეორეტიკოსი, "ახალი რომანის" ერთ-ერთი ლიდერი. 50-60-იანი წლების ფრანგულმა "ახალმა რომანმა" და "ახალმა ახალმა რომანმა" დიდი გავლენა იქონია თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ფორმირებაზე და დაამუშავა როგორც სამწერლო, ისე ზოგადად კულტურის ენისადმი მიდგომის ახალი, სისტემური წესები. ლიტერატურული სტრუქტურალიზმის მამამთავრის, როლან ბარტის თქმით, თუ წინა თაობის წარმომადგენლებს (სიურრეალისტებს და მათ ეპიგონებს) საქმე ჰქონდათ ენის აზრობრივ სისტემასთან და მოახერხეს კიდეც დენოტაციის ანუ საგანთა სამყაროს მნიშვნელობის, ობიექტურობის კრიზისის გამოწვევა, ახალი თაობის ლიტერატორებმა – კეიროლმა, რობგრიემ, კლოდ სიმონმა, ბიუტორმა და სოლერსმა – ეს კრიზისი გადალახეს და ყურადღება მიაპყრეს კომუნიკაციის მეორად პროცესებს, რომლებიც ლიტერატურის ენაშია ჩადებული. ამან გამოიწვია ენისადმი ცალსახა ("დადებითი" ან "უარყოფითი") მიდგომის გაუქმება და უფრო გლობალური ხედვის ჩამოყალიბება. ბიუტორს ბევრი რამ ჰქონდა სადავო და საკამათო "ახალი რომანის" სხვა წარმომადგენლებთან; მას არ დაუყვანია ლიტერატურული ენა ისეთ აღმნიშვნელამდე, რომლის მიღმაც აღნიშნული გაქრებოდა, კულტურის ფართო კონტექსტთან მიმართებაში კი მისი "ერეტიკულობა" სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა კულტურული მემკვიდრეობისადმი ერთგულებას, კულტურული მარაგისადმი ნდობას. ამის საპირისპიროდ, ახალი რომანისტებისთვის ტიპიური იყო სხვა ავტორიტეტის, რიკარდუს განცხადება, მე კულტურის მიმართ ირონიული ასოციაციები უფრო მაქვსო. ბიუტორისთვის სიტყვების, ენის სისტემებისა და ლიტერატურული სისტემების მიღმა რაღაც სხვა, პარადიგმატული რეალობაა საცნაური, რომელიც ისევ და ისევ ამ სისტემების არსებობის გასამართლებლადაა მოწოდებული. მიუხედავად იმისა, რომ ბიუტორმა სახელი გაითქვა როგორც რომანისტმა, იგი თავის თავს ყოველთვის პოეზიის ტრადიციაში აცნობიერებდა. მისი აზრით, პროზა უნდა ცდილობდეს პოეზიის და ფერნერის ენის საკუთარ ენად ტრანსფორმირებას. პოეზიის ენა კი ორგანულადაა დაკავშირებული მუსიკასთან, რაც უმნიშვნელოვანესია ლიტერატურაში დროისა და სივრცის ცნებების გააზრებისთვის. მუსიკისთვის ახალი მისიის მიმნიჭებელ და, აქედან გამომდინარე, ახალი ენისკენ გზისგამკვალავ პოეტად ბიუტორმა მალარმე მიიჩნია, თუმცა აქაც თავისი მიზნები გამომიჯნა და მალარმესგან განსხვავებით დააზუსტა, რომ მუსიკა მისთვის, სიღრმისეული გაგებით, სწორედაც რეალისტური ხელოვნებაა. ლიტერატურის ენა, მისი თქმით, გარესამყაროს რეალობაში ჩაღრმავებული და მისი გარდამქმნელი ფენომენია; ენა გარემომცველ რეალობას საშუალებას აძლევს თავისი თავი

მოიაზროს როგორც მთლიანი; ერთადერთი რეალობა მხოლოდ მთლიანობა შეიძლება იყოს, სნორედ ასეთი მთლიანობაა ხელოვნება. თავისი ნანარმოებები ავტორმა დაახასიათა როგორც "აზრის სივრცე". ამ განაცხადში მკაფიოდაა ფორმულირებული მისი მთავარი პრინციპი, - ნებისმიერი შინაარსისთვის ფორმისმიერი ველის შექმნა, რაც ერთი შეხედვით ირეალური, სინამდვილეში კი ჭეშმარიტად რეალური მნიშვნელობის გაცოცხლებას, სიტყვის დაბადებას და ტექსტის სახით ყველაზე უფრო რეალური რეალობის გაჩენას ხდის შესაძლებელს. სიტყვა ბიუტორისთვის რეალობის მაორგანიზებელი და მაფორმირებელი ძირითადი საშუალებაა. მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობისადმი მიმართება ავტორმა ასე გამოთქვა, - ჩვენ ვიმყოფებით გიგანტურ ბიბლიოთეკაში, და ჩვენს ირგვლივ რეალური თითქოს მხოლოდ წიგნებიაო. ეს წიგნები მისთვის წარმოადგენენ იმ სარკეებს, რომლებიც ერთმანეთს ირეკლავენ და არა ცხოვრების პირველსაწყისს, რომელიც ყოველთვის ტრანსცენდენტური იქნება ადამიანისთვის, მაგრამ საიდანაც ყოველთვის მიიღებს მაცოცხლებელ ძალებს ეს სარკეების კულტურა. მწერალმა ასეთი კითხვაც კი დასვა, - ძალიან ბევრი შედევრია უკვე შექმნილი ფრანგულ ლიტერატურაში და რა საჭიროა ამ უზარმაზარ მასას, რომლის მხოლოდ უმცირეს ნაწილსაც ვიცნობთ, ახალი სახელები დაეუმატოთო. ბიუტორმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა არარსებული რომანის შექმნაზე, 60-იანი წლების დასაწყისისთვის საერთოდ შეწყვიტა რომანების წერა. "შემხვედრი ნაკადები" 70-იან წლებშია შექმნილი და ავტორის შემოქმედებაში ფუნდამენტური თემის – მოძრაობის – მხატვრულ ანალიზს ეძღვნება. ერთი შეხედვით სტატიკური სურათების ჯაჭვი თავბრუდამხვევი დინამიზმის წარმომქმნელი ხდება და მკითხველის ცნობიერება ამ დინამიკას წარმოიდგენს როგორც ერთ მთლიან პროცესს, რომლის სანყისი და ბოლო პუნქტი სიტყვაა; სიტყვაშია აკუმულირებული ყველა კონკრეტული სურათი, ხოლო ლექსი ის რეალური ორგანიზმია, რომელიც ყოველწამს მოძრაობს.

ანრი დელუი (დ. 1931 წ.) - ფრანგი პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ჟურნალისტი და რედაქტორი. თარგმნის გერმანული, იტალიური და პორტუგალური ენებიდან. დელუი ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაუპირისპირდა სიურრეალიზმს და განაცხადა, რომ ენა არ უნდა იყოს ჯანყის იარაღი, ხოლო პოეტი — მედროშე, მაგრამ მეტაფორიზაციისგან რეალობის განმათავისუფლებელი დელუი თავადვეა მშვენიერი მეტაფორული მეტყველების ნიმუშთა ავტორი.

ემანუელ ოკარი (დ. 1940) - ფრანგი პოეტი, პროზაიკოსი და გამომცემელი, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი. მისი მთავარი საზრუნავია სიტყვის სიზუსტე, დაუჩრდილავი ემოციური თუ მისტიკური გამოცდილებით. ავტორმა თავისი ამოცანა განსაზღვრა, როგორც "კონკრეტულის და ლოგიკურის შემეცნება". მისივე თქმით, მაქსიმალურად შესაძლებელი სიზუსტის მისაღწევად პოეტმა უნდა გამოიყენოს ყველა ფორმა, ძველიც და ახალიც.

ოლივიე კადიო (დ. 1956) - პოეტი და საოპერო ლიბრეტოების ავტორი. კადიოს თანახმად, თანამედროვე ლექსი უნდა გათავისუფლდეს პოეტური ბუნ-

დოვანებისგან, ზედმეტი ლიტერატურულობისგან, მეტაფორულობისგან, და შეერწყას ცოცხალ რეალობას. ავტორის პოზიცია გამოკვეთს თანამედროვე ფრანგული პოეზიის ერთი ნაკადისთვის დამახასიათებელ ტენდენციას: პოლემიკას სიურრეალიზმის ტრადიციასთან.

ტრისტან ცარა (1896-1963) - რუმინალი პოეტი, დადაიზმის ერთ-ერთი ლიდერი. იგი იყო პოლიგლოტი და წერდა რამდენიმე ენაზე. კრიტიკულად გაიაზრებდა ბრეტონის სიურრეალიზმს. 1912 წელს მარსელ იანკოსთან ერთად ბუხარესტში დააარსა ჟურნალი "შიმბოლულ". ბუხარესტის უნივერსიტეტში სწავლობდა მათემატიკას და ფილოსოფიას. 1916 წელს გაემგზავრა ციურიხში, სადაც იმავე წლის 5 თებერვალს ჰუგო ბალმა კაბარე "ვოლტერი" გახსნა. ამ სახელწოდებისავე სამენოვან ჟურნალში ტცარამ დადაიზმი ინტერნაციონალურ ნამონყებად გამოაცხადა და მსგავს სულისკვეთებას 1920 წელს პარიზიც აზიარა. სისტემატურად იბეჭდებოდა სიურრეალისტების ჟურნალებში. იყო საფრანგეთის კომპარტიის წევრი.

ფილიპო ტომაზო მარინეტი (1876-1944) – იტალიელი არტისტი, ფუტურიზმის მამამთავარი და პოლიტიკოსი, ფაშისტური იდეოლოგიის ადეპტი, მუსოლინის უახლოესი მეგობარი და კულტურის მინისტრის მისი რეიმის დროს. მარინეტი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ფილოსოფიური ლიტერატურის მიმართ რომელთა სიღრმისეულმა დამოკიდებულებამ დიდად შეუწყო ხელი ავანგარდისტულ ხელოვნებასა და ფილოსოფიას შორის ურთიერთგავლენის კულტურის დახვენას და გაძლიერებას.

ალდო პალაცესკი (1885-1974) – იტალიელი პოეტი, რომანისტი და ფუტურისტული მოძრაობის თანადამაარსებელი მარინეტისთან ერთად. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისშივე გაემიჯნა მარინეტის ფილოსოფიას და მებრძოლი პაციფისტის პოზიცია დაიკავა.

არდენგო სოფიჩი (1879-1966) – იტალიელი ხელოვნების კრიტიკოსი და მხატვარი. თავიდან იყო კუბიზმის ადეპტი და ფუტურიზმის მწვავე კრიტიკოსი. პარიზიდან იტალიაში დაბრუნების მერე სცადა კუბიზმსა და ფუტურიზმს შორის ხიდის გადება, მაგრამ 1914 წელს, როცა მარინეტი ფაშისტურ იდეოლოგიას მიემხრო, სოფიჩი ფუტურიზმს გაემიჯნა.

ალფრედო ჯულიანი (1927-2007) - *ჯგუფი 63*-ის წევრი. ეს იყო იტალიელი ნეოავანგარდისტების ჯგუფი, რომელიც 1963 წელს ჩამოყალიბდა პალერმოში და თავიდანვე გაემიჯნა იტალიური ნეორეალიზმის ესთეტიკას. ჯგუფის ლიდერთა საპროგრამო გამოსვლებში მკაფიოდ აისახა არა მხოლოდ იდეოლოგიაზე რეაქცია, არამედ საერთოდ ნებისმიერი იდეოლოგიის უარყოფა და ანგაჟირებულ ლიტერატურაზე უარის თქმა, რეპორტაჟის დონემდე სიმართლის პრინციპის დაყვანის საპირისპიროდ — ფორმისა და სტრუქტურის მიმართ გამძაფრებული ყურადღება. ამ მხრივ აღსანიშნავია ა. გულიემის სიტყვები, რომ "პოეზია უნდა მიეცეს გაშიშვლებულ, იდეოლოგიური ტანსაცმლის-

გან თავისუფალ ენას". იგივე ავტორის თქმით, მხატვრულ და იდეოლოგიურ მომენტებს შორის ერთადერთი კავშირი მხოლოდ ნეგატიური კავშირი შეიძლება იყოს. მსგავსი პოზიცია გაპირობებული იყო, ყველაფერთან ერთად, იმ საერთო სულიერი სიტუაციით, რომელიც 50-იან-60-იან წლებში შეიქმნა ევროპასა და ამერიკაში. ავტორთა თეორიულ საყრდენს წარმოადგენდა სტრუქტურული ლინგვისტიკის იდეები. ჯგუფის წევრები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ახალ ფილოსოფიურ ორიენტაციებს (განსაკუთრებით — რადიკალურს). მათთვის უცხო არ იყო როგორც ინფორმაციის მათემატიკური თეორია, ისე მსხვილ ინდუსტრიულ საწარმოებში ფიზიკური მუშაობა. მათი აზრით, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ეპოქის პრინციპულ თავისებურებათა გააზრება და "გლეხურ მემკვიდრეობაზე" უარის თქმა. ჯგუფის წევრები ერთსულოვნად უარყოფდნენ "ლექსთა მომხმარებელ მკითხველს", რომელიც სწორედ ამა თუ იმ იდეოლოგიის მსხვერპლად მიაჩნდათ. როცა "ჯგუფი 63" შეიქმნა, მის მრავალ ნევრს უკვე ჩატარებული ჰქონდა იტალიურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი სამუშაო. პოეზიაში იტალიურ ნეოავანგარდს დასაბამი მისცა ედუარდო სანგვინეტის ლექსების კრებულმა სახელწოდებით "ლაბორინტუსი" (1956). 1961 წელს კი გამოქვეყნდა პოეტური ანთოლოგია "უახლესნი", რომელიც შევიდა სანგვინეტის, პალიარანის, ჯულიანის (კრებულის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი), ნანი ბალესტრინის და ანტონიო პორტის (დ. 1935) ლექსები. 70-იანი წლების დასაწყისში ეს მოძრაობა დაიშალა.

ნანი ბალესტრინი (დ. 1935) – იტალიელი მწერალი, იყო *ჯგუფი 63*-ის წევრი და ჯგუფის სხვა წევრთა ნამუშევრების რედაქტორი, იტალიაში მწერალთა სოციალური მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. იყო იტალიელი მემარცხენეების მიერ 1969 წელს დარსებული მოძრაობის - *პოტერე ოპერაიო* – აქტიური ნევრი.

ელიო პალიარანი (დ. 1927-2012) – იტალიელი პოეტი და თეატრის კრიტიკოსი. იყო *ჯგუფი 63*-ის წევრი, ასევე – უმნიშვნელოვანესი იტალიური ლიტერატურული ჟურნალების ავტორი და რედაქტორი. 1988 წლიდან იყო ინტერნაციონალური პოეტური ვიდეოჟურნალის – ვიდეორ – ხელმძღვანელი.

ედუარდო სანგვინეტი (დ. 1930-2010) – იტალიელი პოეტი, მწერალი, კრიტიკოსი და გერმანული ლიტერატურის მთარგმნელი. იყო *ჯგუფი 63*-ის ნევრი და იტალიური ნეოავანგარდის გავლენიანი თეორეტიკოსი. იტალიურ ლიტერატურისმცოდნეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ლიტერატურის საკითხებზე პიერ პაოლო პაზოლინისთან გამართული მისი ღია პოლემიკის შედეგად შექმნილი მიმოწერა.

ფერნანდო პესოა (1888-1935) - პორტუგალიელი პოეტი, ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი. სახელი გაითქვა ეგრეთ წოდებული ჰეტერონიმული პოეზით. ჰეტერონიმებს პესოა უწოდებდა თავისავე მიერ გამოგონილ ავტორებს, რომლებსაც საკუთარი ბიოგრაფია და ცხოვრება ჰქონდათ და, რაც მთავარია, ენეოდნენ სალიტერატურო საქმიანობას. პესოამ მათი სახელით ლექსების

რამდენიმე დიდი ციკლი შექმნა. ჰეტერონიმების შემქმნელი ცდილობს ისე გახლიჩოს თავისი ცნობიერება, რომ მის მიერ გამოგონილი ტიპები პრინციპულ სიუცხოვეს ამჟღავნებდნენ გამომგონებელთან და ერთმანეთისგანაც განსხვავდებოდნენ მსოფლმხედველობით თუ წერის სტილით (აქედან გამომდინარე, ჰეტერონიმი სრულიად განსხვავდება ფსევდონიმისგან). "უთავბოლო ლექსები" პოეტმა გამოაქვეყნა ალბერტო კაეიროს სახელით, რომელიც სულიერ ნათესაობას ამჟღავნებს ბუნებასთან და მიდრეკილია ნატურფილოსოფიური განაზრებებისკენ; ალვარო დე კამპოსი კი, რომელმაც "მისალმება უოლტ უიტმენს" დაწერა, ტექნოკრატი და ფუტურისტია, განათლებით ინჟინერი, ახალი საუკუნის რიტმისა და ცხოვრების წესის მოტრფიალე. მის მიერვეა შექმნილი "ყველა სატრფიალო ბარათი...". პესოამ ბევრი სხვა ჰეტერონიმი შექმნა. იგი თვლიდა, რომ ასეთ საქმიანობას თავისი ფსიქოლოგიური საფუძველი ჰქონდა, და იხსენებდა ბავშვობას, როცა მის სამყაროში მრავლად იყვნენ ასეთი გამოგონილი მეგობრები და ნაცნობები. პესოას პოეზიის მნიშვნელოვანი ნაწილი რთული და ჰერმეტულია, რაც გამოწვეულია არა იმდენად ავტორის აზროვნების სირთულით, რამდენადაც გნოსტიციზმისა და ოკულტიზმისადმი, ეზოთერული ცოდნისადმი მისი ინტერესით. ეს ინტერესი უბრალო სულაც არ ყოფილა. პესოა მიჩნეულია ოკულტიზმის ერთ-ერთ უდიდეს მცოდნედ; იგი იკვლევდა კაბალას, მესიანიზმს; სათანადოდ იცნობდა მასონობის, ალქიმიის, ასტროლოგიის შესახებ შექმნილ უზარმაზარ ლიტერატურას და თავადაც აპირებდა რამდენიმე წიგნის გამოქვეყნებას ამ საკითხებზე. მისი ეს იდეები გაპუხრიცელებელი დარჩა და მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოიცა მრავალი ფრაგმენტი და ჩანაწერი, რომლებიც დღემდე მეცნიერთა ყურადღების ცენტრშია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პესოას ოკულტიზმის სარიტუალო თუ პოლიტიკური მხარეები ნაკლებად აინტერესებდა და მეტ ყურადღებას უთმობდა ეზოთერიზმის ფილოსოფიურ გააზრებას. ამას გარდა, მიაჩნდა, რომ თავად იყო პორტუგალიის ტამპლერთა ორდენის პირველ სამ საფეხურს ზიარებული, მაგრამ იმ სახით, როცა ზიარება მასწავლებლიდან მოსწავლეზე უშუალოდ გადადის (მასწავლებლად აქ გაიგებოდა ღმერთი). პოეტის აზრით, ასეთივე ზიარებულნი იყვნენ ქრისტე, პავლე მოციქული და შექსპირი (გენიალობას პესოა ინიციაციას ადარებდა). პესოას სახელთანაა დაკავშირებული საუკუნის დასაწყისის პორტუგალიურ ლიტერატურაში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. 1915 წელს მან და მისმა მეგობრებმა შექმნეს მოდერნისტული ჯგუფი "ორფეოსი", რომელმაც სათავე დაუდო პორტუგალიურ ფუტურიზმს.

ჟორჟი დე სენა (1919-1978) - პორტუგალიელი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი; პროფესიით ინჟინერი. 60-იან წლებში, პოლიტიკური მოტივებით სამშობლოდან ბრაზილიაში ემიგრირების პერიოდში, სან-პაულოს პრესტიჟულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა ფილოსოფიასა და ლიტერატურაში, ხოლო შემდეგ აშშ-ის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში პორტუგალიურ ლიტერატურას ასწავლიდა. მისი პოეზია ნასაზრდოებია ჩვენი საუკუნის ნამყვანი ესთეტიკური პრინციპებით, განსაკუთრებით - სიურრეალიზმის ესთეტიკით. აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ საუბარია სიურრეალიზმზე

არა როგორც მხოლოდ სკოლაზე ან მოძრაობაზე, არამედ სიურრეალისტური ხედვისა და ცხოვრების წესზე, რაც სრულიად შეესატყვისება მეოცე საუკუნის ადამიანის (მითუმეტეს ხელოვანის) მსოფლგანცდას, რამაც მრავალ ნიჭიერ შემოქმედს საშუალება მისცა არ დარჩენილიყო დაგვიანებულ ეპიგონად და დინამიკურად აეთვისებინა ამ მიმდინარეობის მთავარი პრინციპები. დე სენამ, როგორც მეტაფიზიკურად მოაზროვნე პოეტმა, ინტელექტუალური პოეზიის მშვენიერი ნიმუშები შექმნა. ამ თვალსაზრისით, როგორც აღნიშნავენ, მისი შემოქმედება ფერნანდო პესოას პოეზიას ენათესავება.

სემუელ ბეკეტი (1906-1989) - ინგლისელი დრამატურგი და რომანისტი, ავტორი სახელგანთქმული პიესისა "გოდოს მოლოდინში", აბსურდის თეატრის ერთ-ერთი მთავარი "პერსონაჟი", მთელი ცხოვრების განმავლობაში წერდა ლექსებს. ამ ლექსებში ისეთივე მძიმე სულიერი ატმოსფერო, აუტანელი სიმარტოვე და უნუგეშობა სუფევს, როგორც — მის დრამატულ ტექსტებში, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ბეკეტის ლექსები გაცილებით გამჭვირვალე და იოლად "ამოსაკითხია"; მეორეს მხრივ, მათი აღქმა შეიძლება, როგორც "ლირიკული" ვარიაციებისა ავტორისავე პიესებში დამუშავებულ თემებზე.

პატრიკ ფელონი (1906-1974) - ირლანდიელი პოეტი, დრამატურგი და კრიტიკოსია. ფელონი ლიტერატორთა იმ თაობის წარმომადგენელია(ოსტინ კლარკი, პატრიკ კავანაჰი, ლუის მაკ-ნისი), რომელმაც თავის შემოქმედებასა და საზოგადო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ფოლკლორს, ისტორიასა და ხალხური ცნობიერების ამსახველ არაზედაპირულ რეგალიებს. დიდია ფელონის წვლილი ირლანდიური ენის აღორძინების საქმეში; მის კრიტიკულ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ირლანდიური პოეზიის კვლევასა და ირლანდიური ლექსისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გააზრებას, ბრძოლას ინგლისური ლიტერატურის ბრმა მიმბაძველთა წინააღმდეგ. ირლანდიელ პოეტთა ძირითადი ნაწილის მსგავსად, მისი ცნობიერებაც ფორმირებულია პოეზიის, როგორც ეროვნული თვითშეგნების გამომხატველი უმაღლესი კონდიციის, შეგნებით: პოეტური მეხსიერება ინახავს წარსულს და ქმნის მომავალს, იძლევა ანმყოში ეროვნული სულის მოძრაობის ზუსტ სურათს.

ივან გოლი (1891-1950) – ებრაული წარმოშობის გერმანულ და ფრანგულენოვანი პოეტი, გერმანული ექსპრესიონიზმისა და ფრანგული სიურრეალიზმის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა. ნერდა ინგლისურ ენაზეც. მიუხედავად მე-20 საუკუნის მოდერნისტული პოეზიისთვის მისი ფასდაუდებელი მნიშვნელობისა, მისი ლექსების ყველაზე მნიშვნელოვანი კრებული *Jean sans terre* მხოლოდ მისი გარდაცვალებიდან შვიდი წლის მერე გამოიცა.

რაულ ჰაუსმანი (1886-1971) - ავსტრიელი პოეტი, დადაიზმის და, საერთოდ, ავანგარდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი.

მარია ლუიზა კაშნიცი (1901-1974) – გერმანელი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი, მრავალი პრესტიული პრემიის ლაურეატი. 1960 წლიდან იყო ფრანკფურტის უნივერსიტეტში პოეტიკის დოქტორი.

ვოლფგანგ ბორხერტი (1921-1947) – გერმანელი მწერალი და დრამატურგი, მცირე პროზის ერთ-ერთი დიდოსტატი.

ნელი ზაქსი (1891-1966) - გერმანულენოვანი ებრაელი პოეტი. წერა დაიწყო 17 წლის ასაკში, შვედი მწერლის სელმა ლაგერლოფის პოეტური პროზის გავლენით. მიუხედავად იმისა, რომ 20-იან წლებში აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწოდა, მისი შემოქმედება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მერე მოექცა კრიტიკოსებისა და ფართო მკითხველის ყურადღების ცენტრში, როცა პოეტი სამუდამოდ გადასახლდა შვედეთში, საიდანაც მხოლოდ დროდადრო უხდებოდა გასვლა სანატორიუმებსა თუ ნევროლოგიურ კლინიკებში სამკურნალოდ. 1966 წელს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში. გარდაიცვალა 1970 წელს სტოკჰოლმში. ნელი ზაქსის შემოქმედება ებრაელი ხალხის წარსულისა და თანამედროვეობის, მისი რელიგიისა და კულტურის პოეტური გააზრების უმდიდრესი ცდაა (30-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე, პოეტს არ შეუწყვეტია ებრაელი ხალხის ისტორიის გამოწვლილვით შესწავლა, იმ თვითმყოფადობის და ეროვნული თვითშეგნების საფუძველთა პოეტური კვლევა, რომელიც ებრაელ ერს არასდროს დაუკარგავს). ამ შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაციზმის პერიოდში ებრაელი ხალხის თავს დამტყდარი ტრაგედიის, ასევე თვით ავტორის დევნისა და ლტოლვილობის ხანის ასახვას იშვიათი მხატვრული ოსტატობით. პოეტის სტილზე დიდი გავლენა იქონია გასული საუკუნის ლიტერატურულმა იმპრესიონიზმმა, მოგვიანებით კი ნოვალისის და ჰოლდერლინის შემოქმედებამ. რაც შეეხება მისი პოეზიის ფილოსოფიას, იგი პოეტის მიერ იაკობ ბოემეს, მარტინ ბუბერის, ძველი ებრაელი მისტიკოსების და, ცხადია, ბიბლიის ხანგრძლივი შესწავლის საფუძველზე ჩამოყალიბდა. აქ წარმოდგენილი ლექსებიც უხვად შეიცავენ აღნიშნული მისტიკური ტრადიციიდან ნაცნობ სიმბოლიკას და მეტაფორულ სახეებს, სამეტყველო ფორმებს, მეტად რთულ ალუზიურ სვლებს, ფარულ ან ზედაპირზე ამოტანილ დიალოგს მისთვის ძვირფას მისტიკოსებთან. ქართულ ენაზე არსებობს ნელი ზაქსის სულ რამდენიმე ლექსი, უბადლოდ თარგმნილი ისეთი შესანიშნავი მთარგმნელების მიერ, როგორებიც არიან ბესიკ ადეიშვილი და ჯემალ აჯიაშვილი. წინამდებარე პუბლიკაცია მინდა მოკძალებით მიეუძღვნა ჯემალ აჯიაშვილს, რომლის „ძველი ებრაული პოეზია", სიყმაწვილიდან მოყოლებული, დღემდე ქართულ პოეზიაში ჩემს სამაგიდო წიგნად რჩება.

პეტერ ჰანდკე (დ. 1942) – ავსტრიელი მწერალი, დრამატურგი, ესსეისტი და მთარგმნელი. მიუხედავად იმისა,რომ ჰანდკე თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გერმანულენოვან მწერლად მიიჩნევა, მისი შემოქმედებითი გზა პოეტური ექსპერიმენტებით დაიწყო და 60-70-იან წლებში შექმნილი მისი ლექსები გერმანული ავანგარდის პროგრამული ტექსტებია.

ინგო ცეზარო (დ. 1941) – გერმანელი მწერალი, გრაფიკოსი, გამომცემელი და პოლიგრაფისტი, გერმანულენოვან სამყაროში ჰაიკუს ერთ-ერთი უცნობილესი ოსტატი.

უვე ჰერმსი (დ. 1937) – გერმანელი პოეტი, მთარგმნელი და რამდენიმე ცნობილი ანთოლოგიის გამომცემელი.
ული როთფუსი (დ. 1964) – გერმანელი პოეტი, მწერალი და ხელოვნების პროფესორი.

ჰანს ციბულკა (დ. 1920-2004) - გერმანელი პოეტი. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 50-იან წლებში. მისი პოეზია ბიომენის (ავტორის მშობლიური მხარის) და სიცილიის ლანდშაფტებისგან მიღებული შთაბეჭდილებებითაა ნასაზრდოები. ავტორის პოეტური ხედვის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ჩინურმა ფერწერამ. ლიტერატორები აღნიშნავენ აფორისტული სტილისა და მარტივი სამეტყველო ენის მიმართ ციბულკას განსაკუთრებულ ყურადღებას.

აძსელ შულცე (დ. 1943) - გერმანელი პოეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ტიპოგრაფად, ხარატად, ქიმიის ლაბორანტად. 1964-67 წლებში სწავლობდა ლაიპციგის ლიტერატურის ინსტიტუტში. მისი პოეზია გერმანული "ნატურგედიხტეს" ტრადიციას ავითარებს. შულცეს მიერ აღწერილი ბუნება სტატიკური და უმიზნოა, მაგრამ მასთან მიმართებაში ადამიანი იმეცნებს თავის თავს და ამოწმებს ბუნებასთან თავის სიშორე-სიახლოვეს, როგორც ცივილიზაციაში გადასროლილი, მაგრამ ბუნების ჯერაცარდამკარგავი, გაორებული ინდივიდი.

რუდოლფ ოტო ვიმერი (1905-1998) - გერმანელი პოეტი. კონკრეტული პოეზიის პირველი ტალღის ნარმომადგენელი. მის ტექსტებში სიტყვები და წინადადებები ისეთ პოლივალენტურ მნკრივებს ნარმოქმნიან, როცა სხვადასხვა მნიშვნელობებს თანაბარი შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭებათ და მკითხველს სწორედ მნიშვნელობებით თამაშის წვდომა მოეთხოვება. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ინდივიდუალური და ისტორიული ფუნქციების დიალექტიკის გამოხატვას.

თომას გიუნთერი (დ. 1952) – გერმანელი მწერალი. 80-იან წლებში იყო გდრის ანდერგრაუნდის აქტიური წევრი. მყარი პროფესია არასდროს ჰქონია. მუშაობდა მებაღედ, სასმელების ფაბრიკაში, რეჟისორის ასისტენტად, სასაფლაოზე.

ურს მ. ფიხტნერი (დ. 1955) - გერმანელი პოეტი. დაიბადა ბონში, აღიზარდა ჩილეში. ამჟამად ცხოვრობს ულმში, ეწევა სამწერლო საქმიანობას და თარგმნის ლათინოამერიკულ ლიტერატურას. მისი პოეზია მკაფიოდ გამოხატული სოციალური ნონკომფორმიზმითაა ნიშანდებული, ფორმა სასაუბრო

მეტყველებას უახლოვდება, მეტყველება თემატიკის შესაბამისად იცვლება ძლიერი ცინიზმიდან მსუბუქ სენტიმენტალურობამდე.

ზაშა ანდერზონი (დ. 1953) - გერმანელი პოეტი, მხატვარი და ყოფილი გდრ-ის მემარცხენე ხელოვანთა ყოფილი იდეოლოგი. ანდერზონის სახელთანაა დაკავშირებული ამ ხელოვანთა პოეტური და პროზაული ტექსტების შეკრება-სელექცია და ერთ უნიკალურ ანთოლოგიად გამოცემა კიოლნში 1985 წელს. როგორც კი გერმანია გაერთიანდა და საიდუმლო არქივები გაიხსნა, მთელი ევროპა მოიარა სენსაციურმა ცნობამ იმის შესახებ, რომ გერმანული ანდერგრაუნდის და ავანგარდის №1 ავტორიტეტი ანდერზონი გდრ-ის უშიშროების სამსახურის აგენტი ყოფილა და ხელოვანთა შორის "ჩამშლელ" საქმიანობას ეწეოდა.

ხრისტა მოოგი (დ. 1952 წ.) - გერმანელი პოეტი. დაიბადა აიზენახში. ჰაელში სწავლობდა პედაგოგიკას. ორი წელი მასწავლებლობდა, მერე კი ბევრი სხვა "პროფესიაც" აითვისა: იყო ოფიციანტი, მაშველმცურავი, დარაჯი და ა. შ. 1984 წლიდან ცხოვრობს დასავლეთ ბერლინში.

იან ფაქტორი (დ. 1951) – ჩეხ-გერმანელი მწერალი და მთარგმნელი. ყოფილი გდრ-ის ანდერგრაუნდის აქტიური წარმომადგენელი. მიღებული აქვს ალფრედ დიობლინის პრემია.

რუდიგერ როზენტალი (დ. 1952) – დაიბადა ბოიცენბურგში. მაგდებურგის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში სწავლობდა ფიზიკას. 1974 წელს გადავიდა ბერლინში. სამი წლის განმავლობაში იყო ფიზიკის ასისტენტი, 1977-80 წლებში მუშაობდა ინჟინრად. 1980 წლიდან თავისუფალი პროფესიის ადამიანი გახდა. მოოგთან და ფაქტორთან ერთად, იყო 80-იანი წლების ბერლინური ანდერგრაუნდის აქტიური წევრი.

კრაუსი (დ. 1971) - გერმანელი პოეტი, პროზაიკოსი, მოცეკვავე, მომღერალი. განათლებით ლიტერატურათმცოდნეა, არის რიტორიკისა და შემოქმედებითი წერის დოცენტი. ცხოვრობს ზიგენში.

ლუდვიგ ლეგე - თანამედროვე გერმანელი პოეტი და რედაქტორი. მისი შემოქმედება გასული საუკუნის 60-იანი წლების სოციალური პოეზიის, ავანგარდის ესთეტიკის და ფრანგული სიმბოლისტური პოეზიის გავლენით ყალიბდებოდა. რთული პოეტური ხილვები და ექსისტენციალური შიშები, რომლებსაც ლეგე უხვი კონკრეტული მასალის გადამუშავებით ღებულობს, შემდეგ თანმიმდევრულად ლაგდება და კრიტიკული აბსტრაქციების ფორმას იღებს. მისი ყოველდღიურობის ლირიკა არ შემოიფარგლება თანადროული ჩარჩოებით და ეს პოზიცია მის კულტურულ დიაპაზონზეც ვრცელდება. მის პოეზიაში ხშირია გადაძახილი სიურრეალიზმთან, ბიტნიკებთან, გერმანელ რომანტიკოსებთან. ლეგეს ესთეტიკაში პოეზია არ ცდილობს მისთვის უცხო სოციალურ რეალობასთან გამმიჯნავი ხაზის გავლებას, მეტიც, მისი ლექსი „არავის

მიმართავს", ის ამ რეალობაში ეწერება და ცდილობს საკუთარი ადგილის ნაკითხვას არაპოეტური მიზნებით და ამოცანებით დაგეგმარებადი სოციალური სივრცის ფარგლებში. ლეგეს პოეზია - ეს არის ცხოვრებასთან ბრძოლაში დამარცხებული ხელოვანის აღსარება, როცა პოეტი თითქოს კიდევ ერთხელ თვალს გადაავლებს პოეტური შთაგონების გამომრიცხავ სოციალურ მიზეზებს და კიდევ ერთხელ აღიარებს იმ რეალობის გამარჯვებას, როცა, მისივე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „მეტაფიზიკური სმენა დაქვეითებულია" და „მოწყენილობის სოციოლოგია" გაბატონებულა.

მიუნსტერელი ავტორები

კარლ ვოლფი (დ.1943), ვერნერ კლიოპერი (დ. 1952), ინგრიდ კეინი-სი (დ. 1954), დიტერ რადტკე (დ. 1965), გეატე მარია კრუხენი (დ. 1948)

მარიანა გრუბერი (დ. 1944) - თანამედროვე ავსტრიელი მწერალი ქალის, მარიანა გრუბერის ლექსები დასავლურ პოეზიაში ფართოდ გავრცელებული ფსიქოლოგისტური პოეზიის ნაკადს შეიძლება მივაკუთვნოთ, - როცა თვით ლექსი, როგორ ერთგვარი პოეტური არტეფაქტი, ექსისტენციალური ურთიერთობების სისტემის სრულუფლებიან წევრად მოიაზრება, რთული ფსიქოლოგიური სიმბოლოებით მოქსოვილი სალექსო სტრუქტურის სიცოცხლისუნარიანობა კი უზრუნველყოფილია კულტურულ კონტექსტში ამ კოდებისა და სიმბოლოების გასაგებობით. ეს ხელისგულისოდენა ლექსები თითქოს დროსაც ზოგავენ და სივრცესაც, ერთგვარი სიფრთხილით ეხებიან დასავლური საზოგადოებისთვის ცნობილ თემებსა და სატკივარს და ცდილობენ უბრალოდ, ყოველგვარი ორნამენტულობის გარეშე, საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ კონტექსტს, როგორც ლიტერატურული და ცხოვრებისეული გამოცდილებების ერთ დიდ მთლიანობას. განსხვავებით გრუბერის პროზისგან, რომლის სიმძიმისა და გაბედულების ხარისხის წარმოსადგენად საკმარისია ავტორის ბოლო რომანზე მითითება, რომელიც, არც მეტი და არც ნაკლები, კაფკას დაუმთავრებელი რომანის – *კოშკი* - დამთავრების მცდელობაა, გრუბერი-პოეტი გაცილებით მოკრძალებულ ამპლუაში წარმოუდგება მკითხველს და იმ დაუცველობისა და უმწეობის ერთი შეხედვით არაარსებით ნიუანსებს იკვლევს, რომლებიც თანამედროვე დასავლური ყოფის მნიშვნელოვან მახასიათებლებად არის ქცეული. თუმცა, აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ, ნებისმიერი გამოცდილი ევროპელი მწერლის მსგავსად, მარიანა გრუბერიც ყოველთვის ითვალისწინებს უკვე თქმულსა და ლიტერატურულ კონტექსტში მნიშვნელად ტენდენციებს. დაზუსტებას მოითხოვს ის ფაქტიც, რომ ამ ლექსებში მხოლოდ ევროპულ "ანალიტიკურ" პოეზიას გაჩვეული თვალი აღმოაჩენს ავტორის "სიმარტივით" შენიღბულ სასიამოვნო სირთულეს, რაც მისი ავტორის კულტურული წყობისა და პოეტური სისადავის დასტურია. მარიანა გრუბერი, რომელსაც მიღებული აქვს ბრწყინვალე მუსიკალური განათლება, მრავალი წელი სწავლობდა მედიცინას, ხოლო იმავდროულად ფსიქოლოგიაში ექსისტენციანალიზის მამის ვიქტორ ფრანკლის მოსწავლე იყო, არც თავისი მრავალმხრივი განათლების წინინამონევას ცდილობს და არც ასეთი განათლების ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული თვითკმაყოფილი ინტელექტუალის

იერს ღებულობს. იგი მხოლოდ კითხვებს სვამს და ამ კითხვების მხატვრულ თემატიზაციებს აფიქსირებს მაშინ, როცა ასეთი თემატიზაციები მის ღრმა პირად გამოცდილებად იქცევა. დასავლური პოეზია სწორედ ასეთი ერთადერთი გამოცდილებების ობიექტივაციებით იქმნება და თავისი ექსისტენციალური ნყობითა და არსებობის წესით ძირეულად განსხვავდება ჩვენში გავრცელებული სამწერლო ურთიერთობების "სისტემისგან", რომელსაც ნებისმიერ ფასად ლექსების წერა-გამოქვეყნება და მერე პოეტის "სტატუსით" საზოგადოებაში სხვა ადამიანებზე აღმატების მცდელობა, კარიერის კეთება ან მაინცდამაინც პოლიტიკაში მაიმუნობა ქმნის. მარიანა გრუბერის, როგორც ავსტრიული პოეზიის უმდიდრესი გამოცდილების კონტექსტში მომუშავე პოეტის ლექსებში სადად და სასიამოვნოდ წარმოჩნდება ევროპელი ავტორებისთვის ჩვეული შინაგანი კულტურით მოწესრიგებული სამყარო, რომელიც მიზნად ისახავს არა ავტორის ემოციური სიღრმის მიამიტურ დემონსტრირებებს, არამედ – მკითხველისთვის საფიქრალის გაზიარებასა და დიალოგურ რეჟიმში მკითხველთან პოეტურ გასაუბრებას, მაშინაც, როცა თუნდაც თოკზე გასაშრობად გაფენილი ხალიჩები მეტყველებენ პოეტის პირით (როგოც ეს ავტორის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში ხდება) და – მაშინაც, როცა, პოეტის ერთი ლექსის მსუბუქი პერიფრაზირებით რომ გამოვთქვათ, "მომავლის კანიონებში არაფერი გვრჩება სათქმელი"

მანფრედ ხობოტი (დ. 1947) - ავსტრიელი პოეტი, მწერალი, გამომცემელი, ესსეისტი და ფოტოხელოვანი. არის გრაცის ავტორთა გაერთიანების წევრი, ინტენსიურად მუშაობს ლიტერატურის ჟურნალისტიკაში. მის სახელთან დაკავშირებულია ავსტრიული ლიტერატურისა და ავსტრიელ მწერალთა სოციალური მოძრაობისთვის მნიშვნელოვანი მრავალი პროექტის ხორცშესხმა. ის, ასევე, ცნობილია, როგორც არა მხოლოდ გერმანულენოვანი, არამედ – ხაზგასმულად გერმანულენოვანი ავსტრიელი პოეტი, რომელიც თავგამოდებით იცავს ავსტრიული სამწერლო ტრადიციის დამოუკიდებლობას გერმანულისგან და მიიჩნევს, რომ ავსტრიული ლიტერატურა დიდი გერმანული ლიტერატურისგან პრინციპულად განსხვავებული ფენომენია, განსაზღვრული სპეციფიკურად ავსტრიული მახასიათებლებით. თვით ხობოტის პოეტური მეტყველებისა და ცხოვრების სტილი 60-იანი წლების ევროპაში მომხდარი დიდი სოციალური და ესთეტიკური მოვლენებით არის ნასაზრდოები და პოეტი დღემდე რჩება ისტორიაში, ალბათ, ყველაზე უფრო ახალგაზრდული იმ ეპოქის იდეალთა ერთგულ დამცველად. ესთეტიკური და სოციალური მემარცხენეობა, რომლითაც განმსჭვალულია მისი პოეზია, პროზა, რადიოპიესები, ესსეისტიკა და ფოტოგრაფია, მოიცავს ევროპული კრიზისული ცნობიერების მაღალმხატვრულ კრიტიკას. გასაკვირი არ არის, რომ, როგორც 1968 წლის სტუდენტური მოძრაობის ლიტერატურულ თაობაზე, მის ესთეტიკურ ჩამოყალიბებაზეც დიდი გავლენა იქონია ბიტ-მოძრაობამ, ნონკონფორმიზმის ფილოსოფიამ, რადიკალურმა ავანგარდულმა პრაქტიკამ. მას მერე, რაც ავტორს, მართლაც რომ გამორჩეული ერუდიციის ადამიანს, გამოცდილებამ და ავსტრიულ ლიტერატურულ სამყაროში მოპოვებულ-

მა ავტორიტეტმა შესაძლებლობა მისცა, სხვა წამყვან მწერლებთან ერთად, მონანილეობა მიეღო ავსტრიის ლიტერატურული პოლიტიკის შექმნაში და თავისი ორიგინალური სახელოვნებო და საგამომცემლო იდეებიც განეხორციელებინა, მისი, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზატორის, როლი კიდევ უფრო გაიზარდა. და მაინც, მანფრედ ხობოტი, უპირველეს ყოვლისა, სიტყვის ოსტატია. მის პოეზიაში, რომელიც აგრძელებს გერმანულენოვანი ავანგარდული პოეზიის უმდიდრეს ტრადიციას, რომანტიკული, სასიყვარულო, სოციალური, ფილოსოფიური თემატიკა სწორედ ლექსის ასაგებად აუცილებელ აგურებად გადაქცეულან. ლექსი აქ თავისი ესთეტიკური შესაძლებლობებით, და არა უბრალოდ კრიტიკული შინაარსებით, ცდილობს თავისი ძლიერი საპროტესტო მუხტის ჩვენებას. ამ თვალსაზრისით, ხობოტის ესთეტიკაც და ეთიკაც ავსტრიაში იმ პოეტური რევოლუციის ტრადიციებს აგრძელებს, რომლის სათავეებთან, რა თქმა უნდა, ჰანს კარლ არტმანი იდგა. ხობოტი სწორედ არტმანს ასახელებს თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მასწავლებლად. აქ იგულისხმება არა მხოლოდ პირწმინდად პოეტიკური მოძრაობა, რომელიც არტმანმა დაიწყო ვენაში და მართლაც რომ გენიალური სისტემური ქაოტურობით აქცია ბევრი სხვა მოძრაობის საიმედო საყრდენად (თუნდაც, მაგალითად, დიალექტური ლექსი, რომელსაც ხობოტი, არტმანის სხვა „მემკვიდრეთა" დარად, უკვე ათწლეულების მანძილზე წერს და აქვეყნებს), არამედ – აგრეთვე არტმანის პოეტური ფილოსოფია, რაც გულისხმობდა ადამიანური ყოფის ყველა სექტორის, მისი ცნობიერების ყველა ნაპრალის ამოვსებას პოეზიით, პოეტური სიტყვით. ხობოტი არ განეკუთვნება იოლად სათარგმნი ავტორების რიცხვს. პირველ რიგში – იმიტომ, რომ მისი პოეტური ტროპი მდიდარი ენობრივი თამაშების ასპარეზია და ერთიდაიგივე სიტყვა ან სიტყვების კომბინაცია ყოველთვის ისეთ კონოტაციურ საფარველშია გახვეული, რომ მისგან ერთი რომელიმე მნიშვნელობის „ანყობა-გამართვა" სხვა მნიშვნელობების გაუნირავად ვერ ხერხდება. ამ დროს მთარგმნელსაც და მკითხველსაც არიადნეს ძაფის სახით ის ზოგადი ორიენტირები შეიძლება გამოადგეს, რომლებიც ავტორისთვის ფუნდამენტური შინაგანი მოტივების ხასიათს ატარებს. მაგალითად, ხობოტის ლექსების გადამწყვეტი უმრავლესობა სექსუალური კონოტაციების მატარებელია და ეს მოტივები სტრიქონიდან სტრიქონში, ლექსიდან ლექსში, მდიდარი კომბინატორიკით გადათამაშდება; ასევე, სოციალურისა და სექსუალურის ურთიერთგადაკვეთის ნერტილებში გაჩენილი მოულოდნელობები და მათი ფილოსოფიური პერსპექტივები, რაც შავი იუმორის უშრეტი წყაროა ავტორის პოეზიაშიც და პროზაშიც. ხობოტის პოეზია არ არის ლამაზი, არც რიტმულად მდიდარი და მუსიკალურია (მიუხედავად იმისა, რომ ავტორს მუსიკალური სმენაც და განათლებაც საკმარისი აქვს საიმისოდ, რომ ათწლეულების მანძილზე რეგულარულად ნერდეს რეცენზიებს სამუსიკო ჟურნალებისთვის). მისი მიმზიდველობა სწორედ ყოფითი მოულოდნელობების მიგნება-გამოსახვის ოსტატობაშია, რომელიც მხოლოდ საკუთარი ბიოგრაფიით მოიპოვება და ბუნებრივად, მეფოკუსის ტრიუკების გარეშე, ესთეტიკურად აუხეშებს ლექსს. ამით ხობოტის პოეზია ბიტნიკების პოეზიას ენათესავე-

ბა. თუმცა, მისი ლექსებს სტრუქტურა ყოველთვის გამოკვეთს პირწმინდად გერმანულ ნესრიგს, რომელსაც გარნირად მისი ჩეხური ჩამომავლობისთვის შესაფერისი სლავური „ამოვარდნები" მიმოეფინება.

ანტონიო პორჩია (1886-1968) – იტალიური წარმოშობის არგენტინელი პოეტი, რომელიც, მამის გარდაცვალების მერე, დედასთან და მცირენლოვან და-ძმებთან ერთად გადასახლდა არგენტინაში. მათ სარჩენად უხდებოდა შემთხვევითი სამუშაოების ძიება. იყო ხითხურო, მტვირთავი სანაპიროზე, ტიპოგრაფი. მას მერე, რაც მისი და-ძმები წამოიზარდნენ, პორჩიამ თავი დაანება ფიზიკურ მუშაობას და ცხოვრობდა სრულ სიღარიბესა და მარტოობაში. მისი ერთადერთი ნიგნი "ხმები" 1943 წელს გამოიცა და მალე ითარგმნა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. პორჩია იყო საკულტო ფიგურა ჰენრი მილერისთვის, ანრი მიშოსთვის და ანდრე ბრეტონისთვის. საკუთარ შემოქმედებაზე მის გავლენას აღიარებდა ბევრი მწერალი, მათ შორის – ბორხესიც.

მარკ შაგალი (1887-1985) – ებრაელი წარმოშობის რუსი მხატვარი. ლექსებს წერდა იდიშზე.

გენადი ალექსეევი (1932-1987) - რუსი პოეტი, მხატვარი, არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე. მისი ლექსები გამოირჩევა მახვილი, მაგრამ არა გესლიანი სიტყვით, მხატვრული საშუალებების ხაზგასმული და მიზანდასახული ოპტიმალიზაციით, სოციალური კონტექსტის არასნორხაზოვანი აღქმით. იოსიფ ბროდსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გ. ალექსეევის ვერლიბრს და წერდა: "ჰარმონიის უზრუნველმყოფელი რითმა და მეტრი გ. ალექსეევის ლექსებში წარმატებითაა შეცვლილი სიუჟეტის დიალექტიკით, პათოსი — სიტყვების სიზუსტით, ეფექტური დაბოლოებები — აზრის ლოგიკით". აქ წარმოდგენილია ავტორის მიერ სამოცდაათიანი წლების დასასრულსა და ოთხმოციანი წლების პირველ ნახევარში დაწერილი ლექსები.

ვასილი კონდრატიევი (1967-1999)– რუსი პოეტი და პროზაიკოსი, ანდრეი ბელის პრემიის ლაურეატი; თარგმნიდა ფრანგულ და ინგლისურენოვან პოეზიას. იკვლევდა საუკუნის დასანყისის ავანგარდს და თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებს. მისი ესთეტიკა თანამედროვე ამერიკული პოეზიის ე. წ. "ენის სკოლაზეა" ორიენტირებული. წარმატებით იყენებს კინოსაშუალებებს, მონტაჟის ტექნიკას. მისი ლექსებისთვის დამახასიათებელია ფართო მეტაფიზიკურ ფონზე მასალის ხაზგასმული კონკრეტიზაცია და ერთი შეხედვით უკიდურესად დეტალური სურათ-ხატების განვითარებით და დასამუშავებელი თემის გავლის გზით ისევ მეტაფიზიკურ კონტექსტთან დაბრუნება, ყველა პოეტური ხერხის გამოყენება აბსტრაქტული მთლიანობის შესაქმნელად.

არკადი დრაგომოშჩენკო (დ. 1946)- რუსი პოეტი და კულტუროლოგი. დრაგომოშჩენკოს მსოფლმხედველობის დასახასიათებლად გამოდგება მის მიერ აზროვნების კონცეპციის გამიჯვნა ერთის მხრივ პროტესტანტულ (ამერიკული მოდელი) და მეორეს მხრივ წარმართულ და მართლმადიდებლურ კონცეპციებად. თუ პირველისთვის არსებითია მხედველობა, მზერა, ყოველივე

ხილული, მეორისთვის გადამწყვეტია შეხების განცდა. ამ მეორე ტრადიციისთვის უმნიშვნელოვანესია უხილავის სტრიქია, ის, რაც არ ემორჩილება მზერას: ინტუიცია, მიგნება, ჯადოსნობა. სწორედ ამ უკანასკნელის კონტექსტში მოიაზრებს ავტორი თავის თავს და მიიჩნევს, რომ რუსული სტიქიაა ოცნება, წინათგრძნობა, გრძნობები, ძიება; ესაა უფრო სიტყვისმიერი, ვიდრე ვიზუალური ცნობიერება. ხოლო ის მთავარი ნიშანი, რაც სხვადასხვა კულტურებში საერთოა და კეულტურის გადარჩენის გარანტიას იძლევა, არის ცინიზმი; სწორედ ის აქცევს კულტურას უკვდავ არსებობად. "...კულტურა, რომელიც ცინიკური არაა, - წერს ავტორი, - დასაღუპადაა განწირული. მხოლოდ ღრმად ცინიკური კულტურები გადაიზრდებიან ხოლმე მარადიულ ცივილიზაციაში, ვინაიდან ისინი მარად განახლებადი კულტურებია".

ტადეუშ კანტორი (1915-1990) - პოლონელი მხატვარი და რეჟისორი, ევროპული ავანგარდის უცნობილესი ნარმომადგენელი, ხელოვნების და ლიტერატურის ორდენის კომანდორი. 1955 წელს კრაკოვში შექმნა "თეატრი კრიკო-2", რომელმაც კლასიკური და თანამედროვე ავტორების მრავალი ნანარმოების დადგმა განახორციელა და ორიგინალური იდეებით გაამდიდრა სასცენო ხელოვნება. კანტორი იყო პოლონეთში ჰეპენინგების პირველი ორგანიზატორი(1965); პოლონურ თეატრში ახალი ეტაპი შექმნა "კრიკო-2"-ის მიერ განხორციელებულმა თეატრმა-ჰეპენინგმა, მოელენის, მოგზაურობის თეატრმა. მთელი ევროპა მოიარა კანტორის ჰეპენინგებმა და ფერწერის გამოფენებმა. ფლორენციასა და კრაკოვში შექმნილია "თეატრ კრიკო-2"-ის არქივი. 1989 წელს პარიზში "კრიკო-2"-ის ფესტივალი საერთაშორისო სიმპოზიუმით დასრულდა. 1990 წელს კი კრაკოვში ჩატარდა თვით კანტორისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი.

ანჯეი ბურსა (1932-1957) - მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პოლონური პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმომადგენელი. მის ლექსებს კრიტიკოსები ახასიათებენ, როგორც ჩვეულებრივი საღი აზრისთვის ნიშანდობლივი მითოლოგიურობის მამხილებელ ტექსტებს. მსგავსმა ტენდენციამ ფართო გავრცელება ჰპოვა ომისშემდგომ ევროპულ ლიტერატურაში, რომელმაც ორგანულად შეიერთა პოლონელი პოეტების მირონ ბილოშევსკის, ტადეუშ რუჟევიჩის, ედვარდ სტახურას მკაცრი, მაგრამ დიდი შინაგანი ტკივილებით ნასაზრდოები ლექსები. ანჯეი ბურსამ სულ 25 წელი იცოცხლა. მისი საუკეთესო პოეტური მემკვიდრეობა სიცოცხლის ბოლო წლებშია შექმნილი. მისი პირველი კრებულიც მხოლოდ ავტორის გარდაცვალების მერე გამოიცა.

ჰადაა სენდოო (დ. 1961) - კულტურა, რომლის ნიაღშიც თანამედროვე მონღოლი პოეტის, ჰადაა სენდოოს შემოქმედება იქმნება, აღმოსავლური რელიგიებით და ლიტერატურით დაინტერესებული ქართველი მკითხველისთვის არ იქნება უცხო, მაგრამ მაინც აქვს მნიშვნელობა იმის დაზუსტებას, რომ ექსისტენციალურ დროსთან და ყოველდღიურ საგნებთან, ნარსულთან და აწმყოსთან კლასიკური ბუდიზმით და მონღოლეთში გავრცელებული ლამაიზმითა და შამანიზმით გაშუალებული ხედვა – უკეთ, ხედვის ტექნიკა – სენდოოს ლექსებსაც ბუდისტური მედიტაციური ლირიკის კონტექსტში ათა-

ვსებს. აქ საგნები და კონკრეტული ხდომილებები ის ხიდია, რომელსაც გაივლის ცნობიერება უხილავი "საგნების" გასაგებად, მათთან საზიარებლად და ამ გამოცდილების გადმოსაცემად. სენდოოსთვის ასეთი ხიდია ბავშვობის მოგონებები, პირველი შთაბეჭდილებები, ერთი შეხედვით სასტიკი, მხოლოდ ქარებით და მძიმე შრომით შევსებული უკიდეგანო, მაგრამ მაინც მშობლიური სივრცეები, რომლებიც მისი ცნობიერების ამა თუ იმ მდგომარეობის განმსაზღვრელ და გეოგრაფიისმიღმურ ლანდშაფტებად გარდაისახება. ავტორის ტექსტებისთვის დამახასიათებელი მინიმალიზმი არა იმდენად ესთეტიკური ბუნებისაა, რამდენადაც – მედიტაციური, და ცდილობს ერთდროულად თვალის გამოცდილებაც აღნეროს და გულისაც. უკვე ნაცნობი საგნების ყოველთვის პირველად დანახვის კულტურა, რომელიც ტიბეტური ბუდიზმისთვის არსებითია, ამ ლექსებში პერმანენტულ ფონს უქმნის ისტორიული თუ მითოლოგიური დროის ფრაგმენტულ სურათებს, ზოგჯერ თითქოს საგანგებოდ ევროპელი მკითხველისთვის ერთგვარი მხატვრული კომენტარების სახით დანერილს. ამ ლექსების კითხვისას ჩნდება განცდა ხალხურის და ინდივიდუალურის ხაზგასმული თანაარსებობის, სწორედ მკითხველის თვალწინ ავტორისეულის და ფოლკლორულის დაუსრულებელი დიალოგის, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ მჟღავნდება სასიყვარულო თემატიკით და ბავშვობის მოგონებებით შთაგონებულ ლირიკულ მედიტაციებში. ავტორზე დიდი გავლენა იქონია მონღოლური ხალხური სიმღერების თემებმაც და მელოდიებმაც. ამიტომ მისი პოეზია უაღრესად მუსიკალური და სადაა და ცდილობს, ამ მელოდიურობით უკეთ ჩაუღრმავდეს და მიუახლოვდეს ტრადიციულ სულიერ გარემოს, უძველეს მითებს და ლეგენდებს. ჰადაა სენდოო ცნობილია არა მხოლოდ როგორც პოეტი, არამედ – მთარგმნელი და მეცნიერი. ის არის ლიტერატურის პროფესორი მონღოლეთის ნაციონალურ უნივერსიტეტში, მრავალი ლიტერატურული პროექტის ორგანიზატორი, ასევე – მონღოლეთში პოეზიის ყოველწლიური ინტერნაციონალური ალმანახის დამფუძნებელი და რედაქტორი. როგორც ავტორს, მიღებული აქვს არაერთი პრესტიჟული პრემია და მისი ლექსები თარგმნილია თითქმის ყველა ევროპულ ენაზე.

ავსტრიელი პოეტები მრავალტომეულიდან
მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა

ჰუგო ფონ ჰოფმანსთალი (1874-1929)
ალექსანდერ ლერნეტ-ჰოლენია (1897-1976)
ალმა იოჰანა კიონიგი (1887-1942)
პაულა ფონ პრერადოვიჩი (1887-1951)
ინგებორგ ბახმანი (1926-1973)
ვილჰელმ სცაბო (1901-1986)

ცნობები აშშ-ის ავტორთა შესახებ

ეს ლექსები წლების განმავლობაში ითარგმნებოდა სხვადასხვა სალიტერატურო ჟურნალისთვის თუ გაზეთისთვის, შემდეგ კი თავს იყრიდა ჩემი თარგმანების პერიოდულად გამოცემად კრებულებში: *ეროპული და ამერიკული პოეზიის ნიმუშები, I კრებული, 1992; II კრებული, 1993; III კრებული, 2000.* 2008 წელს კი ისინი გავაერთიანე წიგნში *XX საუკუნის ამერიკელი პოეტები.* ტექსტთა მცირე ნაწილი თარგმნილია რუსულიდან, უმრავლესობა კი – ინგლისური ენის მცოდნე ჩემი მეგობრების მიერ ჩემთვის (ჩემივე თხოვნით) მომზადებული პწკარედებიდან. ეზრა პაუნდის, რობინზონ ჯეფერსის, ჯერალდ სტერნის, მარკ სტრენდის და ჯონ ეშბერის ("ცისფრის განსაზღვრება", "ატოშას სადგურის მიტოვება") ლექსთა პწკარედი მომიმზადა ნატო ალხაზიშვილმა; მანვე მომიმზადა პწკარედი დონალდ გრინის ლექსებისა, რომლებიც ადრე არსად დამიბეჭდავს. ჩარლზ ოლსონის, რობერტ დანქენის ("პერსეფონეს" გამოკლებით), ფრენკ ო'ჰარას, ჯეიმს რაითის და კ. კ. უილიამსის – ბელა ნიფურიამ; ჯონ ლოგანის და ლუსილ კლიფტონის – ლიკა მარღანიამ. თითოეული მათგანის მიმართ ღრმა მადლიერების გრძნობით ვარ განმსჭვალული. რა თქმა უნდა, ეს თარგმანები მხოლოდ ლიტერატურული ინტერპრეტაციებია, დაფუძნებული ჩემს კოგნიტურ შესაძლებლობებზე, ლიტერატურულ გემოვნებაზე და ენობრივ პოზიციაზე, და ამ ვითარებამ ნებისმიერი შესაძლო კრიტიკა უნდა მომართოს ჩემსკენ და არა ჩემი მეგობრებისკენ, რომელთა მიერ საგულდაგულოდ მომზადებულ პწკარედებზე მუშაობა ყოველთვის დიდ შემოქმედებით სიამოვნებას განმაცდევინებდა. სათარგმნელად ვირჩევდი ჩემთვის საინტერესო იმ ავტორებს, რომლებიც მანამდე ნაკლებად ან თითქმის არ იყო ცნობილი ახალგაზრდა ქართველი მკითხველისთვის. ავტორები ჩარლზ ოლსონი, რობერტ დანქენი, ჯონ ლოგანი, ჯერალდ სტერნი, ფრენკ ო'ჰარა, ჯეიმს რაითი, მარკ სტრენდი და ლუსილ კლიფტონი თარგმნილია გამოცემიდან: **Contemporary American poetry. Edited by A. Poulin, Jr. 1985 by Houghton Mifflin Company,** ჩემს ხელთ რომლის მოხვედრასაც მწერალ ზურაბ ქარუმიძეს ვუმადლი. ამ პოეტთა შესახებ აღნიშნული ანთოლოგიიდან ამონარიდ ციტატებს ქვემოთ ნარმოდგენილ საინფორმაციო დანართში უზის აღნიშვნა **CAP.**

ეზრა პაუნდი (1885-1972) "დამნაშავე" შემოქმედთა შორის, რომელთა ნაკლებობასაც კაცობრიობის კულტურა არასდროს განიცდიდა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, ისე, როგორც – საერთოდ პოეზიის სამყაროში. მის დანაშაულს, მოკლედ და კონკრეტულად, ფაშიზმთან თანამშრომლობა ნარმოადგენდა. ამ თანამშრომლობის იძულებითი შენყვეტის დროდ 1945 წელი ითვლება, როცა მუსოლინის პოლიტიკის ერთგული დამცველი ეზრა პაუნდი იტალიელმა პარტიზანებმა შეიპყრეს; როგორც ამერიკის მოქალაქეს (მიუხედავად იმისა, რომ ოცდაჩვიდმეტი წელი გაატარა ემიგრაციაში, იგი ყოველთვის ინ-

არჩუნებდა ამერიკის მოქალაქეობას), ბრალი დასდეს სახელმწიფოს ღალატში და სამოცი წლის პოეტი, რომლის დანაშაულიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა, ვაშინგტონში გადაიყვანეს. მაგრამ ვიდრე ამერიკაში დააბრუნებდნენ, ნახევარი წელი პიზასთან სახელდახელოდ შექმნილ ბანაკში ამყოფეს, სადაც ნება დართეს – ხელოვნების სფეროში განსაკუთრებული დამსახურების გამო – თან ჰქონოდა ორი წიგნი. პაუნდის მიერ არჩეული ეს ორი წიგნი იყო: კონფუცის თხზულებათა კრებული და ჩინური ლექსიკონი. პაუნდს ისინი სჭირდებოდა თავის ეპიკურ პოემაზე – Cantos – მუშაობის გასაგრძელებლად. ბანაკში მას ინფორმაციას არ აწვდიდნენ და ომის დამთავრების და ჰიროსიმას შესახებ არაფერი იცოდა. უფრო მეტიც, როცა ვაშინგტონში მიჰყავდათ, ფიქრობდა, - ალბათ, სახელმწიფო დეპარტამენტს იაპონურ კულტურაში გათვითცნობიერებული ხალხი სჭირდებაო. იგი არათუ დამნაშავედ არ გრძნობდა თავს, არამედ გულწრფელად თვლიდა, გაუგებრობის მსხვერპლი ვარო. ერთი პერიოდი იმასაც ფიქრობდა, რომ ამერიკის ხელმძღვანელობას აუცილებელ დახმარებას გაუწევდა სტალინთან ურთიერთობაში; ამ მიზნით, ხელისუფლებას შესთავაზა, რომ რამდენიმე თვეში დაეუფლებოდა ქართულ ენას და სტალინს მის მშობლიურ ენაზე აუხსნიდა ამერიკული კონსტიტუციის უპირატესობას საბჭოურთან შედარებით. ალბათ, ეს ფაქტიც განაპირობებდა (ფაშისტურ პრესაში მისი პუბლიკაციების და რადიოში გამოსვლების ანალიზის შედეგად გაკეთებულ დასკვნებთან ერთად), რომ ბევრი მნიშვნელოვანი ფიგურა – მათ შორის ელიოტი და ჰემინგუეი – პაუნდს თვლიდა არა პოლიტიკურ დამნაშავედ, არამედ – შეურაცხადად. ოთხი კაცისგან შემდგარმა სამედიცინო ექსპერტიზამ კი პოეტს მანიაკალური ფსიქოზის დიაგნოზი დაუსვა, და იგი სასამართლოდან პირდაპირ ფსიქიატრიულ ჰოსპიტალში იქნა გადაგზავნილი, სადაც თორმეტ წელზე მეტი დაჰყო. ამას ხელი არ შეუშლია ჰოსპიტლის "პაციენტისთვის", რომ 1949 წლის გაზაფხულზე ბოლინჯენის პრესტიჟული პრემია მიეღო სწორედ პიზას ბანაკში დანერილი ლექსების ციკლისთვის "პიზური სიმღერები". პრემიის მიმნიჭებელი ჟიურის ცამეტი წევრიდან პაუნდს რვამ მისცა ხმა, მათ შორის – ელიოტმა, ოდენმა და ლოუელმა. ამ ფაქტს თომას მანმა სამიოდე წლის მერე, იუნესკოს კონგრესზე ნაკითხულ მოხსენებაში, შემდეგი სახის კომენტარი გაუკეთა: "გაბედული მხატვარი, ავანგარდისტი ლირიკაში, ისიც ფაშიზმის მკლავებში მოხვდა (მანმა პაუნდის შემთხვევა განიხილა, როგორც ჰამსუნის შემთხვევის ანალოგური; მოხსენებაში ეს ადგილი სწორედ ჰამსუნზე მსჯელობას მოსდევს – დ. ბ.), მის პროპაგანდას ეწეოდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როგორც აქტიური პოლიტიკური მოღვაწე, და თამაში წააგო, ომში დემოკრატიული ძალების გამარჯვების წყალობით. როცა ის დაპატიმრებული და მოღალატედ შერაცხილი იყო, ჟიურიმ, რომელიც ფრიად დამსახურებული ანგლო-ამერიკელი მწერლებისგან შედგებოდა, მას მაღალი ლიტერატურული პრემია მიანიჭა, ბოლინჯენის პრემია, რითაც წარმოადგინა პოლიტიკისგან ესთეტიკური განაჩენის დამოუკიდებლობის დიდებული მაგალითი". თუმცა მწერალი იქვე შენიშნავდა, იქნებ ეს განაჩენი, სინამდვილეში, არც ისე შორს იდგა პოლიტიკისგან, როგორც ერთი შეხედვით ჩანსო, და სვამდა კითხვას, - მიანიჭებდნენ თუ არა ჟიურის ეს ფრიად დამსახურებული წევრები ეზრა პაუნდს პრემიას, ის რომ მოულოდნელად ფაშისტი არ გამხდარიყოო.

ასეა თუ ისე, პოეტის ლიტერატურულ რეაბილიტაციასთან არაფერი ჰქონდა საერთო ამ შემთხვევას. ოცდაათიანი წლებისთვის არა მხოლოდ მისი მნიშვნელობა იყო აღიარებული, არამედ – ისიც, რომ პაუნდის მერე ანგლო-ამერიკულ პოეზიაში არაფერი გაკეთებულა ისეთი, რაც – უშუალოდ თუ ირიბად – მის მიღწევებთან არ იქნებოდა დაკავშირებული. როგორც აღნიშნავენ, სწორედ პაუნდმა მისცა ინგლისურენოვან პოეზიას ის სახე, რომელიც მას დღეს აქვს. გარდა იმისა, რომ პაუნდის იდეებზე და ესთეტიკურ შეხედულებებზე თაობები იზრდებოდნენ, იგი ხელს უმართავდა და იცავდა თავის დროზე ელიოტს და ფროსტს, ჯიოისს და ჰემინგუეის.

პაუნდი ათიანი წლების ავანგარდის ყველაზე ავტორიტეტულ ფიგურას წარმოადგენდა. ის იყო ამერიკულ ლიტერატურაში უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობის, იმაჟიზმის, ლიდერი. 1915 წელს, ოლდინგტონთან და ლოუელთან ერთად, შეადგინა ანთოლოგია სახელწოდებით "იმაჟისტები", რომლის წინასიტყვაობაშიც ამ სკოლის პრინციპებს განმარტავდა და წერდა, რომ იმაჟიზმის ამოცანას შეადგენდა თემატიკის თავისუფლება, თანამედროვე რიტმიკის ძიება, "სწორი" ლექსის უარყოფა და სასაუბრო ენის ფართოდ გამოყენება. პაუნდის აზრით, პოეზიას მეტყველებისთვის უნდა დაებრუნებინა სანყისი აზრი და ამით ხელი შეეწყო რევოლუციური ენის შექმნისთვის, გაეწმინდა ცნობიერება მითებისგან. იმაჟიზმს საფუძვლად დაედო ინგლისელი ფილოსოფოსის და კრიტიკოსის თომას ჰიუმის (1883-1917) ნეოკლასიცისტური თეორია, რომელიც რომანტიზმის თეორიას უპირისპირდებოდა. ჰიუმი უარყოფდა პოეტურ აღმაფრენას და ქადაგებდა ინტელექტუალურ პოეზიას, რომელიც, მისი თქმით, "გარემო სინამდვილის" გადმოცემას კი არ ესწრაფვის, არამედ – იმ სილრმისეული, პირველადი "ობიექტის" რაციონალურ რეკონსტრუქციას, რომელიც თვალსაჩინო საგნობრივი ფორმების უკან დგას. ცნობილი ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე, ამერიკული "ახალი კრიტიკის" მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ჯ. ფრენკი 1945 წელს დანერილ ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავდა, სწორედ იმაჟისტური მოძრაობისგან მიიღო თანამედროვე ანგლო-ამერიკულმა პოეზიამ პირველადი იმპულსი; იმაჟიზმმა მიუთითა გზა ახალი პოეზიისკენ, უარყო რა ვიქტორიანული სენტიმენტალური მრავალსიტყვაობაო. ფრენკის აზრით, იმაჟიზმის ლიდერის, პაუნდის, მიერ მხატვრული სახის განსაზღვრება პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა ნებისმიერი ლიტერატურული კვლევისთვის; "სახე, - წერს პაუნდი, - ესაა ინტელექტუალური და ემოციური კომპლექსის მთლიანობა მოცემულ მომენტში". აქედან გამომდინარე, ასკვნის ფრენკი, პაუნდისთვის სახე არის არა რეალობის თვალსაჩინო აღდგენა, არამედ სხვადასხვა, ერთმანეთისგან დაშორებული, იდეებისა და ემოციების შეერთება ერთიან მთელში, რომელიც წარმოდგენილია სივრცეში დროის გარკვეულ მომენტში; ასეთი ერთიანი მთელი აღიქმება არა ლოგიკური თანმიმდევრობით ენის კანონებთან თანხმობაში, არამედ მკითხველის აღქმას იპყრობს წამიერი, მოულოდნელი ზემოქმედებით. მკვლევარს მოაქვს ამონანერი პაუნდიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ ასეთი ეფექტი – მოვლენის უშუალოდ იმავდროული გამოხატვა – ინვევს "უეცარი გათავისუფლების განცდას; დროით და სივრცით შეზღუდვისგან გათავისუფლების განცდას; უეცარი ზრდის განცდას, რომელსაც ვგრძნობთ ხელოვნების დიად ნანარმოებთან პირისპირ დგომის-

ას". ათიან წლებშივე, უ. ლუისთან ერთად, პაუნდმა შეიმუშავა ვორტიციზმის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა თანამედროვე ცივილიზაციის დინამიკის, მანქანური რიტმისა და ენერგიის, მისი სილამაზისა თუ სიმახინჯის ფორმათა ასახვას (რაც პათოსით ფუტურიზმის ანალოგური იყო).

პაუნდმა, როგორც აღნიშნავენ, ხელახლა აღმოაჩინა ანტიკური, შუა საუკუნეების და აღმოსავლური პოეზია. უძველესი ჩინური პოეზიის ნიმუშებს ამერიკელი მკითხველი პირველად სწორედ მისი თარგმანებით გაეცნო. პოეტს კულტურულ საგანძურთან მიმართების საკუთარი მეთოდი ჰქონდა. ამ შორეულ, ჩვენგან საუკუნეებით დაშორებულ რეალობაში შეღწევას იგი "ნიღბების" შექმნას უწოდებდა. ამოცანა შესრულებულად ითვლებოდა, თუ პოეტის პიროვნება ისე განზავდებოდა წარსულში, რომ იგი წარსულის ორიგინალს დაემსგავსებოდა და "ფრაგმენტ-რეკონსტრუქცია" იქნებოდა. ლიტერატორები თვლიან, რომ ძველი პოეტების ლი ბოს, ვიიონის, ტრუბადურების პაუნდისეულ ინტერპრეტაციებს რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა, მისი არსი თარგმანის საზღვრებს ბევრად სცილდებოდა. ელიოტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პაუნდის მიერ პროვანსული და შუა საუკუნეების იტალიური პოეზიის კვლევას. მისი თქმით, პაუნდმა ამ პოეზიაში აღმოაჩინა რაღაც კონსტანტური ადამიანური ბუნებისთვის. პაუნდის ლექსების 1928 წელს გამოცემული კრებულის წინასიტყვაობაში ელიოტი წერდა: "პაუნდის ნამუშევრებში ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ორი ასპექტი – ლექსთწყობა, რომლის თავისებურებაში მჟღავნდება პროვანსული, შუა საუკუნეების იტალიური, ძველინგლისური პოეზიის, ხოლო შემდეგ – ჩინელი პოეტების და პროპერციოსის გავლენის კვალი; და ღრმად ინდივიდუალური განცდა, რომელიც ყოველთვის როდი მჟღავნდება ლექსთა ფორმალურ სინატიფეში". პაუნდი სწორედ რენესანსამდელი კულტურის გაცნობიერებას მოითხოვდა და უარყოფდა ჰუმანიზმთან დაკავშირებულ ხელოვნებას. დანტეს, ვიიონის, იაპონელი და ჩინელი პოეტების შემოქმედება, მისი აზრით, კულტურას გაათავისუფლებდა "რომანტიზმისგან, ჰუმანიზმისგან და ინდივიდუალიზმისგან", რაც პაუნდისთვის თითქმის სინონიმური ცნებები იყო. ცხადია, ეს არ გულისხმობდა მაღალ ღირებულებებზე უარის თქმას. პირიქით, საქმე ეხებოდა მხოლოდ იმის უარყოფას, რაშიც პოეტი რაციონალიზმისა და უკიდურესი ეგოიზმის დამლუპველ ზემოქმედებას ხედავდა; იგი თავგამოდებით იცავდა, აგრეთვე, ხელოვნების დამოუკიდებელ ღირებულებას. მის მიერ ათიან წლებში შექმნილ ერთ საპროგრამო წერილში ვკითხულობთ: "ნამდვილი ხელოვნება, რამდენად "ამორალურიც" უნდა გვეჩვენებოდეს, ყოველთვის აბსოლუტურად ზნეობრივია... ნამდვილ ხელოვნებას, უბრალოდ, არ შეუძლია ამორალური იყოს. ნამდვილ ხელოვნებაში მე ვგულისხმობ ისეთ ხელოვნებას, რომელიც მართალ მონაცემებს იძლევა და, ამასთან, ცდილობს, რომ მიღწეულ იქნას რაც შეიძლება დიდი სიზუსტე". აღნიშნავენ, რომ ჯოისს ყოველთვის განაცვიფრებდა სიზუსტის ასეთი მოთხოვნა; მას უკვირდა, რომ პაუნდი ხელოვნებისგან შეუძლებელს – პირდაპირ სარგებელს, ცხოვრების შესახებ ხელოვანის ცნობების აბსოლუტურ სიზუსტეს – მოითხოვდა, და ამ მოთხოვნას ამერიკული პრაგმატიზმის გამოვლენად თვლიდა.

პაუნდის მსოფლმხედველობაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი ცნება: მევახშეობა და კულტურა. პირველი თანამედროვე სამყაროს ნივთობრივი აგე-

ბულების გამომხატველია, რაც გაგებულია, როგორც ბუნების ნინაშე ჩადენილი ცოდვა, პოეტური ენერგიის მკვლელობა, გასაყიდად ყველაფრის გამოტანა. ასეთმა ტენდენციამ, ამბობს იგი, დაარღვია სამყაროს დიდი ჰარმონია, შერყვნა ინდივიდის შესახებ უმაღლესი წარმოდგენები და ნამდვილი ფასეულობები, ადამიანური მოდგმა მორჩილ ფარად აქცია, რომელშიც ყველა მონა ერთმანეთის მსგავსია. კულტურა, საპირისპიროდ ამისა, ადამიანის ადამიანურობას იცავს, პიროვნულობას განამტკიცებს და ინდუსტრიის გიგანტურ მანქანას უჯანყდება. კულტურის პაუნდისეული გაგება ენათესავება სიცოცხლის ფილოსოფოსების, მაგალითად ორტეგა-ი-გასეტის მიერ ნამდვილი სიცოცხლის, როგორც "ფუნდამენტური რეალობის" გაგებას.

20-30-იან წლებში პოეტი გაიტაცა კონცეპციამ, რომელსაც თავად მან "იდეოგრამატიკული მეთოდი" უწოდა (შემდეგ ხელახლა რომ აღორძინდა კონკრეტულ პოეზიაში). მას შემთხვევით ჩაუვარდა ხელში ამერიკელი სინოლოგის ე. ფენოლოზას შრომები, რომლებშიც მტკიცდებოდა, რომ იეროგლიფი მხატვრული სახის ელემენტებს შეიცავს, რაც ქმნის სწორედ მის სპეციფიკას, და მას "ბუნებაში მიმდინარე პროცესების ცოცხალ სტენოგრამად" აქცევს; რომ იეროგლიფით შეიძლება ნებისმიერი აბსტრაქტული აზრის გამოხატვა; ამიტომ, წერდა ფენოლოზა, იეროგლიფები "იდეალურ ენას" ქმნიან. პაუნდი უფრო შორს წავიდა. მისი აზრით, ყოველი ორი, ერთმანეთის გვერდით მოთავსებული იეროგლიფი არა მხოლოდ მესამე ენას ქმნის, არამედ ააშკარავებს ყოველი მათგანის მიერ დაფიქსირებულ ახალ ცნებას; ამ დროს არ ხდება საგნობრივი სამყაროდან აბსტრაჰირება. იეროგლიფებში ჩანს ცხოვრების სხვადასხვა რეალია, იეროგლიფებით აღნიშნული ცნება კი ასეთ რეალიებს შორის რაციონალური აზროვნებისთვის მიუწვდომელ კავშირებს ამყარებს. სწორედ ასეთი კავშირების დამყარების მცდელობას წარმოადგენდა "იდეოგრამატიკული მეთოდი". ყველაფერთან ერთად, ეს მეთოდიცა გამოყენებული პაუნდის გიგანტურ პოემაში Cantos, რომლის წერასაც მან ნახევარ საუკუნეზე მეტი შეალია და რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. ამ პოემაზე მუშაობა მან 20-იან წლებში დაიწყო და განაგრძობდა როგორც პატიმრობის, ისე "მკურნალობის" პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პოემას ბევრი ახასიათებს, როგორც გაუგებარს, უკიდურესად ეკლექტიკურს, ბუნდოვანს და ა. შ. (რაც გაპირობებულია იმით, რომ ნაწარმოები დატვირთულია ურთულესი ალუზიებით და ასოციაციებით, მრავალენოვანია, ციტირებულია მასში აურაცხელი – სრულიად სხვადასხვა დარგის – ლიტერატურა), ურიგო არ იქნება, ელიოტის თვალსაზრისსაც თუ მოვისმენთ. "ფორმა და განცდა, - წერს ელიოტი, - პაუნდის პოეზიაში ურთიერთგანმსჭვალვის უმაღლეს ნერტილს აღწევს მის წიგნში Cantos. უნდა გამოვტყდე, რომ იგი ერთი იმ იშვიათ წიგნთაგანია, ჩემს თანამედროვეთა მიერ დაწერილი, რომელსაც წარმოუდგენელი ტკბობით ვკითხულობ". მაგრამ ისიც უნდა დაზუსტდეს, რომ აქ მხოლოდ Cantos-ის 1928 წლამდე შექმნილი ნაწილი იგულისხმება.

დაბოლოს, ხაზი უნდა გაესვას, ამერიკისადმი ეზრა პაუნდის უკიდურეს სიძულვილს. პოეტი თვლიდა, რომ ამერიკული ცივილიზაცია წარმოადგენს ცივილიზაციის უმახინჯეს ფორმას, ეულგარულსა და უგემოვნოს, მერკანტილურსა და უტილიტარულს. როცა ჰოსპიტლიდან გათავისუფლებული პაუნდი

ერთი თვის მერე ნეაპოლს გაემგზავრა, იტალიელ ჟურნალისტებს განუცხადა, მთელი ამერიკა ერთი დიდი საგიჟეაო.

ჩარლზ ოლსონი (1910–1970) პოეტ-ფორმალისტებს შორის ერთ-ერთი იმ მცირეთაგანი იყო, რომლებსაც, მიუხედავად ლიტერატურული ისტებლიშმენტის გადაჭრით უარყოფისა, აკადემიურ საუნივერსიტეტო გარემოსთან კონტაქტი არასდროს შეუწყვეტიათ. უელსისა და იელის უნივერსიტეტებში განსწავლის მერე, ოლსონმა ჰარვარდში დოქტორის ხარისხი მიიღო. სხვადასხვა დროს იყო ბლექ-მაუნთენ კოლეჯის მასწავლებელი და რექტორი, ასწავლიდა ჰარვარდის, ბუფალოს და სხვა უნივერსიტეტებში. გატაცებული იყო არქეოლოგიით და სწავლობდა მაიას და შუმერის კულტურებს, იმ როლის გამოკვლევის მიზნით, რომელიც ხალხის ერთიან ნებას მიუძღვნის ეროვნულ კონსოლიდაციაში. ხალხის "ნებით ერთობაში" ოლსონი ხედავდა როგორც ცალკეული ადამიანის, ისე ისტორიის საზრისს. ამ პოზიციებიდან აკრიტიკებდა იგი თანამედროვე დასავლურ და ამერიკულ საზოგადოებას. ოლსონი ამბობდა, რომ სურდა პოეტური სიტყვის საშუალებით გაეღო ხიდი სოკრატემდელ წინარეისტორიასა და ხვალინდელ პოსტისტორიას შორის. პირველი მიაჩნდა ადამიანის მიერ ყოფიერების სტიქიურ-სინკრეტული, მითოპოეტური განცდის პერიოდად, მეორე — იმ დროდ, როცა განხორციელდება ახალი სინკრეტიზმისკენ, კოსმოსური ცნობიერებისკენ გარღვევა, რამაც უნდა გადაარჩინოს კაცობრიობა.

ოლსონის, როგორც თეორეტიკოსის, გავლენა ომისშემდგომ ამერიკულ პოეზიაზე უზარმაზარია, რაც, ძირითადად, დაკავშირებულია მის ესსესთან "მაპროეცირებელი ლექსი"(1950) და პოემასთან "მაქსიმუსის ლექსები". აღნიშნავენ, რომ "მაპროეცირებელი ლექსი" არის 1945 წლის შემდეგ ამერიკულ პოეზიაში მომხდარი რევოლუციის ცენტრალური დოკუმენტი. ოლსონის აზრობრივი წანამძღვარია დებულება, რომ "არსებით მნიშვნელობაზე" პრეტენზიის მქონე პოეზიამ "უნდა მოიხელთოს და გაითავისოს სიცოცხლის ჭეშმარიტი კანონები და შესაძლებლობები; იმ ადამიანის სუნთქვაც, ვინც წერს, და — იმისიც, ვინც მას უსმენს". ოლსონის აზრით, ლექსის პირველელემენტია არა სიტყვა, არამედ ბგერა და სტრიქონი; სტრიქონის ზომას კი განსაზღვრავს პოეტის სუნთქვის რიტმი თხზვის მომენტში. მემკვიდრეობითი სტრიქონით, სტროფებით და ტრადიციული საფორმო კომბინატორიკით სავსე არამაპროეცირებელ ლექსს ოლსონი უპირისპირებს "ღია", "სივრცობრივი კომპოზიციით" აგებულ მაპროეცირებელ ლექსს, რომელიც კინეტიკის პრინციპს ეფუძნება, ეს კი გულისხმობს შემდეგს: "ველის კომპოზიციური პრინციპები" ლექსს დაძაბულ, ენერგიის გამომასხივებელ სტრუქტურად გარდაქმნის, და ტაეპების და სტრიქონების ხანგრძლივობით განსაზღვრული პაუზების სისტემა ლექსს ანიჭებს კინეტიკურ რიტმს, რაც უზრუნველყოფს მკითხველთან უშუალო კონტაქტს და სინამდვილის ასახვის ადექვატურობას (ცხადია, ოლსონთან საქმე გვაქვს სინამდვილის არაკლასიკურ, წინარეპოსტმოდერნულ გაგებასთან). აქედანაა ლექსის შექმნისა და ნაკითხვის პრინციპიც: "ერთი განცდა მეყსეულად და უშუალოდ უნდა მიგვიძღოდეს მორიგი განცდისკენ". რაც შეეხება ფორმას, იგი მხოლოდ დანამატია შინაარსის და მისგან არ გამოიყვანება.

ოლსონის თეორიულმა შეხედულებებმა შეკრა და გაამთლიანა ბლექ-მაუნ-

თენის ("შავი მთის") პოეტური წარმომადგენლობა. ამ კოლეჯში რობერტ კრილისთან და რობერტ დანქენთან ერთად ლექციებს კითხულობდა ჯონ კეიჯიც. ოლსონის ესთეტიკის დამცველთა შეხედულებები ფიქსირდებოდა გავლენიანი (თუმცა მოკლევადიანი) "ბლექ-მაუნთენ რევიუს" ფურცლებზე. და მაინც, პოეტურ პრაქტიკაში "მაპროეცირებელი ლექსის" პროგრამის ერთადერთ თანმიმდევრულ რეალიზატორად თვით ჩარლზ ოლსონი მიიჩნევა, კერძოდ — მისი მთავარი შრომა "მაქსიმუსის ლექსები". პოეტი ამ ციკლს ორი ათეული წლის განმავლობაში ქმნიდა და, 1953 წლიდან მოყოლებული, სამი კრებული გამოსცა. ამ გრანდიოზული პოეტური ეპოსის ცენტრალური ფიგურაა მაქსიმუს გლოსტერელი, სიტყვების მბრძანებელი, რომელიც თავისი სანყსების საძიებლად მიეშგზავრება და საკუთარი თავი უნდა "მოიპოვოს" "აღთქმულ მიწაზე", იმ მიწაზე, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოს მიერ დაღუპული მსოფლიოს მიღმაა, იქ, სადაც ერთადაა წარსული და მომავალი, — "პოლისი", სადაც ადამიანური ყოფის კანონები თანხმობაშია კოსმოსის კანონებთან. ასეთმა პოლისმა უნდა "გაიღვიძოს" გლოსტერში, რომელიც თანამედროვე ამერიკულმა ცივილიზაციამ კომერციულ დანესებულებად გადააქცია. ისტორიის სიღრმისეული შეგრძნებისა და დიდი ერუდიციის გამო, ოლსონის ამ პოემას მკვლევარები ეზრა პაუნდის სიმღერებს ადარებენ.

ჩარლზ ოლსონი აღიარებულია, როგორც პოსტმოდერნისტ პოეტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ავტორი.

რობერტ დანქენი (დ. 1919-1988) — "ანტიფორმალისტური" ესთეტიკის ნარმომადგენელი (ოლსონთან, კრილისთან, ლევერტოვთან, ბიტნიკებთან ერთად). მის ლექსებში ერთმანეთს ენივთება სიზუსტე და მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლურობა, ინტელექტუალიზმი და მისტიკა, უღრმესი ერუდიცია და მოვლენათა არსის მითური ხედვა. დანქენის პოეზია გამოირჩევა უჩვეულო მუსიკალურობით (რაც სრულიად დაკარგულია ჩვენეულ თარგმანებში), ეზოთერული ლირიკის ტრადიციისადმი ერთგულებით, საგანთა იდუმალი, დაფარული მხარის "თემატიზებისკენ" სწრაფვით. "არა იმდენად კლასიკური და შუასაუკუნეთა მითოლოგიის ანაქრონული გამოყენებით, რამდენადაც — ხელოვნებისადმი ფუნდამენტალური დამოკიდებულებით, დანქენი ცდილობს პოეზია მის უღრმეს სანყისებს დაუბრუნოს — საღვთო წესების რიტუალებს. რობერტ დანქენის ერუდიტული, წინასწარმეტყველური, დროდადრო ჰომოეროტიკული (დიდი ხნით ადრე, ვიდრე სექსუალური არჩევანი პოლიტიკური და ესთეტიკური დავის საგანი გახდებოდა), ლირიკული და, ხშირად, ღრმად რელიგიური ლექსები გაცილებით მეტ იმპულსებს შეიცავს, ვიდრე — "იატაკზე მთვარის შუქის პასაჟები." CAP (თარგმნა ბელა ნიფურიამ). იგი მიჩნეულია ომისშემდგომ ამერიკულ პოეზიაში სიტყვის უდიდეს ოსტატად.

ჯონ ლოგანი (დ. 1923-1987) — განათლებით ზოოლოგი. ლიტერატურაში მისი მოსვლა ემთხვევა ამერიკულ პოეზიაში ანტიფორმალისტური მოძრაობის გაშლას. ლოგანი ერთი შეხედვით შეუმჩნეველი დეტალებისა და ნიუანსების მხატვარია; მისთვის უცხოა საგნებსა და მოვლენებს, ემოციებსა და სტაბილურ მიმართებებს შორის წინააღმდეგობის ძიება, და ურთულესი კავშირ-ურთიერ-

თობების მილმა არსებული კანონზომიერებების ჩვენებას ცდილობს. "ლოგანის ლექსები უკიდურესი ინდივიდუალობით და ბუნებრიობით ხასიათდება, არ იზღუდება სტრუქტურული, თემატური თუ ინტონაციური სტანდარტებით. მისი ლექსები ბუნებრივად სუნთქავენ; ისინი უბრალოდ იწყებიან და ინტენსიურად იზრდებიან თავიანთიეე ემოციური აუცილებლობიდან, როგორც — ადამიანის სუნთქვა ბრძოლის ან სიყვარულის დროს. კონტრაპუნქტის ჰარმონიული ინტონაციების ფონზე, რაც სავსებით ეხმიანება ადამიანის შინაგან სიმთა მრავალფეროვნებას, ეს ლექსები ეპიფანიებად გვეელინებიან. ადამიანის ინტეგრირებული ინდივიდუალურობის გამოცდილების მდიდარი მოზაიკა, საკუთარი მე-დან ამოზრდილი მელოდიური ჯაჭვის ილუმინაციები ჯონ ლოგანის ლექსებში ერთსა და იმავე დროს წარმოადგენენ "გამოუცნობს, როგორიცაა მოწყალება" და "ყურით სასმენელ ბალეტს" CAP (თარგმნა ლიკა მარღანიამ).

ჯერალდ სტერნი (დ. 1925) ამერიკული პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უჩვეულო წარმომადგენელია. ლიტერატურაში იგი საკმაოდ გვიან, თავისი ცხოვრების მეოთხე ათწლეულში მოვიდა, როცა უკვე მიღებული ჰქონდა საკმაოდ რთული ყოფითი და ინტელექტუალური გამოცდილება: მსახურობდა აშშ-ის საჰაერო ძალებში, ბევრი იმოგზაურა ევროპაში, პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ინგლისის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. საპროფესორო მოღვაწეობას პოეტური აღიარების შემდგომაც განაგრძობდა, ლექციებს კითხულობდა პიტსბურგისა და აიჰოვას უნივერსიტეტებში. სტერნს, როგორც პოეტს, არ მოკლებია მრავალი ჯილდო, გრანტი თუ სტიპენდია. მისი შემოქმედება კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. სტერნის პოეტურ ეკლექტიკაში ერთმანეთს კვეთს ბიბლიური ტექსტები, უილიამ ბლეიკი და უოლტ უიტმენი, ალენ გინზბერგი და ფრენკ ო'ჰარა, მისი ესთეტიკა ითავსებს მრავალ პოეტურ ტრადიციას, სიურრეალისტური აღქმისა და წერის ოსტატობით დაწყებული, უხეში რეალიზმის გავლით და ინტელექტუალური, ანალიტიკური ხედვით დამთავრებული. ყველა ეს კულტურული კომპონენტი ლაღად, მსუბუქად გადაედინება ერთმანეთში და საინტერესო პოლისტილისტური თამაშების სისტემაში თავის როლს ასრულებს. და მაინც, როგორც თავად სტერნი აღნიშნავს: "ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს ხელწერაზე, სუნთქვაზე, პიროვნებაზე, შესაძლოა თქვენს რიტმზე, განსაკუთრებულობაზე, უნიკალურობაზე, თქვენს ახირებულობაზე. ეს თქვენი თითის ანაბეჭდია" ამერიკული პოეზიის ანთოლოგიაში, საიდანაც აქ წარმოდგენილი ლექსებია ამოღებული, შემდგენლები წერენ: "შესაძლოა, ჯერალდ სტერნის მოჩვენებითი საიდუმლო უფრო ღრმად მის ექსპანსურობაში იმალება, რადგან ის არის პოეტი, რომლის სამუშაო არა მხოლოდ მოიცავს, არამედ ცდილობს გამოცდილების ემოციური, მორალური და ექსისტენციალური პოლარობების ურთიერთშერიგებას მეტად ინტეგრირებულ ადამიანურ მთლიანობაში" CAP (თარგმნა ნატო ალხაზიშვილმა).

ფრენკ ო'ჰარას (1926-1966), როგორც ბიტნიკური და ანტიფორმალისტური პოეზიის ტიპური წარმომადგენლის, "ქუჩებში გამოტანილი პოეზიის"(ლ. ფერლინგეტი) ადეპტის აღსაქმელად აუცილებელია 50-60-იანი წლების ამერიკაში

შექმნილი სოციალური ვითარების და ქალაქური ეთნოგრაფიის გათვალისწინება. "მისი ყველაზე დასამახსოვრებელი ლექსები, როგორც ოლდენბერგისა და უორჰოლის ნახატები, ფოკუსირებულია ჩვენი ურბანისტული და პოსტურბანისტული სამყაროს საყოველთაოდ ცხად საგნებზე: ჰამბურგერი, ბურახი, სიგარეტი, ხსნადი ყავა. ამ სამყაროს მიღმა ჩნდება მისი საკუთარი რელიგიური სიმბოლოები: ლიხტენშტაინის ზეადამიანური გმირები გაზეთების კომიკური სვეტებიდან და უორჰოლის კინოვარსკვლავები. მათი მითიური პროპორციები იყო და იქნება თანამედროვე ადამიანის ფანტაზიისა და სიზმრების საზომი. უფრო მეტიც, ფრენკ ო'ჰარას ლექსებში იგრძნობა მწველი, ერთგვარად, ისტერიული მელანქოლია ამგვარი გამოცარიელებული რიტუალების აბსურდულობის გამო" CAP (თარგმნა ბელა ნიფურიამ). ო'ჰარას მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული, აქტიურად იყო დაინტერესებული მხატვრობითაც. ეს გამოცდილება აისახა როგორც მის პოეზიაში, ისე — პრაქტიკულ საქმიანობაში: როცა ჰარვარდში ჯონ ეშბერი გაიცნო, მასთან და რამდენიმე სხვა ხელოვანთან ერთად შექმნა ჯგუფი, "ნიუ-იორკელი კოსმოპოლიტებისა", რომლებიც შეისწავლიდნენ ფერნერას. ო'ჰარა იყო, აგრეთვე, ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის საერთაშორისო პროგრამის კურატორი და ჟურნალ "არტ ნიუს"-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი. დრამის მეცნიერული კვლევისთვის მიღებული ჰქონდა ფორდის სტიპენდია.

ჯეიმს რაითმა (1927-1980) ვაშინგტონის უნივერსიტეტში მიიღო ფილოსოფიური განათლება. შემდეგ ვენის უნივერსიტეტში განისწავლა. განიცდიდა რ. ფროსტის და ე. ა. რობინსონის გავლენას. იკელევდა და თარგმნიდა გეორგ თრაკლის პოეზიას, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მის შემოქმედებაზე: მსგავსად თრაკლის ლექსებისა, რაითთანაც მოვლენათა რიგს სახეების რიგი ქმნის და განმსაზღვრელი ხდება არა საგანთა და მოვლენათა ბუნებრივი კავშირები და თანმიმდევრობები, არამედ – ემოციით და განწყობით გამოწვეული ხატების ლოგიკა. "რაითის ლექსებში, როგორებიცაა "თვალი პატიოსანი" და "ჰამაკში წოლისას", "ლოცვა" – ძირითადად 1960-1970-იანი წლების შემოქმედებაში – იხსნება გზები უცნაური, მაგრამ ემოციურად ზუსტი, გულისშემძვრელი სახეებისკენ. უფრო პერსონალურნი, ვიდრე ადრეული ლექსები, ისინი წარმოაჩენენ ქვეცნობიერსა და წარმოსახვაში არსებული ადამიანური შიშისა და სიხარულის საიდუმლო რეზერვებს. უფრო მეტიც, თავად ლექსები ვითარდება სახეთა პლასტების მეშვეობით, სანამ არ გამოიკვეთება სათქმელი უკანასკნელი შთამბეჭდავი სახის ბიძგითა და ეპიფანიის გზით... უფრო გვიანდელ ლექსებში – რომლებიც შეიქმნა 1971 წლის კრებულის გამოცემის შემდგომ – რაითი ეძიებს ქმედით ინტეგრაციას ადრეულ და ბოლოდროინდელ თემებს შორის" CAP (თარგმნა ბელა ნიფურიამ).

ჯონ ეშბერი (დ. 1927) 50-იანი წლების ანტიფორმალისტური ესთეტიკის ადეპტი და პოსტმოდერნული ლირიკის ლიდერია. *"ტენისის კორტის ფიცის"* დაბეჭდვის შემდეგ ეშბერი ცნეს თავისი თაობის ყველაზე ექსპერიმენტულ და ყველაზე გამაღიზიანებელ პოეტად: სიტყვების მონტაჟები და დაუკავშირებელი, ერთმანეთში გარდამავალი სახეები მკითხველის ყურადღებას იპყრობდნენ,

მაგრამ შემდეგ ვერბალური ჰალუცინაციის მსგავსად ქრებოდნენ და ემოციური ბურუსით დამუხტულ ატმოსფეროს ტოვებდნენ. კრიტიკოსებმა იცნეს სტივენსის, ფრანგი სიმბოლისტების და ნიუ-იორკელი მხატვრების შესაძლო გავლენა, მაგრამ კრიტიკის ყველაზე არაორთოდოქსული საშუალებებიც კი დააბლაგვა ამ იდუმალმა პოეზიამ, რომლის სინტაქსი არაფრით არ ემორჩილებოდა განვითარებისა და დამკვიდრებული მნიშვნელობების გამოსაცნობ შეგრძნებას. თუმცა ეშბერის ბოლოდროინდელი ლექსები უფრო მისაწვდომი და გასაგები გახდა, კრიტიკოსების უმრავლესობა კვლავ საგონებელშია ჩავარდნილი, და ისეთ რთულ ახსნას გვთავაზობენ, რომ მათთან შედარებით ეშბერის ლექსები სრულიად გამჭვირვალედ გამოიყურება" CAP (თარგმნა ნატო ალხაზიშვილმა). თვით ეშბერი კი აღნიშნავდა: "ჩემი ლექსების უმრავლესობა გამოცდილების განცდის შესახებაა... თავად გამოცდილება უფრო ნაკლებ მაინტერესებს, ვიდრე ის, თუ როგორ მოჟონავს იგი ჩემსკენ. მე მჯერა, რომ ეს უამრავ ადამიანს ემართება, და ვცდილობ განზოგადებულად ჩავწერო ყველაფერი, რაც ნამდვილად ხდება ჩვენს გონებაში მთელი დღის განმავლობაში" CAP (თარგმნა ნატო ალხაზიშვილმა).

ჯერომ როტენბერგი (დ. 1931) ნიუ-იორკში კოლეჯის დამთავრებისა და მიჩიგანის უნივერსიტეტში სწავლის მერე ორი წელი აშშ-ის არმიაში იმსახურა და უმაღლესი განათლება კოლუმბიის უნივერსიტეტში დაასრულა. ლიტერატურული საქმიანობა დაიწყო გერმანული ენიდან შესრულებული პოეტური თარგმანების გამოქვეყნებით, 1958 წელს კი ფერლინგეტის თხოვნით თარგმნა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანელი პოეტები. ამერიკელმა მკითხველმა სწორედ მისი თარგმანებით გაიცნო პაულ ცელანის, ინგებორგ ბახმანის და გიუნთერ გრასის შემოქმედება. იმავე პერიოდში როტენბერგი სარედაქციო სამუშაოებს ასრულებდა ჟურნალში *Poems from the Floating World*, სადაც იბეჭდებოდნენ რობერტ ბლაი, დენიზ ლევერტოვი, გარი სნაიდერი, რობერტ დანქენი და სხვები. პარალელურად იკვლევდა საუკუნის დასაწყისის ავანგარდს და გერტრუდა სტაინის შემოქმედებას, ნაყოფიერად მუშაობდა ექსპერიმენტულ პოეზიაში და ლიტერატურის თეორიაში. ე. წ. "პრიმიტიული" და თანამედროვე პოეზიის შედარებით ანალიზში მისი ძიებები კი 1968 წელს დაგვირგვინდა პრიმიტიული და არქაული პოეზიის უნიკალური ანთოლოგიის გამოცემით. ამან, თავის მხრივ, სათავე დაუდო როტენბერგის მიერ ეთნოპოეზიის და რეზერვაციებში მცხოვრებ ინდიელთა სარიტუალო სიმღერების შესწავლას; შეიმუშავა ამ სიმღერების თარგმნის საკუთარი მეთოდიც, ე. წ. "სრული თარგმანის" მეთოდი, რაც გულისხმობდა ყველა ერთი შეხედვით უაზრო სიტყვის თუ გამოთქმის შენარჩუნებას და რთულ ეტიმოლოგიურ ნიაღსვლებს. 70-იან წლებში მან, თანამოაზრეებთან ერთად, დააარსა ჟურნალი ლცჰერინგა, რომელიც მთლიანად ეთნოპოეზიებს ეთმობოდა. ამავე პერიოდში დაიწყო მან ებრაული პოეტური სიძველეების კვლევა, რაც ასევე კაპიტალური ანთოლოგიის გამოცემით დასრულდა. სწორედ უძველესი პოეტური და მისტიკური ტრადიციების კონტექსტში იკვლევდა როტენბერგი თანამედროვე ექსპერიმენტულ პოეზიას. ევროპული ავანგარდის საკვანძო ფიგურების – პაულ ცელანის, ჰ. მ. ენცენსბერგერის, კურტ შვიტტერსის, ოიგენ გომრინგენის და გარსია ლორკას მის-

მიერი თარგმანი-ინტერპრეტაციები უნიკალურია იმის გამოც, რომ ისინი სისტემურად ასახავენ მის "ისტორიცისტულ" პოზიციას. თვით როტენბერგის ორიგინალური შემოქმედება არანაკლებ ცნობილია, ვიდრე – მისი თეორიული, საგამომცემლო და მთარგმნელობითი მოღვაწეობა.

მარკ სტრენდი (დ. 1934) — პოეტი და მეცნიერი, რამდენიმე უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხის მფლობელი. იყო ფულბრაიტის სტიპენდიანტი ფლორენციის უნივერსიტეტში. ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას ამერიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1981 წელს აირჩიეს ამერიკის აკადემიისა და ხელოვნების და ლიტერატურის ინსტიტუტის წევრად. მარკ სტრენდი, მისი თაობის მეორე ამერიკელი პოეტის ელიზაბეტ ბიშოპის მსგავსად, პირდაპირი რეპორტაჟის ტექნიკას მიმართავს. სტრენდის პოეზიის თავისებურებას წარმოადგენს აქცენტის გაძლიერება სიზმრებისა და არაცნობიერი მდგომარეობების დრამატულ კონფიგურაციებზე, კოლექტიური არაცნობიერის არქეტიპულ სიმბოლოებზე. მის ლექსებში ხელშესახები და კონკრეტული ფიგურები ბუნებრივად უერთდება სიზმრის სამყაროს. იმათ შორის კი, ვინც ხატების წყაროდ არაცნობიერსა და ფსიქოანალიტიკურ კულტურას იყენებს, სტრენდს გამოარჩევს ირონიის დიდი ნილი. "მარკ სტრენდის ლექსებში დრამატული სიტუაციის შემქმნელი ლირიკული გმირი, როგორც ჩანს, მატარებელია ზედმიწევნით ცნობიერი ინფორმაციისა იმის შესახებ, რაც აღიწერება. ეს ცნობიერი ინფორმაცია აწესრიგებს მოქმედების განვითარებას და წარმოქმნის ხატების ემოციურ ზეგავლენას, რაც შესაძლებელს ხდის ენერგიის წყაროდ ქვეცნობიერის ყველა ტალღის გამოყენებას. ზოგჯერ, ეს ყველაფერი იუმორის ზღვარზეა. ასე რომ ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ მისი მრავალი ლექსი კონტროლირებად მგრძნობელობას ასახავს, რასაც შეიძლება ირონიული სულიერება ეწოდოს. სხვა, ასევე დამახასიათებელი თავისებურებაა ის სივრცულობა, რომელთან მიმართებაშიც გმირი ამ მგრძნობელობის ზედაპირული აგებულების ყველა კვალის შეგნებული განადგურების შედეგია. სხვა სიტყვებით, ეს ლექსები გვთავაზობენ უფრო არსებობის, ვიდრე თანხლების ეფექტს." CAP (თარგმნა გვანცა ანანიაშვილმა). სტრენდის შემოქმედებაში ცენტრალური თემაა არყოფნის შიში, მოსასვლელი არყოფნის წინაშე შფოთი, რაც იოლად გადადის არყოფნის ჟინში, რაც ნიშანდობლივია ავტორისეული ხედვისთვის. თვით სტრენდის აზრით, სწორედ ასეთი არყოფნის პირისპირ დგომა ხდის შესაძლებელს აღქმულის გამონაშუქის დანახვას.

ჩ. კ. უილიამსმა (დ. 1936 წელს) განათლება მიიღო ბაქნელისა და პენსილვანიის უნივერსიტეტებში. ფართო პროფესიულმა დიაპაზონმა უილიამსს მრავალმხრივი საქმიანობის, მრავალ სფეროში მოღვაწეობის საშუალება მისცა, რასაც არა იმდენად ყოფითი აუცილებლობა, რამდენადაც მისი პიროვნული, სულიერი ინტერესები განაპირობებდა. იგი იყო რედაქტორი და რეფერენტი — ამზადებდა სტატიებს, ბუკლეტებსა და გამოსვლებს ფსიქიატრიისა და არქიტექტურის დარგში, ასწავლიდა მწერლობასა და შემოქმედებას მრავალ კოლეჯსა და უნივერსიტეტში. უნიკალურია უილიამსის, როგორც პოეტ-თერაპისტის მოღვაწეობა. მან შეიმუშავა და პრაქტიკულად განახორციელა პოეტური თერ-

აპიის პროგრამა ემოციური დარღვევების მქონე პაციენტებისთვის პენსილვანიის საავადმყოფოში, ფილადელფიაში. აქვე მუშაობდა თერაპისტად გარდატეხის ასაკობრივი დარღვევების მკურნალობის დარგში. 1971 წელს უილიამსმა მიიღო გუგენჰეიმის სტიპენდია, 1983 წელს — "პარი რევიუს" პრიზი. ამჟამად არის ინგლისური ენის პროფესორი მეისონის უნივერსიტეტში.

მართალია, ამერიკული პოეზიის არსებითი ნიშან-თვისებაა შიშველი და უხეში ხედვა, ადამიანური ტკივილებისა და უარყოფითი ემოციების საწყისების ძირისძირში წვდომა, სოციალური ორაზროვნებისა და ყველაზე უფრო მახვილგონივრული ნიღბების მწარე კრიტიკა, მაგრამ მისთვის, ასევე, დამახასიათებელია გამოსავლის, გარკვეული შვებისა თუ საშველის ძიება თვით ამ კრიტიკული საქმიანობის პერმანენტულობაში, განმარტოების მცდელობებში, თეოლოგიური მედიტაციების პრაქტიკაში, ჰუმანურ ან სასტიკ იუმორში. უილიამსის პოეზია ყველა ამ ტრადიციისგან გამორჩეულია არა მხოლოდ იმით, რომ "ალბათ, ომის შემდეგომ არც ერთ სხვა ამერიკელ პოეტს არ წარმოუჩენია ასე პირდაპირ, განუხრელად და დაუნდობლად ტკივილის, როგორც ადამიანური გამოცდილების საყრდენი წერტილის, სხვადასხვა დონე და განზომილება"(ა. პაულინი, CAP), არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მან მოინდომა შინაარსის სფეროდან ფორმის, ენის სფეროში ამ გამოცდილების გადასროლა. ანუ, მან სცადა არა, უბრალოდ, ამ ტკივილებისა და უსასოობის გამოთქმა და აღწერა, არამედ თვით ამ აღმწერი პოეტური ენის, სიტყვათა რიგის, პროპოზიციული შრის, სამეტყველო სფეროს, როგორც ყოფითი მოდუსის ჩვენება. მართივად რომ ვთქვათ, უილიამსმა სცადა, ადამიანური ყოფის დრამატული გამოცდილება მიემართა ენისკენ, ყოფითი გამოცდილება გამოეყენებინა ენობრივი გამოცდილების ალსაწერად. ასე რომ, მისი პოეტური სისტემის ერთი მთავარი მიზანია არა იმის ჩვენება, თუ როგორ სტკივათ ადამიანებს, არამედ იმის წარმოჩენა, თუ როგორ სტკივათ სიტყვებს, როგორ სტკივა ენას, რომელიც ამ ტანჯვის, ამ სასონარკვეთის თვითმხილველია. აქ თვით პოეტური ენა, როგორც ტკივილის ხერხემალი, აღიბეჭდავს ძირითად ბიძგებს და შეჯახებებს; აქედან გამომდინარე, ირყევა სინტაქსი, ხდება უხეში და თვითნებური, გამსხლტომი; ხდება საკომუნიკაციო ლოგიკის უარმყოფელი და მოწოდებული სწორედ თავისი რყევების მდგომარეობაში. "როგორც ჩანს, ჩვენმა მტანჯველმა საყოველთაო მდგომარეობამ, როცა ყოველი მხრიდან განადგურების საფრთხე გვემუქრება, უილიამსს მიანიჭა შესაბამისი გულგრილობა იმ გამომგონებლობისა და ხელთქმნილობის მიმართ, რასაც, ჩვეულებისამებრ, მოველით ხოლმე პოეზიისგან. მის ადრეულ ლექსებშივე იჩინა თავი იმ წესმა, რომლის მიხედვითაც ენა უნდა გაშიშვლდეს, თუნდაც — მის ძირითად სინტაქსურ კანონებამდე. მერე და მერე ეს პროცესი უფრო შორს წავიდა — იგი უარს ამბობს, დაემონოს სინტაქსის ფორმალურ წესთა დინებას"(ა. პაულინი, CAP). უილიამსის ტონალური ლექსი მოკლებულია როგორც გამომსახველობას, დისკრეტულ მეტაფორისტიკას, ისე — სენტიმენტალურ ხედავს; აგრეთვე, მოკლებულია სურვილს, რომ მკითხველს გული აუჩვილოს, ემოციური განტვირთვის სავარჯიშოები შესთავაზოს და შეგუების ნაირ-ნაირი ხრიკი და თვალთმაქცობა გაამართლებინოს.

ლუსილ კლიფტონი (დ. 1936-2010) — პოეტი და სცენარისტი. მრავალი სხვა

ზანგი ლიტერატორის მსგავსად, იგი საკუთარ გამოცდილებას გაიაზრებს ამერიკაში ზანგური გამოცდილების განსაკუთრებულობის ფონზე; უხვად სარგებლობს ზანგური დიალექტით. კლიფტონის პოეზიაში ერთმანეთს უკავშირდება საგანგებოდ ნინ ნამონეული სექსუალობა და ეთიკური მოტივები, პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობა. ასევე, ჰარმონიულად თანაარსებობს მასთან სერიოზულობა და იუმორი, სასონარკვეთა და სიხარული. "ლუსილ კლი-ფტონის ლექსების ყველაზე ღირსშესანიშნავი თვისებაა დახვეწილი ლაკონიზმი. კლიფტონი, ემილი დიკინსონის მსგავსად, იშვიათად გვთავაზობს რაიმეს გარდა გულმოდგინედ დამუშავებული და დახვეწილი გამოცდილებისა. მაგრამ მისი ლექსების პოეტური ჟღერადობის გასაღები სხვაგან უნდა ვეძიოთ: ზანგურ სპირიჩუელსა და ოდინდელ ფოლკლორულ სიმღერებში; რიტმისა და ბლუზის მდიდარ ტრადიციებში; ყოველივე ზანგურის ძირეულ აღორძინებაში და მაგიური შელოცვების რიტმსა და ჟღერადობაში, კლასიკოსი ზანგი იუმორისტების გამოთქმების თანადროულობაში; ენის უკიდურესად ფიზიკურ შეგრძნებაში (იოლია თვალის მიდევნება, როგორ გადმოსცემენ მისი ლექსები სხეულის მოძ-რაობათა თანმიმდევრობას)" CAP.(თარგმნა ლიკა მარღანიამ).

მაიკლ პალმერი (დ. 1943) – პოეტი, ქორეოგრაფი, რადიოპიესების ოსტატი და კალიფორნიის *ახალი კოლეჯის* საპოეტო განყოფილების მასწავლებელი. მისი პოეზია, ძირითადად, "შავი მთის სკოლის" ესთეტიკას იზიარებს და "მაპროეცირებელი ლექსის" ტრადიციას ავითარებს. ავტორი თავისებურად გაიაზრებს ოლსონის თვალსაზრისს, რომ ფორმა შინაარსის პროექცია უნდა იყოს. მის ლექსებში განცდის უშუალობა მთლიანად სიტყვებს შორის წარმოქმნილი დაძაბულობითაა გაშუალებული და შემოქმედებითი სუბიექტივიზმი განსაზღვრავს ემოციების თანმიმდევრობის ლოგიკას. მიუხედავად მისი პოეზიის ანალიტიკური ბუნებისა, იგი ითვლება უაღრესად ლირიკული ხედვის ავტორად, რომლის გაელენაც გერტრუდა სტაინის ტრადიციის გამგრძელებელ ამერიკულ ექსპერიმენტულ ლიტერატურაში განსაკუთრებულია. პალმერი იკვლევს ენის როგორც პროცესის ბუნებას, თუნდაც იმ სინტაქსურ ცვლილებებს, რომელსაც ენა ნებისმიერი საგნის აღნერის დროს გადის.პალმერი თარგმნის,ამავე დროს, რუს და ბრაზილიელ პოეტებს, აქვეყნებს ნაშრომებს ცეკვის თეორიის პრობლემებზე.

ელიოტ უაინბერგერი (დ. 1949) – ძირითადად ცნობილია, როგორც ინგლისურად ოქტავიო პასის შესანიშნავი მთარგმნელი. მანვე თარგმნა ბორხესის და სხვა ესპანურენოვანი ავტორების შემოქმედება. განსაკუთრებულია მისი ყურადღება აღმოსავლური, კერძოდ ჩინური პოეზიის მიმართ. ამ მიმართულებით მისი საქმიანობა 2003 წელს კლასიკური ჩინური პოეზიის ანთოლოგიის გამოცემით დაგვირგვინდა. უაინბერგერი არის ასევე მრავალრიცხოვანი ესსეს ავტორი. ეს ესსეები წლების განმავლობაში გამოდის წიგნებად და მათი ჟანრი ისევე ძნელად განსასაზღვრია, როგორც აქ წარმოდგენილი მისი ტექსტის.

დონალდ გრინი (დ. 1960) - ამ ავტორის ლექსები, რამდენიმე ფერად ფურ-

ცელზე დაბეჭდილი და აკინძული, რომელსაც ავტორი ქუჩაში ყიდდა, ჩემმა მეგობარმა ნატო ალხაზიშვილმა შეიძინა და ჩამოიტანა ნიუ იორკიდან 1988 წელს. ავტორის თანდართულ შემოქმედებით ბიოგრაფიაში მითითებულია, რომ მას ანთოლოგიებში ლექსები გამოუქვეყნებია უმნიშვნელოვანეს ამერიკელ ავტორებთან ერთად. სწორედ თვითნარდინების ამ სასონარკვეთილმა ფორმამ გადამაწყვეტინა მაშინ, ავტორის ხმა ქართველი მკითხველისაც გაეგონა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ეს მწირი თარგმანები აქამდე ვერსად გამოვაქვეყნე. ბოლო დროს კი ინტერნეტში ავტორთან, "ქუჩის პოეტთან"(როგორც ის თავის თავს უწოდებს) მრავალ-მხრივ საინტერესო ინტერვიუ აღმოვაჩინე:
http://www.youtube.com/watch?v=q0C9Egp6RF0

სარჩევი

აღმოსავლური და ევროპული პოეზია

უცნობი ავტორი
სიცოცხლით დაღლილი კაცის საუბარი საკუთარ სულთან 7

ძია ი
ოდა ბუსადმი 11

ბოძან ბუნგაკუს პოეზია 15

ულრიხ ცვინგლი
ჭირის სიმღერა 23

ანდრე ბრეტონი
სიფხიზლე 26
შენს ადგილზე მე არ ვენდობოდი ჩალის რაინდს... 27
მზესუმზირა 28
1934 წლის მშვენიერ შუადღეს... 29
რამდენიმე სამაგრი 30
გზად სან რომანოსკენ 31

რაიმონ კენო
სასჯელი 33
ბუზები 33
ლუტეცია, ზაფხული 34

მიშელ ბიუტორი
შემხვედრი ნაკადები 35

ანრი დელუი
ციკლიდან "ოცდაოთხი საათი და ზღვა ბალიში" 36

ემანუელ ოკარი
მე 42
9 დეკემბერს ჩანაწერი 42
27 დეკემბერს ჩანაწერი 43
28 ივნისს ჩანაწერი 44
შენ სითეთრე ხარ ფურცლის მინდორთა 45

ოლივიე კადიო
(n-1) 46

ტრისტან ცარა
დადას სიმღერა 50
გიიომ აპოლინერის სიკვდილი 52

ფილიპო ტომაზო მარინეტი
ავიატორ-ფუტურისტი მიმართავს თავის მამას, ვულკანს 53

ალდო პალაცესკი
უნდა ვიცელქო 55

არდენგო სოფიჩი
გზაჯვარედინი 59
საველე ჰოსპიტალი 026 60

ალფრედო ჯულიანი
გამოჯანმრთელება 61
ცისფერი პარასკევი 61
ისინი უნდა გავაფრთხილოთ... 62
კვირადღე ნვიმის მერე 63

ნანი ბალესტრინი
ფრაგმენტი A² პოემიდან "დაკიდებული ქვა" 64

ელიო პალიარანი
გოგონა, სახელად კარლა 65
სასნავლო გეგმა. პარაგრაფი პირველი 66
საკმაო საფუძვლები სასონარკვეთისთვის 67

ედუარდო სანგვინეტი
ო (თქვა მან), შენ თუ სტრიქონს მაინც მომწერ... 70
ისლუკუნე, ისლუკუნე... 70
ეს ჩექმებიანი კატაა... 71

ფერნანდო პესოა
უთავბოლო ლექსები 72
მისალმება უოლტ უიტმენს 75
ყველა სატრფიალო ბარათი... 80

ჟორჟი დე სენა
ეპილოგი 81
ქალაქი 81
გადამფრენი ფრინველების შესახებ 82
ნათლობა 82
თეოლოგიური ჯამი 83
ბედნიერება 83

მონანიება 84
მარადისობა 84
ჰიმნი 85
იქ, სადაც არაფერია 86
დაუფლება 87
ხელოვნური სამოთხე 88

სემუელ ბეკეტი
Cascando 89
მოდიან... 90
მე რას ვიქმოდი ცივ უსახურ უამსამყაროდ... 91
ჩემი გზა როგორც ქვიშა კენჭებზე... 91
მინდოდა ჩემი სიყვარული გარდაცვლილიყო... 92
სიმღერა რეფრენით 92
იქით 93

პატრიკ ფელონი
კუნძული 94
შესაძლოა, იეიტსი ეტერნიში იყო ნამყოფი 95
ქალები 97
მიძინება 98
ველად ნანახი 99

ლუ ი ქსიაობო
შენ მელოდები მტვერთან ერთად 101

ივან გოლი
ასტრალი 103

რაულ ჰაუსმანი
ჩიტური 112
რლქს 112
Opossum 113

მარია ლუიზა კაშნიცი
შენი დუმილი 114
არდაკარგვადი 114
მე და მე 115
ინტერვიუ 116
არავინ 117
წერით 117
დასასრული 118
ზამთრის ნაყოფი 118

ვოლფგანგ ბორხერტი
მაშინ ესღა გრჩება! 120

ნელი ზაქსი
ნაშუალამევის გუნდნი 123

პეტერ ჰანდკე
რა არ ვარ, არ მაქვს, არ მსურს, არ მინდა 136
ზოგიერთი ალტერნატივა ირიბ მეტყველებაში 138

ინგო ცეზარო
უფრთოდ 140
დატყვევება 141
ფიქრები გაქცევაზე 141
სრულიად უცხოთა შესახებ 142
გრძელი დანებით 143
შუშის ანგელოზები 144

უვე ჰერმსი
დავდივარ 145
მზე 147
სიყვარულის ახსნა 147
ჩემი ცოლის თვალი 148
მონყალე მექმენ, რუხო ქაღალდო, 149
ჩემი მარცხენა თვალი 149
კურდღლის თვალი 150

ული როთფუსი
ახლა დღეები, უკვე ნათელშემატებული 151
დილის პირველი შუქი 152
სილურე გარეთ 152
შავი ცეცხლი 153
და შენი სიცილი 154
ეს თვალები 154

ჰანს ციბულკა
მენე თეკელ 156
პოეზია 157
მე-20 გამოშვება 158
აღმატებულებები... 159
ავტოპორტრეტი 160
ეპილოგი 160

აძსელ შულცე
ედმუნდ კ. 162
ჰარცის ხედი 163
სიტყვა მოულოდნელი სტუმრისადმი 163

რუდოლფ ოტო ვიმერი
გრძნობის გამომხატველი სიტყვები 164
განუსაზღვრელი რიცხვითი სახელები 164
დროითი წინადადებები 165
ფლობისმაჩვენებელი ნაცვალსახელები 165

თომას გიუნთერი
შენი დანაკარგების კვალი 167
გამძვინვარება სექტემბერში 168
ჰაიკეს 169
პარალელური გადაადგილება 170
ძილ-ღვიძილი 171

ურს მ. ფიხტნერი
ლაურა, უცხო ბუენოს აირესში 172
განგაში წყვდიადში 172
ევა მარია. გავლით — ჰაიდელბერგში 173
შეზღუდვებით ნებადართული 174
უძირითადესი მონარჩენები 174

ზაშა ანდერსონი
დღეები დათვლილია... 175
ის მოდის ჩემს საფლავთან... 175
ცინვალდსა და კინოფეას შორის... 176

ხრისტა მოოგი
ხელქვეითი ვარ 177
"42-ის ივნისში ვმგზაერობდი 177
Wos'n Vater? 178
ყველა ჩემზე უნდა ლაპარაკობდეს 178

იან ფაქტორი
პრაღელი მოხუცის ლექსები 180

რუდიგერ როზენტალი
ეს ხდებოდა ისე უბრალოდ 186
ნახტომი 187
ბოლლერსდორფული ელეგია 187

კრაუსი

საზღვრის გადაკვეთა 188
ადამიანში ჩასახლებული ძრწოლა 189
მომავლის ლანდშაფტი 190
რუსული ნანნავი 190
ურანოსი II 191

ლუდვიგ ლეგე

მე პოეტი ვარ... 192
მე ერთ-ერთი იმ თანამედროვეთაგანი ვარ... 193
გადაბერებული მარტოსული ხე ვარ... 194
ეს მოწყენილობის სოციოლოგიაა... 194
ტუმორი ჩემს თავში შედგება დაუწერელი ლექსებისგან... 195
სიტყვები გრძელ ჩრდილებს წარმოქმნიან... 196
ჩემი ფიქრები დანაა, რომლითაც მე კანზე ლექსებს ვწერ... 197
ჩემი თავის აკვარიუმში... 198
ჯაჭვის პერანგქვეშ... 199
არ არიან, ვისაც მე ვეძებ... 199
იშვიათმა ავადმყოფობამ შემიპყრო... 200
არაფერი მომხდარა გარდა ჩრდილების ცვლილებისა... 201
ის თავის შავ სუნთქვას შემომასუნთქავს ნამწამებზე... 202
იშვიათი სტიგმა მიჩნდება შუბლზე 202

მიუნსტერელი ავტორები

კარლ ვოლფი 204
ვერნერ კლიოპერი 208
ინგრიდ ჰენიესი 214
დიტერ რადტკე 217
ბეატე მარია კრუხენი 221

მარიანა გრუბერი

არ მსურს მოვყვე... 227
გახსენება 227
ხელში გყავდი ატატებული... 228
აუცილებელია სიჩქარე... 228
ვინ ხარ შენ 229
ყველას თავისი მოჩვენება ჰყავს... 230
მნუხრის ჟამს... 230
დაახლოებით 1960 წელი 230
ჩვენი დრო... 231
ჩიტები 231
მერე კი არა... 232
ისინი ღამით მოდიან და ახარისხებენ... 233
პრომეთეოსი 233

ტბაზე ვარ და... 233
ქალაქი... 234
სიცარიელის უკან... 234
შეიძლება მოხდეს, გავიდე... 235
წერილი 235
სურათებად დაჩეხილი სამყაროს ხსოვნა... 236
ჩემი ბაღი არსად გაშლილა... 236
ის სოფლის შარებს დასდგომოდა... 237
მზის საათი... 237
მინდოდა ჩემი ბავშვობის და... 238
იქ სადაც უკვე არაფერი აღარ დგას მყარად... 238
შიშველი... 239
ავი ისურვო ნიშნავს ისურვო... 239
ეს ლომი, შენში არსებული... 240
მოვაო, თქვეს მათ... 240
ძროხა, რომელმაც არსებობა შეგვინარჩუნა... 240
სიწყნარე იყო დღეს მთელი დღე... 241
ისინი ისევ ბრაგუნობენ... 241
არ აქვთ სამხილი... 242
მე ისინი მეუბნებიან... 242
მთელი დღეები თოკებზე ვართ... 243
ვართ თუ არა, მე ეს არ ვიცი... 243

მანფრედ ხობოტი
შიშის ოდა 244
თანამედროვენი 245

ანტონიო პორჩია
ხმები 246

მარკ შაგალი
სამშობლო 263
იაკობის კიბე 264
ჩემი ცრემლები 264
დიდი ხანია 265
ბაღი 267

გენადი ალექსეევი
ვბერავთ ლოყებს... 268
ყველაფერი რაც გაქვს... 268
კითხვები და პასუხები 269
სასწაული 270
პორაჟენელი 271
ზოგი რამ ჩემი ძველი ძმაკაცის ფრანსუა ვიიონის შესახებ 271
მიდიოდნენ 272

ვასილი კონდრატიევი
ჯარისკაცის სიკვდილი 263
საპარკეტო ლექცია 274
უდაბნოს დამფასებელი 275
ორთა ხე 276

არკადი დრაგომოშჩენკო
სნრაფი მზე 277

ტადეუშ კანტორი
"თავიდანვე მიმაჩნდა..." 280

ანჟეი გურსა
არარა 287
რწმენა 288
სიკვდილი სულ სხვანაირად ნარმომედგინა... 289
შენ იცი ყველა ჩემი ხრიკი... 290
სამგლოვიარო სიტყვა 291
მათხოვრობის გამართლება 291

ჰადაა სენდოო
ბავშვობა 294
გაზაფხულის პირველი სიზმარი 294
ფესვები 295
ხანგრძლვი მონგოლური ჰანგი 295
კოცნა 296
საზღვარი 297
სანგიინ დალაი 297
ჰუითენ შილი 298
მონღოლური იურტა 298
ოთხი სეზონის ჩანახატი 299
ქარი 299
სიჩუმე 300
პლატოს მზე 300
ნომადები 301
ზღვის გადასერვა 301
ჩრდილოეთის ზამთარი 302
თოვლის არენა 302
უნყების გაგზავნა 303
ექო 303
გამოღვიძება ეს-ესაა... 304
ტყუილია რომ... 304
თეთრი ღამე 305
დავიწყებული იმპერიები 305

შენი ღიმილი 306
შებინდებისას ვენის გავლით 306
თვალები 307
მდინარე ჰარაა 307
მიწა, ცა, მდინარეები და მე 307
მდინარე ხერლენი 308
სხვა ცაში 308
დამოკიდებულება 309
მოგონებები 309
ესენინს 310
პასს 311
ლანდშაფტი 312
პირველი წვიმა 312
ყარაყორუმი 313
ღამის სტეპი 313

თარგმანები მრავალტომეულისთვის მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა

ჰუგო ფონ ჰოფმანსთალი

რაა სამყარო? 317
სამყარო და მე 318

ალექსანდერ ლერნეტ-ჰოლენია

გერმანეთი 319

ალმა იოჰანა კიონიგი

მწუხარე ოდა 331
ფაუსტა 331
მიმწუხრზე 332
ფაუსტა დედოფალ პოპპეას 332
შეხვედრა 333
ლუკანუსი ფაუსტას 333
ლუკანუსის შეურაცხმყოფელი ნერილი 334
ლუკანუსი ფაუსტას 334
ჰორტალუსი ფაუსტას 334
სარკის წინ 335
ლუკა 336
საზღაური 336
სახლი გაზაფხულზე 337
ყოველდღიურად 338
უგვანი ქალი სილამაზეს 338
ლოცვა 339

პაულა ფონ პრერადოვიჩი
ელეგია თანალმობის შესახებ 340
ელეგია მარტომყოფისადმი 342
ელეგია შორეთის შესახებ 344
ელეგია დაკარგული დროის შესახებ 346
ქება სილრმისა 350
ელეგია ადამიანის გულისადმი 351
ალპბახური ელეგია 353

ინგებორგ ბახმანი
ასწრაფდი, აზრო! 357

ვილჯელმ სცაბო
უთარგმნადი 358
სერგეი ესენინს 358
დაკრძალვის მერე 359
მე ბინა მიდევს ამ სამყაროში 359
ისევ ისეთი ღარიბი გახდე 360
მთვარე, ჩაკბეჩილი ხილი 360
ღამე სოფლად 361
ერთდროულობა 361
შენ ნეხვს ქექავდი. რატომ წუწუნებ 362
ყაზანელი ქრისტე 363
სოფელი-საპყრობილე 363
განსვლა 364

ამერიკული პოეზია

ეზრა პაუნდი
წარგზავნა 369
ბოშა 370
დამატებითი მითითებანი 370
DE AEGYPTO 371
მედალიონი 372
ძველი სიბრძნე, რამდენადმე კოსმიური 373
სამი პოეტი 373
მიზეზი 373
ხელშეკრულება 374
დაშთენილთადმი 374

როგინზონ ჯეფერსი
კონტინენტის კიდე 375
ღრმა ჭრილობა 376
კასანდრა 377

ჩემი სამარე 377
იმ კლდეს, რომელიც სახლის ქვაკუთხედად უნდა იქცეს 378
ქვეყნიერების საოცრებანი 379

ლორენს ფერლინგეტი

"სამყარო საუკეთესო ადგილია..." 381
"პოეტის თვალი უტიფრად ხედავს..." 382
"ჩვეულებრივ მე ვამბობ..." 383
"ტყეები სადაც მიედინება მდინარეები..." 384
ზღვის პეიზაჟი მზით და არნივით 385
პოპულისტური მანიფესტი 386
ადამიანთა ბაზარზე 389
რვა ადამიანი გოლფის სათამაშო მოედანზე 390

ჩარლზ ოლსონი

მაქსიმუსი თავის თავს 392
მე, მაქსიმუსი გლოსტერისა, შენდამი 394
ბიბლიოთეკარი 398
მაქსიმუსი გლოსტერს, წერილი 27 (უითპელდი) 400
გვიანდელი მინანერი №15 ნერილზე 402
მთვარის ჩასვლა, გლოსტერი, 1 დეკემბერი, 1957, 1 სთ. 58 წთ. 402

რობერტ დანქენი

ხშირად მეძლევა მედოუში დაბრუნების ნება 404
პოეზია, ბუნებრივი რამ 405
ასეთია ბევრი კარგი რამის ავადმყოფობა 406
მშვილდის მოჭიმვისას 407
დედაჩემი ბაზიერი იქნებოდა 408
პერსეფონე 410
ტორსი 411
დანტეს ეტიუდებიდან 414

ჯონ ლოგანი

სამი გადაადგილება 416
ახალგაზრდა პოეტს, რომელიც გაიქცა 417
SUZANNE 418
დაიჯერე 420
სიყვარულის ლექსი 420

ჯერალდ სტერნი

დურგლის ტყეებში 422
პერანგის პოემა 423
ტირილი და ქვითინი 426
რომანსი 426
უფალო, შეინყალე სული 427
1978-ის დღეები 428
სიმღერა 428

ბიკფორდში 429
ფორთოხლის ხეების სასაფლაო კრეტაზე 430
ომი ებრაელების წინააღმდეგ 430

ფრენკ ო'ჰარა
Autobiographia Literaria 432
ლექსი 432
ლექსი 433
ჩემს გარდაცვლილ მამას 434
უკიდურესი მდგომარეობის მედიტაციები 435
ჯონ ეშბერის 436
რატომ არა ვარ მხატვარი 437
ის დღე, როცა ქალბატონი გარდაიცვალა 438
საფეხურები 439
გუშინ ქვემოთ არხთან 440
ლექსი 440

ჯეიმს რაითი
გამომშვიდობება კალციუმის პოეზიასთან 442
ზამთრის მიწურულს, გუბეს როცა გადავაბიჯე... 443
შემოდგომა დგება მარტინ ფერიში, ოჰაიო 443
უილიამ დალის ფერმაში, ჰამაკში წოლისას. 444
ლოცვა 444
გვიანი ნოემბერი ველად 445
იმ ჭორის პასუხად 446
თვალი პატიოსანი 446
შიში აღმაგზნებს 447
მორალისტური ლექსი 447
ლექსი საყრდენზე 448
მშვენიერი ოჰაიო 449
დიახ, მაგრამ 449

ჯონ ეშბერი
სიყვარულის პოემა 451
პოემიდან "ლიტანია" 451
ჩემი ეროტიკული ასლი 452
ცისფრის განსაზღვრება 453
ატოშას სადგურის მიტოვება 454

ჯერომ როტენბერგი
სამი სიზმარი 456

მარკ სტრენდი
მთლიანობის შენარჩუნება 461
ფოსტალიონი 461
პოეზიის ჭამა 462
ბაღი 463

ერთი სიმღერა 453
ძილი 454
ვეშაპებზე ნადირობა 455
მუდამ 457

კ. კ. უილიამსი
ასე მოსდით ადამიანებს 458
მოთმინება ისაა, როცა შენ წყვეტ მოლოდინს 458
მაშინ ქარის ხმამ 459
მათ ის გააფრთხილეს მერე მათ ის გარეთ გაისროლეს 470
ბენზინგასამართი სადგური 470
ფურთხი 472
გუდრონი 474
ჩემი ფანჯრიდან 476

ლუსილ კლიფტონი
ლექსი დაკარგულ ბავშვზე 478
თუ მე ვდგავარ ჩემს ფანჯარასთან 478
ღმერთის განწყობილება 479
ფესვები 480
მის როზი 480
დაბრუნდით კინოდან სახლში 481
იდუმალ მოსეს 481
მას ესმის ჩემი 482
გაფთხილებები 482

მაიკლ პალმერი
შრეებად 483
განსჯის სოფელი 484
როგორც ნამდვილი სახლი 485
ღამის ცა 486
ფრაქტალური სიმღერა 487
"ამ ეკრანზე სიტყვა იბადება..." 487

ელიოტ უაინბერგერი
ოცნება ინდოეთზე 489

დონალდ გრინი
ლურჯი სიხარული 497
მშვიდად სარკეში 498
მზიანი დღე 498

ცნობები ავტორთა შესახებ, კომენტარები და შენიშვნები 500

Dato Barbakadse
Ergebnisse
Band VIII

Tbilissi
2014

წიგნში წარმოდგენილი ყველა ტექსტის კორექტორია დათო ბარბაქაძე. მანვე დააკაბადონა და მოამზადა წიგნი გამოსაცემად. ავტორს ეკუთვნის, აგრეთვე, საგამომცემლო კონცეპცია და დიზაინი.

წიგნის ერთი ეგზემპლარის ბეჭდვის და ყდაში ჩასმის ღირებულებამ შეადგინა 35,40 ლარი.